სერგო დუმბაძე, ნიკოლოზ დუმბაძე
†შოთა ბოლქვაძე

ასწლოვანი სკოლა აბუსერისძეთა ნაფუძარზე

აბუსერისძე ტბელის სახელობის თხილვანის სკოლა

- 100 -

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი - 2016

UDC(უაკ) 373(479.223)(09)
დ-901

წიგნი ეძღვნება ხულოს მუნიციპალიტეტის აბუსერისძე ტბელის სახელობის თხილვანის საჯარო სკოლის 100 წლისთავს

რედაქტორი: **ნოდარ ბასილაძე**
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტები: **ირაკლი ბარამიძე**
ისტორიის დოქტორი, პროფესორი
აკაკი ზოიძე
პედაგოგიკის დოქტორი, პროფესორი
თამაზ ფუტკარაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ISBN 978-9941-462-37-5
© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ - 2016

ავტორებისგან

ამ წიგნის შექმნის იდეა დაიბადა 1996 წლის ოქტომბერში, როცა ვზეიმობდით თხილვანის პირველი ქართული სკოლის 80 წლისთავს. იდეის პირველი ინიციატორი იყო თხილვანის საშუალო სკოლის მაშინდელი დირექტორი, ამ წიგნის ერთ-ერთი ავტორი შოთა ბოლქვაძე. სწორედ მან განავითარა აზრი, რომ სკოლის გახსნის 100 წლისთავთან დაკავშირებით ჩვენ ერთად დაგვეწერა ამ სკოლის მრავალწლიანი, სიძნელეებით აღსავსე მუშაობის ამსახველი, ისტორიული პროცესებით გაჯერებული წიგნი.

ასე, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ვსწავლობდით სკოლის, აქ მოღვაწე პედაგოგების ცხოვრებას და საქმიანობას, ვეცნობოდით და ვაანალიზებდით სახელმწიფო არქივებში, პერიოდულ პრესაში შემონახულ მასალებს სკოლის, მასწავლებლების, სკოლადამთავრებულების შესახებ. მუშაობა უფრო ეფექტური, ინტენსიური და კონკრეტული გავხადეთ 2013 წლიდან: შევადგინეთ წიგნის შინაარსის ამსახველი სქემატური გეგმა. თითოეულ ავტორს განვუსაზღვრეთ მის მიერ დასამუშავებელი თემები და შესრულების ვადები. შრომატევადი მუშაობის ჩატარება მოგვიხდა ჩვენს ქვეყანაში სკოლების გახსნის, სასწავლო პროცესის წარმართვის ისტორიის შესწავლის დროს.

მიზნის მისაღწევად ბევრი შრომა დავხარჯეთ ერის, ქვეყნის ინტელიგენციის მედროშეების: ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, აჭარის პატრიოტი მოღვაწეების – შერიფ ხიმშიაშვილის, მემედ და ჰაიდარ აბაშიძეების ღვაწლის და ამაგის შესწავლისთვის, ჩვენს კუთხეში სწავლა-განათლების დარგში და განათლებული მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

დიდი ილია, აანალიზებდა რა 1881 წლის 12 მარტს დაარსებული ბათუმის პირველი ქართული სკოლის მნიშვნელობას, წერდა: „პირველი ქართული სკოლა იყო სიბნელითა და უმეცრებით მოცულ გარემოში ცოდნის ანთებული სანთელი, რაც დრო გადიოდა, ერთ სანთელზე ათასი სხვა სანთელი ენთებოდა, ანთებულ სანთელს არც ალი აკლდებოდა, არც სინათლე, არც სიცოცხლე, რადგანაც ერთის მაგიერ ათასმა სხვა სანთელმა დაიწყო ლაპლაპი, გაცხოველდა და ცოდნის, სწავლის განათლების უქრობ ჩირაღდნებად აელვარდა.“

ამიტომაც ჩვენს წიგნში სათანადო, კუთვნილი ადგილი დაეთმო პირველი ქართული სკოლების გახსნას აჭარაში, კერძოდ, სოფელ თხილვანაში, სწორედ ამ სკოლის გახსნით ჩაეყარა საფუძველი შემდგომში ჩვენს მხარეში, სოფლებში სკოლების გახსნას, განვითარებას და ახალგაზრდობის მასობრივი სწავლა-განათლების საქმეს. წიგნის ავტორები შევეცადეთ დასაბუთებულად აგვესახა სკოლების ქსელის განვითარება საბჭოთა პერიოდში, გვეჩვენებინა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადება, სკოლე-

ბის პედაგოგებით უზრუნველყოფა, მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლაში ჩაბმა, მოზრდილ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და თანამედროვე განათლებული საზოგადოების მომზადება.

შევეცადეთ გვეჩვენებინა ის შედეგები, რაც მიღწეულ იქნა ასი წლის განმავლობაში ჩვენი შორეული წინაპრების, აბუსერისძეთა მიწა-წყალზე ოდესღაც მჩქეფარე განათლების, მეცნიერების განვითარების ფონზე და შემდგომში ჩამკვდარი, დაფერფლილი სწავლა-განათლების, კულტურული აღმავლობის მიღწევა და განვითარება. აგვეხსნა, თუ როგორ დაირაზმა მთელი ქართველი ერი ჩვენს კუთხეში სწავლა-განათლების საქმის ეროვნულ ნიადაგზე წასამართავად, როგორი ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოვლინებულ აღმზრდელ-პედაგოგებს, რომელთა დაუღალავი შრომის შედეგად დაძლეულ იქნა ჩამორჩენილობა მოსახლეობის განათლების თვალსაზრისით და თანდათან როგორ წამოიზარდნენ სპეციალისტები ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის რიგებიდან.

თხილვანის სკოლის ისტორიიდან ნათლად ჩანს, რომ ამ სკოლამ გამოზარდა არა მარტო ადგილობრივი პედაგოგები, არამედ ინტელიგენციის სხვა დარგების უამრავი სპეციალისტი, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს და ასრულებენ კვლავაც რეგიონის, მთელი საქართველოს კულტურისა და ეკონომიკის განვითარებაში. ამიტომ წიგნში, სწავლა-განათლებასთან ერთად, ერთიან კავშირში ნაჩვენებია ხეობის მკვიდრთა მიღწევები მეცნიერებაში, ცალკეულ მეცნიერთა დამსახურება სხვადასხვა დარგში; წიგნში გადმოცემულია, აგრეთვე, კუთხეში შემონა**ხ**ული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები. მოსახლეობის დამსახურება მათ მოვლა-პატრონობაში, წარმოჩენილია მოწინავე ადამიანების ღვაწლი, დამსახურება, ახალგაზრდობის სწავლა-განათლებაში, საერთოდ სოფლების კულტურულ და ეკონომიკურ წინსვლაში.

აღნიშვნის ღირსია წიგნის ერთ-ერთი ავტორის – შოთა ბოლქვაძის მოწადინება, შრომა, რაც მან გასწია იმისთვის, რომ ნაშრომი ყოფილიყო შინაარსიანი, ობიექტური და მკითხველისთვის საინტერესო: წიგნის პირველ რიგში, მასალები იყო დაბეჭდილი, ერთიანი განხილვისთვის მთლიანად მომზადებული, მაგრამ შოთას უმტყუნა ჯანმრთელობამ და 2015 წლის 17 ოქტომბერს მოულდნელად გარდაიცვალა, ისე, რომ ვერ ეღირსა ერთობლივი შრომის შედეგის ხილვას და ამით გახარებას, მაგრამ მან თავისი მოღვაწეობით, ამ წიგნით უკვდავჰყო თავისი საქმე და სახელი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. შოთა ბოლქვაძე დაუვიწყარია ყველასთვის, ვინც მას იცნობდა, მასთან სწავლობდა და შრომობდა.

ამიტომაც ჩვენ, წიგნის ავტორებმა, ყველაფერი ვიღონეთ, რომ ეს საქმე დასრულებულიყო და წიგნს ეხილა მზის სინათლე, გაეხარებინა მკითხველის გული.

მადლობას მოვახსენებთ ყველას, ვინც გვედგა მხარში, ვინც დაგვეხმარა მასალების მოწოდებაში, ვინც გასწია სპონსორობა და გაგვიწია ფულადი დახმარება წიგნის გამოცემაში.

ასევე, მადლობას მოვახსენებთ ასევე ყველას, ვინც წაიკითხავს ამ წიგნს, კეთილად განეწყობა მის მიმართ, თავისი სურვილებით და შენიშვნებით აღნიშნავს წიგნში დაშვებულ უზუსტობას თუ ნაკლოვანებებს.

შესავალი

აჭარა ოდითგანვე საქართველოს ერთ-ერთი განათლებული და კულტურულად დაწინაურებული მხარე იყო. იგი, საქართველოს ერთიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის ნებისმიერ ეტაპზე, სამეფო ხელისუფლებას მხარში ედგა. აქ იყო განვითარებული კულტურა, მწერლობა, მეცნიერება, საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა. „ჩვენი ყოფილი ცხოვრება აქ აყვავებულა, – წერდა ილია ჭავჭავაძე, – ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას აქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს.“[1]

სამცხე-საათაბაგომ, ანუ ისტორიულმა მესხეთმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდა აჭარა, საქართველოს მისცა არაერთი გამოჩენილი პიროვნება, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ქვეყნის განათლების, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში. ამ მხრივ მსოფლიო ვარსკვლავებად მოევლინენ გენიალური პოეტი შოთა რუსთაველი და შუა საუკუნეების მოღვაწე, მწერალი და მეცნიერ-ასტრონომი აბუსერისძე ტბელი.

საქართველოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის თქმით, ჩვენი, საქართველოს სახელმწიფოებრივი სარწმუნოება – ქრისტიანობა აჭარიდან მოეფინა მთელ საქართველოს. „კურთხეული არს აჭარა, სადაც პირველად დაინთო ლამპარი ქრისტეს სიყვარულისა და იქცა განმანათლებლად სრულიად საქართველოში.“[2]

საქართველოს, მათ შორის, აჭარის სტრატეგიული მდებარეობა, რომელიც აღმოსავლეთს და დასავლეთს აკავშირებს ერთმანეთთან, ყოველთვის შედიოდა დიდ სახელმწიფოთა ინტერესებში. ამიტომაც საქართველო აჭარითურთ არაერთხელ ააოხრეს და გააჩანაგეს გარეშე მტრებმა (რომაელები, სპარსელები, არაბები, თურქ-სელჩუკები, მონღოლები). მე-16 საუკუნის შუახანებიდან ოსმალებმა დაიპყრეს ეს მხარე და ქართული კულტურა, განათლება, მეცნიერება მიწასთან გაასწორეს. ოსმალთა უღლის ქვეშ მყოფ აჭარაში ქართული წიგნი, მწიგნობრობა გაქრა, ქართული კულტურა მოიშალა, გაპარტახდა კულტურის ძეგლები.

ოსმალები ცდილობდნენ ქართული ენის, ეროვნული ცნობიერების მოშლას და აჭარაში მაჰმადიანური სარწმუნოების გავრცელებას, მაგრამ ეს ვერ შეძლეს. მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ ქართველი მამულიშვილები, მათ შორის სამხრეთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი სელიმ ხიმშიაშვილი, რომელმაც მეფე დემეტრე თავდა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ხუთტომეული, ტ. IV, თბ., 1987, გვ. 9.

[2] „ტბელობა“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2009 წლის ოქტომბერ-ნოემბერი, თბილისი, შპს „სეზანი“.

დებულის მსგავსად, თავი გასწირა სამშობლოსათვის. მისი საქმე მისმა შვილებმა განაგრძეს მამის ანდერძის შესასრულებლად, ხოლო შვილიშვილის – შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის პოლიტიკურმა ორიენტაციამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ოსმალთა ბატონობისგან აჭარის გამოხსნაში.

მტერმა ვერ შეძლო ქართული სულის ჩაკვლა, ქართული ენის მოსპობა. „მართალია, აჭარლებმაც სარწმუნოება შეიცვალეს, მაგრამ ქართულ ენას, ეროვნებას არ უღალატეს და თავით ფეხებამდის დარჩნენ ქართველებად და დახეთ, რა ვაუკაცობით, გამბედაობით და მხნეობით არიან შემკულნი“, – წერდა იაკობ გოგებაშვილი.[1]

ვაჟა-ფშაველა, სარეცელზე მიჯაჭვული, ასე გამოხატავდა თავის აღფრთოვანებას მაჰმადიანი ქართველების მიმართ: „დიდი სიამოვნებით ვეგებები მაჰმადიანი ძმებისდამი ჩვენი საზოგადოების ყურადღების გაცხოველებას. ავადმყოფის სარეცელზე სხეულით დაუძლურებულ სულს მილხენს იმედი, რომ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს ეროვნული დუღაბი კვლავ შეაერთებს. პირადად დამივლია აჭარა, კლარჯეთი, ტაო, დიდებული მესხეთი, ჩვენი დღევანდელი ძვირფასი სამაჰმადიანო საქართველო. დიდებულია იგი ქვეყანა. აქ გაფანტული კულტურის ნაშთები სულია ჩვენი ერისა, წარსულში ჩვენი ძმობა იყო მტკიცე და შეურყვნელი. ოდითგან ჩვენ ხომ სისხლი და ხორცი ვართ საერთო ქართული წინაპრებისა.“[2]

ქართველმა ინტელიგენციამ, თერგდალეულებმა ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, ხელი გაუწოდეს მაჰმადიან ძმებს ეროვნული ცნობიერების აღორძინებაში, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობის აღმოფხვრასა და რელიგიური განსხვავებულობის დაძლევასა თუ თანაარსებობაში. ილია ჭავჭავაძე ამ მიზნის მისაღწევ მთავარ გზად მიიჩნევდა ქართული სწავლა-განათლების შეტანას აჭარაში. ამ მიზნით, დაიწყო ზრუნვა ქართული სკოლების გახსნისათვის. ამ მხრივ ფასდაუდებელია ილიას მეთაურობით შექმნილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ როლი. ამ საზოგადოებამ 1881 წლის 12 მარტს აჭარაში, ქ. ბათუმში, გახსნა პირველი ქართული სკოლა. სკოლის გახსნისას ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა-დარიგება სტიმული გახდა აჭარის სოფლებშიც სკოლების გახსნისა.

დიდი ილია აჭარაში მოვლინებულ მასწავლებლებს არიგებდა, თუ როგორ უნდა ემუშავათ მათ სკოლაში მაჰმადიანურ აღმსარებელთა შვილებთან. 1881-1915 წლამდე აჭარის ბევრ სოფელში გაიხსნა ქართული სკოლები, მათ შორის, ხულოს რაიონში, სხალთა-ხიხანის ხეობაში და, პირველ რიგში, ყველაზე უშორეს სოფელ თხილვანაში, 1916 წელს. ეს განპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით: ჯერ ერთი, სკოლას არ დას-

[1] იაკობ გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II, თბ., გამომც. „ეროვნება“, 1990, გვ. 35.
[2] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თსუ გამომცემლობა, თბ., 1979, გვ. 237.

ჭირდა ბინის დაქირავება, თემურ ბეგ ხიმშიაშვილმა და მისმა დედამ მე-სუდე-ხანუმ მიქელაძემ დაუთმეს საკუთარი სახლი სკოლას უსასყიდლოდ და თვითონ გადავიდნენ საზაფხულო რეზიდენციაში ქოჩახში, მეორე, სოფელი ცენტრიდან შორს იყო და ბოქაული მალ-მალე ვერ დადიოდა სოფელში და, მესამე, რაც მთავარია, ხიხანის ხეობა, მათ შორის, თხილვანა, ხიხანის ციხესთან ერთად, იყო ერისთავთერისთავ აბუსერისძეთა სარეზიდენციო ცენტრი, ნაფუძარი, სადაც შუა საუკუნეებში ჰყვაოდა კულტურა, განათლება, მეცნიერება. სწორედ იქ მოღვაწეობდა აბუსერისძეთა გვარის უდიდესი წარმომადგენელი მწერალი-მწიგნობარი, მეცნიერ-ასტრონომი, მრავალმხრივი საერო და სასულირო მოღვაწე აბუსერისძე ტბელი, რომელიც ცხოვრობდა შუარტყალში, დღევანდელ თხილვანაში[1] და ისტორიულ ხიხანზე, სამშენებლო და სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად, ხელმძღვანელობდა საეკლესო-სამონასტრო მშენებლობას. აქაურობა იყო აბუსერისძეთა საცხოვრისი. მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე

[1] ისტორიკოსმა ლევან მუსხელიშვილმა 1941 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ბოლოკ ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე.“ ავტორმა გააანალიზა აბუსერისძე ტბელის უსათაურო კალენდარულ-ასტრონომიული თხზულება და თავის ნაშრომის სათაურად აიღო ზემოთ ნაჩვენები სიტყვები. იგი თხილვანის შესახებ ბევრ საინტერესო ცნობებს იძლევა, ამბობს იმასაც, რომ ბოლოკ-ბასილი გეოგრაფიულ პუნქტში „შუარტყალში“ ეკლესიას აშენებდა, მაგრამ ამ პუნქტის ლოკალიზაციას ვერ ახდენს, ზოგადად მიუთითებს აბუსერისძის საცხოვრებელ ადგილად სხალთა-ხიხანის ხეობის სათავეს. ამ საკითხით დაინტერესდა შოთა რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეო წელს ბათუმის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტდამთავრებული 1961-1970 წლებში ხულოს რაიონის თხილვანის საშუალო სკოლის მასწავლებელი (ამჟამად ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, წინამდებარე წიგნის ერთ-ერთი ავტორი ს. დუმბაძე) და მოამზადა საგაზეთო სტატია „აბუსერისძე ტბელის სადაურობის სიზუსტისათვის“ (1966 წ.). „რაკი ცენტრალურმა გაზეთებმა დაბეჭდვაზე უარი მითხრეს, მოგვიანებით, გაზ. „კოლექტიური შრომის“ (ხულო) 1967 წლის 1 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა, სადაც პირველმა წამოვაყენე ვერსია სათანადო არგუმენტებით, რომ აბუსერისძე ტბელი იყო ქვედა თხილვანიდან. ეს წერილი განმეორებით მოითხოვა იგივე გაზეთის რედაქციამ, ახლად დაარსებული სახალხო დღესასაწულის „ტბელობის“ დღეს და მეორედ დაიბეჭდა. ჩვენი ვარაუდი დამტკიცდა 1978-1980 წლებში თხილვანაში ჩატარებული ისტორიული გათხრების საფუძველზე. 1998 წელს, ვლადიმერ მამულაძესთან ერთად, გამოვეცით წიგნი, „ხიხანის საარწივოდან“ რომელიც ეძღვნება გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი ხელმძღვანელის (1954-1961 წწ.) დავით მიხეილის ძე მამულაძის ცხოვრება-მოღვაწეობას, რომელიც წარმოშობით ხულოს რაონის სოფელ თხილვანიდანაა. დავით მამულაძის მშობლიური სოფლის ისტორიის შესწავლისას ეტიმოლოგიურად გავაანალიზე ტოპონიმი „თხილვანა“. აღმოჩნდა, რომ თავიდანვე თხილვანა აბუსერისძის ეპოქაში არსად არ სახელდება, „შუარტყალი“ კი დღეს არ არის აჭარაში. „შუარტყალი“ მიღებულია „შუაწყალისგან“. ეს არის მდინარე, რომელიც სოფელ თხილვანას ჰყოფს ორ უბნად – ქვედა და ზედა თხილვანად და რაკი მათ შორის მიედინება და ეკუთვნის ქვედა თხილვანას, მდინარის სახელი დაერქვა ამ მდინარეზე გაშენებულ უბანს მაშინ, ახლა კი ცალკე სოფელია. ამდენად, ეტიმოლოგიურმა ანალიზმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ აბუსერისძე ტბელის თხზულებაში გამოყენებული ტერმინი შუარტყალი (შუაწყალი) არის დღევნადელი ქვედა თხილვანა, სადაც გათხრების შედეგად აღმოჩნდა აბუსერისძეთა საძვალე – ეკლესია.

სოფელში სკოლის გახსნა ხელს შეუწყობდა განათლების, კულტურის, მეცნიერების აღორძინებას ხალთა-ხიხანის ხეობაში.

დღეს უკვე მოსახლეობამ კარგად იცის აბუსერისძე ტბელის შესახებ ბევრი რამ, და ისიც, რომ შუარტყალი, დღევანდელი თხილვანა, მათი საცხოვრისი, ნაფუძარია, სადაც 100 წლის წინ გაიხსნა პირველი სკოლა.



აბუსერისძე ტბელი

წინამდებარე წიგნი ეძღვნება თხილვანის სკოლის დაარსებიდან 100 წლისთავს. იგი შედგენილია საარქივო დოკუმენტების, სპეციალური ლიტერატურის, პრესის მასალების, ოჯახებიდან მოწოდებული მონაცემების, პედაგოგთა წერილების, მოგონებების და სხვა მასალების დამუშავება-გაანალიზების საფუძველზე. ამასთან, დავეყრდენით საკუთარ გამოცდილებასა და მეხსიერებას.

საინტერესოა წიგნის არქიტექტონიკა. იგი მოიცავს 411 გვერდს და შედგება ავტორების წინათქმისაგან, შესავლისა, 5 განყოფილების, 28 პარაგრაფის და დასკვნისაგან. დართული აქვს ფოტოსურათები და გამოყენებული ლიტერატურისა და მასალების სია.

წინამდებარე წიგნის პირველ განყოფილებაში დახასიათებულია სხალთა-ხიხანის ხეობა, რომლის სათავეში მდებარეობს ერთ-ერთი სოფელი თხილვანა. მოკლედ დახასიათებულია ხეობის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, დაწყებული ფურტიოს თაღოვანი ხიდიდან, დამთავრებული ხიხანის ციხით, უფრო ფართო ადგილი ეთმობა სხალთის ეკლესია-მონასტერს, როგორც სულიერების ბალავარს და ხიხანის ციხის ისტორიას, როგორც სტრატეგიული, საფორტიფიკაციო ობიექტს. აჭარის ერისთავთერისთავების – აბუსერისძეების სარეზიდენციო ცენტრს, საქართველოს კარიბჭეს სამხრეთიდან და აჭარისწყლის ხეობის თავდაცვის ციტადელს. მიმოხილულია ციხის ტერიტორიაზე გაწეული სამეურნეო და მეცნიერული მუშაობის შედეგები, დასახულია პერსპექტიული სამომავლო გეგმები. ხაზგასმულია მოგზაურთა და მკვლევართა დაინტერესება ხიხანის ხეობით და წარმოდგენილია მათი როლი ციხის ხეობის ისტორიის კვლევა-ძიებაში; მიმოხილულია აგრეთვე სტიქიური მოვლენები ხეობაში, ნაჩვენებია მისი მძიმე შედეგები.

წიგნის მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილება ეძღვნება თხილვანის ასწლოვანი სკოლის ისტორიას. ნაჩვენებია პირველი სკოლების გახსნის დინამიკა აჭარის და მათ შორის, აბუსერისძეთა ნაფუძარზე განხილულია სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, პედაგოგთა საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობა მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების აღორძინებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში, ეტაპობრივად დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის როლი საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებაში, რაც შესრულდა გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან 80-იანი წლების ბოლომდე. ამ დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტაში მთავარი ფაქტორი იყო მასწავლებელი. ამიტომ წიგნის მეოთხე განყოფილებაში საუბარია სკოლის პედაგოგიურ კადრებსა და მის კურსდამთავრებულებზე.

ამჟამად, 100 წლის შემდეგ, თხილვანის სკოლაში ყველა კადრი – დირექტორი, პედაგოგი ადგილობრივია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საუკუნის მანძილზე სოფელში (ისე როგორც მთელ ქვეყანაში) მოხდა დიდი კულტურული გარდაქმნა. წიგნის ბოლოს მოცემულია ფოტოარქივის მასალები სკოლის ისტორიიდან. ასევე საუბარია სკოლაში ჩატარებული იუბილეების, კონფერენციებისა და შეხვედრების შესახებ.

წარმოდგენილი წიგნის შეფასება თქვენთვის მოგვინდია, ძვირფასო მკითხველო.

პირველი განყოფილება

სხალთა-ხიხანის ხეობა

§1. ცოტა რამ ხეობის შესახებ

სხალთა-ხიხანის ხეობა ხულოს რაიონის სამხრეთ მხარეში მდებარეობს. მას ესაზღვრება აღმოსავლეთით არსიანის ქედი (თურქეთი), დასავლეთით – მდ. აჭარისწყალი, ჩრდილოეთიდან კამანსერის ქედი (ჩაო-ღორჯომის თუ დიდაჭარა-რიყეთის ქედები, სამხრეთ-დასავლეთიდან შერთულის ქედი (მარეთის ხეობა). ეს ხეობა კამანსერისა და მარეთის ხეობებს შორისაა და მისი კოორდინატებია: ჩ.გ. $41^0$28' – $41^0$35'; ა.გ. $42^0$15'-$42^0$35'.

ხულოს რაიონის ხეობებს შორის, გეოგრაფიული მდებარეობით, კლიმატური პირობებით, თავისი ეგზოტიკით, ისტორიული წარსულით თუ თანამედროვე კულტურულ-საგანმანათლებლო მიღწევებით, გამოირჩეოდა სხალთა-ხიხანის ხეობა, რომელიც ქ. ბათუმიდან საავტომობილო გზით 90-120 კმ-ით, ხოლო ხულოს რაიონული ცენტრიდან – 10-50 კმ-ით დაშორებულია. ფურტიოს თაღოვანი ხიდიდან (საიდანაც იწყება ხეობა) სახელმწიფო საზღვრამდე, ხეობის სათავემდე, უმოკლესი პირდაპირი ხაზით მანძილია 27 კმ, სიგანე – 15,5 კმ, ფართობი 2435 $მ^2$, რაც ხულოს რაიონის ფართობის (710 ათასი კვმ) 34,2%-ს შეადგენს. მოსახლეობა 12250 მცხოვრები. ხეობა სამკუთხედის ფორმისაა, რომლის ფუძე მიმართულია აღმოსავლეთით.

სხალთა-ხიხანის ხეობის ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ სოფელი ფურტიო 1952 წლიდან ადმინისტრაციულად შუახევის რაიონს ეკუთვნის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისტორიულად, გეოგრაფიულ-რელიეფური დაყოფით, შედის სხალთა-ხიხანის ხეობაში. რაკი ჩვენ ვახასიათებთ ხეობას, ამიტომ საუბარი გვექნება ფურტიოზეც.

სიმაღლე სხალთა-ხიხანის ხეობის, რომელიც მაღალმთიანი ხულოს რაიონის ზონაშია, ზ.დ.-დან ხეობის დასაწყისში, ფურტიოს თაღოვან ხიდთან 520 მეტრია. ხეობის ბოლოს, ხიხანის ციხემდე 2275 მ, ხირხათის მთა-ქედი – 2340 მეტრია. სოფელი ყინჩაური 810 მ, ფუშრუკაული – 1180 მ, ხიხაძირი – 1240 მ, თხილვანა – 1480 მ. ბაკო – 1555 მ. მთა-ქედი (ხეობის ბოლო წერტილი) – 2340 მ. ხეობის უმაღლესი წერტილი ყიშლების ქედზე მაღლდება ზ.დ. 2786 მ-მდე.[1]

[1] ხეობის გეოგრაფიული განზომილებების შესახებ მასალები მოგვაწოდეს ბსუ გეოგრაფიის დეპარტამენტმა და ხულოს მუნიციპალლიტეტის სტატისტიკის სამსახურმა; მ. ფუტკარაძე, აჭარა, ბათუმი, 2001, გვ. 5.



ფურტიოს თაღოვანი ხიდი

ხეობის მთავარი მდინარეა სხალთისწყალი, რომელიც მდ. აჭარისწყლის (ადგილზე ეძახიან – ხულოს წყალი) მარცხენა შენაკადია. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე თავის ნაშრომში "არქეოლოგიური მოგზაურობა აჭარაში, სამურზაყანოში და აფხაზეთში", სახელწოდება "სხალთა"-ს ასე ხსნის: "აქაური მსხალი ძალზე გემრიელია და ამიტომაც სოფელს დაერქვა სხალთა, უფრო სწორად, მსხალთა (ხომ არ არის შემოკლებული მსხალთა მთა?).[1] მოცემულ ტოპონიმსა და დ. ბაქრაძისეულ ამგვარ ახსნასთან დაკავშირებით პროფესორი მიხეილ ქამადაძე აღნიშნავს, რომ სახელწოდების "სხალთა" **მსხლის მცენარესთან დაკავშირება მართებულია,** ხოლო ავტორის შენიშვნა – ხომ არ არის შემოკლებული მსხალთა მთა? – სწორი არაა. "სხალთა" ისეთივე გაფორმების ტოპონიმია, როგორიც – ქორ-თა, ბერ-თა, რან-თა, ჩხიკვ-თა, სადაც **თა** – ტოპოფორმატია.[2] ამ ტოპოფორმატის ახსნას პროფესორი შოთა ნიჟარაძეც[3] მსხალს უკავშირებს.

მდინარე სხალთისწყალი სათავეს იღებს ისტორიული ხიხანის ციხის მიდამოებიდან (ხირხათის ქედის კალთებიდან). აღსანიშნავია ისიც, რომ ხირხათის ქედის კალთებიდან არაერთი პატარა მდინარე (ღელე) – ჭაჭუნისწყალი და ბაკოსწყალი (ნაღვარევი) იღებს სათავეს. ყველა ეს მდინარე იკრიბება და უერთდება ერთმანეთს ბაკო-თხილვანის ბოლოს, შიგანაში, მერეში და ქმნის მდინარე ხიხაძირისწყალს. დასახელებულ მდინარეთა

---

[1] დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, სანკტ-პეტერბურგი, 1889, ბათუმი, 1987, გვ. 54.

[2] მ. ქამადაძე, ონომასტიკა სამხრეთ-დასავლეთ რეგიონების მონაცემებთან მიმართებით (სადოქტორო დისერტაცია (ლექსიკა)), ბათუმი, 1999, გვ. 48.

[3] შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი, 1976.

ხულოს მუნიციპალიტეტი

ბახმარო
ბეშუმი
ლაკარი
ბაკურიანი
ბორჯომი
ბარდნალი
ბოლოთა
ბაკო
ბოლოსანი
ბოლოსანი
ბოლოსანი

შორის **სხალთისწყლის სათავედ ითვლება ნაღვარევი, ანუ ბაკოსწყალი, რომელიც ამავე დროს სოფლების ბაკოსა და თხილვანის ბუნებრივ გამყოფს წარმოადგენს, ხოლო ამ სოფლების საზღვრების გამიჯვნისას მას ადმინისტრაციული ფუნქციაც დაეკისრა. თუმცა ერთ-ერთ სამხედრო-ტოპოგრაფიულ რუკაზე ამ სოფლების (ბაკოსა და თხილვანის) გამყოფად დასახელებულია მდინარე ჭაჭუნისწყალი (Чачунисцкали) რაც, ცხადია, შეცდომაა, – იგი სოფელ თხილვანის ტერიტორიაზე ჩაედინება და მას ეკუთვნის.**

ხეობისა და მდინარის სახელწოდება "სხალთა" დროთა განმავლობაში გაფართოვდა, მოსახლეობამ, შემდგომ მხატვრული სიტყვის ოსტატებმა და ბოლოს, მეცნიერ-მკვლევრებმა, ხეობის ისტორიული შესწავლის საფუძველზე სხალთის ხეობის სახელწოდება განავითარეს, განავრცეს და "სხალთა-ხიხანის" ხეობა, ხოლო მდინარე სხალთას "სხალთა-ხიხანისწყალი" უწოდეს, რაც აღიარა ქართულმა ისტორიოგრაფიამ.

ამ მდინარის საერთო სახელწოდების მიუხედავად, ცალ-ცალკე სოფლებში მის ნაწილებს მიკროსახელებიც გააჩნია. ასე მაგალითად, თუ მდინარის სათავეს "ბაკოსწალი" ანუ, როგორც უკვე ითქვა, "ნაღვარევი" ჰქვია, შიგანიდან ფუშრუკაულამდე – "ხიხაძირისწყალი", კვატიიდან ფურტიომდე – "სხალთისწყალი", ხოლო მის შესართავს ეწოდება "ორპირისწყალი", სადაც სხალთა-ხიხანისწყალი გოდერძის გადასასვლელიდან (არსიანის ქედის გაგრძელებაზე) გამომავალ მდინარე ხულოსწყალს, ანუ აჭარისწყალს უერთდება. ეს ფაქტორიც განაპირობებს სხალთა-ხიხანის ხეობის რეალობას.

აჭარა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხეა. დაგროვილი არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს, რომ დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე ადამიანს ბინადრობა დაუწყია ჯერ კიდევ ნეოლითის ხანიდან, ე.ი. ძველი წელთაღრიცხვის VIII ათასწლეულიდან და უწყვეტად ცხოვრობდა მომდევნო პერიოდებშიც.[1]

ისტორიიდან ცნობილია, რომ სამხრეთი საქართველო, აჭარისწყლის ხეობა აღიარებულია იმითაც, რომ ის სამხრეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირა ზოლის დამაკავშირებელი რგოლია, სადაც გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის მაგისტრალები (აბრეშუმის დიდი გზა).[2] ეს სავაჭრო გზა, აბრეშუმის გზად წოდებული, კვეთდა მსოფლიოს უდიდეს ნაწილს, დაწყებული ჩინეთიდან, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გავლით, იგი მიემართებოდა დასავლეთის ქვეყნებისკენ. ეს იყო საქონლის, ადამიანებისა და იდეების ტრანსპორტირება ევრაზიის (ევროპა-აზიის) ქვეყნებს შორის. ათასობით კილომეტრზე გზა წარმოადგენდა დამაკავში-

---

[1] ს. გოგიტიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კულტურა, თბ., 1974.
[2] ა. კახიძე, შ. მამულაძე, აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993.


ხულოს რაიონის
სხალთა - ხიხანის ხეობა
ᲐᲯᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲨᲐᲕᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲨᲐᲕᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲮᲣᲚᲝᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ
ᲮᲣᲚᲝᲡᲘ
ᲮᲘᲮᲐᲜᲘᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ
ᲮᲘᲮᲐᲜᲘᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ
ᲮᲘᲮᲐᲜᲘ
ᲮᲘᲮᲐᲜᲘᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲞᲘᲠ

რებელ არტერიას მსოფლიოს უდიდეს ცივილიზაციებს შორის, როგორიც იყო ჩინეთის, მონღოლეთის, სპარსეთის, რომაული, ბერძნული, ბიზანტიური, მესოპოტამიური და ეგვიპტური ცივილიზაციები.[1] რა თქმა უნდა, ამ ცივილიზაციების სიო აჭარასაც არგებდა, რადგან ამ გზის, საქართველოში გამავალი ნაწილის განშტოება ხდებოდა ხაშურში, ერთი შტო ქუთაისის გავლით შავ ზღვას უკავშირდებოდა, მეორე ბორჯომის ხეობით, ახალციხე-ადიგენის მთების გავლით – გოდერძის გადასასვლელიდან თხილვანა-ბაკოს გავლით, სარიჩაირ-ფოცხოვით, არტაანს და ბოლოს, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებს უკავშირდებოდა. თითო დღის სავალ გზაზე კეთდებოდა ფუნდუკები, ანუ ქარავანსარაიები – ქარავნისა და მექარავნეების მოსაცდელ-დასასვენებელი პუნქტები. ერთ- ერთი ფუნდუკი იყო ბაკოშიც, რომელიც არსიანის ქედის ძირას მდებარე სოფელი იყო, სამხრეთ-აღმოსავლეთით – უღრანი ტყით. მექარავნეებს აქ ბევრჯერ ღამისთევა, თვეობით გაჩერება უხდებოდათ ცუდი ამინდის ან დიდთოვლობის დროს. ასეთ შემთხვევაში ქირაობდნენ სოფლის მცხოვრებლებს საქონლის საყარაულოდ. ამიტომ სოფელი, როგორც ბუნებრივად მდინარეებით შემოზღუდული, შემოკავებული, ასრულებდა ბაკი-ს[2] ფუნქციას (ბაკი ანუ

სოფელი თხილვანა

[1] მ. აზმაიფარაშვილი, „აბრეშუმის გზა“, უძველესი ცივილიზაცია და ტურიზმის განვითარების შესაძლებლობანი საქართველოში (იხ. წიგნში „ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა“, ბათუმი, 2014, გვ. 339-345).
[2] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1993, გვ. 47.



სოფელი ქვედათხილვანა



სოფელი ბაკო

პირუტყვის გასაჩერებელი ადგილი). აქედან გაჩნდა სოფლის პირველი სახელი – ბაკი (უსახურავო ბოსელი (ჰაღილი). როცა ქარავანს გაჩერება დიდ ხანს უხდებოდა, მაშინ გაჩნდა "ბაკო"-სასტუმრო სოფელი და მივიღეთ ბაკი-ბაკო (ძვ. წ.აღ. V-III სს).

ეს სოფელი ამ სახელს დიდხანს ატარებდა, მაგრამ, როცა ჩინეთ-ინდოეთიდან ხმელთაშუა ზღვისკენ სამოძრაოდ სხვა გზებიც აღმოაჩინეს, მას შემდეგ ჯერ შემცირდა, შემდეგ შეწყდა ქარავნის მოძრაობა ამ გზაზე. მაშინ სიტყვა "ბაკ"-მა დაკარგა ფუნქცია, ხოლო "ბაკო" ფუნქციონირებდა. ამიტომაც სოფლის ადრინდელ სახელს ჩამოშორდა "ბაკი" და დარჩა "ბაკო". ამას ადასტურებს აბუსერისძე ტბელის ისტორიულ-გეოგრაფიული ჟანრის თხზულება, რომელშიც დასახლებულ პუნქტად სახელდება "ბაკო" და არა "ბაკი-ბაკო".

ხულოს რაიონი, რომლის შემადგენელი ნაწილია სხალთა-ხიხანის ხეობა, ისტორიულად ცნობილია იმითაც, რომ ქრისტეს მოციქული წმინდა ანდრია პირველწოდებული სარფის გზით შემოვიდა და იქადაგა რჯული ქვეყანაში, სადაც "წირვა-ლოცვა აღესრულდებოდა ქართულად".[1] წმინდა ანდრიამ ბინა დაიდო ზემო აჭარის ისტორიულ სოფელში, რომელსაც მემატიანე უწოდებს "დიდაჭარას", ჩვენი გაგებით იმიტომ, რომ აჭარაში პირველი სოფელია, სადაც ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში (39 წ.) აშენდა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ეკლესია და აქედან დაიწყო ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება საქართველოში. ამიტომ, ჩვენი აზრით, ეს სახელი "დიდაჭარა" (სურ. იხ.398) აღნიშნული სოფლის საკუთარი სახელიცაა და მისი შესამკობი ეპითეტიც. ამასთან, შემთხვევითი არც ისაა, რომ როცა სრულიად საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ჩამობრძანდა აჭარაში, მოიარა ზემო აჭარა, ბრძანა: **"კურთხეულ არს აჭარა, სადაც პირველად დაინთო ლამპარი ქრისტეს სიყვარულისა და იქცა განმანათლებლად საქართველოსი".**[2]

დიდაჭარა გახდა ზემო აჭარის ცენტრი, მოგვიანებით, სხალთა, შემდეგ ხიხანი და მისი შემოგარენი, ბოლოს ხულო.[3]

§2. მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები

სხალთა-ხიხანის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლების, ანუ კულტურული მემკვიდრეობის შესწავლითა და თანმიმდევრული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებული მასალების მეცნიერული შეს-

---

[1] ქართლის ცხოვრება, სახელგამი, 1955, გვ. 39.

[2] ტბელობა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2009 წლის ოქტომბეტ-ნოემბერი, გამომც. „სოზარი", გვ. 6.

[3] ტბელობა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2009 წლის ოქტომბეტ-ნოემბერი, გამომც. „სოზარი", გვ. 6.

წავლით დასტურდება, რომ სხალთა-ხიხანის ხეობა უძველესი დროიდან დაწყებული და შუა საუკუნეებშიც, აჭარის მნიშვნელოვან კუთხეს წარმოადგენდა.

როდესაც მეცნიერ-მკვლევრები წერენ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, ისინი, პირველ ყოვლისა, მიუთითებენ სხალთა-ხიხანის ხეობაზე, რადგანაც სწორედ აქაა განფენილი მათი უმრავლესობა. დაწყებული ფურტიოს თაღოვანი ხიდიდან (თაღოვანი ხიდი ყოფილა ძმაგულას ბოლოს, სადაც ამჟამად რკინის ხიდია. ეს ხიდი წყალდიდობების დროს ნაწილ-ნაწილ დაზიანებულა. რკინის ხიდის მშენებლობის დროს მდინარის ვიწრო და გრუნტმაგარი ნაპირი არ იყო, ამიტომ სპეციალურმა კომისიამ დაადგინა, რომ თაღოვანი ხიდის დარჩენილი ნაწილი ამოეღოთ და იმ ფუნდამენტზე გაკეთდა დღეს მოქმედი რკინის ხიდი). სხალთის მთავარანგელოზის ეკლესია, კვატიის საყდარი, ვერნების, ხიხაძირის, კალოთის, თხილვანის, ბაკოს (მუზეუმში ექსპონირებული ბაკოს ჯვრის ვარაუდით), ხიხანის სულიერებისა და თავდაცვის ობიექტებით დამთავრებული.

სხალთა-ხიხანის ხეობაში ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ძეგლი და ქართული სულიერების ბალავარია **სხალთის ეკლესია,** რომელმაც მტკიცედ გაუძლო ისტორიის მძიმე ქარტეხილებს, უცხო მოძალადეთა თავდასხმებს, ჰქონდა და გადაიტანა "ნათელი" და "ბნელი" ღამეები, იყო ისიც, ცეცხლი წაუკიდეს მტრებმა, მაგრამ ვერ დაწვეს, ფერი შეუცვალეს, გააშავეს, მაგრამ გული ვერ ამოძირკვეს, გაუძლო, გადაიტანა, გადარჩა. დად-

სხალთის ეკლესია-მონასთერი

გა დრო, საკუთარზე ხელი ააღებინეს, სხვა, მაგრამ შეუფერებელი საქმე დააკისრეს, დატოვეს უპატრონოდ, უყურადღებოდ, მაგრამ ვერავინ ვერ გაბედა მისი დაშლა-განადგურება, რადგან მას ჰყავდა უჩინარი პატრონი, პატიოსანი, პატრიოტი ადამიანების სახით, ქვევითაც და ზევითაც. მათ შეძლეს მისი პატრონობა, მოვლა, მოფერება, მისი კედლების დაცვა, ფრესკების აღდგენა-რესტავრაცია, კეთილმოწყობა, აეკრძალათ უხამსი, შეუსაბამო ფუნქციის შესრულება. გაწმინდეს ყოველგვარი სიბინძურისაგან მისი გზა, რომელიც ტაძარს მიიყვანდა საკუთარ, მაგრამ ძალით წართმეულ და ამჟამად დაბრუნებულ, ფუნქციამდე.

ვინ არიან ასეთი ადამიანები, რომლებიც ქომაგად დაუდგნენ კულტურის ძეგლებს ქვეყანაში? მადლიერებით აღვნიშნავთ მათ ამაგს, კმაყოფილებას გამოვთქვამთ ამ პატრიოტების მიმართ. ესენი არიან სოფელში თუ მის გარეთ კეთილშობილი ადამიანები, სოფლის ჭეშმარიტად მოაზროვნე პედაგოგები, მოსწავლე ახალგაზრდობა, ქვეყნის სამსახურში მყოფნი გულწრფელად ეროვნულ-სახელმწიფოებრივად მოაზროვნენი, მეცნიერ-მკვლევარნი, რომლებიც გონებით, გრძნობით, კალმით, წიგნით, შინაგანი მოწოდებით ემსახურებიან თავის სამშობლოს, უყვართ და პატივს სცემენ წარსულს, ეძებენ კულტურული წარსულის მარგალიტებს, აცოცხლებენ მათ. ამით ამაგრებენ წარსულსა და აწმყოს შორის კავშირს, ქმნიან მტკიცე ბალავარს უკეთესი მომავლის შესაქმნელად. მეცნიერება და მეცნიერები არიან ის ფენომენური ძალა, რომლის გარეშე ცხოვრების წინ წაწევა მეტად რთულია ან შეუძლებელია. ეს ფენომენი, ჩვენი საუბრის თემიდან გამომდინარე, არის ჯგუფი იმ ადამიანებისა, რომლებიც სწავლობენ სოფლის, ქალაქის, რაიონის, ქვეყნის, ცალკეული პიროვნების დამსახურებას, გამოჩენილი პიროვნებების შესახებ მათი ღვაწლისა და გაკეთებული საქმის შესახებ დაწერილი ნაშრომიც ასეთივე ძეგლია, როგორც მატერიალური თუ ნივთიერი კულტურის ძეგლი.

აი, მეცნიერები, რომელთა კალამი, გული, გრძნობა თუ ხელი შეეხო ქართული მატერიალური კულტურის საოცარ მარგალიტებს, გვინდა მოვეფეროთ და წარმოვაჩინოთ მათი სახე და როლი ისტორიაში.

სხალთის ეკლესია, რომელიც ხეობის ცენტრში ამჟამად დედოფალივით მოკაზმულ-დამშვენებული, დაცულ-შემოკავებული, ამაყად გადაჰყურებს მდინარის ორივე ნაპირზე მობინადრე მოსახლეობას, მასპინძლობას უწევს თავის მრევლს, სტუმრებს, ტურისტებს და გზას ულოცავს მგზავრებს, რომლებიც მას აუვლიან ან ჩამოუვლიან. აქ ხომ უმთავრესი გზა გადის არტანუჯისკენ, მარეთისკენ, ხიხაძირ-ბაკო-ხიხანისკენ, ხულოსკენ, ბათუმისკენ. ეს ეკლესია, როგორც სულიერების ბალავარი, რიგით მეორეა დიდაჭარის შემდეგ. ის აშენებულია საქართველოს ისტორიის "ოქროს ხანაში". აჭარის ერისთავთერისთავების ხელდასმით.

სხალთა ცნობილია იმითაც, რომ ის ხიმშიაშვილთა საგვარეულოს საზაფხულო რეზიდენციაც იყო. აქ სახლი აიშენა შერიფ ხიმშიაშვილმა.

შემთხვევითია არაა ისიც, რომ ამ სახლში ამჟამად ფუნქციონირებს მისი სახლმუზეუმი.

შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი სხალთაში

შერიფ ხიმშიაშვილმა დიდი და საშვილიშვილო საქმე გააკეთა არა მარტო აჭარისთვის, არამედ სრულიად საქართველოსთვისაც. ეს ეხება, პირველ რიგში, გზებს. აჭარა და მისი რეგიონები მდიდარია ისტორიული გზებით. ჩვენ შევჩერდებით მაგისტრალურ გზებზე, რომელთა განშტოებები გადიოდა აჭარისწყლის ხეობაში, ხულოს ცენტრში, ცალკეულ რეგიონში, მათ შორის სხალთა-ხიხანის ხეობაში და აკავშირებდა ქვეყნის შიდა დასახლებულ პუნქტებს მეზობელ ხეობებთან და ხელს უწყობდა ვაჭრობა-აღებ-მიცემობას და კულტურულ ურთიერთობას. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ბათუმი-ახალციხის გზა, რომელიც მე-19 ს-ის 80-იან წლებში გაკეთდა რუსეთის დახმარებით და შერიფ ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით. 1890 წელს ხულოში ახალი გზით ავიდა ეტლი პირველად, 1894 წელს გზა გავიდა ახალციხემდე[1]. სხვათა შორის მადლიერების ბის გრძნობა გვკარნახობს, ვთქვათ, რომ რუსეთმა, პირველყოვლისა, თავისი თვითმპყრობლური მიზნით მარტო ზემოთ დასახელებული გზა კი არა, მთელ კავკასიაში გააკეთა მაგისტრალური გზები: ძაუჯიყაუ-თბილისი-ბაქო; ძაუჯიყაუ-თბილისი-ერევანი; ძაუჯიყაუ-თბილისი-ბათუმი. პარალე-

[1] სერგო დუმბაძე, კავშირგაბმულობა და ფოსტა აჭარაში, თბ., 2003.

ლურად სატელეფონო-სატელეგრაფო ქსელიც შექმნა. კავკასიის დიდი ქალაქები ერთმანეთს დაუკავშირა და კავკასია რუსულ იმპერიის ერთიან სავაჭრო და პოლიტიკურ ზონად აქცია[1].

შიდა სამიმოსვლო დანიშნულების იყო ხულო-ძმაგულას გზა, რომელიც ხულოს ცენტრთან და ამ ხეობის სოფლების მოსახლეობასთან აკავშირებდა სხალთა-ხიხანის ხეობების სოფლებს. გარდა აღნიშნულისა, სხალთა-ხიხანის ხეობის ცალკეული სოფლები (კალოთა, ვერნები, ყინჩაური, ფურტიო) გზა-ბილიკებით, ბერთულის ქედის გადალახვით უკავშირდებოდა მარეთის ხეობის სოფლებს (დარჩიძეები, კობალთა, შუბანი, პაპოშვილები, მახალაკიძეები, ოალადაური, უჩამბა).

შერიფ ხიმშიაშვილმა გაიყვანა ხულო-ძმაგულის გზა ყინჩაურამდე. ეს გაიგო სულთანმა და აუკრძალა გზის მშენებლობა სხვადასხვა მიზეზით. ამიტომ, სურვილის მიუხედავად, ყინჩაურიდან ბაკომდე გზა არ გაკეთდა, მხოლოდ გააფართოვა გზა-ბილიკის ის ადგილები, სადაც ტვირთაკიდებულ ცხენს გავლა უჭირდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, **ხიხანის ციხე-ქალაქი** სხალთა-ხიხანის ხეობის სათავეშია და დარაჯად უდგას ხეობასა და მთელ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ხიხანის ციხე

[1] ს. დუმბაძე, ნ. დუმბაძე, უცხოელი მეცნიერი აჭარის შესახებ, ჟერნ. „ჭოროხი“, №8, №8, 2005, გვ. 104-110.

ამ ციხე-ქალაქის შესახებ პირველი წერილობითი ინფორმაცია მოგვცა მწერალმა და მეცნიერმა, საერო და სასულიერო მოღვაწემ, აბუსერისძე ტბელმა. მისი უსათაურო თხზულებიდან ჩანს, რომ, აჭარაში აშენებულ ციხესიმაგრეებთან შედარებით, იგი მეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილას არის აშენებული და თავის დროზე მოსახლეობის, პირველ რიგში, ქართველ დიდებულთა თავშესაფარი იყო მტრების შემოსევების დროს.

ისტორიკოსმა ლევან მუსხელიშვილმა 1941 წელს აბუსერისძე ტბელის თხზულებას უსათაურო ტექსტის პირველი სიტყვების მიხედვით თავის გამოკვლევას დაარქვა სახელი, "ბოლოკ ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე." ამ ნაშრომში ავტორი ახასიათებს აბუსერისძე ტბელს, რომელიც ევროპას და მსოფლიოს გააცნო მარი ბროსემ – სწორედ მან თარგმნა აღნიშნული თხზულება ფრანგულად და იგი გამოაქვეყნა პარიზში 1869 წელს. წინასიტყვაობაში მარუ ბროსი წერს: "ქართველებმა 1233 წელს უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცდომილებისა, რომელმაც 1582 წელს პაპი გრიგოლ XII აიძულა შესდგომოდა კალენდრის შესწორებას."

ლევან მუსხელიშვილი თხზულების მიხედვით ახასიათებს ეკლესიის მშენებლობას შუარტყალში, სადაც კალატოზი, საქართველოში აღიარებული ცხმორისელი კაცი, ბოლოკ ბასილი, აშენებდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიას. აქვე ნათქვამია, რომ კალატოზი მარტო მუშაობს, მას ძალას აძლევს წმინდა გიორგი, დახასიათებულია მისი სასწაულმოქმედებები.

გასული საუკუნის 60-იან წლების შუა ხანებში, შოთა რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეო დღეებში, გაჩნდა ახალი მოსაზრება ბოლოკ-ბასილის, როგორც მწერლის პროტოტიპის შესახებ, რაც ემყარება ტექსტის იმ ადგილს, სადაც პირველ პირში ამბობს – "ავაშენე". მას, როგორც მწერალს, ეპისკოპოსს, ხელმძღვანელს აქვს ამის უფლება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თვითონაა კალატოზი. ის საქმეს ხელმძღვანელობს. ბოლოკ ბასილი მწერლის, აბუსერისძე ტბელის პროტოტიპად აღიარებულია. როგორ? მწერალი კალატოზი კი არ იყო, ეპისკოპოსია, ხიხანის ციხე-ქალაქში იყო და ხელმძღვანელობდა არსებულ, ხით აშენებული ეკლესიის დაშლასა და ახალი, უფრო მეტი ფართის ეკლესიის ქვით აშენებას. როგორ? – იბადება კითხვა. პიროვნება ხელმძღვანელობს მშენებლობას და მას არა აქვს უფლება თქვას ან წეროს "ავაშენე"? მსჯელობა ისე ვითარდება, თითქოს მანამდე ეკლესია ციხესთან არ ყოფილა და ახლა აშენებენ. თხზულების ტექსტი კი გვეუბნება, ხის ეკლესია ვერ იტევდა მრევლს, რის გამო იქვეც ახლოს მდებარე სოფელ ბაკოელთა ინიციატივით, დაჟინებული თხოვნითა და დახმარებით ბოლოკ-ბასილმა ააშენა ქვის ეკლესია.

ხიხანის ციხესთან დაკავშირებულია აჭარის ისტორიის ბევრი მომენტი.

იბადება კითხვა, ვინ მოიფიქრა? ან რატომ, რა მიზნით ასეთ კლდეზე მიუვალ ადგილზე ციხესიმაგრის აგება?

ისტორიიდან ცნობილია, არაბების ბატონობა საქართველოში არსებობდა VII-IX საუკუნეებში. მათ თბილისი ჩაიგდეს ხელში და 400 წლის განმავლობაში მართავდნენ არაბი ამირები. ასეთ დროს ქართლის ერისმთავარმა აშოტ ბაგრატიონმა (კურაპალატმა) დედაქალაქი თბილისიდან გადაიტანა მესხეთში, არტანუჯში, რომელიც ადრე მათ გამგებლობაში შედიოდა. ააშენეს ქალაქი, ციხესიმაგრეები, მეფის სასახლეები. გრიგოლ ხანძთელის მეთაურობით დაწყებული სამონასტრო მშენებლობა გრძელდებოდა ტაო-კლარჯეთში. ამ დროს ერისთავები აშენებდნენ ციხესიმაგრეებს სამხრეთში, სწორედ მაშინ შეარჩიეს ასეთი სტრატეგიული ადგილი ხირხათის მთა-ქედზე და ააშენეს აღნიშნული საფორტიფიკაციო ციხე-კომპლექსი.

ხიხანის ციხის ნანგრევები

სწორედ აბუსერისძეთა ხელდასმით XI-XIII საუკუნეებში ეკლესია-მონასტრები და ციხესიმაგრეები აშენდა თხილვანაში, ბაკოში (ბაკოს ჯვარის ვარაუდით), ხიხაძირში, ვერნებში, კალოთაში, სხალთაში, თაღოვანი ხიდები, გზა-ბილიკები და ა.შ. ეს საქმე უფრო ინტენსიური გახდა, როცა აშოტ ბაგრატიონის შემდეგ მისი მემკვიდრე დავით III ჩაუდგა საქართველოს გაერთიანებას სათავეში.

ხიხანის ციხე აბუსერისძეთა სარეზიდენციო ცენტრი გახდა. იქ იჯდა და ეწეოდა საერო და სასულიერო მოღვაწეობას დიდი ქართველი მოღვაწე, მწერალი და მეცნიერი აბუსერისძე ტბელი (მისი მოღვაწეობის შესახებ იხილეთ წიგნის მეორე განყოფილებაში).

აბუსერისძეთა საგვარეულო საამაყოა არა მარტო მწერლობით, მწიგნობრობით თუ ჰიმნოგრაფიით, არამედ პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეობითაც:

იოვანე (ივანე) აბუსერისძე – ერისთავი აჭარისა და არტანუჯისა (XI ს. 20-30 წლები);

აბუსერ I აბუსერისძე – ერისთავი არტანუჯისა, ხიხათა (აჭარა), ციხისჯვარისა და აწყურისა, XI ს. შუა წლები;

გრიგოლ I აბუსერისძე – ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა, მმართველი ანისისა (XI ს. II ნახ.);

XII-XIII საუკუნეებში იყვნენ:

გრიგოლ II აბუსერისძე – ერისთავი აჭარისა;

აბუსერ II აბუსერისძე – ერისთავი აჭარისა;

ივანე II აბუსერისძე – ერისთავი აჭარისა;

აბუსერ III აბუსერისძე – ერისთავი აჭარისა. მისი ბრძანებით წმ. გიორგის სახელობის ეკლესია უფრო დიდი ფართობით განახლდა და აშენდა ქვის მასალით;

ვარდან აბუსერისძე (მწერლის ძმა) – ერისთავი აჭარისა. მისი ბრძანებით აშენდა ხეობაში მეორე ციხესიმაგრე "ვარდციხედ" წოდებული. სინამდვილეში ეს არის ვარდანის ციხე. მას კავშირი არ აქვს ვარდთან.

ივანე IV აბუსერისძე იყო ამირსპასალარი (თავდაცვის მინისტრი) საქართველოს მთავრობაში, გარდაიცვალა 1355 წელს.

ჩვენდა საამაყოდ, აღსანიშნავია ისიც, რომ აბუსერისძეები ყოველთვის გვერდით ედგნენ ცენტრალურ ხელისუფლებას და სერიოზული წვლილი შეიტანეს საქართველოს როგორც პოლიტიკურ, ისე საერო თუ სასულიერო-საგანმანათლებლო და კულტურულ ცხოვრებაში.

ცნობილია, რომ აბუსერისძეთა გვარი პოლიტიკური ისტორიის არენიდან გაქრა XV საუკუნის ბოლოდან, უკანასკნელად იხსენიებიან XVI საუკუნის სამცხე-საათაბაგოს დიდებულთა სიაში.

ჯერჯერობით, სათანადო დოკუმენტებისა და წყაროების ნაკლებობის გამო, **დაუდგენელია** (თუმცა არსებობს სხვადასხვა მოსაზრება), თუ ვინ შეცვალა აბუსერისძეები ხელისუფლებაში. ამიტომ ამ საკითხზე მსჯელობისგან ამჯერად თავს ვიკავებთ.

ხვარაზმელებისა და მონღოლების განდევნის შემდეგ კვლავ მძიმე პერიოდი დაუდგა საქართველოს, კერძოდ, აჭარას. XVI ს. ბოლოდან მას ახალი დამპყრობელი – ოსმალეთი მოევლინა. სხალთა-ხიხანის ხეობა, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილი, არაერთი რბევისა

და ბრძოლის მომსწრე და მონაწილეა. ამ მხრივ ყველაზე სასტიკი და აუტანელი იყო ოსმალთა სამასწლიანი ბატონობა აჭარაში, რასაც აქ მცხოვრები ქართველები არასდროს შეეგუებიან. აჭარა მუდამ იბრძოდა ვერაგი მტრის წინააღმდეგ, დედასამშობლოსთან დაბრუნებისთვის. სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლა განსაკუთრებით გაძლიერდა მაშინ, როცა მას სათავეში ჩაუდგა დიდი პატრიორტი და საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლის ლეგენდარული გმირი **სელიმ ხიმშიაშვილი**. მისი სტრატეგიული მიზანი იყო აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნება. გრძნობდა, რომ დასახული მიზნის რეალიზებისთვის აჭარა პატარა იყო, არც მისი ძალები და არც ტერიტორია საკმარისი არ იყო, ამიტომ კავშირები დაამყარა ახალციხის ფაშასთან, შერიფ ჯაყელთან. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორესთან და იმერეთის მეფე სოლომონ მეორესთან. აკვირდებოდა სიტუაციებს და ცდილობდა თავისი მიზნების სასარგებლოდ ვითარების გამოყენებას. საფაშოში შერიფ ჯაყელსა და მის ძმისშვილს შორის მოხდა დაპირისპირება ძალაუფლებისთვის. სელიმი არ ერეოდა, აკვირდებოდა გარედან. ამ ხელსაყრელი ვითარების გამოყენებით სელიმმა ორჯერ (1803-1809 და 1812-1815 წწ) მიაღწია ახალციხის ფაშობას. რაკი ერეკლემ და სოლომონმა შიდა დაძაბულობითა და საერთაშორისო ურთიერთობის გამო, ვერ შეძლეს დახმარების გაწევა, სელიმმა გეზი აიღო რუსეთისკენ. გაიმართა მისი მიწერ-მოწერა არმიის სარდლებთან, კავკასიის მთავარმართებელთან. სელიმის ლოიალობა და ბოლოს მისი რუსული ორიენტაცია სულთანმა გაიგო და გადაწყვიტა მისი დასჯა. ერზრუმის ბაბა-ფაშა ფეჰლევანს დაევალა მისი მოკვეთილი თავის სტამბულში ჩატანა. 15-ათასიანი ჯარით ახალციხის მისადგომებთან დიდი ბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ თურქებმა სელიმის შეპყრობა ვერ შეძლეს.

სელიმ ხიმშიაშვილი
საქართველოს ეროვნული გმირი

მართალია, ახალციხის მისადგომებთან გამართული ბრძოლებით მტერმა მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ სელიმს მებრძოლები ცოტა დარჩა. ამიტომ მან გადაწყვიტა ხიხანის ციხეში გამაგრება და იქიდან ბრძოლის გაგრძელება ოსმალო დამპყრობლის წინააღმდეგ. მტერი დაედევნა სელიმს. ოსმალოს ჯარმა ალყა შემოარტყა ციხეს, მაგრამ ციხეზე ასვლა

და სელიმის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა. ამიტომ დაიწყეს სოფლების დარბევა და მოსახლეობის აწიოკებამოსპობა. ცეცხლწაკიდებული სოფლები რომ დაინახა ალყაში მოქცეული ციხის ქონგურებიდან, სელიმმა **ტყვედ ჩავარ**დნას არჩია საკუთარი ნებით, მაგრამ გარკვეული პირობა-ულტიმატუმით (სოფლების დარბევა-განადგულებისა და მოსახლების ძარცვა-გლეჯის შეწყვეტა) ჩაბარებოდა მტერს „განა ღირს ერთის სიცოცხლე ათასების სიკვდილს," – განუცხადა მან თავის თანამებრძოლს, უერთგულეს თულუმბა ბეჟანიძეს და საკუთარი განზრახვაც გაანდო. სელიმის ბრძანებით, თულუმბამ ციხის კარები გააღო და ბაბა-ფაშას წარმომადგნელები მიიღო. სელიმი ჩაბარდა იმ რწმენით, რომ დადებული პირობის თანახმად, შეწყდებოდა სოფლების დარბევა, ხალხის აწიოკება-აკლება, მაგრამ მტერი მუხანათი და ვერაგი აღმოჩნდა. სელიმი ჩაიყვანეს სოფელ ბაკოში და 1815 წლის 3 ივნისს სერიყანაში თავი მოკვეთეს. სიკვდილის წინ სელიმმა **დატოვა ანდერძი,** რომლითაც მიმართა ჯალათს: „მე თავს მჭრით, მაგრამ გეტყვით, გურჯისტანი სამუდამოდ არ შერჩება ოსმალეთს, მე ამის ხსოვნას ჩემს შვილებს ვუტოვებ." ამ ტრაგიკული აქტის შემდეგ, ოსმალოს ჯარის ერთ-ერთმა სარდალმა მახმუდ თურანმა მოკვეთილი თავი მიჰგვარა სულთანს სტამბოლში.[1] ამ აქტის ჩატარებიდან 2 საათის შემდეგ სულთნის ფირმანი მიიღეს, რომ სელიმისათვის თავი კი არ მოეკვეთათ, არამედ ცოცხლად მიეყვანათ მასთან, მაგრამ ფირმანი დაგვიანებული აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, სულთანმა გაიგო რა სელიმის თავდადებული ბრძოლების შესახებ, მოინდომა მისი ოსმალეთის მტრებთან ბრძოლაში გამოყენება. ამიტომ მან შეცვალა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება სელიმის სიკვდილით დასჯის შესახებ და გამოგზავნა მეორე ფირმანი, რომლითაც იგი ითხოვდა მის სტამბოლში ცოცხლად ჩაყვანას. მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. ამიტომ სელიმის თავის მომკვეთს სულთანმა ანგარიში გაუსწორა – მასაც თავი მოკვეთა.

სელიმის უთავო ცხედარი თანამებრძოლებმა შიგანაში (მერეში) მდინარის პირას, კაკლის ხესთან დამარხეს. (ეს ადგილი წყლადიდობის დროს მდინარემ დაანგრია და ხეც წაიღო. მადლიერებით აღვნიშნავთ, რომ პატრიოტმა მეგზევეებმა, გაიგეს რა სელიმის პირველი საფლავის ადგილი, დანგრეული გზის აღდგენის დროს ჩამოასხეს გზის დანგრეული ნაპირი და დარგეს **კაკლის ხეც** გმირი სელიმის სახელის უკვდავსაყო-

[1] სერიყანაში (ბაკოს ცენტრში), სადაც სელიმს თავი მოკვეთეს, დაიდგა მემორიალური დაფა სათანადო წარწერით.

2015 წლის ივნისში „სელიმობის" დღესასწაულის მეათე წლისთავზე ხულოს მუნიციპალი-ტეტის (გამგებელი ბ. ბაუჩაძე) ინიციატივით და ხელმძღვანელობით, განახლდა მემორიალი, კეთილმოეწყო მემორიალის მიდამო, გაიყვანეს ელექტრობა, განათდა გარემო, გაკეთდა მემორიალთან მისასვლელი გზა-ბილიკი და შემოიღობა ტერიტორია – სარიტუალო მოედანი, ალბათ, ამ ადგილს სამომავლოდ დაამშვენებს მუზეუმი.

სელიმ ხიმშიაშვილის სიკვდილით დასჯა

ფად). მოვგიანებით, მისი მეუღლის – ელმას სურმანიძის თხოვნით, ცხედარი უშარიძეებმა, სელიმის თანამებრძოლმა მედროშეებმა, გადაასვენეს სოფელ ნიგაზეულში, ხიმშიაშვილთა სამკვიდროში და ჭყანიშურის უბანში დაკრძალეს. კეთილმოწყობილია საფლავიც.

სამშობლოსთვის თავგანწირული სელიმ ფაშის დაღუპვის შემდეგ მისი შვილები ახმედი და აბდი 1815 წელს მამია მეხუთე გურიელმა შეიფარა. აჭარიდან ოსმალთა დამსჯელი რაზმების წასვლის შემდეგ სოფელ ნიგაზეულში მოსულმა ახმედმა დაიბრუნა აჭარის მმართველობა.

ახმედ-ბეგი მამის, სელიმის ანდერძის ერთგული იყო. იგი ფარულად თუ აშკარად დედასამშობლოსთან დასაბრუნებლად იბრძოდა. ის ამისათვის ემზადებოდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში ჩასაბმელად. ამ მიზნით, ის გამაგრდა ზემო აჭარაში და მიმოწერას აწარმოებდა ახალციხეში დაბანაკებულ რუსეთის ჯარების სარდალ ბებუთოვთან ერთობლივი მოქმედების გეგმებზე. მოულოდნელად შეიცვალა სიტუაცია. სარდალი ბებუთოვი გადაიყვანეს ბალკანეთის ფრონტზე და აქ გამოგზავნეს გენერალი ოსტენ-საკენი. ბებუთოვის გაფრთხილების (ახმედ ფაშასთან ტაქტიანი ურთიერთობის აუცილებლობის შესახებ) მიუხედავად, რუსეთის არასწორმა პოლიტიკამ ახმედ ხიმშიაშვილი თავის მტრად აქცია. შედეგი ის იყო, რომ აჭარის განთავისუფლების საქმე ჩაიშალა და ნახევარი საუკუნით სამომავლოდ გადაიდო. ახმედ ხიმშიაშვილს ოსმალეთის ხელისუფლებამ მოფერება დაუწყო, მისცა გენერლის წოდება და საჩუქრებიც, თუმცა ამაოდ. თავგანწირული მამის ანდერძის შესრულებაზე მას ხელი არ აუღია. სამწუხაროდ, ახმედ ხიმშიაშვილი 1836 წელს, ქურთების აჯანყების ჩაქრობის დროს დაიღუპა. დასაფლავებულია არზრუმში. მამის გარდაცვალების დროს შერიფი 7 წლის იყო. ამიტომ აჭარის მმართველობა ახმედ ფაშის მეუღლემ, შერიფის დედამ,

სელიმ ხიმშიაშვილის

განათლებულმა და გონიერმა დუდი-ხანუმ ბეჟანიძემ აიღო ხელში. ის 12 წელიწადს (1836-1848 წწ) მართავდა აჭარას და მუდამ იმის ცდაში იყო, რომ მშობლიური კუთხე ოსმალთა ბატონობისგან გამოეხსნა. ამ მიზნით, მოსახლეობა აჯანყებებს აწყობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1844 წლის აჯანყება. სულთანმა თანზიმათის რეფორმის გატარებით შეძლო აჯანყების ჩაქრობა. 1849 წელს აჭარას სათავეში ჩადუგა ახმედ ფაშას უკვე 20 წლის ზრდასრული შვილი, შერიფ ხიმშიაშვილი (1849-1892 წწ.).

შერიფ ხიმშიაშვილი

აჭარა ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში მოელოდა დედასამშობლოსთან დაბრუნებას, მაგრამ იმედი გაუცრუვდა, ვერც 1853-1856 წლების ომმა მოუტანა თავისუფლება აჭარას. პირიქით, კვლავ განმეორდა 1829 წლის ოსტენ-საკენის მიერ დაშვებული შეცდომა. გენერალ-ლეიტენანტი კოვალევსკი თავისი რაზმით ახალციხიდან დაიძრა და ფოცხოვის (თანამედროვე ფოსოფის) ხეობიდან ზემო აჭარაში, კერძოდ, სხალთა-ხიხანის ხეობაში შევიდა. კოვალევსკი ზუსტად ისე მოქმედებდა, როგორც მისი წინამორბედი ოსტენ-საკენი. მას შეებრძოლნენ სოფელ ბაკოს თავში. ბევრი ადგილობრივი პატრიოტი დაეცა ბრძოლაში. იქაურობა სისხლით მოირწყო. ამიტომაც აქ მოჩუხჩუხე წყაროს თურქებმა "ყანლი ფუნღარი" (სისხლიანი წყარო) დაარქვეს.[1]

კოვალევსკის რაზმმა სოფელი ბაკო დაიკავა და იქვე დაბანაკდა. მეორე დღეს, მისივე ბრძანებით, შტაბის უფროსმა ტიმრინმა 30 მაისს გააჩანაგა სოფლები, ზედა და ქვედა თხილვანა, ხოლო პოლკოვნიკმა დავიდოვმა – სოფელი მუმსუ – სანთლის წყალი, დღევანდელი მთისუბანი.

[1] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1978, გვ. 326.

ამის შემდეგ გენერალმა კოვალევსკიმ გადაწვა სოფელი ბაკო ქოჩახითურთ და უკან დაბრუნებისას ზედ მიაყოლეს საზაფხულო იალაღებზე არსებული საცხოვრებელი სახლები. აქაურმა მოსახლეობამ მთლიანად დაკარგა ქონება, სარჩო-სანოვაგე, განადგურდა ხეხილის ბაღები, ხორბლისა და თივის მარაგი[1], მოსახლეობა ტყეში გაიხიზნა.

რუსების წასვლის შემდეგ, ტყეს შეფარებული მოსახლეობა დაუბრუნდა მიტოვებულ ადგილებს, გააჩაღა კერია, განახლდა ცხოვრება. ადგილობრივი მოსახლეობის უხუცესების გადმოცემით, სოფელი ბაკო და მეზობელი სოფლები სამჯერ გადაწვეს მტრებმა, მოსახლეობა იხიზნებოდა ტყეებში.

ედეჰემ სურმანიძე (ქოჩახელა)

ამ ხეობაში ბევრჯერ მოეწყო სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციები. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1933 წელს აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით აჭარაში, კეროძოდ, სხალთა-ხიხანის ხეობაში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ექსპედიცია მატერიალური კულტურის ძეგლების და მოსახლეობის ყოფითი საკითხების შესასწავლად.

ამ ექსპედიციის დროს ხიხაძირის ცენტრში ("ერდოზე") მოეწყო მხატვრული ღონისძიება, სპეციალურად შესრულდა სოფელში უძველესი დროიდან შექმნილი და შემონახული ცეკვა "ხორუმი", რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. სწორედ ამ ინტერესით იყო გამოწვეული, რომ ცეკვა "ხორუმი" პირველად ხიხაძირელ მოცეკვავეთა მიერ შესრულდა ამერკავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადაზე ქ. თბილისში 1934 წელს, რის შედეგადაც მოცეკვავეებს პირველი ადგილი მიეკუთვნათ და გადაეცათ ფულადი ჯილდოები. სწორედ მაშინ გაიცნო დე-

[1] თეიმურაზ კომახიძე, დუდი-ხანუმ ბეჟანიძე და ძე მისი შერიფ ხიმშიაშვილი, ბათუმი, 2002, გვ. 132-133.

დაქალაქმა ვირტუოზი მეჭიბონე ედეჰემ სურმანიძე – ქოჩახელა, რომელმაც გააოცა თბილისელები თავისი საშემსრულებლო ოსტატობით*.

როგორც ზემოთ ითქვა, ხიხანის ციხე-კომპლექსის შესწავლის პირველი ნაბიჯები გადაიდგა. მკვლევრებმა პოპულარული გახადეს მისი სახელი და ბრძოლები, მაგრამ, სამწუხაროდ, ციხის ისტორიის კაპიტალურად შესწავლა ბოლო დრომდე არ ხერხდებოდა სხვადასხვა მიზეზების გამო.

ადგილობრივი მოსახლეობის დიდ ნაწილში ეს ციხესიმაგრე მიჩნეული იყო "ეშმაკების ბუდედ", იქ ასვლა დაუჯერებლად ითვლებოდა, ტაბუდადებულივით იყო. სინამდვილეში ეს იყო ცრურწმენებისა, უცოდინრობის, გაუნათლებლობის, კარჩაკეტილობის შედეგი. სკოლამ, მასწავლებელმა მოსახლეობას, პირველ რიგში, ახალგაზრდობას გაუხსნა გზა ხიხანის ციხისკენ.

1950 წლის მაისში, თხილვანის 8-წლიანი სკოლის დირექტორის, ქალბატონ თინა კუკულაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, მთელი სკოლისათვის, ხიხანის ციხეზე წარმოდგენა დიამეტრალურად შეიცვალა. დირექტორმა ციხის ტერიტორიაზე ჩაგვიტარა „ღია გაკვეთილი" თემაზე: "ხიხანის ციხე და მისი გმირები". ჩვენ მაშინ მეხუთე კლასის მოსწავლეები ვიყავით, პირველად მოვისმინეთ მწირი ცნობები ხიხანის ციხის და სელიმ ხიმშიაშვილის შესახებ. მოსახლეობას, მშობლებს, მეზობლებს ციხის შესახებ განსაკუთრებული სიამაყით, დიდი ემოციებით, პატრიოტული გრძნობების წინ წამოწევით ვუზიარებდით შთაბეჭდილებებს.

§3. ხიხანის ციხე-კომპლექსი – ახალი აღმოჩენების მოწმე

მიუხედავად ამ ციხესიმაგრის დიდი მნიშვნელობისა, მისი მეცნიერული შესწავლა ადგილზე არ ხერხდებოდა ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო:

1. ციხე-ქალაქი (კომპლექსი), რომელიც კლდოვანი ქედის ტაფობზეა აგებული, საუკუნეების განმავლობაში ჩამოირეცხა, ჩაიხერგა ასასვლელი გზები, ხირხათის მთა-ქედის ტაფობზე. ასასვლელად რელიეფი რთულია, ქვათაცვენა იყო.

2. საბჭოთა პერიოდში ხიხანის ციხე-კომპლექსი სამხედრო ზონაში იყო და დახურულ ობიექტად ითვლებოდა, ასვლა ხერხდებოდა სამხედრო

---

* ედეჰემ სურმანიძის მამა მუშაობდა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილთან ქოჩახში. მამასთან შვილი სისტემატიურად დადიოდა. როცა მეზობლები ჰკითხავდნენ, სად იყავიო? – ქოჩახში – პასუხობდა ედეჰემი. ამოტომ მას დაარქვეს მეტსახელად ქოჩახელა (ქოჩახში მოსიარულე). რესპოდენტი ნოდარ სურმანიძე. 70 წელს მიტანებული, სოფ. ფუშუკაურიდან. ქოჩახელას შტამომავალი. ამჟამად ცხოვრობს ასპინძის რაიონის სოფელ ივერიაში. 2014.

მესაზღვრეთა უმაღლესი ეშელონების ნებართვით გაცემული სპეციალური საშვით, ადგილზე მყოფი საგუშაგოს რამდენიმე მესაზღვრის თანხლებით.

3. ადგილობრივი მეცნიერული კადრების ნაკლებობა.

თუ ვინმე დაინტერესდებოდა იქ ასვლით, მხოლოდ ინტელიგენციის წარმომადგენლები, პოეტები, ხელისუფლების მოღვაწეები, სახელმწიფო მუშაკები.

ინტერესი ხეობის ისტორიის შესწავლა-პოპულარიზაციისადმი გაიზარდა სტუდენტ ახალგაზრდობაში მე-20 ს. 50-იანი წლებიდან. იმ თაობის სტუდენტებიდან, დღეს ბევრი მეცნიერ-მუშაკია, პედაგოგი, არქეოლოგი, ფილოლოგი და ა.შ. ისინი მუშაობენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში თუ ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ბათუმის სხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში, ან დასაქმებულები არიან ხელისუფლების სტრუქტურებში.

ამით დაინტერესდა აჭარის კულტურის ყოფილი მინისტრი თ. კომახიძე, რომელმაც აჭარაში გახსნა 10-ზე მეტი მუზეუმი. მათ შორის, ნიგაზეულში (შუახევის რაიონი) სელიმ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი, სხალთა--ხიხანის ხეობაში ორი: ეთნოგრაფიული მუზეუმი თხილვანაში და შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი – სხალთაში. ხალხმა მას "მუზეუმთმშენებელი" უწოდა. მანვე ითავა ხიხანის ციხეზე ასასვლელი გზის, დაკიდული კიბეების გაკეთება. შექმნა ჯგუფი, დააფინანსა, შეისწავლეს ადგილზე პირობები, მაგრამ კლდის არამდგრადობის გამო, დაკიდული კიბის გაკეთება გამოირიცხა, სამაგიეროდ, გაკეთდა გზა-ბილიკი, 1400 მეტრის მანძილზე, რის შემდეგ, ინტენსიური გახდა მოსახლეობის, განსაკუთრებით – მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის წაყვანა ისტორიული ციხის დასათვალიერებლად.

რამდენიმე წლის წინ, ხეობის მოსახლეობამ აჭარის მთავრობას თხოვა ხიხანის ციხის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. აჭარის მთავრობის თხოვნით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ერთად, შეიქმნა სათანადო კომისია ცნობილი არქიტექტორის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, **თამაზ დვალის** ხელმძღვანელობით.

პროექტის მიხედვით ჩატარდა ყველა ნაგებობის აღწერა-აღრიცხვა. 2014 წელს ციხის ტერიტორიაზე აშენდა ოთახი მეცნიერ-მკვლევართა სამუშაოდ, ორი კილომეტრის მანძილიდან გამოიყვანეს სასმელი წყალი. 2015 წელს პროექტის მიხედვით დაიწყო არქეოლოგიური გათხრები არქეოლოგ **დავით მინდორაშვილის ხელმძღვანელობით. მასთან ერთად იყვნენ გიორგი ლაღიაშვილი (არქეოლოგი), თორნიკე ასაბაშვილი (არქიტექტორი) და კახა ქამადაძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი არქეოლოგიაში).**

ხიხანის ციხეზე წარმოებული სამუშაოების შესახებ გაზეთ "აჭარაში" გამოქვეყნდა ორი წერილი – ოთარ ცინარიძის "ხიხანის ციხე – ახალი აღმოჩენების წინაშე" (6.02.2013) და მარინა მითაიშვილის "კიდევ რა უნდა გაგვიმხილოს ხიხანის ციხემ?"[1] (19.10.2015). ირკვევა, რომ მეცნიერ-მკვლევრებმა ხიხანის ციხის ტერიტორიაზე იმუშავეს 20 დღე – 2015 წლის 20 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე. შემოგთავაზებთ სპეციალისტ-არქეოლოგების ინტერვიუებიდან ამონარიდებს:

ხიხანის ციხე ახალი არქეოლოგიური გათხრების მოლოდინში

დავით მინდორაშვილი: – ეკლესიის კედლები ნაგებია მონაცრისფრო ქვებით. აქა-იქ ჩართულია მოწითალოებიც. საკურთხეველი ნახევარწრიულია.

სასახლე გეგმით სწორკუთხაა. 90-100 სმ სისქის კედლები კლდის ფლეთილი ქვებით და კირხსნარით არის ნაშენი. სახურავი ეყრდნობოდა ქვის ბაზებზე აშენებულ სვეტებს. იატაკი კირხსანარის 2 სმ სისქის ფენით დაუფარავთ. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოვაჩინეთ კვადრატული ფორმის შემაღლებაზე 12 ტახტი, რომლებიც იატაკიდან 30-40 სმ-ზეა ასული. ის სასახლის მფლობელთა მოსასვენებელი ადგილი უნდა ყოფი-

[1] ცინარიძე იური, ხიხანის ციხე ახალი აღმოჩენების წინაშე, გაზ. „აჭარა", 6 თებერვალი, 2013. მითაიშვილი მარინა, კიდევ რა უნდა გაგვიმხილოს ხიხანის ციხემ? გაზ. „აჭარა", 19 ოქტომბერი, 2015.

ლიყო და, ალბათ, დიდი დარბაზიდან ხის ტიხარით და ფარდაგებით იყო გამოცალკევებული.

კახა ქამადაძე: – 20 დღე ვიმუშავეთ ეკლესიისა და სასახლის შესასწავლად. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ეკლესია გახლავთ პატარა, დარბაზული ტიპის შენობა, ნახევარწრიული ფასადით. მისი ზომებია 7,60 მ სიგრძე და 5,20 მ სიგანე, კედლების სისქე 1,5 მ. სამწუხაროდ, მათი ძირითადი ნაწილი განადგურებულია. როგორც ჩანს, ეკლესია იყო ლორფინებით გადახურული. აღმოჩნდა კანკელი, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი შემორჩა. საკურთხეველში ვნახეთ მცირე ზომის ქვევრი, ანუ ქოცოები, რომლებიც ზედაშედ (ზედაშე არის ნაკურთხი ღვინო – ავტორები) გამოიყენებოდა. აღმოჩნდა სხვადასხვა სახისა და ზომის არტეფაქტები: ჯამის, ქოთნის, კეცების ფრაგმენტები. მთლიანი ჭურჭელი ვერ ვნახეთ. ეკლესიის შესწავლით გამოიკვეთა გეგმა და დაზუსტდა ზომები.



ხიხანის ციხეზე ახალი აღმოჩენილი ექსპონატები

რაც შეეხება სასახლეს, შუა საუკუნეების სასახლეები ცოტაა შემორჩენილი. ხიხანის სასახლე მე-11-13 საუკუნეებს მიეკუთვნება და ზომებიც საკმაოდ შთამბეჭდავია: სიგრძე 12-18 მ, სიგანე – 8-9 მ. ირკვევა ისიც, რომ გადაკეთებულია გვიან შუა საუკუნეებში, ანუ აჭარაში ოსმალების ბატონობის პერიოდში. სასახლის შიგნით ჩაუშენებიათ შედარებით პატარა შენობა, რომლის ასაშენებლად ადრინდელი, მე-11-13 საუკუნეების სასახლის მასალა გამოუყენებიათ. ამის გამო სასახლის კულტურული ფენა თითქმის განადგურებული იყო. გვიანდელი ნაგებობებით ახალი შენობის ასაგებად ყველაფერი

გამოუყენებიათ, რაც გამოადგათ. ეკლესიის ტერიტორიაზე ვნახეთ რკინის ჭურვი და ოსმალური ჩიბუხის ფრაგმენტი.

ხიხანის ციხე ერისთავთერისთავ აბუსერისძეებს – მძლავრ ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა. ისინი შავშეთსა და კლარჯეთსაც აკონტროლებდნენ. რაც შეეხება ეკლესიას, ცოტა გვიან – მე-13 ს. 30-იან წლებში აშენდა. ამის შესახებ ინფორმაციას თავად აბუსერისძე ტბელი გვაწვდის. თავის ნაწარმოებში ის აღნიშნავს, რომ მისი აშენება მრევლის რაოდენობის გაზრდამ გადააწყვეტინა. ძველი ეკლესია ისევ იმ ტერიტორიაზე მდებარეობდა. ვვარაუდობთ, რომ ის ხის იყო, რადგან მისი კვალიც არ დარჩა. ეს ეკლესია ოდნავ დიდია და ქვით ნაშენები.

ჩვენ, ავტორები, შევნიშნავთ, რომ ვარაუდი კი არა, თავად მწერალი წერს, რომ ხის ეკლესია, სიმცირის გამო, დაშალეს და ქვით შედარებით დიდი ააშენეს. ხის ეკლესია უფრო ადრიდანვე ციხის აშენების ერთდროულად განხორციელდა, მე-13 საუკუნის 30-იან წლებში კი ის დაშალეს და ქვით გააკეთეს, რაც ბაკოელთა ინიციატივით, დახმარებით, ბოლოკ-ბასილმა განახორციელა.

თავად ციხის ნაქალაქარი ერთ ჰექტარზეა გაშენებული, აქ არის ეკლესია, სასახლე და 4 კოშკი. ტერიტორიის ამ ნაწილში არის მარანი, ჭა, სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობები. კომპლექსი საკმაოდ შთამბეჭდავია. ადრე ცნობილი იყო, რომ ციხე 2635 მეტრზე იყო ზღვის დონიდან, მაგრამ თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით დაზუსტდა, რომ სინამდვილეში 2235 მეტრზეა ზღვის დონიდან.

მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია კოშკები. პირველი ძალიან დაზიანებულია. კონსერვაციას და გამაგრებას საჭიროებს. შედარებით კარგ მდგომარეობაშია მესამე და მეოთხე კოშკი. მეორე პრობლემატურია, იმდენად სახიფათოა, რომ კოშკებს შიგნით გათხრები ვერ ვაწარმოეთ. დაგეგმილია რესტავრაციაც და არქეოლოგიური გათხრები სამომავლოდ.

თუ აქამდე წყაროებში იწერებოდა, რომ ციხე-ქალაქი გაშენებული იყო გალავნით, ჩვენი სამუშაოების შემდეგ გამოიკვეთა, რომ ასე არაა. ბუნებრივ გალავნად არის გამოყენებული ბორცვის მიუვალი ადგილები. გალავანი აკრავს ეკლესიას, რომლის ნაშთიც შემორჩენილია. ამ კომპლექსში მოქცეულია პირველი და მეორე კოშკები, ეკლესია, დილეგი, მარანი და თონის ნაშთები. მეორე ტერასზე, სადაც სასახლე იყო, ჯერჯერობით გალავნის კედელი არ ჩანს. ამიტომ შესაძლებელია ციხე გალავნით მთლიანად არ ყოფილა შემოსაზღვრული.

ციხე-ქალაქის სრულყოფილად შესწავლისათვის საჭირო და აუცილებელია ფართომასშტაბიანი გათხრების ჩატარება, რისთვისაც საჭიროა ციხეზე საბაგირო გზის გაკეთება, რაც დაგეგმილია და სათანადო ინფრასტრუქტურის შეტანა გაადვილებს მეცნიერ-მკვლევრების მუშაობას – დასძინა არქეოლოგმა.

ჩვენ, ავტორები, ვთვლით, რომ სხალთა-ხიხანის ხეობის ისტორიის სრულყოფილად შესწავლა ხიხანის ციხე-ქალაქის სრული შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ, ამჯერად წარმოდგენილი მასალებით დავკმაყოფილდეთ და დაველოდოთ მთელ ხეობაში არქეოლოგიური გათხრების განხორციელებას. ეს კი დღევანდელი და მომავალი თაობების საზრუნავია.

ამრიგად, სხალთა-ხიხანის ხეობის მატერიალური კულტურის მიწისზედა ძეგლების შესწავლით და თანმიმდევრული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალების მეცნიერული ანალიზით დგინდება, რომ ეს ხეობა, უძველესი დროიდან დაწყებული და შუა საუკუნეების ეპოქაშიც წარმოადგენდა აჭარისწყლის ხეობის ერთ-ერთ საინტერესო, მრავალფეროვან და სტრატეგიულად მნიშვნელოვან კუთხეს და საქართველოს ძირძველ ნაწილს, კოლხური კულტურის სამხრულ შტოს, ერთ-ერთ საინტერესო და მიმზიდველ არეალს, რაზედაც მკაფიოდ მეტყველებს ამ მხარეში უხვად აშენებული ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები თუ არქეოლოგიური ხასიათის მიწისქვეშა მდიდარი ნივთიერი მასალები, რომელთა სრულყოფილად შესწავლით კიდევ უფრო დიდი ისტორიის არსებობამდე მიგვიყვანს, ჩვენდა საბედნიეროდ და საამაყოდ.

ჩვენი საუბარი ხეობის შესახებ გვინდა დავასრულოთ დიდი ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის, ფრიდონ ხალვაშის უსაზღვროდ მნიშვნელოვანი სიტყვებით:

“სხალთა-ხიხანის ხეობა, ისტორიული ძეგლებით ერთი უმდიდრესია არა აჭარაში, საერთოდ, საქართველოში. ამ ციცაბო კლდეებით დავიწროებულ, მცირემიწიან ხეობაში უძველესი სოფლებია, უძველესი ციხე-ქალაქების ნანგრევებია, როცა ერთად იყო მთელი ქართველობა. ჩანს, სწორედ ამ ხეობით მიმოვდიოდით თამარისდროინდელი “ოქროსხანისანი“ ულამაზეს და უმდიდრეს არტანუჯში, მთლიანად ამ ტაო-კლარჯეთში, იმ ჭოროხ-მტკვრის არეალებში, სადაც ფეხი აიდგა ენამ ქართულმა, იშვა ბაგრატიონი, დაიწყო ქართული აზრისა და ხელოვნების აღორძინება, თავისი ბეშქენ და ბექა ოპიზარებით... მაგრამ ვინ იცის... მარტო აბუსერისძე ტბელი რომ ვთქვათ, ესეც ელვად შემორჩება მთელ ქართულ ზეცას, ხიხანი, სელიმ ხიმშიაშვილი, შერიფი... ახალ დროსაც ჰყავს თვალგახელილი კორიფეები.“[1] პოეტის ნათქვამზე კომენტარი ზედმეტია. ყველაფერი ნათქვამია, ვისაც უნდა გაგება, გაიგებს, ვისაც არ უნდა – ვერა, უფრო სწორად, არ გაიგებს. ეს ჩვენი, ქართველობის მცირე ნაწილის ახირებულის თვისებაა. კიდევ კარგი, რომ მცირე ნაწილია. ვფიქრობთ, დრო განკურნავს ასეთად დაავადებულთ. ხიხანის ისტორიული ციხე-ქალაქი, სხალთის ეკლესია-მონასტერი და სხვა მრავალი მატერიალური და ნივთიერი მასალები, მათი უნიკალობა და მთლიანად ხეობა იყო და არის სამხრეთ საქართვე-

[1] ფრ. ხალვაში, ომრი, სს „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2014, გვ.

ლოს და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ზოლის დამაკავშირებელი რგოლი. აქ გამავალი მსოფლიო მნიშვნელობის მაგისტრალები აკავშირებდა ევროპისა და აზიის ქვეყნებს, ეს იყო დამაკავშირებელი არტერია მსოფლიოს უდიდეს ცივილიზაციებს შორის. ომის დროს საფორტიფიკაციო ფუნქციას ასრულებდა, წარმოადგენდა საქართველოს სამხრეთის ჭიშკარს, ჯებირს უცხოელ დამპყრობლებთან საქართველოს დასაცავად.

როგორც აღინიშნა, სხალთა-ხიხანის ხეობა ლამაზი და მიმზიდველია თავისი მრავალფეროვნებით. ვინც კი ყოფილა ამ ხეობაში, იგი დამტკბარა ბუნების სიმშვენიერით იქ მოშრიალე ნაირფერი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეების შრიალით. გზის ნაპირებზე მარადმოჩუხჩუხე ცივი, ანკარა წყაროების რაკრაკით.

ამასთან, მნახველს ყოველთვის გულს უკლავდა არსებული საავტომობილო გზის გაუმართაობა. დღევანდელი პირობების გაუთვალისწინებლობა და აი, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გადაწყვიტეს ზამლეთი-ხიხაძირის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, შავი საფარის დაგება და ყოველივე ამას სათავეში ჩაუდგა ამ ხეობის სოფელ ფურტიოს მცხოვრები, ქველმოქმედი ამირან ბერიძე. იგი აკეთებს და ამშვენიერებს სწორედ იმ საავტომობილო გზას, რომელიც 1890-იან წლებში პირველად გაიყვანა მისმა ბაბუამ, ცნობილმა მოღვაწემ იუნუს ბერიძემ. ამიტომაც დაიმსახურა ამირან ბერიძემ "ქართულ ერთობის დარბაზის" პატივდების სიგელი, რომელიც გადაეცა ახალ სახალხო დღესასწულ "ზამლეთობაზე".

ამირან ბერიძე

ამირან ბერიძემ რამდენიმე წლის წინ რეკონსტრუქცია ჩაუტარა და ასფალტი დააგო თავისი სახსრებით ზამლეთი-ფურტიოს ხიდის მონაკვეთის საავტომობილო გზაზე. იქვე, მდინარე აჭარისწყლის მარცხენა მხარეს, ააგო საკურორტო კოტეჯები, სადაც სტუმრობენ ტურისტები, ქვეყნის ხელმძღვანელი პირები. რამდენიმე წელია რეკონსტრუირებულია და მგზავრთა სამსახურშია მოასფალტებული გზა ფურტიოს მონაკვეთზე.

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები ტარდება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ზიმო 7"-ს მიერ (დირექტორი მარინე მანგალაძე, მთ. ინჟინერი ირაკლი კვაჭაძე, ობიექტის ხელმძღვანელია ამირან

ბერიძე). რეაბილიტაცია ჩაუტარდა 7-კილომეტრიან მონაკვეთს ე.წ. ძმაგულის ხიდიდან სხალთის გავლით სოფელ წაბლანის მონაკვეთს საწანაქებამდე[1].

2016 წელს, განახლდება სამუშაოები და რეაბილიტაცია ჩაუტარდება საავტომობილო გზას სოფელ კვატიის გავლით სოფელ სალიქოშანამდე. პერსპექტივა კი გზის ბოლომდე – ხიხანის ციხემდე და მიმდებარე სოფლებამდე რეაბილიტაციას ითვალისწინებს. საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისთვის, ბაკოდან, მთების გავლით, საავტომობილო გზა უნდა შეუერთდეს მარეთის ხეობას.

ამგვარად, ეს ხეობა კიდევ უფრო დამშვენდება, აქაურთა ცხოვრება უფრო ხალისიანი და სასიამოვნო გახდება, გაადვილდება ტრანსპორტით მიმოსვლა, რასაც დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

§4. ხეობა მოგზაურთა და მკვლევართა ყურადღების ცენტრში

ზემო აჭარა, კერძოდ, სხალთა-ხიხანის ხეობა, აქ მცხოვრები მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, ყოველთვის იყო მეცნიერ-მკვლევართა, მოგზაურთა და პოლიტიკოსთა ყურადღებისა და კვლევის საგანი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართველი მოგზაურ-მკვლევარნი იყვნენ ივანე კერესელიძე, დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, თ. სახოკია, ზ. ჭიჭინაძე და სხვები. 1884 წელს სხალთას ეწვია ფრანგი ორიენტალისტი ჟან მურიე.

1888 წელს ხულოს რაიონის, კერძოდ, სოფელ აგარის ტერიტორიაზე მცირე დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა რუსმა მკვლევარმა გრაფინია პრასკოვია უვაროვამ. შემდეგ სოფელ ჩაოდან სხალთაში გადავიდა. აქ მას შეხვდა და გულთბილი მასპინძლობა გაუწია აჭარის მმართველმა შერიფ ხიმშიაშვილმა, მოიარა ხიხაძირი, კალოთა, ბაკო. სოფელ ხიხაძირში უვაროვა სამგლოვიარო ცერემონიასაც შესწრებია. ამასთან დაკავშირებით, მან ჩვენთვის მეტად საინტერესო ფაქტი გადმოსცა: "ახალგაზრდა ქალს მთელი სოფელი მიასვენებდა. ეცვათ სუფთა და ახალი ტანსაცმელი, კუბოს აბრეშუმის ქსოვილი ებურა. მიცვალებულს ქალებიც მიაცილებდნენ." ქალი ნიგვზნარში დაუმარხავთ, ჩანს, აჭარის მთის მცხოვრებლები ჯერ კიდევ მამა-პაპათა წესებს მისდევდნენ. უვაროვა ყოფილა ხიმშიაშვილთა საგვარეულო რეზიდენციაში – ქოჩახში, ის თანმხლებ პირებთან ერთად ასულა ხიხანის ციხესიმაგრეზე და უმნიშვნელო მოკვლევა ჩაუტარებია.

საბჭოთა პერიოდში ამ ხეობაში ყოფილან მაშინდელი ხელმძღვანელები: ლავრენტი ბერია, ფილიპე მახარაძე, გენერალი გ. ყუფარაძე, მოე-

[1] გაზ. „საბჭოთა აჭარა", 5-6 ნოემბერი, 2013, გვ. 4-5.

დინ სურმანიძე, ზექერია ლორთქიფანიძე, ისმაილ ფუტკარაძე, კირილე ბეჭვაია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პეტრე კოვანოვი, მდივანი ფატმა დუმბაძე, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორია სირაძე, ამიერკავკასიის ჯარების სარდალი პავლე სტუჩენკო, პოლიტსამმართველოს უფროსი სტეპჩენკო და სხვები. თხილვანას ასევე სტუმრობდნენ სტუმრები უცხოეთიდანაც.

თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, წარმომავლობით სოფელ თხილვანიდან ფეჰმი (გუნეშ) ბოლქვაძე თავის თანხლებ პირებთან ერთად

სხალთა-ხიხანის ხეობაში ეკლესიის მსახურთა თანხლებით რამდენიმეჯერ იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

§5. სტიქიური მოვლენები

სხალთა-ხიხანის ხეობა, ისევე, როგორც მთელი აჭარა, გეოლოგიურად მიეკუთვნება კაინოზოურ ერას, სადაც ჯერ კიდევ არ არის დასრულებული მთათწარმოქმნის პროცესი. ამიტომ ხდება ზოგჯერ მიწისძვრები და მეწყერული თუ სტიქიური მოვლენები. ამ კუთხით ამჟამად მძიმე მდგომარეობაა ქვედა თხილვანაში.

ისტორიიდან, ლეგენდა-გადმოცემებიდან ცნობილია, რომ ხირხათის მთის კალთების ჩამოქცევის კონკრეტული თარიღი არ არის დაზუსტებული, მაგრამ ვარაუდით, ეს უნდა მომხდარიყო 1815 წლის ტრაგიკული მოვლენის – საქართველოს ერთიანობისათვის თავდადებული მამულიშვილის სელიმ ხიმშიაშვილის თავის მოკვეთიდან რამდენიმე წლის შემდეგ და აი, რატომ: ისტორიულად ცნობილია, რომ 1815 წელს სამცხე-საათაბაგოს მმართველი სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილი მტრისაგან თავის დასაცავად თავისი ამალით გამაგრდა ხიხანის ციხესიმაგრეში, რა თქმა უნდა, იყო ასასვლელი გზები და იქ ლაშქრის განსათავსებელი ადგილები. ამ ორიოდე წლის წინ კი მხოლოდ საცალფეხო ბილიკებით თუ აისვლებოდა. ციხესიმაგრის ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს მთა ჩამოიქცა და კალთებიდან დაწყებული, მდინარე ბაკოსწყლის, ე.წ. ნაღვარევის (ამაზე მეტყველებს მდინარის სახელიც) გაყოლებით უზარმაზარმა მასამ დაფარა მდინარის ნაპირები, აავსო ხევი ქვა-ღორღით და გარკვეულად გაშლილი ფართობი შექმნა. როგორც მკვლევრები ვარაუდობენ, ქვა-ღორღიანი მასა წლების განმავლობაში გაფხვიერდა, დამიწდა, ხოლო შემდეგ ადამიანის ხელმა სავარგულად აქცია და საცხოვრისადაც გაიხადა. ამიტომაც ჰქვია ამ ტერიტორიას "შიგანა" და "მერე".

მკვლევარი გიორგი ყაზბეგი წერდა: "წვიმისა და სხვა ატმოსფერული მოვლენების საუკუნოვანი მოქმედებით, მთის სამხრეთი კალთა სულ გაშიშვლებულია და ახლა მის დახრამულ ზედაპირზე შევხვდებით სხვადასხვა ფერებს – ხასხასა წითლიდან დაწყებულს, ვიდრე ნაცრისფერამდე."

ამ ხეობის მოსახლეობას და არა მარტო მათ, არასდროს დაავიწყდებთ ის უბედურებანი, რაც თავს გადახდათ 1989 წლის 19 აპრილსა და 1998 წლის 13-14 მარტს. ორივე შემთხვევაში, სტიქიურმა მოვლენებმა აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა ხალხს.

1989 წლის გაზაფხულზე, ვარდ-ყვავილობის დროს, უეცრად ცა მოიქუფრა, ჩამოწვა ღრუბელი და ჩამოიქცა სოფელ სოლგომანის ერთ-ერთი უბნის უზარმაზარი მიწის ნაკვეთი და დიდი მასა დაეცა სოფელ ჩანჩურიხევს. მიწის ქვეშ მოექცა საცხოვრებელი სახლები, სხვა ნაგებობანი და რაც ყველაზე საზარელია, შეიწირა 23 ადამიანის სიცოცხლე.

ფეხზე დადგა მთელი საქართველო, დარჩენილებს გაეწიათ სასწრაფო დახმარება, მეწყერსაშიშ ადგილებზე მცხოვრები ათეულობით ოჯახი განსახლდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში. იმ დროიდან მოყოლებული, 19 აპრილი გამოცხადებულია გლოვის დღედ. დაღუპულთა მოსაგონებლად ამ ადგილზე გაკეთებულია მემორიალი სათანადო წარწერით.

ასეთივე მეწყერული მოვლენა მოხდა 1998 წლის 13-14 მარტს. დაიმეწყრა სოფლები სკვანა და ხიხაძირი, რამაც შეიწირა ათეულობით მოსახლის სახლ-კარი, პირუტყვი და ქონება. წაბლანის ტრაგედიიდან განსხვავებით, საბედნიეროდ, ამ უზარმაზარ ნგრევას ადამიანთა მსხვერპლი

1989 წლის 19 აპრილს სტიქიური მოვლენის შედეგად დაღუპულთა მემორიალი

არ მოჰყო-ლია. ამ შემთხვევაშიც ხიხაძირელთა ტრაგედია მთელმა საქართველომ გაიზიარა, მათ ადგილებზე გაეწიათ მატერიალური დახმარება, უსახლკაროდ დარჩენილები კი განსახლდნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

თანდათან მოიშუშეს ჭრილობები სხალთელ-ხიხანელებმა, მაგრამ მათ ხსოვნაში არასდროს წაიშლება დაღუპულ თანამოძმეთა სახე და სახელები. ამ მიზნით ამ ადგილზე დადგმული მემორიალიც ამას ემსახურება.

ამიტომაც ჩავთვალეთ საჭიროდ, მოკლედ მაინც მოგვეთხრო მკითხველისთვის მაშინდელი უბედურების შედეგებზე. გათვალისწინებულია ამ სტიქიური მოვლენების მძიმე შედეგების ამსახველი ნაშრომის შექმნა.

§6. სხალთელ-ხიხანელები

სხალთა-ხიხანის ხეობას ამშვენებდა და ამშვენებს ძველი ქართული ტრადიციები, რაც ძირითადად შემონახულია ხელოვნების ნიმუშების სა-

ხით. “ხორუმთან“ ერთად, უბრწყინვალესი შედევრებია აქაური “განდაგანა“, “ოჰოი-ნანა“, სიმღერა “მაყრული“. სახალხო ზეიმებიდან აღსანიშნავია “შუამთობა“, 1979 წლიდან კი დამკვიდრდა მეორე სახალხო ზეიმი “ტბელობა“, რომელიც დიდი მეცნიერის აბუსერისძე ტბელის ხსოვნას უკავდავყოფს. 2005 წლის 17 დეკემბერს ბაკოელთა ინიციატივით, სოფელ ბაკოში საფუძველი ჩაეყარა ახალ სახალხო დღესასწაულ “სელიმობას“, ყოველი წლის 3 ივნისს აღნიშვნით, რომელიც უკვდავყოფს სამშობლოსათვის თავგანწირული სელიმ ხიმშიაშვილის პიროვნებასა და როლს საქართველოს ისტორიაში.

ხაზგასმით აღსანიშანვია, რომ აჭარლებისადმი უნდობლობის ყინული გალხვა სწორედ მაშინ, როცა საბჭოთა სინამდვილეში აჭარელთაგან პირველი, ამ ხეობის მკვიდრი დავით მამულაძე გახდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი ხელმძღვანელი. სწორედ ამ ხეობაში, ერთ-ერთ პირველში, სწრაფად აღორძინდა კულტურა და განათლება, დაძლეულ იქნა მავნე ადათ-წესები, წარსულის გადმონაშთები. ამიტომაც იქცა ეს ხეობა სანიმუშოდ.

რაიონის სხვა წარგზავნილებთან ერთად, ამ ხეობის შვილებმა თავი გამოიჩინეს დიდ სამამულო ომში. სამშობლოს დასაცავდ ხეობიდან გაწვეული 122-დან თავი გასწირა 42 მებრძოლმა[1] (ვრცლად იხ. ქვემოთ).

აქაური მშრომელები ყოველთვის იდგნენ სოფლად კულტურული მშენებლობის, ეკონომიკური წინსვლის, ცხოვრების დონის ამაღლების ავანგარდში;

სწორედ ამ ხეობის, კერძოდ, სოფელ ფაჩხისა და წაბლანის მოწინავე მეთამბაქოეები იყვნენ: ხასან სურმანიძე, უნქერ ბოლქვაძე, ხამზა მახარაძე, მეჯიდ შაინიძე, რომლებიც გასული საუკუნის 40-50-იან წლებში გახდნენ სოცალისტური შრომის გმირები.

თავიანთი შრომითი მაჩვენებლებით გაითქვეს სახელი და არჩეულ იქნენ დეპუტატებად: სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში – დავით მამულაძე, თალიკო მახარაძე და ნინო სურმანიძე; საქართველოს უმაღლეს საბჭოში – მინევერ აბაშიძე, ნინა ბაუჩაძე, ასმათ გაბაიძე, ნოშრევან მამულაძე, აჭარის უმაღლეს საბჭოში – ლუბა ხალვაში, ინიეთ ჯაიანი, ფერიად გაბაიძე, გულნარა ბერიძე, გუგული გაბაიძე, არჩილ აბაშიძე, ნუშა მამულაძე.

[1] რიფათ ართმელაძე, «Славные сыны Родины», Батуми, 1972 (რუსულ ენაზე).

წარსულში ამ ხეობის სოფლები დაიფარა სკოლების, სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების, კლუბ-ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების ფართო ქსელით. აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო წლებში, როგორც ზემოთ ითქვა, გაიხსნა და ფუნქციონირებს: სხალთაში – შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი და თხილვანაში – სხალთა-ხიხანის ხეობის ეთნოგრაფიული მუზეუმი.

სხალთა-ხიხანის ხეობაში ნაყოფიერად იღვაწეს და წარუშლელი კვალი დატოვეს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში აქაურმა მკვიდრმა თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოვლენილმა პედაგოგებმა, როგორებიც იყვნენ: სერგო ჯაიანი, დიმიტრი ხოზრევანიძე, ლევან ბერიძე, ჩიტო წილოსანი, ნუნუ ჯიბლაძე, ვასო გვენცაძე, აკაკი მემარნიშვილი, გივი ჯაში, ეთერ ჯორბენაძე, თინა კუკულაძე, დავით ღლონტი, სკენდერ ბაჯელიძე, გიორგი სირაბიძე, გივი თოდრია, ზურაბ ჯორბენაძე, მაქსიმე ბოლქვაძე, აკაკი შაინიძე, რევაზ გორგაძე, თამარ და მარგალიტა კეკელიძეები, ვიქტორ ნინუა, ევგენია კუზმინა, ნოდარ სიმონიშვილი, ვიქტორ გიორგაძე, თამარ და შურა ჩიქოვანები, დავით მახარაძე, მირიან, ზორბეგ, ლევან, იური გაბაიძეები, არჩილ, მამია იშხნელიძეები, ანა ალფაიძე, იოსებ, გიორგი, ნიაზ აბაშიძეები, იოსებ, თამაზ და ალექსანდრე მამულაძეები, ვენერა უჩანეიშვილი, დები ნაზი და ფატი ხარაზები, ანზორ ციცხვაია, გუგული ვაჩნაძე, იოსებ აბაშიძე, იოსებ გაბაიძე, ვახტანგ ბიბინაიძე, რევაზ, ხასან, ნაზიმ, ქაზიმ, დარიკო ხალვაშები, სერგო და იური ბარათაშვილები, ზაქარია ქამადაძე, ლევან დუმბაძე, ხუსეინ ხოზრევანიძე, იოსებ მახარაძე, ილია, მუსტო მიქელაძეები, ზურაბ მამულაძე, ზურაბ ბერიძე, დავით შაინიძე, გიორგი, ნოდარ აბაშიძეები, ნოშრევან, ბეჟან, თამაზ ცეცხლაძეები, სულიკო ხოფერია, თამარ ჩხარტიშვილი, მიხეილ, ზია ბოლქვაძეები, ლუდოვიკო ერქომაიშვილი, აკაკი ვასაძე, ქეთო სვანიძე, ვაჟა დოლიძე, ვაჟა ბოჭორიშვილი, ომარ დიასამიძე, მიხეილ ჯაიანი, ლამარა ცინცაძე, მურმან კირთაძე, იური მიქელაძე, მიეხილ ჯაიანი, თინა რიჟვაძე, თედო მიქელაძე და სხვები.[1]

ამ ხეობაში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურებოდნენ და საყოველთაო აღიარება და პატივისცემა მოიპოვეს მოვლინებულმა თუ მკვიდრმა მკურნალებმა: შოთა ჭკუასელმა, ალექსანდრა კაკაურიძემ, პავლე აბოიანმა, ასლან ქონიაძემ, ივანე ლომთაძემ, მარგო ნაფეტვარიძემ, ზურაბ შაინიძემ, ნინა შარაშენიძემ, რევაზ (კიკა) ქარჩავამ, ემა კაზანჯიანმა, ვლადიმერ ბერიძემ, სულიკო კონცელიძემ, ამირან ჯაიანმა,

[1] ვახტანგ წულუკიძე, განათლების ისტორიისთვის აჭარაში, სს „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2002; ს. დუმბაძე, ვლ. მამულაძე, ხიხანის საარწივოდან, ბათუმი, 1998; მათივე, საბედისწერო მგზავრობა, თბ., 2007; ნ. დუმბაძე, ს. დუმბაძე, ხიხანელი ხევისბერი, თბ., 2006; ს. დუმბაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წწ), ბათუმი, 2005; მისივე, სახელოვანი ხიხანელი, თბ., 2008; სერგო სამნიძე, ნაბიჯი საუკუნემდე (პირველი მთისძირის საშუალო სკოლის ისტორია), გამომც. „ალამი“, ბათუმი, 2014.

მამია ხალვაშმა, ლევან სურმანიძემ, ილია ბერიძემ, ალექსანდრე ბოლქვაძემ, სერგო ბოლქვაძემ, გურამ გორგაძემ, ზოია ევტუშენკომ, ზურაბ ვაშაყმაძემ და სხვებმა.

ვის არ ახსოვს საქვეყნოდ ცნობილი მოცეკვავეების: ასლან აბაშიძის, ასლან, ენვერ, ლევან ხალვაშების, ისმაილ, ოსმან, ენვერ, თენგიზ, ასლან, არჩილ გაბაიძეების ცეკვების ორიგინალური, განუმეორებელი შესრულება, ვეზირ, გულა მიქელაძეების, ხაჯი ბერიძის ქართული მელოდიები. სწორედ ამ ხეობის მკვიდრია საქვეყნოდ სახელგანთქმული, ვირტუოზი მეჭიბონე ედეჰემ სურმანიძე (ქოჩახელა). მან აღზარდა მეჭიბონეთა მთელი პლეადა, როგორებიც იყვნენ: მეთიალ გორგაძე, თუფან ბერიძე, მურსელ დუმბაძე, ზაქრო აბაშიძე, ისა ბერიძე, ყაიალი სურმანიძე და სხვები. მათ შესახებ საუბარია არაერთ წიგნში.[1]

სხალთა-ხიხანის ხეობა პირველია ხულოს რაიონის მასშტაბით მეცნიერებაში მიღწეული წარმატებებით. დღეს სხვადასხვა დარგში მოღვაწე მეცნიერებით, მათზე საუბარია წინამდებარე წიგნის მეორე განყოფილებაში.

ყველა ესენი სასწავლო-პედაგოგიურ, სამეცნიერო-კვლევით, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევიან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში თუ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში, სახელმწიფო საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში.

ამ ხეობის ღირსეული წარმომადგენლები არიან ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი რეზო გიორგაძე, პოეტები ჟუჟუნა შაინიძე, გული გაბაიძე, გიორგი გაბაიძე, დურმიშხან და რაჟდენ ხოზრევანიძეები.

ამ ხეობაში მიღწეულ წარმატებებში დიდი წილი უდევთ თემის, სოფლების ხელმძღვანელებს, აქტივისტ-ორგანიზატორებს, როგორებიც იყვნენ: იუნუს ბერიძე, ვეზირ მჟავანაძე, შუქრი ბოლქვაძე, სერგო, ნებო, ფოლად, ავთანდილ, მემედ ჯაიანები, სეფერ, ზექერია, იროდიონ, ვალერიან, გენადი ხალვაშები, ალი, თოყო, არჩილ, შოთა აბაშიძეები, ოსმან, ვიქტორ, დანიელ ცეცხლაძეები, იური, მიხეილ, დავითაძეები, შოთა, გენადი, მეჯიდ, ნევზეთ, ვალერიან შაინიძეები, რიზა, მუსტო, ილია, ასლან მიქელაძეები, რიზალ, ავთანდილ, ზურაბ ბერიძეები, ნესტორ, ტარიელ, სევერიან, დავით სურმანიძეები, ესკერ, თუფან, მოხერემ, მურთაზ გაბაიძეები, მემედ, ბათალ, თუფან იშხნელიძეები, სიმონ ვარდოსანიძე, ტარიელ, ქელეშ სურმანიძეები, ოსმან აბაშიძე, შაქრო, სერგო ბარათაშვილები, ფილიპე, ზაქარია, მახმუდ, ნოშრევან, ვლადიმერ, ისმეილ მამულაძეები, მემედ, ისა, ას-

[1] მათზე წერდა აჭარა. სერიიდან „დრო და ადამიანები“, წიგნი I, II, III, IV, ბათუმი, 2009, 2009, 2010, 2010; ვახტანგ წულუკიძე, განათლების ისტორიისათვის აჭარაში, ბათუმი, 2002; თეიმურაზ კომახიძე, ამაგდარნი; ა. სურგულაძე, ს. ტაბაღუა, ს. დუმბაძე, აჭარა მეორე მსოფლიო ომში (1939-1945 წწ), ბათუმი, 2011; ნ. ახალაძე, არ დაეკარგვის ამაგი, I, II, ბათუმი, 2012, 2014; ნ. ბასილაძე, ერისა და ქვეყნის მსახურნი, ბათუმი, 2015; იოსებ ჯორბენაძე, აჭარის მთიანეთის ამაგდარნი, თბ., 2011.

ლან, მუხამედ, ქაზიმ ბოლქვაძეები, შუქრი, ტარიელ, მიხეილ, ზექერია, და ახმედ დუმბაძეები, ხასან ბოლქვაძე, ნური, აკაკი ქამაშიძეები, ხა-სან, ამირან სურმანიძეები, იოსებ, რამიზ, ხუსეინ ხოზრევანიძები, რევაზ, ოსმან, ნოშრევან, დავით მახარაძეები.

სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარიის სპეციალისტები: ყაიფულ ბერიძე, ახმედ ხოზრევანიძე, ვაჟა იაკობაძე, დიმიტრი უმეთაძე, ვიქტორ გაბაიძე, ალექსანდრე ჯაიანი, არჩილ ქამადაძე, ნოშრევან მამულაძე, აკაკი დუმბაძე, ამირან დუაძე, ოთარ მახარაძე, ალექსანდრე მიქელაძე, თენგიზ აბაშიძე, არჩილ სურმანიძე და სხვები.

ტყის მცველები: ალექსანდრე გოგიაშვილი, ალექსანდრე გვარამაძე, ფოლად, აბდულ, რიზალი აბაშიძეები, ხუსეინ და ნოდარ მამულაძეები, ოთარ იშხნელიძე, ელგუჯა ბასილაძე, ბეჟან გაბაიძე.

ფოსტის მუშაკები: იოსებ ბარათაშვილი, ვეზირ აბაშიძე, ფოლად ჯაიანი, თოფუზ ბერიძე, მემედ მიქელაძე, გურამ ცეცხლაძე, მემედ, ალექსანდრე გაბაიძეები, შახმურად, მემედ სურმანიძეები, ვასილ მახარაძე.

ვაჭრობის დარგის მუშაკები: თუფან, რეჯებალ, ახმედ, როსტომ გაბაიძეები, ნაზიმ ქამაშიძე, ყურშუმ აბაშიძე, ხუსეინ ბარათაშვილი, ნიაზ მიქელაძე, შალვა აბაშიძე, ნიაზ ბერიძე, ჯელალ ვაშაყმაძე, სულეიმან, ალი შაინიძეები.

§7. კავშირგაბმულობა და ფოსტა სხალთა-ხიხანის ხეობაში

ფოსტისა და კავშირგაბმულობის სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო მე-19 საუკუნის ბოლოს. პირველი სატელეფონო სადგური ბათუმში აშენდა 1878 წელს.

ბათუმ-ახალციხის გზის მშენებლობის (XIX ს-ის 80-90-იანი წლები) პარალელურად, აჭარისწყლის ხეობაში შეიქმნა საფოსტო განყოფილებები: აჭარისწყალზე, ქედაში, ჭვანაში (ცენტრი ხიჭაური), ხულოში, დანისპარაულში.

მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში შეიქმნა კავშირგაბმულობისა და ფოსტის საბჭოთა სისტემა. თუ ადრე აჭარაში არსებული დარგის ყველა განყოფილება ექვემდებარებოდა კავშირგაბმულობის ბათუმის კანტორას, 1932 წლიდან თანდათანობით ქსელის გაფართოებისა და კადრების მომზადებასთან ერთად, რაიონში შეიქმნა კავშირგაბმულობის ხულოს კანტორა, რომელიც კურირებდა რაიონის ფარგლებში თემების, საბჭოების ტერიტორიაზე არსებული საფოსტო განყოფილებებს.

საფოსტო განყოფილებები რაიონში ერთბაშად არ გახსნილა. ჩვენ კონკრეტულად აღვნიშნავთ სხალთა-ხიხანის ხეობის საფოსტო მომსახურების შესახებ.

ხულოს საფოსტო კავშირგაბმულობის კანტორის ხაზით შედარებით რთული უბანი იყო ცენტრიდან ყველაზე მეტად დაშორებული სხალთა-ხიხანის ხეობა, სადაც გაიხსნა საფოსტო სააგენტოები: სხალთაში (1937 წელს), ხიხაძირში (1938 წელს), ფუშრუკაულში (1978 წელს), თხილვანაში (1999 წელს). სხალთისა და ხიხაძირის საფოსტო სააგენტოებში დაშვებული იყო 6 შტატი და დასაქმებული იყო 6 კაცი (სააგენტოს უფროსი, ფოსტალიონი – 2, ტელეფონისტი – 3 (პირველ წლებში). შემდგომ გაიზარდა ფოსტალიონების რაოდენობა – თითო სოფელზე თითო შტატი. ქალაქებში დაშვებული იყო დამტარებლისა და ფოსტალიონების შტატები ცალ-ცალკე. სოფლად კი იმავე ფუნქციას ასრულებდა ერთი პიროვნება. ამიტომ მას დამტარებელიც ერქვა და ფოსტალიონიც.

დიდი სამამულო ომის დროს, თავდაცვის ღონისძიებების გაძლიერების მიზნით, ხულოს რაიონის ყველა, მათ შორის სხალთის და ხიხაძირის სასოფლო საბჭოში სატელეფონო ხაზები გაიყვანეს. მანამდე კი რაიონის ხელმძღვანელობა საბჭოებთან, კოლმეურნეობებთან კავშირურთიერთობას ამყარებდა თავისი წარმომადგენლის გაგზავნით, ან მიმაგრებით. ეს იყო ურთულესი საქმიანობა და ომის შემდგომ (უგზოობა, უტრანსპორტობა, დიდთოვლობა) მძიმე პირობებში მოძრაობა უმეტესად ხდებოდა ფეხით, საუკეთესო შემთხვევაში – ცხენით. რაკი სახელმწიფოს ცხენის შენახვა ძვირი უჯდებოდა, ამიტომ ცხენს იყენებდნენ საფოსტო გზავნილების გადასატანად. ისიც არა ყველა სოფელში, არამედ რაიონული ცენტრის სასოფლო საბჭოს ცენტრამდე. იქიდან სოფლებში ფოსტალიონები საფოსტო ტვირთს ეზიდებოდნენ ხელით და მოძრაობდნენ ფეხით.

1935 წელამდე ხულოდან ხიხაძირში ფოსტას ეზიდებოდა ხიხაძირის მკვიდრი მემედ გაბაიძე ზურგით. კვირაში 3 დღეს ხდებოდა საფოსტო ტვირთის გადატანა.

მემედ გაბაიძის სამსახური ნაწილობრივ შემსუბუქდა 1937 წლიდან, როცა ხულო-ხიხაძირის ხაზზე მეორე ფოსტალიონად დაინიშნა თხილვანელი დურსუნ ქამაშიძე, რომელსაც საკუთარი ცხენი ჰყავდა და ფოსტას ამ ცხენით ეზიდებოდნენ. ორივე იყო პატიოსანი, კეთილსინდისიერი, ყურადღებიანი, დისციპლინიანი მოქალაქეები. ისინი ემსახურებოდნენ ფოსტასაც და მოსახლეობასაც უანგაროდ. ეს ორი კაცი ხიხაძირში ერთად მომსახურებას უწევდა სხალთის საფოსტო განყოფილებასაც, რაკი ორივე ერთი მიმართულების გზაზე მდებარეობდა.

1950 წელს ხულოს რაიონის ცენტრი ტელეფონით უკავშირდებოდა სასოფლო საბჭოების ცენტრებს.

50-იანი წლების მეორე ნახევარში დაიგეგმა და განხორციელდა რადიოფიცირება. 1956 წელს დაიდგა 569 რადიოწერტი. ამავე წელს რადიოკვანძი გაიხსნა ხიხაძირის ცენტრში, ამასთან დაკავშირებით, კვანძის გახსნას ესწრებოდნენ ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები: ლევან დავითაძე პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი და პარტიის ხულოს

რაიკომის პირველი მდივანი ალექსანდრე ქონიაძე. მათ მიულოცეს მოსახლეობას ეს ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯი. შემდეგ თანდათანობით ხულოს ყველა სოფელში გაკეთდა სატელეფონო ხაზები და მოხდა რადიოფიცრება.

ხიხაძირის საფოსტო განყოფილება და რადიოკვანძი მომსახურებას უწევდნენ საბჭოს შემდეგ სოფლებს: ბაკო-მთისუბანს, თხილვანას, ქვედა თხილვანს, სკვანას, ხიხაძირს, კალოთას, ვერნებს (ოშანახევ-მახალაკურის ჩათვლით), ფუშრუკაულსა და რაქვთას.

საფოსტო სააგენტოებიდან საფოსტო გზავნილებს, ჟურნალ-გაზეთებს, დეპეშებს სოფლის ფოსტალიონები ზიდავდნენ. ყველა სოფელს ჰყავდა თითო ფოსტალიონი-დამტარებელი.

90-იანი წლების ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში კომპიუტერული ტექნიკისა და მობილური ტელეფონების დანერგვამ ცხოვრებაში დიდი ტექნიკური რევოლუცია მოახდინა. არ არსებობს ოჯახი, რომ არ ჰქონდეს მინიმუმ თითო ან ოჯახის ყველა წევრს მობილური ტელეფონი.

აქედან გამომდინარე, კავშირგაბმულობებისა და ფოსტის სისტემამ ამოწურა თავისი ფუნქცია და 2010 წლიდან გაუქმდა სოფლის თემებში არსებული საფოსტო სააგენტოები. დარჩა მხოლოდ რაიონში არსებული კავშირგაბმულობის ობიექტები.

მეორე განყოფილება

საქართველოს გამოჩენილი მოღვაწეები სხალთა-ხიხანის ხეობიდან

წიგნის პირველ განყოფილებაში დახასიათებულია სხალთა-ხიხანის ხეობა, მისი მატერიალური და ნივთიერი კულტურის ძეგლები, რაც წარმოადგენს ხეობის სავიზიტო ბარათს. მათ შორის ყველაზე მეტად ხაზგასმულია სხალთის ეკლესია-მონასტრის, როგორც ეროვნული სულიერების საგანძურის და ხიხანის ციხესიმაგრის, როგორც ხეობის დარაჯის და საქართველოს სამხრეთ კარიბჭის უდიდეს მნიშვნელობას.

მეორე განყოფილებაში კი წარმოდგენილია საქართველოს გამოჩენილი მოღვაწეები სხალთა-ხიხანის ხეობიდან, მათი დახასიათება, ღვაწლი და ამაგი არა მარტო მშობლიური სოფლის შუარტყალ-თხილვანისადმი, სხალთა-ხიხანის ხეობისადმი, არა მარტო საკუთარი კუთხის, აჭარისადმი, არამედ სრულიად საქართველოსადმი. რაკი სამყარო შედგება მთელისა და ნაწილებისგან, ნაწილზე ზრუნვა ნიშნავს მთელში საკუთარი წვლილის შეტანას. ამ აქსიომიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ წიგნის ამ ნაწილში წარმოგვედგინა შუასაუკუნეების საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) დიდი მოღვაწე, ქართველი მწერალ-მწიგნობარი, მეცნიერ-ასტრონომი, რედაქტორ-გამომცემელი, თხილვანის მკვიდრი, აჭარის ერისთავთერისთავების, აბუსერისძეთა გვარის უდიდესი პიროვნება, აბუსერისძე ტბელი. აგრეთვე ამავე სოფლის მკვიდრი, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი ხელმძღვანელი, საქართველოს მთავრობაში, მეორე მინისტრი აჭარიდან (XX საუკუნეში), დავით მამულაძე (შვიდასი წლის წინ პირველი მინისტრი იყო ივანე აბუსერისძე).

ამავე განყოფლების მესამე ქვეთავად წარმოდგენილია მათ იდეებზე გაზრდილი მეცნიერები ამავე ხეობიდან.

§1. აბუსერისძე ტბელი (1190-1240)

XI-XII საუკუნეებში საქართველომ ქართველ ერსა და ცივილიზებულ კაცობრიობას მისცა შოთა რუსთაველთან, გიორგი მერჩულესთან, გიორგი და ექვთიმე ათონელებთან, ჩახრუხაძესთან და სხვებთან ერთად, შოთა რუსთაველის უმცროსი თანამოკალმე, ცნობილი ქართველი მწერალი, მწიგნობარი, მეცნიერ-ასტრონომი და ჰიმნოგრაფი აბუსერისძე ტბელი. იგი ერთ-ერთ უძველეს საერისთავოს ეკუთვნოდა. საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურულ თხზულებების მიხედვით, ერისთავთერისთავი აბუსერისძეები განაგებდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საკმაოდ

ვრცელ ტერიტორიას, რომლის ცენტრი ზოგადად სხალთა-ხიხანის ხეობა, კონკრეტულად – ხიხანის ისტორიული ციხე-ქალაქი იყო.



აბუსერისძე ტბელი

აბუსერისძე ივანეს ძე ტბელი სწორედ დიდი წარმომადგენელია ამ გამოჩენილი გვარისა, რომელიც მეფისადმი საუკუნოვანი ერთგულებითა და თანადგომით გამოირჩეოდა. ეს ოჯახი ქართულ ფეოდალურ იერარქიაში საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა და ერისთავთერისთავების სახელსაც ფლობდა.

აბუსერისძე ტბელი აღზევებული ქვეყნის დაწინაურებული გვარისა და ოჯახის შვილი იყო. მან, როგორც მოაზროვნემ, რამდენიმე საუკუნით გაუსწრო თავის ეპოქას და სამარადჟამოდ უკვდავყო თავისი სახელი, აამაღლა აბუსერისძეთა გვარი და განადიდა სამშობლოს ღირსება.

აბუსერისძე ტბელის, როგორც მრავალმხრივი და დიდი დაიპაზონის მოღვაწეობის შესასწავლად უძვირფასესი წყაროა მის მიერვე ხიხანის ციხესიმაგრეში შედგენილი კრებული, ე.წ. "მოსახსენებელი", რომელშიც, სხვა ავტორთა შრომებთან ერთად, შეიტანა თავისი 3 თხზულება და 92 საგალობელი. კრებული 1233 წლიდან მე-15 საუკუნემდე ინახებოდა ხიხანის ციხეში, როგორც დიდი განძი. გარეშე მტრების შემოსევებისას მტრებისგან გადარჩენის მიზნით მე-19 საუკუნის 90-იან წლებამდე ინახებოდა სხვადასხვა ადგილას: საფარაში, გელათში, მოსკოვში, მცხეთაში, საეკლესიო მუზეუმებში. ამჟამად კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული „A-85" ნომრით.

ამ კრებულიდან ირკვევა მწერლის წინაპრების ვინაობა და ოჯახური წრე.

აბუსერისძეთა გვარის ფუძემდებელი, მამამთავარი ყოფილა იოანე (ივანე) აბუსერისძე, პირველი ერისთავთერისთავი. „აბუსერ" არაბული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს მამაც, ერთგულ მამას,[1] კარგი მებრძოლი და მზრუნველი მამა ყოფილა მამათავარი. რაკი მისი შთამომვლებიც ამ მხრივ გამოირჩეოდნენ, ამიტომ შთამომავლობის ეპითეტად გამოყენებულია ყველას მიმართ.

ივანეს შვილია გრიგოლ აბუსერისძე, გრიგოლის შვილია ივანე, ივანეს შვილია აბუსერისძე ტბელი. ამდენად, მწერლის მშობლებია ივანე

[1] ი. სიხარულიძე, აბუსერისძე ტბელი, XIII საუკუნის მწერალი.

აბუსერისძე, რომელიც 1207 წელს თურქებთან ბრძოლაში დაიღუპა, დედა ხათუთა, რომელიც მეუღლის დაღუპვის შემდეგ მონაზვნად აღიკვეცა ეკატერინეს სახელით.

ივანესა და ხათუთას ჰყოლია ექვსი შვილი: 3 ვაჟი და 3 ქალიშვილი. აბუსერი, ვარდანი, საგდუხტი, ცაცა, ტბელი, ვანენი. ტბელი ყოფილა მეხუთე შვილი. ყველანი სწავლამიღებულები და საქმით დაკავებულნი იყვნენ.

თავად აბუსერისძე ტბელიც ყოფილა მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონი. მისი მეუღლე იყო ბაგული. მათ ჰყოლიათ შვიდი შვილი, ორი მათგანი ჯერ კიდევ ბავშვობისას გარდაცვლილა. დარჩენილი შვილებია: რუსუდანი, ზაქარია, ივანე, ონოფრე და აღსართანი – სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი. მწერლის ძმები, აბუსერი და ვარდანი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეები ყოფილან. ვარდან აბუსერისძე – ერისთავი აჭარისა, რომლის ბრძანებით აშენდა რიგით მეორე ციხესიმაგრე ხიხაძირში, დღეს ვარდციხედ წოდებული. სინამდვილეში კი ვარდანის სახელობის ციხესიმაგრეა.[1] მათ ხვარაზმელთა და მონღოლთა შემოსევების დროს პატრიარქ არსენ ბულმაისიმისძე და სამეფო კარის ეპისკოპოს საბასთან ერთად, ბევრი რამ გააკეთეს ქართველი ერისა და ეკლესიის კონსოლიდაციისათვის, ქართველი ხალხის მორალურ-პატრიოტული ერთიანობის გამტკიცებისთვის. განსწავლულობითა და ქველმოქმედებით გამოირჩეოდნენ მწერლის დები: ვანენი, საგდუხტი და ცაცა. ვანენის ხელმძღვანელობით მაშინდელ შუარტყალში (დღვანდელი ქვედა თხილვანა) აშენდა იოვანე მახარებლის ეკლესია. იგი ყოფილა სამეფო კართან დაახლოებული სამცხის ერთისთავთ-ერისთავის ბოცო ბოცოსძის მეუღლე. დამები დახმარებას უწევდნენ აბუსერისძე ტბელს შემოქმედებითი მოღვაწეობის პროცესში.

აბუსერისძე ტბელი, როგორც ზემოთ ითქვა, ეწეოდა **საერო** (იყო მწერალი-მწიგნობარი, მეცნიერ-ასტრონომი, რედაქტორ-შემდგენელი) და **საასულიერო** (ჰიმნოგრაფი, ჰაგიოგრაფი, ეპისკოპოსი) მოღვაწეობას. ხელმძღვანელობდა საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობას ხეობაში. მას ანგარიშს უწევდა საქართველოს პატრიარქი, მის თხოვნას ყურად იღებდნენ და ასრულებდნენ. მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა კარგად ჩანს კრებულში შეტანილი თხზულებებიდან. ესენია: ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები 1. „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“, 2. ჰიმნოგარფიული კანონი „გალობანი სამთა იოვანეთა“, 3. სამეცნიერო-პედაგოგიური, ასტრონომიულ-კალენდარული ტრაქტატი „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებლითა და განგებითა.“

აბუსერისძე ტბელის თხზულებებზე პირველად ხელი მიუწვდა აკადემიკოს მარი ბროსეს. მან პეტერბურგში ფრანგულად თარგმნა და გამოსცა მწერლის თხზულება „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებლითა განგები-

[1] რ. სურმანიძე, ტბელზე სათქმელი, გაზ. „კოლექტიური შრომა“ (ხულო), №127, 23 ოქტომბერი, 1980.

თა“. მისი გაცნობის შემდეგ აკადემიკოსმა შენიშნა: „1233 წელს ქართველებმა უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცდომილებისა, რომელმაც 1582 წელს პაპი გრიგოლ XII აიძულა შესდგომოდა კალენდრის შესწორებას.“ სწორედ ამ თხზულებით გააცნო მარი ბროსემ აბუსერისძე ტბელი მთელ ევროპას და მსოფლიოს. **(ამაზე ზევითაცაა საუბარი – ნ. ბ.)**

აბუსერისძე ტბელი დაინტერესებული ყოფილა წელთაღრიცხვის პრობლემებით და შეუქმნია კალენდარულ-ასტრონომიული ხასიათის ნაშრომი, მასში წარმოჩენილია ავტორის ესქატოლოგიური შეხედულებაც, მოცემულია ევროპული და ქართული კალენდრების შედარება. რომის პაპმა ევროპის კალენდარში ცვლილებები სწორედ აბუსერისძე ტბელის მონაცემების საფუძველზე შეიტანა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბუსერისძე ტბელმა ჰიმნოგრაფიულ-ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „გალობანი სამთა იოვანეთა“ (იოვანე ნათლისმცემელი, იოვანე მახარობელი და იოვანე ოქროპირი) წინა პლანზე წამოსწია ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოების, როგორც იდეოლოგიის, როლი და მნიშვნელობა ქართველობისთვის ბრძოლაში, მან იდეურად მოამზადა ქართველი ერი ქვეყნის დასაცავად. ამ მხრივ ის განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ხატების შემოტანას საქართველოში, რელიგიური დღესასწაულების დაწესება-აღნიშვნას, მან განსაკუთრებული როლი დააკისრა მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ სარწმუნოებას, როგორც მაშინდელი იდეოლოგიური მუშაობის ფორმას და ეკლესიას, როგორც იდეოლოგიური საქმიანობის ცენტრს და ქრისტიანული იდეოლოგია ახალ საფეხურზე აიყვანა, ახალი სუნთქვა შემატა, ცხოველმყოფელობა აუმაღლა.

მესამე ნაწარმოებში – „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“ – სხვადასხვა საკითხებთან ერთად, აღწერილია წმინდა გიორგის ბრძანებით, მის სახელზე ბოლოკ-ბასილის მიერ ეკლესიის მშენებლობის ამბავი. ეს თხზულება საინტერესოა იმითაც, რომ საქართველოს, მათ შორის, აჭარის, კონკრეტულად კი სხალთა-ხიხანის ხეობის, ხიხანის ციხე-ქალაქის შესასწავლად წყაროს ფუნქციას ასრულებს. მასში საუბარია გეოგრაფიული პუნქტის შესახებ, სადაც ბოლოკ-ბასილი ეკლესიას აშენებდა. თხზულებაში დასახელებული ამ ხეობაში მაშინ არსებული და დღემდე უცვლელი სახით მოღწეულია სამი გეოგრაფიული სახელი „შუარტყალი“, „ბაკო“ და „ცხმორისი“.

სავარაუდოდ, ნაწარმოებში აბუსერისძე ტბელის თხილვანელობაზეა მითითებული. მოგვიანებით ეს თვალსაზრისი დადასტურდა 1978-1980 წლებში ქვედა თხილვანაში ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ არქეოლოგიური გათხრების შედეგად.

აბუსერისძე ტბელის აღნიშნული თხზულება, როგორც წყარო, საინტერესოა სხვა მხრივადაც. მასში დახასიათებულია სოფლების მოსახლეობის შრომითი აქტიურობა. განსაკუთრებით ხაზგასმულია ბაკოელთა აქტიურობა. მათი ინიციატივა, ქველმოქმედება. მწერალი ბაკოელებს ასე მოიხსენიებს: „მამულისა ჩვენსა კაცთა, წესისებრ, დიდი ჭირი ნახეს. გარ-

ნა (მაგრამ – საბას ლექსიკონით) **ბაკოელთა** (ხაზგასმა ავტ.) მეტის-მეტად დიდი მოიჭირვეს, რომელთა ვაზირობითა და შემოხვეწით ხელ-ვყოფ ეკლესიისა მრავლითა სახელოვნებითა აღშენებამ მუნ შინა მისრულთა სალოცავად საჭიროებისა მათისა ნუგეშის-საცემლად.“ ამგვარად, როცა აბუსერისძე ტბელის ტიტულებს ვასახელებთ, უნდა დაემატოს კიდევ ერთი სიტყვა „მემატიანე“.

აბუსერისძე ტბელი – შოთა რუსთაველის უმცროსი თანამოკალმე, მწერალი-მწიგნობარი, მეცნიერი-ასტრონომი, რედაქტორ-შემდგენელი, მემატიანე, ჰიმნოგრაფი, საერო და სასულიერო მოღვაწე, სხალთა-ხიხანის მკვიდრი, არის ხიხანის, სხალთა-ხიხანის ხეობის დიდი არწივი, ხეობისა, სადაც არაერთი სახელოვანი პიროვნება დაიბადა და გაიზარდა, ღირსეული ადგილი დაიკავა ქვეყანასა და კუთხის ისტორიაში. ასეთები იყვნენ თავად აბუსერისძეები, სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილები, დავით მამულაძე, ალექსანდრე ქონიაძე, დიმიტრი ხოზრევანიძე, სერგო ჯაიანი და სხვები.

აბუსერისძე ტბელის პიროვნება იმდენად პოპულარული და გამოჩენილი მასშტაბური მოღვაწეა, რომ შთამომავლობამ 1979 წელს დააწესა სახალხო დღესასწაული „ტბელობა“. მისი სახელი მიენიჭა საქართველოში, აჭარაში არაერთ სასწავლო-სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო-კულტურულ დაწესებულებას, ჩატარდა მასზე მიძღვნილი საერთაშორისო, სამეცნიერო კონფერენცია, მასალები შევიდა კრებულში „ტბელობა“, რომელიც გამოსცა სხალთის ეპისკოპოსის სარდიონის ლოცვა-კურთხევით და სხვა.[1]

აბუსერისძე ტბელის შთამომავლობა ამაყობს დიდი მწერლისა და მეცნიერის სახელით და ყველაფერს აკეთებს მისი მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებო მეცნიერული მემკვიდრეობის და მომდევნო თაობების გამოჩენილ მამულიშვილთა ღვაწლის შესასწავლად, მათი დიდი და რეზონანსული სახელების უკვდავსაყოფად.

§2. დავით მამულაძე (1910-1981)

ჩვენდა საბედნიეროდ, არის დიდი კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც თავიანთი ცხოვრების გზაზე შინაარსობრივად დატვირთული საქმიანობა-მოღვაწეობით, ხალხისა და სამშობლოსადმი ერთგული, თავდადებული სამსახურით, პირადი მოქალაქეობრივი თვისებებით, წარუშლელ კვალს ტოვებენ ქვეყნის ისტორიაში.

სწორედ ამ კატეგორიას ეკუთვნის თხილვანის სკოლადამთავრებული, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე დავით მიხეილის ძე მამულაძე.

---

[1] ტბელობა. საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია, 2009 წლის ოქტომბერ-ნომერი, გამომც., „სოზარი“, 2009.

ვინ იყო დავით მამულაძე? რა გზა გამოიარა მან? რა კვალი დატოვა ქვეყნის ისტორიაში?

დავით მამულაძე, ხულოს რაიონის მკვიდრი, აბუსერისძე ტბელის ნაფუძარზე, სოფელ თხილვანაში 1910 წელს დაბადებული და გაზრდილი, რიგითი მოქალაქეობიდან ამაღლდა ხულოს რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ (1941-1944 წწ.), დაწინაურდა აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისრად, სოფლის მეურნეობის მინისტრად (1944-1948 წწ.), დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, თავმჯდომარედ (1951-1953 წწ.). იგი პირველი აჭარელი იყო, რომელიც აირჩიეს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად (1954-1961 წწ.), შემდეგ გადაიყვანეს საქართველოს დამზადების მინისტრად. XIII საუკუნეში მოღვაწე ივანე აბუსერისძის შემდეგ, საქართველოს მთავრობაში მეორე მინისტრი იყო დავით მამულაძე, რომელიც ბოლოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი ბიუროს განყოფილების გამგე იყო.

აბუსერისძე ტბელის, სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილების, მემედ და ჰაიდარ აბაშიძეების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შორის გამოირჩეოდა დავით მამულაძე, რომლის ხელმძღვანელობით აჭარამ თავი დააღწია კულტურულ-ეკონომიკურ ჩამორჩენილობას და გაადნო აჭარის მოსახლეობისადმი უნდობლობის ყინული.

დავით მამულაძე, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი ხელმძღვანელი, იყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საქმეების შემოქმედი. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში აჭარა ქვეყნის ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის ერთ-ერთი მოწინავე იყო.

დავით მამულაძე ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 1981 წლის 16 ივნისს გარდაიცვალა.

დავით მამულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა მეოცე საუკუნის ყველაზე ბობოქარ პერიოდს დაემთხვა. მისი ბიოგრაფია საქართველოს, განსაკუთრებით, აჭარის ისტორიული წარსულის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია.

საამაყოა, რომ აბუსერისძე ტბელის მხარეში დაბადებულმა და აღზრდილმა კაცმა, ღირსეულად იარა ჩვენს დროში წინაპართა ნაკვალევზე და მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა დედასამშობლოს და საქართვე-

ლოს უახლოეს ისტორიაში ღირსეული ადგილი დაიკავა. იგი ეკუთვნოდა აჭარაში მოღვაწე იმ სახელოვან თაობას ადამიანებისა, რომლებმაც ახალი სიტყვა თქვეს არა მარტო თავისი დროის, არამედ ყველა დროის შესაფერისად და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ამ მხარის მცხოვრებთა ეროვნულ და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. მისი დამსახურება ხაზგასმულია აჭარის ისტორიის ნარკვევებშიც (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტ. IV, თავი IX, ბათუმი, 2014, გვ. 365-375).

მტკიცე ხასიათმა, პატრიოტულმა სულისკვეთებამ, შორსმჭვრეტელობამ, სიბრძნემ, სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ და სამშობლოსადმი გულმხურვალე სიყვარულმა ჩამოაყალიბა იგი თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწედ, რომელმაც ნათელი კვალი დატოვა ქვეყნის ისტორიაში, სათავე დაუდო ბევრ სასიკეთო საქმეს. როგორც ზემოთ ითქვა, მან გააქარწყლა უნდობლობა აჭარისა და აჭარლებისადმი, შემოიტანა „ადგილობრივი კადრების“ ტერმინის მისეული დეფინიცია და იზრუნა ასეთი კადრების მომზადებისთვის.

მთიანი რაიონების პრობლემის – ჭარბი მოსახლეობის საქართველოს შიდა რაიონებში, განსაკუთრებით სამხრეთით მესხეთ-ჯავახეთში განსახლებამ თუ აჭარის ზღვისპირა რაიონებში ჩასახლების დაწყებამ და სხვამ, ერთის მხრივ, ბიძგი მისცა ჩვენი მხარის ეკონომიკურ და კულტურულ წინსვლას, მეორეს მხრივ, ხელი შეუწყო ქართული დემოგრაფიული საქმის გაუმჯობესებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა აჭარის ადგილობრივი ინტელიგენციის აღზრდის საშვილიშვილო საქმეს. დიდი სამამულო ომის შემდეგ რომ ეს მხარე ძლიერი ეკონომიკის, სამეცნიერო პოტენციალის, მაღალი განათლების, კულტურის მქონე რეგიონად იქცა, ეს არსებითად განსაზღვრა წინა თაობების თავდადებულმდ შრომამ და ამ საქმეში, უდავოდ, დიდია დავით მამულაძის როლი.

დავით მამულაძე, სიცოცხლის ბოლო წლებში, საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით ლექციებს კითხულობდა აჭარის მოსახლეობაში საერთაშორისო საკითხებზე, აჭარის პრობლემების გადაწყვეტის გზებზე.

დავით მამულაძე პატივს სცემდა წინაპართა თაობებს, იმ გამოჩენილ პიროვნებებს, რომლებმაც დიდი კვალი დატოვეს ისტორიაში უცხოელთა ბატონობისგან საქართველოს დაკარგული მიწების განთავისუფლებასა და დედასაქართველოსთან დაბრუნებისთვის ბრძოლაში. მათი ღვაწლისა და ამაგის დასაფასებლად მან თავისი კალამიც სცადა. ამ კუთხით მისი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ხიმშიაშვილთა გვარის დამსახურება, კერძოდ, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების ორგანიზატორის, შერიფ ხიმშიაშვილის ისტორიულ პიროვნება და მკითხველმა მიიღო დავით მამულაძის წიგნი „შერიფ ხიმშიაშვილი“ (ბათუმი, 1970). წიგნში განხილულია ეპოქა, რომელშიც მოღვაწეობდა შერიფ ხიმშიაშვილი, ნაჩვენებია მისი პოლიტიკური ორიენტაციის მნიშვნელობა და მისი შედეგები.

ნიკოლოზ, სერგო დუმბაძეები და ვლადიმერ მამულაძე დავით მამულაძის მემორიალთან

დავით მამულაძის სახელისა და საქმის უკვდავსაყოფად ხელისუფლებამ გაატარა არაერთი ღონისძიება:

– დაიკრძალა ქ. ბათუმში, ფერიის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სასაფლაოზე და სახელმწიფოს ხარჯზე გაუკეთდა საფლავი;

– 1995 წელს დაარსდა დავით მამულაძის სახელობის საზოგადოება „მოამაგე“, რომლის ეგიდით გამოქვეყნდა არაერთი ნაშრომი, ტარდება ღონისძიებები;

– ქ. ბათუმის მერიის 2001 წლის 6 აპრილის № 28 დადგენილებით ბათუმის მემედ აბაშიძის პრ. № 53-ში მდებარე სახლზე, რომელშიც ცხოვრობდა დავით მამულაძე 1944-1961 წლებში, გაუკეთდა მემორიალური დაფა;

– სახელმწიფო ხარჯებით გამოიცა დავით მამულაძის მემუარები „რწმენით გავლილი გზა“ (1997 წ.) და მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სქელტანიანი წიგნი „ხიხანის საარწივოდან“ (1998 წ. ავტორები ს. დუმბაძე, ვლ. მამულაძე);

– დავით მამულაძის სახელი მიენიჭა ერთ-ერთ ქუჩას ქ. ბათუმში და ხულოს ცენტრში (იხ. წიგნი შ. ცეცხლაძე, „აჭარის ა.რ. ქალაქებისა და დაბების ქუჩათა ძველი და ახალი სახელწოდებები“, გვ. 6, 18).

– დავით მამულაძის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად, 2011 წლის 16 დეკემბერს, აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივმიგებისა და მადლიერების საზოგადოებამ, დავით მამულაძის სახელობის საზოგადოება „მოამაგემ“, აჭარის უხუცესთა სათათბიროსთან ერთად, ქ. ბათუმში, განათლებისა და კულტურის მუზეუმში (მეტაქსას ქ. №8), ჩაატარეს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „დავით მამულაძე – ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საქმეების შემოქმედი.“

კონფერენციის მასალები გამოქვეყნდა კრებულში „დავით მამულაძე – 100“ (სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, რედაქტორ-შემდგენელი ს. დუმბაძე, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2014).

უკვდავია სამშობლოსა და ხალხის ბედნიერებისთვის მებრძოლი, მგზნებარე მამულიშვილის ხსოვნა. მარად იცოცხლებს საქმე და სახელი

იმ კაცისა, რომელსაც მისმა თანამედროვეებმა სამართლიანად უწოდეს „ჩვენი დროისა და ჩვენი მხარის დავით აღმაშენებელი“.

* * *

დავით მამულაძის პიროვნების, დამსახურების სრულყოფილად წარმოსაჩენად, მკითხველს ვთავაზობთ მისი თანამედროვეების მოგონებათა ამონარიდებს.[1] აი, ისინიც:

„დიდხანს ქ. თბილისში მუშაობისა და ცხოვრების პერიოდში დავით მამულაძე ჩემი იმედი იყო, მეამაყებოდა, რომ მან ღირსეული ადგილი დაიკავა თბილისის საზოგადოებაში, თავისი ცოდნით, საქმიანობით, კულტურით აამაღლა აჭარის, მისი ინტელიგენციის ავტორიტეტი დედაქალაქის მოსახლეობასა და ხელმძღვანელობას შორის. იგი იქ ისეთივე პოპულარული გახდა, როგორც აჭარაში. ამას გულწრფელად ვწერ.“

ფათუშა დუმბაძე,

პენსიონერი, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ყოფილი მდივანი,
ქ. თბილისი, 1995 წლის 29 ივნისი.

* * *

„ბატონი დავითი წავიდა ჩვენგან 1981 წლის ივნისში! იგი ვერ მოესწრო ვერც „პერესტროიკას“, ვერც საბჭოთა კავშირის დაშლას და ვერც სოციალიზმის მარცხს, მაგრამ მისი ბოლო ჩანაწერები იმაზე მეტყველებენ, რომ ეს გამჭრიახი, ბრძენი მოღვაწე კარგად ხედავდა მომავლის არცთუ სახარბიელო პერსპექტივას.

„მეჩვენება, – წერდა დავით მამულაძე, – რომ სოციალიზმზე ჩვენი საზოგადოების განვითარების საქმე საბოლოოდ გაიმარჯვებს მაშინ, თუ მას წარმართავენ დიდი გამოცდილების მქონე, პატიოსანი, კეთილსინდისიერი, პოლიტიკური სიბრძნით დაჯილდოებული, სოციალიზმის, ხალხის საქმისადმი ერთგული პიროვნებები. ურწმუნო, უგულო, უსიყვარულო მიდგომა სოციალიზმისა და მისი იდეებისადმი დამღუპველია.“

დევი სტურუა,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის
ყოფილი მდივანი, თბილისი, 1998 წლის ივნისი.

* * *

„ბატონი დავითი ნამდვილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე იყო, ამ სიტყვის მაღალი გაგებით. თავისი ნიჭის, უნარისა და კეთილგონიერების წყალობით, მან რიგითი თანამდებობის გავლით ღირსეულად მიაღწია

[1] ს. დუმბაძე, ვ. მამულაძე. ხიხანის საარწივოდან, ბათუმი, 1998.

ავტონომიური რესპუბლიკის პირველ პოსტზე და საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელ მუშაკამდე.“

კიტა შავიშვილი,
საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო
კომიტეტის ყოფილი მეორე მდივანი, 1998 წლის ივნისი

* * *

„მარჯანიშვილის თეატრში დეკადის დასკვნით საღამოზე (საუბარია 1957 წლის ქ. თბილისში აჭარის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე. ავტ.) დასკვნით საღამოს წავიკითხე ლექსი „მე არ ვიქნები შენი სტუმარი“. გიორგი ლეონიძეს მიჰყავდა საღამო. დავით მამულაძის მიერ მოწონებული ლექსი უფრო ლაღად, შინაგანი რწმენით და რაღაც მორგებული ვთქვი. ეს იყო ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წუთები, მთელი დარბაზი მქუხარე ოვაციით შეხვდა ლექსს. გოგლაც კი ჩუმად თვალებზე კურცხლებს იხოცავდა.“

ფრიდონ ხალვაში,
პოეტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
საქართველოს პარლამენტის წევრი, 1995 წლის ოქტომბერი

* * *

„დავით მამულაძის მოღვაწეობის პერიოდში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. დიდი ამაგი მიუძღვის ადგილობრივი კადრების სწავლებისა და აღზრდის საქმეში. მან განსაკუთრებით ბევრი გააკეთა მთიანი რაიონების რეგიონების სკოლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებისათვის პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად...

დავით მამულაძეს ჰქონდა შრომით, საქმით მოპოვებული დიდი ავტორიტეტი, რაც გამოიხატებოდა მისდამი ხელქვეითების, თანამშრომლებისა და მასების ნდობასა და პატივისცემაში. ავტორიტეტი მისთვის არ წარმოადგენდა თანამდებობის დანამატს. ეს ნათლად დადასტურდა მისი პენსიაზე წასვლის შემდეგ, როცა დიდი თანამდებობის გარეშეც სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით.“

არჩილ ტაკიძე,
აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის
ყოფილი მოადგილე, 1995 წლის აგვისტო

* * *

„ბატონი დავითი დინჯი და აუჩქარებელი, თავშეკავებული და თავდადებული, სამაგალითო ადამიანი იყო ოჯახში, ახლო მეგობრებთან, კოლეგებთან დამოკიდებულებაში. ის არანაკლებ ყურადღებას უთმობდა თანამ-

შრომლების პირადი ცხოვრების მოწყობას, მათთვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას. მაშინდელი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ასევე მუდამ ზრუნავდა, რომ მეგობრების ოჯახებს შორის ყოფილიყო კეთილი ურთიერთობა, რაშიც თავად იყო პირადი მაგალითის მიმცემი.“

ადერკინ კოპლატაძე,
პერსონალური პენსიონერი, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი

* * *

„დავით მამულაძეს ჩვენ ყოველვის ვხედავდით ხალხის შუაგულში, იგი მთელი არსებით ქართველი პატრიოტი იყო და ეს არის მთავარიც. მას თავისი პირადი ცხოვრება უკანა პლანზე ჰქონდა, საზოგადოებისათვის ზრუნავდა. დღეს შეიძლება ეს ვინმეს მაღალფარდოვან სიტყვად მოეჩვენოს, რა ვუყოთ მერე, ეს მისი საქმეა. ჩვენ კი სიმართლეს ვამბობთ გამოჩენილ პიროვნებასა და მამულიშვილზე. მან ჩვენი მოსახლეობის საერთო საქმეს შეალია სიცოცხლეც და ცხოვრებაც. ამიტომაც იქცა იგი ხალხის კაცად.“

ვახტანგ წულუკიძე,
აჭარის განათლების ყოფილი მინისტრი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, 1995 წლის ივლისი

* * *

„თავის ლამაზ კუთხეზე და ხალხზე შეყვარებული კაცი იყო ბატონი დავითი. მას დიდად ახარებდა, რაც ამ კუთხის სასარგებლოდ კეთდებოდა, როგორ სიამოვნებდა კაიკაცის შესახებ კარგ სიტყვას რომ გაიგონებდა! ილიას მოიშველიებდა: „წუთისოფლის სუფრა წვეულების სუფრა არ არის. ამ სუფრაზე ყველამ თავისი საკუთარი კერძი თვითონ უნდა მიიტანოს და დაიდგას. ისეთი რამ არ უნდა ჩავიდინოთ, რომ შეგვრცხვეს და ხელი ავიფაროთ. ჩვენი ხსენება სხვას საწყენად არ უნდა გავუხადოთ“, – უთქვამს ბევრჯერ“.

რევაზ გორგაძე,
ჟურნალისტი და მწერალი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

* * *

„დავით მამულაძის მიმართ ჩემისთანა მადლიერი ერთ ლეგიონს შეადგენს. აჭარაში იგი ნამდვილად სახალხო ხელმძღვანელი იყო. ამით აიხსნება ის, რომ პენსიაზე გასვლის შემდეგ დავით მამულაძე ერთადერ-

თი იყო მის წინამორბედთა შორის, რომელიც ისევ ხალხთან დარჩა. არც ქალაქიდან წასულა და არც ოჯახში, ვიწრო კაბინეტში ჩაკეტილა. დავით მამულაძე საზოგადოება „ცოდნის“ აქტიური ლექტორი გახდა და თითქმის ყოველდღე საქმიანი, ჭკვიანური ლექციებით გამოდიოდა ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე. ასეთი რამ არც ერთ მის წინამორბედს არ გაუკეთებია. ამიტომ ვუწოდებთ დავით მამულაძეს სახალხო ხელმძღვანელს, რომლის სიტყვას ყოველთვის ჰქონდა გასავალი ხალხში“.

იური ბიბილეიშვილი,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს პარლამენტის წევრი,
1995 წლის თებერვალი

* * *

„1957 წელს დირექტორმა გვამცნო, რომ ჩვენთან სასწავლებლად გადმოდის დავით მამულაძის ვაჟი ჯამბული. ყველას გვესიამოვნა ეს. დირექტორმა აგვიხსნა, რომ დავით მამულაძეს სურს, რომ მისი ვაჟი ეზიაროს სოფლის ცხოვრებას, განიმსჭვალოს თავისი მშობლიური კუთხისადმი სიყვარულით, ისწავლოს ცხოვრებაო. მართლაც, ჯამბული წესიერი და შრომისმოყვარე გამოდგა. სხვებთან ერთად მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, ყველასათვის საყვარელი მოსწავლე შეიქმნა და შემდეგში ექიმიც გახდა.“

სკენდერ ბაჯელიძე,
ომისა და შრომის veტერანი, ხიხაძირის საშუალო
სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე 1953-1959 წლებში,
აჭარის დამსახურებული მასწავლებელი,
1995 წლის 9 მარტი

* * *

„ისე, როგორც უკვდავია საქმე, რომელსაც თქვენ ემსახურებოდით, უკვდავი იქნება თქვენი ხსოვნა, თქვენი მეგობრობა, თქვენი ვაჟკაცობა. ამ უკვდავებაზე დღესაც და მარად, თავის ექოს გადმოსცემენ აჭარის მთები, ჭაღარა ხიხანი, მდინარეები, ქალაქები და სოფლები, რომლებიც ცოცხალი მოწმენი არიან თქვენი მჩქეფარე, შინაარსიანი, შესანიშანვი ცხოვრებისა.

გაუმარჯოს თქვენს უკვდავებას, სამარადისო ხსოვნას, მშვიდობით, ჩვენი მხარის და ჩვენი დროის აღმაშენებელო!“

ლევან დავითაძე,
აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე,
1961-1974 წლებში, შრომის გმირი.
1981 წლის 11 ივნისი

§3. მეცნიერ-სწავლულები სხალთა-ხიხანის ხეობიდან

სხალთა-ხიხანის ხეობა განთქმულია ისტორიული წარსულით, მოწინავე ინტელიგენციით, მეცნიერ-მუშაკებით.

საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანის“ პერიოდის შემდეგ დადგა „ბნელი ღამეების“ დროც. მიუხედავად ამისა, მაშინ შექმნილ მტკიცე ბალავარზე, აბუსერისძეთა ნაფუძარზე აღორძინდა, კვლავ განვითარდა განათლება, კულტურა, მეცნიერება, დღეს XXI საუკუნის დასაწყისში სხალთა-ხიხანის ხეობაში 38 მეცნიერ-მუშაკია, მათგან 9 სხვადასხვა მეცნიერების დოქტორი, 18 მეცნიერებათა კანდიტატი და 11 აკადემიური დოქტორია.

წიგნში მოკლედ განხილულია თითოეული მათგანის ცხოვრება, მეცნიერული მოღვაწეობის მოკლე დახასიათებანი.

მიხეილ მახარაძე



მიხეილ მახარაძე დაიბადა 1946 წლის 13 ნოემბერს ხულოს რაიონის სოფელ ფაჩხაში, მასწავლებლის ოჯახში. 1962 წელს დაამთავრა ფაჩხის რვაწლიანი, 1964 წელს - ყინჩაურის საშუალო სკოლა. 1965 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ფილოსოფიის სპეციალობაზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1970 წელს, 1979 წელს კი – თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის საღამოს განყოფილება გერმანული ენის სპეციალობით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი შალვა ხიდაშელი. 1978 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1989 წელს - სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „არეოპაგიტიკის ფილოსოფიური შინაარსი“ და მიენიჭა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 2000 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. 1994-2006 წლებში ხელმძღვანელობდა ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილბას ფილოსოფიის ინსტიტუტში. 2007 – 2010 წლებში იყო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

2004 – 2012 წლებში იყო ორი მოწვევის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ამჟამად საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრია.

1993 წლიდან მიხეილ მახარაძე არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

მიხეილ მახარაძე ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. მისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულებებია: ქართული ფილოსოფიის ისტორია, შუა საუკუნეების ფილოსოფია, რენესანსისა და ჰუმანიზმის საკითხები, ქართული რენესანსის პრობლემები. მან გამოიკვლია ნეოპლატონიზმის გავლენა, როგორც ზოგადად შუა საუკუნეების ფილოსოფიაზე, ისე ქართული ფილოსოფიური აზროვნების გავითრებაზე.

ამ საკითხებს მიუძღვნა არაერთი გამოკვლევა, მათ შორის, რამდენიმე მონოგრაფია. მათგან აღსანიშნავია „არეოპაგიტიკის ფილოსოფიური პრობლემები“ (1986), „წერილები ქართულ ფილოსოფიაზე“ (1988), „არეოპაგიტიკის ფილოსოფიური შინაარსი“ (1991), „რენესანსი, ჰუმანიზმი და ქართული რენესანსის საკითხები“ (2009), „არეოპაგიტიკა“ (2011), „ფილოსოფიური ეტიუდები“ (2015), „ძიებანი ქართული ფილოსოფიის თემებზე“ (2015) და სხვა მრავალი. აქვს 600-ზე მეტი პუბლიკაცია, მათ შორის 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი. იგი არის 27 წიგნის (9 მონოგრაფია), ლიტერატურული, პუბლიცისტური კრებულების და ორი ნათარგმნი წიგნის ავტორი.

ნაყოფიერი სასწავლო-პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისთვის მიხეილ მახარაძემ დაიმსახურა სახელმწიფო ჯილდოები: ღირსების ორდენი, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი, პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენი, სახელმწიფო პრემია ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში (პუბლიცისტიკის განხრით), აკად. შალვა ნუცუბიძის სახელობითი პრემია ფილოსოფიის დარგში, ეროვნული პრემია მეცნიერების დარგში.

ჰყავს მეუღლე ციალა დავითაძე, ოთხი შვილი – სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. არის შვიდი შვილიშვილის ბაბუა.

ოთარ შაინიძე

ოთარ შაინიძე დაიბადა 1948 წლის 7 ივლისს ხულოს რაიონის სოფელ სკვანაში. 1962 წელს დაამთავრა სკვანის რვაწლიანი, 1965 წელს – ხიხაძირის საშუალო სკოლა, ხოლო – 1971 წელს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. 1972-1973 წლებში მსახურობდა არმიის რიგებში.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1973 წელს სკვანის კოლმეურნეობაში აგრონომად, 1974 წელს დააწინაურეს ხულოს რაიონის აღმასკომის ინსტრუქტორად, 1975 წელს - სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადე-

ბის და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის უფროსად, მთავარ სახელმწიფო ინსპექტორად.



1980 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა. ამავე წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1980-1984 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მეცნიერ-მუშაკად. 1984 წლის ივნისიდან გადაიყვანეს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში, იყო უფროსი აგრონომი და განყოფილების გამგე, მინისტრის თანაშემწე. 1989 წლის მარტიდან მუშაობს თამბაქოსა და წეკოს საკავშირო ინსტიტუტის ახლად შექმნილ აჭარის მეთამბაქოეობის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის დირექტორად.

1991 წლის სექტემბრიდან დღემდე შეთავსებით მუშაობს ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის ჯერ დოცენტის, შემდეგ კი კათედრის გამგის თანამდებობებზე.

1991 წლის სექტემბრიდან არის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის კათედრის მასწავლებელი, 1995 წლიდან ამავე უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრაზეა. 1998 წლიდან კონკურსის წესით არჩეულია ამავე კათედრის პროფესორად, სადაც დღემდე მუშაობს.

2008-2012 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტის დეკანი.

1997 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „აჭარის მიკობიოტა“ და მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათგან 2 მონოგრაფია, ერთი მეთოდური მითითებანი სტუდენტებისთვის; 13 ნაშრომი გამოქვეყნებული აქვს უცხოეთის ქვეყნებში გამომავალ ჟურნალებსა და კრებულებში. მან გამოავლინა მეცნიერებისათვის სრულიად ახალი მიკობიოტიის 6 და საქართველოს მიკობიოტიისათვის 261 სახეობა.

ოთარ შაინიძე 1997 წელს არჩეულ იქნა საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა დარგობრივი აკადემიის წევრად, ხოლო 1998 წელს - აკადემიკოსად.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი.

მიხეილ ქამადაძე



მიხეილ ქამადაძე დაიბადა 1946 წლის 15 მარტს ხულოს რაიონის სოფელ ყინჩაურში. 1964 წელს დაამთავრა ყინჩაურის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1969 წელს დაამთავრა და მუშაობა დაიწყო ყინჩაურის საშუალო სკოლაში მასწავლებლად.

1969 წლის ნოემბერში გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, რის შემდეგ 1971-1976 წლებში მუშაობდა მასწავლებლად დაბა ჩაქვის, სოფელ ზენითისა და ცეცხლაურის საშუალო სკოლებში.

მიხეილ ქამადაძე 1974 წლის ოქტომბერში ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ასპირანტურაში, 1976 წელს გადავიდა დასწრებული სწავლების ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 1978 წელს.

1979 წლის 29 მაისს მიხეილ ქამადაძემ დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი (თემა: „ზემო აჭარის ტოპონომია“, ხელმძღვანელი აკადემიკოსი შ.ძიძგური). 1979 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. შემდეგ მუშაობდა ამავე ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად, სექტორის ხელმძღვანელად, 1997-2010 წლებში ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების გამგედ.

მიხეილ ქამადაძემ 1999 წლის 2 ნოემბერს დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი (თემა: „აჭარის ონომასტიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონის მონაცემებთან მიმართებით“).

1998 წელს მიხეილ ქამადაძე აირჩიეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტად, 2002 წელს კი – პროფესორად. 2006-2009 წლებში არჩეული იყო ამავე უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად, 2009 წლიდან კი - სრულ პროფესორად.

მიხეილ ქამადაძეს გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მათ შორის ერთი მონოგრაფია.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ინდიკო აბაშიძე



ინდიკო აბაშიძე დაიბადა 1950 წლის 10 მარტს ხულოს რაიონის სოფელ ვერნებში. 1965 წელს დაამთავრა ვერნების რვაწლიანი, 1967 წელს - ხიხაძირის საშუალო სკოლა.

1968-1972 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკის სპეციალობაზე.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1972 წლის სექტემბრიდან ხულოს რაიონის დანისპარაულის რვაწლიან სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. 1974-1976 წლებში მუშაობდა სპეციალობით ჯერ ყინჩაურის, შემდეგ კი ფუშრუკაულის საშუალო სკოლებში.

1976-1980 წლებში სწავლობდა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომექანიკური ფაკულტეტის ავტომობილების სპეციალობაზე.

1980 წლიდან მუშაობს ქალაქ ბათუმის ავტოკოლონა 2655-ში ინჟინერ-მექანიკოსად, პარალელურად ლექციებს კითხულობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ზოგადტექნიკური დისციპლინების კათედრაზე.

ინდიკო აბაშიძემ 1986 წელს სწავლა განაგრძო მოსკოვის საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტის ავტომობილების კათედრის ასპირანტურაში, რომლის დამთავრებამდე, ვადაზე ადრე, 1989 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1989 წლიდან მუშაობა განაგრძო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

2002 წლის 25 იანვარს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

2003 წლის ნოემბრიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადტექნიკური დისციპლინების კათედრისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადტექნიკური კათედრის პროფესორია.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

გიორგი ჟღენტი

გიორგის მშობლები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ დედულეთში – სოფელ ფურტიოში, სადაც 1962 წლის 30 მაისს დაიბადა თავად გიორგიც. ამიტომ ეთერ ბერიძისა და ზურაბ ბერიძის – ლევან ბერიძის ორი მეცნიერი შვილის გვერდით, ლევან ბერიძის შვილიშვილი გიორგი ჟღენტი, მეცნიერბათა დოქტორი, არ დავტოვეთ ყურადღების გარეშე და მისი ცხოვრება მოღვაწეობის აღმნიშვნელი ძირითადი მონაცემები შევიტანეთ წარმოდგენილ წიგნში.

მისი მეცნიერული გზა ასეთია:

გიორგიმ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მისაღები გამოცდები ჩააბარა ქ. ჩიტას სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში და ჩაირიცხა ტრავმატოლოგია-ორთოპედიის სპეციალობაზე, რომლის დამთავრების შემდეგ აქვე გაიარა ბავშვთა ქირურგიის ინტერნატურა. ასევე ინსტიტუტში მოამზადა და 1995 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ლიმიფისა და ლიმფური კვანძების პოლიპეპტიდების ზემოქმედება ჰემოსტაზისა და ორგანიზმის არასპეციფიკურ რეზისტენტობაზე“ და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

გიორგი ჟღენტმა საკანდიდატო ხარისხის მოპოვების შემდეგ განაგრძო საექიმო პრაქტიკა და მეცნიერული კვლევა-ძიება. 2002 წელს ინსტიტუტის სამეცნიერო-სპეციალიზებულ საბჭოს სხდომაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ლიმფური სისტემის პოლიპეპტიდების მნიშვნელობა პანკრენეკროზის დროს ორგანიზმის შემცველი მექანიზმების რეაქტიულობაში“, მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი მის მიერ გამოკვლეული პრობლემებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო სერტიფიკატი.

სპეციალობის მიხედვით მუშაობდა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში.

ამჟამად მუშაობს ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, როგორც ტრავმატოლოგი-ორთოპედი.

სერგო დუმბაძე

დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობიდან 55 წელი უსრულდება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსს, სერგო დუმბაძეს.

1970 წელს, როგორც პერსპექტიული ისტორიკოსი, სერგო დუმბაძე დაუბრუნდა მშობლიურ პედაგოგიურ ინსტიტუტს და აქ განვლო თავისი ცხოვრების გზა. იყო კათედრის ლაბორანტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე, ფაკულტეტის დეკანი. ამჟამად პროფესორ-ემერიტუსია. კათედრაზე ნაყოფიერი კვლევითი მუშაობის გამო იგი მიავლინეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივ ასპირანტურაში, რომელის დაამთავრების შემდეგ, 1980 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1984 წელს აირჩიეს დოცენტის თანამდებობაზე.

2003 წლის 14 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში (40-50-იანი წლები)“ და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. მის მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომის ერთი ნაწილი ცალკე წიგნად 2005 წელს გამოვიდა. ამას მოჰყვა აბელ სურგულაძის, სერგო ტაბაღუასა და სერგო დუმბაძის თანაავტორობით გამოცემული საინტერესო კრებული: „აჭარა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში“ (1939-1945 წლები) (გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2011 წელი).

სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ სერგო დუმბაძეს მიენიჭა პროფესორის წოდება. გააფართოვდა მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სფერო. ამავდროულად, იგი იყო დეკანი და კათედრის გამგე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გონიოს კოოპერაციულ ინსტიტუტში. **არის 500-ზე მეტი წერილის, სტატიის, ნარკვევის ავტორი, მათგან 15 მონოგრაფიაა. ასევე იგი არის მრავალი წიგნის რეცენზენტი და რედაქტორი.**

1996 წელს გამოვიდა სერგო დუმბაძის წიგნი „წარუშლელი ფურცელი“, რომელიც მიეძღვნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ღვაწლს დიდი სამამულო ომის წლებში. მან შემდგომი კვლევა-ძიებით გააფართოვა აღნიშნული პრობლემა და 2002 წელს გამოსცა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სკოლა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში (1941-1945)“.

სერგო დუმბაძემ დიდი მუშაობა გასწია, რედაქტირება გაუწია და ვლადიმერ მამულაძესთან ერთად 1997 წელს გამოსცა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის დავით მამულაძის მემუარები „რწმენით განვლილი გზა“, 1998 წელს მათვე გამოსცეს დავით მამულაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წიგნი, „ხიხანის საარწივოდან.“ აღნიშნული ნაშრომი მე-20 საუკუნის 20-70-იანი წლების აჭარის ისტორიის შესწავლისთვის მნიშვნელოვანი წყაროცაა.

ს. დუმბაძემ 2007 წელს, ავღანეთში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის მივლინებულ პროფ. შაქრო ფალავანდიშვილთან ერთად გამოსცა ავღანეთში მებრძოლი ქართველების შესახებ მონოგრაფია „ისინი იბრძოდნენ ავღანეთში“.

2004 წელს სერგო დუმბაძემ საქართველოში პირველმა გამოქვეყნა მონოგრაფია „კავშირგაბმულობა და ფოსტა აჭარაში“, რომელშიც წარმოგვიჩინა ამ დარგის ხელმძღვანელთა და მუშაკთა ღვაწლი. ნაშრომი საქართველოს კავშირგაბმულობის ისტორიის შექმნის პირველი ცდაა აჭარის მაგალითზე.

2007 წელს სერგო დუმბაძემ და ვლადიმერ მამულაძემ საშვილიშვილო საქმე გააკეთეს – გამოსცეს 1964 წლის 5 სექტემბრის ავტოკატასტროფაში დაღუპული ცნობილი პიროვნებების: ნოდარ თენიეშვილის, ლევან გაბაიძის, დიმიტრი ხოზრევანიძისა და შოთა თავართქილაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნი „საბედისწერო მგზავრობა“.

2009 წელს პროფესორმა სერგო დუმბაძემ წიგნი მიუძღვნა პედაგოგიური ინსტიტუტის დოქტორის, პროფესორ ნადიმ ნიჟარაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, სათაურით „პრინციპული ხელმძღვანელი, მეცნიერი, მოღვაწე“.

2015 წელს გამოცემული მისი ნაშრომი „პედაგოგი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე“ მიეძღვნა აჭარის მკვიდრთა შორის პირველ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორს (1941-1943) და კათედრის გამგეს (1938-1970) გიორგი მიხეილის ძე სტამბოლიშვილს, მის მრავალმხრივ და ნაყოფი-ერ მოღვაწეობას.

სერგო დუმბაძემ 1967 წელს, პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში, შეძლო გეოგრაფიული პუნქტის „შუარტყალის“ ეტიმოლოგიური ახსნა-ლოკალიზაცია. მიანიშნა, რომ შუარტყალი, სადაც აბუსერისძენი ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, არის დღევანდელი სოფელი ქვედა თხილვა-

ნა, რაც დადასტურდა 1978-1980 წლებში ამ სოფელში ჩატარე-ბული არქეოლოგიური გათხრებით. საყურადღებოა ასევე მისი სხვა სტატიები, რომლებშიც მოცემულია ტიპონიმების – **ხიხა, ხიხათა, ხიხანი, ბაკო, ხიხაძირი, ქოჩახი, ნადაბური, ერდო** – ეტიმოლოგიური ანალიზი.

აღსანიშნავია მისი წერილები და სტატიები საქართველოს გამოჩენილი ადამიანების - სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილების, მემედ აბაშიძის შესახებ და სხვა მრავალი.

პროფესორი სერგო დუმბაძე დამსახურებულად არის სამხერთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების ორთხტომეულის მეოთხე ტომის ერთ-ერთი ავტორი.

სერგო დუმბაძის კონსულტაცია-რეკომენდაციით 2005 წლის 17 დეკემბერს სოფელ ბაკოში დაწესდა სახალხო დღესასწაული „სელიმობა.“ პირველი „სელიმობა“ ჩატარდა 2006 წლის 3 ივნისს, შემდეგ ის აღინიშნება ყოველი წლის 3 ივნისს სხალთა-ხიხანის ხეობაში, მისი მონაწილეობით აღინიშნა თხილვანის საშუალო სკოლის (1996 წ.), ბაკოს საჯარო სკოლის (2008 წ.) 80 წლისთავის იუბილეები. გამოჩენილი პიროვნებების სახელი მიენიჭა: დავით მამულაძისა - ქვედა თხილვანის საშუალო (ამჟამად საჯარო) სკოლას (1998 წ.), სელიმ ხიმშიაშვილისა – ბაკოს საჯარო სკოლას (2008 წ.), შერიფ ხიმშიაშვილისა – მთისუბნის საჯარო სკოლას (2012 წ.), საქართველოს დამსახურებული მასწავლებლისა და საზოგადო მოღვაწის სერგო ჯაიანის სახელი – ხიხაძირის საჯარო სკოლას.

სახალხო დღესასწაულის - „სელიმობის“ 10 წლისთავთან დაკავშირებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე სერგო დუმბაძემ წარადგინა მოხსენება თემაზე: „როგორ მომზადდა და ჩატარდა პირველი „სელიმობა“, ანუ „სახელოვანი მამულიშვილები წინაპართა ხსოვნაში“.

სერგო დუმბაძის მოღვაწეობა უყურადღებოდ არ დარჩენილა. 1997 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ხანგრძლივი, ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადებიდან 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, დააჯილდოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით.

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის გამგეობამ, „პედაგოგიურ დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის“, 2007 წელს პროფესორი სერგო დუმბაძე, დაბადებიდან 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით დააჯილდოვა იაკობ გოგებაშვილის საახელობის მედლითა და საპატიო სიგელით.

2012 წელს უნივერსიტეტში (რექტ. პროფ. ალიოშა ბაკურიძე) აღინიშნა პროფესორ სერგო დუმბაძის დაბადებიდან 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობიდან 45 წლისთავი, სადაც ითქვა მის ღვაწლსა და დამსახურებაზე სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. მისი 15-მდე

სტუდენტი დღეს უნივერსიტეტში მუშაობს მეცნიერებათა კანდიდატის თუ დოქტორის სამეცნიერო ხარისხით და ეწევა ნაყოფიერ სასწავლო-პედაგოგიურ, სამეცნიერო-კვლევით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

80 წელს მიტანებული მეცნიერი ჩვეული მხნეობითა და ენერგიით განაგრძობს ნაყოფიერ მოღვაწეობას. ამის ნათე-ლი დასტურია წინამდებარე წიგნიც, რომლის ერთ-ერთი ავტორი თავადაა, ნიკოლოზ დუმბაძესთან და შოთა ბოლქვა-ძესთან ერთად.

დავით ბარათაშვილი



დავით ბარათაშვილი დაიბადა 1949 წლის 8 მარტს ხულოს რაიონის სოფელ რაქვთაში. 1966 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1971 წელს ბიოლოგიის სპეციალობით.

1971-1972 წლებში მუშაობდა ხულოს რაიონის გელაურის რვაწლიანი სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად, 1973-1975 წლებში – ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ოზურგეთი, ანასეული) ჯერ უფროსი ლაბორანტის, ხოლო შემდეგ უმცროსი და უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობებზე.

1985-1990 წლებში დავით ბარათაშვილი მუშაობდა სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე, ხოლო 1990 წლიდან 2011 წლამდე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის სელექციისა და მცენარეთა დაცვის განყოფილების გამგედ, მოგვიანებით კი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ. 1991 წლიდან დღემდე ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ დოცენტის, ხოლო შემდეგ პროფესორის და დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობებზე.

1982 წლიდან არის ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ხოლო 2004 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ინდუცირებული და სპონტანური მუტატური ცვალებადობის კანონზომიერებანი ჩაის მცენარეებში“ და მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

დავით ბარათაშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროა: გენეტიკა, ეკოლოგია (დასავლეთ საქართველოს რადიაციული მონიტორინგი, მცენარეთა სასოფლო-სამეურნეო ჯიშების, ველური ფლორის დაცვა, კონსერვაცია, ახალი ჯიშების გამოყვანა, ვეგეტაციური გამრავლების ახალი ტექნოლოგიების შემუშავება).

გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, ორი მონოგრაფია, ორი სამეცნიერო-მეთოდური ბროშურა.

მისი მონაწილეობით შესრულებულია საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის, სოროსის ფონდისა და მსოფლიო ბანკის გრანტებით დაფინანსებული პროექტები.

არის სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალისა და კრებულის რედკოლეგიის წევრი, მრავალი სამეცნიერო მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს რედაქტორი და რეცენზენტი.

მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო და ადგილობრივ ფორუმსა და კონფერენციაში, 30-მდე სამეცნიერო ექსპედიციაში.

არის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ეკოლოგიის საგანმანათლებლო, საბაკალავრო და ბიოლოგიის საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, წარმატებულ და სოციალურად დაუცველ სტუდენტთა ფონდის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. **დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.**

ჰყავს მეუღლე, სამი ქალიშვილი და ორი შვილიშვილი.

რამაზ ხალვაში

რამაზ ხალვაში დაიბადა 1970 წლის 17 მარტს ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში. 1987 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1988-1989 წლებში მსახურობდა არმიის რიგებში.

1990 წელს სწავლა განაგრძო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, რომლის დამთავ-რებისთანავე, 1994 წელს, ჩაირიცხა თბი-

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასპირანტურაში.

1998 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ტბელ აბუსერისძის „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ და ქართული ლიტერატურული ტრადიცია“, 2006 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ტბელ აბუსერისძის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

რამაზ ხალვაში 1995 წლიდან კითხულობს ლექციებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1999 წლიდან არის ამავე უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის კათედრის დოცენტი. 2004 წლიდან მუშაობს უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კვლევითი ცენტრის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 2006 წლიდან არის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი და ქართული ლიტერატურის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი. 2006-2013 წლებში ხელმძღვანელობდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტს.

1996-1998 წლებში რამაზ ხალვაში იყო გაზეთ „რეზონანსის“ აჭარის ბიუროს ხელმძღვანელი. 2003-2006 წლებში შეთავსებით მუშაობდა ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

რამაზ ხალვაშის სამეცნიერო ინტერესების ძირითადი სფეროა ქართული ლიტერატურა, ტექსტოლოგია და ინტერტექსტუალიზმი. პირველი წიგნი გამოსცა სტუდენტობის წლებში (ტბელ აბუსერისძე, გალობანი სამთა იოვანეთა, ბათუმი, 1992). გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, სამი მონოგრაფია: „ტბელ აბუსერისძის სახისმეტყველება“ (1998), ტბელ აბუსერისძის „გალობანი მწვალებელთა შეჩვენებისანი“ (2003), „ანდრია პირველწოდებული საქართველოში“ (2011).

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელმძღვანელობს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო, ლიტერატურის თეორიის სამაგისტრო და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამებს.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი: მირიანი და რევაზი.

ნინო ჯაიანი

ნინო ჯაიანი დაიბადა 1973 წელს ხიხაძირელ ტრადიციულ მედიკოსთა ოჯახში. 1990 წელს დაამთავრა ბათუმის მე-5 სკოლა და იმავე წელს მოეწყო მოსკოვის სეჩენოვის სახელობის სამედიცინო აკადემიაში, სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1996 წელს და გაიარა ორწლიანი ორდინატურა კარდიოლოგიის სპეციალობით. 1998 წელს ჩაირიცხა მოსკოვის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ასპირანტურაში კარდიოლოგიის განხრით.

2001 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კლინიკური და გენეტიკური მონაცემების შედარება გულის უკმარისობის დროს“ და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 2008 წელს - სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „პროგნოზირება და პროფილაქტიკა გულით ავადმყოფებში, რომელთაც გადატანილი აქვთ მიოკარდიუმის ინფარქტი“.

2003 წლიდან არის ასისტენტი მოსკოვის მესამე კლინიკურ მედიკოსტომატოლოგიური ინსტიტუტის კარდიოლოგიის კათედრაზე. 2011 წელს კონკურსით აირჩიეს კარდიოლოგიის კლინიკის პროფესორად. ამავე ინსტიტუტში კითხულობს ლექციებს კარდიოლოგიაში. მონაწილეობს წამლებით მედიკამენტოზური მკურნალობის ჯგუფის დადგენაში, ამ მიზნით მივლინებით დადის ევროპის ქვეყნებში და მოხსენებით გამოდის სიმპოზიუმებსა და კარდიოლოგთა საერთაშორისო ყრილობებზე.

მეცნიერებათა კანდიდატები
(2004 წლიდან – აკადემიური დოქტორები)

ონისე სურმანიძე

ონისე სურმანიძე დაიბადა 1942 წლის 13 იანვარს, ხულოს რაიონის სოფელ რაქვთაში.

დაამთავრა რაქვთის შვიდწლიანი და ხიხაძირის საშუალო სკოლები. 1959 წელს ონისე სურმანიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტე-

ტის სტუდენტია, იყო სახელმწიფო სტიპენდიატი. 1964 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, იგი სამუშაოდ გაგზავნეს თხილვანის საშუალო სკოლაში, საიდანაც იმავე წელს გადაიყვანეს რაქვთის რვაწლიან სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

1965-1968 წლებში ონისე სურმანიძე კომკავშირის ხულოს რაიკომის პირველი მდივანია.

1968 წლის 1 ივნისიდან იგი სამუშაოდ გადადის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში ლაბორანტად. იმავე წელს იგი ჩაირიცხა მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მიზნობრივ ასპირანტურაში, სადაც მისი ხელმძღვანელი იყო მსოფლიოში ცნობილი ალგებრაისტი ლეონიდ კულიკოვი. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ონისე სურმანიძე ბრუნდება მათემატიკის ინსტიტუტში. 1975 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იცავს საკანდიდატო დისერტაციას ტოპოლოგიურ ალგებრაში და წლების განმავლობაში მუშაობს ალგებრის კათედრაზე.

1989 წლის 1 სექტემბრამდე ონისე სურმანიძე მუშაობს მათემატიკის ინსტიტუტში ალგებრა-გეომეტრიის განყოფილებაში ჯერ ლაბორანტად, შემდეგ კი უფროს მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე, აქტიურად მონაწილეობს ინსტიტუტის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პარალელურად აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

1989-2005 წლებში ონისე სურმანიძე მუშაობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრაზე, ხოლო შეთავსებით – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2006 წლიდან დღემდე ონისე სურმანიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორია. ტოპოლოგიური ალგებრის თანამედროვე საკითხების შესწავლასთან ერთად, იგი მათემატიკის ისტორიის საკითხებითაცაა დაინტერესებული, მისი გამოკვლევები შეეხება აგრეთვე სხალთა-ხიხანის ხეობის გამოჩენილ მოღვაწეს აბუსერისძე ტბელს.

2005-2008 წლებში ახლადშექმნილი გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრის ხელმძღვანელია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაიხვეწა და მიზანმიმართული გახდა აღნიშნული ცენტრის საქმიანობა.

ასევე, 2006-2009 წლებში იყო მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ჰყავს მეუღლე – ლამარა ჩურუკბა, სამი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

ვანო გაბაიძე (1941-2007)

ვანო გაბაიძე დაიბადა 1941 წელს ხულოს რაიონის სოფელ სკვანაში. 1960 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა და უგამოცდოდ ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსულ განყოფილებაზე. მეორე კურსიდან გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. მსახურობდა ქ. ხარკოვში. განსაკუთრებული დავალების შესრულებისთვის აირჩიეს ხარკოვის საპატიო მოქალაქედ (კინოფილმში „განგაში“ ერთ-ერთი როლის შემსრულებელი).

სამხედრო სამსახურის შემდეგ სწავლა განაგრძო ხარკოვის იურიდიულ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა წარჩინებით. აქვე გაიარა ასპირანტურა, მოამზადა თემა და 1980 წლის 8 ივნისს ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1975-1979 წლებში გამოსცა ორი ნაშრომი. მისი წერილები თუ სტატიები იბეჭდებოდა რუსულ, უკრაინულ და ქართულ გაზეთებში, სულ 200-მდე წერილი და სტატია გამოაქვეყნა სამართალმცოდნეობის აქტუალურ საკითხებზე.

ივანე გაბაიძემ შრომითი საქმიანობის ასეთი გზა გამოიარა: აჭარის იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი, ქ. ბათუმის იურიდიული კონსულტაციის განყოფილების გამგე, 1980 წლიდან ხელვაჩურის პროკურორის თანაშემწე, აჭარის პროკურორის უფროსი თანაშემწე, 1990 წლიდან ქ. ბათუმის პროკურორის მოადგილე.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 2007 წელს. განისვენებს ბათუმში სალიბაურის სასაფლაოზე.

მის სახელს აგრძელებენ მეუღლე, 3 შვილი და 5 შვილიშვილი.

დიმიტრი ცეცხლაძე

დიმიტრი ცეცხლაძე დაიბადა 1954 წლის 18 ოქტომბერს, ხულოს რაიონის სოფელ სკვანაში.

1968 წლიდან სწავლობდა ქ. რუსთავის ქიმიის გაძლიერებული სწავლების სკოლა-ინტერნატში, რომელიც დაამთავრა წარჩინებით.

1976 წელს ასევე წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტი. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კვლევით ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1979 წლიდან სწავლობდა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში. 1980 წელს დაიცვა დისერტაცია გრიფით - „სრულიად საიდუმლოდ“. აქვს ოთხი საავტორო მოწმობა, 70 სამეცნიერო სტატია.

1985 წლიდან კითხულობდა ლექციებს ჩეხოსლოვაკიაში - ბრატისლავისა და კოშიცის უნივერსიტეტებში, კიევის შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტ-ში.

1991 წლიდან ოფიციალურად იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სრულუფლებიანი წარმომადგენელი ქართულ დიასპორასთან თურქეთის რესპუბლიკაში.

ფლობს ქართულ, თურქულ, რუსულ, უკრაინულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი: ირაკლი, არჩილი და ქეთევანი.

ზურაბ ბერიძე

ზურაბ ბერიძე დაიბადა 1948 წელს სოფელ ფურტიოში. 1968 წელს წარჩინებით დაამთავრა სალიბაურის სკოლა-ინტერნატი, ხოლო 1971 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკის ფაკულტეტი. იმავე წელს ჩირიცხა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში. მისი სადისერტაციო თემა შეეხებოდა პერსპექტიული გეგმებისა და პროგნოზების შედეგების სფეროს, წამოების განლაგების თეორიის გაღრმავე-

ბასა და პრაქტიკულ გაანგარიშებას. ნაშრომი წარადგინეს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და მოიპოვა ვერცხლის მედალი.

ზურაბ ბერიძემ 1975 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკურ - მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი სპეციალობაში „ეკონომიკური კვლევის მათემატიკური მეთოდები“ და დატოვეს იმავე, ცენტრალურ ეკონომიკურ-მათემატიკურ ინსტიტუტში მართვის პროცესების ავტომატიზაციის განყოფილების უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1980 წელს ზურაბ ბერიძე გადაიყვანეს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1982 წელს ზურაბ ბერიძეს ნიშნავენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1991 წლიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ზურაბ ბერიძე მუშაობს მოსკოვში, საქართველოს მუდმივ წამომადგენლობაში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. 1993 წელს ის რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს მესამე მდივნად დანიშნეს, სამი წლის შემდეგ მეორე მდივანი გახდა, ხოლო 1998 წელს საელჩოს პირველი მდივანია.

ზურაბი ჩინებული საზოგადო მოღვაწეცაა. იგი მოსკოვში ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი დამაარსებელია.

ამჟამად ზურაბ ბერიძე ცხოვრობს მოსკოვში და მუშაობს კომერციულ სტრუქტურებში ფინანსურ კონსულტანტად.

ზურაბ ბერიძემ შესანიშნავი ოჯახი შექმნა. ჰყავს მეუღლე - შორენა შავაძე, შვილები: ირაკლი – კარდიოქირურგია, მუშაობს თბილისის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში, თემური – ეკონომისტი, ამჟამად მოსკოვის ერთ-ერთი საფთიაქო სამმართველოს ეკონომისტ-მენეჯერია.

ამირან ჯაიანი

ამირან ჯაიანი დაიბადა 1941 წლის 4 მაისს ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში. 1958 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1964-1967 წლებში, მუშაობდა ხიხაძირის საუბნო საავადმყოფოს მთავარ ექიმად. 1968-1970 წლებში კარდიოლოგიის განხრით გაიარა ორდინატურა ქალაქ მოსკოვში. 1970-1978 წლებში მუშაობდა ქალაქ ბათუმის №1 საავადმყოფოში ექიმ-თერაპევტად. 1978 წლიდან – აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფოს კარდიოლოგიურ განყოფილებაში, ჯერ ორდინატორად, შემდეგ განყოფილების გამგედ.

1978-1983 წლებში დაუსწრებლად დაამთავრა მოსკოვის №1 სამედიცინო ინსტიტუტის ვინოგრადოვის სახელობის კლინიკაში ასპირანტურა და იქვე 1983 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „სტენოკარდიული თავისებურებები გულის ქრონიკული იშემიური დაავადების დროს“ და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მისი სამედიცინო პრაქტიკის შედეგები გამოქვეყნდა რამდენიმე ნაშრომსა და სტატიაში.

ამირან ჯაიანი ამჟამად პენსიონერია, მაგრამ ექიმ-კონსულტანტის სახელით აგრძელებს თავის პროფესიულ საქმიანობას.

ჰყავს ოჯახი, მეუღლე ნათელა ანანიძე-ჯაიანისა – ექიმი-გინეკოლოგი, ორი შვილი, ნინო – **მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი** და თენგიზი – მკურნალი ექიმი.

იოსებ გაბაიძე
(1947-2004)

იოსებ გაბაიძე დაიბადა 1947 წელს ხულოს რაიონის სოფელ სკვანაში.

დაამთავრა სკვანის დაწყებითი სკოლა, სწავლა განაგრძო ხიხაძირის საშუალო სკოლაში, 1965 წელს დაამთავრა თხილვანის საშუალო სკოლა. მსახურობდა ჯარში, მუშაობდა სამეურნეო და სამშენებლო დარგის სხვადასხვა თანამდებობაზე. 1983 წლიდან ქალაქ მოსკოვშია, სადაც ეკონომიკური მშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. აქვე დაამთავრა ასპირანტურა. ყველგან, სადაც კი სწავლობდა, გამოირჩეოდა ნიჭით, შრომისმოყვარეობით, უყვარდა წიგნი, მუდამ ძებაში იყო, ფლობდა ანალიტიკურ აზროვნებას. ყოველივე ეს გამოვლინდა ასპირანტურაშიც. მოამზადა და ვადაზე ადრე 1984 წელს დაიცვა დისერტაცია

იმავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

იოსებ გაბაიძე 1984-1988 წლებში მუშაობდა აჭარის ასსრ საგეგმო კომიტეტის მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების უფორსად; 1988-1992 წლებში – ბათუმის სამრეწველო-სამშენებლო ბანკის მმართველად;

იგი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა და 1994-1996 წლებში მუშაობდა მოსკოვის სამრეწველო-სამშენებლო ბანკის საკრედიტო განყოფილების უფროსად. 1996-1998 წლებში იყო მოსკოვის ინდუსტრიული ბანკის საკრედიტო განყოფილების უფროსი, ხოლო 1999 წლიდან – მოსკოვის სამშენებლო ეკონომბანკის ფილიალის მმართველი.

იოსებ გაბაიძე 2004 წლის 6 თებერვალს ტრაგიკულად დაიღუპა მოსკოვის მეტროში მომხდარი ტერაქტის დროს. დასაფლავებულია მოსკოვში.

დარჩა მეუღლე და სამი შვილი.

შალვა ბაუჩაძე

შალვა ბაუჩაძე დაიბადა 1949 წლის 21 აგვისტოს, ხულოს რაიონის სოფელ კალოთაში, გლეხის ოჯახში. 1964 წელს წარჩინებით დაამთავრა სოფელ კალოთის რვაწლიანი სკოლა და ამავე წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა და ჩაირიცხა ქ. თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა--მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სკოლა-ინტერნატში. იგი ერთ-ერთი პირველი იყო აჭარიდან, შუახეველ ვაჟა ტარიელაძესთან ერთად, რომელიც ამ პრესტიჟული სკოლის მოსწავლე გახდა. 1966 წელს დაამთავრა აღნიშნული ფიზიკა-მათემატიკის სკოლა ვერცხლის მედალზე. იყო ამ სკოლის პირველი გამოშვების მოსწავლე. 1966 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა და ჩაირიცხა ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იმავე წელს დაარსებულ კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე. 1971 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი „ფიზიკოს-კიბერნეტიკოსის“ სპეციალობით. 1970 წელს შეთავსებით დაამთავრა უნივერსიტეტში სამწლიანი სამხედრო კურსები და მიენიჭა ოფიცრის – ლეიტენანტის ჩინი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1971 წელს გაიწვიეს ორწლიან სამხედრო სამსახურში.

მსახურობდა ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქში, ოცეულის უფროსის თანამდებობაზე, ქ. ტალინში, ესტონეთის საბჭოთა რესპუბლიკაში. სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ საცხოვრებლად დარჩა ქალაქ ტალინში და 1973 წელს მუშაობა დაიწყო მოსკოვის საკავშირო საპროექტო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ესტონეთის ფილიალში წამყვანი ინჟინრის თანამდებობაზე. 1975 წელს დაინიშნა ამავე ინსტიტუტში ჯგუფის უფროსად, 1977 წელს კი – პროექტის უფროს კონსტრუქტორად. ამ ინსტიტუტში მუშაობის დროს ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები ესტონეთის რესპუბლიკის ქ. ტარტუს უნივერსიტეტში. 1979 წელს იგი, როგორც ერთ-ერთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, სამუშაოდ მიიწვიეს საბჭოთა კავშირის სამშენებლო ბანკის ესტონეთის ფილიალის გამოთვლითი ცენტრის დირექტორად. თითქმის 17 წელი იღვაწა ამ თანამდებობაზე. ამ პერიოდში უშუალოდ მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით დაპროექტდა და დაინერგა თანამედროვე გამოთვლითი და კომპიუტერული პროგრამები, გამოთვლითი მანქანების დახმარებით და, სხვა სიახლეებთან ერთად, ამოქმედდა ბანკის ყოველდღიური ბალანსის შედგენის პროგრამა. 1991 წელს მისი უშუალო მეცადინეობით პერსონალური კომპიუტერების დანერგვის შედეგად, შესაძლებელი გახდა „ესტონეთის რესპუბლიკაში ბანკების ინფორმაციის გადამუშავება „რეალურ დროში.“ ეს პროექტი გახდა სწორედ მისი საკანდიდატო დისერტაციის თემა, რომელიც 1991 წელს წარმატებით დაცვა და მიენიჭა მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული სამეცნიერო ნაშრომი იმავე წელს წარმატებით დაინერგა ესტონეთის რესპუბლიკის სამრეწველო სამშენებლო ბანკში.

შ. ბაუჩაძეს გამოქვეყნებული აქვს ათამდე სამეცნიერო ნაშრომი მათემატიკის, კიბერნეტიკისა და პროგრამული მეცნიერების დარგებში. ასევე იგი მოხსენებებით გამოდიოდა მაშინდელი საბჭოთა კავშირის, ესტონეთის რესპუბლიკისა და საერთაშორისო დონის სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე.

1996 წლიდან იგი მუშაობს მის მიერვე დაარსებული ფირმის დირექტორად. ფირმა ქალაქ ტალინში ფუნქციონირებს და ხელშეკრულებებით ასრულებს სამუშაოებს სხვადასხვა დარგში ინფორმაციის გადამუშავების

კუთხით, პერსონალური გამოთვლითი მანქანის დახმარებით და ნერგავს თანამედროვე მეთოდებს ამ სფეროში საქმიანობის სრულყოფისათვის.

შალვა შრომისმოყვარე ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. მამა ალი ესედის ძე ბაუჩაძე და დედა ასიე ხაფიზის ასული ბაუჩაძე (გაბაიძე) შრომისმოყვარეობითა და მეზობლებისადმი თანადგომით გამოირჩეოდნენ, რომლებიც ადრე გარდაიცვალნენ. მისმა დებმა, სონიამ და გულვარდიმ, ძმამ ოთარმა, რომლებიც ასევე ადრე გარდაიცვალნენ, სანიმუშო შთამომავლები დაუტოვეს გვარს და ქვეყანას. შალვას ძმა დავითი წლების მანძილზე კულტურისა და ვაჭრობის სფეროში მოღვაწეობდა, ერთხანს სოფელსაც ედგა სათავეში. ახლა ის პენსიონერია, ცხოვრობს ქ. ბათუმში.

შალვა ბაუჩაძემ 1973 წელს შექმნა ოჯახი. მეუღლე – ბაუჩაძე (ცელუიკო) ნადეჟდა ვლადიმირის ასული მასთან ერთად ცხოვრობს ესტონეთის რესპუბლიკაში, ქ. ტალინში.

ჰყავთ ორი შვილი - ნინო და გურამი. **ნინო მუშაობს და ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ. ატლანტიკსიტში, ჰყავს ოთხი ვაჟი: დავითი, ლუკა, თამაზი და ევგენი. გურამი, ასევე, მუშაობს და ცხოვრობს ამერიკაში, ქ. ვაშინგტონში.**

იოსებ აბაშიძე
(1932-2015)



იოსებ აბაშიძე დაიბადა 1932 წლის 15 აპრილს, ხულოს რაიონის სოფელ ვერნებში. 1946 წელს დაამთავრა ვერნების რვაწლიანი, 1951 წელს – ხიხაძირის საშუალო სკოლა, 1954 წელს – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ხიხაძირის საშუალო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად.

1955-1957 წლებში მსახურობდა ჯარში.

1958-1970 წლებში მუშაობდა ხულოს რაიონის ხიხაძირის, ვერნების, ყინჩაურის და ფუშრუკაულის საშუალო სკოლებში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. სხვადასხვა დროს იყო ორგანიზატორი, სასწავლო ნაწილის გამგე, დირექტორი.

1970 წელს მიიწვიეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათდრაზე სამუშაოდ. იყო სახელოსნოს გამგე, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი.

1993 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია ფიზიკის სწავლების მეთოდიკაში და მიენიჭა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, შემდეგ – თეორიული ფიზიკის კათედრის დოცენტის წოდება.

იოსებ აბაშიძე მუშაობდა ჰიდრო და აეროდინამიკის ენერგეტიკულ პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი და საგაზეთო წერილი. ლექციებს კითხულობდა ზოგადი ფიზიკის, ზოგადი ელტექნიკისა და ფიზიკის სწავლების მეთოდიკაში.

2015 წლის დეკემბერში ბსუ ფიზიკის დეპარტამენტმა და აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივმიგებისა და მადლიერების საზოგადოებამ ი. აბაშიძეს გადაუხადა დაბადებიდან 80 და პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავი.

იოსებ აბაშიძე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 84 წლის ასაკში, 2016 წლის აპრილში. დასაფლავებულია ბათუმის სალიბაურის სასაფლაოზე. დატოვა ოჯახი – მეუღლე, ვაჟიშვილი და შვილიშვილები, რომლებიც განაგრძობენ ოჯახის ტრადიციებს.

სერგო ხოზრევანიძე

სერგო ხოზრევანიძე დაიბადა 1965 წლის 2 ოქტომბერს, ხულოს რაიონის სოფელ კვატიაში.

საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1983 წელს ჩაირიცხა სარატოვის ნ. გ. ჩერნიშევსკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე. 1984 წლის აპრილში გაიწვიეს არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ, 1986 წლიდან სწავლა განაგრძო იმავე უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1991 წელს. აქვე დაამთავრა ასპირანტურა, პარალელურად იყო მექანიკა - მათემატიკის მასწავლებელი.

1995 წლიდან სამუშაოდ გადმოდის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (მწვანე კონცხი) ფიზიკა-მათემატიკის და გამოთვლითი ტექნიკის კათედრის უფროს მასწავლებლად. 1998-2005 წლებში არის ამავე ინსტიტუტის მათემატიკისა და

გამოთვლითი ტექნიკის კათედრის გამგე, დოცენტი. 2005-2006 წლებში კი ზუსტ მეცნიერებათა და ელექტრონულ გამოთვლითი ტექნიკის კათედრის გამგე, დოცენტი. 2006 წლის მაისიდან აგვისტომდე იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სერგო ხოზრევანიძე 2006 წლის აგვისტოდან დღემდე მუშაობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლის დირექტორად.

1994 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მფრინავ აპარატზე მათემატიკური მოდელის გამოყენება“ და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. არის ერთი წიგნისა და 22 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ჰყავს მეუღლე და შვილები.

აბესალომ ასლანიძე



აბესალომ ასლანიძე დაიბადა 1960 წლის 20 აპრილს, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძმაგულაში. 1977 წელს დაამთავრა ყინჩაურის საშუალო სკოლა, 1979-1981 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1984-1990 წლებში სწავლობდა ივანოვოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგაც მუშაობს საშუალო სკოლებში ისტორიის მასწავლებლად. 1992 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტში დაუმტკიცდა სადისერტაციო თემა – “ისლამის მსოფლხედველობრივი ევოლუცია საუდის არაბეთისა და პაკისტანის მაგალითზე” – ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. 1997 წლის დეკემბერში, დისერტაციის დაცვის შემდეგ, სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში (თბილისი). 2004 წლიდან მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპულიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის უფროსად, პარალელურად, კითხულობს ლექციებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2013 წლის აპრილიდან არის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრის დირექტორი.

აბესალომ ასლანიძის ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი სფეროა რელიგიათმცოდნეობა, კერძოდ, ისლამის პრობლემატიკა აღმოცენებიდან დღემდე. ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო შრომა ისლამის აღმოცენების თავისებურებებზე, ისლამისა და პოლიტიკის, ისლამისა და ქრისტიანობის ურთიერთმიმართებებზე, ისლამის პრობლემატიკაზე თანამედროვე მსოფლიოსა და საქართველოში. ავტორია წიგნისა - „ისლამი და თანამედროვეობა. ფილოსოფია, პოლიტიკა, რელიგია". (თბ., 2013); არის 10-ზე მეტი წიგნის რედაქტორი და რეცენზენტი, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე, მათ შორის ავსტრიაში, უკრაინაში, თურქეთში, რუსეთში და სხვ.

აბესალომ ასლანიძე არის ღირსების ორდენის კავალერი (2004). ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

იგორ გაბაიძე

იგორ გაბაიძე დაიბადა 1972 წელს ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში. 1989 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა. სკოლაში სწავლისას აქტიურად მონაწილეობდა მოსწავლეთა საგნობრივ წრეებში, მოამზადა და ქალაქ თბილისში წაიკითხა მოხსენება თემაზე „ხიხაძირული ქორწილი", რითც გაიმარჯვა და დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით.

1989 წელს ჩაირიცხა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1995 წელს. იყო აკადემიკოს ამირეჯიბის სახელობის სტიპენდიატი.

როგორც წარჩინებული კურსდამთავრებული, იგორ გაბაიძე ჩაირიცხა უნივერსიტეტის მექანიზაციის ფაკულტეტის ასპირანტურაში. 1999 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, არის აკადემიური დოქტორი. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს აღნიშნულ უნივერსიტეტში. ამჟამად ეწევა სამეურნეო საქმიანობას ქალაქ თბილისში.

ჰყავს მეუღლე - ექიმი ნანა დუმბაძე, სამი შვილი, მათ შორის, ტყუპი ვაჟიშვილი - ილია და ირაკლი.

ეთერ ბერიძე

ეთერ ბერიძე დაიბადა 1956 წლის 1 მაისს შუახევის რაიონის სოფელ ფურტიოში, ცნობილი პედაგოგის - ლევან ბერიძის ოჯახში.

1976 წელს ეთერ ბერიძემ წარჩინებით დაამთავრა ფურტიოს საშუალო სკოლა. 1979 წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1984 წელს წარჩინებით.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა: შუახევის რაიონის ზამლეთის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ქ. ბათუმის მე-4 საბინაო-საექპლოატაციო უბნის უფროსად, ქ. ბათუმის მე-5 რუსული საშუალო სკოლის მასწავლებლად, ქ. ბათუმის საქარხნო მიკრორაიონის საბჭოს თავმჯდომარედ, გონიოს კოოპერაციული ინსტიტუტის მასწავლებლად. 1990 წლიდან მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე და მიჰყავს მეტყველების კულტურის, აკადემიური წერის, რიტორიკის, პიარისა და მარკეტინგის სალექციო კურსები.

2000 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ და უცხოელ მკვლევართა შრომებში“ და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 2006 წლიდან ფილოლოგიის დოქტორია.

არის ავტორი წიგნებისა: „ბერიძეები“, „ნიგალი“; გამოცემული აქვს ზაქარია ჭიჭინაძის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული წიგნი „მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“.

გამოქვეყნებული აქვს 30 მნიშვნელოვანი სამეცნიერო სტატია, რომლებიც ძირითდად ეძღვნება ტაო-კლარჯეთის ქართულის ენობრივ თავისებურებებს, ფრაზეოლოგიზმებს, აჭარულ დიალექტს, აგრეთვე მარკეტინგის ჩამოყალიბებისა და პიარის განვითარების სტრატეგიებს ქართული ბიზნესის სინამდვილეში.

სამეცნიერო მუშაობის პარალელურად ეწევა ბიზნესსაქმიანობას. მეუღლესთან, ზურაბ მელიქიშვილთან და ორ ვაჟიშვილთან - არჩილთან და ბესიკთან ერთად არის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. აღნიშნული ორგანიზაცია მონაწილეობას ღებულობს არაერთ საქველმოქმედო ღონისძიებაში.

ნუგზარ ცეცხლაძე

ნუგზარ ცეცხლაძე დაიბადა 1960 წელს ხულოს რაიონის სოფელ ქვედა თხილვანაში.

1974 წელს დაამთავრა თხილვანის აბუსერისძე ტბელის სახელობის საშუალო სკოლა, 1987 წელს – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1989 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების განხრით.

პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 1988 წელს ხულოს რაიონის ქვედა თხილვანის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, იყო ამავე სკოლაში დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

2002 წლიდან სამუშაოდ გადმოვიდა ბათუმში, აჭარის კოოპერაციულ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე, იყო ამავე კათედრის მასწავლებელი, გამგე, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგე და პრორექტორის მოადგილე. პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას. იკვლევდა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის საკითხებს, მონაწილეობდა თურქეთის ფარგლებში მოქცეულ ისტორიულ-ქართულ მხარეებში (ტაო-კლარჯეთი, არტაანი, ფოცხოვი) მოწყობილ სამეცნიერო-საველე, ეთნოგრაფიულ და დიალექტოლოგიურ ექსპედიციებში. ონომასტიკის საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები. 2000 წელს დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია თემაზე: „შავშეთ-იმერხევის ტოპონომია ენათა კონტაქტების თეორიის შუქზე“. გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, ორი მონოგრაფია.

სამწუხაროდ, მძიმე ავადმყოფობის გამო ნუგზარ ცეცხლაძემ 2008 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას თავი დაანება და შესაძლებლობების ფარგლებში აგრძელებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

ჰყავს მეუღლე - გალინა მიქელაძე და ორი შვილი.

არჩილ შაინიძე



არჩილ შაინიძე დაიბადა 1946 წელს ხულოს რაიონის სოფელ სკვანაში. 1964 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა, 1968 წელს – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგია - გეოგრაფიის ფაკულტეტი ბიოლოგიის სპეციალობით.

1968-1972 წლებში იყო ვერნების რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, 1971-1978 წლებში – თხილვანის საშუალო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი, ხოლო 1978-1995 წლებში – ბათუმის (მწვანე კონცხის) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელი.

1995 წლიდან მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის უფროს მასწავლებელად, შემდეგ იყო მეტყევეობის კათედრის გამგე.

2001 წლის 19 დეკემბერს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დიესერ-ტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 2004 წლიდან დოცენტია. გამოქვეყნებული აქვს 14 სამეცნიერო ნაშრომი, შეადგინა და გამოსცა წიგნი „სატყეო ტერმინების ენციკლოპედიური ლექსიკონი“.

ამჟამად განაგრძობს მუშაობას შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ ფაკულტეტზე.

ჰყავს მეუღლე, 5 შვილი და 9 შვილიშვილი.

ჯემალ გაბაიძე
(1948-2006)

ჯემალ გაბაიძე დაიბადა 1948 წლის 24 აგვისტოს, ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში. 1965 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა, ხოლო 1969 წელს – ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1970 წლიდან მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მუშაობას იწყებს სოფელ ფუშრუკაულის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად და პარალელურად ასწავლიდა ხიხაძირის საშუალო სკოლაში სამხედრო ტო-

პოგრაფიას. 1978 წლიდან სამუშაოდ გადმოდის ქალაქ ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის კათედრის ლაბორანტად, 1980 წლიდან კი ამავე კათედრის მასწავლებელია. 1992-1993 წლებში ასრულებდა გეოგრაფიის კათედრის გამგის მოვალეობას.



ჯემალ გაბაიძე 1982-1986 წლებში იყო ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის განყოფილების მაძიებელი. მისი ხელმძღანელი იყო პროფესორი რ. კვერენჩხილაძე. მუშაობდა თემაზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“. 2004 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მიენიჭა გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ამავე წლიდან გეოგრაფიის კათედრის დოცენტია, 2006 წლიდან – ასოცირებული პროფესორი.

ჯემალ გაბაიძეს გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. კითხულობდა ლექციებს ტოპოგრაფიასა და კარტოგრაფიაში, საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ გეოგრაფიაში.

გარდაიცვალა 2008 წელს. განისვენებს ბათუმში, ურეხის სასაფლაოზე.

დაურჩა მეუღლე და სამი შვილი.

ნოდარ მამულაძე
(1950-2010)

ნოდარ მამულაძე დაიბადა 1950 წლის 7 ნოემბერს ხულოს რაიონის სოფელ კალოთაში.

1956-1964 წლებში სწავლობდა კალოთის რვაწლიან სკოლაში. 1966 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა ვერცხლის მედალზე. ამავე წელს ერთი გამოცდით ჩაირიცხა შრომის წითელი დროშის ორდენოსან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე. 1971 წელს წარჩინებით დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტი მეტყევეე-ინჟინრის კვალიფიკაციით და მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის სატყეო მეურნეობაში ხულო-ღორჯომის სატყეო უბნის უფროსად.

1971-1972 წლებში მსახურობდა არმიის რიგებში.

1972-1978 წლებში მუშაობდა ხულოს სატყეო მეურნეობაში ტყის დაცვის ინჟინრად, მთავარ მეტყევედ. 1978-1982 წლებში - შუახევის სატყეო მეურნების მთავარ მეტყევედ, 1983-1991 წლებში ხულოს სატყეო მეურნეობის დირექტორია. 1991-1993 წლებში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბუნების დაცვის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტში, შემდეგ კი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროში ტყის დაცვის სპეციალიზებული ინსპექციის უფროსად. 1993 წელს დაინიშნა ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

2004 წელს ნოდარ მამულაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „აჭარის მაღალმთიანეთის მუქწიწვოვანების თავისებურებანი“ და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ამავდროულად იგი მუშაობდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლის თანამდებობაზე. 2007 წლიდან იყო ამავე უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

ნოდარ მამულაძე მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციაში, იყო ორი წიგნისა და ოცდაათი სამეცნიერო სტატიის ავტორი.

სატყეო მეურნეობის დარგის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის ნოდარ მამულაძეს 2000 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მეტყევის წოდება.

2010 წლის 21 დეკემბერს იგი მოულოდნელად გარდაიცვალა. დასაფლავებულია ბათუმში.

ჰყავს მეუღლე, შვილი და შვილიშვილი.

თემურ გაბაიძე

თემურ გაბაიძე დაიბადა 1966 წლის 1 სექტემბერს, ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში. 1983 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა, 1884 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. 1984-1986 წლებში იმყოფებოდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1992-1993 წლებში გაიარა ინტერნატურის სრული კურსი თბილისის აკადემიკოს ჩაჩავას სახელობის მეან-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

1993 წლის 15 აგვისტოდან დაინიშნა ხულოს რაიონის სამშობიარო სახლის ექიმად, შემდეგ – მთავარ ექიმად. 1999 წლიდან არის ხულოს რაიონის „დედათა და ბავშვთა რეგიონული სამედიცინო ცენტრის“ დირექტორი, ხოლო-2004 წლის 5 ოქტომბრიდან - „შპს ბათუმის სამშობიარო სახლის“ დირექტორი.

2011 წლის 3 აგვისტოდან დანიშნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის თანამდებობაზე.

2012 წლის 1 ნოემბრიდან მუშაობს „შპს ბათუმის სამშობიარო სახლის“ ექიმ მეან-გინეკოლოგად.

2001 წელს იყო აჭარის, ხოლო 2003 წელს საქართველოს საუკეთესო მეან-გინეკოლოგი.

2002 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა საკეისრო კვეთის შემდეგ“, რის საფუძველზეც მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 2006 წელს – მედიცინის დოქტორის ხარისხი.

ეწევა პრაქტიკულ სამედიცინო მოღვაწეობას. გამოქვეყნებული აქვს 7 სამეცნიერო ნაშრომი გინეკოლოგიური მედიცინის მნიშვნელოვან საკითხებზე. დაჯილდოებულია ღირსების მედლით.

ჰყავს მეუღლე - თამარ მამულაიშვილი და ორი შვილი – გვანცა და ლევანი.

ნელი ხალვაში

სხალთა-ხიხაძირის მეცნიერ-მუშაკთა შორის ქალებიც არიან. ერთ-ერთი მათგანია ნელი ხალვაში.

ნელი ხალვაში დაიბადა 1961 წლის 28 ივნისს, ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში.

1978 წელს დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა.

1982 წელს ჩაირიცხა და 1987 წელს წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობით.

1987-1989 წლებში განაწილებით მუშაობდა ხულოს რაიონის წაბლანის საშუალო სკოლაში გეოგრაფია-ბიოლოგიის მასწავლებლად. ორი წლის შემდეგ იგი გადაიყვანეს მეზობელი სოფლის ყიშლის არასრულ საშუალო სკოლაში გეოგრაფია-ბიოლოგიის მასწავლებლად. ერთი სასწავლო წლის შემდეგ, 1990-1991 სასწავლო წელს იმუშავა ხელვაჩაურის რაიონის ჩხუტუნეთის საშუალო სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლად.

1991-1995 წლებში იყო გონიოს კოოპერაციულ ინსტიტუტში გეოგრაფიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, 1995-2000 წლებში – სუბტროპიკული ნაყოფის შენახვა-გადამუშავების სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ინსტიტუტში მემბრანული ტექნოლოგიის განყოფილების ლაბორანტი.

1998-2000 წლებში სწავლობდა ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ასპირანტურაში;

2000-2002 წლებში ასწავლიდა ბათუმის მრავალდარგობრივ ლიცეუმში მიკრობიოლოგიას, ხოლო 2002-2005 წლებში ბათუმის კერძო სკოლაში „თაობა-21"-ში – გეოგრაფიას.

1998-2011 წლებში იყო ბათუმის ბოტანიკური ბაღის სელექციისა და მცენარეთა დაცვის განყოფილების ჯერ მეცნიერ-თანამშრომელი, ხოლო შემდეგ – უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და ამავე განყოფილების გამგე.

2005 წლის 25 აპრილს საქართველოს უნივერსიტეტში სელექცია-მეთესლეობის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ჭოროხის ხეობაში გავრცელებული ფორთოხლების ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესწავლა და პერსპექტიული ფორმების გამოყოფა", მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი სელექცია-მეთესლეობის მიმართულებით - 06.01.05.

ნელი ხალვაში ამჟამად მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიომრავალფეროვნებისა და კონსერვაციის განყოფილებაში მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად.

2006-2015 წლებში იყო „გამოცდების ეროვნული ცენტრის" - ბათუმის საგამოცდო ცენტრის კურატორი, 2014-2015 წლებში – გაეროს განვითარების ფონდის პროექტის, „ENPARD AJARA" „სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში" პროგრამის ფარგლებში ა(იპ) აგროსერვისცენტრის მეცნიერ-კონსულტანტი;

არის აგროდაზღვევის ექსპერტი; მონაწილეობდა 20-მდე საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციებსა და ექსპედიციებში.

არის 2 საერთაშორისო და 4 ადგილობრივი გრანტის ძირითადი შემსრულებელი და ერთი გრანტის ხელმძღვანელი;

გამოქვეყნებული აქვს 37-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

აკადემიური დოქტორები

მერაბ მამულაძე

მერაბ მამულაძე დაიბადა 1965 წელს ხულოს რაიონის სოფელ კალოთში. დაამთავრა კალოთის რვაწლიანი, 1982 წელს კი – ხიხაძირის საშუალო სკოლა. ამავე წელს სწავლა განაგრძო და წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტი, სპეციალობით - სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

1991 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა საწარმოში ინჟინრის თანამდებობებზე, ხოლო **1996 წლიდან მუშაობა განაგრძო საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის კათედრაზე უფროსი მასწავლებლის, შემდეგ კი – ასისტენტის თანამდებობებზე.**

2002 წელს იყო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევით ინსტიტუტში ხარისხის მაძიებელი, ხოლო 2006 წელს აგრარული უნივერსიტეტის ექსპერტთა საბჭოზე დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საქართველოს სამთო პირობებში საკვების დამზადება მცირე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით“ და მიენიჭა ტექნიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

მერაბ მამულაძე 2007 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია.

არის 40-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის გამოქვეყნებული აქვს ორი სახელმძღვანელო და მიღებული აქვს ორი პატენტი გამოგონებაზე. აგროინჟინერიის მიმართულებით, მონაწილეობდა ოცამდე საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო და პრაქტიკულ კონფერენციაში. ხელმძღვანელობდა 2 დოქტორანტს, რამდენიმე ბაკალავრსა და მაგისტრს. მის მიერ დამუშავებულმა თხილის საკრეფ-საქუცმაცებელმა მან-

ქანამ ჰანოვერში გერმანიის საერთაშორისო კონფერენციაზე სასოფლო--სამეურნეო ტექნიკის გამოფენაზე დიდი მოწონება დაიმსახურა.

მერაბ მამულაძე ჩაბმულია აგროინჟინერიის სფეროს საერთაშორისო და ადგილობრივ გრანტებში და მონაწილეობს ექსპერტად სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ მრავალ პროექტში.

ამჟამად მერაბ მამულაძე კითხულობს სალექციო კურსებს შემდეგ საგნებში: კომპიუტერული და საინჟინრო მოდელირება, ტექნიკის სტანდარტიზაცია და ტექნიკური გაზომვები, მანქანათა რემონტი, მეცხოველეობის მექანიზაცია და სხვა.

გელა მამულაძე

გელა მამულაძე დაიბადა 1976 წელს, ხულოს რაიონის სოფელ კალოთაში. 1993 წელს დაამთავრა კალოთის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კომერციის ფაკულტეტზე, სპეციალობით „ეკონომიკა და მართვა ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში“. 1996 წელს სწავლა განაგრძო შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმავე სპეციალობაზე, რომლის სრული კურსი დასრულა წარჩინებით 1998 წელს და მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია.

2000-2005 წლებში სწავლობდა თბილისის პოლიტიკურ აკადემიაში იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე. მინიჭებული აქვს სამართალმცოდნის კვალიფიკაცია. იყო ხარისხის მაძიებელი. 2008 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მარკეტინგული კვლევის მეთოდების სრულყოფის გზები ვაჭრობაში“ და მიენიჭა ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

2011 წელს გელა მამულაძე აირჩიეს საქართველოს საინჟნრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

გელა მამულაძის შრომითი საქმიანობის სურათია:

1998-2006 წლები - ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი;

2000-2009 წლები - შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი;

2009-2011 წლები - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ასისტენტ-პროფესორი;

2010-2011 წლები - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

2009-2013 წლები - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

2013 წლიდან დღემდე - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

გელა მამულაძე 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, გამოქვეყნებული აქვს 4 სახელმძღვანელო და 1 მონოგრაფია. მისი ნაშრომები ეძღვნება ეკონომიკის მარკეტინგს, მენეჯმენტს, ბიზნესისა და გაყიდვების სფეროში არსებულ პრობლემებს და მათი დაძლევის გზებს. ის მონაწილეობდა 40-მდე საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

გელა მამულაძე კითხულობს ლექციებს შემდეგ დისციპლინებში: მარკეტინგის საფუძვლები, საერთაშორისო მარკეტინგი, ბიზნესის საფუძვლები, ეკონომიკური, სტრატეგიული მარკეტინგი, ბიზნეს-კომუნიკაციები, გაყიდვების ორგანანიზაცია.

ნანა მამულაძე

ნანა მამულაძე დაიბადა 1972 წლის 20 თებერვალს, დაბა ხულოში მოსამსახურის ოჯახში. 1978 წელს შევიდა ხულოს საშუალო სკოლის პირველ კლასში, მე-9 კლასის შემდეგ სწავლა განაგრძო მშობლიური კალოთის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა ვერცხლის მედალზე.

1989 წელს სწავლა განაგრძო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფია-ისტორიის სპეციალობაზე. უნივერსიტეტი დაამთავრა 1994 წელს წარჩინებით.

1995-1997 წლებში სწავლობდა უნივერსიტეტის ასპირანტურაში, პარალელურად მუშაობდა პედაგოგიკის დეპარტამენტში მოწვეული მასწავლებლის სტატუსით.

2008 წლის 29 დეკემბერს უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ღია სხდომაზე, ფაკულტეტზე პირველმა, დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ეროვნული ტრადიციები, როგორც აღზრდის საშუალება“ (აჭარაში დაცული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების მიხედვით) და მიენიჭა განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხი. 2009 წლიდან კონკურსითაა არჩეული განათლების დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე.

ეწევა სასწავლო-პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. გამოქვეყნებული აქვს 22 ნაშრომი, მასთან ერთი მონოგრაფია. მონაწილეობდა 17 ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში.

ნანა მამულაძე აგრძელებს ნაყოფიერ მუშაობას უნივერსიტეტში.

ჰყავს მეუღლე და შვილები.

გიგლა გაბაიძე

გიგლა გაბაიძე დაიბადა 1951 წლის 5 ნოემბერს ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში, მრავალშვილიან ოჯახში. 1968 წელს დაამთავრა ხიხაძირის შოთა რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლა.

1970-1972 წლებში იმყოფებოდა არმიის რიგებში.

გიგლა გაბაიძე 1975 წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1979 წელს. სტუდენტობის პერიოდში იყო სახელობითი სტიპენდიატი, აქტიურად მონაწილეობდა ინსტიტუტისა და ფაკულტეტის საზოგადოებრივ საქმიანობაში, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში და შრომით რაზმებში, რისთვისაც მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, პრემია, სიგელი და ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მადლობა.

გიგლა გაბაიძე, როგორც წარჩინებული კურსდამთავრებული, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, დატოვეს ინსტიტუტში სამუშაოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის კათედრაზე. 1979-1982 წლებში მან სწავლა განაგრძო ასპირანტურაში. მუშაობა დაიწყო იმავე კათედრაზე, სადაც გაიარა უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგისთვის განსაზღვრული საფეხურები – ლაბორანტიდან დოცენტის თანამდებობამდე. ამჟამად იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პრო-

ფესორია და აქტიურად ემსახურება სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდასა და პროფესიონალ სპეციალისტად ჩამოყალიბების საპატიო საქმეს.

გიგლა გაბაიძე აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდითა და დაფინანსებით ჩტარებულ არაერთ ღონისძიებაში, კონფერენციაში და სემინარში როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. მიღებული აქვს საერთაშორისო გამოცდილება და კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი სერთიფიკატები.

გიგლა გაბაიძემ 2008 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მართვის ორგანიზაციისა და სტრუქტურის სრულყოფის გზები აგრარულ სექტორში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე)“ და მიენიჭა ბიზნესის მართვის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

მას აგრარული ეკონომიკისა და მართვის, აგრეთვე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და განვითარების საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და სასწავლო-მეთოდური ნაშრომი. იგი არის ერთი მონოგრაფიის და ოთხი დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი.

გიგლა გაბაიძეს ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

ბესიკ ბაუჩაძე

ბესიკ ბაუჩაძე დაიბადა 1971 წლის 26 ივლისს ხულოს რაიონის სოფელ კალოთში პედაგოგის ოჯახში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტის საინჟინრო-ეკონომიკის სპეციალობაზე.

1994 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციით და დაიწყო შრომითი საქმიანობა. იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის კათედრის, შემდეგ ფინანსებისა და დარგობრივი ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის კათედრის მასწავლებელი, 2009 წლიდან არის ასოცირებული პროფესორი. პარალელურად მუშაობდა ბათუმის საზღვაო აკადემიაში, იყო ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი.

2009 წლის 27 იანვარს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ეკონომიკური სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„საქართველოს აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირება და განვითარება გარდამავალ პერიოდში“ და მიენიჭა ბიზნესის მართვის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

გამოქვეყნებული აქვს 18 ნაშრომი, მათ შორის მეტად საინტერესო და აქტუალურია „ტურისტული ბიზნესის განვითრების პერსპექტივები მადალმთიან აჭარაში“. გამოსცა სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის, საკონტროლო კითხვები ბუღალტრული აღრიცხვის თეორიულ საფუძვლებში და სხვა.

მონაწილეობდა სამეცნიერო ფორუმებში ბათუმში, ქუთაისში, თბილისში. იცის უცხო ენები: რუსული, გერმანული.

2013 წლიდან ბესიკ ბაუჩაძე დააწინაურეს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად, 2014 წლის ივნისში კი აირჩიეს ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლად.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ვაჟა მამულაძე

ვაჟა მამულაძე დაიბადა 1973 წელს ხულოს რაიონის სოფელ კალოთაში. 1990 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა.

1991 წელს ჩაირიცხა საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციასთან არსებულ ბიზნესის მცირე აკადემიაში, ბიზნესის ფაკულტეტზე, ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობაზე, რომლის სრული კურსი წარჩინებით დაამთავრა 1995 წელს და მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია.

2009 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მცირე ჩაის პლანტაციების მცირე კონტურიან ნაკვეთებში მინერალური სასუქების შეტანით მცირე მექანიზაციის ტექნოლოგიის დამუშავება“ და მიენიჭა ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

ვაჟა მამულაძის სამუშაო გამოცდილება ასეთია:

1996-1997 წლები – ქალაქ ბათუმის სავაჭრო გაერთიანება, ვაჭრობის ინსპექტორი;

1991-2004 წლები – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთ სამინისტროს მთავარი სპეციალისტი;

2004-2005 წლები – ქალაქ ბათუმის სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტის მასწავლებელი;

2005-2006 წლები – ქალაქ ბათუმის მერიის საფინანსო სამსახური, სახაზინო განყოფილების წამყვანი სპეციალისტი. 2006 წლიდან დღემდე არის მერიის სახაზინო განყოფილების უფროსი.

ვაჟა მამულაძე არის 20-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის ერთი მონოგრაფიისა. მისი სამეცნიერო ნაშრომები ეძღვნება მიკროეკონომიკის, სოციალური ეკონომიკის, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და ბიზნესის სფეროში არსებულ პრობლემებს და მათი დაძლევის გზებს. მონაწილეობდა 15-მდე საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მუშაობაში.

მაგული ბოლქვაძე

მაგული ბოლქვაძე დაიბადა 1969 წლის 2 აგვისტოს ხულოს რაიონის სოფ. ფაჩხაში. 1986 წელს დაამთავრა ფაჩხის საშუალო სკოლა.

1989 წელს სწავლა დაიწყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე, ქიმია-ბიოლოგიის სპეციალობით, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1994 წელს.

2001-2004 წწ სწავლა განაგრძო ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში ბიოტექნოლოგიების სპეციალობაზე.

2003 წელს ჩაირიცხა და 2006 წელს დაამთავრა საქართველოს შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტის სამეურნეო სამართლის სპეციალობა.

2009 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე; „ვიტამინშემცველი მცენარეული დანამატებით ჩაის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია“. მინიჭებული აქვს სოფლის მეურნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1994 წელს შუახევის რაიონის ჯაბნიძეების საშუალო სკოლაში ქიმიის მასწავლებლად, შემდეგ მეთოდისტად.

1999-2002 წლებში მუშაობდა ბათუმის №1 პროფილურ გიმნაზიაში ბიოლოგიის მასწავლებლად.

2005-2007 წლებში – ბათუმის №7 საჯარო სკოლაში ქიმიის მასწავლებლად.

2007-2008 წლებში – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში მთავარ სპეციალისტად.

2009-2011 წლებში – შპს „მომავლის სკოლა“-ში ქიმიის მასწავლებლად.

2011-2013 წლებში – აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვისცენტრში ტექნოლოგად.

2013 წლიდან დღემდე მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაციაში TNS-ის კონსულტანტად.

ხათუნა (გუგული) ბოლქვაძე

ხათუნა (გუგული) ბოლქვაძე დაიბადა 1975 წლის 11 აპრილს ხულოს რაიონის სოფელ ფაჩხაში. მამა - მიხეილ ბოლქვაძე არის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი (ამჟამად პენსიონერი), დედა სულიკო ბოლქვაძე - დიასახლისი.

1992 წელს დაამთავრა ფაჩხის საშუალო სკოლა. 1993 წელს ჩაირიცხა და 1998 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტის წყლის ბიორესურსების სპეციალობა.

2001-2004 წლებში სწავლობდა ანასეულის ჩაის და სუბტროპიკული კულტურების მრეწველობის საწარმოო გაერთიანების ასპირანტურაში სუბტროპიკული კულტურების სპეციალობაზე.

2003 წელს ჩაირიცხა და 2006 წელს დაამთავრა საქართველოს შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტის სამეურნეო სამართლის სპეციალობა.

2009 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „გასხვლის სახეების გავლენა გადაზრდილი ჩაის პლანტაციების რეგენერაციის უნარიანობაზე და ბუჩქების ბიოპროდუქტიულობაზე”, მიენიჭა სოფლის მეურნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხი აგროტექნოლოგიის სპეციალობით.

1999-2001 წლებში მუშაობდა ხულოს რაიონის სოფ. განახლების საშუალო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად.

2005-2010 წლებში მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის რეგიონული საკოორდინაციო ცენტრის უფროს მეცნიერმუშაკად.

2010-2011 წლებში – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტის უფროს მასწავლებლად.

2005-2010 წლებში – სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალში სხვადასხვა თანამდებობებზე, ხოლო 2011 წლიდან დღემდე მუშაობს ფილიალის მთავარ სპეციალისტად (მონიტორი).

მეუღლე - ედუარდ ბოლქვაძე მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ა/რ სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებლად; შვილი - ილია ბოლქვაძე ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის I კურსის სტუდენტია.

რომან მამულაძე

რომან მამულაძე დაიბადა 1967 წელს ხულოს რაიონის სოფელ კალოთაში. 1974-1982 წლებში სწავლობდა ხულოს რაიონის კალოთის რვაწლიან სკოლაში, ხოლო 1982-1984 წლებში – ხიხაძირის საშუალო სკოლაში. 1984 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საავტომობილო-საგზაო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1991 წელს და მიენიჭა ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია.

პარალელურად, 1988-1991 წლებში, სწავლობდა საქართველოს ტექნიკური უნივრსიტეტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე „სამართალმცოდნეობის“ სპეციალობით. მინიჭებული აქვს სამართალმცოდნის კვალიფიკაცია.

1992-1995 წლებში სწავლობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტურაში სპეციალობით – „ტრანსპორტის ექსპლოატაცია“.

1995 წელს მუშაობა დაიწყო ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის №83 ზოგადტექნიკურ კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე.

2000-2012 წლებში მუშაობდა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში სხვადასხვა თანამდებობაზე: იყო უფროსი მასწავლებელი, კათედრის გამგის მოადგილე, კათედრის გამგე, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რამდენიმე მიმართულების ხელმძღვანელი. 2012 წლიდან დღემდე ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანია, არის აკადემიის სრული პროფესორი. **2006 – 2013 წლებში იყო**

ბსუ ასოცირებული პროფესორი. იგი არის 40-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, ერთი სახელმძღვანელოს ავტორი. ლექციებს კითხულობს ეკონომიკის შემდეგ დისციპლინებში: ლოჯისტიკა, სატრანსპორტო და საბაჟო ლოჯისტიკა, საგარეო სავაჭრო ოპერაციები და მულტიმოდალური გადაზიდვები, ბიზნესის პროექტირება, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, მსოფლიო ეკონომიკა და მარკეტინგის საფუძვლები.

რომან მამულაძემ 2011 წლის 14 მაისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია – მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირების მთავარი ფაქტორი“ და მიენიჭა ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი. იგი არის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრი, გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და მიღებული აქვს ორი საავტორო მოწმობა გამოგონებაზე.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

გივი აბაშიძე

გივი აბაშიძე დაიბადა 1954 წელს, ხულოს რაიონის სოფელ კალოთაში. ხიხაძირის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე, რომელიც დაამთავრა 1975 წელს და მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის პროკურატურის გამომძიებლად. 1982 წლის თებერვლიდან იგი დააწინაურეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორად, 1983 წლის სექტემბრიდან - ქედის, 1991 წლიდან - ხელვაჩაურის რაიონის პროკურორად, 1994 წლის ნოემბრიდან - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსად. 1996 წლის აგვისტოში დაინიშნა ქ. ბათუმის პროკურორად, 1999 წლის ივნისში - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილედ. ორჯერ ასრულებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობას. 2003 წლის ნოემბრიდან დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლედ და საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარედ. 2005 წლის ნოემბრამდე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ლიკვიდაციამდე, ასრულებდა ამავე სა-

სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის თავმჯ-დომარის მოვალეობას.

ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდები. ამჟამად არის რეზერვი-მოსამართლე.

2012 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „პროკურორი გამოძიების სტადიაზე“ და მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს 60-მდე სამეცნიერო სტატია, ნაშრომი, მათ შორის, 9 მონოგრაფია, 4 სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის. გამოქვეყნებული სახელმძღვანელოებია: 1) პროკურორი, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის სუბიექტი (გამოძიების სტადიაზე); 2) პროკურორი - გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი; 3) სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), თანაავტორობით; 4) სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), თანავტორობით.

გივი აბაშიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში. ხელმძღვანელობდა ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხის მაძიებელ სტუდენტებს. არის საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის „სოციალური ეკონომიკა“ და სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „ცხოვრება და კანონი“ სარედაქციო კოლეგიების წევრი. **ამჟამად ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია,** ეწევა პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას, კითხულობს ლექციებს სისხლის სამართალში.

გივი აბაშიძე დაჯილდოებულია ღირსების მედლით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით, სამკერდე ნიშნით, ფასიანი საჩუქრებით. მინიჭებული აქვს იუსტიციის უფროსი მრჩევლის საკადრო ჩინი.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

ვლადიმერ ხალვაში

ვლადიმერ ხალვაში დაიბადა 1941 წლის 22 ივნისს, ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში, მრავალშვილიან ოჯახში.

1958 წელს წარჩინებით დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1963 წელს დაამთავრა.

სტუდენტობის წლებში გამოირჩეოდა ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით, სამეცნიერო კვლევა-ძიების უნარით, რის გამოც ვლადიმერ ხალვაში დატოვეს სამუშაოდ კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე. ამავე დროს, იგი კითხულობდა ლექციებს ანალიზურ გეომეტრიაში, უმაღლეს ალგებრასა და ელემენტარულ მათემატიკაში, უძღვებოდა პრაქტიკულ კურსებს

მათემატიკურ ანალიზში. 1980 წლიდან ვლადიმერ ხალვაში მათემატიკის კათედრის უფროსი მასწავლებელია. მან რამდენიმე სამეცნიერო და მეთოდური ხასიათის შრომა მიუძღვნა მათემატიკური ანალიზის პრაქტიკული ცოდნის კურსის სწავლების საკითხებს.

მისი კვლევის ძირითადი თემაა ელემენტარული მათემატიკის რჩეული საკითხები, კერძოდ: მთელზომებიანი გეომეტრიული ფიგურები და მათი თვისებები: მის სახელს უკავშირდება ჰერომაგიური ფიგურების ცნება და ასეთი ფიგურების კატალოგების შექმნა. შეადგინა და გამოსცა ე.წ. ჰერონეს სამკუთხედების ლექსიკოგრაფიულად დალაგებული კატალოგები სამ ნაწილად.

ვლადიმერ ხალვაშმა ელემენტარული მათემატიკის რჩეულ საკითხებს მიუძღვნა ისეთი საინტერესო წიგნები, როგორიცაა: 1. მთელ რიცხვთა არითმეტიკა, 2. მაღალი ხარისხის ალგებრული განტოლებები, 3. უტოლობათა დამტკიცება, 4. მათემატიკა – სწრაფვა სილამაზისაკენ, 5. მარტივი რიცხვები მაგიურ ფიგურებში, 6. საკრალური მაგიური კვადრატი, 7. ს.ა. რაჩინსკი - ბოტანიკის პროფესორი და არითმეტიკის მასწავლებელი, 8. მაგიური ფიგურები. აღნიშნული ნაშრომები მან შექმნა დოცენტ თ. წულუკიძესთან ერთად.

ვლადიმერ ხალვაში ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას. მან არაერთი წიგნი გადასცა სკოლებს, ბიბლიოთეკებს. ასევე შეაგროვა და თხილვანის ეთნოგრაფიულ მუზეუმს გადასცა სამასზე მეტი მხატვრული და არამხატვრული წიგნი.

დიდებულ ოჯახში დაბადებული და გაზრდილი ვლადიმერ ხალვაში თავადაც ღირსეული ოჯახის მეთაური, ერთგული მეუღლე, მამა და ბაბუაა.

ანზორ ცეცხლაძე

(1946-2011)

ანზორ ოსმანის ძე ცეცხლაძე ეკუთვნის სხალთა-ხიხანის ხეობის იმ თაობას, რომელსაც ცხოვრება და საქმიანობა მოუხდა XX საუკუნის მეორე ნახევარსა და XXI საუკუნის დასაწყისში. მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში, და ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად, თავისი კვალი დატოვა ცხოვრებაში.



ანზორ ცეცხლაძე დაიბადა 1946 წლის 5 იანვარს, ხულოს რაიონის სოფელ სკვანაში. დედა – თამარ მიხეილის ასული ჩიქოვანი აჭარის დამსაურებული პედაგოგი გახლდათ, მამა – ოსმან ქესკინის ძე ცეცხლაძე, საკოლმეურნეო მშენებლობის ორგანიზატორი, წლების განმავლობაში იყო სოფლის თავკაცი.

ანზორმა 1963 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა. მუშაობდა კოლმეურნეობაში, იმსახურა ჯარში. 1973 წელს ჩაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობაზე. დაამთავრა 1978 წელს ეკონომისტის დიპლომით. სტუდენტობის დროს არჩეული იყო თბილისის სტუდქალაქის გაერთიანებული საბჭოს თავმჯდომარედ.

1978 წლიდან მუშაობდა აჭარის სტატისტიკის სამმართველოს უფროსად. 1984 წელს დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ, შემდეგ – აგროსამრეწველო კომპლექსის განყოფილების უფროსად, 1989 წლიდან აჭარის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა.

1984 წელს დაამთავრა საქ. მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა. მუშაობდა სადოქტორო თემაზე. 1991 წლის 10 ივლისს არჩეული იქნა აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატად. მონაწილეობა მიიღო მხოლოდ პირველი სესიის მუშაობაში. იმავე წლის 1 აგვისტოს შეეძინა ნანატრი ვაჟიშვილი. სიხარულის განცდებით გამოწვეული გულის ინფარქტით მოულოდნელად გარდაიცვალა ტრაგიკულად. შვილს დაარქვეს სახელად ანზორი. პატარა ანზორი და მისი დედა აგრძელებენ დიდი ანზორის ცხოვრების, ღირსეული ოჯახის სახელოვან ტრადიციებს. სამწუხაროდ, დისერტაციის დაცვა არ დასცალდა.

ანზორ ცეცხლაძის სახით, სხალთა-ხიხანის ხეობამ, აჭარამ დაკარგა შესანიშნავი პიროვნული თვისებებითა და მაღალი ინტელექტით აღსავსე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პერსპექტიული პიროვნება. მას დიდი სიყვარულით იგონებს ყველა, ვინც იცნობდა, ან ვისთან ერთადაც მუშაობდა.

ვლადიმერ მამულაძე

ვლადიმერ მახმუდის ძე მამულაძე დაიბადა 1953 წლის 1 თებერვალს, ხულოს რაიონის სოფელ კალოთაში, მრავალშვილიან, შრომისმოყვარე ოჯახში. მე-7 კლასამდე სწავლობდა კალოთის 8-წლიან სკოლაში, შემდეგ, თანასოფლელი შალვა ბაუჩიძის, ამავე სკოლის წარჩინებული მოსწავლის, შემდგომში სახელოვანი მეცნიერისა და დამსახურებული მოღვაწის მიბაძვით, სწავლა გააგრძელა თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლაში. 1970 წელს ჩაირიცხა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტი) სამშენებლო ფაკულტეტზე.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, აქტიურად ჩაერთო კომკავშირულ და პარტიულ საქმიანობაში. იყო კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1978-1982 წლებში – პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი. 1982-1992 წლებში დაწინაურდა შუახევის რაიონის ხელმძღვანელ თანამდებობაზე. 1992-2004 წლებში იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრის პირველი მოადგილე. 2005 წლიდან მუშაობდა აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპარტამენტის უფროსად.

ბატონი ვლადიმერი ეწევა საზოგადოებრივ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. არის დავით მამულაძის სახელობის საზოგადოება „მოამაგის“ დაფუძნების ერთ-ერთი ინიციატორი და გამგეობის თავმჯდომარე. ამ საზოგადოების ეგიდით არაერთი საინტერესო და საჭირო ღონისძიება ჩატარდა, აგრეთვე, მომზადდა და გამოქვეყნდა მრავალი სტატია, ნაშრომი თუ მონოგრაფია გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების შესახებ.

ვ. მამულაძე შესანიშნავი კალმოსანია. ის არის თანაავტორი წიგნებისა: „შუახევი“ (1995), „ხიხანის სარწივოდან“ (1998, წიგნი მიეძღვნა გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, დავით მამულაძის ცხოვრება-მოღვაწეობას), „საბედისწერო მგზავრობა“ (ასახულია 1965 წელს ბათუმი-ახალციხის გზის ზამლეთ-ხულოს მონაკვეთზე მომხდარი საბედისწერო შემთხვევა). ამჟამადაც მუშაობს ახალ წიგნზე.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილები.

ვლადიმერ მამულაძე მრავალმხრივ გამოცდილი, ნიჭიერი ორგანიზატორი და ენერგიით აღსავსე პიროვნებაა, რომელმაც ბევრი სიკეთე მოუტანა და კიდევ მეტის მოტანა შეუძლია საზოგადოებისთვის, კუთხისა და ხეობისათვის.

მესამე განყოფილება

თხილვანის სკოლის ისტორია

§1. პირველი ქართული სკოლები აჭარაში (1881-1915 წწ.)

დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ერთი უპირველესი საქმე, რომელსაც „წერა-კითხვის საზოგადოება“ შეუდგა... იყო სახალხო სკოლის დაარსება ბათუმში (საუბარია ქ. ბათუმში 1881 წელს გახსნილ ქართულ სკოლაზე – ავტ.). განზრახვა, რომელმაც გამოიწვია ამ სკოლის დაფუძნება, მდგომარეობდა იმაში, რომ ახლად შემოერთებული მაჰმადიან ქართველთა შვილები მიეზიდნა, პირველ-დაწყებითი განათლება მიეცა მათთვის, გაემართნა ქართულს წერა-კითხვაში, მათის შუამავლობით შემდეგში გაევრცელებინა აჭარა-ქობულეთში ქართულის წიგნის ცოდნა და ამ გზით განეახლებინა კავშირი ღვიძლთა ძმათა შორის, რომელნიც ულმობელმა ბედმა ერთმანეთს გაჰყარა წარსულს საუკუნეებში ათასის წლის ძმურის ისტორიული ცხოვრებისა და ერთად მოქმედების შემდეგ.[1] “

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად, აჭარა სამუდამოდ დაუბრუნდა დედასამშობლო საქართველოს. ცარიზმის რუსიფიკატორული, ანტიქართული პოლიტიკის მიუხედავად, წინა პერიოდთან შედარებით, გარკვეულად შეიცვალა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა აჭარაში. მხარე ჩაერთო ერთიანი საქართველოს ცხოვრების ფერხულში, თუმცა მოსახლეობა საგანმანათლებლო კულტურული ცხოვრებით, ეროვნული თვითშეგნებით დიდად ჩამორჩებოდა საქართველოს სხვა კუთხეებს.

ქართველი ერი, მისი მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეები აჭარის მოსახლეობის სამსახურში ჩადგნენ. მათთვის ერთ-ერთ უპირველეს ეროვნულ-პატრიოტული ზრუნვის საგანს წარმოადგენდა აჭარაში ქართული სკოლების გახსნა, მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერება, სწავლა-განათლებისადმი ინტერესის გაღვივება.

რუსეთის მთავრობა აჭარლებს არაქართველებად თვლიდა და ქართული სკოლების გახსნას მხარს არ უჭერდა, მეტ ყურადღებას უთმობდა ადგილობრივთა თურქულ და რუსულ ენებზე სწავლებას და მხოლოდ რუსულ სკოლებს აფინანსებდა.

აჭარაში სკოლების გახსნაში უპირველესი დამსახურება მიუძღვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, კერძოდ, მის თავმჯდომარეს ილია ჭა-ვჭავაძეს, რომლის გარდაცვალების

[1] იაკობ გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II, თბ., „განათლება“, 1987, გვ. 59.

შემდეგ საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა ცნობილი სამხედრო მოღვაწე და მეცნიერ-მკვლევარი გიორგი ყაზბეგი.

აჭარელთა ცხოვრებაში დიდი ისტორიულ-გეოგრაფიული მნიშვნელობის მოვლენა იყო ქ. ბათუმის პირველი ქართული სკოლის საზეიმო გახსნა, რომელზეც სპეციალურად ჩამოვიდა და სიტყვა წარმოთქვა დიდმა ილიამ. სწორედ საუკუნეებით ჩამოწოლილი სიბნელის და სიდუხჭირის შემდეგ აჭარელთა შვილები პირველად აქ ეზიარნენ ქართულ ანბანს, ი. გოგებაშვილის „დედაენას“, პირველად აქ აინთო განათლების ჩირაღდანი, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა შემდგომში ამ მხარეში ქართული სკოლების გახსნის საქმეს.

ბათუმში მოქმედებდა რამდენიმე რუსული, სომხური, ბერძნული, თურქულენოვანი სასწავლებელი, ორი გიმნაზია, ვაჟთა და ქალთა, მარინეს ქალთა სასწავლებელი, ექვსკლასიანი საქალაქო სასწავლებელი, პუშკინის, გოგოლის სახელობის სომხური და ბერძნული სასწავლებლები. ეს დაწყებითი სკოლები რუსეთის იმპერიის განათლების სამინისტროს ბალანსზე ირიცხებოდა, მაგრამ მნიშვნელოვანწილად ქალაქის ბიუჯეტიდანაც ფინანსდებოდა. რუსულენოვანი სასწავლებლები მოქმედებდნენ აგრეთვე ქობულეთში, ქედაში, ხულოში და სხვაგან, მაგრამ აღნიშნულ სკოლებში სწავლა კი არა, ქართულ ენაზე საუბარიც იკრძალებოდა. აჭარის სოფლებში ბავშვები სწავლობდნენ მუსლიმანურ სასულიერო სასწავლებლებში – მედრესეებში, სადაც მათ არაბულ ენაზე მოლა-ხოჯები ამეცადინებდნენ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ყოველწლიურად აძლიერებდა მუშაობას საქართველოში ქართული სკოლების გასახსნელად, რისთვისაც ერის მოწინავე ადამიანები ეწეოდნენ სათანადო ახსნა-განმარტებით, ორგანიზაციულ საქმიანობას და შედეგსაც აღწევდნენ. როგორც ქვეყანას, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას სერიოზული სიძნელები შეუქმნა რუსეთ-თურქეთს შორის 1914 წელს დაწყებულმა ომმა, რომელიც შემდგომში პირველ მსოფლიო ომში გადაიზარდა. უკიდურესად გაჭირვებაში მყოფი საქართველო კიდევ უფრო ღრმა სიდუხჭირეში ჩავარდა. მოსახლეობა მოიცვა შიმშილმა, სიცივემ, გადამდებმა დაავადებებმა. ყოველივე ამან დიდი უარყოფითი ზეგავლენა იქონია საგანმანათლებლო საქმიანობაზე.

ჩვენი კუთხის გამოჩენილი პატრიოტი ჰაიდარ აბაშიძე წერდა: „1914 წლის ნოემბერ-დეკემბერში თურქეთი შემოიჭრა არდაგანს, არტანუჯს, შავშეთ-იმერხევს, მოაღწია აჭარისწყლამდე და ეს კუთხეები განადგურების კარამდე მიიყვანა. აჭარაში კი მრავლად გადამწვარ-უპატრონოდ მიტოვებულ სოფლებში მხოლოდ ძაღლების შემზარავი ღმუილი და კატების საცოდავი კნავილი ისმოდა, რომლის ცოცხალი მოწმე პირადად მეც ვიყავი“.[1]

[1] ჰ. აბაშიძე, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 4 იანვარი, 1960.

პირველი ქართული სკოლების გახსნის თარიღები და სოფლები თავიანთ ნაშრომებში გამოკვლეული აქვთ პედაგოგიურ საზოგადოებაში აღიარებულ მკვლევრებს: ვლადიმერ ჭანტურიას «Просвещение в Аджарии», გრიგოლ ბაბილოძეს – „ნარკვევი განათლებისა და კულტურის ისტორიიდან აჭარაში“, აბელ სურგულაძეს – „პირველი ქართული სკოლა ხუცუბანში“, დიმიტრი ხოზრევანიძეს – „სკოლა მთაში“, ეთერ ცივაძეს – „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარება აჭარის ასსრ-ში“, ვახტანგ წულუკიძეს – „განათლების ისტორიისათვის აჭარაში“, ვაჟა მაკარაძეს – „ჩემო სკოლავ, მაღალ მთაზე ტაძარივით დადგმულო“, მერი დიასამიძეს – „საუკუნოვანი სკოლა“, ვახტანგ მაკარაძეს – „გამონათლევის გამონათება,“ იოსებ ხალვაშს – „სკოლა ხიხანის ძირას”, ნოდარ ბასილაძეს – „ქართული პედაგოგიკის ისტო-რია“ და სხვა.

აღნიშნულ მკვლევართა ნაწილი ქართული სკოლების გახსნის თარიღად 1915 წელს მიიჩნევს, ნაწილი კი 1916 წელს ასახელებს.

აჭარაში სახალხო განათლების საქმის განვითარებაზე მიძღვნილ მრავალ მონოგრაფიას შორის გამოვყოფდით 2002 წელს სს „გამომცემლობა აჭარის“ მიერ გამოცემულ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მალხაზ სიორიძის ფუნდამენტურ მონოგრაფიას „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო 1914-1918 წლებში“. ავტორმა დასაბუთებულად, ღრმა მეცნიერულ დონეზე ასახა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა.

პროფესორი მალხაზ სიორიძე ვრცლად მოგვითხრობს
ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პირველი მსოფლიო ომის პროცესებზე, ომისწინანდელ და ომისდროინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე, როცა საომარ მოქმედებათა შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრებთა სახლ-კარი განადგურდა, ათასობით ადამიანი ლტოლვილად იქცა, ადგილობრივი, აჭარელი მოსახლეობა ცარიზმის ხელისუფლებამ „მოღალატეებად“ გამოაცხადა, რასაც მოჰყვა პატრიოტთა დაპატიმრებები, სასამართლო პროცესები და რეპრესიები. ომმა ყველაზე მეტად სკოლები და მასწავლებლები დააზარალა. 1914 წლის ოქტომბრის დამლევს, ბათუმის ციხესიმაგრის კომენდანტის განკარგულებით, ისევე როგორც ზღვისპირა სხვა ქალაქების და რაიონების, ქალაქის სახაზინო სასწავლებლები, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები, მარინეს ქალთა სასწავლებელი და უმაღლესი დაწყებითი სკოლა და მათი პედაგოგები სასწავლო პროცესის გასაგრძელებლად ქუთაისში იყვნენ ევაკუირებული. მეცადინეობა შეწყდა, აგრეთვე, ქალაქის ექვსივე დაწყებით სკოლაში, სადაც ძირითადად ღარიბთა შვილები სწავლობდნენ.

ამგვარად, 1914-1915 წლების ომიანობის პერიოდში არათუ იხსნება ახალი ქართული სკოლები, არამედ იხურება ან იზღუდება ფინანსურად, მატერიალურად. პირველმა მსოფლიო ომმა და მისმა თანმდევმა მოვლე-

ნებმა ჩაშალეს ზოგადქართული წამოწყებები, კერძოდ, 1913-1921 წლებში დაწყებით განათლებაზე გადასვლის პროგრამა.

1906 წლიდან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ პარალელურად, გიორგი ყაზბეგის თაოსნობით, თბილისში დაარსდა ქართველთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების კავშირი, რომლის თავმჯდომარე პირველ ხანებში მ. მაჩაბელი, ხოლო მდივანი პავლე საყვარელიძე იყო. კავშირმა დიდი მუშაობა გაშალა ომისგან დაზარალებული და დამშეული აჭარისთვის დახმარების აღმოსაჩენად. ეს ორგანიზაცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ და შეძლო სკოლების გახსნა, წიგნების გამოცემა, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსება, ომში დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენა და სხვ. მის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები: ისტორიკოსები ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, მწერალი გერონტი ქიქოძე, ექიმი და კრიტიკოსი ივანე გომართელი, პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე და სხვ. 1915 წლისთვის საზოგადოებას ჰყავდა 1500 წევრი, რომლებიც იხდიდნენ საწევრო ანარიცხებს. შემუშავდა საქველმოქმედო საზოგადოების ახალი წესდება, რომელიც დაამტკიცეს 1916 წლის 15 იანვრის სხდომაზე. ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს გიორგი ყაზბეგი, მის ამხანაგად (მოადგილედ) – ექვთიმე თაყაიშვილი, მოლარედ – გრ. რცხილაძე, მდივნად – რ. ცინცაძე. სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ: ლ. ბოცვაძე, ა. გოთუა, ალ. მიქაბერიძე, გრ. ნათაძე, გრ. ყიფშიძე, ზ. ჭიჭინაძე, განიხილეს აჭარაში ქართული სკოლების გახსნის საკითხი. ამ დანიშნულებით საზოგადოებამ 16 ათასი, ასევე, ყოველთვიური ხარჯებისთვის – 8 ათასი მანეთი გამოჰყო. აჭარაში სკოლების გახსნის ხელმძღვანელობა დაეკისრა ცნობილ პედაგოგსა და პატრიოტს იერემია გულისაშვილს, რომლის მონაწილეობით ჯერ კიდევ 1916 წლის 2 იანვარს ბათუმში მოწვეულ იქნა საზგადოების აჭარის განყოფილების გამგეობის სხდომა. ამ შეკრებას თავმჯდომარეობდა აჭარაში პირველი უმაღლესდამთავრებული, პატრიოტი პიროვნება რეჯებ ნიჟარაძე. მომდევნო სხდომა გაიმართა იმავე წლის 26 თებერვალს, სადაც იერემია გულისაშვილმა და არსენ წითლიძემ შეკრებილთ გააცნეს სკოლების გახსნასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების მდგომარეობა. მათი მოხსენების საფუძველზე ადრინდელ გეგმაში შეიტანეს კორექტივრები, რომელთა საფუძველზე შედგა ხარჯთაღრიცხვა და გამოიყო თანხები: სკოლებისთვის, წლიურად 60 ათას მანეთზე მეტი, სამგზავრო ხარჯებისთვის მიეცათ: ი. გულისაშვილს – 122, არ. წითლიძეს – 100 მანეთი.

ამგვარად, 1916 წლის და არა 1915 წლის დასაწყისში მომზადდა მატერიალურ-ორგანიზაციული პირობები აჭარაში პირველი ქართული სკოლების გასახსნელად.

ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა 1916 წლის 3 მარტს თბილისში აჭარელთ 20-კაციანი დელეგაციის ჩასვლამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ პროგრესული მოღვაწეები: გულო კაიკაციშვილი, მემედ აბა-

აჭარის დეპუტაცია ქ. თბილისში. 1916 წლის 3 მარტი

შიძე, რეჯებ ნიჟარაძე, თემურ ხიმშიაშვილი, ისკენდერ ცივაძე და სხვები. ქართველთა საზოგადოებამ მათ დიდი ნადიმი გაუმართა. გარდა ამისა, მათი შუამდგომლობით დელეგაცია შეხვდა კავკასიის მთავარმართებელს და თავისი მოთხოვნები წაუყენა. **პირველი და ძირითადი იყო აჭარელთათვის გამოგონილი ღალატის მოხსნა.**

ამ შეხვედრის შემდეგ, 1916 წ. მარტის დასაწყისში, რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება აჭარელთა მიმართ ერთგვარად შერბილდა, რამაც დასაბამი მისცა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებების, სკოლების, სანახაობითი დაწესებულებების გახსნას.

ამ მოსაზრების, უფრო სწორად არსებული რეალური სინამდვილის, ნათელსაყოფად მოვიშველიებთ რამდენიმე მეცნიერულ გამოკვლევას და ამ პროცესების თანამონაწილეთა ცნობებს.

ჩვენ ხელთ გვაქვს ქობულთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სულეიმან ისმაილის ძე კაიკაციშვილის (გულო აღა კაიკაციშვილის ძმისშვილის) ნარკვევი „მნიშვნელოვანი თარიღი მოგონების ღირსია“, რომელშიც გადმოცემულია სოფელ ხუცუბანში პირველი ქართული სკოლის გახსნის ისტორია.

გულო კაიკაციშვილის ძმისშვილი, 10 წლის სულეიმანი (1903-1983), რომელიც საზოგადოების ხარჯით თბილისში სწავლობდა, 1914 წელს გიორგი ყაზბეგმა საცხოვრებლად საკუთარ სახლში წაიყვანა, თავად ხელმოკლე გენერალი მზრუნველობას არ აკლებდა მისთვის ძალზე კარგად ნაცნობი მხარის შვილს და, ალბათ, კიდევ დიდხანს ეყოლებოდა, რომ არა საზოგადოების მდივნის დავით კარიჭაშვილის გადაწყვეტილება. დავითმა კარგად იცოდა, რომ გიორგი ყაზბეგს თავადაც უჭირდა, ამიტომ მოგვიანებით სულეიმან კაიკაციშვილი მან თავის სახლში გადაიყვანა. ასეთი მშობლიური მზრუნველობით, სულეიმანი განათლებულ ინტელიგენტად ჩამოყალიბდა და დიდხანს იღვაწა აჭარის სკოლებში. ჩვენს ხელთ არსებულ მოგონებაში სულეიმანი მოგვითხრობს: „1914 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებს მიერ მე და მურად გუნთაიშვილი გაგზავნილი ვიქენით თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც ჩაგვრიცხეს შესაფერის კლასებში. ყველაზე სასიამოვნო მინდა მოვიგონო 1915 წლის 23 დეკემბერს თბილისიდან არდადეგებზე სოფელში ჩამოსვლა.“

ქობულეთში ჩამოსვლისთანავე მურადი თავისიანებთან წასულა, სულეიმანს კი ფეხით გაუწევია სახლისკენ. ამ დროს მას წამოწევია მგზავრებიანი ეტლი, რომელშიც მეეტლესთან ერთად მსხდარან „სამი ცილინდრიანი, სიმპათიური ადამიანი“. მათგან ერთ-ერთს გიმნაზიელის ფორმაში გამოწყობილი სულეიმანისთვის ქართულად უკითხავს: – სადაური ხარ, ყმაწვილო? მას უპასუხია, რომ სოფელ სამებიდან იყო. ეს ჭაღარა კაცი მისულა სულეიმანთან, აუღია მისი ხელბარგი და მიუწოდებია მეეტლესთვის, გიმნაზიელი კი წინ დაუსვამთ და გამგზავრებულან. ამ ჭაღარა კაცს როცა გაუგია, რომ კაიკაციშვილია, მეორე მაღალ კაცს უკითხავს, ვისი შვილია, სულეიმანის პასუხზე მას უთქვამს: აბა, ჩვენი ისმაილის შვილი ხარ? როგორც შემდეგ გაირკვა, ჭაღარა კაცი იერემია გულისაშვილი, მაღალი კაცი რეჯებ ნიჟარაძე, ხოლო მესამე – არსენ წითლიძე ყოფილა.

ბატონი სულეიმანი მოგვითხრობს, მისი თანდასწრებით თუ როგორ შეხვდნენ სტუმრები სოფელ ხუცუბნის ცენტრში მყოფთ, როგორ გააბეს მათთან ბაასი, მოითათბირეს და აუწყეს სოფელში პირველი ქართული სკოლის გახსნის განზრახვა. მთელი რიგი ახსნა-განმარტებითი და ორგანიზაციული საკითხების ჩატარების შემდეგ გადაწყვეტილა სკოლის გახსნისა და სწავლის დაწყების თარიღი. ბატონი სულეიმანის გადმოცემით, ხუცუბნის პირველი ქართული სკოლა გახსნილა 1916 წლის 16 მარტს ხუსეინ მოწყობილის ძველ საცხოვრებელ სახლში. ამავე დღეს გახსნილა სკოლა სოფელ ალამბარში, მარტის პირველ რიცხვებში სოფელ ყოროლისთავში, ხოლო აჭარის დანარჩენ სოფლებში მომდევნო რიცხვებში.

ამ მომენტის აღწერის ერთგვარი გაგრძელებაა გაზეთი „სახალხო ფურცელი“ (№604, 1916 წ. 21 ივნისი), სადაც სოფელ ჩხუტუნეთის ქართუ-

ლი სკოლის მასწავლებელი ნიკო ქამუშაძე სტატიაში „აჭარის სკოლების გარშემო“ წერდა: „მარტის პირველ რიცხვებში, დიდი თხოვნა-მუდარის შემდეგ, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას მიეცა საშუალება აჭარა-ქობულეთში სკოლების გახსნისა. საზოგადოების რწმუნებულები მასწავლებლით 4 მარტს გაემგზავრნენ სოფელ ყოროლისთავში პირველი სკოლის გასახსნელად. აკურთხეს სკოლის შენობა და შესაფერი სიტყვები წარმოთქვეს. მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა ჰაიდარ აბაშიძემ. სკოლების ინსპექტრმა ბ-ნა პეტროვმა თავის სიტყვაში წითელი ზოლივით გაატარა აზრი, რომ აჭარლები ქართველები არიან და ამ კუთხის აღორძინება საქართველოს გარეშე შეუძლებელიაო. საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა. შემდეგ გახსნეს ხუცუბნის სკოლა, ორი დღის შემდეგ ალამბარში დაარსდა სასწავლებელი, სადაც მასწავლებლები დატოვეს და რამდენიმე კაცი აჭარაში გავემგზავრეთ... ჩვენ მივედით სოფელ ჩხუტუნეთში, სადაც უნდა გაიხსნას სასწავლებელი. იმ ღამეს ძალზე დაღლილები ვიყავით და ადრიანად დავიძინეთ. მეორე დღეს მოველაპარაკეთ ხალხს, გავაცანით ჩვენი მოსვლის მიზეზი და საღამოს ჩემს მეტი ყველანი წავიდნენ, მე კი უნდა დამექირავებია შენობა, მომეწყო სამეცადინოდ, დამეჭირა რჯულის მასწავლებელი და შევსდგომოდი მოვალეობის შესრულებას. გაიარა ათმა დღემ და 19 მარტისთვის ყველაფერი მზად მქონდა, ამ დღეს შევუდექი მასწავლბელობას. ჩვენი ხელმძღვანელები კინტრიშის რაიონის სკოლებს აწესრიგებდნენ, დღე და ღამე მოსვენება არ ჰქონდათ და აჭარა, რასაკვირელია, მიტოვებული იყო. საადგომო არდადეგებამდე ჩემი ჩვიდმეტი მოწაფე რიგიანად დადიოდა სკოლაში, მაგრამ შედმეგ დაიწყო მუშაობა და ცხრაზე ჩამოვიდა...“

როგორც შემდეგ ბატონი ნიკო წერს, 6 მასისს ამ სკოლების მასწავლებლები თბილისში გაუწვევიათ. მათთვის რაღაც „მავნებლობა“ დაუწამებიათ და მოუთხოვიათ მათგან ახსნა-განმარტების მიღება, ფაქტობრივ, მოსურვებიათ სკოლების დახურვა, მაგრამ საქველმოქმედო საზოგადოებას მოხერხებულად უმოქმედია და განუგრძიათ მუშაობა, თუმცა 1917 წელს რუსეთში მომხდარი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შედეგად სკოლებმა მაინც შეწყვიტეს მუშაობა.

სკოლების გახსნის ისტორია ასევე გაშუქებულია 2012 წელს გამოცემულ ნაშრომში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა“, სადაც ნათქვამია: „მარტო 1916 წ. გაიხსნა (ხაზგასმა ჩვენია – ავტ.) **6 დაწყებითი ქართული სკოლა:** ყოროლისთავში (ორკომპლექტიანი), ხუცუბანში (სამკომპლექტიანი), ალამბარში (ორკომპლექტიანი), ჩხუტუნეთში (ერთკომპლექტიანი), ქედის აგარაში (ერთკომპლექტიანი) და ხულოს აგარაში (ერთკომპლექტიანი). **იმავე წელს გაიხსნა დაწყებითი სკო-**

ლები შავშეთის სოფელ წყალსიმერში, ზემო აჭარის სოფლებში – თხილვანასა და ოლადაურში.[1]

შემდეგ სკოლები გაიხსნა ამ მაზრის სოფელ ფაჩხაში, დიოკნისში, ადაძეებსა და ჭვანაში. ქალებისთვის ქობულეთსა და ბათუმში დაარსდა სამკერვალო სასწავლებლები, ხულოს ცენტრში გაიხსნა სადურგლო, საზეინკლო და სამჭედლო სახელოსნოები. ამ სასწავლებლებში სპეციალობებთან ერთად წერა-კითხვასაც ასწავლიდნენ.

§2. თხილვანის პირველი ქართული სკოლა (1916-1917 წწ.)

თხილვანის სკოლის ისტორია აჭარაში პირველი ქართული სკოლების გახსნის ისტორიის შემადგენელი ნაწილია. ამიტომ საკითხის გაშუქებას ამ თემით დავიწყეთ.

თემურ ხიმშიაშვილმა 1916 წლის 13 მარტს ქალაქ თბილისში აჭარის დეპუტაციის ყოფნისას წარმოთქვა: „მართალია, დიდ გაჭირვებაში ვიმყოფებით, ბევრი დავკარგეთ, მაგრამ გახარებული ვართ, რომ ამ გაჭირვებაში ვიცანით ჩვენი ნამდვილი ძმები და დავრწმუნდით მათს ძმურ გრძნობებში... ვერ გადავიხდით იმას, რითაც თქვენ დაგვეხმარეთ. ჩვენი განწყობილება განმტკიცებული იყოს და სამუდამოდ დავკავშირებულიყავით.“

თემურ-ბეგ ხიმშიაშვილი

თხილვანის სკოლის გახსნაში თემურ ხიმშიაშვილს დახმარება გაუწია ხულოს ეკლესიის მოძღვარმა ბესარიონ დოლიძემ და ხულოს სკოლის გამგემ იოსებ მელიქიშვილმა. დასაწყისში სოფლისთვის შეარჩიეს მასწავლებელი თედორე დოლიძე, რომელიც მცირეოდენი ხელფასით კისრულობდა ამ საპატიო საქმეს. მთავარი იყო სკოლისა და მასწავლებლისთვის შესაფერისი ბინის გამონახვა. ამ საქმეში თემურ ხიმშიაშვილს მხარში ედგა დედა მესუდე ხანუმ მიქელაძე. 1916 წელს დედა-შვილმა თხილვანის სკოლისთვის საკუთარ სახლში ორი ოთახი

[1] სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, ბათუმი, 2008, გვ. 36.

უსიტყვოდ დაუთმო და მოსახლეობაში დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაშალეს. ამაზე მეტყველებს თემურ-ბეგ ხიმშიაშვილის მიმართვა გლეხებისადმი: „აი, იქ სკოლაში მიიყვანეთ თქვენი შვილები, ასწავლეთ და მაშინ ისეთ საწველ ფურებად აღარ იქნებიან, როგორც თქვენ ხართ. მე მინდა თქვენში სინათლე შემოვიდეს.“[1]

სკოლისთვის მერხების დასამზადებლად ხულოს სასწავლებელში მიავლინეს ქვედა თხილვანელი ოსტატი ასლო ქამადაძე, რათა გაცნობოდა მერხის ნიმუშს, მისი დამზადების ტექნოლოგიას და შემდეგ დაემზადებინა საჭირო რაოდენობის მერხები. ოსტატმა ქამადაძემ ხულოში ორი დღე დაჰყო. მან შეადგინა მერხის დამზადების ტექნოლოგია. სოფლის მოსახლეობამ ოსტატს დახმარება გაუწია ხის მასალით, ლურსმნით და სხვა. ასლო ქამადაძემ მოიხმარია შეგირდები, მოკლე დროში დაამზადა თხუთმეტამდე მერხი და განალაგა სასწავლებლად გამოყოფილ საკლასო ოთახში.

თედორე მასწავლებელმა სასწავლებლად მიიწვია 31 მოსწავლე:

1. აბულაძე რეფიყ ყადირის ძე
2. ბოლქვაძე ისა ნურის ძე
3. ბოლქვაძე მუსა ნებოს ძე
4. ბოლქვაძე მუსა ნურის ძე
5. ბოლქვაძე ისა ისკენდერის ძე
6. ბოლქვაძე ხუსი იდიეთის ძე
7. ბოლქვაძე ასლან შაბანის ძე
8. ბოლქვაძე ისკენდერ ახმედის ძე
9. გუნდაძე ნური იუსუფის ძე
10. დავითაძე მუსა მევლუდის ძე
11. ნაკაშიძე რასიყ თემურის ძე
12. მამულაძე შაისმაილ ემროს ძე
13. ქამადაძე ისაკ ეშრეფის ძე
14. ქამადაძე ზაბით ასლანის ძე
15. მამულაძე ფირყეთ ემროს ძე (თხილვანიდან)
16. დუმბაძე ისკენდერ ჰაიდარის ძე
17. დუმბაძე ისრაფილ იუსუფის ძე
18. დუმბაძე დურსუნ ნებოს ძე
19. მიქელაძე მუსტო ყაიოს ძე
20. მიქელაძე ხასია ყაიოს ძე (ბაკო)
21. დუაძე აბდულ მუსტოს ძე
22. ჯაბნიძე თუფან სულოს ძე
23. თურაძე ფეიზულ მემედის ძე
24. თურაძე ჯელალ ხასანის ძე (მთისუბანი)

[1] გაზეთი „საქართველო“, თბ., 1996 წ.

25. გაბაიძე თუფან ნეჯიბის ძე
26. გაბაიძე გულა სერდალის ძე
27. იშხნელიძე ბათალ ბოზოს ძე
28. ჯაიანი ფოლად კადოს ძე
29. ჯაიანი ზექერია ხუსეინის ძე (ხიხაძირი)
30. მახარაძე ისრაფილ ჯელალის ძე
31. მახარაძე ისაყ მურთაზის ძე (ძმაგულა)



თხილვანის პირველი სკოლა

ზოგი მათგანი მოზრდილი ასაკისა და ცოლ-შვილიანიც კი იყო. სწავლა დაიწყო 1916 წლის 20 მარტს. მასწავლებელმა მოსწავლეებს გადასცა წიგნები, რვეულები, ფანქრები და სხვა სასწავლო ნივთები.

თედორე მასწავლებელი თავის შეგირდებს ასწავლიდა წერა-კითხვას, ანგარიშს, ბუნებას, აცნობდა ცხოველებს, შეასწავლა ხატვა, აცნობდა საქართველოს ისტორიას და მოუთხრობდა ჩვენს ეროვნულ გმირებზე. მისი ყოველი გაკვეთილი საინტერესო და მიმზიდველი იყო მოსწავლეთათვის.

სასწავლო პროცესი კარგად წარიმართა, მნიშვნელოვანი შეფერხებები არ ყოფილა. კმაყოფილი იყვნენ მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც. ასე გაგრძელდა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციამდე, რამაც დაამხო მეფის რუსეთის თვითმპყრობელობა და მეფე ნიკოლოზ მეორე ჩამოაგდო ტახტიდან. იმპერიაში შეიქმნა დროებითი მთავრობა კერენსკის მეთაურობით. მასწავლებელმა თედორე დოლიძემ

კედლიდან ჩამოიღო მეფის სურათი, მოიქცია ფეხქვეშ და მოსწავლეებს გაუნცხადა: „სწავლა დროებით შეწყვეტილიაო“ და წავიდა.

გასაგებია, ამ დროს ვინ შეძლებდა სწავლის განახლებას, რადგანაც 1921 წლამდე ქვეყანაში შეიქმნა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, კერძოდ, აჭარაში დათარეშობდნენ სხვადასხვა ჯურის ინტერვენტები და პროთურქული ძალები, რომელსაც დაუპირისპირდა აჭარის მოსახლეობის პროგრესულად მოაზროვნე პროქართული ძალები. მათ შექმნეს „სამუსლიმანო საქართველოს“ განმათავისუფლებელი კომიტეტი მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით, რომელმაც აჭარის ბედი საქართველოს ფარგლებში ფართო ავტონომიის მოთხოვნით დადებითად გადაწყიტა. ასეთ დროს ქართული სკოლების გახსანზე ფიქრი შეუძლებელი იყო.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ მასწავლებელი თედორე დოლიძე იყო რევოლუციონერი, რსდმპ-ს წევრი. მე-20 საუკუნის დასაწყისში ის და მისი ძმა ჩაბმული იყვნენ არალეგარულ რევოლუციურ მოძრაობაში და იმყოფებოდნენ ქ. ბაქოში ფილიპე მახარაძესთან ერთად. შემდეგ იგი ჩამოვიდა გურიაში და განაგრძო არალეგალურად რევოლუციური მოღვაწეობა. სწორედ ამ დროს მეფის მოხელეებისგან განრიდებისა და ამასთან, ეროვნული, პატრიოტული ვალის მოხდის მიზნით დაიწყო მუშაობა თხილვანის სკოლაში და პირველად აბუსერისძეთა ნაფუძარზე აამეტყველა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, აქაური ყმაწვილები აზიარა ქართულ ანბანს. ცნობილია ისიც, რომ საბჭოთა პერიოდში თედორე მასწავლებელი მოღვაწეობდა თბილისის სკოლებში და მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. მაგრამ ისიც შეეწირა 1937 წლის რეპრესიებს.



მოკლე დროში თედორე მასწავლებელმა ფასდაუდებელი შრომა გასწია და თავისი მოსწავლეები შეაიარაღა ცოდნის გარკვეული მინიმუმით.

ქვეყნად ახალი ხელისულფების პერიოდში, სწორედ ამ სკოლის ყოფილი მოსწავლეები ჩაებნენ ახალი ცხოვრების ფერხულში, ისინი იყვნენ ყველა სიახლის ინიციატორები, ახალი საქმის მოთავეები. ასე მაგალითად, ხიხაძირელი თერჯანალ გორგაძე თანასოფლელებმა აირჩიეს სოფლის პირველ თავმჯდომარედ, ფოლად ჯაიანმა თავი გამოი-

ჩინა ბუღალტერიაში, იყო სოფლის თავკაციც. თუფან გაბაიძე დასპეციალდა ვაჭრობაში, ასევე გულა გაბაიძემ ნაყოფიერად იღვაწა ბუღალტრად, თხილვანელი ფირყეთ (ფილიპე) მამულაძე ჩამოყალიბდა მოწინავე საზოგადო მოღვაწედ. მისი ბიძაშვილი შაისმაილ მამულაძე სათავეში ჩაუდგა და ოთხ სოფელს აუშენა მიკროელექტროსადგური და წლების განმავლობაში მოსახლეობას, სკოლებსა და სხვა დაწესებულებებს აწვდიდა ელექტროდენს. ბაკოელი მუსტო მიქელაძე იყო ამ სოფლის პირველი თავკაცი, ყველა სიახლის თაოსანი და ინიციატორი, ახალგაზრდა კადრების აღმზრდელი და სხვა. თხილვანელი ისა ბოლქვაძე სოფლად შუაგულში ტრიალებდა სწავლა-განათლების დარგში და სოფლის წინსვლის უზრუნველყოფაში.

რაც მთავარია, **თხილვანის პირველი სკოლა გახდა ის ბალავარი, ფუნდამენტი, რომლის დაფუძნებითაც შემდეგ განვითარდა სკოლების ქსელი სოფლად, ახალგაზრდობას გაეხსნა გზა სწავლა-განათლების მისაღებად.**

§3. ხელისუფლების ღონისძიებები სკოლების გახსნისა და წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციისთვის აჭარაში

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკამ დაკარგა დამოუკიდებლობა. ბოლშევიკური რუსეთის ჩარევით თბილისში და შემდეგ საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ჯერ კიდევ მანამდე „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მოთხოვნა დააკმაყოფილა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით და ფართო ავტონომიის უფლებით აჭარა დარჩა დედასამშობლოს შემადგენლობაში, რაც გაფორმდა 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუციით. სამწუხაროდ, ეს ხანმოკლე დარჩა. 16 მარტს აჭარაშიც დამყარდა საბჭოთა წყობილება. საქართველოს ახალმა მთავრობამ აჭარის ავტონომია დატოვა ხელუხლებლად. აჭარა, როგორც ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა საბჭოთა საქართველოს ნაწილი, ჯერ შევიდა ამიერკავკასიის ფედერაციაში, ბოლოს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ავტონომიური რესპუბლიკა გახდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, აჭარაში ჩამოყალიბდა განათლების სახელმწიფო ორგანოები. 1921 წელს შეიქმნა ბათუმის რევკომის განათლების განყოფილება. იმავე წლის ნოემბერში ის გარდაიქმნა განათლების სახალხო კომისარიატად, პირველ წლებში განათლების სახალხო კომისარიატში შედიოდა განათლების კერები – ყველა ტიპის სას-

წავლებელი, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება და საგამომცემლო საქმე.

საბჭოთა ხელისუფლების ომამდელ პერიოდში განათლების დარგს ხელმძღვანელობდნენ სახალხო კომისრები: თახსიმ ხიმშიაშვილი, სულეიმან ვარშანიძე, სულეიმან ლორთქიფანიძე, შევქეთ ლორთქიფანიძე, ხუსეინ ნაკაიძე, ილიას ქათამაძე, ნადიმ ნიჟარაძე.

როგორი იყო ვითარება აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში? იყო თუ არა სასწავლო დაწესებულებები, როგორი იყო მოსახლეობის განათლების დონე?

ოსმალეთის სამასწლოვანმა ბატონობამ და შემდეგ მეფის რუსეთის თვითმპყრობლურმა რეჟიმმა შეაფერხეს აჭარის თავისუფალი განვითარება, რის გამო უცხოელთა ბატონობას მოჰყვა მისი ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა.

საბჭოთა ხელისუფლებამდე აჭარაში იხსნებოდა უმეტესად რუსული ტიპის სკოლები და სხვა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები. ახალი საბჭოთა სკოლების გახსნა მშობლიურ ენაზე სწავლებით დაიწყო 1922 წლიდან. მანამდე აჭარაში, უმეტესად ბათუმში, იყო სხვადასხვა ტიპის 13 სკოლა: პირველი, ოთხწლიანი დაწყებითი შრომითი სკოლა I-IV კლასებით, მეორე რვაწლიანი სკოლა ორი რგოლით I-IV კლ და V-VIII კლასებით, რვაწლიანი სკოლის ბაზაზე იქმნებოდა ტექნიკუმები ოთხწლიანი სწავლებით, მესამე, ორი სახის სპეციალური და ჰუმანიტარული, მათ შორის პედაგოგიური, სასოფლო-სამეურნეო, სატექნიკო და სხვადასხვა პროფილის ტექნიკუმები.

დაბალი იყო მოსახლეობის განათლების დონე. წერა-კითხვის მცოდნე იყო მოსახლეობის მხოლოდ 7%.[1]

ხელისუფლებამ განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე დაისახა კონკრეტული ამოცანები. მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვა და მისი ლიკვიდაციისთვის სათანადო სკოლების, ჯგუფების შექმნა. ამ ამოცანის საკოორდინაციოდ აჭარის რევკომმა 1921 წელს შექმნა სათანადოდ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომპანია (შემდგომში "წ.კ.უ.ს.სკოლა"), რომელსაც დაევალა აჭარაში უმძიმესი და უპირველესი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა. ამ მიზნით ჩატარდა აღნიშნული ვითარების შესწავლა და აღრიცხვა და შეიქმნა 37 წ.კ.უ.ს. სკოლა, რომლებიც 787 მსმენელს აერთიანებდა, მაგრამ პრობლემის გადაჭრა სკოლებისა და კადრების გარეშე წარმოუდგენელი იყო.

ხელისუფლება განათლების სახალხო კომისრების წინაშე აყენებდა მთავარ ამოცანას. ეს იყო: წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციასთან ერთად, მოსახლეობისათვის და პირველ რიგში, ახალგაზრდობისათვის განათლების მიცემა, განათლების სისტემის ჩამოყალიბება, ზოგადი

[1] ვახტანგ წულუკიძე, განათლების ისტორიისათვის აჭარაში, ბათუმი, 2002, გვ. 125.

განათლების ყველა ტიპის სკოლების გახსნა და ამასთან აფრთხილებდა დარგის ხელმძღვანელებს, უპირველესად პედაგოგებს, გაეთვალისწინებინათ აჭარის მოსახლეობის სპეციფიკურობა და დაუშვა თურქული ენისა და მაჰმადიანური სჯულისა და აღმსარებლობის სწავლება სკოლაში. ამ მხრივ თეორიულ ბაზას ქმნიდნენ პროგრესული მამულიშვილები, მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, თახსიმ ხიმშიაშვილი, სულეიმან ვარშანიძე, ხასან თხილაიშვილი, გულო კაიკაციშვილი და სხვა. ცხადია, მათი აზრები ამ მხრივ გამომდინარეობდა დიდ ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის და სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პოლიტიკური და მეთოდური მოსაზრებებიდან, რასაც, რა თქმა უნდა, საქართველოს გეგრაფიულ-ფიზიკურთან ერთად, ქართველი ხალხის სულიერი გაერთიანებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ კუთხით ხელისუფლებამ – ფუხარა ხალხის კომიტეტის მეორე ყრილობამ 1922 წელს დაადგინა: "მხოლოდ და მხოლოდ სწავლა-განათლებით შეუძლია აჭარის ფუხარა ხალხს შეინარ- ჩუნოს ის და უხელმძღვანელოს თავის ბედ-იღბალს და ფუხარა ხალხის ხელისუფლებას. ამ მიზნით სცნობს:

1. იქნას განხორციელებული სავალდებულო სწავლება.

2. გახსნილ იქნას სამასწავლებლო სემინარია აჭარის ფუხარა ხალხისთვის გამოსადეგ მასწავლებელთა მოსამზადებლად, რომლებიც შეძლებენ საქმის სათანადო სიმაღლემდე დაყენებას.

3. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები შეიქმნას აჭარის მაზრებში, განსაკუთრებით შორეულ და მთიან სოფლებში, მათ შორის ხულოში. აჭარის სახკომსაბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული იყო 1929 წლისათვის სამოსწავლო სემინარიის გახსნა. პედაგოგიური ტექნიკუმები კი გაიხსნა 1924 წელს. ამ წელს ბათუმში არსებობდა 3 ტექნიკუმი: 1) ჰუმანიტარული, რომელიც გაიხსნა ვაჟთა გიმნაზიის ბაზაზე ქართულ-რუსული სექტორებით, 14 კლასით და 500 მოსწავლით; 2) ჰუმანიტარული ტექნიკუმი, რომელიც გაიხსნა ქალთა გიმნაზიის ბაზაზე 12 კლასით და 400 მოსწავლით, ელექტრო-მექანიკური რუსულ-ქართული განყოფილებით, 10 კლასით და 200 მოსწავლით.

1922-1923 სასწავლო წელს იყო 13 სხვადასხვა ტიპის სკოლა 3878 მოსწავლით, რაიონებში იყო 2000 მოსწავლე. 1929 წელს ბათუმში გაიხსნა ბავშვთა სახლი, სადაც ბინა და კვება სახელმწიფოს ხარჯზე იყო. მასში იზრდებოდნენ აგრეთვე აჭარის მკვიდრნი, მათ შორის: სერგო ჯაიანი, ოთარ შაინიძე, მემედ ცინცქილაძე, იოსებ დიასამიძე, მურად მეხეშიძე, ნიაზ ზოსიძე, ჯემალ შამილაძე და სხვა. ბევრმა მათგანმა შემდგომში თავი გამოიჩინა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე.

1923-1924 სასწავლო წლიდან დაწყებითი სკოლები გაიხსნა ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში, მერისში, ალიქოღლებში, წონიარისში, ძენწმანში, მეძიბნაში, ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში, ღორჯომში, ყა-

რადერეში (ოლადაური), ფურტიოში, ტბეთში, უჩამბაში, ბეღლეთში, ფაჩხაში, ვანაძეებში.[1]

XX ს. 20-იან წლებში ნორმალურ სკოლად ითვლებოდა 9-წლიანი ანუ მაღალსაფეხურიანი – საშუალო სკოლა (საშუალო სკოლა 9 კლასით ითვლებოდა). პირველ საფეხურში იყო დაწყებითი 4-წლიანი და მეორე საფეხურში 7-წლიანი სკოლა, სპეციალისტების მომზადება ეკისრებოდა ქალაქად ტექნიკუმებს და სოფლად შრომის სკოლებს.

1923 წელს ნოემბერში ბათუმში გაიხსნა პედაგოგიური ტექნიკუმი ქალთა გიმნაზიის შენობაში. ტექნიკუმის მოსამზადებელი მოსწავლეებით დასაკომპლექტებლად მასთან გაიხსნა შვიდწლედის უკანასკნელი კლასები, პირველ წელს გაიხსნა ოთხი კლასი, პირველ სამ კლასს ეწოდებოდა მოსამზადებელი განყოფილება, რომელიც მიიღებდა ოთხწლედდამთავრებულებს. ეს მოსამზადებელი განყოფილება გამოწვეული იყო შვიდწლიანი სკოლების არარსებობით (მხოლოდ 1 იყო ქობულეთში), ტექნიკუმებში მოსწავლეთა მიღება ყოველწლიურად იზრდებოდა. მათში სერიოზული ყურადღება ექცეოდა აჭარელთა, მათ შორის გოგონების მიღებას.

ტექნიკუმებში ყოველწლიურად იზრდებოდა მისაღები კონტინგეტი. თუ პირველ წელს მიიღეს 54, 1925-1926 სასწავლო წელს მიიღეს 175 მოსწავლე, მათგან 35 აჭარელი ქალიშვილი. 1927-1928 სასწავლო წელს ერთ მოსწავლეზე იხარჯებოდა 160 მანეთი წელიწადში, 1930 წელს – 250 მანეთი.

პედსასწავლებელს გააჩნდა კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, კარგად მოწყობილი და ტექნიკით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები, კლუბი, ნაყოფიერად მუშაობდა დრამატული წრე, გამოდიოდა მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალი „ჭოროხი“.

სასწავლო გეგმით ისწავლებოდა 30-მდე საგანი თავისი მეთოდიკით. შემდგომ დაიხვეწა და 1926 წლიდან და 1929-1930 სასწავლო წელს გამოიცა ახალი სასწავლო გეგმა, შესასწავლ საგანთა რიცხვი 30%-ით შემცირდა. პედაგოგიური და საწარმოო პრაქტიკა ერთწლიანი იყო. ტექნიკუმმა პირველი გამოშვებით 13 მასწავლებელი გამოუშვა. 1933 წელს – 164. 1933 წელს ხულოში არსებული მესაქონლეობის ტექნიკუმი გადაკეთდა პედაგოგიურ განხრიან ათწლედად. 30-იან წლების ბოლოს აჭარაში ფუნქციონირებდა 7 პედტექნიკუმი. პედაგოგიურმა ტექნიკუმებმა დიდი როლი შეასრულეს მასწავლებელთა ადგილობრივი კადრების მომზადებასა და ქალთა შორის მუშაობაში.

სკოლების რიცხვის ზრდამ გაზარდა მოთხოვნილება უმაღლესი განათლების კადრებზე. მომზადდა ნიადაგი და 1935 წელს გაიხსნა ბათუმში ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი, უმაღლესი განათლების პირველი კერა აჭარაში. 1945 წელს იგი ოთხწლიანი გახდა, 1956 წელს შეიქმნა

[1] ვახტანგ წულუკიძე, დასახ. წიგნი, გვ. 98.

გამსხვილებული ფაკულტეტები და სწავლება გახდა ხუთ-წლიანი. 1990 წლიდან გვაქვს დღევანდელი მრავალპროფილიანი სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სწორედ ამ ფონზე წარიმართა წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრა და განათლების სისტემის ჩამოყალიბება-სრულყოფა აჭარაში.

§4. თხილვანის დაწყებითი შრომის სკოლა (1923-1940 წწ.)

ხელისუფლების მიერ დასახული ამოცანების განსახორციელებლად აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატმა 1921 წელს გამოაქვეყნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ბრძანება, რომლებითაც დაიწყო ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთიანი სასკოლო სისტემის ჩამოყალიბების, სკოლების მატერიალური ბაზის შექმნის და პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტების ღონისძიებები. განსახკომის №3 ბრძანების შესაბამისად ხულოს მაზრის ხელმძღვანელობამ შეამოწმა სოფლები, სადაც გათვალისწინებული იყო სკოლების გახსნა. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სოფელ თხილვანაში არსებობდა სკოლის ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ხელშეუხებელი და დაცული იყო ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მიერ 1916 წელს გახსნილი სკოლის შენობა, ასევე ათამდე მერხი და ერთი მაგიდა. საჭირო იყო მცირედი სარემონტო სამუშაოების ჩატარება. სულ მალე სოფლის მოხელეების მიერ უსასყიდლოდ შეკეთდა შენობის სახურავი, ასლო ქამადაძის მიერ კვლავ დამზადდა ათი მერხი, კეთილმოეწყო სკოლის ხუთი ოთახი.

აჭარის სკოლებისთვის საჭირო იყო შესაბამისი პედაგოგიური კადრები, მკვიდრ მოსახლეობაში ასეთი კადრები არ იყო. აჭარის სახალხო განათლების კომისარიატმა 1921 წელს გამოაქვეყნა ბრძანება №2, რომელიც მსურველ პირებს მოუწოდებდა წასულიყვნენ მასწავლებლად სამუშაოდ აჭარის სკოლებში. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ასეთი წესით თხილვანაში სკოლის მასწავლებლად დაინიშნა ტიტე ყარამანის ძე ჭყონია, ხოლო ხიხაძირში ილარიონ გუნთაიშვილი.

ხელისუფლების მიერ გატარებული მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ 1923-1924 სასწავლო წლებიდან აჭარაში გაიხსნა სკოლები: ქობულეთში 30, ქედაში – 18, აჭარისწყალსა და ჭოროხის მაზრებში – 27, ხულოში – 25, აქედან 7 – თხილვანაში, ხიხაძირში, წაბლანაში, ფაჩხაში, ნენიაში, ფურტიოში, სხალთის თემში – 5, სხალთა-ხიხანის ხეობაში და ნიგაზეულში.[1]

[1] აჭარის ცსა, ფ.(27) (რ-1013) 584, ა.1, საქ.9, ფურც. 80; იქვე, ფ. რ-2, ა. 1, ს.19, ფ. 7.

სხალთა-ხიხანის ხეობაში აღნიშნულ სოფლებს შორის პირველი სკოლა თხილვანაში გაიხსნა ორი მიზეზით:

პირველი, მაშინ ყურადღებას აქცევდნენ მაღალმთიან და ცენტრიდან უშორეს, საზღვრისპირა სოფლებს, რაც სავსებით სწორი ნაბიჯი იყო ხელისუფლების მხრიდან და, მეორე მიზეზი, როგორც ზემოთ ითქვა, სკოლისთვის შენობა მზად იყო. დედა-შვილ მესუდე-ხანუმისა და თემურ-ბეგ ხიმშიაშვილის მიერ 1916 წელს გახსნილი სკოლისთვის ნაჩუქარ შენობას გადაკეთება არ დასჭირვებია. ამიტომ 1923 წლის ოქტომბერში ამავე შენობაში ფუნქციონირება დაიწყო პირველმა ქართულმა საბჭოთა შრომის სკოლამ. მასწავლებლად მოავლინეს ლანჩხუთელი ახალგაზრდა, ქუთაისის გიმნაზიადამთავრებული, ტიტე ყარამანის ძე ჭყონია.

„1923 წლის ოქტომბრის დამდეგს, – იგონებდა ამ დღეებს ტიტე ჭყონია, – გავეშურე მაღალმთიან აჭარაში მასწავლებლის მოვალეობის შესასრულებლად. ეს კუთხე ჩემთვის სრულიად უცნობი იყო. ლანჩხუთში დაბადებულს და გაზრდილს, ცოტა რამ კი მსმენოდა აჭარელთა ყოფა-ცხოვრების შესახებ. ვიცოდი, რომ აქაური მოსახლეობა ისლამის რელიგიას მისდევდა, განსაკუთრებული ყოფა-ცხოვრება ჰქონდათ. მაშინებდნენ კიდეც, აჭარლები ოჯახში არ მიგიღებენ, ცალკე მოგიწევს ღამის გათევა, საჭმლის დამზადება, იქ დიდხანს ვერ გაუძლებო, მიჩიჩინებდნენ ზოგიერთები. მაგრამ ნათქვამია, „ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც ამბობენო.“

ხულოში ასულს ხიხაძირელი ვასიფ ჯაიანი დამხვდა. ის აქ, ხულოში, მაზრის აღმასკომის წევრი იყო, ყოფილა განათლების ინსტრუქტორი, კურირებდა განათლებისა და კულტურის სფეროს. თავად იკისრა ჩემი მეგზურობა თხილვანაში. მეორე დღეს ხულოდან ფეხით გავეშურეთ სოფლისკენ, მეც არ ვიცი, სადაა და რა მანძილითაა დაშორებული ჩვენი სოფელი. გზად მიმავალმა ბევრი რამ გავიგე ვასიფ ჯაიანის შესახებ... სტამბულში იურიდიული განათლება მიუღია, შემდეგ ჩამოსულა აქ, ქართული წერა-კითხვა უსწავლია. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თახსიმ ხიმშიაშვილის შემოთავაზებით ხულოს მაზრის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი გამხდარა. ყოფილა მაზრის ღარიბ გლეხთა კომიტეტის მდივანი, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, კურირებდა განათლებისა და კულტურის დარგს.

თხილვანაში მოსახლეობა ხალისით შეგვხვდა. ვასიფმა ჩემი თავი გააცნო მათ: მთავრობას თქვენთვის სკოლა გაუხსნია და ეს პიროვნება, ამხ. ტიტე ჭყონია, დაუნიშნავთ ამ სკოლაში მასწავლებლად (1916 წელს აქ სკოლის გასხნას ყოყმანით შეხვდა მოსახლეობა, საკითხი ბოლოს მემედ ბოლქვაძის პრინციპულმა ჩარევამ გადააწყვეტინა თანხმობა სკოლის გახ-

---

* შენიშვნა: თუ ისტორიულ ჭრილში ვიტყვით, თხილვანაში პირველი სკოლა გაიხსნა 1916 წელს, 1917 წელს დაიხურა. 1922-1923 სასწავლო წელს გახსნილი სკოლა რიგით მეორეა აღნიშნავს სკოლის აღდგენას, მაგრამ რადგან ახალი ტიპის საბჭოთა სკოლაზეა ლაპარაკი, პირველს ამ გაგებით ვუშვებთ.

სნაზე, ამჟამად, პირიქით, სიხარულით მიეგება კარგ ამბავს – ავტორები). შეკრებილთა შორის გამოირჩეოდა ერთი ახალგაზრდა თავისი ომახიანი ხმით, ღიმილიანი სახითა და შთამბეჭდავი სიტყვებით, რომელმაც მოუწოდა შეკრებილთ მასწავლებელზე დახმარებისკენ. სკოლა დაგვეხმარება ჩამორჩენილობისაგან თავის დაღწევაში, მასწავლებელი ჩვენთვის სინათლეა, კულტურა შემოვა სოფელში. ეს იყო მემედ ბოლქვაძე. ვიგრძენი, რომ მას ხალხში ძალა ჰქონდა. თანადგომა დიდი მეგობარია ადამიანისა, მით უფრო, თუ უცხო მხარეში ხარ“ – ამბობს ტიტე მასწავლებელი.

ახალ მასწავლებელს სკოლის გამართვაში მთელი სოფელი გვერდში ამოუდგა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ 1916 წლის სკოლაში ნასწავლი მოსწავლეები. მემედ ბოლქვაძემ მასწავლებელს ერთი ოთახი თავის სახლში დაუთმო. “მემედ ბოლქვაძეს მიღებული ჰქონდა არაბული განათლება, – განაგრძო ტიტე მასწავლებელმა, – მან იცოდა ქართული წერა--კითხვა, ამ მხრივ მადლიერებით იგონებდა თავის პირველ მასწავლებელს, თედორე დოლიძეს. წუხდა, რომ ის ადრე წავიდა თხილვანიდან, თორემ უფრო მეტად შევისწავლიდი მშობლიურ წერა-კითხვასო. მემედი გვერდში ამოუდგა და დიდი როლი შესრულა სკოლის გამართვასა და მოსწავლეთა გამოცხადების საქმეში.

მემედის სიტყვას დიდი ფასი ჰქონდა სოფელში მაშინაც და შემდგომაც. სამოქალაქო სწავლა-განათლებაში ხედავდა ის ქვეყანის მომავალს. ამიტომ უწყობდა ხელს სკოლას. ყველაზე საშიშად მას ურწმუნო ადამიანი მიაჩნდა. რელიგიურ მსოფლმხედველობას ხელი არ შეუშლია ჩემთვის მასთან მეგობრობაში. ეს მეგობრობა შემდგომშიც გაგრძელდა. მე მისგან ბევრი რამ ვისწავლე.“[1]

ტიტე მასწავლებელს იმდენად მოეწონა მემედ ბოლქვაძე, როგორც განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება, რომ ხულოს მაზრის ხელმძღვანელობას მიმართა იგი დაენიშნათ სკოლაში სჯულისა და თურქული ენის მასწავლებლად. მაზრის ხელმძღვანელობამ მისი თხოვნა დააკმაყოფილა.[2]

სკოლა იყო დაწყებითი, სწავლების ხანგრძლივობა – ოთხი წელი. პირველ კლასში 3 ჯგუფი იყო 38 მოსწავლით. სწავლა დაიწყო 1923 წლის 1 ოქტომბერს. სკოლაში ისწავლებოდა: ქართული, თურქული ენები, ისტორია, გეოგრაფია, ანგარიში, ტანვარჯიში, ხატვა, სიმღერა. სახელმძღვანელოებად გამოყენებული იყო: ი. გოგებაშვილის “დედა ენა” (აჭარელთა ბავშვებისათვის), ბუნება, ტრ. კარბელაშვილის “ანგარიშის წიგნი” და სხვა.[3]

სკოლის პირველი ჯგუფის მოსწავლეები იყვნენ: ასლან, ისა, ხუსეინ, მუსა, რიფეთ, ყაიო, ისმაილ, ჰუსი ბოლქვაძეები, შაქირ ბერიძე, ზექერია,

---

[1] შოთა ბოლქვაძე, კეთილშობილი ადამიანი, ბათუმი, 2004, გვ. 33
[2] აჭარის ცსა, ფ. 1-75, აღწ. 1, ს. 59, ფ. 3.
[3] ვ. წულუკიძე, დასახ. წიგნი, გვ. 111.

ნური, თუფან გუნდაძეები, ფელულ აბულაძე, მუსტო, ენვერ დავითაძეები, შუქრი, მუსა (მიხეილ), მუსა დუმბაძეები, ტაშტან, ენვერ, ისაყ, ნური, ისა მიქელაძეები, ფაიყ, ყაიო ჯაბნიძეები, დურსუნ მამულაძე, დურსუნ ცეცხლაძე და სხვა.

ტიტე მასწავლებელი სოფელში წარმოადგენდა ლამპარს, მოსახლეობაში სინათლის, განათლების ჩირაღდანს, მისი მეუღლე ნინა ჩხაიძე ქალებს ჭრა-კერვას ასწავლიდა. ამით თანდათანობით იშლებოდა ზღვარი მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორის, ისტორიის ქარტეხილებმა რომ გააჩინა მათ შორის.

ტიტე ჭყონია არ იყო მხოლოდ მასწავლებელი, წერა-კითხვას რომ ასწავლიდა. ის იყო კეთილშობილი ადამიანის ნიმუში მთელი სოფლის მოსახლეობაში. ის მოქმედებდა არა რელიგიური გრძნობებით, არამედ ეროვნულ-ადამიანური ემოციებით, უყვარდათ იგი, ენდობოდნენ მას. მან ამ გზით დაამსხვრია ის წარმოდგენა და შეხედულება მაჰმადიანი ქართველების, აჭარელთა ყოფის შესახებ, რასაც უჩიჩინებდნენ მას აჭარაში წამოსვლის წინ.

ტიტე მასწავლებლის ასეთი წარმოდგენა ხულოში ასვლისთანავე ვასიფ ჯაიანთან შეხვედრისას და ერთად თხილვანამდე მგზავრობით თანდათანობით დაიმსხვრა. მისმა კაიკაცობამ და კეთილშობილებამ, თხილვანაში მოსახლეობის თბილად შეხვედრამ, მემედ ბოლქვაძის პიროვნებამ და მისმა ყურადღებამ, ტიტე ჭყონიას, მით უფრო, განათლებამიღებულსა და ისტორიაში ჩახედულ ადამიანს, აჭარისა და აჭარლებისადმი ადრე შექმნილი წარმოდგენა გაუქარწყლა. ახალმა შთაბეჭდილებამ ტიტე მასწავლებელს ძალა შემატა ახალგაზრდობასთან, სოფლის მოსახლეობასთან მუშაობაში. ის არა მარტო სკოლაში ასწავლიდა ბავშვებს, არამედ გაკვეთილების შემდეგ, საღამოს საათებში მუშაობდა მოსახლეობაში, წერა-კითხვის უცოდინართა ჯგუფებში.

ტიტე მასწავლებლს მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა, უგზოობა, უტრანსპორტობა, ზამთარში დიდთოვლობა და ასეთ პირობებში რაიონულ ცენტრებამდეც, არდადეგებისას ბათუმამდე, თუ ლანჩხუთში მშობლებთან ჩასვლა და უკან დროულად დაბრუნება – ძნელი საქმე, მძიმე ტვირთი იყო, მაგრამ ახალგაზრდა პედაგოგი დაუზარებლად მუშაობდა დაბრკოლებების დასაძლევად. გარდა აღნიშნული მძიმე პირობებისა, მოსახლეობის ერთი ნაწილის შეგნებაში სწავლა-განათლებისადმი ორჭოფული დამოკიდებულება სკოლის მუშაობას ართულებდა. ამიტომ ტიტე მასწავლებლისთვის მთავარი საზრუნავი იყო, პირველ რიგში, სკოლაში მოსწავლეთა გამოცხადება, გოგონების ჩაბმა სწავლაში. 1928-1931 წლებამდე თხილვანის გარდა, თემის მიკროუბნებში (ბაკო, მთისუბანი, ქვედა თხილვანა) არ იყო სკოლა. ამიტომ თითო ოროლა ბავშვი იმ უბნებიდანაც თხილვანის სკოლაში დადიოდა.

1924-1925 სასწავლო წელს, როცა მეორე კლასი შეიქმნა და ორი ჯგუფი იყო სკოლაში, მაშინ (აჭარის განსახკომის ბრძ. № 242, 15/XII-1926) კიდევ ერთი მასწავლებელი, ლუბა ფირცხალაიშვილი[1] დანიშნეს თხილვანის სკოლის მასწავლებლად. ცხადია, ამან მუშაობა სკოლაში თუ სოფელში გაადვილა. სოფელში ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებით მშობელთა ინტერესი სწავლისადმი იზრდებოდა. მშობლები ინტერესდებოდნენ ბავშვების სკოლაში ჩაბმით, მაგრამ პრობლემა იყო მათი ცხოვრების მძიმე პირობები, უჭირდათ ეკონომიკურად, განსაკუთრებით ფინანსურად, ვერ ყიდულობდნენ სკოლებისთვის საჭირო სასწავლო ნივთებს, სახელმძღვანელოებს. მაგრამ ამ კუთხით მასწავლებლები ზრუნავდნენ, რომ ხელისუფლებას გაეწია დახმარება სახელმძღვანელოების მოწოდებით. ბევრჯერ მასწავლებლები შეფობდნენ მოსწავლეებს.

მიუხედავად იმისა, რომ მძიმე პირობები იყო ქვეყანაში, აჭარაში, მით უფრო მთიან სოფლებში, მათ შორის სოფელ თხილვანაში, ტიტე მასწავლებელმა კოლეგის თანადგომითა და ენერგიული დახმარებით ბევრი რამ გააკეთა სოფელში სკოლისადმი, სწავლა-განათლებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების გარდატეხაში. მათ შეაყვარა სკოლა, სწავლა და მასწავლებელი, ათეულობით ახალგაზრდას შეასწავლა მშობლიური ქართული წერა-კითხვა, რამაც დიდი როლი ითამაშა მათი ქართული ცნობიერების აღორძინების საქმეში. გარდა ამისა, ტიტე ჭყონიამ შენიშნა უშორეს სოფელში დაბადებული, მაგრამ ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა დურსუნ მამულაძე, რომელსაც განსაკუთრებით აკვირდებოდა და მოხიბლული იყო მისი ნიჭით.

დურსუნ მამულაძის ნიჭიერებაზე სოფელი ალაპარაკდა. როცა III-IV კლასის მოსწავლეებს გაუჭირდებოდათ, ტიტე მასწავლებელი გამოიძახებდა პატარა დურსუნს და ის უპრობლემოდ ამოხსნიდა მაგალითს და ამოცანასაც, – იგონებდნენ სოფელში მისი თაობის უხუცესები, რომლებიც მასთან ერთად სწავლობდნენ იმავე სკოლაში.

ტიტე ჭყონია თხილვანაში მუშაობდა 1929 წლამდე. ეს არც ისე დიდი დროა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან თვალსაჩინო კვალი დატოვა ამ სოფელში, რაც შემდეგში დიდად გახმაურდა მთელს აჭარაში. ეს დიდი ისტორიაა, მაგრამ მოკლედ იმის თქმა შეიძლება, რომ მან, როგორც პროფესიონალმა, პატრიოტმა მამულიშვილმა, პატარა ბიჭუნა დურსუნი "გამოსტაცა" მამას, სოფელს, მიაბარა ბათუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში და ამით გზა გაუხსნა ახალგაზრდას აღმასვლისთვის. დურსუნმა, შემდგომში დავითმა, მიიღო საკმაო განათლება, ჩაება ახალ ცხოვრებაში და მიაღწია აჭარის პირველ ხელმძღვანელობას, საქართველოს ხელისუფლების უმაღ-

[1] აჭარის ცსა, ფ. რ-75, ა.1, საქ.59, ფ.3.

ლეს ეშელონებში საპატიო პოსტიც კი ებარა. მან აჭარისა და სრულიად საქართველოს ისტორიაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა.[1]

ტიტე ჭყონია თხილვანიდან გადაიყვანეს ხულოს ცენტრის 8-წლიანი სკოლის მასწავლებლად. აქ ის სხვებთან ერთად ასწავლიდა ლევან (ჰაჯი) დავითაძეს (შემდგომში აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე), ხოლო 1931 წლიდან მუშაობდა მაშინდელი ბათუმის (შემდეგ ხელვაჩაურის) რაიონის კაპანდიბის დაწყებით სკოლაში, სადაც მისი ერთ-ერთი მოსწავლე იყო მოედინ ფარტენაძე, რომელიც შემდგომში გახდა ფილოლოგიის მეცენიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახლობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტი) პროფესორი.

ეს იყო ტიტე მასწავლებლის პედაგოგიური მოღვაწეობის დიდი და ნაყოფიერი შედეგი.

აი, რას წერს დავით მამულაძე თავის მასწავლებელზე: **„1923 წელს სოფელ თხილვანაში გაიხსნა დაწყებითი შრომის სკოლა და მეც იმ სკოლაში დავიწყე სწავლა. პირველი ჩემი მასწავლებელი იყო ტიტე ჭყონია, რომელმაც მასწავლა ქართული ანბანი, შემაყვარა წიგნი. მის ამაგს არასოდეს დავივიწყებ.“**[2]

კარგად აღზრდილებმა და სახელმწიფო ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მოღვაწეებმა დავით მამულაძემ და ლევან დავითაძემ დაუფასეს ამაგი ღვაწლმოსილ პედაგოგს. მოძებნეს იგი, ეწვივნენ ლანჩხუთში, მის მშობლიურ სოფელ ნინოშვილში და თავი შეახსენეს. აღფრთოვანებული პედაგოგი დიდი სიხარულით და აღტაცებით გაუმასპინძლდა თავის აღზრდილებს. ბევრი რამ გაიხსენეს წარსულიდან, ბოლოს სახელმწიფო საქმეებზე თბილისში მიმავალთ გზა დაულოცა და წარმატებები უსურვა ხალხისა და ქვეყნის სამსახურში. მათ შორის გაჩაღდა ოჯახური მეგობრობა. ვიდრე თხი-ლვანაში სკოლა იარსებებს და, გვჯერა, იარსებებს ყოველთვის, იქნება იუბილეები, თუ სხვა მასობრივი ღონისძიებები, ტიტე მასწავლებლის სახელი შემდგომში ამ სკოლაში მომუშავე პედაგოგთა ხსოვნაში არასოდეს წაიშლება. წინმდებარე წიგნიც თედორე დოლიძისა და ტიტე მასწავლებლის ხსოვნის დასტურია.

1926 წლისთვის თხილვანის შრომის სკოლაში სწავლობდა 56 მოსწავლე, მოსამზადებელ ჯგუფში – 14, I ჯგუფში – 11, II ჯგუფში – 12, III ჯგუფში – 11, IV ჯგუფში – 8 მოსწავლე[3]

30-იანი წლების დასაწყისისთვის სერიოზული ღონისძიებები გატარდა სკოლების გახსნისა და მოსახლეობის წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისთვის. განხორციელდა ორგანიზაციული და სტრუქტურული

---

[1] სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, ტ. IV, ბათუმი, 2012, გვ. 371-372.

[2] დავით მამულაძე, რწმენით განვლილი გზა (მემუარები), ბათუმი, 1997, გვ. 19.

[3] აჭარის ცსა, ფ.რ-75, ა.1, საქ.(3)20, ფ.ფ: 76-77.

ცვლილებები. 1934 წლიდან დაწესდა სკოლის შემდეგი ტიპები: დაწყებითი (I-IV კლ.), არასრული საშუალო (V-VIII კლ.) და საშუალო (IX-X კლ.) სკოლა. ჯგუფებს კლასები ეწოდა. დაწესდა კლასის ხელმძღვანელის შტატი მეხუთე კლასიდან.[1]

1932-33 სასწავლო წლიდან საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლების შემოღებას მოჰყვა სასკოლო განათლების ქსელის გაფართოება. ზოგიერთ სოფელში დაწყებითი სკოლა გადაკეთდა არასრულ საშუალო სკოლად, იხსნებოდა 7-წლიანი სკოლები.

მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების ამ ფონზე ვითარდებოდა პროცესი სხალთა-ხიხანის ხეობაშიც. მათ შორის თხილვანის თემში. კერძოდ: თხილვანასა და ხიხაძირის შემდეგ სკოლის გახსნა მოითხოვა სოფელ ბაკოსა და მთისუბნის (მუმსეის) მოსახლეობამ. 1928 წელს ბაკოში გაიხსნა სკოლა სახელწოდებით "ბაკო-მთისუბნის დაწყებითი შრომითი სკოლა." მაგრამ მოსწავლეებმა მთისუბნიდან ბაკოში სიარული ვერ შეძლეს მძიმე სოციალური და რთული რელიეფური პირობების გამო. ამიტომ, 1931 წელს ქვედა თხილვანაში და მთისუბანში გაიხსნა სკოლები, რამაც გარკვეულად შეუმსუბუქა მუშაობა ადრე გახსნილ თხილვანის სკოლას. გაფართოვდა არა მარტო პედაგოგიური მუშაობა სკოლებში, არამედ სააგიტაციო-პროპაგანდისტული საქმიანობა სოფელში, უფრო მეტი გაქანება მიეცა წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს.

თხილვანის დაწყებითი სკოლის ტრადიცია და ტიტე მასწავლებლის საქმიანობა განაგრძეს ტყეშელიაძემ, მიშა მირზაშვილმა, მიხეილ შენგელიამ, აპოლონ რუხაძემ, სერგო ძველაიამ, სიმონ ხელიამ, ნადია თარგამაძემ, ილია კალანდაძემ და სხვებმა, რომელთა აქტიურმა მუშაობამ სერიოზული პრობლემები გადაჭრა ოცდაათიან წლებში თხილვანასა და მის მიკროუბნებში.

30-იანი წლების მეორე ნახევარში დაწყებული საყოველთაო შრომითი სწავლება ძირითადად განხორციელდა და მომზადდა პირობები შვიდწლიან სწავლებაზე გადასასვლელად ქალაქში. ამასთან დაიწყო დაწყებითი სავალდებულო სწავლების კანონის გატარება სოფლად. ამავე პერიოდისთვის გაძლიერდა მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრისთვის აჭარაში.

აჭარის განათლების კომისარიატი შრომითი სკოლების გახსნის პარალელურად იბრძოდა მოზრდილი მოსახლეობის (50 წლამდე ასაკის) წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური სკოლები სახელწოდებით, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები (შედმგომში „წ.კ.უ.ს. სკოლები"), რომელსაც ხელმძღვანე-

[1] გაზ. "კომინისტი", 18 მარტი, 1936.

ლობდა 1921 წელს აჭარის რევკომის მიერ შექმნილი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკიდაციო კომისია ი. ბახტაძის ხელმძღვანელობით. კომისიამ აღწერა ამ კატეგორიის მოსახლეობა, გამოიყო მასწავლებლები, შექმნეს საამისო სკოლები. განათლების რაიონული განყოფილება, რაიაღმასკომები სისტემურად განიხილავდნენ ამ ტიპის სკოლების მუშაობას, სკოლადამთავრებულებს ეძლეოდათ ცნობა წერა-კითხვის შესახებ.[1]

1934 წელს გაზეთ "საბჭოთა აჭარისტანში"[2] გამოქვეყნე-ბულია აჭარაში წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის სკოლების ცხრილი, რომელსაც აქვე ვთავაზობთ მკითხველს;

ქალაქი, რაიონი	წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები			წერა-კითხვის მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლები		
	სულ	მსმენელ-თა რაო-დენობა	მათ შორის ქალი	სულ	მსმენელ-თა რაო-დენობა	მათ შორის ქალი
ხულო	135	2000	1000	50	1000	200
ქედა	67	1000	483	30	500	100
ქობულე-თი	100	1490	812	50	900	250
ბათუმის რაიონი	120	1824	819	819	45	250
სულ აჭა-რაში	1160	7000	3500	220	4000	1000

წერა-კითხვის სალიკვილდაციო სკოლები შეიქმნა თითქმის ყველა სოფელში, მათ შორის თხილვანაში და მის მიკრობუნებში (ქვედა თხილვანა, ბაკო და მთისუბანი). შრომის სკოლის მასწავლებლები დღის მეორე ნახევარში, ან საღამოს საათებში ამეცადინებდნენ ქალებსა და მამაკაცებს, ასწავლიდნენ წერა-კითხვას. ამ მიმართულებით ნაყოფიერი იყო ჭრა-კერვის სკოლა. სადაც, ჭრა-კერვასთან ერთად, ასწავლიდნენ წერა-კითხვასაც. ამ კუთხით ფასდაუდებელი როლი შეასრულა ტიტე ჭყონიას მეუღლემ, ქალბატონმა ნინამ. მან თავისი კდემამოსილებით, ტაქტიანი ურთიერთობით ქალებს იმდენად შეაყვარა თავი, რომ ის მიიღეს, როგორც და, ან დედა. მან და მისმა ოჯახმა ხომ სითბო და სინათლე შეიტანეს სოფელში. როცა ვაჟიშვილი გაუჩნდათ, მემედ ბოლქვაძე, რომლის სახლში ცხოვრობდნენ, შევიდა ტიტე მასწავლებელთან, მიულოცა შვილის დაბადება და თხოვა, თუ ნებას მომცემ, ბავშვს სახელს მე დავარქმევო. მასთან შეთანხმებით და მის გასაოცრად, დაარქვა **ზ ი ა,** გაოცებულმა მამამ იკითხა, რას ნიშნავს ეს სახელი? – ზია ნიშნავს სინათლეს – იყო პასუხი გულანთებული მასპინძლის-

[1] აჭარის ცსა, რ-263, ა.1, საქ. 214, ფ. 40-43, იქვე, საქ. 228, ფ. 17-20.
[2] გაზ. "საბჭოთა აჭარისტანი," 16 ოქტომბერი, 1934.

გან, თქვენ სოფელში სინათლე, სითბო შემოიტანეთ, შვილის გაჩენა ხომ სიხარული და სინათლეცაა, მართლაც, ტიტე მასწავლებელმა და მასთან ერთად მომუშავე მასწავლებლებმა წერა-კითხვა ასწავლეს არა მარტო სკოლის მოსწავლეებს, არამედ სოფლის 50 წლამდე ასაკის მოსახლეობასაც. მათი ენერგიული შრომის შედეგად 50 წლის ასაკის მოსახლეობის 80-85%-მა შეისწავლა ქართული წერა-კითხვა. ახალგაზრდების ლტოლვა დაიწყო სკოლისაკენ, სწავლა-განათლების მიღება ადამიანთა მთავარ მოთხოვნად იქცა. მოსახლეობის ქართული, ეროვნული მსოფლმხედველობა აღორძინდა. რა თქმა უნდა, ამ საქმეში განათლებისა და კულტურის სისტემის ჩამოყალიბებამ დიდი და განსაკუთრებული როლი ითამაშა. **საბჭოების ყრილობაზე შეჯამდა გაწეული მუშაობა ბოლო 15 წლის განმავლობაში. ყრილობაზე აღინიშნა, რომ შეიქმნა აჭარის ადგილობრივი ინტელიგენცია.**

სკოლებისა და მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა სასწავლო წლების მიეხდვით 30-იან წლებში მოცემულია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში:[1]

სასწავლო წელი	სკოლების რაოდენობა				მოსწავლეთა რაოდენობა			
	დაწყებ.	8-წლ.	საშუალო	სულ	1-4 კლ	5-8 კლ	9-10 კლ	სულ
1931-1932	281	30	-	311	19283	2740	--	22027
1932-1933	257	32	3	292	19441	3288	80	22809
1933-1934	283	35	4	322	20792	3246	163	24201
1934-1935	298	33	6	337	20974	3546	600	25120
1935-1936	292	44	5	341	22119	4386	611	27116
1936-1937	300	50	8	358	29246	5338	804	28388
1937-1938	273	59	12	344	22147	6320	1107	29574
1938-1939	280	56	20	356	22433	7131	1509	31073
1939-1940	299	61	24	384	22099	7563	1886	31508

მოტანილი ცხრილიდან ჩანს, რომ 1931 წლის სექტემბრისთვის აჭარაში სულ 311 სკოლაა, მათ შორის – 281 დაწყებითი, 30 – რვაწლიანი, საშუალო სკოლა კი არ იყო. 22027 მოსწავლიდან I-IV კლასებში

[1] ვახტანგ წულუკიძე, დასახ. წიგნი, გვ. 137.

სწავლობდა 19283 მოსწავლე, V-VIII კლასებში კი – 2740 მოსწავლე. 1939-1940 წლის ბოლოს სკოლების რიცხვი 311-დან 384-მდე გაიზარდა, მოსწავლეთა რაოდენობა კი – 22027-დან 31508-მდე. 1940 წლის ივნისისათვის რვა კლასი დაამთავრა 7563 მოსწავლემ, საშუალო სკოლის IX-X კლასებში კი (მაშინ საშუალო სკოლა იყო ათწლიანი) – 1886 მოსწავლე სწავლობდა. ადრე მარტო დაწყებითი სკოლა იყო და მაშინ მთავარი იყო ოთხი კლასის დამთავრება, ხოლო როცა არასრული საშუალო სკოლები გაიხსნა, ყველა მოსწავლე, ვინც მეოთხე კლასს ამთავრებდა, V კლასში სწავლას ვერ აგრძელებდა, რადგან ყველა სოფელში არ იყო მეორე საფეხურის სკოლა, და თუ იყო ასეთი სკოლა, იგი დიდი მანძილით იყო დაშორებული სოფლიდან.

რაკი ადრე საშუალო და რვაწლიანი სკოლები არ იყო რაიონებში, ამიტომ აჭარის განათლების სახალხო კომისარიატმა შექმნა სარაიონო სკოლების სისტემა, რაც ნიშნავდა იმას, რომ სასოფლო საბჭოს ცენტრში არსებული სკოლა ცხადდებოდა სარაიონოდ, ანუ სათავო სკოლად. მის ირგვლივ არსებული სკოლები ერთიანდებოდნენ მასთან. სარაიონო სკოლებთან იქმნებოდა ერთიანი პედაგოგიური საბჭო ყველა სკოლისთვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად. ეს იყო მეტად კარგი პრაქტიკა მანამდე, ვიდრე სოფლებში მასობრივად შეიქმნებოდა არასრული საშუალო თუ საშუალო სკოლები. ხულოს რაიონში შეიქმნა 11 სარაიონო სკოლა. აქედან სხალთა-ხიხანის ხეობაში – ორი: ხიხაძირის და ფაჩხის სარაიონო, ანუ სათავო სკოლა. ხიხაძირის სარაიონო სკოლაში გაერთიანებული იყო: ხიხაძირის, ბაკოს, თხი-ლვანის, ქვედა თხილვანის, მთისუბნის, სკვანის, კალოთის, ვერნების, რაქვთის და ფუშრუკაულის დაწყებითი შრომის სკოლები. გაძლიერდა კონტროლი სკოლებისადმი, გაუმჯობესდა პედაგოგთა ურთიერთობა, ტარდებოდა ღია გაკვეთილები, მეთოდური მუშაობა, გამოცდილების გაზიარება. ასეთი ფორმის სკოლების სისტემა 1939 წელს გაუქმდა.

დაწყებითი სკოლები 1928-1930 წლებიდან მასიურად გაიხსნა: ბაკოში, ქვედა თხილვანაში, მთისუბანში და ხეობის თითქმის ყველა სოფელში. ამ კუთხით დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სასოფლო საბჭოებს, რომლებიც კოლმეურნეობების მეშვეობით ასრულებდნენ ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების დადგენილებებს.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის წევრებად ირჩევდნენ თითო წარმომადგენელს ყველა სოფლიდან. წარმომადგენლებს კი სოფლის კრების მეშვეობით წამოაყენებდნენ. მიუხედავად ამისა, პირველ ხანებში სოფლის წარმომადგენლებად აღმასკომში ირჩეოდა წერა-კითხვის მცირემცოდნე, ან უცოდინარი პირი, მაგრამ მათი პასუხისმგებლობა და აქტიურობა დავალების შესრულებაში და ოპერატიულობა კარგად იგრძნობოდა. გამოირჩეოდნენ აღმასკომის დარგობრივი სექტორების ხელმძღვანელები. ასეთი საზოგადოებრივი დავალებებით დატვირთვა არჩეულ პირებს აიძულებდა ეს-

წავლათ წერა-კითხვა. ეს მომენტი კი წ.კ.უ.ს. სკოლების მუშაობას ასტიმულირებდა. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს არა მარტო პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, არამედ დიდი უფლებებიც ჰქონდათ. მთავარი იყო ხელმძღვანელი პირის, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის შინაგანი მოწოდება, ინტელექტუალური დონე, მუშაობის ინტერესი, კომუნიკაბელობის უნარი და მასშტაბი. ხიხაძირის სასოფლო საბჭოს აღმასკომი, როგორც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო, ინტერესდებოდა მისი კომპეტენციის ფარგლებში სოფლების ცხოვრების ისეთი საკითხებით, როგორიც იყო სკოლაში მოსწავლეთა გამოცხადება, სწავლების ხარისხი, მატერიალური ბაზის მდგომარეობა, კადრების პრობლემა, დაქირავებულ ბინებში მყოფი სკოლებისთვის შენობების დაგეგმვა-აშენება, მასწავლებელთა პირობები და ა.შ. აღმასკომის თავმჯდომარე, ან სექციის ხელმძღვანელი თუ დეპუტატი სისტემატიურად ჩამოივლიდა სკოლაში, მოიკითხავდა მდგომარეობას, და თუ საჭირო დარჩებოდა, ჩაერეოდა საქმეში და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ეხმარებოდა სკოლას საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში. თუ საჭიროდ ჩათვლიდნენ, საკითხს იხილავდნენ აღმასკომის სხდომაზე. გამოქონდათ გადაწყვეტილება წამოჭრილი პრობლემის მოსაგვარებლად. შედეგები იზომებოდა მიღწეული წარმატებით და არა ოქმების გაფორმებით ფარატინა ქაღალდზე.

საბჭოების მუშაობაში თვალშისაცემია კიდევ ერთი მომენტი. სასწავლო წლის დაწყების წინ სოფლებში ირჩევდნენ სკოლებზე დამხმარე კომისიებს 5-7 კაცის შემადგენლობით (სოფლის სიდიდის მიხედვით). მათ ევალებოდათ სკოლების ხელმძღვანელებზე დახმარების გაწევა (მოსწავლეთა გამოცხადება სკოლაში, გოგონების მიმართ განსაკუთრებული ყურადღება, შეშით მომარაგების საკითხი, ურჩ მშობლებთან მუშაობა, მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობებისათვის ზრუნვა, დისციპლინის განმტკიცებისათვის ხელშეწყობა. წ.კ.უ.ს. სკოლებისადმი ყურადღების მიქცევა და ა.შ. ეს კეთდებოდა მთელი სასწავლო წლის მანძილზე, რაც ძალზე კარგი და ეფექტური ფორმა იყო მაშინდელ მძიმე პირობებში. ამაზე ნათლად მეტყველებს საარქივო დოკუმენტები[1]. თხილვანა-ბაკოდან 30-იან წლებში ხიხაძირის სასოფლო საბჭოს წევრებად არჩეული იყვნენ ფირყეთ, დურსუნ მამულაძეები, ფოლად, აბდულ ქამაშიძეები, მუსტო მიქელაძე, შუქრი, მუსა დუმბაძეები, ფაიყ ჯაბნიძე, ისა თურაძე და სხვები, რომლებიც სკოლებს უწევდნენ კონტროლსა და დახმარებას.

სკოლებისადმი ხელისუფლების ყურადღების გაძლიერებით და დახმარების გაწევით, მძიმე პირობების მიუხედავად, თანდათანობით უმჯობესდებოდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მოსწავლეთა გამოცხადება

[1] აჭარის ცსა, ფ. (15), 1027, ა.1, საქ. 1, 6, 7, 8.

სკოლებში, გოგონების რიცხვიც საკმაოდ იზრდებოდა. ეს კარგად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილიდან.[1]

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, გაიზარდა სკოლების რიცხვიც და მოსწავლეთა რაოდენობაც. ეს პროცესი უფრო ინტენსიური გახდა რვაწლიანი სავალდებულო სწავლების კანონის შემოღებითა და მისი განხორციელებისთვის მშობელთა დარაზმვით, მოსწავლეთა ინტერესის გაძლიერებით, სწავლისადმი მათი შეგნებული დამოკიდებულების ამაღლებით. 1940 წლისთვის მოსახლეობა, ახალგაზრდობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სკოლაში სწავლის, ცოდნის მიღების გარეშე წინსვლა წარმოუდგენელი იყო, სიღატაკისა და უმეცრების დაძლევა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება შეუძლებელი იყო.

ადგილობრივი კადრების შესახებ აჭარაში
1934-1935 ს.წ.

№	სკოლების ტიპი	სკოლების რ-ბა	ვაჟი	ქალი	უმაღლესი განათლებით	საშუალო განათლებით	დაბალი განათლებით	აჭარელი	ქართველი	ბერძენი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	დაწყებითი	212	152	60	--	45	42	11/1	200	1
2	არასრული საშ სკოლა	18	17	1	--	10	--	2	16	--
3	საშუალო სკოლა	12	11	1	--	6	6	5	5/1	7
4	საბავშვო ბაღი	2	--	2	--	1	1	--	9	--
5	ჭრა-კერვის სკოლა	23	--	25	--	--	23	--	18/2	--

სკოლების ქსელის გაფართოება მოითხოვდა სათანადო კადრების გაზრდას, პირველ რიგში, აჭარის მოსახლეობისგან. ამიტომ ხელისუფლება, განათლების სახალხო კომისარიატი იბრძოდნენ სკოლებისთვის სათანადო კადრების მომზადებისთვის. 1935 წელს აჭარაში არსებული 4 პედსასწავლებელი ვერ აკმაყოფილებდა პედაგოგებზე გაზრდილ მოთხოვნებს. ამიტომ ხულოში არსებულ ვაჟთა პედსასწავლებლის გვერდით გაიხსნა ქალთა პედსასწავლებელი, ანალოგიურად გაიხსნა აჭარისწყლის და ქედის პედსასწავლებლები.

[1] აჭარის ცსა, ფ.რ-5, ა.1, საქ. 316, ფ. 55, – აჭარის განსახკომი.

გარდა აღნიშნულისა, განსახკომი ზრუნავდა სკოლებში სასწავლო გეგმების და პროგრამების დახვეწისათვის. დაწყებითი კლასები მოწოდებული იყო ესწავლებინა წერა-კითხვა, მარტივი არითმეტიკის ძირითადი საკითხები, ბუნების სურათების აღწერა, მესამე კლასიდან იწყებოდა რუსული ენის სწავლება, ხატვა-სიმღერა და ფიზკულტურა გამიზნული იყო მოსწავლეთა გარკვეული ნიჭის განვითარებისა და ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის, მეხუთე კლასიდან სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლება გარკვეული დოზით. თავიდან რვა კლასის ფარგლებში ისწავლებოდა 30-მდე საგანი, პედტექნიკუმებში – საგნები თავიანთი მეთოდიკებით. 1935-1936 წლიდან დაიხვეწა სასწავლო გეგმები და პროგრამები, დამუშავდა სახელმძღვანელოები.

1928 წელს შეიქმნა ბათუმის განათლების განყოფილება, დაიშვა სასწავლო ინსტრუქტორის თითო შტატი მაზრებში. მანამდე მაზრებში იყო სარაიონო სკოლები (რომელთა შესახებ საუბარი იყო ზემოთ).

1935-36 სასწ. წლიდან საქართველოს სკოლებში მიღებულ იქნა შემდეგი სასწავლო გეგმა, რაც იმ დროისთვის ტიპური და გარკვეულწილად სტაბილურიც იყო.

სასწავლო საგნები	კლასები	საათი
1. მშობლიური ენა	I-X	60
2. მშობლიური ლიტერატურა	I-X	19
3. რუსული ენა	V-X	22
4. არითმეტიკა	I-VI	31
5. მათემატიკა	V-X	27
6. ბუნებისმეტყველება	I-X	18
7. ისტორია	III-X	20
8. გეოგრაფია	III-X	15
9. ფიზიკა	VI-X	15
10. ქიმია	VIII-X	11
11. უცხო ენა	VIII-X	9
12. საზოგადოებათმცოდნეობა	V-VII	3
13. გეოლოგია	X	1
14. შრომა	I-X	16
15. ხატვა	I-V	6
16. ხაზვა	V-X	5
17. ფიზკულტურა	I-X	10

18. სამხედრო საქმე	IX-X	2
19. სიმღერა	I-VI	6

აჭარაში განათლების სისტემის ჩამოყალიბების მთავარი ხერხემალი იყო სტაბილური სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები.

სკოლის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი დადგა 1935 წელს, როცა შემოიღეს ცოდნის შეფასების ხუთბალიანი სისტემა, 1 (ძლიერ ცუდი), 2 (ცუდი), 3 (საშუალო), 4 (კარგი), 5 (ფრიადი). როცა განათლების სისტემაში ჯერ დაშვებული იყო სოციალისტური შეჯიბრება, რაც პედაგოგიურად გაუმართლებელი იყო და მალე გაუქმდა, მაშინ დაიწერა სკეტჩი "ნიშნების გასაუბრება", მოქმედ პირებად იყვნენ ოროსანი, სამოსანი, კარგოსანი, ფრიადოსანი მოსწავ-ლეები. სკეტჩი სპექტაკლის სახით მზადდებოდა, აჩვენებდნენ მოსახლეობას დღესასწაულებზე თუ ხელისუფლების ორგანოების არჩევნების დღეს.

საქართველოს განათლების სახკომმა 1933 წელს დააწესა კლასის დატვირთვის ნორმები რეგიონების მიხედვით. აჭარისთვის დადგინდა ნორმა დაწყებით კლასებში 28 მოსწავლე, V-X კლასებში – 29, აჭარის მთის სოფლების სკოლებში მოსწავლეთა სიმცირის გამო ნორმები ვერ იქნა დაცული.

წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ აჭარაში 1940 წლისთვის მომზადდა ნიადაგი შვიდწლიან საყოველთაო სწავლებაზე გადასვლისთვის ქალაქად და დაწყებითი განთლების კანონის დასრულებაზე სოფლად.

ვაჯამებთ რა თხილვანის დაწყებითი შრომის სკოლაზე საუბარს, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი რამ, რომელიც დამახასიათებელი იყო მხოლოდ აჭარის სკოლებისათვის. ითვალისწინებდა რა აჭარის ისტორიული წარსულს, ხელისუფლება მიმართავდა განათლების სახალხო კომისარიატს, სკოლებს, რომ აჭარის მაჰმადიან მოსახლეობას არ შებღალვოდა რელიგიური გრძნობები. ამ მიზნით საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სკოლებში ისწავლებოდა რელიგიის საკითხები. აჭარის სკოლებისთვის სპეციალურად გამოდიოდა "დედა ენის" სახელმძღვანელო. ამასთან დაკავშირებით გაზეთი "საბჭოთა აჭარისტანი" თავის მოწინავე სტატიაში 1929 წლის 13 ნოემბერს წერდა: "არსად სოფლის მასწავლებლობას ისეთი მძიმე და საპასუხისმგებლო ამოცანები არ ეკისრება, როგორც აჭარისტანის სოფლად". ჩვენი სოფლის თავისებური პირობების გამო მოვლინებული მასწავლებლები განსაკუთრებულ სიფრთხილესა და წინდახედულებას იჩენდნენ კულტურული რევოლუციის ფრონტზე, განსაკუთრებით სწავლა-განათლების დარგში. პედაგოგთა ტაქტიანმა და ენერგიულმა შრომამ ხელი შეუწყო ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას. სოფლის

მშრომელმა მოსახლეობამ შეიგნო სწავლა-განათლების უდიდესი მნიშვნელობა სოფლის წინსვლა-განვითარების საქმეში. გლეხი დარწმუნდა, რომ სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელე. იგი პირადი გადაწყვეტილებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ახალი თაობის აღზრდა, ცოდნის, განათლების მიცემა აუცილებელი პირობაა სოფლის სიღატაკისა და უკულტურობის აღმოსაფხვრელად, მათი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამრიგად, თხილვანის დაწყებითი შრომის სკოლა იყო ერთ-ერთი პირველი კერა თხილვანის თემში. მასში დასაქმებულმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოვლენილმა ათეულობით მასწავლებელმა გასული საუკუნის 20-30-იან წლებში აჭარაში, ხულოს რაიონში, სხალთა-ხიხანის ხეობაში, მათ შორის თხილვანაში, ხელისუფლების ხელშეწყობით და მზრუნველობით დიდი პრობლემა გადაწყვიტეს. ძირითადად აღმოიფხვრა მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობა, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართულმა სკოლამ. ისტორიული ნაბიჯი გადაიდგა კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, გატარდა დაწყებითი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონი აჭარაში, მოსახლეობის 97,3%-მა ხულოს რაიონში 88%-მა შეისწავლა ქართული წერა-კითხვა. მომზადდა ნიადაგი რვაწლიანი განათლების კანონის გატარებისთვის ქალაქად, სოფლად კი ამოცანად რჩებოდა დაწყებითი სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების დასრულება.

დასახული ამოცანის განხორციელების გზაზე ერთ-ერთი სერიოზული ნაბიჯი იყო დაწყებითი სკოლების ბაზაზე არასრული საშუალო სკოლების ქსელის გაფართოება.

§5. თხილვანის არასრული საშუალო სკოლა (1940-1955 წწ.)

დაწყებითი შრომის სკოლამ თხილვანაში თავისი ფუნქცია შეასრულა, ორმოცდაათ წლამდე ასაკის მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობა ძირითადად აღმოიფხვრა, განხორციელდა დაწყებითი საყოველთაო განათლების კანონი ქალაქად და მთელი ძალისხმევა წარიმართა ამ კანონის სარეალიზაციოდ სოფლად. ამ კანონის დასრულების და ქვეყანაში განათლების შვიდწლიანი სავალდებულო კანონის გატარებისთვის საჭირო გახდა დაწყებითი სკოლების ბაზაზე არასრული საშუალო სკოლების გახსნა (I-VII კლასები), სადაც დაწყებითი კლასების დამთავრების შემდეგ მოსწავლეები სწავლას გააგრძლებდნენ V-VII კლასებში ადგილზე. ამიტომ ხელისუფლების გადაწყვეტილებით გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო 7-წლიანი სკოლების მასიურად გახსნა.

1940 წელს დაწყებითი შრომის სკოლის ბაზაზე თხილვანაში გაიხსნა 7-წლიანი, ანუ არასრული საშუალო სკოლა მეხუთე კლასით. 20 აგვისტოდან სკოლის დირექტორად დაინიშნა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლევან ბერიძე.[1]

სასწავლო წლის პირველი დღე საზეიმო ხასიათს ატარებდა. სკოლაში გამოცხადნენ მოსწავლეთა მშობლები, კოლმეურნეობის ხელმძღვანელები, სასოფლო-საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს დეპუტატები ბაკო--თხილვანიდან. ყველას უხაროდა 7-წლიანი სკოლის გახსნა თხილვანაში. ერთმანეთს ულოცავდნენ ამ საჩუქარს. საზეიმო შეკრებაზე სტუმრებს მიესალმა სკოლის დირექტორი. მან მიულოცა სოფელს სკოლის გახსნა, მადლობა უთხრა მშობლებს, მოსულ სტუმრებს მხარდაჭერისა და დახმარებისთვის. ბოლოს თხო-ვნით მიმართა მშობლებს – შვილები დროულად გამოეშვათ სკოლაში და არ გაეცდენინებინათ გაკვეთილები. სკოლის სტატუსის გაზრდას მშობლებს პასუხისმგებლობის გაზრდით უნდა ეპასუხათ, პედაგოგიურ კოლექტივს კი მუხლჩაუხრელი შრომით. დირექტორის შემდეგ შეკრებილებს სიტყვით მიმართეს სოფლისა და სასოფლო საბჭოს თავკაცებმა. დასრულდა შეკრება, დაირეკა სასწავლო წლისა და მეცადინეობის დაწყების მაუწყებელი ზარი. მოსწავლეები შევიდნენ კლასებში. ასე დაიწყო 1940-1941 სასწავლო წელი თხილვანის ახალგახსნილ არასრულ საშუალო სკოლაში მასთან ერთად სკოლაში მუშაობდნენ: დაწყებით კლასებში მარო გოგუა, ცუცა რუხაძე[2], იუნუს მიქელაძე – ხულოს პედსასწავლებელდამთავრებული,[3] გრიგოლი მეშველია.[4]

ახალდანიშნული დირექტორი ლევან ბერიძე ადგილობრივ მასწავლებელთაგან ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი იყო, ვინც ინსტიტუტის დამთავრებისთანავე შრომითი საქმიანობის დასაწყებად მშობლიური მაღალმთიანი ხულოს რაიონი აირჩია. პირველი პედაგოგიური ნათლობა მიიღო 1938 წელს უჩამბის (დღევანდელი შუახევის მუნიციპალიტეტი) სკოლაში, სადაც ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. ახალგაზრდა პედაგოგმა კარგი ცოდნა და უნარი გამოავლინა.

1939 წლის 1 სექტემბრიდან დაწყებული მეორე მსოფლიო ომის ხანძარი თანდათან მოიწევდა საბჭოთა ქვეყნისკენ. შეიქმნა ომის საშიშროება ჩვენი ქვეყნისთვის. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება ზრუნავდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გამტკიცებისთვის. მალე დაიწყო ფინეთ-საბჭოთა კავშირის ომი, ჩატარდა მოსახლეობის მობილიზაცია – 18-50 წლის ასაკის მოსახლეობის ჯარში გაწვევა. მათ შორის იწვევდნენ სკოლის მასწავლებლებსაც. ეს პროცესი უფრო გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის (1941-1945 წწ.) დაწყების შემდეგ. მობილიზციამ მიიღო საყოველთაო ხასი-

---

[1] აჭარის ცსა, ფ. 5, ა.2, საქ.123, ფ. 13.
[2] იქვე, ფურც. 13-14.
[3] იქვე, საქ. 124, ფ. 18.
[4] აჭარის ცსა, ფ.3, ა.2, საქ. 22, ფ.ფ. 45-47.

ათი. მოსახლეობის საყოველთაო მობილიზაცია შეეხო აჭარაში მომუშავე მასწავლებლებსაც, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა მოვლინებული იყვნენ გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, საქართველოს სხვა რეგიონებიდან. ვინც აჭარაში მუშაობდა, გაწვევა მოხდა აჭარის სამხედრო კომისარიატიდან. სამხედრო კომისარიატის უწყებებით ხულოს რაიონიდან (შუახევი ხულოს რაიონში შედიოდა მაშინ) გაიწვიეს 140 მასწავლებელი. აქედან 10 იყო ადგილობრივი კადრი, 130 კი მოვლინებული სხვა რაიონებიდან. რაკი აჭარიდან და საქართველოს სასაზღვრო რაიონებიდან მოსახლეობის საყოველთაო სამხედრო მობილიზაცია 1941 წლის 1 ოქტმობრიდან შეჩერებული იყო და მოსახლეობა სახელმწიფო საზღვრებზე მისასვლელი გზების გასაკეთებლად დაასაქმეს, ამიტომ ადგილობრივი მასწავლებლები გორიდან დააბრუნეს და სამუშაოზე აღადგინეს. დანარჩენები გაიწვიეს ჯარში. ეს პროცესი შეეხო რაიონის თითქმის ყველა სკოლას და მათ შორის სხალთა-ხიხანის ხეობების სკოლებსაც (როგორც ზემოთ ითქვა, ამ ხეობიდან ფრონტზე გაიწვიეს 122 კაცი, მათგან ომს შეეწირა 42 მებრძოლი). ყველა სკოლიდან ომში გაწვეულ მასწავლებლებს აქ არ ვასახელებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ თხილვანის სკოლის და მისი მიკროუბნების სკოლებიდან გაწვეულებს.

ხულოს რაიონის განათლების განყოფილებაში მიღებულ ბრძანებაში (№67 12 ოქტომბერი, 1940 წ.), რომელსაც ხელს აწერს გამგე ლევან დავითაძე, ნათქვამია: "მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში გაწვევის გამო განთავისუფლდნენ სამუშაოდან:

1. მეშველია გრიგოლ ნოეს ძე, თხილვანის 7-წლიანი სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი;

2. ტყეშელაშვილი აკაკი (?) – ქვედა თხილვანის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი;

3. კალანდაძე ილია ესტატეს ძე – ბაკოს დაწყებითი სკოლის მასწავლებელი;

4. გაბაიძე ხასიე ომერის ძე – ბაკოს დაწყებითი სკოლის გ/მასწავლებელი;

5. მიქელაძე ილია მემედის ძე – ბაკოს დაწყებითი სკოლის მასწავლებელი;

6. არველაძე ივანე (?) – მუმსუის (მთისბუნის) დაწყებითი სკოლის გ/მასწავლებელი.[1]

როგორც ზემოთ იქვა, გაბაიძე ხასიე ომერის ძე, მიქელაძე ილია მემედის ძე, როგორც ადგილობრივები, უკან დააბრუნეს და აღადგინეს სკოლებში.

[1] ხულოს რაიონის სახელმწიფო არქივი, ფ.ს, ა.2, საქ. 13; იგივე ფონდი, საქ.22, ფ. 45-47.

რა თქმა უნდა, ამან ძალიან იმოქმედა სკოლის საქმანობაზე, სწავლების ხარისხზე. სამაგიეროდ, კადრების შევსების მიზნით, საგანგებო ვითარების გამო, გაკვეთილები რომ არ გაცდენილიყო, **დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ნება მიეცათ დილის საათებში V-VII კლასებში გაკვეთილების ჩატარებისა, დაწყებითი კლასები კი გადაიყვანეს მეორე ცვლაში. ეს თხილვანის შვიდწლიან სკოლაში, ხოლო ქვედა თხილვანაში, ბაკოსა და მთისუბნის დაწყებით სკოლებში მუშაობა გაგრძელდა ორ ცვლაში**. გარდა ამისა, სკოლის დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეებს უფლება მიეცათ მათთვის ზღვრულ ნორმაზე მეტი საათების აღებისა. მაგალითად, თხილვანის სკოლის დირექტორს ლ. ბერიძეს ჰქონდა 27 საათი. ამით აღმოიფხვრა გაკვეთილების გაცდენა, მაგრამ, სამაგიეროდ, ამან იმოქმედა სწავლების ხარისხზე. ასეთ პირობებში კიდევ უფრო დამძიმდა მასწავლებელთა მუშაობა. გრძნობდნენ რა ომის საშინელებას, მისი სიძნელეების მძიმე შედეგებს, მთავრობის, კანონების და ფრონტის მოთხოვნების შესრულების აუცილებლობას, მასწავლებლები მუხლჩაუხრელად მუშაობდნენ სკოლაში და სოფელში მოსახლეობაში სააგიტაციო-მასობრივი და პროპაგანდისტული საქმიანობის განხორციელებისთვის, სამხედრო-პატრიოტული გრძნობების განმტკიცებისთვის, ფრონტზე დახმარების გაწევისთვის, ფრონტიდან მოსული ინფორმაციის მოსახლეობამდე დაყვანისათვის. ზურგი და ფრონტი ერთიანად მომართული იყო მტერზე გამარჯვებისთვის. ზურგის წარმატებული მუშაობა ფრონტზე გამარჯვების გარანტია იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ ომის დაწყებიდან პირველი სამხედრო საყოველთაო მობილიზაციით 1941 წლის ივნის-ივლისში სასაზღვრო რაიონებში მობილიზაციის შეჩერებამდე ბაკო-თხილვანიდან ფრონტზე გააცილეს თხილვანის შრომის სკოლის კურსდამთავრებულები:

თხილვანიდან:

1. ბოლქვაძე ახმედ ისას ძე – დაბ. 1921 წ. – დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

2. ბოლქვაძე თუფან ხასანის ძე – დაბ. 1920 წ. – დაიღუპა 1942 წ.

3. ბოლქვაძე მემედ ისაკის ძე – დაბ. 1920 წ. – დაიღუპა 1942 წ.

4. გუნდაძე ქაზიმ მეჯიდის ძე – დაბ. 1924 წ. – დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

ქვედა თხილვანიდან:

5. მამულაძე ტაშო ემირის ძე, დაბ. 1919 წ. – დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

6. მამულაძე ისა ფირყეთის ძე, დაბ. 1918 წ. – დაიღუპა 1942 წ.

7. ქამადაძე ახმედ აბასის ძე, დაბ. 1920 წ. – დაიღუპა 1942 წ.

8. ქამაშიძე მემედ ნეჯიბის ძე, დაბ. 1920 წ. – დაბრუნდა ცოცხალი, გარდაცვლილია.

9. ქამადაძე ხასან თევფიყის ძე, დაბ. 1920 წ. – დაბრუნდა ცოცხალი, გარდაცვლილია.

10. ქამადაძე ზეირალ ისმეილის ძე, დაბ. 1920 წ. – დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

11. ქამადაძე მევლუდ ეშრეფის ძე, დაბ. 1919 წ. – დაიკარგა უგზო-უკ-ვლოდ.

12. ქამაშიძე ბინალი სელბის ძე, დაბ. 1920 წ. – დაიკარგა უგზო-უკ-ვლოდ.

ბაკოდან:

13. დუმბაძე ნეშეთ დურსუნის ძე, დაბ. 1922 წ. – დაიკარგა უგზო-უკ-ვლოდ.

14. მიქელაძე ახმედ მუსტოს ძე, დაბ. 1921 წ. – დაიღუპა 1942 წ.[1]

ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა იდეებზე, სამშობლოსთვის ერ-თგულებისა და საჭირო შემთხვევაში თავგანწირვისთვის მზადყოფნის სუ-ლისკვეთებით გაიზარდა სხალთა-ხიხანის ხეობის სახელოვანი შვილი, წაბლანაში დაბადებული ასლან ჯემალის ძე შაინიძე (1985-2008 წწ), რო-მელმაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის თავი გასწირა, რაც აღინიშნა ვახტანგ გორგასალის პირველი ხარისხის ორდენით და აღიარებულია საქართველოს ეროვნულ გმირად (მოწმობა № 0042). მისი პორტრეტი ამშვენებს სხალთის ხეობის ცენტრს და ცენტრალურ გზაზე გამვლელ-გამომვლელი სიამაყით ათვალიერებს მას.

ლევან ბერიძე ომის პირველი სამი წლის მანძილზე დირექტორად მუ-შაობის შემდეგ, გადაიყვანეს ბუთურაულის არასრული საშაულო სკოლის დირექტორად, ხოლო თხილვანის 7-წლიანი სკოლის დირექტორად დააწი-ნაურეს ხიხაძირის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, სერგო ჯაიანი. მას პედაგოგიური მუშაობისა და სკოლის ხელმძღვანელობის საკ-მაო გამოცდილება ჰქონდა. ახალ უბანზე მუშაობას შეუდგა კარგი შემარ-თებით, მასთან მასწავლებლად მუშაობდნენ სულიკო ხოფერია, მიხეილ მიქელაძე, გუგული კვაჭანტირაძე.

ომის სიძნელეების მიუხედავად, მასწავლებლები მაქსიმალურად იხარჯებოდნენ გაკვეთილების ჩატარებისთვის. გაკვეთილების შემდეგ სო-ფელში ტრიალდებდნენ ფრონტის წარმატებებს მოსახლეობას აცნობდნენ, მოუწოდებდნენ ფრონტისა და ზურგის განმტკიცებისაკენ. ღამის საათებ-ში ემზადებოდნენ მეორე დღის გაკვეთილების ჩასატარებლად.

მიუხედავად ყოფითი პირობებისა თუ სამამულო ომით გამოწვეული სიძნელეებისა, სკოლის დირექტორი, მცირერიცხოვანი, მაგრამ პატრიოტუ-ლი შემართების პედკოლექტივის შესძლებლობის ფარგლებში, ენერგიის დაუზოგავად ყველა საშუალებას იყენებდა სკოლაში სასწავლო-აღმზრდე-ლობითი მუშაობის წარმართვისათვის, მოსწავლეთა შორის სამხედრო--

[1] წიგნი მარადიული ხსოვნისა, 1941-1945, 2, თბ., 1987, გვ. 478.

პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისთვის, სოფლის მოსახლეობაში სამშობლოსადმი ერთგულების, ფრონტის ამოცანების გადაუდებლად შესრულებისთვის, ფრონტელთა ოჯახებზე დასახმარებლად და ა.შ. თითოეული მათგანის დევიზი იყო: "ყველაფერი ფრონტისთვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისთვის!"[1] როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე გვასწავლის, ფრონტზე გამარჯვების რწმენა სკოლაში იჭედება, შედეგიც ამის მიხედვით მიიღწევა. ილია ჭავჭავაძემ საფრანგეთ-პრუსიის ომში საფრანგეთის გამარჯვება ახსნა საფრანგეთის სკოლის გერმანულ სკოლაზე გამარჯვებით და თუ ილიას ამ თვალსაზრისს გავყვებით, საბჭოთა კავშირის ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება ნიშნავდა, რომ საბჭოთა სკოლამ აჯობა გერმანულ სკოლას. მართლაცდა, ეს გამარჯვება ამის შედეგი იყო. თუ ილიას ვირწმუნებთ, მტერზე გამარჯვება განაპირობა ომის სამართლიანმა ხასიათმა, რწმენამ გაიმარჯვა. ამ გამარჯვებით კაცობრიობა გადარჩა ფაშიზმის მონობისგან.

წარსულის მძიმე მემკვიდრეობა თავისას აკეთებდა. მსოფლიო ომის გაჩაღებამ ევროპაში და ფაშისტური გერმანიის თავდასხმის გამო, საბჭოთა კავშირის მიერ დიდი სამამულო ომის დაწყებამ კიდევ უფრო გაართულა მუშაობა, ერთის მხრივ, სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა პედაგოგიური კადრების ჯარში გაწვევის გამო და მეორეს მხრივ, სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა მოსახლეობაში – პედაგოგები, გარდა სკოლის საქმიანობისა, გვერდში ედგნენ კოლმეურნეობას, სოფლის მოსახლეობას პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულებაში. ისინი ეხმარებოდნენ ფრონტელთა ოჯახებს, მეომრებს უგზავნიდნენ ტანსაცმელს, წიგნებს, ხელთათმანებს, ხმელ ხილს, საჩუქრებს, გულთბილ წერილებს, რაც დაწერილი იყო ფრონტელთა წარმტებებით აღფრთოვანებული გრძნობით და ყურადღებით.

მასწავლებელთა დიდი ნაწილის ფრონტზე გაწვევის გამო, ა სკოლებს შეექმნა პრობლემა. იგრძნობოდა კადრების ნაკლებობა. სკოლა და დირექტორი დიდი ამოცანების წინაშე დადგნენ. განათლების სახალხო კომისარიატმა ნება მისცა სკოლების დირექტორებს, გამოეძებნათ და მიეზიდათ მასწავლებლები დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებიდან. თხილვანის სკოლის დირექტორი სერგო ჯაიანი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ასეთ მძიმე პირობებში პატრიოტული შემართება გამოიჩნა სკოლის მასწავლებელმა სულიკო ხოფერიამ. მან დირექტორს მისცა მისამართები თავისი ნათესავებისა, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ ემუშავათ აჭარაში მასწავლებლად. სერგო ჯაიანი გაემგზავრა გურიაში მათ ჩამოსაყვანად. თავდაპირველად მიაკითხა ლანჩხუთელ სულიკო ხოფერიას ოჯახს და თხოვა მშობლებს მათი უფროსი შვილი სონია, რომელსაც ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული, გამოეშვათ

[1] აჭარის ცსა, ფ.რ-1121, ა.1, ს.7-4, ფ.31.

სამუშაოდ თხილვანაში. მშობლები ამ შეთავაზებაზე დათანხმდნენ. სონიას გამოყვა აგრეთვე მისი ახლო ნათესავი ლილი ჩხაიძე, ნუცა ფოფხაძე და ლეონინა არჯევანიძე წყალტუბოდან. ლეონინამ ჯერ ქვედა თხილვანის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, შემდეგ ბაკოში გადავიდა, ხოლო ლოლა და ნუცა – თხილვანის 7-წლიან სკოლაში დასაქმდნენ. ამდენად, სულიკო მასწავლებლის თანადგომით, დირექტორმა კადრების საკითხი რამდენადმე იოლად მოაგვარა. გარდა ამისა, ამავე წელს დირექტორმა სკოლაში სამუშაოდ მიიწვია თხილვანელი ახალგაზრდა, ხიხაძირის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, მახმუდ ბოლქვაძე. მან თავისთავზე მუშაობით მიაღწია იმდენს, რომ არა მარტო დაწყებით კლასებს ასწავლიდა, არამედ ომის მძიმე წლებში განათლების განყოფილების გამგის თანხმობით გაკვეთილებს ატარებდა V-VII კლასებშიც. ასწავლიდა ისტორიას, გეოგრაფიას. მაშინ, პირველ რიგში ყურადღება ექცეოდა იმას, რომ გაკვეთილები არ გაცდენილიყო. მახმუდ მასწავლებელი, როგორც პირველი ადგილობრივი კადრი, სოფელში თითით საჩვენებელი მაგალითი იყო სხვა ახალგაზრებისთვის. მის მაგალითზე არაერთმა რვაკლასდამთავრებულმა – ხასან მამულაძემ, ხასან ქამაშიძემ, იოსებ ქამაშიძემ, მუსა მიქელაძემ, ქაზიმ, იოსებ დუმბაძეებმა, გრიგოლ დუაძემ სწავლა განაგრძეს ხიხაძირის საშუალო სკოლის IX კლასში; ხოლო გოგონებმა: სურიე ცეცხლაძემ, შუშანა მამულაძემ, ფატი მამულაძემ, ემინე მიქელაძემ – ხულოს ქალთა პედსასწავლებელი დაამთავრეს და მასწავლებლებად მოევლინენ მშობლიურ სოფლებს. ამ დროს ხიხაძირის საშუალო სკოლა დაამთავრა მთისუბნელმა მუსტაფ დუაძემ, რომელიც შემდგომ მუშაობდა ბაკოს კოლმეურნეობაში ბუღალტრის თანაშემწედ. მისი ნაადრევად გარდაცვალების გამო ობლად დარჩენილი 5 ქალიშვილი დედის ზრუნვით გაიზარდა და მიიღეს საშუალო და უმაღლესი განათლებაც.

ასეთი პატრიოტული შემართებით მომუშავე დირექტორმა, სერგო ჯაიანმა თავი გამოიჩინა რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე. იგი დააწინაურეს ხიხაძირის საშუალო სკოლის დირექტორად. 1945 წლის 20 აგვისტოდან თხილვანის 7-წლიანი სკოლის დირექტორად, სერგო ჯაიანის რეკომენდაციით, დაინიშნა ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლანჩხუთელი სულიკო ხოფერია.

სულიკო ხოფერიამ პედაგოგების ერთსულოვანი მხარდაჭერით სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა თუ სოფლად სააგიტაციო--პროპაგანდისტული საქმიანობა დამაკმაყოფილებლად წარმართა. მან განაგრძო ის ტრადიციები და მოსახლეობასთან კეთილგანწყობილი ურთიერთობებით, ნაყოფიერი მუშაობით, თავი გაართვა სკოლის დირექტორობას.

1946 წლიდან თხილვანის არასრული საშუალო სკოლა 8-წლიანად გადაკეთდა და მის დირექტორად, სულიკო ხოფერიას ნაცვლად, დაინიშნა

ბათუმის პედინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ბაგრატ დუმბაძე (1946-1947), რომელიც ერთი სასწავლო წლის შემდეგ შეცვალა დავით მახარაძემ (1947-1948).

მიუხედავად ომისშემდგომი სიძნელეებისა, 1947 წლის 2-3 თებერვალს ხულოს განათლების განყოფილებამ შეისწავლა თხილვანის 8-წლიანი სკოლის მუშაობა, რომელშიც მონაწილეობდნენ განათლების განყოფილების ინსპექტორები მ. თავართქილაძე, ი. ჯაში და პედაგოგიური კაბინეტის გამგე ქ. ხოზრევანიძე. განათლების განყოფილების შემოწმების შედეგებზე განყოფილების გამგის სახელზე მოხსენებითი ბარათი და საბჭოზე განსახილველად საკითხი მოამზადა და გაიტანა ქ. ხოზრევანიძემ.[1]

საარქივო დოკუმენტიდან ჩანს სკოლის პედაგოგიური შემადგენლობა. დირექტორი მახარაძე ჯეფერ იუნუსის ძე, ბათუმის ინსტიტუტდამთავრებული, ისტორიკოსი;

კაკაბაძე თამარ მელიტონის ასული – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ინსტიტუტდამთავრებული;

ბჟალავა ლევთერ გრიგოლის ძე – ცხაკაიას პედსასწავლებელდამთავრებული

შალამბერიძე ქეთევან ნიკიფორეს ასული – წულუკიძის პედსასაწვლებელდამთავრებული;

ბოლქვაძე მახმუდ დურსუნის ძე – ხიხაძირის სკოლადამთავრებული (ასწავლიდა გეოგრაფიას);

ორდენოსანი ხასან თევფიყის ძე ქამადაძე, სამამულო ომის მონაწილე – ფიზკულტურის მასაწვლებელი.

სკოლას აღრიცხული ჰქონდა სკოლის ასაკის ყველა მოსწავლე, მაგრამ, უმეტესად, როგორც ყველგან მთის სოფლებში, სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო, სკოლაში მოსწავლეთა გამოცხადება მოიკოჭლებდა.

გაეცნენ ყველა საგნის სწავლებას, გაითვალისწინეს ადგილობრივი პირობები, ომის და ომისშემდგომ არსებული სირთულეები და სასწავლო პროცესის შესახებ გაკეთდა ზოგადი დასკვნა, ვითარების შესაბამისად სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

კომისიამ მოიწონა ისიც, რომ ყველა გაკვეთილი ტარდებოდა ცხრილის მიხედვით, მაგრამ შენიშნეს, რომ ყველა მოსწავლე არ ესწრებოდა გაკვეთილებს.

1948 წლის 20 სექტემბრიდან სერგო ჯაიანი კვლავ დააბრუნეს თხილვანის რვაწლიანი სკოლის დირექტორად და იმუშავა 1950 წლის 20 სექტემბრამდე. უკვე საკმაოდ გამოცდილმა დირექტორმა მთავარი აქცენტი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაზე, მასწავლებელთა პედაგოგიურ დახელოვნებაზე, რვაკლასდამთავრებულთა პედაგოგიურ და

[1] აჭარის ცსა, ფ. 1121, ა.1, საქ.3, ფ.ფ. 125-130.

პროფესიულ სასწავლებლებში ჩაბმასა და საშუალო სკოლის IX კლასში სწავლის გაგრძელებაზე გააძლიერა. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ სკოლის კურსდამთარებულმა გოგონებმა სურიე ცეცხლაძემ, შუშანა და ფატი მამულაძეებმა, ნარგიზ ბოლქვაძემ, ემინე მიქელაძემ სწავლა განაგრძეს ხულოს ქალთა პედსასწავლებელში, ხოლო რვაკლასდამთავრებულმა ვაჟთა ერთმა ნაწილმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწავლა განაგრძეს ხიხაძირის საშუალო სკოლაში.

წინამდებარე წიგნის პირველი ორი ავტორი თავს ბედნიერად თვლის, რომ ბაკოს დაწებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, 1949 წელს სწავლა განაგრძო თხილვანის რვაწლიან სკოლაში და ეზიარა სერგო მასწავლებლის პედაგოგიურ მადლს, მისივე რჩევით სწავლა დაიწყო ხიხაძირის საშუალო სკოლაში.

სერგო ჯაიანის დირექტორობის დროს, სამამულო ომის პერიოდში, 40-იანი წლების ბოლოს, შედარებით გაუმჯობესდა პედაგოგიური კოლექტივის ხარისხობრივი მაჩვენებლების დონე. პედაგოგიურ ინსტიტუტდამთავრებულთა რიცხვი სკოლაში გაიზარდა. აი, ის მასწავლებლებიც: თინა კუკულაძე (ისტორია, სასწავლო ნაწილის გამგე), მიშა აფხაზავა (ქართული ენა, ლიტერატურა), ვასო გვენცაძე (რუსული ენა, ლიტერატურა), ქეთინო სვანიძე, მიხეილ ბოლქვაძე, მზევინარ ჯაიანი, არტემ ჯღარკავა (მათემატიკა) და სხვ. განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა არტემ მასწავლებელი, მან გვასწავლა და შეგვაყარა მათემატიკა. ის იყო კარგი მეთოდისტი. თუ რომელიმე მოსწავლე დავალებას ვერ შეასრულებდა, იმას უნდა ეჩვენებინა სავარჯიშო ნამუშევარი, რაც მისი მითითებით საშინაო დავალების რვეულის მეორე ფურცლის შუაზე ვერტიკალურად გაყოფილ მარჯვენა მხარეს უნდა ჰქონოდა ნავარჯიშევი. გამოიყვანდა მოსწავლეს დაფასთან, აბა, როგორ ვერ გაიგე, მამაია? – ასეთი ტერმინი ჰქონდა. გზას, მითითებას მისცემდა, აუხსნიდა, გააგებინებდა. მოსწავლე მუშაობდა დაფასთან, კლასი ისმენდა, თუ კლასს არ ჰქონდა დავალება შესასრულებელი, მაშინ მათ მისცემდა დავალებას კლასში შესასრულებლად, თვითონ კი გამოსულ მოსწავლესთან ერთად მუშაობდა დაფასთან. ამ გზით (VI კლასი) შეგვაყვარა არითმეტიკა და კიდეც გვასწავლა საფუძვლიანად. ასე იყო ალგებრაშიც. მისი ნასწავლი ალგებრული ფორმულები თანაკლასელებს ახლაც გვახსოვს.

სერგო მასწავლებლის დირექტორობის დროს ჩვენს ცხოვრებაში მოხდა დიდი მნიშვნელოვანი მოვლენა. 1950 წლისთვის აჭარის მკვიდრმა მოსახლეობამ მოითხოვა მათთვის ქართული სახელების (გვარი იყო ქართული) დაბრუნება. მოსახლეობის მოთხოვნის ეროვნული მნიშვნელობის პროცესის საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, დადგენილებაც კი მიიღო და ეროვნული ქართული სახელების აღდგენა და სკოლებში დაიწყო მოსწავლეებზე ქართული სახელების დარქმევა.

1950 წლის სექტემბრის დასაწყისში სკოლის ეზოში შეკრიბეს მოსწავლეები, მოსწალეთა წინაშე იდგა მთელი პედაგოგიური კოლექტივი. მოხსენებით გამოვიდა სკოლის დირექტორი, მან ილაპარაკა საქართველოს ისტორიაზე, აღნიშნა თურქთა ბატონობის მძიმე შედეგებზე აჭარაში და მათ ასიმილატორულ საქმიანობაზე. აქვე დასძინა, რომ მტერმა ვერ შეძლო ჩვენში ქართული სულის, ქართული გენის ჩაკვლა, სამაგიეროდ მოახერხა ზოგიერთი თურქული წესის დანერგვა, ასეთთაგან ერთ-ერთი არასასიამოვნო ფაქტია ის, რომ აჭარელი ქართველები თურქულ სახელებს ვატარებთო და მოგვმართა, აღგვედგინა ქართული სახელები. ყველამ ერთხმად შევძახეთ: ვართ ქართველები და უნდა გვერქვას ქართული სახელები! მაშინ დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლიდან რომ მიხვალთ შინ, მოეთათბირეთ მშობლებს და რა სახელებიც სურთ, ის სახელები დაირქვით ხვალიდანო. მართლაც ასე მოვიქეცით. მშობლებსაც მოეწონათ ეს აზრი, ზოგმა თავიანთ შვილებს თვითონ უკარნახა, თუ რა სახელი დაერქვათ, ზოგმა თვით ბავშვებს მიანდო საქმე – უკვე მოზრდილები ხართ და თავადვე აირჩიეთ თქვენთვის სასიამოვნო სახელიო. მეორე დღეს სკოლის დირექტორმა, კლასების ხელმძღვანელებთან ერთად, ჩამოიარა ყველა კლასში, მათ შორის ჩვენს VI კლასში და დავირქვით ჩვენთვის სასურველი ქართული სახელები. ეს იმდენად დიდი მოვლენა იყო ჩვენს ცხოვრებაში, რომ მოსწავლეები დირექტორს ჩვენს ნათლიასაც კი ვეძახდით. ეს პროცესი რამდენადმე გავრძელდა მოზრდილ მოსახლეობაში, პირველ რიგში, მოსამსახურეთა შორის. ეს იყო ისტორიული ნაბიჯი აჭარელი მოსახლეობის ეროვნული, ქართული ცნობიერების აღორძინების საქმეში.

ქართული სახელების დაფიქსირება მოახდინა სკოლის დირექტორმა საკლასო ჟურნალებში, შემდგომ დაბადების მოწმობების გამოწერა დაიწყო ახალი სახელებით. ნათქვამია სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო. ან კიდევ წყალი თავის კალაპოტს არ აცდებაო და სხვა.

1950 წელს სკოლის დირექტორი სერგო ჯაიანი გადაიყვანეს ხიხაძირის გამსხვილებული (ხიხაძრი, კალოთა, სკვანა) კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. იგი სკოლიდან წასვლას პედაგოგთა მცირერიცხვოვან, მაგრამ ერთგულ კოლექტივთან დაშორებას ვერ ელეოდა, მაგრამ იმის მტკიცე იმედი კი ჰქონდა, რომ სკოლაში ტოვებდა მონოლითურ კოლექტივს – სასწავლო ნაწილის გამგეს, საკუთარი შვილივით აღზრდილ, თინა კუკულაძეს, მასწავლებლებს არტემ ჯღარკავას, ქეთო სვანიძეს, ვასილ გვენეტაძეს, თამარ კუპრაძეს, რამინ ხინიკაძეს, მახმუდ ბოლქვაძეს, რომლებიც კვლავაც განამტკიცებდნენ მიღწევებს, გუმანს არ უმტყუნებდნენ ამაგდარ პედაგოგს. მისი რეკომენდაციით სკოლის დირექტორად სწორედ თავისი მოადგილე თინა კუკულაძე დაინიშნა, რომელმაც ბრწყინვალედ გაართვა თავი მინდობილ საქმეს. ჯერ როგორც თხილვანის 8-წლიანი, ხოლო შემ-

დეგ საშუალო სკოლის დირექტორად, თავის მეუღლესთან, დავით ღლონ-ტთან ერთად 1961 წლამდე იმუშავა.

ერთი მეტად საინტერესო მომენტი გახლდათ "ექსკურსია ხიხანის ცი-ხეზე", მარშრუტით "თხილვანა-სუნგახო-ხიხანი", რომელიც 1951 წლის მა-ისში მოეწყო მთელი სკოლისთვის.

სხვათა შორის, მაშინ ხიხანის ციხე მოსახლეობის ცნობიერებაში ეშ-მაკების ბუდედ იყო აღქმული. მეორეს მხრივ, ეს ციხე მდებარეობდა და-ხურულ სასაზღვრო ზონაში. იქ ასვლა ძალიან შეზღუდული იყო. მე-საზღვრეთა ამიერკავკასიის ოლქის, უკიდურეს შემთხვევაში, ხიჭაურის მესაზღვრეთა რაზმის უფროსის ნებართვის გარეშე იქ წასვლა არ შეიძ-ლებოდა.

თინა მასწავლებელმა ყველა საბუთი მოამზადა და მაისის ერთ-ერთ მზიან კვირა დღეს, 9 საათზე, შევიკრიბეთ სკოლის ეზოში, მასწავლებლე-ბი, მოსწავლეები დირექტორის ხელმძღვანელობით სამი მესაზღვრის თან-ხლებით, წავედით ხიხანის ციხის დასათვალიერებლად. ექსკურსიის მონა-წილეთა შორის ვიყავით წიგნის ავტორებიც (დუმბაძეები). დღის პირველ საათზე უკვე ციხის ტერიტორიაზე ვიყავით. ცოტათი დავიგვიანეთ. შემ-დეგ დირექტორმა განაცხადა, ყველანი (მოსწავლეები და პედაგოგები) შე-იკრიბეთ ერთად და მე ჩაგიტარებთ ღია გაკვეთილს თემაზე – "ხიხანის ციხე და მისი გმირები." თინა მასწავლებელმა აგვიხსნა ციხესთან დაკავ-შირებული მთავარი საკითხები, დაახასიათა ხიხანის ციხე. პირველად გა-ვიგეთ სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილების სახელები, როგორც ქართველი ეროვნული გმირებისა.

სახელი "სელიმის" გაგონებაზე მე სიამაყის გრძნობა დამეუფლა. მა-ნამდე ხომ მეც "სელიმი" მერქვა. დავბრუნდით გახარებულ-გაოცებულ-გა-ამაყებულები. მეორე დღეს ექსკურსიის შთაბეჭდილებები გავუზიარეთ მო-ხუცებს. მაშინ ჩვენმა ბაბუა ჰაიდარმა თქვა: „იქ, ხირხათების ყალეში (ციხე), სელიმ ბეგი იჯდა, **იგიდი** (ვაუკაცი, გმირი) ყოფილა, მტერს ტოლს არ უდებდა, ის ათასობით ოსმალოს ესკერები (მებრძოლები), დიესიენ და ხელში ვერ ჩაიგდეს. დეიწყეს სახლების დაწვა, ქალების, ბაღნების წვა-ლება-აწიოკება, ბევრი მილეთიც გაწყვიტეს. ეს გააკეთეს იმისთვინ, რომ ბელქი (ეგებ) ფიშმან გახდება (დაფიქრდება) და ჩაგვბარდებაო. ამ ყია-მეთს (უბედურებას) ყალედან ხედავდა **იგიეთი** სელიმ-ბეგი. იფიქრა მეგემ (თურმე), ამდენ ხალხს არ გავწყვიტავ და ჩავბარდებიო. ასეც მოხდა. ჩა-ბარდა მტერს იმისთვინ, რომ ეს ყიამეთობა შეჩერებულიყო. ეს შეჩერდა, მაგრამ მას თავი მოჭრეს და ზალუმ (მრისხანე, მკაცრი, დაუნდობელი) სულთანს ჩაუტანეს ისტამბულს" – მეჯლისში საუბრის დროს ასე მოყვე-ბოდა სელიმ ხიმშიაშვილის სამშობლოსადმი თავდადებაზე ჰაიდარ ბაბუა.

თინა მასწავლებელმა ისე შეგვაყვარა ეს რაინდი პიროვნება, რომ ის ჩვენი იდეალი გახდა.[1] მისი სიყვარულით, ბაკოელთა ინიციატივით 2005 წლის 17 დეკემბერს დაწესდა სახალხო დღესასწაული "სელიმობა". რომელიც პირველად აღინიშნა 2006 წ. 3 ივნისს ბაკოში, შემდეგ ნიგაზეულში, 2015 წელს აღინიშნა მეათეჯერ, ბათუმში კი მისი სახელობის ქუჩის სკვერში აღიმართა სელიმ ხიმშიაშვილის ბიუსტი და სხვა. (**ამის შესახებ ზემოთაც ითქვა**).

1953 წლის ოქტომბერში ხულოს განათლების განყოფილებამ ხიხაძირის საშუალო და სკვანის დაწყებით სკოლებთან ერთად, შეისწავლა თხილვანის 8-წლიანი სკოლის დაწ-ყებითი კლასების მუშაობა. შემოწმების შედეგების შესახებ დაშვებულ ბრძანებაში (№8, 28 ოქტომბერი, 1953 წ.) აღნიშნულია: "მთისუბნის, სკვანის, ხიხაძირის, თხილვანის სკოლების დაწყებით კლასების მასწავლებლები თ. ჩიქოვანი (სკვანა), ც. კობახიძე (ხიხაძირი), მ. ბოლქვაძე (თხილვანა) ფლობენ ორ კლასთან ერთად მუშაობის მეთოდებს, ყურადღებას აქცევენ განვლილი მასალის გამეორებას."

ხაზი გაესვა დაწყებით კლასებში მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას, მოსწავლეთა მეტყველების განვითარებას, რაც ზედა კლასებში გამართულად სწავლისა და აზროვნების საფუძველია.

თინა მასწავლებელი, როგორც დირექტორი, ფეხბედნიერი აღმოჩნდა: მისი დირექტორობის დროს არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე გაიხსნა საშუალო სკოლა.

§6. თხილვანის საშუალო სკოლა (1955-2005 წწ.)

საუკუნოვანი იუბილარი სკოლის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი, მნიშვნელოვანი, ნაყოფიერი პერიოდია საშუალო სკოლის წლები (1955-2005).

ცნობილია, რომ გასული საუკუნის 50-იანი წლების შუახანებიდან ქვეყანაში დღის წესრიგში დადგა საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების შესახებ კანონის განხორციელება. აქედან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა განათლების ორგანოების უპირველეს ამოცანად თვლიდა, რაც შეიძლება მომზადებული და განათლებული თაობა მიეცათ ქვეყნისთვის. სწორედ სკოლებს და უმაღლეს სასწავლებლებს უნდა ეთქვათ ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა. გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, სამწუხაროდ, მაშინ აჭარაში არ-

[1] ბაბუა ჰაიდარ დუმბაძე 110 წლის ასაკში გარდაიცვალა 1947 წელს. დასაფლავებულია სოფელ ბაკოში საგვარეულო სასაფლაოზე. ძლიერი მეხსიერება ჰქონდა, ერთჯერ გაგონილი ბოლომდე ახსოვდა. დაჯილდოებული იყო ზრის გადაცემის ნიჭით.

სებული სკოლების რაოდენობა ვერ პასუხობდა იმ მოთხოვნებს, რომელიც საჭირო იყო სასკოლო ასაკის ახალგაზრდების სწავლა-განათლების სისტემაში ჩასაბმელად. ბევრჯერ სკოლების სიმცირის გამო, არ ხერხდებოდა მოსწავლეთა კონტინგენტის ბოლომდე შენარჩუნება. ამასთან ერთად, უფრო დამაფიქრებელი იყო გოგონების სწავლებაში ჩაბმის მდგომარეობა. მათი უმრავლესობა, სხვადასხვა მიზეზის გამო, ტოვებდა სკოლას, ან ყველაზე მეტად ამ ვითარებას ხელს უწყობდა ისიც, რომ რვა კლასის დამთავრების შემდეგ, სწავლის სურვილის მიუხედავად, ახალგაზრდობა სწავლას არ აგრძელებდა, მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო ან დიდი მანძილით დაშორებულ საშუალო სკოლაში ვერ მიდიოდნენ სწავლის გასაგრძელებლად.

ითვალისწინებდა რა აღნიშნულ გარემოებებს და სკოლებზე გაზრდილ მოთხოვნილებას, აჭარის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე 1955 წლის 30 სექტემბრის დადგენილებით (ოქმი № 28, §2) თხილვანაში არსებული 8-წლიანი სკოლა გადაკეთდა თხილვანის საშუალო სკოლად.[1] სკოლის დირექტორი ქალბატონი თინა კუკულაძე, რომლის ღვაწლი უთუოდ მნიშვნელოვანია საშუალო სკოლის გახსნის საქმეში, გრძნობდა იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც საშუალო სკოლის დირექტორის წინაშე იდგა, სკოლისათვის საჭირო იყო ახალი ტიპური შენობის აგება, მისი კეთილმოწყობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

ქალბატონი თინა კუკულაძე არ შეუშინდა სკოლის წინაშე მდგარი დიდი ამოცანების გადაჭრას. სკოლას ჰქონდა 5 საკლასო ოთახი, საშუალოდ გადაკეთებულ სკოლას კი სჭირდებოდა 18 საკლასო ოთახი, **რადგან მოსწავლეთა კონტინგენტი ათი კლასკომპლექტიანი იყო**. დირექტორმა თავის გარშემო შემოიკრიბა სკოლის პედაგოგები, სოფლის აქტივი, დაშალა სკოლის ძველი, არატიპური, დედა-შვილ ხიმშიაშვილების მიერ ნაჩუქარი ხის შენობა და გადააკეთა ტიპური სკოლის სტილზე. ნაწილობრივ დაამატეს რამდენიმე ოთახი და აიგო 12 ოთახი. საჭირო იყო მათი კეთილმოწყობა, შეღებვა, ეზო-კარმიდამოს მოწესრიგება-შემოკავება, კაბინეტ-ლაბორატორიების გამართვა, თვალსაჩინო და ტექნიკური საშუალებებით მომარაგება, სკოლის სპორტული და გეოგრაფიული მოედნების მოწყობა, სკოლის ხედისა და შემოგარენის გაფორმება და სხვა მრავალი ღონისძიების განხორციელება. ეს კი კვლავაც გრანდიოზულ შრომასა და ძალისხმევას მოითხოვდა. ქალბატონმა თინამ, როგორც ზემოთ ითქვა, აწონ-დაწონა ვითარება, ამ საქმის პარალელურად ოჯახის მოვლა და ბავშვების აღზრდა ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ამიტომ მან განცხადებით მიმართა განათლების განყოფილებას, რაიონულ ხელმძღვანელობას და მოსთხოვა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება ოჯახური მდგომარეობის გამო. მისი თხოვნა დაკმაყოფილდა. დირექტო-

[1] აჭარის ცსა, ფ.რ-263, ა.1, საქ.505, ფურც. 296.



თხოლვანის საშუალო სკოლის ხის ტიპიური შენობა

რად დაინიშნა მიხეილ ტუღუში. ზემოთ ხსენებული ამოცანების განხორციელება მიხეილ ტუღუშის მცირე ხნით დირექტორობის შემდეგ ხელმძღვანელად მოსულ ლევან გაბაიძეს მოუხდა. მას კალოთის 8-წლიან სკოლაში დირექტორობითა და ხიხაძირის გაერთიანებული, გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ყოფნისას პედაგოგიური, სამეურნეო საქმიანობისა და ხელმძღვანელობის საკმაოდ კარგი გამოცდილება გააჩნდა. უკვე მდიდარი წარსულისა და ტრადიციების მქონე სკოლის თავკაცად მუშაობა ლევან გაბაიძისათვის დიდი პატივიც იყო და საპატიო მოვალეობაც. მას უნდა შეენარჩუნებინა, ამავე დროს გაემდიდრებინა ის ტრადიციები, რომელიც ჩამოყალიბდა ისეთი პიროვნებების გამგე-დირექტორების დროს, როგორებიც იყვნენ: თედორე დოლიძე, ტიტე ჭყონია, ნინა ჩხარტიშვილი, სერგო ძველაია, ლევან ბერიძე, სერგო ჯაიანი, დავით მახარაძე, ბაგრატ დუმბაძე, თინა კუკულაძე, მიშა ტუღუში.

ახალ დირექტორს სკოლაში შესანიშნავი გარემო და კარგი პედაგოგები დახვდნენ: ნაზი ხარაზი, ხასან მამულაძე, რობერტ შარაშიძე, ვაჟა დოლიძე, ნადიმ გათენაძე, თინა კუკულაძე, დავით ღლონტი, ლუდოვიკო ერქომაიშვილი, დიმიტრი ანთაძე, ნევრო როყვა, გოგუცა შეყილაძე, ნადია, ციალა კობახიძეები, მაყვალა კეშელავა, ვაჟა ბოჭორიშვილი, იოსებ ქამაშიძე, ასლან და ოთარ მიქელაძეები, იუზა ზენაიშვილი, ნაზიკო, ნაზიმ, ალექსანდრე, მერაბ გაბაიძეები, მახმუდ ბოლქვაძე და სხვები,[1] რომლებიც

[1] აჭარის ცსა, ფ. 1121, ა.1, საქ. 6.1. ფ. 43.

ენერგიის დაუზოგავად, საქმის ცოდნითა და სიყვარულით ემსახურებოდნენ ახალგაზრდა თაობის აღზრდის საშვილიშვილო საქმეს.

ლევან გაბაიძემ თავის გარშემო შემოიკრიბა მეგობრები, გამოცდილი ოსტატები, სკოლას შეუძინა სატვირთო ავტომობილი. რადგან, ფინანსური სივიწროვის გამო, მძღოლი ვერ აიყვანა, მანაქანას თვითონ მართავდა და ისე უწევდა სკოლას, მშენებლობას სატრანსპორტო მომსახურებას. დასრულდა სკოლის ტიპური ხის შენობის კეთილმოწყობა, მოწესრიგდა ეზოკარმიდამო, კაბინეტ-ლაბორატორიები შეივსო ხელსაწყო-იარაღებით და თვალსაჩინო მასალებით, გაიზარდა სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. ახალი, ფართო შინაარსი შეიძინა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობამ. სკოლა თანდათანობით ერთ-ერთი მოწინავე გახდა არა მარტო ხეობაში, არამედ ხულოს რაიონში. ამაში თვალსაჩინო როლი შეასრულა სკოლაში სიმღერისა და ცეკვის გუნდის ჩამოყალიბებამ და მისმა წარმატებებმა რაიონულ თუ საოლქო დათვალიერებებზე. ლევან გაბაიძეს ნოვატორული უნარი ჰქონდა და სხვის გამოცდილებას კი არ ემიჯნებოდა, სწავლობდა და პრაქტიკულად იზიარებდა, იყენებდა და თავის სკოლაში ნერგავდა. მაშინ ამბობდნენ იმ თაობის პედაგოები და შემდეგაც იმეორებდნენ, რომ ლევანის წარმატებებს ხელი შეუწყო იმ პერიოდში ხიხაძირის საშუალო სკოლაში დირექტორად საქართველოში გამოცდილი სკოლათმცოდნის დიმიტრი ხოზრევანიძის მოღვაწეობამ, რომლის გამოცდილებას იზიარებდა ლევან გაბაიძე. სკოლის სახელი იმდენად ამაღლდა, რომ ხიხაძირის სკოლას თუ „დიმიტრი ხოზრევანიძის სკოლას“ ეძახდნენ, თხილვანისას – „ლევან გაბაიძის სკოლას“ უწოდებდნენ.

მართალია, თხილვანის საშუალო სკოლის გახსნის შემდეგ სარგებლობლად მოწესრიგდა მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნება 8 კლასის ფარგლებში, მაგრამ სკოლის საკუთარი სოფლიდან დიდი მანძილით დაშორების გამო, ვერ ხერხდებოდა მოსწავლეთა კონტინგენტის ბოლომდე შენარჩუნება. კიდევ უფრო დამაფიქრებელი იყო გოგონების IX კლასში ჩაბმის მდგომარეობა. მათი უმრავლესობა, სხვადასხვა მიზეზით ტოვებდა სკოლას. დამამთავრებელ კლასებში სწავლობდნენ ზედა და ქვედა თხილვანის, ბაკოს და მთისუბნის ახალგაზრდები. მიუხედავად სიძნელეებისა, სწორედ იმ წლებში თხილვანის საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა ზურაბ ქამაშიძემ. ის არის ამ სკოლის პირველი და ერთადერთი მედალოსანი (ამ სკოლის ისტორიაში), რომელიც შემდეგ თავად გახდა განათლების დარგის მოწინავე მუშაკი და ახალგაზრდობის შესანიშნავი აღმზრდელი. იგი წლების მანძილზე სათავეში ედგა ქვედა თხილვანის საშუალო სკოლას. მისი დირექტორობის დროს და უშუალო შრომითი მონაწილეობით აიგო სკოლის ტიპური ხის შენობა. ზურაბ ქამაშიძესთან ერთად სკოლა დაამთავრეს: ჟუჟუნა მამულაძემ, ალექსანდრე დუაძემ, იოსებ მიქელაძემ, ეთერ მამულაძემ, ვახტანგ, თინა, ნადია ბოლქვაძეებმა, მამია ქამაშიძემ, აკაკი და გულნარა დუმბაძეებმა და სხვებმა, რომლებმაც

სწავლა განაგრძეს უმაღლეს სასწავლებლებში თუ ტექნიკუმებში. ისინი დაეუფლნენ სხვადასხვა სპეციალობას და უანგაროდ, მთელი მონდომებით მოღვაწეობდნენ განთლების, კულტურისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

რა თქმა უნდა, რვაწლიანი სკოლის საშუალო სკოლად გარდაქმნამ გარკვეულად მოაგვარა მანამდე არსებული მთავარი პრობლემები, ხოლო დარჩენილი გადაუწყვეტელი ზოგიერთი საკითხი, სკოლის დირექტორისა და ერთსულოვანი კოლექტივის ერთობლივი ძალისხმევით თანდათანობით შედარებით იოლად გვარდებოდა.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელების მუდმივი მზრუნველობისა და შეუნელებელი ყურადღების წყალობით, სკოლა და საერთოდ განათლების სისტემა აღმავლობას განიცდიდა. შეიქმნა“სწავლის კულტი“, იზრდებოდა სკოლების კურსდამთავრებულთა ხვედრითი წილი იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც აგრძელებდნენ სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში. ამასთან, იზრდებოდა როლი და დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა 1944 წელს დაწესებულ ოქროსა და ვერცხლის მედლებს, რასაც უდიდესი აღმზრდელობითი და მასტიმულირებელი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

50-იან წლებში საშუალო სკოლადამთავრებულთა უმრავლესობა, ძირითადად, მიემართებოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში უმაღლესი განათლების მისაღებად.

ბათუმის პედინსტიტუტი იყო უმაღლესი განათლების პირველი კერა აჭარაში. თუმცა ის ემსახურებოდა არა მარტო აჭარას, არამედ მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და უნივერსიტეტის როლს ასრულებდა. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, პირველ რიგში, საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, დავით მამულაძე **(ხეობისა და რაიონის საამაყოდ, მკვიდრი იმ სოფლისა, რომელშიც შრომის დაწყებით სკოლაში მასწავლებელ ტიტე ჭყონიას ხელში ეზიარა ი. გოგებაშვილის “დედაენას“, შეისწავლა ქართული ანბანი, მიიღო მრავალმხრივი განათლება, შემდგომ ხელისუფლების იერარქიის უმაღლეს საფეხურებამდე მიაღწია.** მისი იდეა და დაუოკებელი სურვილი იყო თხილვანაში კაპიტალური სკოლის დაგეგმვა-აშენება, იმის გათვალისწინებით, რომ სამომავლოდ გიმნაზიის ტიპის სასწავლებელი გახსნილიყო. დავით მამულაძის ამ გულითად იდეას მხარი დაუჭირა აჭარის განათლების მაშინდელმა მინისტრმა ვახტანგ წულიკიძემ, იგი დაპირდა სამომავლოდ ახალი სკოლების მშენებლობის გეგმაში შეტანას. დავით მამულაძემ, ჯერ კიდევ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავკაცად მუშაობისას, ბევრი რამ გააკეთა ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების დარგისთვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისთვის, პირველ რიგში, ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკი-

ცებლად, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

აჭარის მაღალმთიანი რაიონების სკოლებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვის აგრეთვე ინსტიტუტის მაშინდელ რექტორს ვლადიმერ ქემხაძეს, რომელმაც თავად იღვაწა პედაგოგად ხულოს რაიონის საშუალო სკოლაში გასული საუკუნის 20-იანი წლების დასასრულისათვის. ხოლო 1956 წლის ივლისში ხულოს ცენტრში საშუალო სკოლის ბაზაზე მისი, როგორც ინსტიტუტის რექტორის, ძალისხმევით გაიხსნა მაღალმთიანი რაიონების საშულო სკოლადამთავრებულთათვის ერთთვიანი მოსამზადებელი კურსები, უმთავრესად, გოგონებისათვის.

უნდა ითქვას, რომ მოსამზადებელ კურსებზე გავლილი თითქმის ყველა აბიტურიენტი იმავე წლის მისაღები გამოცდების ჩაბარების შედეგად ირიცხებოდა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. აბიტურიენტთა უმრავლესობა ბათუმის ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. კურსები შემდგომ წლებშიც ფუნქციონირებდა და კარგი შედეგი გამოიღო. ასეთმა მიდგომამ კიდევ უფრო აამაღლა ახალგაზრდობის სწრაფვა უმაღლესი განათლებისადმი.

ლევან გაბაიძემ, როგორც სკოლის დირექტორი და შემდგომ, როგორც იდეოლოგიური დარგის რაიონული ხელმძღვანელი, აქტიურად მხარს უჭერდა კურსების საქმიანობას, აგზავნიდა ნიჭიერ ახალგაზრდებს და პირადად ინტერესდებოდა მათი ბედითაც. ამ გზით თხილვანისა და ხიხაძირის საშუალო სკოლების არაერთი კურსდამთავრებული ხიხაძირელი, თხილვანელი, ბაკოელი, მთისუბნელი, კალოთელი თუ სკვანელი, ფუშრუკაულელი თუ რაქვთელი ახალგაზრდა, მათთან ერთად მთიანი რაიონებიდან ბევრი კურსდამთავრებული ჩაირიცხა სხვადასხვა ინსტიტუტში, რომლებმაც ასახელეს მშობლიური სკოლები და კარგ სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ.

ლევან გაბაიძის ხელი სწრაფად დაეტყო სკოლას. მას გაუმართლა იმაშიც, რომ სკოლაში დახვდა შესანიშნავი გარემო, როგორც ზემოთ ითქვა, ერთსულოვანი, კარგი პედაგოგები, რომლებიც თავდაუზოგავად, საქმის ცოდნით, სიყვარულითა და ენთუზიაზმით ემსახურებოდნენ მომავალი თაობის აღზრდის საშვილიშვილო საქმეს.

მასწავლებელთა პასუხისმგებლობის ამაღლებამ, თავისთავზე მუშაობის გაუმჯობესებამ, კლასგარეშე და სკოლისგარეშე საქმიანობაში აქტიურად ჩაბმამ, სკოლის დირექტორის მხრიდან მომთხოვნელობის გაზრდამ კარგი ნაყოფი გამოიღო. ლევან გაბაიძის დირექტორობის წლებში განათლების სამინისტროსა და განათლების განყოფილების ინსპექტორთა ძალებით არაერთჯერ შემოწმდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლაში. შემოწმებამ კარგი შედეგები აჩვენა. სწორედ ამას გაესვა ხაზი ბრძანებაში. კარგი გაკვეთილები აჩვენეს კომისიას თავად ლევან გაბაი-

ძემ, თინა კუკულაძემ, ნადიმ გათენაძემ, დავით ღლონტმა, ლუდოვიკო ერქომაიშვილმა, დიმიტრი ანთაძემ, თამარ ბოჭორიშვილმა, ასლან მიქელაძემ. განზოგადდა მახმუდ ბოლქვაძის IV კლასთან მუშაობა, აღინიშნა, სამი კლასის ყველა მოსწავლე არითმეტიკაში კარგად მომზადებული იყო. მოსწავლეები მაგალითებს დამოუკიდებლად ხსნიდნენ. კარგად შეფასდა თხილვანის მიკროუბნის – მთისუბნის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლის ბუკა ჩიქოვანის ორ კლასთან ერთდროულად მუშობა.[1]

ამგვარად, დაგროვილი გამოცდილება, პიროვნული თვისებები, შრომით კოლექტივთან ურთიერთობის ვირტუოზული უნარი, ფიზიკური აღნაგობა და, რაც მთავარია, ომახიანი, კეთილმოსასმენად სისიამოვნო მეტყველება, წარმოადგენდა ქარიზმას, რომლითაც ლევან გაბაიძე წარმატებებს აღწევდა ყველგან, სადაც კი უმუშავია და, მათ შორის, თხილვანის საშუალო სკოლაში. მან, როგორც დირექტორმა, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების პარალელურად, გადაწყვიტა მთავარი ამოცანა, ბოლომდე მიეყვანა 12-ოთახიანი სკოლის შენობის აგება. კეთილმოაწყო კაბინეტ-ლაბორატორიები, უზრუნველყო თვალსაჩინოებით და ხელსაწყო-იარაღებით, მოაწესრიგა სკოლის ეზო-კარმიდამო, თანდათანობით დაიწყო სკოლის პედკოლექტივის დაკომპლექტება ახალი, ადგილობრივი კადრებით. მათ ჩაანაცვლეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მოვლინებული კადრები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს არა მარტო თხილვანის, არამედ აჭარის განათლების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინება-განვითარებაში. ამიტომაც, აჭარის ყველა კურსდამთავრებულს, მათ შორის თხილვანაში, კარგად ახსოვთ და მადლიერებით იხსენებენ მათ ღვაწლს.

1961 წლის აპრილში ლევან გაბაიძე სამუშაოდ გადაიყვანეს ხულოს რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ.

თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორად დააწინაურეს ქვედა თხილვანის 7-წლიანი სკოლის დირექტორი იოსებ ქამაშიძე.

ახალი დირექტორი, რომელსაც პედაგოგიური საქმიანობისა და ხელმძღვანელად მუშაობის საკმაო გამოცდილება ჰქონდა, საშუალო სკოლაში უფრო მეტი პასუხისმგებლბით მოეკიდა სკოლის მართვას. სკოლას თითქმის არაფერი აკლდა, საჭირო იყო მიღწეულის შენარჩუნება და შეძლებისდაგვარად განვითარება. სწორედ ამას ცდილობდა ბატონი იოსები, აგრძელებდა წინამორბედი დირექტორის ტრადიციებს. **მართალია, იოსებ ქამაშიძემ მხოლოდ ერთი წელი იმუშავა სკოლის დირექტორად, მაგრამ მისი ხელმძღვანელობით სკოლა დაამთავრა 16-მა მოსწავლემ, რომელთაგან შვიდი იმავე წელს უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა. ისინი ყოველთვის ტკბილად იხსენებდნენ დირექტორის, იოსებ ქამაშიძდის სახელს. მათგან ზოგიერთი შემდგომ ამავე სკოლის დირექტორიც გახდა,**

[1] აჭარის ცსა, ფ. 1121, ა.1, საქ. 20, ფ.ფ. 6, 10, 20, 24.

რითაც ამაყობდა იოსები, რადგან ის თავისი შრომის შედეგს ხედავდა და აღტაცებული იყო იმით, რომ ისინი მისი კოლეგები და მეგობრები გახდნენ.

იოსებ ქამაშიძეს ჯანმრთელობამ უმტყუნა. ექიმების რჩევით დატვირთვა შეიმსუბუქა, გადადგა დირექტორობიდან და გადავიდა საკუთარ სოფელში, ქვედა თხილვანის 8-წლიან სკოლაში. ასწავლიდა გეოგრაფიას, იყო დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, შემდეგ დირექტორიც. მის სახელსა და პედაგოგიურ საქმიანობას ორივე სკოლაში ხშირად კარგად იგონებენ ყოფილი მოსწავლეები, რადგან ბევრი მათგანი პედაგოგის პროფესიას გაჰყვა და მუშაობდნენ სკოლებში ერთად.

იოსებ ქამაშიძის შემდეგ 1962 წლის სექტემბრიდან თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორად და ისტორიის მასწავლებლად დანიშნეს აკაკი მემარნიშვილი, რომელმაც მხოლოდ ერთი სასწავლო წელი დაჰყო ამ სკოლაში. მიუხედავად ამისა, მან როგორც გამოცდილმა პედაგოგმა და დირექტორმა, კარგად წარმართა მუშაობა. მისი დირექტორობის პერიოდში სკოლაში გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, გაკვეთილების შემდეგ იგი სოფლის მოსახლეობაში ატარებდა იდეოლოგიურ მუშაობას. იდეოლოგიის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის გამო მისი გვარი შეიტანეს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის საპატიო წიგნში. ერთი სასწავლო წლის შემდეგ აკაკი მემარნიშვილი გადაიყვანეს ჯერ დიდაჭარის და შემდეგ ყინჩაურის საშუალო სკოლის დირექტორად.

აკაკი მემარნიშვილის შემდეგ, თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორად დაინიშნა ადგილობრივი კადრი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გრიგოლ დუაძე (1963-1964). მისი დირექტორობის დროს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ მეათე და მეთორმეტე კლასები ერთდროულად ამთავრებდნენ სკოლას. ამავე წელს განათლების განყოფილების ბრძანებით, ექსტერნის წესით, სიმწიფის ატესტატის მისაღებად სახელმწიფო გამოცდებზე დაუშვეს სოფლის ახალგაზრდები. ამდენად, სამი ნაკადი აბარებდა გამოცდას. ყველამ ჩააბარა გამოცდა ინსტრუქციით გათვალისწინებულ საგნებში და აიღო საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, მათგან რამდენიმე იმავე წელს მოეწყო უმაღლეს სასწავლებელში.

უნდა აღინიშნოს, რომ საწარმო ანუ პოლიტექნიკური სწავლება ცხოვრებით ნაკარნახევი იყო, მაგრამ ის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში კი არა, არამედ ცალკე, ტექნიკური განათლების ხაზით შექმნილ პროფესიულ სკოლებში უნდა განხორციელებულიყო. ამას ამბობდა თავის დროზე ილია ჭავჭავაძე, როცა მოითხოვდა სახელობო-საპროფესიო სკოლების გახსნას.

სკოლაში ეწყობოდა შეხვედრები მწერლებთან, ომის მონაწილეებთან და შრომის ვეტერანებთან. 1965 წელს სკოლაში მიიწვიეს მწერალი ფრიდონ ხალვაში, სადასც მოხდა მისი რომანის "საყვედური" განხილვა. ასევე შეხვედრა მოუწყვეს დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, "დიდების ვარსკვლავის" ორდენოსანს, თხილვანელ ხასან ქამადაძეს. ამ ღონისძიებებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა სოფელში, მოსწავლეებს გაუძლიერა ინტერესი წიგნისადმი, მწერლობისადმი.

სკოლაში მოქმედებდა ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფიის და ქართული ენისა და ლიტერატურის **ფასიანი კაბინეტები**. მოსწავლეები მონაწილეობდნენ საოლქო და რესპუბლიკურ შემოქმედებით კონფერენციებში, რის გამო თხილვანის საშუალო სკოლა და ისტორია--მხარეთმცოდნეობის საგნობრივი წრე (ხელმძღვანელი მასწავლებელი შოთა ბოლქვაძე) დაჯილდოვდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით. ამ წარმატებების გვერდით, სკოლაში მოხდა უბედური შემთხვევაც. ელექტროდენისგან ხანძარი გაუჩნდა სკოლას და დაიწვა მისი დიდი ნაწილი. დარჩა დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო და სამი საკლასო ოთახი. დირექტორის, პედაგოგიური კოლექტივისა და სოფლის მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით ხანძრის მძიმე შედეგები მოკლე დროში დაძლეულ იქნა, სკოლის დარჩენილ შენობას დაემატა 5 საკლასო ოთახი.

თეიმურაზ ბოლქვაძის შემდეგ (მის დანიშნვაზე ზევით არაფერია ნათქვამი) 1994 წლიდან, სკოლის დირექტორად დააწინაურეს სასწავლო ნაწილის გამგე შოთა ბოლქვაძე.

შოთა ბოლქვაძე ამ სკოლის მეტად ნიჭიერი კურსდამთავრებული, ყველასგან გამორჩეული ბეჯითი მოსწავლე იყო. უყვარდა ისტორია, აინტერესებდა სამშობლოს წარსული, განსაკუთრებით თავისი კუთხის, აბუსერისძეთა ნაფუძარის ისტორია, მისი სახელოვანი, გამოჩენილი ადამიანები. ამიტომაც მომავალი ცხოვრების ძირითად პროფესიად პედაგოგობა, სპეციალობად კი ისტორია აირჩია. მან წარმატებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო მშობლიურ სკოლაში, სადაც სოფლის და ხეობის თუ რაიონის ისტორიაში სახელოვან პიროვნებებს შორის კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა. შეიძლება მასზე ბევრი საუბარი, მაგრამ ამჯერად წიგნის სტანდარტული ჩარჩოები არ იძლევა ამის საშუალებას. ამიტომ შევეხებით მის თვალსაჩინო მოღვაწეობის რამდენიმე მთავარ მომენტს. პირველი, როგორც დირექტორი, გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით, კომუნიკაბელურობით, ხშირად გამოდიოდა სიტყვით დიდ შეკრებებზე საქმიანი წინადადებებით. მან, როგორც დირექტორმა, საკითხი დააყენა რაიონის ხელმძღვანელობისა და აჭარის განათლების სამინისტროს წინაშე თხილვანის საშუალო სკოლის მშენებლობის ბოლომდე მიყვანის შესახებ. მოტივად ის დააყენა, რომ გეგმიური მშენებლობა იყო და ხის შენობის ხანძრის შემდეგ დარჩენილ ნაწილზე მიშენებული ოთახები მინიმა-

ლურად ვერ აკმაყოფილებდა სკოლის მოთხოვნებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ მშენებარე კაპიტალურ შენობას ბრეზენტები გადაახურეს და მის ქვეშ ამეცადინებდნენ მოსწავლეებს, წვიმიან დღეებში კი დიდად ფერხდებოდა მეცადინეობა. დირექტორის პრინციპული თხოვნა გულთან მიიტანეს ხელმძღვანელმა ორგანოებმა, პროექტში შეიტანეს ცვლილება და ორ სართულზე აშენებულ შენობას გაუკეთდა სახურავი, მოეწყო საკლასო ოთახები, სკოლის ფუნქციონირება გაგრძელდა ახალ კაპიტალურ შენობაში.

თხილვანის საშუალო სკოლის კაპიტალური შენობა

შოთა ბოლქვაძის დამსახურების მეორე და მნიშვნელოვანი მომენტი იყო სკოლის დაარსებიდან 80 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებების მომზადება და ჩატარება 1996 წლის ოქტომბერში, რაც განხორციელდა სკოლის კურსდამთავრებულთა აქტიური მხარდაჭერითა და ხელმძღვანელი ორგანოების (შოთა აბაშიძე) დახმარებით, აჭარის განათლების მინისტრის (ნანი გუგუნავა) და ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამ ღონისძიების ჩატარებამდე აჭარის განათლების სამინისტრომ ჩაატარა სკოლის რეაბილიტაცია და უზრუნველყო ახალი ავეჯით. ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარების ორგანიზატორებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, დიპლომები, საპატიო სიგელები. სკოლის დირექტორი კი დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

მესამე მთავარი მომენტი, შოთა ბოლქვაძის პიროვნება კარგად გამოიკვეთა სკოლაში, სოფელში, ხეობაში, რაიონის ხელმძღვანელობის თვალ-

შიც და 1998 წელს იგი ახლად დაარსებული თხილვანის თემის საკრებულოს გამგებლად გადაიყვანეს. მან თავის გარშემო შემოკრიბა ოთხივე სოფლის ღირსეული წარმომადგენლები, შეკრა მონოლითური კოლექტივი, არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა ახლადშექმნილი თემის ავტორიტეტის ასამაღლებლად მოსახლეობის საკეთილდღეოდ, იზრუნა ხეობაში ეთნოგრაფიული მუზეუმის გასახსნელად. აჭარის კულტურის მინისტრის თეიმურაზ კომახიძის თანადგომით, დაიგეგმა მუზეუმის გახსნა ბაკოში, სერიყანაში – სელიმ ხიმშიაშვილის თავის მოკვეთის ადგილზე, არსებული მაღაზიის კაპიტალურ შენობაში, მაგრამ ეს არ მოხერხდა და მუზეუმი გაიხსნა სოფელ თხილვანაში, რომლის დირექტორად კულტურის სამინისტროს ბრძანებით დაინიშნა შოთა ბოლქვაძე. მან მეცნიერების მოწვევითა და მათი მონაწილეობით მუზეუმის დაარსების 5 წლისთავიც აღნიშნა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციით. ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონ ბესიკ ბაუჩაძის ფინანსური უზრუნველყოფით, შოთა ბოლქვაძემ მუზეუმს ჩაუტარა რემონტი.

დაბოლოს, მთავართა შორის ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ოჯახი იყო და არის სოფელში მოსულ სტუმართა პირველი მასპინძელი, სასტუმრო სახლი. იგი სოფელში, თემში ჭკუასაკითხავი პიროვნება გახდა. ლიდერის როლს ასრულებდა. მას უსმენდნენ.

შოთა ბოლქვაძე საკრებულოს გამგებლობის შემდეგ მუზეუმის დირექტორი იყო, ზრუნავდა მის სათანადო ექსპონატებით შევსება-სრულყოფისათვის, ამავე დროს ისტორიის მასწავლებლობა განაგრძო სკოლაში. დღეს თხილვანის საჯარო სკოლის პედკოლექტივის წევრების 95% მისი ყოფილი მოსწავლეები არიან, მათ შორის სკოლის დირექტორი ედუარდ ბოლქვაძე. მათი თხოვნით, მან მუშაობა დაიწყო დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

შოთა ბოლქვაძე სიხარულით ელოდა სკოლის საუკუნოვან იუბილეს. დაიგეგმა სკოლის შესახებ წიგნის დაწერა, რომლის ერთ-ერთი თანაავტორი თავად გახლდათ. მან ბევრი იმუშავა, დააგროვა საჭირო მასალები, მაგრამ, სამწუხაროდ, უეცარმა სიკვდილმა 2015 წლის 17 ოქტომბერს სიცოცხლეს გამოასალმა იგი. ოჯახმა, პედკოლექტივმა, ხეობამ, მეგობრებმა, ნათესავებმა, აჭარის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა დიდი პატივით დაკრძალეს ის მშობლიური სოფლის ცენტრალურ სასაფლაოზე. შოთა ბოლქვაძე 65 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან, მაგრამ გააკეთა ძალიან ბევრი კარგი საქმე, და არა მარტო თავისი ოჯახისთვის: ათი შვილის მამამ ყველას მიაღებინა უმაღლესი განათლება, სკოლას შეუნარჩუნა მშენებარე კაპიტალური შენობა, ხეობას დაუტოვა ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელზეც ამერიკელი ტურისტები შთაბეჭდილების წიგნში აღნიშნავენ, რომ მთის პირობებში ანალოგიური არსად არ უნახავთ. დატოვა სტუმართმოყვარე და ერთმანეთთან შეხმატკბილებული შვილები, შვილიშვილები, რომლებიც, გვჯერა, გააგრძელებენ და გაამრავლებენ ღირსეული მამის, მზრუნველი და საყვარელი ბაბუის, გამოკვეთილი პი-

როვნების სახელოვან ტრადიციებს. კარგი იქნება, თუ სკოლაში და მუზეუმში მოეწყობა სკოლის განსაკურებით გამოჩენილი სკოლადამთავრებული პიროვნებების გვერდით, შოთა ბოლქვაძის კუთხე. რაც დრო გავა, უფრო მეტად გამოჩნდება მისი როლი და დანატოვარი საქმე, გამოვლენილი ღვაწლი, როგორც ნიმუში მომავალი თაობებისათვის.

ახალ კაპიტალურ შენობაში სკოლის დირექტორობა შოთა ბოლქვაძის შემდეგ განაგრძო თენგიზ ლევანის ძე ბოლქვაძემ, ადგილობრივმა კადრმა, თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის კურსდამთავრებულმა. იგი ჯერ საგნის მასწავლებლად მუშაობდა და 1996 წელს დააწინაურეს დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა არაერთი სასკოლო ღონისძიება, გაიზარდა რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში მონაწილე მოსწავლეთა რაოდნეობა, 1996 წელს აღინიშნა თხილვანის სკოლის დაარსებიდან 80 წლისთავის იუბილე. მასში აქტიური მონაწილეობასათვის თენგიზ ბოლქვაძე დაჯილდოვდა აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით. 1999 წელს თენგიზ ბოლქვაძე დაინიშნა თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორად. 13 წელიწადს მართავდა სკოლას, მან გამოავლინა სკოლის დირექტორისთვის აუცილებელი თვისებები: იყო ობიექტური და სამართლიანი, დღენიადაგ ზრუნავდა მასწავლებელთა აკადემიური და მეთოდური დაოსტატებისთვის. ის აგრძელებდა იმ საგანმანათლებლო და კულტურულ ტრადიციებს, რასაც საფუძველი ჩაუყარეს წინამორბედმა დირექტორებმა. ამ საქმეში ის გრძნობდა პედაგოგიური კოლექტივის თანადგო-მასა და მხარდაჭერას.

2011 წელს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, თენგიზ ბოლქვაძე საცხოვრებლად გადამოვიდა ბათუმში და გვერდში ამოუდგა დედისგან ობლად დარჩენილ სამ შვილს, რათა მათ მიეღოთ შესაბამისი განათლება.

ამგვარად, 1955-2005 წლები აბუსერისძეთა ნაფუძარზე დაარსებული ქართული სკოლის ისტორიის ერთ-ერთი და ყველაზე ხანგრძლივი, ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი ეტაპია. საშუალო სკოლის მეშვეობით გადაწყდა ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა საშუალო საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელება ქვეყნის მასშტაბით, ხოლო ასეთი ამოცანა თხილვანის თემის მასშტაბით განახორციელა თხილვანის საშუალო სკოლამ მიკროუბნების სკოლებთან ერთად. შედეგად შეიცვალა მოსახლეობის განათლებულობის დონე და გეოგრაფია. თუ 1944 წელს თხილვანის თემიდან საშუალო სკოლადამთავრებული ორი კაცი (მახმუდ ბოლქვაძე და ნური მამულაძე) იყვნენ, დღეისათვის თხილვანის საშუალო სკოლდამთავრებულთა რიცხვი 1405-მდე გაიზარდა.

თხილვანის საშუალო სკოლამ თავისი ფუნქცია შეასრულა, განახორციელა მოსწავლეთა საშუალო საყოველთაო- სავალდებულო სწავლების კანონი, ამაღლდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კულტურული განვითრების დონე. ახალგაზრდობა დაიძრა განათლების მისაღებად უმაღ-

ლესი სასწავლებლებისაკენ. მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, სკოლამ თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია – საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, ადმინისტრაცია დაკომპლექტდა ადგილობრივი კადრებით, არა მარტო თხილვანის საშუალო, არამედ მისი მიკროუბნების სკოლებშიც, რაც უდიდესი მიღწევაა სოფელში.

§7. თხილვანის საჯარო სკოლა (2005-2016 წწ.)

თხილვანის საშუალო სკოლის რეაბილიტირებული შენობა

საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, ქართული სკოლის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო 2005 წლიდან, როცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად გამოაცხადა. ამ გარდაქმნას საფუძველი დაუდო მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის ბრძანებამ (№448) "ზოგადსაგამანათლებლო საჯარო სკოლის წესების დამტკიცების შესახებ". ფაქტიურად, ამით დაიწყო განათლების სისტემის რეფორმა, რომლის საფუძველზე გაჩნდა „ახალი სკოლა", როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

აღნიშნული რეფორმა, – ნათქვამია ნაშრომის „ჩვენი სკოლა" წინათქმაში, – პირველ რიგში, გულისხმობს ზოგადი განათლების ძირეულ გარდაქმნას. ეს ცვლილებები ეხება სწავლების პროცესში თანამედროვე სტანდარტების დანერგვას და ასევე ზოგადი განათლების მართვის თვისებრივ გარდაქმნას...

დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის გზაზე, განათლების სისტემის წინაშე დადგა პირველი რიგის ამოცანა – თანამედროვე მოქალაქის ფორმირება, რომელიც აღჭურვილი იქნება ცოდნის

სასურველი დონით, ეროვნული ცნობიერებით და იმ უნარ-ჩვევებით, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოებრივი მასშტაბის პრობლემების გადასაჭრელად. ამ საქმეში პრიორიტეტი ეკუთვნის განათლების სისტემას, რომელმაც თავის თავზე აიღო ამგვარი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მთავარი მისია და პედაგოგიურ საზოგადოებას შესთავაზა სწავლების ახალი მეთოდები."[1]

საჯარო სკოლად გადაკეთებისას სკოლის დირექტორი თენგიზ ბოლქვაძე, რომელიც სკოლას განაგებდა 19 წლის განმავლობაში. საშუალო სკოლის საჯაროდ გარდაქმნის მთავარი სიძნელეები სწორედ თენგიზ ბოლქვაძემ გადაიტანა. მას საკმაო გამოცდილება ჰქონდა. 1988 წლის სექტემბრიდან მუშაობდა ამ სკოლაში, 1996 წლიდან სკოლის დირექტორის მოადგილედ დააწინაურეს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში, 1999 წელს კი დანიშნეს დირექტორად. მისთვის უცხო არ იყო სკოლის მართვის პრინციპები. გარდამავალ პერიოდში განათლების რეფორმას კარგად აუღო ალღო და ამიტომაც დირექტორობა არ გაჭირვებია, მით უმეტეს, მისი წინამორბედი გამოცდილი დირექტორები თეიმურაზ და შოთა ბოლქვაძეები აქვე განაგრძნობდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას, რომლებიც გვერდში ედგნენ ახალ დირექტორს, უზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას, მხარს უჭერდნენ მას ახალი რეფორმის ღონისძიებების განხორციელებაში. სკოლის მუშაობა წარიმართა განათლების რეფორმის მოთხოვნების საფუძველზე. ჩატარდა სამეურვეო საბჭოს და დირექტორის არჩევნები.

თენგიზ ბოლქვაძის შემდეგ 2011 წელს სკოლის დირექტორად დაინიშნა ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ედვარდ ბოლქვაძე, რომელმაც განაგრძო წინამორბედი დირექტორის მიერ საშუალო სკოლის, საჯარო სკოლის რელსებზე გადაყვანისათვის დაწყებული მუშაობა.

სკოლის დღევანდელი კოლექტივი ღირსეულად იცავს წინა თაობის ტრადიციებს, დიდი მონდომებით ცდილობს დასახული ამოცანების რეალიზაციას.

პედაგოგიური კოლექტივის შემადგენლობა დღეს ასეთია: ედვარდ ბოლქვაძე – სკოლის დირექტორი, ასწავლის მათემატიკას, ნათელა ბოლქვაძე (მათემათიკას), ინგა სურმანიძე (საქმის მწარმოებელი), გიული ბოლქვაძე (ბიბლიოთეკარი), მთვარისა გაბაიძე და ნინო ქამაშიძე (ქართული ენა და ლიტერატურა), ლაშა ბოლქვაძე (ისტორია), ბადრი ბოლქვაძე (მათემატიკა), გელა ბოლქვაძე (ფიზიკა), ირმა მიქელაძე (ქიმია), თამაზ მიქელაძე (ბიოლოგია), ბადრი გაბაიძე (გეოგრაფია), ირინა მამულაძე (ინგლისური ენა), რევაზ ქამადაძე (რუსული ენა), ნინო გაბაიძე (ხელოვნება-მუსიკა), ოთარ ბოლქვაძე (სპორტი), მერი ბოლქვაძე და ლია გორგაძე (დაწყებითი კლასები).

---

[1]პედაგოგის ბიბლიოთეკის სერია „ჩვენი სკოლა", წიგნი მეათე (აჭარა), ნაწილი 1, მთ. რედაქტორი ანდრია ჩაჩანიძე, თბ., 2010, გვ. 3.

ედვარდ ბოლქვაძე
(დირექტორი)

ნათია ბოლქვაძე
(ბუღალტერი)

ინგა სურმანიძე
(საქმის მწარმოებელი)

გიული ბოლქვაძე
(ბიბლიოთეკარი)

მთვარისა გაბაიძე
(ქართ. ენა-ლიტ.)

ნინო ქამაშიძე
(ქართ. ენა-ლიტ.)

ლაშა ბოლქვაძე
(ისტორია)

ბადრი ბოლქვაძე
(მათემატიკა)

გელა ბოლქვაძე
ფიზიკა)

ირმა მიქელაძე
(ქიმია)

თამაზ მიქელაძე
(ბიოლოგია)



ბადრი გაბაიძე
(გეოგრაფია)

ირინა მამულაძე
(ინგლ. ენა)

რევაზ ქამადაძე
(რესული ენა)

ნინო გაბაიძე
(ხელოვნება-მუსიკა)

ოთარ ბოლქვაძე
(სპორტი)

მერი ბოლქვაძე
(დ/კლასები)

ლია გორგაძე
დ/კლასები

მეოთხე განყოფილება

სკოლის პედაგოგიური კადრები და კურსდამთავრებულები (1916-2016)

§1. თხილვანის სკოლის მასწავლებლების სია მუშაობის წლების მიხედვით 1916-2016 წწ.

№№	მასწავლებლის გვარი და სახელი	მუშაობის წლები	რა საგანს ასწავლის
1.	დოლიძე თედორე	1916–1917	დაწყებითი კლასები
2.	ჭყონია ტიტე	1923-1929	დაწყებითი კლასები
3.	ჩხარტიშვილი ნინო	1924–1926	შრომითი სწავლება
4.	ბოლქვაძე მემედ	1925–1929	თურქული ენა
5.	ტყეშელაძე მაყვალა	1926–1929	დაწყებითი კლასები
6.	ვაჭარაძე ბაბუცა	1927–1929	დაწყებითი კლასები
7.	ფირცხალაიშვილი ლუბა	1927–1932	შრომითი სწავლება
8.	შენგელია მიხეილ	1929–1932	დაწყებითი კლასები
9.	ძველაია სერგო	1932–1938	დაწყებითი კლასები
10.	შელაია სიმონ	1938–1940	დაწყებითი კლასები
11.	ბერიძე ლევან	1940–1943	ქართული ენა და ლიტერატურა
12.	ხელაძე ლიზა	1944–1947	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
13.	ხოფერია სულიკო	1944–1948	ქართული ენა და ლიტერატურა
14.	ხოფერია სონია	1944–1948	საბუნებისმეტყველო საგნები
15.	ბოლქვაძე მახმუდ	1944–1985	დაწყებითი კლასები
16.	დუმბაძე ბაგრატ	1945-1946	ისტორია
17.	მიქელაძე ბაგრატ	1945-1946	ისტორია
18.	ქამადაძე ხასან	1945–1948	ფიზიკური კულტურა
19.	მახარაძე დავით	1946–1947	ისტორია
20.	კვაჭანტირაძე გუგული	1947–1948	დაწყებითი კლასები
21.	მიქელაძე მიხეილ	1947–1948	ისტორია
22.	ჯაიანი სერგო	1948–1950	რუსული ენა და ლიტერატურა
23.	კუკულაძე თინა	1948–1960	ისტორია
24.	ბჟალავა ელეფთერ	1948–1950	გეოგრაფია
25.	იშხნელიძე არჩილ	1949–1950	გერმანული ენა
26.	კაკაბაძე ზემინარ	1948–1950	მათემატიკა
27.	კაკაბაძე თამარ	1948–1951	ქართული ენა და ლიტერატურა

28.	ჯღარკავა არტემ	1949-1952	ფიზიკა-მათემატიკა
29.	ჯაიანი მზევინარ	1950-1951	დაწყებითი კლასები
30.	გაბაიძე მზევინარ	1950-1951	დაწყებითი კლასები
31.	აფხაზავა მიხეილ	1950–1951	ქართული ენა და ლიტერატურა
32.	ხინიკაძე რამიზ	1950–1951	ქიმია–ბიოლოგია
33.	გვენცაძე ვასილ	1950–1952	რუსული ენა და ლიტერატურა
34.	კუპრაძე თამარ	1950–1953	ქართული ენა, გერმანული ენა
35.	სვანიძე ქეთო	1950–1953	ქიმია–ბიოლოგია
36.	ცეცხლაძე ნოშრევან	1950–1988	ქიმია, გეოგრაფია
37.	მიქელაძე ოთარ	1951-1952	ფიზიკური კულტურა, დაწყებითი კლასი
38.	ჩუბინიძე ბენია	1951-1952	მათემატიკა
39.	ურუშაძე ვლადიმერ	1951–1952	მატემატიკა
40.	ხარაზი ფატი	1951–1953	ქართული ენა და ლიტერატურა
41.	მამულაძე ხასან	1951-1959	ბიოლოგია, ფიზიკა
42.	ხარაზი ნაზი	1951–1959	გეოგრაფია
43.	გიგინეიშვილი კუკური	1952–1953	რუსული ენა და ლიტერატურა
44.	თოდრია გივი	1953-1954	მათემატიკა-ფიზიკა
45.	ცეცხლაძე ფოლად	1952-1957	გეოგრაფია
46.	დიასამიძე ჯემალ	1953–1955	რუსული ენა და ლიტერატურა
47.	გათენაძე ნადიმ	1953-1961	ქართული ენა და ლიტერატურა
48.	კეშელავა მაყვალა	1953-1961	დაწყებითი კლასები
49.	ღლონტი დავითი	1954–1961	ფიზიკა-მათემატიკა
50.	მიქელაძე ასლან	1956–1968	ქიმია
51.	გაბაიძე ალექსანდრე	1957-1959	ბიოლოგია
52.	როყვა ნევრო	1957–1960	გერმანული ენა
53.	შეყილაძე გოგუცა	1957–1960	ხატვა–სიმღერა, პიონერხელმძღვანელი
54.	ჭარბაძე იაკობ	1957–1961	ისტორია
55.	გაბაიძე ლევან	1957–1961	ქართული ენა და ლიტერატურა
56.	დოლიძე ვაჟა	1957-1962	მათემატიკა
57.	გაბაიძე მუსტო	1957–1962	დაწყებითი კლასები
58.	პასეჩუკი პ.	1958–1960	რუსული ენა და ლიტერატურა
59.	გაბაიძე მერაბ	1958-1961	დაწყებითი კლასები
60.	დარსაველიძე შალვა	1958–1961	რუსული ენა და ლიტერატურა
61.	ანთაძე დიმიტრი	1959–1960	ქიმია–ბიოლოგია
62.	ოჩიგავა თამარ	1959–1960	დაწყებითი
63.	ბოჭორიშვილი ვაჟა	1959–1961	მათემატიკა
64.	ზენაიშვილი იუზა	1959–1961	ფიზიკა–მათემატიკა

65.	ერქომაიშვილი ლუდოვიკო	1959-1962	მათემატიკა
66.	დუმბაძე მიხეილ	1959–1962	მათემატიკა
67.	დუაძე გრიგოლ	1959-1964	რუსული ენა და ლიტერატურა
68.	მამულაძე ჟუჟუნა	1959–1998	ქართული ენა და ლიტერატურა
69.	მიქელაძე გულა	1960–1962	ხატვა–სიმღერა, მხატვრული წრე
70.	აბულაძე ლამარა	1960–1972	დაწყებითი კლასები
71.	მამულაძე ნოდარ	1960-1991	შრომითი სწავლება, ლაბორანტი
72.	დუმბაძე ნიკოლოზ	1961–1962	გერმანული და რუსული ენები
73.	დიასამიძე ომარ	1961–1962	ქიმია–ბიოლოგია
74.	ქამაშიძე იოსებ	1961–1962	გეოგრაფია
75.	დავითაძე მიხეილ	1961-1963	მათემატიკა
76.	ცეცხლაძე ბეჟან	1961–1963	გეოგრაფიაბ ბიოლიოგია
77.	ბერიძე გულვარდ	1961–1964	ქართული ენა და ლიტერატურა
78.	მაჭავარიანი ელისაბედ	1961-1965	ბიოლოგია
79.	გაბაიძე მიხეილ	1961-1967	შრომითი სწავლება
80.	თურაძე სოლომონ	1961–1972	მატემათიკა
81.	ჯაიანი ლამარა	1961–1972	ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია
82.	ჯაიანი იაშა	1961-1992	გერმანული და რუსული ენები
83.	ბოლქვაძე ნიკოლოზ	1961–1993	შრომითი სწავლება
84.	ოთიაშვილი რემზი	1962-1963	რუსული ენა და ლიტერატურა
85.	მემარნიშვილი აკაკი	1962–1963	ისტორია
86.	ჯაიანი ნაზიკო	1963-1972	დაწყებითი კლასები
87.	ხალვაში ნათელა	1964-1965	შრომითი სწავლება
88.	ხალვაში მაყვალა	1964–1966	დაწყებითი კლასები
89.	ხალვაში იოსებ	1964-1969	ისტორია, სამხედრო სწავლება
90.	დუმბაძე სერგო	1964-1970	ისტორია, საზმცოდნეობა, ქართული ენა-ლიტერატურა
91.	გაბაიძე ბესარიონ	1964-1975	ფიზიკური კულტურა
92.	კურცხალიძე ლევან	1965–1967	გერმანული ენა
93.	კირთაძე მურმან	1965–1967	რუსული ენა და ლიტერატურა
94.	გაბაიძე გივი	1965-1973	მათემატიკა
95.	მამულაძე ალექსანდრე	1965–1976	ქართული ენა, ლიტერატურა, ისტორია
96.	ცეცხლაძე ჯემალი	1966-1967	რუსული ენა და ლიტერატურა
97.	დუმბაძე ეგნატე	1966-1968	ბიოლოგია
98.	დუმბაძე შოთა	1966–1968	შრომითი სწავლება, ბიბლიოთეკარი

99.	დავითაძე შოთა	1966-1972	დაწყებითი სამხედრო მომზადება
100.	დუმბაძე შოთა	1966-1972	ბიოლოგია
101.	დუაძე ნანული	1966-1972	დაწყებითი კლასები
102.	დუაძე ნანული	1966-1972	ქართული ენა და ლიტერატურა
103.	გაბაიძე შოთა	1967-1969	გეოგრაფია
104.	ქამაშიძე აკაკი	1967–1986	გეოგრაფია
105.	თურაძე გრიგოლ	1968-1969	ქიმია – ბიოლოგია
106.	აბულაძე ვახტანგ	1968–1970	მათემატიკა
107.	უჩანეიშვილი ვენერა	1968–1973	ისტორია
108.	ბოლქვაძე შუშანა	1968-1974	პიონერხელმძღვანელი
109.	ბოლქვაძე თეიმურაზ	1968–1993	რუსული ენა და ლიტერატურა
110.	გაბაიძე შალვა	1970-1972	ბიოლოგია-ქიმია
111.	ქამაშიძე არსენ	1970-1987	მათემატიკა
112.	აბულაძე ილია	1970–1991	მხ.წრის ხელ–ლი, ხატვა–სიმღერა
113.	სურმანიძე გუგული	1970–1995	სამედიცინო სწავლება
114.	გორგაძე ზაქრო	1971–1973	ქართული ენა და ლიტერატურა
115.	ქამაშიძე ხასან	1971–1984	დაწყებითი კლასები
116.	გაბაიძე ხუსეინ	1971–1994	დაწყებითი კლასები
117.	გაბაიძე შოთა	1971–2006	მათემატიკა
118.	შაინიძე არჩილ	1972–1980	გეოგრაფია–ბიოლოგია
119.	მიქელაძე ნოდარ	1973 –1989	ფიზიკა–მათემატიკა
120.	გაბაიძე არსენ	1973–1975	ფიზიკა – მათემატიკა
121.	მამულაძე გივი	1973-1975	მათემატიკა
122.	ბოლქვაძე ვლადიმერ	1973–1983	ქართული ენა და ლიტერატურა
123.	ხალვაში მიხეილ	1976-1978	მათემატიკა
124.	ქამაშიძე ზურაბ	1977-1978	ფიზიკა-მათემატიკა
125.	გაბაიძე ნუგზარ	1977-1979	ქართული ენა და ლიტერატურა
126.	გაბაიძე ნუგზარ	1977-1979	ქართული ენა და ლიტერატურა
127.	ბოლქვაძე სულიკო	1978-2004	პიონერხელმძღვანელი
128.	ხალვაში ალექსანდრე	1979-1989	ფიზიკა–მათემატიკა
129.	ხოზრევანიძე ვენერა	1980–1981	ბიოლოგია
130.	მოქია თემურ	1982–1986	ქართული ენა და ლიტერატურა
131.	გაბაიძე ალექსანდრე	1982–1989	დაწყებითი კლასები
132.	დავითაძე ჯამბულ	1983-1988	გეოგრაფია–ბიოლოგია
133.	ბოლქვაძე ჯემალ	1985–1988	დაწყებითი სამხედრო მომზადება
134.	გაბაიძე ჯამბულ	1985–1998	გეოგრაფია
135.	ქამაშიძე შოთა	1986–1990	ქართული ენა და ლიტერატურა
136.	დუმბაძე არჩილ	1986–1992	ბიოლოგია
137.	დუმბაძე მაყვალა	1986–1992	დაწყებითი კლასები

138.	დუმბაძე ხარიტონ	1986–1992	დაწყებითი კლასები
139.	ქამაშიძე ფატი	1988–1989	დაწყებითი კლასები
140.	ბოლქვაძე თენგიზ	1988–2012	ფიზიკური კულტურა, რუსული ენა, ლიტერატურა
141.	დუმბაძე ალექსანდრე	1989-1991	რუსული ენა-ლიტერატურა
142.	ჯორბენაძე მაყვალა	1989-1991	რუსული ენა-ლიტერატურა
143.	დავითაძე ნუგზარ	1989-1994	რუსული ენა და ლიტერატურა
144.	ბოლქვაძე ჯემალ	1989–2012	დაწყებითი კლასები, გეოგრაფია
145.	გუნდაძე მიხეილ	1990–1992	დაწყებითი კლასები
146.	გაბაიძე ივანე	1975–1994	დაწყებითი კლასები
147.	ბოლქვაძე ანზორ	1990–1996	ფიზიკური კულტურა
148.	უმეთაძე ნათია	1991–1992	ქიმია–ბიოლოგია
149.	ბოლქვაძე ასლან	1991–1999	მხ.წრის ხელ–ლი, ხატვა–სიმღერა
150.	უმეთაძე გულნარა	1991–2009	ქართული ენა და ლიტერატურა
151.	გაბაიძე ვარდო	1992 – 1994	ბიოლოგია
152.	ბოლქვაძე მურმან	1992–1993	გერმანული ენა, ფიზიკა
153.	ბოლქვაძე რუსუდან	1992–1994	დაწყებითი კლასები
154.	გუნდაძე ზინურ	1992–1994	დაწყებითი კლასები
155.	ქამადაძე მიხეილ	1992–1994	ქარათული ენა და ლიტერატურა
156.	ბოლქვაძე გულიკო	1992–1999	დაწყებითი კლასები
157.	დუმბაძე ირმა	1993–1994	ისტორია
158.	დუმბაძე გურამ	1993–1994	ისტორია
159.	ბოლქვაძე თენგიზ	1993–1995	ქართული ენა და ლიტერატურა
160.	გაბაიძე ნოდარ	1993–1999	რუსული ენა და ლიტერატურა
161.	გუნდაძე ოთარ	1993–2004	დაწყებითი კლასებიძ ფიზიკა
162.	შავაძე გუგული	1993–2007	დაწყებითი კლასები
163.	ქამადაძე მაყვალა	1994–1996	ისტორია–მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი
164.	ბოლქვაძე ინგა	1994–1997	დაწყებითი კლასები
165.	გაბაიძე მანანა	1994–1998	ბიოლოგია
166.	ლომსანიძე ლია	1994–1998	დაწყებითი კლასებიბ პიონერხელმძღვანელი
167.	ბოლქვაძე გულვარდი	1994–2007	ქართული ენა და ლიტერატურა
168.	ბოლქვაძე ნუგზარ	1995–1997	მათემატიკა
169.	დუმბაძე ელგუჯა	1995–1998	ფიზიკა
170.	ბოლქვაძე გურამ	1995–1999	დაწყებითი კლასები, შრომითი სწავლება

171.	დუმბაძე დარიკო	1995–2007	ქართული ენა და ლიტერატურა
172.	ბოლქვაძე ირმა	1996–1997	ისტორია
173.	მამულაძე მაყვალა	1996–2012	დაწყებითი კლასები
174.	ბოლქვაძე ნოდარ	1997–2000	რუსული ენა და ლიტერატურა
175.	ჯორბენაძე მაყვალა	1999–2001	რუსული ენა და ლიტერატურა
176.	თურაძე როინ	1999-2002	ქიმია
177.	ქამაშიძე ბაგრატ	1999–2008	რუსული ენა და ლიტერატურა
178.	ბოლქვაძე ბეგლარ	2000–2003	დაწყებითი კლასები
179.	ბოლქვაძე ზეინაბ	2000–2003	ქიმია–ბიოლოგია
180.	აბულძე თამარ	2000–2007	ისტორია
181.	ბოლქვაძე მალხაზ	2000–2009	შრომითი სწავლება, ხატვა–სიმღერა
182.	ბოლქვაძე ირა	2002–2004	ისტორია
183.	აბაშიძე ნაირა	2002–2011	გერმანული ენა და მათემატიკა
184.	ბოლქვაძე გია	2004–2008	ბიოლოგია
185.	ბოლქვაძე ნაირა	2006–2008	დაწყებითი კლასები
186.	დავითაძე რუსლან	2006–2008	ისტორია
187.	დუმბაძე ნინო	2007–2013	ქართული ენა და ლიტერატურა
188.	გაბაიძე ნაზი	2011–2013	ქართული ენა და ლიტერატურა
189.	გუნდაძე გულვარდ	2011–2013	ქართული ენა და ლიტერატურა

§2. სკოლის ადმინისტრაცია

ა) სკოლის გამგე-მასწავლებლები

1. თედორე დოლიძე (1916-1917)
2. ტიტე ჭყონია (1923-1929)
3. ლუბა ფირცხალაიშვილი (1929-1932)
4. მიშა მირზაშვილი (1932-1935)
5. მიხეილ შენგელია (1935-1937)
6. აპოლონ რუხაძე (1937-1938)
7. სიმონ ძველაია (1938-1940)

თედორე დოლიძე
(? - 1937)

თხილვანის ასწლიანი სკოლის ისტორია იწყება 1916 წლის მარტიდან, რომლის შესახებაც მოთხრობილია წინამდებარე წიგნის III განყოფილებაში, §2.



თხილვანის პირველი ქართული სკოლის (1916-1917 წწ.) პირველი გამგე-მასწავლებელი გახლდათ ოზურგეთის რაიონის სოფელ აცანიდან, ქუთაისის გიმნაზიის კურსდამთავრებული თედორე გივის ძე დოლიძე.

ჩვენთვის ცნობილია, რომ თედორე დოლიძე იყო რევოლუციონერი, რსდმპ წევრი, მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩაბმული იყო არალეგალურ სოციალისტურ მოძრაობაში და, ფილიპე მახარაძესთან ერთად მოღვაწეობდა ქ. ბაქოში. შემდეგ იგი ჩამოვიდა გურიაში და განაგრძო არალეგალური რევოლუციური მოღვაწეობა, რის გამოც მეფის ხელისუფლებისგან განიცდიდა დევნას. ამ დროს ხულოს რუსულენოვან სასწავლებელში მუშაობდა მისი ბიძაშვილი ბესარიონ დოლიძე (ცნობილი კინორეჟისორის სიკო დოლიძის მამა) და თანამედროვე კინორეჟისორის ქეთი დოლიძის ბაბუა.

სწორედ ბესარიონ დოლიძისა და სასწავლებლის მასწავლებელ იოსებ მელიქიშვილის რეკომენდაციით თედორე დოლიძე დაინიშნა ახალგახსნილი თხილვანის პირველი ქართული სკოლის გამგე-მასწავლებლად. მან იმუშავა 1916-1917 წლებში, თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციამდე.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ თედორე დოლიძეს ახალი ხელისუფლების პირველ დღეებში უმუშავია ქ. ბათუმში სხვადასხვა თანამდებობაზე. ბოლოს დამკვიდრებულა ქ. თბილისში, უმუშავია მასწავლებლად, სამწუხაროდ, იგი 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა.

ტიტე ჭყონია
(1900-1985)

ახალი ცხოვრების ძნელბედობის ჟამს, საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე, 20-30-იან წლებში აჭარაში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოვლენილ მასწავლებელთა ღვაწლი და ამაგი ფასდაუდებელია[1], ადგილობრივ თითო- ოროლა ინტელიგენტთან ერთად, მათ ჩვენი კუთხის მოსახლეობის ეროვნულ გათვითცნობიერებასა და კულტურულ დაწინაუ-

[1] როცა რაიმე შრომა იწერება მე-20 საუკუნის 20-30 წლების პერიოდზე და საკითხი ეხება განათლების, კულტურისა და მეცნიერების განვითარებას, ავტორებს მიგვაჩნია რომ, ხაზი უნდა გაესვას იმ წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოვლინებულ პედაგოგთა თუ სხვა მოღვაწეთა როლსა და ღვაწლს აჭარის კულტურულ დაწინაურებაში.

რებაში დიდი როლი შეასრულეს. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა ქართული პედაგოგიური საზოგადოების დამსახურებული წარმომადგენელი ტიტე ყარამანისძე ჭყონია, რომელიც 1923 წელს დაინიშნა თხილვანის შრომის სკოლის მასწავლებლად.



ტიტე ჭყონია დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნინოშვილში 1900 წელს. 1920 წელს დაამთავრა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია და იმავე წელს მუშაობა დაიწყო მშობლიური სოფლის დაწყებთი სკოლის მასწავლებლად. 1921 წელს ტიტე ჭყონია სამუშაოდ აჭარაში გადმოიყვანეს, იგი დაინიშნა ყოროლისთავის დაწყებითი სკოლის გამგე–მასწავლებლად. 1923 წლიდან ტიტე ჭყონია თხილვანის სკოლის გამგე–მასწავლებელია, სადაც მან 1929 წლამდე იმუშავა. იგი მუშაობდა აგრეთვე ალმეს (ოქტომბრის) დაწყებითი კლასების მასწავლებლად, 1931 წლიდან კი ხულოს შვიდწლიანი სკოლის გამგე–მასწავლებლად, 1933 წლის სექტემბრიდან ბათუმის (ხელვაჩაურის) რაიონის კაპანდიბის სკოლის გამგე-მასწავლებლად. აჭარაში თორმეტწლიანი მოღვაწეობის შემდეგ ტიტე ჭყონია მშობლიურ რაიონს უბრუნდება და მუშაობს ჩოჩხათის, ნიგვზიანის და ჯურუყვეთის სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1960 წელს იგი დამსახურებულ პენსიაზე გავიდა.

თხილვანის მოსახლეობა დიდი სიყვარულით იგონებდა და დღესაც იგონებს ტიტე ჭყონიას, როგორც კარგ აღმზრდელსა და გამოჩენილ პედაგოგს. მისი ყოფილი მოსწავლე, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, დავით მამულაძე მემუარებში წერს: „1923 წელს სოფელ თხილვანაში გაიხსნა დაწყებითი შრომის სკოლა და მეც იმ სკოლაში დავიწყე სწავლა, ჩემი მასწავლებელი იყო ტიტე ჭყონია, რომელმაც მასწავლა ქართული ანბანი, შემაყვარა წიგნი. მის ამაგს არასოდეს არ დავივიწყებ“.

ყველგან, სადაც უმუშავია ტიტე ჭყონიას, ყოველთვის გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობითა და განსაკუთრებული პასუხისმგებლობით. ეს ზნე-მაღალი კაცი იყო ობიექტური და მომთხოვნი. ამისათვის მას დიდ პატივს მიაგებდნენ ყველგან, მაგრამ განსაკუთრებით დაფასებული იყო მისი პედაგოგიური საქმიანობა აჭარაში, უფრო მეტად კი თხილვანაში. მან ამ სოფელში ჩამოიყვანა მეუღლე, ნინა ჩხარტიშვილი. თხილვანაში დაიბადა ტიტეს ორი შვილი ზია (ზურაბი) და მაყვალა. ქალბატონი ნინა ადგილობრივ ქალებს ასწავლიდა ჭრა–კერვასა და ქართულ წერა-კითხვას.

ბატონ ტიტეს დაუღალავ შრომას მოჰყვა შედეგი. მისი ბევრი აღზრდილი აჭარაში და საქართველოს სხვა კუთხეებში პასუხსაგებ თანამდებობებ-

ზე მუშაობდა, მათ შორის ცნობილი მოღვაწე დავით მამულაძე – აჭარის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი საქართველოს მთავრობაში ერთ-ერთი მინისტრი იყო. ასევე მისი მოსწავლეები იყვნენ აჭარის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ლევან დავითაძე და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მოედინ ფარტენაძე. ცნობილი პედაგოგები დავით მახარაძე, ლევან ბერიძე, დები ლილი და ქეთევან ნიჟარაძეები და სხვა. სათანადოდ დაფასდა ტიტე ჭყონიას ამაგი. განათლების დარგში ხანგრძლივი, უმწიკვლო და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდა ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით. მიღებული ჰქონდა მედლები, დიპლომები და სიგელები. იყო საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

ტიტე ჭყონია გარდაიცვალა 1985 წელს და განისვენებს მშობლიური სოფლის მადლიან მიწაში. მისი საქმე და სახელი დიდხანს იცოცხლებს.

* * *

სამწუხაროდ, სკოლის დანარჩენი გამგე-მასწავლებლების შესახებ ბიოგრაფიული ცნობები ვერ მოვიძიეთ არქივში. მათი თაობის არავინ დარჩა თხილვანის სკოლის სამოქმედო უბნებში. ახლო ნათესავები მოვიძიეთ, მაგრამ ვერ მივწვდით. დაგვრჩა ერთი რამ: მადლობა ვუთხრათ მათ სულებს გაწეული ამაგისთვის, უფლის ნება იყოს მათი მშვიდი ძილი. ბოდიშს ვიხდით მათი შთამომავლების წინაშე და მივმართავთ თხოვნით, თუ გამოგვეხმაურებიან ავტორებს, ან სკოლას და მოგვაწვდიან მათ შესახებ ცნობებს, სკოლის შემდეგი საიუბილეო თარიღის აღნიშვნისას გავითვალისწინებთ მორიგი წიგნის გამოქვეყნებას. ჩვენ თუ არ ვიქნებით, სხვა ენთუზიასტი ავტორები ხომ იქნებიან. არ უნდა დაიკარგოს ადამიანის ღვაწლი და ამაგი. ღვაწლის დაფასება სასიამოვნოა ღვაწლმოსილისა მისი შთამომავლობისთვის, ეს ჩვენი ზნეობრივი ვალია.

ბ) დირექტორები:

1. ლევან ბერიძე
2. სერგო ჯაიანი
3. სულიკო ხოფერია
4. ბაგრატ დუმბაძე
5. დავით მახარაძე
6. თინა კუკულაძე
7. ლევან გაბაიძე
8. იოსებ ქამაშიძე
9. აკაკი მემარნიშვილი
10. გრიგოლ დუაძე
11. ალექსანდრე მამულაძე
12. სერგო დუმბაძე
13. ვახტანგ აბულაძე
14. თეიმურაზ ბოლქვაძე
15. შოთა ბოლქვაძე
16. თენგიზ ბოლქვაძე
17. ედვარდ ბოლქვაძე

ლევან ბერიძე
(1914 – 1976)



ლევან ბერიძე ეკუთვნის ინტელიგენტთა იმ პლეადას, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ზემო აჭარის მოსახლეობის კულტურულ–საგანმანათლებლო აღმავლობას. მისი ძირითადი პროფესია პედაგოგობა იყო, მაგრამ ის საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა დარგში აქტიურად მონაწილეობდა.

ლევან ბერიძე დაიბადა 1914 წელს ხულოს მაზრის სოფელ ფურტიოში, იმ დროისთვის საკმაოდ ცნობილი მოღვაწის – იუნუს-აღა ბერიძის ოჯახში. იუნუს ბერიძეს ცხრა შვილი ჰყავდა: ოთხი ვაჟი და ხუთი ქალი. ვაჟებში ლევანი ყველაზე უმცროსი იყო და მისი ცხოვრება ძირითადად საბჭოთა წყობილების დროს წარიმართა. პირველდაწყებითი განათლება ლევანმა ოჯახსა და სოფლის დაწყებით სკოლაში მიიღო. შემდეგ მშობლებმა ის მიაბარეს ხულოს საშუალო სკოლაში, რომელიც 1936 წელს დაამთავრა და პირველი პედაგოგიური ნათლობა მეზობელ ბუთურაულის დაწყებით სკოლაში მიიღო. აქ ის ამ სკოლის გამგე-მასწავლებლად დანიშნა, მაგრამ სწავლა სწყუროდა და ერთი წლის შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც 1938 წელს დაამთავრა. ამ პერიოდში აჭარის სოფლები პედაგო-გიური კადრების დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ, რის გამოც თითქმის ყველა სკოლა საქართველოს სხვა რაიონებიდან მოწვეული მასწავლებლებით იყო დაკომპლექტებული. ისინი ღირსეულად უძღვებოდნენ მოსახლეობაში საგანმანათლებლო საქმინობას და საფუძველს უყრიიდნენ ადგილობრივი კადრების მომზადებას.

ლევან ბერიძე ადგილობრივ მასწავლებელთაგან ერთ–ერთი პირველი პროფესიონალი იყო, ვინც ინსტიტუტის დამთავრებისთანავე შრომითი საქმიანობის დასაწყებად მაღალმთიან უჩამბაში გაეშურა, სადაც იგი ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. ახალგაზრდა პედაგოგმა დიდი ცო-დნა და უნარი გამოავლინა, რაც უყურადღებოდ არ დარჩენილა. 1939 წელს ლევან ბერიძე ხულოს რაიონის თხილვანის შვიდწლიან სკოლაში გადაიყვანეს და 1940 წლიდან სკოლის დირექტორი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. სამი წლის შემდეგ ლევან ბერიძე ბუთურაულში გადაიყვანეს არასრული საშუალო სკოლის დირექტორად. მომდევნო წლებში ლევანის სამსახურებრივი იერარქია კვლავ აღმა-

ვალი გზით მიდის. ის ხულოს რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად გადაჰყავთ, 1945–1947 წლებში კი მშობლიური, ფურტიოს არასრულ საშუალო სკოლაში მუშაობს.

1947 წელს ლევან ბერიძე კვლავ რაიონის ცენტრში დაბრუნდა, ამჯერად პარტიულ სამუშაოზე, ხულოს რაიკომის ინსტრუქტორად. ყველასთვის გასაგები იყო, რომ უკვე საკმაოდ გამოცდილი პედაგოგისა და ორგანიზატორისთვის ეს ერთგვარი ტრამპლინი იყო. მართლაც, 1951 წელს რაიონის განათლების სფეროში ყველაზე მაღალ თანამდებობაზე–სახალხო განათლების განყოფილების გამგედ დანიშნეს. 1952 წლის დეკემბერში ხულოს რაიონს ცალკე ტერიტორიულ ერთეულად გამოეყო შუახევის რაიონი. ახალი სტრუქტურების ფორმირების დროს არჩევანი ლევან ბერიძეზე შეაჩერეს და ის შუახევის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ დგადაიყვანეს, სადაც 1959 წლამდე დაჰყო. შემდეგ, თავისივე სურილით, მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და საშუალო სკოლის დირექტორად განაგრძო მუშაობა, სადაც გარდაცვალებამდე დაჰყო. ლევან ბერიძემ თავისი სიცოცხლის 40 წელი პედაგოგიურ საქმიანობას მოახმარა და აჭარაში ერთ–ერთი მოწინავე მასწავლებლისა და განათლების დარგის ორგანიზატორის სახელი მოიხვეჭა. ის შესანიშნავად ფლობდა სასკოლო ცხოვრების ყველა მხარეს, ჰქონდა ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი ნიჭი და პედაგოგ-ჰუმანისტისათვის აუცილებელი თვისებები. ამიტომ მისი ყოველთვის სჯეროდათ და პატივსაც მიაგებდნენ. ლევანის მოღვაწეობის დროს შუახევის რაიონში მრავალი სიახლე დაინერგა, მოხდა სკოლების რეორგანიზაცია, რაიონში მომზადებულ იქნა მაღალკვალიფიციური კადრები, მოწესრიგდა მათი ცხოვრებისა და მუშაობის პირობები. ლევან ბერიძის პირადი თვისებებიდან მისი კოლეგები გამოყოფენ: თავმდაბლობას, საზოგადოებრივი საქმის დაუზარებლად შესრულებას, მეგობრობის გაფრთხილების, მათი წრის გაფართოების სურვილს, სტუმართმოყვარეობას, გაჭირვებულებზე ხელის გაწოდებას და სხვა.

ლევან ბერიძის ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე იყო საკუთარი ოჯახი. „საკუთარი“ ამ შემთხვევაში პირობითია, რადგანაც ამ ოჯახის კარი ყველასთვის და ყოველთვის ღია იყო. სტუმარი ამ სახლში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა, თანაც არა ერთი, არამედ ყოველდღიურად რამდენიმე წყება. ამ საქმეს ღირსეულად უძღვებოდა ლევანის მეუღლე ფატი მიქელაძე (1918–1999), რომელიც დიდებულად აგრძელებდა ამ ოჯახის დიასახლისების მიერ დანერგილ ტრადიციებს. ამ ქალბატონებს შორის ფატი მიქელაძე-ბერიძემ ერთი მნიშვნელოვანი რეკორდიც დაამყარა. მან შობა და ღირსეულად აღზარდა 11 შვილი, გმირი დედის წოდებაც დაიმსახურა და სიცოცხლის ბოლომდე შვილებს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს მზრუნველობდა. 10 შვილმა მიიღო უმაღლესი და ერთმა საშუალო სპეციალური განათლება. დღეს ისინი ცხოვრების მრავალ სფეროში ეწევიან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას. მის

შთამომავლობაში ოთხი მეცნიერულ სფეროს დაეწაფა, ბიზნესშიც კარგად გაიწვრთნენ.

1972 წელს დიდმა კინორეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა ლევან ბერიძის ოჯახზე გადაიღო დოკუმენტური კინოფილმი „ბერიძეების ოჯახი“

ლევან ბერიძე გარდაიცვალა 1976 წელს, იგი დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ფურტიოში.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის ლევან ბერიძე დაჯილდოებული იყო „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, აჭარის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელის საპატიო წოდება, არჩეული იყო აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად, რაიონული საბჭოს დეპუტატად, 1953–1964 წლებში ყველა რაიონული და საოლქო კონფერენციების დელეგატი იყო.

1972 წელს, როდესაც საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე, გოდერძის უღელტეხილის გავლით, ბათუმში მოემგზავრებოდა, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისათავის იუბილეზე დასასწრებად, შუახევში შეჩერებულა, იუნუს ბერიძის მემკვიდრეები, უწინარესად, ლევანი მოუკითხავს, ხოლო ბათუმში საზეიმო სხდომაზე, თავის მოხსენებაში საგანგებოდ ისაუბრა ამ ოჯახზე, მისი წარსულისა და თანამედროვე ცხოვრების შესახებ.

ლევანის მრავალშვილიან ოჯახში ხშირად ხდებოდა თავშეყრა, მოკითხვა და დახმარება ერთმანათისადმი, რასაც ზეიმის ხასიათი ჰქონდა, თუმცა მოკითხვა–დახმარება ისედაც მიღებული და დამკვიდრებული წესი იყო ლევან ბერიძის შვილებში. სწორედ ერთ–ერთ ასეთ შეხვედრაზე 1999 წელს გადაწყვიტეს ლევანის პატივსაცემად დაარსებულიყო “ლევან ბერიძის ფონდი“, რაც 2002 წელს ოფიციალურად დარეგისტრირდა, როგორც ბერიძეების ფონდი. ფონდის მუშობას ხელმძღვანელობენ ლევანის შვილიშვილები – ირაკლი ზურაბის ძე ბერიძე, მედეა შოთას ასული და გოჩა ბიჭიკოს ძე ბერიძეები. დასახელებული ფონდის დაფინანსებით გამომცემლობა „ალიონმა“ 2003 წელს გამოსცა პროფესორ ეთერ ბერიძის წიგნი „ბერიძეები“, რაც დიდი შენაძენია ისტორიის, ჩვენი დღევანდელობისთვის.

სერგო ჯაიანი
(1910 – 2000)

სერგო ჯაიანი დაიბადა ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში. მამა კადო ჯაიანი თემურ-ბეგ ხიმშიაშვილთან ჩაფრად (დაბალი ჩინის პოლიციელი) მუშაობდა მთიან აჭარაში. დედა მუსემბე ხიხაძირელ იშხნელიძეთა სახელოვანი გვარის მემკვიდრე იყო. 9 შვილი აღზარდეს მუსემბე და კადო ჯაიანებმა, მათგან ორი ვაჟიშვილი – ფოლადი და სერგო.

ღრმა ეროვნული თვისებებით გამორჩეულ, პროგრესიულად მოაზროვნე მშობლებს გულს უკლავდა ის, რომ ვერ ახერხებდნენ შვილებისთვის ქართულ ენაზე განათლების მიცემას. გვიან, მაგრამ მაინც მიაღწიეს საწადელს – 1916 წელს პირველი ვაჟიშვილი ფოლადი მიაბარეს თხილვანის ახალგახსნილ სკოლაში. ფოლად ჯაიანთან ერთად თხილვანის სკოლაში სწავლა დაიწყეს ბათალ იშხნელიძემ, თუფან გაბაიძემ, თერჯანალ გორგაძემ, რომლებმაც მოკლე დროში შეისწავლეს ქართული და რუსული წერა-კითხვა, მათემატიკა, ბუნება. სერგო ჯაიანმა პირველად მედრესეს კარი შეაღო, მან მცირეწლოვანობის გამო თხილვანის ქართულ სკოლაში ვერ დაიწყო სწავლა, შემდეგ კი თავად სკოლამაც შეწყვიტა არსებობა.

აჭარაში, ისე როგორც მთელ საქართველოში, მშობლიურ ენაზე სწავლების განხორციელების რეალური შესაძლებლობა შეიქმნა მეოცე საუკუნის 20-30 წლებდან. 1922 წელს პირველი სკოლა გაიხსნა სამაზრო ცენტრ ხულოში, 1923-1924 სასწავლო წელს კი 25 სოფელში, კერძოდ, ღორჯომში, თხილვანაში, ხიხაძირში, ოლადაურში, ფურტიოში, ტბეთში, უჩამბაში, ბეღლეთში, ფაჩხაში, ვანაძეებში და სხვა. სკოლების ქსელი ყოველწლიურად ფართოვდებოდა, შესაბამისად იზრდებოდა მოსწავლეთა კონტინგენტი და მასწავლებელთა რიცხვი.

1924 წლის 24 მარტს, 13 სხვა მოსწავლესთან ერთად, ხიხაძირის პირველი საფეხურის საბჭოთა შრომის სკოლაში სწავლა დაიწყო სერგო ჯაიანმა. სკოლის მასწავლებელი იყო ილარიონ გუნთაიშვილი, რომელიც მოსწავლეებს ასწავლიდა ქართულ ენას, არითმეტიკას, ბუნებისმეტყველებას. მოკლე ხნის შემდეგ, სკოლის გამგედ დაინიშნა ალექსანდრე ქუთათელაძე.

1926-1927 სასწავლო წლის დასაწყისში სერგო ჯაიანი მეოთხე კლასში სწავლობდა. იგი ერთ-ერთი წარჩინებული მოსწავლე იყო. ამ დროისთვის აჭარის მთავრობამ მოითხოვა ბათუმის სკოლებში სასწავლებლად ხიხაძირის სკოლიდან რამდენიმე მოსწავლე. 1927 წელს სერგო ჯაიანი ალი ჯაიანთან და ალი ცეცხლაძესთან ერთად, გააგზავნეს ქ. ბათუმში აჭარელი მოზარდებისთვის განკუთვნილ ბავშვთა სახლში, სადაც ცხოვრობდა და სწავლობდა. მალე ისინი გაამწესეს ბათუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში, სადაც სწავლობდნენ აგრეთვე თანარაიონელები: დავით მამულაძე (თხილვანა), მურად მეხეშიძე, მემედ ჯორბენაძე (ქედლები), ოსმან შაინიძე და შახზად ბოლქვაძე (კორტოხი).

ორი წლის შემდეგ სერგო ჯაიანი სასწავლებლად გადავიდა ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, მაგრამ გული მაინც პედაგოგობისკენ მიუწევდა და 1930-1931 სასწავლო წლიდან დაბრუნდა პედაგოგიურ ტექნიკუმში, რომელიც 1934 წელს წარმატებით დაამთავრა და აიღო პედაგოგის დიპლომი.

1934-1935 სასწავლო წლის დასაწყისში სერგო ჯაიანი დაინიშნა ხიხაძირის ახალგახსნილი შვიდწლიანი სკოლის დირექტორად. ეს სკოლა სერგო ჯაიანის დირექტორობის პირველსავე სასწავლო წელს რაიონში ერთ-ერთი მოწინავე გახდა. საუკეთესო მაჩვენებლებისთვის სერგო ჯაიანი რაიონის ხელმძღვანელობამ მაჯის საათით დააჯილდოვა. დირექტორად ორი წლის მუშაობის შემდეგ მას შესთავაზეს გადასულიყო ოლადაურის არასრული საშუალო სკოლის დირექტორად, მაგრამ ოჯახური პირობების გამო, მან ეს ვერ შეძლო. 1939 წელს სერგო ჯაიანი ერთი გამოცდის ჩაბარებით ჩაირიცხა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. 1941 წლის ივნისში ჩააბარა სახელმწიფო გამოცდა ერთ საგანში, ომიანობის გამო დარჩენილი სამი გამოცდა ჩაუთვალეს ჩაბარებულად, მისცეს დიპლომი და გაიწვიეს ფრონტზე. მარჯვენა ხელის ცერი თითის ბავშვობაში დაზიანების გამო, სერგო ჯაიანი სამხედრო-სამედიცინო კომისიამ ფრონტისთვის უვარგისად ცნო, მას მიეცა ჯავშანი და მიავლინეს აჭარის განათლების სამინისტროს განკარგულებაში.

1941 წლის სექტემბრიდან სერგო ჯაიანი დაინიშნა ხიხაძირის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ორი წლის შემდეგ სერგო ჯაიანი თხილვანის შვიდწლიანი სკოლის დირექტორად დააწინაურეს. ეს სკოლა მდებარეობდა ყველაზე შორეულ, საზღვრისპირა სოფელში და აქ სწავლობდნენ ოთხი სოფლის – თხილვანის, ქვედა თხილვანის, ბაკოსა და მთისუბნის ბავშვები, რომლებიც დადიოდნენ 4–5 კილომეტრის მანძილიდან. ქვეყანაში მძვინვარებდა სამამულო ომი, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენდა მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, განწყობაზე, მოსწავლეთა ჩაცმა-დახურვასა და სასწავლო ნივთებით მომარაგებაზე. ამასთან, სკოლა მხარში ედგა თხილვანის კოლმეურნეობას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულებაში. პედაგოგიური კოლექტივი მოსახლეობაში არა მარტო სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა, არამედ ეხმარებოდა ფრონტზე წასულთა ოჯახებს და სოფელთან ერთად მეომრებს უგზავნიდა ტანსაცმელს, თბილ წინდებს, ხელთათმანებს, ხმელ ხილს და სხვა. ომის პერიოდში ბევრი მამაკაცი მასწავლებელი ჯარში გაიწვიეს, ამიტომ შეთხელდა პედაგოგთა რიგები, განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა შეიქმნა 1944 წელს. სერგო ჯაიანი თავადვე შეუდგა ახალი მასწავლებლების მოძიება-მოზიდვას. დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან მან თხილვანისა და მეზობელი

სოფლებისთვის ჩამოიყვანა მასწავლებლები. ამავე წელს სერგო ჯაიანმა შვიდწლიან სკოლაში სამუშაოდ მიიწვია ადგილობრივი ხიხაძირის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მახმუდ ბოლქვაძე, რომელმაც ამ სკოლაში ოთხი ათეული წელი იმუშავა და მთელი ძალ-ღონე მოახმარა მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლისა და აღზრდის საქმეს. 1945 წელს სერგო ჯაიანი წარმატებული მუშაობისთვის ისევ დააწინაურეს, გადაიყვანეს ხიხაძირის საშუალო სკოლაში დირექტორად. სამი წლის შემდეგ კი – 1948 წელს სერგო ჯაიანი კვლავ თხილვანის რვაწლიანი სკოლის დირექტორად დაინიშნა. გამოცდილმა დირექტორმა მთავარი აქცენტი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის გაუმჯობესობაზე, მასწავლებელთა პედაგოგიური ოსტატობის დონის ამაღლებაზე, რვაკლასდამთავრებულთა პედაგოგიურ და პროფესიულ სასწავლებლებში ჩაბმასა და საშუალო სკოლის მეცხრე კლასში სწავლის გაგრძელებაზე გადაიტანა. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ ამ სკოლის კურსდამთავრებულმა გოგონებმა სურიე ცეცხლაძემ, ფატი და შუშანა მამულაძეებმა, ნარგიზ ბოლქვაძემ, ემინე მიქელაძემ და სხვებმა სწავლა განაგრძეს ხულოს ქალთა პედსასწავლებელში, ხოლო ვაჟებმა ასლან და ოთარ მიქელაძეებმა, იოსებ და ხასან ქამაშიძეებმა, ილია მამულაძემ, მუსტაფ და გრიგოლ დუაძეებმა, ამირან გაბაიძემ და სხვებმა – ხიხაძირის საშუალო სკოლაში.

1950 წლის 20 სექტემბერს სერგო ჯაიანი ხიხაძირის გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. ძნელი იყო სერგო ჯაიანისთვის საყვარელი პედაგოგიური კოლექტივისაგან განშორება, მაგრამ იმის მტკიცე იმედი კი ჰქონდა, რომ სკოლაში ტოვებდა მონოლითურ კოლექტივს – სასწავლო ნაწილის გამგეს, საკუთარ შვილივით აღზრდილ, თინა კუკულაძეს, მასწავლებლებს: არტემ ჯღარკავას, ქეთო სვანიძეს, ვასილ გვენცაძეს, თამარ კუპრაძეს, რამიზ სანიკიძეს, მახმუდ ბოლქვაძეს, რომლებიც კვლავაც განამტკიცებდნენ მიღწეულს. მისი წარდგინებით თხილვანის რვაწლიანი სკოლის დირექტორად დანიშნეს თინა კუკულაძე, რომელმაც ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ საპასუხისმგებლო საქმეს, ჯერ როგორც რვაწლიანი, ხოლო შემდეგ საშუალო სკოლის დირექტორმა, თავის მეუღლესთან, დავით ღლონტთან ერთად, ამ სკოლაში იღვაწა 1960 წლამდე.

1953 წლის 20 აგვისტოდან სერგო ჯაიანი ხიხაძირის საშუალო სკოლაში პედაგოგიურ საქმიანობას დაუბრუნდა, ხოლო 1957 წლიდან იგი ვერნების საშუალო სკოლის დირექტორად დანიშნეს. ამ სკოლაში მუშაობის პერიოდში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 29 თებერვლის ბრძანებულებით სხალთა-ხიხანის ხეობაში პირველს, სერგო ჯაიანს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

1959 წლის სექტემბრიდან სერგო ჯაიანი აირჩიეს ხიხაძირის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, სადაც თორმეტი წელი იმუშავა.

მომდევნო რვა წელიწადი სერგო ჯაიანი ხიხაძირის საშუალო სკოლის მასწავლებელია. 1972 წელს იგი დამსახურებულ პენსიაში გავიდა.

სერგო ჯაიანი, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად, ნაყოფიერად თანამშრომლობდა ადგილობრივ თუ რესპუბლიკურ პრესაში. იგი, როგორც პედაგოგი, სოფლის, თემის თავკაცი მრავალ სტატიას, ნარკვევს თუ კრიტიკულ წერილს აქვეყნებდა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ფართო იყო მისი პუბლიცისტური თვალსაწიერი, იგი ღრმად წვდებოდა სახალხო მეურნეობის განვითარების, სოციალური პრობლემების მოგვარების საკითხებში. სერგო ჯაიანის ჟურნალისტურ მოღვაწეობაში ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო მთის წარსულის, ისტორიული პიროვნებების ღვაწლის შესწავლა-გაანალიზება და მკითხველთა ფართო წრისთვის მიწოდება.

მან შთამომავლობას შემოუნახა ისტორიული ცნობები გამორჩეული გვარის, ხიმშიაშვილების დამსახურებაზე ქვეყნის წინაშე. საინტერესოდ წერდა ხიხანის ხეობის სოფლების ტოპონიმების, მოსახლეობის მთიანეთში დამკვიდრებისა და საქმიანობის შესახებ.

სერგო ჯაიანის შრომითი საქმიანობის ხუთი ათეული წლიდან 35 წელი პედაგოგიურ მუშაობასთან არის დაკავშირებული. როცა იგი კოლმეურნეობას თუ სასოფლო საბჭოს აღმასკომს ედგა სათავეში, მისი ფიქრი და ზრუნვის საგანი ისევ სკოლა იყო. დღეს მის სახელს უდიდესი პატივისცემითა და მოწიწებით მოიხსენიებენ არა მარტო მისი ყოფილი მოსწავლეები, კოლეგები, არამედ სხალთა-ხიხანის ხეობის მოსახლეობა. ამის ნათელი დადასტურება იყო მისი დაბადების 75 და 90, შრომითი, საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 და 70 წლისთავების აღნიშვნა.

სერგო ჯაიანის დამსახურება აღინშნა ექვსი მედლით და მრავალი სიგელით, მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

სერგო ჯაიანი გარდაიცვალა 2000 წელს. პოეტმა რევაზ გორგაძემ ამაგდარ პედაგოგს მიუძღვნა ლექსი, რომელშიც მისდამი ხალხის სიყვარული ასე გამოხატა:

„შენი ხალხის სიყვარული
არ მოგაკლდეს არასოდეს!
შენი ღვაწლი და ამაგი,
ვინ არის რომ არ ახსოვდეს?!
მადლობა შენ, კარგო კაცო,
ჩვენს გულებში ენთე მარად,
შენი სოფლის სასახელოდ,
შენი ხალხის გასახარად!“

2006 წელს ნიკოლოზ და სერგო დუმბაძეებმა მკითხველს მიაწოდეს წიგნი „ხიხანელი ხევისბერი“, მასში გაშუქებულია სიცოცხლეშივე ხევის-

ბერად აღიარებული მოღვაწის, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის სერგო ჯაიანის ცხოვრება და მოღვაწეობა.

დაფასდა სერგო ჯაიანის, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის და საზოგადო მოღვაწის ღვაწლი. აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივმიგებისა და მადლიერების საზოგადოების და ზოგიერთ მეცნიატ-მოღვაწეთა მხარდაჭერით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 11 აგვისტოს №9 ბრძანებით სერგო ჯაიანის სახელი მიენიჭა ხულოს მუნიციპალიტეტის ხიხაძირის საჯარო სკოლას. ამასთან დაკავშირებით, ოფიციალური ცერემონიალი განხორციელდა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებისა და რაიონის ხელმძღვანელების მონაწილეობით, სკოლის პედაგოგთა, მოსწავლეთა, სოფლისა და ხეობის მოსახლეობის წარმომადგენელთა ხალხმრავალ შეკრებაზე.[1]

სერგო ჯაიანის სიცოცხლე გრძელდება შთამომავლობაში.

(მარცხნიდან) ნადიდე ნაკაშიძე-ჯაიანისა, გიგლა და ალექსანდრე ჯაიანები, ცისანა ბერიძე-ჯაიანისა, მამია ხალვაში, ეთერ ჯაიანი-ხალვაშისა

ისინი, დაიცავენ არა მარტო მშობლების ღირსებას, არამედ იზრუნებენ ხიხაძირის სკოლაზე, რომელიც დამსახურებულად ატარებს მამის – სერგო ჯაიანის სახელს.

[1] გაზ. "აჭარა", 8-9 ოტომბერი, 2015, გვ. 6.

სულიკო ხოფერია
(1922– 2007)

ერთ-ერთი პირველი ქალი მასწავლებელი, რომელიც დიდი სამამულო ომის წლებში აჭარაში სამუშაოდ ჩამოვიდა, იყო ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯურყვეთის მცხოვრები სულიკო ხოფერიაა.

სულიკო ხოფერია მრავალშვილიანი ოჯახის მე-9 შვილი იყო. მამა იყო ანდრია ხოფერია, დედა კი – პელაგია. მათ ოჯახში დაიბადა და აღიზარდა 10 შვილი, მათგან ყველამ მიიღო უმაღლესი განათლება. სულიკო ხოფერიამ დაამთავრა ჯურყვეთის რვაწლიანი, შემდეგ ლანჩხუთის საშუალო სკოლა და 1944 წელს ბათუმის ორწლიანი სამსაწავლებლო ინსტიტუტის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის თხილვანის შვიდწლიან სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, პარალელურად 1945-1951 წლებში სწავლობდა დაუსწრებლად ქალაქ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის სპეციალობაზე.

სულიკო ხოფერიას მოგონებიდან: „სამასწავლებლო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ, ხულოს რაიონის მაღალმთიან სოფელ თხილვანაში მომიწია მასწავლებლად წამოსვლა. მქონდა დიდი იმედი, რომ ერთი-ორი წლის მუშაობის შემდეგ მშობლიურ რაიონს დავუბრუნდებოდი, მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩემი ცხოვრება სამუდამოდ აჭარას დავუკავშირე. აქ შევქმენი ოჯახი, აღვზარდე შვილები და სამუდამოდ აქ დავრჩი“.

სულიკო ხოფერიას სოფლის მოსახლეობა და სკოლის პედაგოგიური კოლექტივი დიდი სიხარულით შეხვდა. პედაგოგიურ კოლექტივს ვამბობთ, მაგრამ ამ დროს ეს კოლექტივი მხოლოდ სკოლის დირექტორის სერგო ჯაიანის და ამ სკოლაში ახალდანიშნული ადგილობრივი ხიხაძირის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მახმუდ ბოლქვაძისგან შედგებოდა. დიდი სამამულო ომის გამო, მამაკაცი მასწავლებლები ფრონტზე იყვნენ გაწვეული, ზოგიერთი კი, გაჭირვების და სიშორის გამო, უარს ამბობდა სამუშაოდ ხულოს რაიონის სოფლებში წასვლაზე. საჭირო გახდა კადრების გამონახვა. სულიკო ხოფერიამ სკოლის დირექტორს მისცა მისი ნაცნობების სია და მისამართი, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ ემუშავათ აჭარაში მასწავლებლებად. სერგო ჯაიანი გაემგზავრა გურიაში მათ ჩა-

მოსაყვანად. თავდაპირველად მიაკითხა სულიკო ხოფერიას ოჯახს და სთხოვა მშობლებს, უმცროსი და სონია, რომელსაც ასევე ჰქონდა დამთავრებული ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი, გამოეშვათ სამუშაოდ თხილვანაში. მშობლები ამ შეთავაზებაზე დათანხმდნენ. სონიას გამოყვა აგრეთვე მისი ძმის ცოლისდა ლოლა ჩხაიძე. წყალტუბოდან სამუშაოდ წამოვიდნენ აგრეთვე ნუცა ფოფხაძე და ლეონინა არჯევანიძე. ლეონინა ქვედა თხილვანის დაწყებითი კლასების მასწავლებლად დაინიშნა, ხოლო დანარჩენები – თხილვანის შვიდწლიან სკოლაში. ამრიგად, სერგო ჯაიანთან ერთად, სულიკო ხოფერიას დამსახურებად უნდა ჩაითვალოს სოფელ თხილვანაში პედაგოგიური კოლექტივის დაკომპლექტება. ამ კოლექტივში უმრავლესობა მისი ოჯახის წევრები ან თანარაიონელები იყვნენ.

1944 წლის ბოლოს თხილვანის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი სერგო ჯაიანი ხიხაძირის საშუალო სკოლაში გადაიყვანეს. მან განათლების რაიონული განყოფილების და რაიონის ხელმძღვანელობას თხილვანის სკოლის დირექტორად რეკომენდაცია გაუწია სულიკო ხოფერიას. ეს ერთი წლის სტაჟისმქონე მასწავლებლისთვის დიდი პატივისცემა და აღიარება იყო, ამავე დროს სკოლის დირექტორობა დიდ პასუხისმგებლობასაც მოითხოვდა. მართალია, მან შეთავაზებაზე უარი განაცხადა, მაგრამ ერთი წლით განათლების განყოფილებამ დირექტორად მაინც დანიშნა. მეორე წელს სულიკო ხოფერიას თხოვნა დაკმაყოფილდა და ამჯერად თხილვანის შვიდწლიანი სკოლის დირექტორად დაინიშნა ბაგრატ დუმბაძე.

სულიკო ხოფერიას და მისი კოლექტივის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს თხილვანის შვიდწლიან სკოლაში სასწავლო–აღმზრდელობითი მუშაობის ძირეულად გაუმჯობესება. მან ღირსეულად გააგრძელა ის ტრადიციები და მოსახლეობასთან კეთილი ურთიერთობის მაგალითები, რომელსაც ადგილი ჰქონდა სერგო ჯაიანის დირექტორობის პერიოდში.

1948 წლიდან სულიკო ხოფერია კალოთის სკოლაში გადაიყვანეს სამუშაოდ, ხოლო 1955-1956 სასწავლო წელს – ვერნების რვაწლიან სკოლაში.

1956 წელს მან ვერნებელ იოსებ აბაშიძესთან შექმნა ოჯახი. 1964 წელს მათი ოჯახი საცხოვრებლად გადამოვიდა ქ. ბათუმში. წლების განმავლობაში სულიკო ხოფერია მუშაობდა ქალაქ ბათუმის №№20, 29, 32 საბავშო ბაღების გამგე-მასწავლებლად.

1977 წელს სულიკო ხოფერია გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. დაჯილდოებული იყო მედლით „სამამულო ომის წლებში კეთილსინდისიერი შრომისათვის“. აგრეთვე აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს არაერთი სიგელითა და დიპლომით. სულიკო ხოფერიას შვილები: მზია, ხელოვნებათმცოდნე, ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს აშშ-ში, ბესიკი, ინჟინერ-მექანიკოსი, ცხოვრობს და მუშაობს ქ. ბათუმში სპეციალობით.

ბაგრატ დუმბაძე
(1923-1991)



ბაგრატ დუმბაძე დაიბადა 1923 წლის 14 აგვისტოს ხულოს მაზრის სოფელ ჩანჩხალოში.

დაამთავრა ჩანჩხალოს დაწყებითი, ხულოს საშუალო სკოლები, 1945 წელს ბათუმის სამასწავლებლო, ხოლო დაუსწრებლად პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი.

1945 წელს პირველად შეაღო საკლასო ოთახის კარები თხილვანის რვაწლიან სკოლაში, დაინიშნა სკოლის დირექტორად, სადაც მუყაითი შრომითა და გულმოდგინეობით გამოიჩინა თავი. 1946 წელს დააწინაურეს რაიგანათლების განყოფილების ინსპექტორად, 1950 წელს კი გაამწესეს დარჩიძეების რვაწლიანი სკოლის დირექტორად. 1951-1952 წლებში ბაგრატ დუმბაძე პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი, შემდეგ ოთხი წლის განმავლობაში დღვანის რვაწლიანი სკოლის დირექტორია. 1957-1973 წლებში განაგრძობდა მშობლიური სოფლის ჩანჩხალოს ჯერ რვაწლიანი, შემდეგ საშუალო სკოლის თავკაცობას.

1973 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახინჯარუში და მუშაობას შეუდგა ამ სოფლის ქართულ სკოლაში, საიდანც 1977 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

1965 წელს ბაგრატ დუმბაძეს მიენიჭა აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. იგი, სადაც კი იღვაწა, გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით, ინიციატივითა და ორგანიზატორული ნიჭით, სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

1949 წელს ცოლად შეირთო მასთან მომუშავე პედაგოგი ეთერ ზაქარიაძე და ქვეყანას აღუზარდეს 3 სასახელო მამულიშვილი – 2 ვაჟი და ერთი ქალიშვილი.

ბაგრატ დუმბაძე გარადაიცვალა 1991 წელს. ოჯახის ღირსებას საკუთარი დამსახურება შემატეს შვილებმაც: იურისტი ვახტანგ დუმბაძე მოღვაწეობდა აჭარის შინაგან საქმეთა ორგანოებში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, პენსიაზე გავიდა პოლკოვნიკის ჩინით. ქალიშვილი მარინა დუმბაძე სპეციალობით მუშაობდა წამყვან სპეციალისტად ბათუმის რესურსცენტრში, ნაბოლარა ამირანმა დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ცხოვრობს და მუშაობს თბილისში.

ბაგრატ მასწავლებელი დღესაც ახსოვთ თხილვანაში, კეთილად იხსენიებენ მას და პატივს მიაგებენ მის ხსოვნას.

დავით მახარაძე
(1919 – 1958)

დავით მახარაძე დაიბადა 1919 წელს სოფელ ფაჩხაში. მამა იუნუსი საკმაოდ განსწავლული და შეძლებული კაცი იყო. ის თავისუფლად კითხულობდა ქართულ და თურქულ ენებზე, იცოდა რუსული წერა–კითხვა.

1928 წელს დავითი შევიდა ფაჩხის დაწყებით სკოლაში. აღნიშნული სკოლა გაიხსნა 1916 წელს დავით მახარაძის ბაბუის დურად მახარაძის საცხოვრებელი სახლის გვერდით მდგომ სასტუმროში. მეორე წელს დურად მახარაძემ სკოლისთვის განკუთვნილი ოთახი გადაიტანა ჯამის ახლოს, იმიტომ რომ, ღვთის შიშით სკოლის მოწინააღმდეგეები ვერ დაწვავდნენ მას, მაშინ ხომ ჯამეც დაიწვებოდა. ასეთი საზრიანი მოქმედებით დურად მახარაძემ სოფელს შეუნარჩუნა სკოლის შენობა. მართლია, 1916 წელს ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მიერ გახსნილმა სკოლებმა, პოლიტიკური მოვლენების გამო ერთი წლის შემდეგ მუშაობა შეწყვიტეს, მაგრამ 1923 წელს, არსებული შენობის გამო, ფაჩხაში სასწავლო წელი დროულად დაიწყო.

1933 წელს დავითმა დაამთავრა ფაჩხის დაწყებითი სკოლა. ამ დროს სხალთა-ხიხანის ხეობაში მხოლოდ ხიხაძირში ფუნქციონირებდა შვიდწლიანი სკოლა, სადაც სწავლა განაგრძო დავითმა. 1939–1943 წლებში დავით მახარაძე სწავლობს ხულოს პედსასწავლებელში. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი ჩაირიცხა ქ. ბათუმის ორწლიან სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომელიც 1945 წელს დაამთავრა.

დავით მახარაძემ შრომითი საქმიანობა დაიწყო 1945 წლის 20 აგვისტოდან. იგი დაინიშნა შუბნის შვიდწლიანი სკოლის დირექტორად. ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს მან დიდი ავტორიტეტი და სიყვარული დაიმსახურა პედაგოგიურ კოლექტივში და მოსწავლე ახალგაზრდობაში. ერთი წლის მუშაობის შემდეგ დავით მახარაძე გადაიყვანეს თხი-ლვანის რვაწლიანი სკოლის დირექტორად და ისტორიის მასწავლებლად. ამ სკო-

ლაში მუშაობის დროს მან თავი გამოიჩინა როგორც კარგმა ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა. პირველ რიგში, მან დაიწყო ზრუნვა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისთვის, სასკოლო ასაკის ბავშვების სწავლებაში ჩაბმისთვის, პედაგოგიური კოლექტივის მეთოდური დახელოვნებისთვის. მან ასევე კარგი ურთიერთობა დაამყარა სოფლის აქტივთან და მოსახლეობასთან. თხილვანის მოსახლეობა და მაშინდელი მოსწავლეები ყოველთვის დიდი პატივისცემით, სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით იგონებენ დავით მახარაძის ღვაწლსა და დამსახურებას.

1947 წლიდან დავით მახარაძე ყინჩაურის რვაწლიანი სკოლის ისტორიის მასწავლებელია, ხოლო 1948 წლის 20 აგვისტოდან იგი მუშაობას იწყებს მშობლიური სოფლის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად.

1952 წელს დავით მახარაძე სამეურნეო საქმიანობაზე გადაიყვანეს. მობილიზაციის წესით იგი არჩეულ იქნა ყინჩაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. მისი მუშაობის პერიოდში კოლმეურნეობამ დიდ წარმატებებს მიაღწია საკოლმეურნეო გეგმების შესრულებაში, განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს სხალთელმა მეთამბაქოეებმა.

1953 წლის მარტიდან დავით მახარაძე ისევ ფაჩხის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად გადაიყვანეს.

1954 წელს ეს სკოლა გადაკეთდა შვიდწლიან სკოლად და დირექტორად დავითი დანიშნეს, სადაც იგი ისტორიასაც ასწავლიდა. 1956 წლიდან დავით მახარაძე ფაჩხის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, სადაც ერთი წელი იმუშავა და ისევ სკოლას დაუბრუნდა.

1958 წლის 19 ნოემბერს დავით მახარაძე გვიან ღამით ბრუნდებოდა სახლში ყინჩაური-ფაჩხის გზაზე გამავალი ბილიკით. დათოვლილი ბილიკისა და ბნელი ღამის გამო, ფეხი დაუცდა და ხრამში გადაიჩეხა. დილამდე დარჩა მდინარე ფაჩხისწყლის ნაპირზე, დილით ძალა მოიკრიბა და მივიდა სხალთის საუბნო საავადმყოფოში, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

დავით მახარაძე დაკრძალულია სოფელ ფაჩხაში, საგვარეულო სასაფლაოზე.

მამის გარდაცვალების შემდეგ დავითის მეუღლემ – ნაზიმე ცეცხლაძემ მზრუნველობის ხელი არ დააკლო ობლად დარჩენილ შვილებს. აღზარდა, ასწავლა და ცხოვრების გზაზე დააყენა. უფროსმა ვაჟმა რევაზმა დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი ბიოლოგია–გეოგრაფიის სპეციალობით და 1972 წლამდე მუშაობდა ხულოსა და შუახევის რაიონებში პედაგოგად, 1972 წლიდან, მობილიზაციის წესით, გადაიყვანეს აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ. 1993 წელს იგი პოლიციის პოლკოვნიკის ჩინით გავიდა პენსიაზე. მეორე შვილი მიხეილი, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთში და მუშაობდა ქობულეთი-ქაქუთის ავ-

ტობუსის მძღოლად, საიდანაც გავიდა პენსიაზე. მესამე – ნოდარი, უმაღლესი განათლებით პედაგოგია, უმცროსი ოთარი კი – ეკონომისტი. ასევე შესანიშნავი ოჯახები შექმნეს ქალიშვილებმა: ნათელამ, ეთერმა და თამარმა.

შვილები ამაყობენ სახელოვანი მამით, რომელმაც თავისი მოღვაწეობის პერიოდში, სხალთა-ხიხანის ხეობაში დაიმკვიდრა შესანიშნავი პედაგოგისა და აღმზრდელის სახელი.

თინა კუკულაძე
(1923-2013)

თინა კუკულაძე დაიბადა 1923 წლის 19 მარტს ლანჩხუთში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1941 წელს უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე. დიდი სამამულო ომის დაწყების გამო ის სწავლას თავს ანებებს და ოჯახს უბრუნდება. მაგრამ იგი შინ დიდხანს არ გაგჩერებულა, მობილიზაციის წესით მთიან აჭარაში გაგზავნეს სამუშაოდ. 1941 წლის ოქტომბერში თინა კუკულაძე დაინიშნა ხულოს რაიონის სოფელ შურმულის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად. თვრამეტი წლის ქალიშვილისთვის მთიანი აჭარის უშორეს სოფელში მუშაობა გმირობის ტოლფასი იყო. ადგილობრივმა მოსახლეობამ იგი მალე შეიყვარა. მისდამი გულთბილმა დამოკიდებულებამ, სტუმართმოყვარეობით გამორჩეული ალისულთან ბოლქვაძის ოჯახის (სადაც მან ბინა დაიდო) მიერ გამოჩენილმა სითბომ და მზრუნველობამ თინა კუკულაძეს მუშაობის სტიმული აუმაღლა. იგი ორ ცვლად მუშაობდა, საღამო საათებში კი წერა-კითხვას ასწავლიდა ადგილობრივ მოსახლეობას. მეორე სასწავლო წელს თინა კუკულაძე ზემო ვაშლოვანის (ზედა ალმეს) დაწყებით სკოლაში გადაიყვანეს. ნიჭიერ ქალიშვილს მაინც სწავლა, პედაგოგის სპეციალობის ღრმად დაუფლება იზიდავდა და 1943 წელს ეს წადილიც აისრულა – გახდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი. 1945 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო მშობლიური ლანჩხუთის საშუალო სკოლაში. ამასობაში სამასწავლებლო ინსტიტუტი გადა-

კეთდა პედაგოგიურ ინსტიტუტად და თინა კუკულაძემ მესამე კურსიდან განაგრძო სწავლა რომელიც 1948 წელს წარჩინების დიპლომით დაამთავრა. ისევ დადგა იგი არჩევანია წინაშე – სად წასულიყო სამუშაოდ, მშობლიური ლანჩხუთის, თუ მთიანი აჭარის რომელიმე სკოლაში. თინა კუკულაძემ არჩევანი ხულოს რაიონის თხილვანის რვაწლიან სკოლაზე გააკეთა, სადაც დაინიშნა სასწავლო ნაწილის გამგედ და ისტორიის მასწავლებლად.

"ოჯახური მდგომარეობის გამო ხულოს რაიონში წასვლა დავაგვიანე და სკოლაში მხოლოდ 25 სექტემბერს გამოვცხადდი, – იგონებდა თინა კუკულაძე. ჩემი თანაკურსელი, ხულოს მაშინდელი რაიკომის მეორე მდივანი არჩილ ბერიძე ამყვა სკოლაში, სადაც სკოლის დირექტორი სერგო ჯაიანი შემოგვეგება, თბილად მიგვიღო, შეგვეპატიჟა და პედაგოგიურ კოლექტივთან წარმადგინა. აქედან დაიწყო ჩემი ნაცნობობა სერგო ჯაიანთან, რაც შემდეგ და-ძმურ ურთიერთობაში გადაიზარდა. ცხადია, მისი ოჯახიც გავიცანი. მისი მეუღლე ნათელა მიქელაძე საოცრად სტუმართმოყვარე იყო. სამ შვილს ზრდიდნენ, სულ პატარა ეთერი ისე შემეჩვია, რომ თუ სტუმრობა დამაგვიანდებოდა, მისაყვედურებდა – სად იყავი აქამდეო."

1950 წლის 25 სექტემბერს სერგო ჯაიანი აირჩიეს ხიხაძირის გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, სკოლის დირექტორად კი თავისი მოადგილე თინა კუკულაძე წარადგინა, რასაც მოჰყვა რაიონის განათლების განყოფილებისა და ხელმძღვანელთა მხარდაჭერა.

სკოლის დირექტორად დაწინაურებული თინა კუკულაძე კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდა მოვალეობის შესრულებას. პედაგოგიური კოლექტივი გვერდით ამოუდგა ქალ ხელმძღვანელს, მასწავლებლები არტემ ჯღარკავა, ქეთო სვანიძე, ვასილ გვენცაძე, თამარ კუპრაძე, მიშა აფხაზავა, რამიზ ხინიკაძე და მახმუდ ბოლქვაძე ახალდანიშნულ დირექტორთან ერთად მუხლჩაუხრელად შრომობდნენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესებისთვის, მოსწავლეთა მიერ უმიზეზოდ გაკვეთილების გაცდენა-დაგვიანების აღსაკვეთად. კიდევ უფრო გაძლიერდა ურთიერთობა მოსწავლეთა მშობლებთან და საერთოდ მოსახლეობასთან. თინა კუკულაძის დირექტორობის დროს სკოლაში მოვიდნენ ახალი კადრები: დები ნაზი და ფატი ხარაზები, ბენია ჩუბინიძე, ხასან მამულაძე, ამ სკოლის პირველი უმაღლესდამთავრებული. ამ დროისთვის თხილვანის რვაწლიანი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი რაიონის მასშტაბით ცნობილი გახდა როგორც ერთ–ერთი მოწინავე. თხილვანის სკოლას „თინას სკოლას" უწოდებდნენ. „თინას სკოლაში" მუშაობის დაწყება ყველას სურდა.

თინა კუკულაძე სკოლაში ხშირად იწვევდა მეზობელი სოფლების – ქვედა თხილვანის, ბაკოს და მთისუბნის სკოლების მასწავლებლებს, საინტერესოდ ხდებოდა პედაგოგიური გამოცდილების გაზიარება, მეთოდუ-

რი დახელოვნების მიზნით გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება. სკოლის ხშირი სტუმრები იყვნენ თხილვანისა და ბაკოს კოლმეურნეობათა თავკაცები და ავტორიტეტული ადამიანები ფილიპე და ზაქარია მამულაძეები, მუხამედ (ვალოდია) ბოლქვაძე, ნური ქამაშიძე, მიხელ და შუქრი დუმბაძეები, ნიაზ მიქელაძე, შახმენ და ნიაზ თურაძეები. პედაგოგიური კოლექტივისთვის განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ხოლმე მემედ-ეფენდი ბოლქვაძის სკოლაში მისვლა. მოსახლეობის სკოლისადმი ასეთი დამოკიდებულება სკოლის დირექტორს და პედაგოგიურ კო-ლქტივს მაღალი პასუხისმგებლობის ქვეშ აყენებდა.

1955 წელს თხილვანის რვაწლიანი სკოლა საშუალოდ გადაკეთდა, დირექტორის მოვალეობაც ისევ თინა კუკულა-ძეს დაეკისრა. იგი გრძნობდა რომ რაიონის ხელმძღვანელობა მისი მუშაობით კმაყოფილი იყო. ასეთივე კმაყოფილებას გამოთქვამდა პედაგოგიური კოლექტივი და ადგილობრივი მოსახლეობა. მანმადე, 1954 წელს, თინას ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – შეუღლდა თავის თანარაიონელ, იმჟამად ხიხაძირის საშუალო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელ დავით ღლონტთან. ოჯახი, შემდეგ შვილი, დედობა და დირექტორობა მძიმე ტვირთად დააწვა ქალბატონ თინას. ამიტომ მან დირექტორის პოსტი დათმო და მთელი ენერგია მოამხარა საგნის სწავლებასა და ოჯახს.

თინა კუკულაძე გარდაიცვალა 2014 წელს, ქალაქ ბათუმში.

ლევან გაბაიძე
(1930–1964)

ლევან გაბაიძე დაიბადა ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში. მისი ბავშვობა და ყმაწვილკაცობა მძიმე პერიოდს დაემთხვა. ლევანის მშობლები ესკერ გაბაიძე და სუსი ჯაიანი, შრომისმოყვარე და პროგრესული პიროვნებები იყვნენ. ესკერ გაბაიძის მამა, მურად გაბაიძე შერიფ ხიმშიაშვილის დაცვაში მუშაობდა. ესკერ გაბაიძე სხალთა-ხიხანის ხეობის იმ ახალგაზრდების თაობას ეკუთვნოდა, რომლებიც პირველები ჩაებნენ ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მიერ 1916 წელს გახსნილ სოფელ თხილვანის დაწყებით სკოლაში. ამ სკოლაში მიღებული განათლებით ამ თაობის ბევრი ახალგაზრდა იმ დროში და შემდგომშიც, ადგილობრივი ინტელიგენციის როლს და ფუნქციას ასრულებდა. ესკერ გაბაიძე სოფლის აქტივში გამორჩეული პიროვნება იყო, ინიციატივიან და ორგანიზატორ ადამიანს, სოფლად სხვადასხვა საპასუხისმგებლო სამსახურს ანდობდნენ, იყო ხიხაძირის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში, ის არაერთხელ აირჩიეს ხიხაძირის სასოფლო საბჭოს დეპუტატად.

ლევანის დედა სუსი ჯაიანი სათნო, ყურადღებიანი ქალბატონი იყო. მან დიდი ჯაფა გასწია შვილების აღზრდასა და შემდგომ დაფრთიანებაში. 1977 წელს მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ოთხი ათეული წელი დარდში, ტკივილებში გაიარა, იცხოვრა მომავლის იმედით და ას წელს მიტანებული 2003 წელს გამოეთხოვა წუთისოფელს.

1937 წელს მშობლებმა ლევანი ხიხაძირის არასრული საშუალო სკოლის პირველ კლასში მიაბარეს. 1947 წელს მან წარმატებით დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა და იმავე წელს დაიწყო მასწავლებლად მუშაობა კალოთის დაწყებით სკოლაში, შემდეგ ჩააბარა მისაღები გამოცდები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში და ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი გახდა.

1953 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ლევან გაბაიძე დაინიშნა სოფელ კალოთის შვიდწლიანი სკოლის დირექტორად და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, სადაც ორი სასწავლო წელი იმუშავა. 1955 წელს იგი ხიხაძირის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, ხოლო 1957 წლიდან ლევან გაბაიძე თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორად გადაიყვანეს. მდიდარი წარსულისა და ტრადიციების მქონე სკოლის თავკაცად დაწინაურება ლევან გაბაიძისთვის დიდი პატივი და საპატიო მოვალეობაც იყო. მას უნდა შეენარჩუნებინა და ამავე დროს გაემდიდრებინა ის ტრადიციები, რომლებიც ჩამოყალიბდა ამ სკოლაში წინა დირექტორების – ლევან ბერიძის, სერგო ჯაიანის, დავით მახარაძის, სულიკო ხოფერიას, ბაგრატ დუმბაძის, თინა კუკულაძისა და მიხეილ ტუღუშის მუშაობის დროს. ახალგაზრდა დირექტორს გაუმართლა, სკოლაში მას შესანიშნავი პედაგოგიური კოლექტივი დახვდა. აქ მოღვაწეობდნენ: ნაზი ხარაზი, ხასან მამულაძე, რობერტ შარაშიძე, ვაჟა დოლიძე, ნევრო როყვა, გოგუცა შეყილაძე, ნადია და ციალა კობახიძეები, მაყვალა კეშელავა, ვაჟა ბოჭორიშვილი, იოსებ ქამაშიძე, ასლან მიქელაძე, ნადიმ გათენაძე, თინა კუკულაძე, დავით ღლონტი, იუზა ზენაიშვილი, ლუდოვიკო ერქომაიშვილი, მახმუდ ბოლქვაძე და სხვები. ისინი თავდაუზოგავად, საქმის ცოდნითა და სიყვარულით ემსახურებოდნენ ახალგაზრდა თაობის აღზრდის საშვილიშვილო საქმეს.

თხილვანის სკოლის პედაგოგიური კოლექტივი 1958 წ.

ლევან გაბაიძემ თხილვანის საშუალო სკოლაში მუშაობის დროს გამოავლინა დიდი ენერგია და მრავალმხრივი ორგანიზატორული შემართება. იგი ყურადღებას აქცევდა არა მარტო სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, არამედ ზრუნავდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება-განმტკიცებისთვის. მისი ხელმძღვანელობის დროს დასრულდა სკოლის ხის ტიპური შენობის მშენებლობა, კეთილმოეწყო და მოწესრიგდა კაბინეტ-ლაბორატორიები, ისინი მომარაგდა თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით, გაიზარდა სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. ახალი შინაარსი შეიძინა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობამ. სკოლა თანდათანობით ერთ-ერთი მოწინავე გახდა მთელს ხეობაში. 1958 წელს მოეწყო თხილვანის საშუალო სკოლის პირველი გამოშვება. სკოლა დაამთავრა 11–მა ახალგაზრდამ, მათ შორის იყო ხუთი გოგონა. პირველი კურსდამთავრებულები იყვნენ: ლამარა აბულაძე, ნადია ბოლქვაძე, ილია ბოლქვაძე, ვახტანგ აბულაძე, ალექსანდრე დუაძე, მიხეილ გაბაიძე, ვლადიმერ მამულაძე, ჟუჟუნა მამულაძე, ეთერ მამულაძე, იოსებ მიქელაძე, რომლებმაც სწავლა განაგრძეს უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში, მიიღეს სხვადასხვა სპეციალობა და უანგაროდ, მთელი მონდომებით იღვაწეს და დღესაც მუშაობენ განათლების, კულტურისა და სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში.

ლევან გაბაიძის თხილვანის საშუალო სკოლაში მუშაობის დროს ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა ზურაბ ქამაშიძემ, რომელიც შემდგომ თავად გახდა განათლების დარგის ერთ-ერთი მოწინავე მუშაკი და ახალ-

გაზრდობის შესანიშნავი აღმზრდელი. იგი წლების მანძილზე იყო ქვედა თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორი.

თხილვანის საშუალო სკოლა რაიონის მასშტაბით ერთ–ერთი მოწინავე იყო, მას „ლევან გაბაიძის სკოლასაც“ ეძახდნენ. მის ამ წარმატებებს ხელი შეუწყო ამ პერიოდში ხიხაძირის საშუალო სკოლაში სკოლათმცოდნის დიმიტრი ხოზრევანიძის მუშაობამ. მათ შორის არაჩვეულებრივი მეგობრობა იყო და ეს ურთიერთობა სიკვდილამდე გრძელდებოდა.

კალოთისა და თხილვანის სკოლებში მუშაობის დროს ლევან გაბაიძემ ფართოდ მიიპყრო ყურადღება როგორც რაიონის, ისე განათლების დარგის მესვეურთა მხრიდან, როგორც თავისი საგნისა და საქმის შესანიშნავმა მცოდნემ, განათლებულმა ინტელიგენტმა, ინიციატივიანმა მუშაკმა და მაღალი ორგანიზატორული უნარით დაჯილდოებულმა ხელმძღვანელმა. იგი ამ პერიოდში პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა სოფლებისა და მთლიანად ხიხანის ხეობის კულტურულ ცხოვრებაში. ასეთმა ფართო საგანმანათლებლო და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ ლევან გაბაიძეს მოსახლეობაში აღიარებული ავტორიტეტი მოუხვეჭა.

1961 წლის აპრილში ლევან გაბაიძე ხულოს რაიონული საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ დააწინაურეს, ერთი წლის შემდეგ იგი საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის მეორე მდივნად აირჩიეს. 1963 წლიდან ლევან გაბაიძე ხულოს სასოფლო–საწარმოო პარტიული კომიტეტის პლენუმმა აირჩია პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილედ, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა.

ხულოს რაიონის პარტიულ და სახელმწიფო აპარატებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობისას ფართოდ გამოვლინდა ლევან გაბაიძის, განათლებული და პერსპექტიული კადრის, დამახასიათებელი თვისებები, რის გამოც მალე შეიყვარა იგი როგორც რაიონის აქტივმა, ისე მოსახლეობამ.

მისი საქმიანობისთვის დამახასიათებელი იყო ხალხთან მუშაობა. იგი მუდამ მოსახლეობაში ტრიალებდა და მათი ინტერესების დაცვისთვის ზრუნავდა. ხშირად გამოდიოდა მათ წინაშე ლექცია-მოხსენებებით. მის სიტყვას მოსახლეობაში წონა ჰქონდა, სჯეროდათ და უსმენდნენ კიდეც. ლევან გაბაიძე, როგორც აქტიური სახელმწიფო და პარტიული მუშაკი, არაერთხელ იყო არჩეული ხულოს პარტიული კომიტეტისა და ბიუროს წევრად, რაიონული საბჭოსა და ხიხაძირის სასოფლო საბჭოს დეპუტატად. იგი არა მარტო კარგი ხელმძღვანელი და საქმიანი მოღვაწე, არამედ საუკეთესო ოჯახის პატრონიც იყო. მისი ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ ქალბატონმა ემინე ხალვაშმა შვილებს უმამობა არ აგრძნობინა და სახელოვანი მამის კვალზე ღირსეულად გაზარდა სამი ვაჟი – ნუგზარი, ელ-

გუჯა და ბესო. ყველა მათგანმა მიიღო უმაღლესი განათლება, შექმნეს შესანიშნავი ოჯახები და ღირსეულად გააგრძელეს მამისეული ტრადიციები.

ლევან გაბაიძე 1964 წლის 5 სექტემბერს ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის ზამლეთი-ხულოს მონაკვეთზე მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა. განისვენებს მშობლიურ ხიხაძირის მადლიან მიწაში.



ლევან გაბაიძის შვილი ბესო და შვილიშვილი მინდია

შვილები გაიზარდნენ, დაოჯახდნენ, ცხოვრობდნენ ლაღად, მაგრამ, მამის გარდაცვალებიდან, 2010 წელს დედაც გარდაეცვალა... ლევანის უმცროს ვაჟს ბესოს (მამის განსახიერება იყო) უკურნებელი სენი შეეყარა. სამკურნალოდ იყო თბილისში, მოსკოვში, სტამბულში, ბოლოს ექიმ-თერაპევტ სოლომონ ფუტკარაძის თანხლებით იაპონიაშიც კი ჩავიდა. მაგრამ ... 2013 წელს, სამწუხაროდ აღესრულა იგიც. ამას დაემატა კიდევ უფრო დიდი ტრაგედია – ბესოს ერთადერთი საიმედო შვილი მინდიაც, განცდებით დამძიმებული 2015 წელს უეცარი სიკვდილით გარდაიცვალა. დატოვა ორი ქალიშვილი.

იოსებ ქამაშიძე
(1932-2005)

სხალთა-ხიხანის ხეობის განათლების დარგის მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი დამსახურებული მასწავლებელი და ხელმძღვანელი იყო იოსებ ქამაშიძე.

იოსებ ქამაშიძე დაიბადა 1932 წელს ხულოს რაიონის სოფელ ქვედა თხილვანაში შრომისმოყვარე და ავტორიტეტული პიროვნების რასიმ ქამაშიძის ოჯახში.

იოსებ ქამაშიძემ პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქვედა თხილვანის სკოლაში, 1947 წელს დაამთავრა თხილვანის რვაწლიანი, ხოლო 1950 წელს ხიხაძირის საშუალო სკოლა.

1953 წელს იოსებ ქამაშიძემ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტზე, რომელიც 1957 წელს დაამთავრა.

იოსებ ქამაშიძემ პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 1957 წლის 1 სექტემბრიდან თხილვანის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად.

ახალგაზრდა პედაგოგს ბედმა გაუღიმა, ამ დროს თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობდა კარგი სკოლათმცოდნე ლევან გაბაიძე, სასწავლო ნაწილის გამგედ კი ნაზი ხარაზი. სკოლაში მუშაობდნენ გამოცდილი პედაგოგები: ხასან მამულაძე, ასლან მიქელაძე, თინა კუკულაძე, გრიგოლ დუაძე, ვაჟა დოლიძე, დავით ღლონტი, ნევრო როყვა, ნადიმ გათენაძე, ოთარ მიქელაძე, გოგუცა შეყილაძე და სხვები. 1957-1958 სასწავლო წელი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ სკოლაში პირველად უნდა ჩატარებულიყო გამოსაშვები გამოცდები, სკოლას ამთავრებდა 11 მოსწავლე. პედაგოგიურმა კოლექტივმა ყველაფერი გააკეთა, რომ მოსწავლეებს წარმატებით ჩაებარებინათ საშუალო განათლების საატესტატო გამოცდები. ამ წარმატებებში დიდი იყო ახალგაზრდა მასწავლებლის, იოსებ ქამაშიძის წვლილი.

„ლევანის სკოლაში“ მუშაობამ იოსებ ქამაშიძეს შესძინა დიდი პედაგოგიური გამოცდილება, დამსახურებული ავტორიტეტი მოსწავლეებში, პედაგოგიურ კოლქტივსა და მშრომელ მოსახლეობაში.

1961 წელს, ლევან გაბაიძის რაიონში ხელმძღვანელ დანამდებობაზე დაწინაურების შემდეგ, თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე რაიონის ხელმძღვანელობამ არჩევანი იოსებ ქამაშიძეზე შეაჩერა, რასაც სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა ერთხმად დაუჭირა მხარი. ეს იყო აღიარებაც და დიდი პასუხისმგებლობაც, რასაც მან ღირსეულად გაართვა თავი: შეძლო პედაგოგიური კოლექტივის ერთ მუშტად შეკვრა და ბრძოლა იმ ტრადიციების გასაგრძელებლად, რასაც ადგილი ჰქონდა ლევან გაბაიძის დირექტორად მუშაობის დროს. მართალია, იოსებ ქამაშიძემ თხილვანის საშუალო სკოლაში დირექტორად მხოლოდ ერთი სასწავლო წელი იმუშავა, მაგრამ მან შეძლო ამ სკოლიდან ქვედა თხილვანის რვაწლიან სკოლაში კარგი სახელით გადასვლა. ყველა მოსწავლე, რომლებმაც მისი დირექტორობის დროს საშუალო სკოლა დაამთავრა, განსაკუთრებით ხაზს უსვამდა მის ობიექტურობას, ბავშვების სიყვარულსა და კეთილშობილებას. **1962 წელს 16 კურსდამთავრებულიდან**

7 ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თავისსავე სკოლას დაუბრუნდნენ მასწავლებლებად. ისინი მუშაობის დროს და შემდეგშიც ყოფილ დირექტორს „იოსებ მასწავლებლის“ სახელით მოიხსენიებდნენ, თუმცა შემდეგში ზოგიერთი მისი დირექტორიც გახდა.

სწორედ 1961 წელს, იოსებ ქამაშიძის დირექტორობის პერიოდში, სკოლის პედკოლექტივი შეივსო ახალგაზრდა კადრებით, როგორებიც იყვნენ: გულვარდი ბერიძე, ლამარა ჯაიანი (ქართული ენა, ლიტერატურა), სოლომონ თურაძე (მათემატიკა), ნიკოლოზ დუმბაძე (რუსული ენა და ლიტერატურა და გერმანული ენა), ომარ დიასამიძე (ქიმია, ბიოლოგია), ბეჟან ცეცხლაძე (გეოგრაფია, ბიოლოგია), რომლებმაც მუშაობაში შემოიტანეს შემართება, მონდომება და სიახლეები.

1962 წლიდან 1989 წლამდე იოსებ ქამაშიძე ქვედა თხილვანის საშუალო სკოლაში მასწავლებლად მუშაობს, ამავე დროს სხვადასხვა პერიოდში იყო ამ სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, შემდეგ დირექტორი.

1958 წელს იოსებ ქამაშიძემ შექმნა ოჯახი. მისი მეუღლე სურიე დანიელის ასული ცეცხლაძე ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ადგილობრივთაგან დაამთავრა ხულოს ქალთა სასწავლებელი და 1953 წელს მუშაობა დაიწყო ქვედა თხილვანის რვაწლიან სოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად. იმუშავა 25 წელი. იგი დაჯილდოებული იყო მრავალი სიგელით და დიპლომით.

1990 წელს იოსებ ქამაშიძის ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ხობის რაიონში, სადაც იგი მეუღლესთან ერთად აგრძელებდა პედაგოგიურ საქმიანობას, 1992 წელს კი პენსიაზე გავიდა. იგი გარდაიცვალა 2005 წელს.

იოსებ ქამაშიძე ეკუთვნის განათლების დარგის იმ მოღვაწეთა პლეადას, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს სხალთა-ხიხანის ხეობაში მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლისა და აღზრდის საქმეს. იოსებ ქამაშიძემ 40-წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობით პირნათლად მოიხადა ვალი ქვეყნის წინაშე და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა მოწინავე პედაგოგიური საზოგადოების რიგებში.

აკაკი მემარნიშვილი
(1923-1989)

აკაკი (კაკო) მემარნიშვილი დაიბადა 1923 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ ცხემლისხიდში (უჩხუბი). დაამთავრა მშობლიური სოფლის არასრული საშუალო სკოლა და 1937 წელს სწავლა განაგრძო მახარაძის სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1940



წელს. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ასპინძის რაიონის სოფელ ასპინძაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად.

1942 წლის 31 ივლისს ა. მემარნიშვილი გაიწვიეს მოქმედ არმიაში. იბრძოდა მცირე მიწაზე და სამამულო ომის სხვადასხვა ფრონტზე. მიღებული ჰქონდა მედლები და უმაღლესი მთავარსარდლის მადლობები. სამაულო ომის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ხულოს რაიონის გორგაძეების დაწყებითი სკოლის მასწავლებლად.

1946-1950 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ხულოს რაიონის ღორჯომის საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ და ისტორიის მასწავლებლად, შემდეგ დირექტორად. იმუშავა ყინჩაურის და დიდაჭარის საშუალო სკოლებში სასწავლო ნაწილის გამგედ და ისტორიის მასწავლებლად.

1962 წელს აკაკი მემარნიშვილი დაინიშნა თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორად და ისტორიის მასწავლებლად. აქ მან იმუშავა ერთი სასწავლო წელი. მიუხედავად ამისა, აკაკი მემარნიშვილმა თხილვანის მოსახლეობას, მოსწავლე ახალგაზრდობას და პედაგოგიურ კოლექტივს თავი დაამახსოვრა როგორც ობიექტურმა და გამოცდილმა პედაგოგმა და ხელმძღვანელმა. მისი მუშაობის პერიოდში სკოლაში გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. გაკვეთილების შემდეგ აკაკი მემარნიშვილი სოფლის მოსახლეობაში გამოდიოდა ლექცია-საუბრებით, ეწეოდა პროპაგანდისტულ და იდეოლოგიურ მუშაობას. 1962 წელს იდეოლოგიის დარგში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისთვის იგი შეტანილ იქნა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის საპატიო წიგნში.

თხილვანის საშუალო სკოლის შემდეგ აკაკი მემარნიშვილი მუშაობას აგრძელებს დიდაჭარის, ყინჩაურის და სხვა სკოლებში დირექტორად და დირექტორის მოადგილედ. 1971-1982 წლებში იგი ხელმძღვანელობდა დვაბზუს რვაწლიან სკოლას.

1964 წელს აკაკი მემარნიშვილს სახალხო განათლების დარგში აქტიური და ხანგრძლივი საქმიანობისთვის, მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისთვის მიენიჭა აჭარის ასსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო აგრეთვე „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით.

როგორც მოწინავე დირექტორი, დასახელებულია აჭარის ასსრ განათლების მინისტრის ვახტანგ წულიკიძის წიგნში „განათლების ისტორიისათვის აჭარაში“ (გვ 229).

აკაკი მემარნიშვილი გარდაიცვალა 1982 წლის 30 მაისს.

გრიგოლ დუაძე
(1934–2002)



გრიგოლ დუაძე დაიბადა სხალთა--ხიხანის ხეობის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ მთისუბანში. მამა - მუხამედ დუაძე შრომისმოყვარე, შეძლებული და ავტორიტეტული პიროვნება იყო.

გრიგოლ დუაძის დედა, დოდო თურაძე ოჯახისა და შვილების მოსიყვარულე ქალბატონი გახლდათ. მან აღზარდა 8 შვილი – 5 ვაჟი და 3 ქალი.

გრიგოლ დუაძემ პირველდაწყებითი განათლება მშობლიური სოფლის დაწყებით სკოლაში მიიღო. სოფელ მთისუბანში დაწყებითი სკოლა 1931 გაიხსნა. სკოლის შენობის მშენებლობაში სხვებთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღო მუხამედ დუაძემ.

გრიგოლ დუაძემ შემდეგ დაამთავრა თხილვანის 8-წლიანი, 1953 წელს კი ხიხაძირის საშუალო სკოლა. მასთან ერთად ხიხაძირის საშუალო სკოლა დაამთავრა 20-მა ახალგაზრდამ, აქედან 2-მა ვერცხლის მედალზე. თითქმის ყველა მათგანმა მიიღო უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლება. ესენი იყვნენ შოთა აბაშიძე, აკაკი ბერიძე, დავით გაბაიძე, იური გაბაიძე, იოსებ მამულაძე, ნესპიე გაბაიძე, ხასან ხალვაში და სხვა.

1957 წელს გრიგოლმა დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი და იმავე წელს დაინიშნა თხილვანის საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

ამ მეგობრულ და შრომისმოყვარე პედაგოგიურ კოლექტივში გრიგოლ დუაძე ჩამოყალიბდა პრინციპულ და მომთხოვნ მასწავლებლად. სულ მალე მისი გაკვეთილები გახდა აკადემიურად და მეთოდურად გამართული. მოსწავლეებმაც შეიყვარეს ახალგაზრდა მასწავლებელი. 1959 წელს გრიგოლ დუაძე აირჩიეს ბაკოს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. კოლმეურნე-

ობა ამ წლებში იყო მოწინავე მეურნეობათა რიგებში. შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თხილვანის სკოლას.

1963 წელს გრიგოლ დუაძე დააწინაურეს თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორად და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. მისი დირექტორობის დროს თხილვანის საშულო სკოლაში ორი სასწავლო წლის კურსდამთავრებულებთან ერთად, ექსტერნის წესით მოხდა სამი გამოშვება. 1972 წელს გრიგოლ დუაძე დაინიშნა მთისუბნის ახალგახსნილი რვაწლიანი სკოლის დირექტორად. ამ პერიოდში მისი ხელმძღვანელობით აშენდა მთისუბნის რვაწლიანი სკოლის ახალი შენობა და გაფართოვდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

1978 წლიდან გრიგოლ დუაძე სამეურნეო საქმიანობაზეა. იგი არჩეულ იქნა თხილვანის გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. 1979 წელს იგი სათავეში ჩაუდგა საზოგადოება „ცოდნის“ ხულოს რაიონულ ორგანიზაციას. 1980 წელს გრიგოლ დუაძის ოჯახი საცხოვრებლად გადამოვიდა ქალაქ ბათუმში. იგი 1980-1986 წლებში მუშაობდა ბათუმის სამშენებლო კომბინატში, 1986-1887 წლებში – გონიოს ჩაის ფაბრიკის დირექტორის მოადგილედ, 1988-1989 წლებში – ბათუმის კოლეჯის მასწავლებლად, შემდეგ კი აჭარის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიურ საქმეთა განყოფილებაში, საიდანაც იგი გავიდა პენსიაში.

1958 წელს გრიგოლ დუაძემ შექმნა ოჯახი, მან ცოლად შეირთო ხულოს პედსასწავლებლის კურსდამთავრებული, დაწყებითი კლასების მასწალებელი ემინე მიქელაძე. სამწუხაროდ, ქალბატონი ემინე ადრეულ ასაკში გარდაიცვალა და დაურჩა ორი მცირეწლოვანი ქალ-ვაჟი – სელიმი და ნაზი. გრიგოლ დუაძის მეორე მეუღლე იყო ზინა გაბაიძე, ვისგანაც შეეძინა კიდევ ორი შვილი – სურაჯი და რუსლანი.

ყველგან, სადაც კი იმუშავა გრიგოლ დუაძემ, დაიმსახურა ადამიანების სიყვარული და მოიპოვა ავტორიტეტი. იგი არჩეული იყო სასოფლო საბჭოს დეპუტატად, დაჯილდოებული იყო მედლით, განათლების სამინისტროს სიგელებით და დიპლომებით.

ალექსანდრე მამულაძე, ვენერა უჩანეიშვილი

ალექსანდრე მამულაძე დაიბადა 1938 წელს ხულოს რიაონის სოფელ ქვედა თხილვანაში.

მამა – ფილიპე შრომისმოყვარე და პატიოსანი კაცი იყო. დედა – უმიანი დღედაღამ გვერდში ედგა მეუღლეს. იგი ოჯახის ერთგული და სათნოებით ცნობილი პიროვნება გახლდათ. მათ აღზარდეს და ცხოვრების გზაზე დააყენეს 10 შვილი. მათგან ერთმა თავი შესწირა სამშობლოს.

ფირყეთ (ფილიპე) მამულაძემ, ერთ-ერთმა პირველმა, ისწავლა 1916 წელს თხილვანაში გახსნილ ქართულ სკოლაში, ეს ცოდნა მას გამოადგა

ცხოვრებში. შემდეგში თვითგანათლების გზით ეზიარა პრაქტიკულ, ცხოვრებისეულ ცოდნას. თანასოფლელთა შორის ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო შრომითი საქმიანობა სახელმწიფო და სამეურნეო სამსახურებში. მუშაობდა ზამლეთის სავაჭრო კოოპერატვში. იგი ასევე ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორი და ფუძემდებელი იყო თხილვანის ახალჩამოყალიბებული კოლმეურნეობისა, შემდეგ რამდენიმე ათეული წელი თავკაცობდა ამ კოლმეურნეობას. მან დიდი ამაგი დასდო სოფლის ეკონომიკურ და კულტურულ დაწინაურებას.

ალექსანდრე მამულაძემ პირველდაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში, ქვედა თხილვანის სკოლაში მიიღო. შემდეგ დაამთავრა თხილვანის რვაწლიანი სკოლა და 1957 წელს ხიხაძირის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1962 წელს.

ალექსანდრე მამულაძის პედაგოგიური მოღვაწეობის გზა ასეთია:

1962-1964 წლებში - ქვედა თხილვანის რვაწლიანი სკოლის დირექტორი და ისტორიის მასწავლებელი;

1964-1967 წლებში - თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორი და ისტორიის მასწავლებელი;

1967-1969 წლებში - თხილვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

1969-1970 წლებში - თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში და ისტორიის მასწავლებელი;

1970-1976 წლებში - თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორი (მეორედ) და ისტორიის მასწავლებელი;

1976-1978 წლებში - ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში;

1978-1980 წლებში - ბათუმის სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის მოადგილე იდეოლოგიური მუშაობის დარგში;

1980-1998 წლებში - ბათუმის სამედიცნო სასწავლებლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

ალექსანდრე მამულაძის მეუღლე **ვენერა უჩანეიშვილი** დაიბადა 1937 წელს ქ. სამტრედიაში მოსამსახურის ოჯახში.1954 წელს დაამთავრა სამტრედიის რკინიგზის 24-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1958 წელს ქუთაისის ა.წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. იმავე წელს იგი სამუშაოდ გაანაწილეს აჭარაში. მისი შრომითი ბიოგრაფია ასეთია:

1959-1968 წლებში - ქვედა თხილვანის რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე და ისტორიის მასწავლებელი;

1968-1969 წლებში - თხილვანის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე და ისტორიის მასწავლებელი;

1969-1976 წლებში - თხილვანის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი;

1976-1993 წლებში - ქ. ბათუმის 35-ე და 36-ე საბავშვო ბაგა-ბაღების აღმზრდელ-მასწავლებელი.

ვენერა უჩანეიშვილი თხილვანის საშუალო სკოლაში მუშაობის პერიოდში სათავეში ჩაუდგა მოსწავლეთა მხატვრულ თვითმოქმედებას, ჩამოაყალიბა შესანიშნავი გუნდი, რომელიც წარმატებით გამოდიოდა მოსახლეობის წინაშე, რაიონულ და საქალაქო დათვალიერებებზე.

ალექსანდრე მამულაძე, მეუღლესთან ერთად, ჩაბმული იყო აქტიურ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი იყო ობიექტური და გამოცდილი ხელმძღვანელი, პედაგოგიურ კოლექტივს ყოველთვის სჯეროდა მისი, იყო არჩეული სასოფლო და რაიონული საბჭოების დეპუტატად.

ალექსანდრე მამულაძის მთავარი მოწოდება მაინც პედაგოგიური საქმიანობა იყო. მისი დირექტორობის პერიოდში თხილვანის საშუალო სკოლა ერთ-ერთი მოწინავე იყო რაიონის მასშტაბით. სკოლაში მთავარი ყურადღება ექცეოდა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას. სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებდნენ მისაღებ გამოცდებს და სწავლას აგრძელებდენენ უმაღლეს სასწავლებლებში. კიდევ უფრო წარმატებული იყო კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობა.

სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობდნენ რაიონულ, რესპუბ-ლიკურ შემოქმედებით კონფერენციებში. სკოლის დირექცია განსაკუთრე-ბულ ყურადღებას ამახვილებდა მასწავლებელთა "პედაგოგიურ კითხვებ-ში" მონაწილეობას. **1968 წელს ისტორიის მასწავლებლის სერგო დუმბაძს მიერ დამუშავებულმა თემამ - „როგორ ვიყენებ ადგილობრივ მოაქსალებს ისტორიის სწავლებისას" თბილისში რესპუბლიკურ პედაგოგიურ კითხვა-ზე უმაღლესი შეფასება და პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. მისი მოხსენება დაიბეჭდა ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში".**

სკოლაში იწვევდნენ მწერლებს, პოეტებს, სამამულო ომის და შრო-მის ვეტერანებს. 1965 წელს პოეტი ფრიდონ ხალვაში მოიწვიეს და განი-ხილეს მისი რომანი „საყვედური"

ალექსანდრე მამულაძის ღვაწლი სათანადოდ იქნა შეფასებული. იგი დაჯილდოებულ იქნა „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით, მიღებული ჰქონდა საქართველოს და აჭარის განათლების სამი-ნისტროების საპატიო სიგელები და მადლობები.

ასევე ნაყოფიერი იყო ვენერა უჩანეიშვილის პედაგოგიური საქმიანო-ბა. მისი აღზრდილები ხშირად მოიგონებენ მის მიერ ჩატარებულ გაკვე-თილებსა და ექსკურსიებს. იგი წლების განმავლობაში იყო სახალხო უნივერსიტეტის ლექტორი, ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე, აგიტატორი, რის გამოც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თხილვანის მოსახლეობა-ში, განსაკუთრებით ქალთა შორის.

1976 წელს ალექსანდრე მამულაძის ოჯახი მუდივ საცხოვრებლად გა-დამოვიდა ქალაქ ბათუმში. მიუხედავად ამისა, მათ კავშირი არ გაუწყვე-ტიათ თხილვანის მოსახლეობასთან, სკოლებთან; 1996 წელს აქტიური მო-ნაწილეობა მიიღეს თხილვანაში პირველი ქართული სკოლის გახსნის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში.

ალექსანდრე მამულაძემ და ვენერა უჩანეიშვილმა შე-ქმნეს სანიმუშო ოჯახი. მათ აღზარდეს და ცხოვრების სწორ გზაზე დააყენეს ორი ვაჟიშ-ვილი – ზაზა და ზურაბი.

ოჯახური ბედნიერებით და წარმატებით ხარობდნენ ალექსანდრე და ვენერა, მაგრამ 2014 წლის 27 ნოემბერს ზურაბის უეცარმა სიკდილმა დი-დი ტრაგედია მიაყენა ცოლ-ქმარს. სამაგიეროდ, მათ თავს დასტრიალებენ ზურიკოს მეუღლე ნატო და შვილები – ქეთი და გიორგი, ამჟამად ორივე სტუდენტია.

სერგო დუმბაძე

სერგო შუქრის ძე დუმბაძე დაიბადა 1937 წლის 20 მაისს, ხულოს რა-ონში, ხიხანის ციხის მიდამოებში მდებარე ისტორიულ სოფელ ბაკოში. მშრომელი, სტუმართმოყვარე და კეთილშობილი, სახალხო კაცის შუქრი

დუმბაძის ოჯახში. დედა – გოგჩეგ გაბაიძე სტუმართმოყვარე, სათნო და პატიოსანი, 9 შვილის აღმზრდელი ქალბატონი გახლდათ.

სერგო დუმბაძე 1945 წელს შევიდა ბაკოს ახალაშენებული სკოლის პირველ კლასში. ქართული ანბანი შეასწავლა და სკოლა შეაყვარა პირველმა პედაგოგმა, წყალტუბოელმა ქალბატონმა ლეონინა არჯევანიძემ. სკოლის გამგე-მასწავლებელი იყო ხიხაძირის მკვიდრი, ხულოს პედსასწავლებელდამთავრებული ილია მიქელაძე.

ი. დუმბაძემ 1949 წელს დაამთავრა დაწყებითი სკოლა და სწავლა განაგრძო თხილვანის 8-წლიანი სკოლის V კლასში, სადაც ქვედა თხილვანის, ბაკოსა და მთისუბნის დაწყებითი სკოლებიდან მოსული 43 მოსწავლე უსხდა მერხს.

1953 წელს დაამთავრა მერვე კლასი და სექტემბრიდან, 3 თანაკლასელთან ერთად, სწავლა განაგრძო ხიხაძირის საშუალო სკოლის IX კლასში, ცხოვრობდნენ სასკოლო ინტერნატში. სკოლის დირექტორი იყო დიმიტრი ხოზრევანიძე, სასწავლო ნაწილის გამგე კი – ჯერ ალექსანდრე მიქელაძე, ხოლო შემდეგ ომის ვეტერანი, აჭარის დამსახურებული მასწავლებელი სკენდერ ბაჯელიძე. ხიხაძირის სკოლაში სერგო დუმბაძემ კარგი განათლება მიიღო. სკოლის დამთავრებისთანავე, 1956 წელს, სკოლის ყველა კურსდამთავრებული მოეწყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, მათ შორის, სერგო – ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. **არჩეული იყო ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო სწვლების თავმჯდომარედ,** იყო აქტიური საზოგადოებრივ საქმიანობაში, სწავლის ფრიადოსანი, რისთვისაც დაენიშნა ნ. ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია.

1961 წელს წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და მიენიჭა ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

1961 წლის 20 ივლისს სერგო დუმბაძე დაინიშნა ხულოს რაიონის ქვედა თხილვანის 7-წლიანი სკოლის დირექტორად და ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებლად, რაც გამონაკლისი იყო ახალდამთავრებული, გამოუცდელი პედაგოგისთვის. ის მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ საპატიო მოვალეობის შესრულებას. ძალიან მოკლე დროში – ერთ თვეში, სოფლის აქტივის ერთსულოვანი მონაწილეობით, კოლმეურნეობის მესვეურების მხარდაჭერითა და რაიონის ხელ-

მძღვანელების – არჩილ ბოლქვაძისა და ლევან გაბაიძის ყურადღებით სკოლის არსებულ შენობას შემატა ოთხი ოთახი და აღჭურვა ისინი ახალი სასკოლო ინვენტარით.

დირექტორის წინადადებით, სკოლაში ჩამოყალიბდა მოსწავლეთა მხატვრული წრე (გუნდი), რომელსაც ხელმძღვანელობდა სასწავლო ნაწილის გამგე, ქალბატონი ვენერა უჩანეიშვილი. სკოლის წლიური გეგმით დაისახა სხვა მრავალი ღონისძიება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა უბანზე, მაგრამ საგანგებო სიტუაციების გამო, სერგო დუმბაძე იმავე წლის 23 ნოემბერს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში და დაგეგმილი ღონისძიებების მომზადება-განხორციელება არ დასცალდა. 1963 წლის ბოლოს, სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ ოფიცრის ჩინით დაბრუნდა სამშობლოში და 1964 წლის იანვრიდან მუშაობა დაიწყო თხილვანის საშუალო სკოლაში ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის მა-სწავლებლად.

1967 წელს სერგო დუმბაძე დაინიშნა სკოლის დირექტორად, სასწავლო ნაწილის გამგედ კი – ვენერა უჩანეიშვილი. პედაგოგები იყვნენ და ასწავლიდნენ საგნებს: ლამარა ჯაიანი – ქართულ ენასა და ლიტერატურას, სოლომონ თურაძე, ალექსანდრე დუაძე – მათემატიკას, გივი გაბაიძე – ფიზიკას, ჯემალ ცეცხლაძე – გერმანულ ენას, აკაკი ქამაშიძე (ორგანიზატორი) – გეოგრაფიას, იაშა ჯაიანი, მურმან კირთაძე – რუსულ ენასა და ლიტერატურას, ბესარიონ გაბაიძე – ფიზკულტურას. დაწყებით კლასებს ასწავლიდნენ ლამარა აბულაძე, მახმუდ ბოლქვაძე, ნადია ბოლქვაძე და ნაზიკო ჯაიანი.

სერგო დუმბაძის დირექტორობის დროს მეტი ყურადღება გამახვილდა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე, ამაღლდა სკოლაში საშემსრულებლო დისციპლინა, მეტი დრო დაეთმო კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას, საგნობრივ წრეებში ჩაბმას.

1970 წლის 8 იანვრიდან სერგო დუმბაძე სამუშაოდ გადავიდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამის შემდეგ თხილვანის სკოლის დირექტორად დაინიშნა ვახტანგ აბულაძე.

ვახტანგ აბულაძე
(1939-2016)

ვახტანგ აბულაძე დაიბადა 1939 წლის 14 ივლისს, ხულოს რაიონის სოფელ ზემო ვაშლოვანში.

1954 წელს დაამთავრა ზემო ვაშლოვანის რვაწლიანი სკოლა, 1958 წელს – ხულოს სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი. 1959-1964

წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1964 წლიდან, მუშაობდა მეკეიძეების, ირემაძეების და ვაშლოვანის რვაწლიან და ოქტომბრის საშუალო სკოლებში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად.

1968 წელს აჭარის განათლების მინისტრის ბრძანებით ვახტანგ აბულაძე დაინიშნა თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორად.

ვახტანგ აბულაძის სკოლის დირექტორად მუშაობის პერიოდში ამაღლდა საშემსრულებლო დისციპლინა, სასწავლო-აღმზრდელობითი, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, სკოლის მოსწავლეთა თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივი (ხელმძღვანელი ი. აბულაძე) მონაწილეობდა რაიონულ და შემდეგ საოლქო დათვალიერებებზე.

1970 წელს ვახტანგ აბულაძე ხულოს რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად დააწინაურეს, ხოლო თხილვანის საშუალო სკოლაში დირექტორად დანიშნეს ალექსანდრე მამულაძე (მეორედ).

ვახტანგ აბულაძე წლების განმავლობაში მუშაობდა აჭარის სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის ხულოს რაიონული განყოფილების უფროსად, საიდანაც გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

სახალხო განათლების სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის ვახტანგ აბულაძე დაჯილდოებული იყო სიგელებით, დიპლომებით. მინიჭებული ჰქონდა მეთოდისტი მასწავლებლის წოდება.

ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას, გამოსცა რამდენიმე წიგნი.

ვახტანგ აბულაძეს ჰყავდა მეუღლე, სამი შვილი და 7 შვილიშვილი. გარდაიცვალა 2016 წლის აპრილში.

თეიმურაზ ბოლქვაძე
(1941-2015)

თეიმურაზ ბოლქვაძე დაიბადა 1941 წელს ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში მრავალშვილიან ოჯახში. მამა – ისკენდერი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში, მაგრამ სრულიად უდანაშაულოდ ის და მისი ოჯახი 1951 წელს გადაასახლეს შუა აზიაში.

თეიმურაზ ბოლქვაძემ სწავლა თხილვანის რვაწლიან სკოლაში დაიწყო, მაგრამ მეორე კლასის დამთავრება ვერ მოასწრო ოჯახის გადასახლების გამო. ორი წელი ისწავლა უზბეკეთში, 1953 წელს მათი ოჯახი გადასახლებიდან თხილვანაში დაბრუნდა. თეიმურაზი პირველ კლასში იწყებს სწავლას. 1961 წელს 20 წლის ასაკში მან დაამთავრა თხილვანის საშუალო სკოლა.

1965 წელს ჩაირიცხა ქალაქ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელიც 1969 წელს დაამთავრა.

1968 წელს მუშაობა დაიწყო თხილვანის საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1969-1970 წლებში იყო ამ სკოლაში კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. 1970-1976 წლებში იყო დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, ხოლო 1976-1994 წლებში – სკოლის დირექტორი და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

თხილვანის საშუალო სკოლაში 18 წელზე მეტი ხნის მუშაობის მანძილზე, თ. ბოლქვაძემ ავტორიტეტი მოიპოვა მოსწავლე ახალგაზრდობაში, პედაგოგიურ კოლექტივში და სოფლის მოსახლეობაში. მისი დირექტორობის პერიოდში მაღალ დონეზე იდგა სასწავლო დისციპლინა, მასწავლებლები ყოველწლიურად აქტიურად მონაწილეობდნენ „პედაგოგიურ კითხვებში“, სისტემატურად იმაღლებდნენ აკადემიური და მეთოდური ცოდნის დონეს. თ. ბოლქვაძე, როგორც ხელმძღვანელი, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენებას, სასკოლო კაბინეტების ახალი თვალსაჩინო მასალებით გამდიდრებას. მის დროს სკოლაში მოქმედებდა ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფიის და ქართული ენისა და ლიტერატურის **ფასიანი კაბინეტები**. მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საოლქო და რესპუბლიკურ შემოქმედებით კონფერენციებში, რის გამოც თხილვანის საშუალო სკოლა და ისტორია--მხარეთმცოდნეობის წრე (ხელმძღვანელი შოთა ბოლქვაძე) დაჯილდოვდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით.

თ. ბოლქვაძის დირექტორობის დროს გაუმჯობესდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პარალელური კლასების გამო სკოლის შენობას

დაემატა 5 საკლასო ოთახი. 1986 წელს დაიწყო სკოლის ახალი კაპიტალური შენობის აგება, რომელიც გათვალისწინებული იყო 286 მოსწავლეზე, სამწუხაროდ, ქვეყნად არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების გამო, სკოლის მშენებლობა გაჭიანურდა და იგი ექსპლუატაციაში შევიდა მხოლოდ 1996 წელს.

თეიმურაზ ბოლქვაძე პირველი ადგილობრივი უმაღლესგანათლებული კადრი იყო, რომელიც თვრამეტი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სკოლას. მას ყველა აფასებდა. რამდენჯერმე იყო არჩეული ხიხაძირის სასოფლო საბჭოს დეპუტატად. დაჯილდოებული იყო „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, იყო უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, მინიჭებული ჰქონდა მეთოდისტი მასწავლებლის წოდება, დაჯილდოებული იყო საქართველოს და აჭარის განათლების სამინისტროების საპატიო სიგელებით.

თეიმურაზ ბოლქვაძე გარდაიცვალა 2015 წელს.

შოთა ბოლქვაძე
(1951-2015)

სხალთა-ხიხანის გამორჩეული პიროვნებების გვერდით, ნაყოფიერი პედაგოგიური, საზოგადოებრივი მოღვაწეობითა და ოჯახური წარმატებებით, ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა შოთა ბოლქვაძემ. მან ბევრი სიკეთე მოუტანა მხარეს, სოფელს. იგი ისტორიაში შევიდა როგორც კარგი პედაგოგი, ნიჭიერი ხელმძღვანელი-ორგანიზატორი, პუბლიცისტი, კორესპონდენტი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ქართველი.

შოთა ბოლქვაძე დაიბადა 1951 წლის 5 მაისს სოფელ თხილვანაში, სოფელში, სადაც მოღვაწეობდნენ ერისთავთერისთავი აბუსერისძენი.

1958 წელს შევიდა ახლად საშუალოდ გადაკეთებულ თხილვანის სკოლის პირველ კლასში. მისი მასწავლებელი იყო ადგილობრივი მკვიდრი, მახმუდ ბოლქვაძე. ხედავდა მისი ცხოვრების პრინციპებს, მის დარიგებებს ყურადღებით ისმენდა. მასწავლებელი გახდა მისთვის ჩირაღდანი, რომელმაც მომავლის გზა გაუნათა. პირველი კლასიდან გამოირჩეოდა ნიჭით, სწავლობდა ფრიადებზე. ჩვენ, წინამდებარე წიგნის ავტორებს, წი-

ლად გვხვდა მისი პედაგოგობა. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ გამოსვლიდან 800 წლისთავთან დაკავშირებით სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეები ჩავაბით პოემის ზეპირად დასწავლასა და მხატვრულ კითხვაში. დაინტერესებული ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ ტექსტის უფრო დიდი ნაწილის დასწავლით პირველი ადგილი დაისაკუთრა შოთა ბოლქვაძემ. მე-10 კლასის მოსწავლემ კი დაწერა თემა: „ჩემი სოფელი“, რომლითაც მონაწილეობა მიიღო თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მიერ გამართულ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში და პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. 1967 წელს წარმატებით დაამთავრა თხილვანის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ბათუმის სავაჭრო ტექნიკუმში იმ მიზნით, რომ მალე დაიწყებდა შრომით საქმიანობას და აღებული ხელფასით დაეხმარებოდა მამას მრვალრიცხოვანი ოჯახის რჩენაში.

1973 წლის 1 სექტემბრიდან დაინიშნა თხილვანის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად, სადაც დამწყებმა მასწავლებელმა კარგი სახელი დაიმსახურა და მოსწავლეებს თავი შეაყვარა. სწავლების პროცესში ნაყოფიერად იყენებდა თვალსაჩინო-დიდაქტიკურ მასალებს, გაკვეთილებს ხშირად ღია ცის ქვეშ ატარებდა, მოსწავლები მიჰყავდა მხარის საინტერესო და ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად. ნაყოფიერად მუშაობდა ისტორიის საგნობრივი წერ, ახალგაზრდებს უღვივებდა ინტერესს სწავლისადმი, მხარის ისტორიისადმი. მიღწეული წარმატებები კარგი სტიმული იყო როგორც დამწყები პედაგოგისთვის, ისე მოსწავლეებისთვისაც. სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობითა და სოფელში საზოგადოებრივ-კულტურული ხასიათის საქმიანობით შ. ბოლქვაძემ დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა მოსწავლეებში, კოლეგებსა და თანასოფლელებში.

შოთა ბოლქვაძის კარგ მასწავლებლობაზე მიუთითებს ისიც, რომ სამჯერ გაიარა ატესტაცია და სამივეჯერ კომისიამ საუკეთესო დასკვნა მისცა. იგი სკოლების ინსპექტირებისას ყოველთვის წარმატებული იყო. მალე შოთა ბოლქვაძე დააწინაურეს სკოლის დირექტორადიმ დროს, როცა ეკონომიკური სიდუხჭირის გამო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა შეჩერებული იყო და საჭირო იყო მისი დასრულება. სულ მოკლე დროში, აჭარის ხელისუფლებისა და რაიონის ხელმძღვანელთა აქტიური დახმარებით, მან მწყობრში ჩააყენა სკოლის ორსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელიც შეიცავდა 22 საკლასო ოთახს და გათვა-ლისწინებული იყო 196 მოსწავლეზე. 1996 წლის ოქტომბერში, მისი ხელმძღვანელობითა და სკოლის კურსდამთავრებულთა დახმარებით, ჩატარდა სკოლის დაარსებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიება (უფრო ფართოდ - წიგნის მომდევნო ნაწილში).

ხუთი წლის შემდეგ, 2001 წლის მარტიდან შ. ბოლქვაძე დაინიშნა თხილვანის თემის საკრებულოს გამგებლად. იმხანად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრი იყო პროფესორი თეიმურაზ კომახიძე. იგი ბევრს მუშაობდა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიე-

ბების ჩატარებისა და მუზეუმების გასახსნელად. ხიხანის ციხეზე მან გაიყვანა გზა-ბილიკი; ბაკოში, სერიყანაში, სადაც 1815 წლის 3 ივნისს თურქმა ჯალათებმა სელიმ ხიმშიაშვილს თავი მოკვეთეს, თ. კომახიძემ გააკეთა მემორიალური დაფა წარწერით.[1] მოითხოვა მემორიალთან ახლოს მდებარე სოფლის მადაზიის კაპიტალურ შენობაში მუზეუმის გახსნა. რაკი ეს არ მოხერხდა, დაათვალიერა სხვა სოფლებში არსებული მაღაზიების თავისუფალი შენობები და არჩევანი შეაჩერა თხილვანის მაღაზიის კაპიტალურ შენობაზე. ჩატარდა მისი რეკონსტრუქცია-რემონტი და 2001 წელს გაიხსნა ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომლის დირექტორად დაინიშნა

სხალთა-ხიხანის ხეობის თხილვანის ეთნოგრაფიული მუზეუმის გახსნა. მარცხნიდან: მანანა დავითის ასული დუმბაძე, მის უკან - აკაკი ბერიძე, ნოდარ ცეცხლაძე, თეიმურაზ კომახიძე, იზოლდა სურმანიძე, იოსებ ვანაძე. უკანა რიგში: სერგო დუმბაძე, მამია იშხნელიძე, ამირან კიღურაძე, იოსებ ხიმშიაშვილი, შოთა ბოლქვაძე

ისტორიკოსი შოთა ბოლქვაძე. ამის შემდეგ ბატონმა შოთამ დატოვა სკოლის დირექტორის თანამდებობა და ისტორიის მასწავლებლად განაგრძო

[1] სახალხო დღესასწაულის „სელიმობის“ მეათე წლისთავზე ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივითა და დაფინანსებით (გამ-გებელი ბესიკ ბაუჩაძე) კეთილმოეწყო მემორიალის ტერიტორია. გაკეთდა მისასვლელი გზა, დაიგო ასფალტი, გაკეთდა შესასვლელი რკინის კარები, ელექტროგაყვანილობა.

მუშაობა. მან მინისტრის დახმარებით მუზეუმი შეავსო ექსპონატებით და ადგილზე მოსახლეობაში შემონახული საინტერესო სამუშაო თუ სხვა სახის ფასეული ნივთებით.



მუზეუმის დამფუძნებელი მეცენატი, აჭარის კულტურის ყოფილი მინისტრი თეიმურაზ კომახიძე და ნიკოლოზ დუმბაძე

მუზეუმი გადაიქცა კულტურულ-საგანმანთლებლო მუშაობის ცენტრად. მუზეუმს ჰყავს ბევრი დამთვალიერებელი. აქვს შთაბეჭდილებების წიგნი, რომელშიც მუზეუმის დამთვალიერებლები საკუთარ შთაბეჭდილებებს წერენ. ამ მხრივ საინტერესოა კანადის სახელმწიფოს მოქალაქის მაღალი პასუხისმგებელი პირის ჩანაწერი, სადაც აღნიშნულია: „მსოფლიო მოვიარე, მაგრამ ზღვის დონიდან ასეთ სიმაღლეზე (1500 მ - ავტ.) მთაში მუზეუმი არსად შემხვედრია. ეს კი მიუთითებს ქართველი ერის დიდ ისტორიაზე, წარსულისადმი ყურადღებასა და წინაპართა პატივისცემაზე“, – წერს აღფრთოვანებული კანადელი სტუმარი.

შოთა ბოლქვაძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა აქტიური მონაწილეობით 2005 წელს ჩაატარა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მუზეუმის გახსნის 5 და თხილვანის საშუალო სკოლის 90 წლისთავს (ამის შესახებ ფართოდაა საუბარი წიგნის მომდევნო ნაწილში).

შ. ბოლქვაძეზე, მის კარგ კაცობაზე არაერთხელ დაწერილა; თავადაც წერდა წერილებს საინტერესო პიროვნებებზე, მხარის ისტორიაზე. მისი წერილები იბეჭდებოდა გაზეთებში „აჭარა“, „ბათუმელები“, „ხულო“. არის ავტორი წიგნისა „კეთილშობილი ადამიანი“ და წინამდებარე წიგნის ერთ-ერთი თანაავტორი, თუმცა ბოლომდე მუშაობა არ დასცალდა.

შოთა ბოლქვაძე პედაგოგიური, საზოგადოებრივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის დაჯილდოებული იყო მრავალი დიპლომით, აჭარისა და საქართველოს განათლების სამინისტროს სიგელებით, „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, აჭარის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით, ღირსების მედლითა და ღირსების ორდენით. მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის და მეთოდისტი მასწავლებლის წოდება.

შოთა აღიარებული იყო გაჭირვებულზე, დავრდომილ ადამიანებზე ხელის გამართვით, ქველმოქმედებით. ამ მიზნით მას ოჯახში ჰქონდა მინი სავაჭრო ჯიხური, ოჯახის მოთხოვნებსაც აკმაყოფილებდა და მეზობლებსაც ხელს უმართავდა. კაცური კაცი იყო და ლეგენდად დარჩა. დიდი რუდუნებით ემზადებოდა მშობლიური საუკუნოვანი სკოლის საიუბილეო ღონისძიების ჩასატარებლად. მისი თხოვნით, მასთან ერთად დავიწყეთ სკოლის საიუბილეო წიგნზე მუშობა, რისთვისაც მოამზადა სტატისტიკური მასალები, პერსონალის ბიოგრაფიები, მაგრამ 2015 წლის 7 ოქტომბერს მოულოდნელად შეწყდა შოთას გულისცემაცა და წიგნზე მუშაობაც.

შოთა ბოლქვაძის ოჯახის შემადგენლობა. 2015 წლის 5 მაისი

მართალია, შოთა ბოლქვაძე მოულოდნელად წავიდა ამქვეყნიდან, მაგრამ დატოვა სანიმუშო, მრავალრიცხოვანი ოჯახი: მეუღლე - ათი შვილის გამზრდელი გმირი დედა, თამარ (გულიკო) ქამადაძე-ბოლქვაძისა - რწმენით, სისპეტაკით, ნაზი ქალურობით, მშვენიერებით გამორჩეული ქალბატონი, რომელიც არასდროს წუწუნებს გაჭირვებაზე; შოთას და თამარის მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა რვა ქალიშვილი, ორი ვაჟი, ორი შვილიშვილი. ოჯახში ჰყავთ პირუტყვი, ფრინველი; მზადდება კარაქი, ყველი, სხვა პროდუქტი. ქსოვენ, ქარგავენ, კერავენ, არ ივიწყებენ ეროვნულ, ტრადიციულ სტუმარმასპინძლობას... ისტორიულ თხილვანაში ვინც ფეხს შედგამს, ყველა ამ ოჯახს სტუმრობს.

შოთა ბოლქვაძე შვილიშვილ - ანა გაბაიძესთან ერთად

დიდი ილია ჭავჭავაძე ამბობს: „შვილმა უნდა იცოდეს, სად გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა. შვილს გარკვეული უნდა ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში – შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი – ავად. რა უამრთავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თვითონ შვილი, რაც უნდა მხნე და გამრჯე იყოს, უხორთუმო სპილოს ემგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და წუთისოფელში ვერას გახდება.“

შოთა ბოლქვაძის უმცროსი შვილი ლაშა ისტორიის მასწავლებელია თხილვანის საჯარო სკოლაში და პარალელურად მუშაობს სხალთა-ხიხანის ხეობის თხილვანის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორად. ყველას სჯერა, ლაშა წარმატებით გააგრძელებს მამის საქმეს.

შოთა ბოლქვაძე დასაფლავებულია სოფლის ცენტრალურ სასაფლოზე, საუკუნოვანი სკოლის ახლოს.

შოთა ბოლქვაძის შესახებ გულთბილად წერს ცნობილი პედაგოგი და ჟურნალისტი იოსებ ჯორბენაძე წიგნში „აჭარის მთიანეთის ამაგდარნი“.

თენგიზ ბოლქვაძე

თენგიზ ბოლქვაძე დაიბადა 1961 წლის 19 სექტემბერს ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში. მამა – ქაზიმ (ლევან) ბოლქვაძე სოფელში ცნობილი პიროვნება იყო. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თხილვანის კოლმეურნეობას, აქტიურად მონაწილეობდა სოფლის ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობაში. დედა – ემინე, რაქვთელ ბერიძეთა გვარის წარმომადგენელი, მეუღლისა და ოჯახის ერთგული, სამართლიანი და შრომისმოყვარე ქალი იყო.

თენგიზ ბოლქვაძემ 1978 წელს დაამთავრა თხილვანის საშუალო სკოლის სრული კურსი. ერთი წლის შემდეგ იგი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

დემობილიზაციის შემდეგ გააგრძელა შრომითი საქმიანობა. იყო თხილვანის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელი.

1988 წელს თენგიზ ბოლქვაძე, როგორც თადარიგის ოფიცერი, თხილვანის საშუალო სკოლაში დაწყებითი სამხედრო მომზადების ხელმძღვანელად დაინიშნა.

1990-1995 წლებში თ. ბოლქვაძე დაუსწრებლად სწავლობდა ქ. თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიაში, პარალელურად მუშაობდა თხილვანის საშუალო სკოლაში ფიზიკური კულტურის და მე-5-9 კლასებში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

თ. ბოლქვაძის ხელმძღვანელობით ყოველწლიურად ტარდებოდა სასკოლო და ზონალური სპორტული ღონისძიებები. თხილვანის საშუალო სკოლის მოსწავლეები აქტურად მონაწილეობდნენ სპორტულ ღონისძიებებში. არაერთი სპორტული ღონისძიება ჩატარებულა თხილვანის საშუალო სკოლის მოსწავლეებისა და მესაზღვრეთა მონაწილეობით.

1996 წელს თ. ბოლქვაძე დააწინაურეს სკოლის დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღ-მზრდელობითი მუშაობის დარგში. მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით სკოლაში ჩატარდა არაერთი ღონისძიება, გაიზარდა რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში მონაწილე მოსწავლეთა რაიცხვი. 1996 წელს აღინიშნა თხილვანის სკოლის დაარსებიდან 80 წელი. საზეიმო ღონისძიების მომზადებისა და ჩატარების საქმეში აქტიური მონაწილეობისთვის თენგიზ ბოლქვაძე დაჯილდოვდა აჭარის განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით.

1999 წლიდან თენგიზ ბოლქვაძე დაინიშნა თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორად და სკოლას ხელმძღვანელობდა 2011 წლამდე.

დირექტორობის პერიოდში, თენგიზ ბოლქვაძე აგრძელებდა იმ მდიდარ საგანამანათლებლო და კულტურულ ტრადიციებს, რასაც საფუძველი ჩაუყარეს წინამორბედმა დირექტორებმა. ამ საქმეში იგი ყოველთვის გრძნობდა პედაგოგიური კოლექტივის თანადგომასა და მხარდაჭერას.



მამა-შვილი თენგიზ და ზეზვა ბოლქვაძეები

თენგიზ ბოლქვაძის მეუღლე, ქალბატონი მადლენა, ოჯახური ტრადიციების ერთგული, მოსიყვარულე დედა და შრომისმოყვარე ადამიანი იყო. 2004-2011 წლებში მუშაობდა თხილვანის საშუალო სკოლაში ბიბლიოთეკარად, მოსწავლე ახალგაზრდობას უნერგავდა წიგნისა და სწავლის სიყვარულს. იგი 2011 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ თენგიზ ბოლქვაძე საცხოვრებლად გადამოვიდა ქალაქ ბათუმში და გვერდში ამოუდგა დედით ობოლ სამ შვილს, რათა მათ მიეღოთ შესაბამისი განათლება.

ზეზვამ დაამთავრა ქალაქ სტამბოლის მარმარის უნივერსიტეტი. მუშაობდა ქალაქ ბათუმში ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიაში. სამწუხაროდ, ის დაქორწინებიდან სულ მოკლე დროში ტრაგიკულად დაიღუპა, რითაც უდიდესი ტკივილი დაუტოვა ოჯახს... ლევანი მეზღვაურია, დაამთავრა ქალაქ ბათუმის საზღვაო სასწავლებელი, ეწევა ბიზნესსაქმიანობას. ნიგარი ფარმაცევტია, მუშაობს სპეციალობით.

ედვარდ ბოლქვაძე

ედვარდ ბოლქვაძე დაიბადა 1976 წლის 26 იანვარს, სოფელ თხილვანაში, მრავალშვილიან ოჯახში.

1982 წელს შევიდა და 1992 წელს დაამთავრა მშობლიური თხილვანის საშუალო სკოლა, ხოლო 2005 წელს – ბათუმის დამოუკიდებელი პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტი.

1992 წლიდან მუშაობა დაიწყო მათემატიკის მასწავლებლად თხილვანის საშუალო სკოლაში.

1995-1997 წლებში მსახურობდა ჯარში, სასაზღვრო ნაწილში.

2012 წლიდან ედვარდ ბოლქვაძე ინიშნება თხილვანის საჯარო სკოლის დირექტორად და მათემატიკის მასწავლებლად.

მისი ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ქვეყანაში მიმდინარეობდა სასკოლო რეფორმა, რაც გულისხმობს სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლების რეფორმის ჩარჩოებში მოქცევას და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვას. სკოლაში ფართოდ ინერგება კომპიუტერული სწავლება. მასწავლებლებს უხდებათ ახალი პროგარმებისა და რეკომენდაციების მიხედვით მუშაობა. სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს მასწავლებლების სერტიფიცირებას და ტრენინგებზე სწავლების კურსის გავლას.

განსაკუთრებით შრომატევადი მუშაობა მოუხდა ედვარდ ბოლქვაძეს სკოლის დაარსების 100 წლისთავის იუბილესა და საამისოდ სკოლის შენობის რემონტის ჩატარებისათვის. საჭირო გახდა პედკოლექტივის დარაზმვა სკოლის წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად. მასვე მოუწია სკოლის ყოფილი მოსწავლეების აქტიურად ჩაბმა წინასაიუბილეო სამზადისში, იუბილეს მაღალორგანიზებულად და შინაარსიანად ჩასატარებისათვის.

ედვარდ ბოლქვაძე ახალგაზრდა ოჯახის პატრონია, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

გ) სასწავლო ნაწილის გამგეები

1. თინა კუკულაძე
2. ნაზი ხარაზი
3. ასლან მიქელაძე
4. ვენერა უჩანეიშვილი
5. თეიმურაზ ბოლქვაძე
6. აკაკი ქამაშიძე
7. შოთა ქამაშიძე

დ) ორგანიზატორები

1. ომარ დიასამიძე საწ. ნაწ. დარგში
2. ბეჟან ცეცხლაძე საწ. ნაწ. დარგში
3. აკაკი ქამაშიძე
4. მახმუდ ბოლქვაძე
5. ნოშრევან ცეცხლაძე
6. არჩილ დუმბაძე
7. თენგიზ ბოლქვაძე

8. შოთა ბოლქვაძე
9. შოთა გაბაიძე
10. შოთა ბოლქვაძე
11. ბადრი აბულაძე
12. თენგიზ ბოლქვაძე

8. გულვარდი ბოლქვაძე

ძმები ნოშრევან და ბეჟან ცეცხლაძეები

სხალთა-ხიხანის ხეობის ინტელიგენციის რიგებს ეკუთვნიან სოფელ სკვანაში დაბადებული და აღზრდილი ძმები ნოშრევან და ბეჟან ცეცხლაძეებიძ ორივემ დაამთავრა სკვანის დაწყებითიბ ხიხაძირის საშუალო სკოლაბ შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტი და შეუდგნენ პედაგოგიურ საქმიანობას თავიანთი სპეციალობითძ ნოშრევანმა 60 წელიბ ხოლო ბეჟანმა 55 წელი ემსახურა მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს არაერთ სკოლაშიძ ორივე სხვადასხვა დროს მუშაობდა თხილვანის საშუალო სკოლაში თავიანთი სპეციალობითძ ბეჟანი 1961-63 წლებში მუშაობდა თხილვანის საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ საწარმოო სწავლების დარგშიბ რის შემდეგ მუშაობს მშობლიური სოფლის საჯარო სკოლაშიბ მეუღლე თამართან ერთადძ ნოშრევანი წლების მანძილზე იყო თხილვანის საშუალო სკოლის ორგანიზატორი კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგშიძ ბოლო წლებში პენსიაში გავიდა სკვანის საჯარო სკოლიდანძ

ორივეს ყავთ ოჯახებიბ შვილები და შვილისშვილებიძ

მათ შესახებ საუბარია წიგნის ტექსტში სხვადასხვა ადგილას. ამიტომ აქ აღარ განვმეორდით.

§3. სკოლაში მოვლინებული პედაგოგები

1. მიხეილ მიქელაძე,
გუგული კვაჭანტირაძე
2. არჩილ იშხნელიძე
3. ნაზი ხარაზი, ფატი ხარაზი
4. გივი თოდრია
5. ნადიმ გათენაძე, მაყვალა კეშელავა
6. დავით ღლონტი
7. ვაჟა დოლიძე
17. იაშა ჯაიანი
18. იოსენ ხალვაში
19. გივი გაბაიძე
20. ლევან კურცხალიძე
21. ჯემალ ცეცხლაძე
22. ეგნატე დუმბაძე,
ელისაბედ მაჭავარიანი
24. შალვა გაბაიძე

8. ალექსანდრე თოფუზის ძე გაბაიძე
9. ლუდოვიკო ერქომაიშვილი
10. ვაჟა ბოჭორიშვილი
11. დიმიტრი ანთაძე
12. იუზა ზენაიშვილი და
მერი გოგიშვილი
13. გულვარდი ბერიძე
14. ლამარა ჯაიანი
15. ომარ დიასამიძე
16. ნანული დუაძე
25. ბესარიონ გაბაიძე
26. შოთა ხემიდის ძე გაბაიძე
27. შოთა ჯებრაილის ძე გაბაიძე
28. ნოდარ მიქელაძე
29. ალექსანდრე ხალვაში
30. ალექსანდრე აბდულის ძე გაბაიძე
31. რევაზ წულუკიძე
32. მიხეილ ქამადაძე, ვარდო გაბაიძე

მიხეილ მიქელაძე (1916-1995) და გუგული კვაჭანტირაძე (1922-2012)

მიხეილ მიქელაძე დაიბადა 1916 წლის 7 იანვარს შუახევის რაიონის სოფელ ნენიაში. რვაწლიანი განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო ხულოს პედაგოგიურ სასწავლებელში, დაამთავრა ბათუმის ორწლიანი სასწავლებლო ინსტიტუტი, ხოლო 1952 წელს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის სპეციალობის დაუსწრებელი განყოფილება.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1936 წელს ნენიის რვაწლიან სკოლაში ისტორიის მასწავლებლად, 1942-1947 წლებში იყო ამავე სკოლის დირექტორი.

1940 წელს მიხეილ მიქელაძემ შექმნა ოჯახი. მეუღლე – გუგული კვაჭანტირაძე დაიბადა 1922 წლის 22 თებერვალს ოზურგეთის რაიონის სო-

ფელ ოქროსქედში, პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ნენიის საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად.

1947 წელს მიხეილ მიქელაძე მეუღლესთან ერთად სამუშაოდ გადაიყვანეს ხულოს რაიონის თხილვანის რვაწლიან სკოლაში, სადაც 1949 წლამდე მუშაობდნენ, მიხეილი ასწავლიდა ისტორიას, გუგული კი – დაწყებით კლასებს.

1949 წელს მიხეილ მიქელაძე, მეუღლესთან ერთად, უბრუნდება მშობლიური სოფლის – ნენიის საშუალო სკოლას. 1952-1956 წლებში იგი მუშაობდა ნენიის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ.

მიხეილ მიქელაძეს და გუგული კვაჭანტირაძეს დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ მშრომელ მოსახლეობაში და აჭარის პედაგოგიურ საზოგადოებაში. ღირსეულად დაფასდა მათი შრომაც: მიხეილ მიქელაძეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 9 მაისის, ხოლო გუგული კვაჭანტირაძეს – 1973 წლის 11 იანვრის ბრძანებებულებით მიენიჭათ აჭარის ასსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. გარდა ამისა, დაჯილდოებული იყვნენ მედლებით, სამკერდე სამახსოვრო ნიშნებით და სიგელებით.

მიხეილ მიქელაძე გარდაიცვალა 1995 წელს, გუგული კვაჭანტირაძე კი – 2012 წელს.

არჩილ იშხნელიძე

არჩილ იშხნელიძე განეკუთვნება იმ პედაგოგთა რიგებს, რომელებმაც ჯერ კიდევ საშუალო განათლებით დაიწყეს პედაგოგოგიური მოღვაწეობა. შემდეგ მიიღო უმაღლესი განათლება, ნაყოფიერად იღვაწა პედაგოგიურ ასპარეზზე და მოიპოვა საყოველთაო აღიარება და პატივისცემა.

დიაბადა 1928 წელს ხულოს რაიონის ისტორიულ სოფელ ხიხაძირში, გამრჯე და სახელოვანი მეურნის ბათალ იშხნელიძისა და აინი მიქელაძის ოჯახში. 1947-49 წლებში იმუშავა ჯერ კალოთის, შემდეგ თხილვანის სკოლებში დაწყებითი კლასების მასწავლებლად, იმ სკოლაში, სადაც 1916-1917 წლებში პირველად აჟღერდა ქართული ანბანი, რასაც სხვებთან ერთად

ეზიარა მისი მამა – ბათალ იშხნელიძე. რამდენიმე წელი შეთავსებით იმუშავა ბაკოს დაწყებით სკოლაშიც.

1949 წელს გამოცდები ჩააბარა და გახდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი. ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ იგი დაინიშნა ხულოს რაიონის ვერნების სკოლაის დირექტორად. აქ მუშაობის პერიოდში გაიცნო და ცოლად შეირთო ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი – ანა ვიქტორის ასული ალფაიძე. სამი წლის მუშაობის შემდეგ იგი გადაიყვანეს კალოთის რვაწლიანი სკოლის დირექტორად.

1959 წელს ხიხაძირის საშუალო სკოლის დირექტორი დიმიტრი ხოზრევანიძე გადაიყვანეს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების ინსტრუქტორად, ხიხაძირის სკოლის დირექტორად კი დაინიშნა არჩილ იშხნელიძე. იგი შვიდი წელიწადი უნარიანად უძღვებოა ამ ტრადიციულ სკოლას და შეუნარჩუნა მოწინავეობა და შემდგომაც მიაღწია ახალ წარმატებებს. მან ერთ მუშტად შეკრა პედაგოგიური კოლექტივი და მასწავლებლები დარაზმა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებისათვის, მოსწავლეებში მაღალი აკადემიური წარმატებების მიღწევისათვის. მაღალ დონეზე დააყენა კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდე-ლობითი მუშაობა, მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედება, რის შედეგადაც სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი წარმატებით გამოდიოდა რაიონულ და საოლქო დათვალიერებებზე.

1966 წელს არჩილ იშხნელიძე გადმოიყვანეს აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად, კურირებდა განათლების დარგს. მან სწრაფად აუღო ალღო ახალ სამუშაოს, გამოიყენა თავისი მდიდარი გამოცდილება და მოიხვეჭა კომპეტენტური მუშაკის სახელი. იგი ხელს უწყობდა სკოლებს მუშაობაში, ეხმარებოდა ახალგაზრდებს უმაღლესი განათლების მიღებაში.

1978 წლიდან ა. იშხნელიძე დაინიშნა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორად. აქ მას მოუხდა ისეთ კოლექტივთან მუშაობა, სადაც მანამდე მოღვაწეობ-დნენ დამსახურებული დირექტორები: დავით მახარაძე, მევლუდ თურმანიძე, გივი ჯაში, მედეა ტარიელაძე და სხვები. ბატონი არჩილი ყველას მიმართ იჩენდა ტაქტიანობას, კომუნიკაბელობას და ამასთან, მოხერხებულად იყენებდა მათ ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას. იგი წარმატებით ხელმძღვანელობდა აჭარისა და გურიის პედაგოგების დახელოვნებას, რეგულარულად აწყობდა „პედაგოგიურ კითხვებს“, სადაც ისმენდნენ გამოცდილი პედაგოგების მოსხენებებს და ახდენდნენ მათი მოწინავე გამოცდილების განზოგადებას, ახალი მეთოდების დანერგვას.

თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობით ბატონმა არჩილმა მოიპოვა პედაგოგების, განათლების ორგანოების აღიარება და პატივისცემა, რაც აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით. მიენიჭებული აქვს აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, დაჯილდოვებულია „ღირსების ორდენით“, ასევე მედლებით, საპატიო სიგელებითა და დიპლომებით.

გულსატკენია, რომ ორი წლის წინათ გარდაიცვალა არჩილ იშხნელიძის სათნო და გულკეთილი მეუღლე, აჭარისა და საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ანა ალფაიძე.

ჰყავს ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი, ღირსებითა და სახელით შემკული შვილიშვილები, რომლებიც ყურადღებას არ აკლებენ ოჯახის მეთაურსა და ამაგდარ პედაგოგს.

დები ნაზი (1932-1999) და ფატი ხარაზები (1932-1997)

ქობულეთის რაიონში ხარაზთა გვარი ოდითგანვე აღიარებულია. ეს გვარი ასახელა ბევრმა მისმა წარმომადგენელმა, უპირველესად, სერგო და მამია ხარაზებმა, რომლებიც ცნობილნი არიან ხალხის, ქვეყნის საკეთილდღეოდ გაწეული საქმიანობით.

ხარაზთა გვარის ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ მემედ ხარაზის ქალიშვილები – ნაზი და ფატი ხარაზები. ისინი ტყუპისცალები იყ-

ვნენ და ბავშვობიდანვე გამოირჩეოდნენ ნიჭიერებით, თავაზიანობით და სწავლისადმი დიდი ინტერესით.

საშუალო განათლების მიღების შემდეგ ნაზი და ფატი ხარაზები 1947 წელს ჩარიცხნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ნაზი – გეოგრაფიის, ფატი კი – ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტებზე. 1951 წელს მათ ინსტიტუტი დაამთავრეს წარმატებით და იმავე წლის 20 აგვისტოდან მუშაობა დაიწყეს თხილვანის რვაწლიან სკოლაში. ამ დროისთვის სკოლის დირექტორი იყო გამოცდილი პედაგოგი თინა კუკულაძე. სკოლის დირექტორმა კეთილად მიიღო ახალგაზრდა პედაგოგები, შეურჩია საცხოვრებელი ბინა. ამასთან, ნაზი დაინიშნა სასწავლო ნაწილის გამგედ და გეოგრაფიის მასწავლებლად, ფატი კი – ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლად და მეშვიდე კლასის ხელმძღვანელად.

ნაზი ხარაზი რიგიანად გაუძღვა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას. ამასთან, მაღალ აკადემიურ დონეზე ატარებდა გაკვეთილებს და კარგად ასწავლიდა ბავშვებს გეოგრაფიას. იყო მომთხოვნი და პრინციპული პედაგოგი, რითაც აღწევდა მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მოსწრებას. მეორე წელს ნაზი ხარაზი ცოლად შეირთო ამ სკოლის ახალდანიშნულმა, პირველმა უმაღლესდამთავრებულმა თხილვანელმა პედაგოგმა ხასან მამულაძემ და ერთად გააგრძელეს პედაგოგიური მოღვაწეობა.

თბილი, ბავშვების მოსიყვარულე და ტაქტიანი მასწავლებელი იყო ფატი ხარაზი. მან თავისი გაკვეთილებით თავი შეაყვარა როგორც მოსწავლეებს, ასევე პედკოლექტივს. იგი ნიჭიერ მოსწავლეებს იწვევდა მხატვრულ წრეებში, ათამაშებდა მათ სკეტჩებში, პიესებში, მართავდა კონცერტებს სკოლისა და სოფლის კლუბში, რითაც მოიხვეჭა ყველას სიყვარული და პატივისცემა.

ფატი ხარაზმა ორ სასწავლო წელს იმუშავა თხილვანაში და დამსახურებული ავტორიტეტით გადავიდა ქ. ბათუმში. იღვაწა ბაგა-ბაღებში აღმზრდელად, შექმნა ოჯახი პედაგოგ ადემ ფარტენაძესთან ერთად, შეეძინათ ერთი ქალიშვილი. გარდაიცვალა იგი 1997 წელს.

ქალბატონმა ნაზი ხარაზმა და მისმა მეუღლემ – ხასან მამულაძემ 1960 წლამდე იმაუშავეს თხილვანის საშუალო სკოლაში და შემდეგ საცხოვრებლად გადავიდნენ ქ. ბათუმში, აღზარდეს სამი შვილი, მოესწრნენ მათ დაოჯახებას, მაგრამ გადაიტანეს დიდი სიმწარეც – ცოლშვილიანი ვაჟის, არჩილის, ტრაგიკული გარდაცვალების გამო.

გივი თოდრია

კაცურ კაცს ეძებ,
გშვენის დიმილი წრფელი, ალალი
და საუბარი დინჯი და ბრძნული,
გული გაქვს წმინდა, როგორც ცვარ-ნამი
და ლაჟვარდივით სპეტაკი სული.

ბორის მეტრეველი
(„ამაგდარი“)



გივი თოდრია პედაგოგთა იმ რიცხვს განეკუთვნება, რომელმაც არაერთი სახელოვანი კადრი აღუზარდა სამშობლოს და თავადაც სახელოვნად და გამორჩეულად იცხოვრა.

იგი დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ იანეულში, მრავალშვილიან ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ წარმატებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და განაწილებით ხულოს რაიონის თხილვანის რვაწლიან სკოლაში დაიწყო მუშაობა.

აქედან იგი ხიხაძირის საშუალო სკოლაში გადაიყვანეს. მის პროფესიულ დაოსტატებას ხელი შეუწყვეს იქაურმა შესანიშნავმა მასწავლებლებმა, დირექტორის, გამოცდილი ორგანიზატორის, აჭარის დამსახურებული მასწავლებლის – დიმიტრი ხოზრევანიძის თავკაცობით. პედაგოგიური კოლექტივის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად, ძირეული გარდატეხა მოხდა მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში, რამაც სკოლა მოწინავეთა რიგებში ჩააყენა არა მხოლოდ რაიონში, არამედ რესპუბლიკაშიც და ამაში დიდი იყო გივი თოდრიას და მის მიერ ჩატარებული მათემატიკის გაკვეთილების წვლილი. იგი საფუძვლიანად ამზადებდა კურსდამთავრებულებს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად და მისი დამსახურებაცაა, რომ ამ სკოლაში მუშაობის დროს 12-მა კურსდამთავრებულმა სასწავლებელი ოქროსა და ვერცხლის მედლებზე დაამთავრა.

1957 წელს დახელოვნებული და გამოცდილი პედაგოგი ჯერ ღორჯომის საშუალო სკოლაში გადაიყვანეს, შემდეგ კი ქობულეთის №1 საშუა-

ლო სკოლაში, სადაც ჩვეული მონდომებით იმუშავა და მოიპოვა მაღალი ავტორიტეტი.

როგორც გამოცდილ მასწავლებელს, მას იმხანად დიდ საპასუხისმგებლო უბანზე – ბათუმის №2 სკოლა-ინტერნატში იწვევენ, სადაც ფიზიკის მასწავლებლად 30 წელზე მეტხანს იმუშავა და აქაც საუკეთესო მასწავლებლის სახელი მოიხვეჭა. იგი ხშირად გამოდიოდა საინტერესო მოხსენებებით სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანების სხდომებზე, „პედაგოგიურ კითხვებზე“, აქვეყნებდა მეთოდური ხასიათის სტატიებს, რითაც დიდად ეხმარებოდა ახალბედა პედაგოგებს.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის გივი თოდრიას მინიჭებული აქვს აჭარის დამსახურებული მასწავლებლის, უმაღლესი კატეგორიის მეთოდისტი მასწავლებლის საპატიო წოდებები, დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებითა და სხვა ჯილდოებით.

გივი თოდრიას შესანიშნავი ოჯახი აქვს. ქალბატონ ლამარასთან ერთად, აღზარდა ორი ვაჟი – უფროსი გიორგი, ამჟამად კომპიუტერების ცენტრ „მზიურის“ დირექტორია, უმცროსი – თემური, წლების განმავლობაში სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში იღვწის.

გივი თოდრია ოთხი შვილიშვილის ბაბუაა, რომელთაგან უფროსმა, თორნიკემ, დაამთავრა თბილისის ქართულ-ამერიკული აკადემია და ამერიკაში, ნიუ-იორკის ვესპოინტის აკადემიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობს კომპანია “ბიპი“-ში.

ჩვენ, გივი თოდრიას ყოფილი მოსწავლეები, ვემადლიერებით ამაგდარ მასწავლებელს, რომელსაც 88 წელი შეუსრულდა. უკვე თავად შეჭაღარავებულებს, გვახსოვს მისი ბრწყინვალე გაკვეთილები, მამაშვილური რჩევა-დარიგებანი და ვიცით, რომ ვერასოდეს გადავიხდით მის დიდ ამაგს.

კვლავაც დიდხანს გვენახოთ ასე მხნედ, გივი მასწავლებელო!

ნადიმ გათენაძე (1926-2010) და მაყვალა კეშელავა (1929-2010)

ნადიმ გათენაძე დიაბადა 1926 წლის 14 აგვისტოს ქედის რაიონის სოფელ კვაშტაში. ქედის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც 1950 წელს დაამთავრა და მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის ტუნაძეების რვაწლიან სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებად. 1952-1953 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის ცხმორისის რვაწლიან სკოლაში, 1953-1961 წლებში – ხულოს რაიონის თხილვანის საშუალო სკოლაში, ხოლო 1961-1965 წლებში – ქედის რაიონის მახუნცეთის სკოლა-ინტერნატში აღმზრდელად და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1965 წლიდან გარდაცვალე-

ბამდე მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად.



1981 წელს აირჩიეს იგი ხელვაჩაურის რაიონის განათლების უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარედ.

ნ. გათენაძე დაჯილდოებული იყო მედლითა და „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით.

ჰყავდა მეუღლე – მაყვალა კეშელავა.

მაყვალა სიმონის ასული კეშელავა დაიბადა 1929 წლის 15 იანვარს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ წიფლნარში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის ქალთა პედაგოგიურ სასწავლებელში.

1954 წლის აგვისტოში დაინიშნა სოფელ თხილვანის ჯერ 8-წლიანი სკოლის, ხოლო შემდეგ – საშუალო სკოლის მასწავლებლად.

1965 წელს გადმოიყვანეს ურეხის საშუალო სკოლის მასწავლებლად.

1966-1993 წლებში მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის ჩაისუბნის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად, საიდანაც გავიდა პენსიაზე.

გამოირჩეოდა დიდი გულისხმიერებით და წარმატებით ასრულებდა მინდობილ საქმეს.

მეუღლესთან ერთად აღზარდა სამი ვაჟი: თემური, თენგიზი და ჯამბული.

დავით ღლონტი (1918-1980)



დავით ღლონტი დაიბადა 1918 წლის 18 ნოემბერს. დაამთავრა ნინოშვილის შვიდწლიანი და ლესის საშუალო სკოლა. 1939 წლის სექტემბრიდან სწავლა დაიწყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, მაგრამ დეკემბერში გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. იბრძოდა სამამულო ომის სხვადასხვა ფრონტზე. მიღებული ჰქონდა მედლები, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენი.

1946 წლის ივლისში დავით ღლონტი დაბრუნდა დიდი სამამულო ომიდან და იმავე წელს სწავლა განაგრძო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1950 წელს დაამთავრა და განაწილებით მუშაობა დაიწყო ხიხაძირის საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად. სწორედ ხიხაძირის საშუალო სკოლაში მუშაობის დროს გაიცნო დავით ღლონტმა თანარაიონელი, თხილვანის რვაწლიანი სკოლის დირექტორი თინა კუკულაძე, მოეწონა და თავისი გულისნადებიც გაუმხილა, მალე თანხმობაც მიიღო და ასე შეიქმნა „გურული ოჯახი“ ხიხაძირის ხეობაში. ნინოშვილში 1954 წლის სექტემბერში ჩატარებული ქორწილი თხილვანაში მახმუდ ბოლქვაძის ოჯახში გაგრძელდა. ახალშეუღლებულ ოჯახს ბედნიერებას ულოცავდნენ ორი სკოლის – ხიხაძირისა და თხილვანის პედაგოგიური კოლექტივები. დავით ღლონტი თხილვანის საშუალო სკოლაში გადავიდა სამუშაოდ, მოსახლეობაც გვერდით ამოუდგა პედაგოგების ოჯახს.

მალე ქალიშვილი – მადონა შეეძინათ. მახმუდის მეუღლე ნიგარი საკუთარი შვილივით ზრდიდა პატარას, რათა სკოლის დირექტორს ხელი არ შეშლოდა სასკოლო მუშაობაში.

რატომ არაფერს ამბობთ მათ გარდაცვალებაზე? თინა ხომ ამ ორი წლის წინ გარდაიცვალა.

ვაჟა დოლიძე (1932-2013)

ქალაქ ბათუმის ქუჩებს ამშვენებდა ახოვანი, ამაყი შეხედულების, თმასა და ულვაშებში ჭაღარაგარეული, ცნობილი პედაგოგი ვაჟა დოლიძე.



დაიბადა იგი ჩოხატაურის რაიონის სოფელ განახლებაში. აქვე მიიღო საშუალო განათლება. 1952 წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ახალგაზრდა კურსდამთავრებული ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში ეზიარა პროფესიის მადლს. ხუთი წელი იმუშავა მან აქ და შესანიშნავი სახელი და ავტორიტეტი მოიხვეჭა სოფლის მოსახლეობაში. ეს წლები პროფესიული დავაჟკაცებისა და ყველაზე ტკბილი მოსაგონარი წლებია ბატონი ვაჟას შრომით ბიოგრაფიაში. მცოდნე და შრომისმოყვარე პედაგოგმა ბევრ აღსაზრდელს გაუღვივა მათემატიკის სიყვარული. 1996 წელს, თხილვანის სკოლის დაარსებიდან 80 წლისთავის იუბილეზე, სხვა გამორჩეულ სტუმრებს შორის, ვაჟა დოლიძეც მიიწვიეს. დიდად გაიხარეს ერთმანეთის ხილვით მასწავლებელმა და მათმა უკვე თმაშევერცხლილმა მოსწავლეებმა.

1961 წლიდან ვ. დოლიძე ბათუმის 21-ე საშუალო სკოლაში განაგრძობს მათემატიკის მასწავლებლად მუშაობას. პარალელურად, დირექტორის მოადგილეა საწარმოო სწავლების დარგში. 32 წელი ერთგულად და ნამუსიანად ემსახურა ქალაქის მენავთობეთა დაბის მოსახლეობის შვილების სწავლებისა და აღზრდის საქმეს. 1997 წლიდან კი ბათუმის №2 საჯარო სკოლაში გადმოვიდა სამუშაოდ.

ვ. დოლიძე მრავლი წელი ხელმძღვანელობდა ქალაქის მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებას, იყო მათემატიკის სექციის ხელმძღვანელი „პედაგოგიურ კითხვებზე“. მისი მოსწავლეები ყოველთვის წარმატებას აღწევდნენ ოლიმპიადებსა და კონფერენციებზე.

ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობისთვის ვ. დოლიძე დაჯილდოებულია საქართველოს „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, მედლით „შრომითი წარმატებებისათვის“, სიგელებითა და დიპლომებით. სხვადასხვა დროს ატესტაციების შედეგად მინიჭებული აქვს უფროსი მასწავლებლის და მეთოდისტი მასწავლებლის წოდებები, უმაღლესი კატეგორიის პედაგოგის კვალიფიკაცია.

ვ. დოლიძე მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა პედაგოგიურ საზოგადოებაში. გარდაიცვალა იგი 2013 წელს.

ალექსანდრე გაბაიძე (1933-2011)



ალექსანდრე გაბაიძე ხიხაძირიდან ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც საშუალო განათლების მიღების შემდეგ უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და პედაგოგის დიპლომით დაუბრუნდა მშრობლიურ მხარეს, კეთილსინდისიერად, მთელი მოწოდებით იღვაწა მომავალი თაობების სწავლა-აღზრდის სფეროში.

იგი დაიბადა 1933 წელს სოფელ ხიხაძირში, კარგი მეურნის – თოფუზ გაბაიძის ოჯახში. 1952 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1956 წელს.

პირველი პედაგოგიური ნათლობა ალექსანდრე გაბაიძემ მიიღო ხულოს რაიონის ყინჩაურის საშუალო სკოლაში, რომელიც იმ დროს ითვლებოდა მოწინავე სკოლად. მისი დირექტორი იყო ამ რაიონის მკვიდრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ფილოლოგი ზურაბ ჯორბენაძე. შემდეგ სამუშაოდ გადავიდა თხილვანის საშუალო სკოლაში, სადაც იღვაწა ორი სასწავლო წელი ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად. 1959 წელს სამუშაოდ მიიწვიეს თავისი სოფლის, ხიხაძირის საშუალო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად. მალე დაწინაურდა სკოლის დირექტორის მოადგილედ საწარმოო სწავლების დარგში. 1966-1969 წლებში იმუშავა დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში. 1983-1987 წლებში იყო სკოლის დირექტორი, საიდანაც აირჩიეს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. შემდეგ კვლავ დაუბრუნდა პედაგოგიურ სარბიელს.

სადაც კი იმუშავა ალექსანდრე გაბაიძემ, ყველგან გამოავლინა პროფესიონალიზმი, ორგანიზატორული ნიჭი, საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება, სიყვარული ბავშვებისა და პროფესიისადმი.

ალექსანდრე გაბაიძეს ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, მოზარდი თაობის სასწავლო-აღზრდაში მიღწეული წარმატებებისთვის მიენიჭა აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

1993 წელს გავიდა პენსიაზე. გარდაიცვალა იგი 2011 წელს. დაკრძალულია ხიხაძირში.

ლუდოვიკო ერქომაიშვილი (1936-1997)

ლუდოვიკო ერქომაიშვილი დაიბადა 1936 წელს მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედში. მისი ოჯახი გამორჩეოდა მათემატიკური ნიჭით: მამა და ორი ძმა ცნობილი მათემატიკოსები იყვნენ. ბუნებამ ეს მადლი ლუდოვიკოსაც დაანათლა.

ლუდოვიკო ერქომაიშვილი სწავლობდა ბათუმის №24 სკოლაში. პირველი კლასიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა მათემატიკური საგნებისადმი. 1954 წელს მან წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და გახდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი. იყოწარჩინებული, თითით საჩვენებელი სტუდენტი. მისი სურათი მთელი ხუთი წლის განმავლობაში მოწინავე, ფრიადოსან სტუდენტთა საპატიო დაფაზე იყო გამოკრული.

ლუდოვიკო ერქომაიშვილმა 1959 წელს დაამთავრა ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის ღორჯომის საშუალო სკოლაში, შემდეგ იგი გადაიყვანეს ამავე რაიონის თხილვანის საშუალო სკოლაში, სადაც 1962 წლამდე იმუშავა მათემატიკის მასწავლებლად. აქ მან თავი გამოიჩინა თავისი საგნის სწავლებით, ნიჭიერი მოსწავლეები ჩააბა მათემატიკის წრის მუშაობაში და მოამზადა ისინი უმაღლეს სასწავლებლებში ჩასარიცხად. ასე ჩამოყალიბდა იგი მოწინავე, ერუდირებულ მასწავლებლად. 1963 წელს გადაიყვანეს ხიხაძირის საშუალო სკოლაში. აქაც ჩვეული ენერგიითა და მონდომებით განაგრძო მუშაობა. ორი წლის შემდეგ სამუშაოდ მიიწვიეს ბათუმის №2 საშუალო სკოლა-ინტერნატში მათემატიკის მასწავლებლად, სადაც ნაყოფიერად იღვაწა 1997 წლამდე.

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის დაჯილდოებული იყო განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებითა და დიპლომებით.

სამწუხაროდ, ლ. ერქომაიშვილს ადრევე შეერყა ჯანმრთელობა და 1997 წელს, 61 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ შემოქმედში.

დაუვიწყარია ნიჭიერი, თავდადებული პედაგოგის – ლუდოვიკო ერქომაიშვილის ღვაწლი და ამაგი მადლიერი თხილვანის და ხიხაძირის სკოლების კურსთამთავრებულთა და პედაგოგებისთვის.

ვაჟა ბოჭორიშვილი (1934-2009)

ვაჟა ბოჭორიშვილი დაიბადა 1934 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირში. სწავლობდა ბათუმის №1 ვაჟთა საშუალო სკოლაში.

1957 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის თხილვანის საშუალო სკოლაში, სადაც იმათავითვე მიიქცია ყურადღება თავისი ცოდნითა და საქმისადმი ერთგულებით. გაუმართლა კიდევაც: სკოლის დირექტორი იყო სახელოვანი პედაგოგი ლევან გაბაიძე, საცხოვრებლად ბინაში მიიწვია სოფლის უხუცესმა და ავტორიტეტულმა პიროვნებამ, მემედ ბოლქვაძემ, რომლის ოჯახმაც შეუქმნა ცხოვრებისა და მუშაობის ნორმალური პირობები.

ვ. ბოჭორიშვილი შემდგომ წლებში მუშაობდა ქედის რაიონის ოქტომბრის რვაწლიან და პირველი მაისის საშუალო სკოლებში ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად, დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, ქედის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტად, შეთავსებით ქედის საშუალო სკოლაშიც ასწავლიდა.

რამდენიმე წლის შემდეგ გადამოვიდა №1 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილედ და ქალაქის №9 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად. ვაჟა ბოჭორიშვილი მაღალი აკადემიურობით გამორჩეული პედაგოგი იყო. თავისი პროფესიული მოღვაწეობის პერიოდში მან მრავალ მოზარდს აღუძრა ინტერესი მათემატიკური მეცნიერებისადმი, ბევრი მათგანი მის კვალს გაჰყვა.

შემდგომში ვაჟა ბოჭორიშვილს ქალაქის განათლების განყოფილების მეთოდისტად აწინაურებენ. მრავალ ახალბედა პედაგოგს გაუწია დახმარება მან პროფესიული დაოსტატების გზაზე. წარმატებული საქმიანობისთვის გადაიყვანეს ჯერ ქალაქის განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ, შემდეგ იყო განათლების განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი.

ვაჟა ბოჭორიშვილი იყო შესანიშნავი სკოლათმცოდნე და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მუშაკი, რომელიც საქმის ცოდნით ასრულებდა დაკისრებულ

მოვალეობას. თავის დახელოვნებაში იგი დიდად ემადლიერებოდა განათლების დარგის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ბატონ ზურაბ კომახიძეს.

1994 წელს ვაჟა ბოჭორიშვილი დაინიშნა ქ. ბათუმის მერის მრჩევლად. სიცოცხლის ბოლომდე იყო მერიის საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

ვაჟა ბოჭორიშვილი იყო მაღალი ზნეობის ადამიანი, კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე და თავმდაბალი. კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა პედაგოგიურ საზოგადოებაში.

ნაყოფიერი პედაგოგიურ-ორგანიზატორული საქმიანობისთვის ვ. ბოჭორიშვილი დაჯილდოებული იყო „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, მედლებითა და საპატიო სიგელებით. 1981 წელს მიენიჭა აჭარის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

ვაჟა ბოჭორიშვილი გარდაიცვალა 2000 წელს, დატოვა მეუღლე, შესანიშნავი შვილები და შვილიშვილები.

დიმიტრი ანთაძე (1933-2012)



დიმიტრი ანთაძე დაიბადა 1933 წელს ხულოს რაიონის სოფელ პაქსაძეებში. დაამთავრა გელაძეების დაწყებითი სკოლა (1945), კორტოხის რვაწლიანი სკოლა (1948 წელს) და დიოკნისის საშუალო სკოლა (1953).

1954-1959 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წარმატებით.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1959 წლის სექტემბერში ხიხაძირის საშუალო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად. ერთი წლის შემდეგ იგი გადაიყვანეს თხილვანის საშუალო სკოლაში, სადაც მუშაობდა 1961 წლის 20 აგვისტომდე. აქ მან გამოავლინა ჭეშმარიტი ადამიანური თვისებები და საგნის ღრმა ცოდნა.

1961-1968 წლებში მუშაობდა შუახევის რაიონის ბარათაულისა და ჭვანის საშუალო სკოლებში, 1968 წლიდან – ხელვაჩაურის და ახალსოფლის საშუალო სკოლებში. 1970-1971 წლებში იყო აჭარის განათლების სამინისტროს ინსპექტორი აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, 1971 წლიდან – ქალაქ ბათუმის მე-17 საშუალო სკოლის დირექტორი, შემდეგ მუშაობდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, საიდანაც 1983

წელს გავიდა პენსიაზე. ბატონმა დიმიტრიმ ყველგან გამოავლინა კომპეტენტურობა, სკოლათმცოდნეობა, ორგანიზატორული ნიჭი, უნარი, ერთგულება და თანადგომა შრომით კოლექტივში.

დაჯილდოებული მიყო არაერთი სიგელითა და განათლების სამინისტროს მადლობით.

გარდაიცვალა იგი 2012 წელს.

დატოვა კარგი ოჯახი – მეუღლე გულნაზ კეკელიძე, 4 შვილი და 6 შვილიშვილი.

იუზა ზენაიშვილი (1937-2010), მერი გოგიშვილი (1937-2010)



იუზა აკაკის ძე ზენაიშვილი დაიბადა 1937 წლის 30 სექტემბერს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანში. 1954 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა. 1955 წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1960 წელს მეუღლესთან ერთად, განაწილებით მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის სოფელ თხილვანის საშუალო სკოლაში ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად.

ახალბედა პედაგოგი ენთუზიაზმით ჩაება პედაგოგიურ საქმიანობაში. განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის, აგრეთვე, სოფლის ადგილობრივ მოსახლეობაში.

1961 წელს ხულოს განათლების განყოფილების ბრძანებით იგი გადაყვანილ იქნა სოფელ აგარის საშუალო სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. 1963 წელს დაინიშნა ბათუმის №1 სკოლა-ინტერნატში მათემატიკის მასწავლებლად. 1964 წელს მუშობა განაგრძო ბათუმის №2 სკოლა-ინტერნატის მათემატიკის მასწავლებლად, სადაც გაატარა ცხოვრების საუკეთესო წლები.

1992 წელს გადავიდა №1 პროფილურ გიმნაზიაში, ხოლო 1993 წლიდან 2006 წლამდე იყო ბათუმის №22 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

ი. ზენაიშვილი 46 წელი ემსახურა მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმეს. იყო კვალიფიციური სპეციალისტი, კარგად ერკვეოდა სწავლების მრავალფეროვან მეთოდებში, სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის, იყო

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ბათუმის ინსტიტუტის მათემატიკის მეთოდკაბინეტის წევრი. მისი მოსწავლეები ყოველწლიურად წარმატებით მონაწილეობდნენ საგნობრივ ოლიმპიადებსა და სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებში.

განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის დაჯილდოებული იყო ათამდე საპატიო სიგელით, 1984 წელს დაჯილდოვდა „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, 1989 წელს მიენიჭა უფროსი მასწავლებლის, ხოლო 2001 წელს ლაურეატი მასწავლებლის საპატიო წოდება.

გარდაიცვალა იგი 2010 წლის 4 ივნისს.

მერი გოგიშვილი-ზენაიშვილისა დაიბადა 1939 წლის 7 აპრილს ბათუმში. 1958 წელს დაამთავრა ბათუმის №4 საშუალო სკოლა. ამ სკოლაში სწავლისას მას გერმანულ ენას ასწავლიდა განთლებული პედაგოგი, ეროვნებით გერმანელი მარგარიტა ივანეს ასული ხუციევა, რომლისგანაც მერიმ მიიღო გერმანული ენის საფუძვლიანი ცოდნა, რაც შემდგომ სათანადოდ გამოიყენა.

1959-60 წლებში იგი მუშაობდა №4 სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელად.

1960 წელს, ახალდაქორწინებულ მეუღლესთან ერთად, მუშაობა განაგრძო თხილვანის საშუალო სკოლაში გერმანული ენის მასწავლებლად. აქტიურად მონაწილეობდა როგორც სასკოლო, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა კოლექტივში. ცოლ-ქმარს გაჰყვა აწ განსვენებული სკოლის დირექტორის ლევან გაბაიძისადმი კეთილი მოგონება და პატივისცემა, რომელიც ყოველმხრივ ზრუნავდა ახალგაზრდა პედაგოგების მუშაობაზე და ცხოვრებაზე. ქალბატონი მერი ასევე გულთბილად იგონებს სკოლის მნეს, დამსახურებულ პროვნებას ისაკ ბოლქვაძეს.

1961-1963 წლებში მ. გოგიშვილი მუშაობდა ხულოს რაიონის აგარის საშუალო სკოლაში უფროს პიონერხელმძღვანელად და სიმღერის მასწავლებლად. 1978 წლიდან 2004 წლამდე იყო ბათუმის № 22 საშუალო სკოლის საქმისმწარმოებელი, 2004 წელს კი გათავისუფლდა სამუშაოდან და პენსიაზე გავიდა.

მერი გოგიშვილმა და იუზა ზენაიშვილმა გაზარდეს სანაქებო შვილები და შვილიშვილები.

გულვარდი ბერიძე (1935-2006)

გულვარდი ბერიძე დაიბადა 1935 წლის 2 ივნისს სხალთა-ხიხანის ხეობის ისტორიულ სოფელ ხიხაძირში. 1955 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო ამავე სკოლაში საქმეთა მმართველად. 1956-1961 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პედაგოგიური საქმინობა დაიწყო თხილვანის საშუალო სკოლაში, სადაც იმუშავა 1964 წლამდე. 1961 წელს შექმნა ოჯახი ბაკოელ ასლან მიქელაძესთან ერთად. 1964 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადამოვიდა ქალაქ ბათუმში. გულვარდი ბერიძემ მუშაობა განაგრძო ბათუმის 21-ე ბაგა-ბაღში. 1967-1992 წლებში მუშაობდა ურეხის საშუალო სკოლაში, იყო საქმეთა მმართველი და მუსიკის მასწავლებელი, შემდეგ კი ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებელი.

გულვარდი მასწავლებელი გამოირჩეოდა საგნის ღრმა ცოდნით, ჰქონდა დინჯი და დამაჯერებელი თხრობის მანერა, რითაც აღწევდა მოსწავლეთა დაინტერესებას და სასურველ შედეგებს, იყო ახლის მაძიებელი, ინიციატივიანი და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პედაგოგი.

გულვარდისა და ასლანის ოჯახში აღიზარდა სამი შვილი, მათგან ერთი ქალიშვილი.

გულვარდი ბერიძე გარდაიცვალა 2006 წლის 28 ოქტომბერს.

ლამარა ჯაიანი (1937-2002)

ხულოს მაღალმთიანი რაიონის პედაგოგიური საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი ლამარა მემედის ასული ჯაიანი დაიბადა 1937 წლის 15 ნოემბერს, ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში, მოსამსახურის ოჯახში. აქვე 1956 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ისტორის-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

გასული საუკუნის 50-იან წლებში გოგონების უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა პრობლემა იყო, რის გამოც მაღალმთიან რაიონებში გოგონების სწავლებაში ჩაბმის პრობლემის გადასაწყვეტად, პარტიის აჭა-

რის საოლქო კომიტეტის თხოვნით, საქართველოს ხელისუფლებამ დაუშვა ლიმიტი აჭარის მთიანი რაიონებიდან 25 ქალიშვილის ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში კონკურსგარეშე ჩარიცხვის შესახებ. იმ წელს ხიხაძირის საშუალო სკოლის 18 კურსდამთავრებულიდან 16 ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის 5 ქალიშვილი – კონკურსგარეშე. მათ რიცხვში იყვნენ გულვარდი ბერიძე, ჟუჟუნა გაბაიძე, მზია ხალვაში, დარიკო ხალვაში და ლამარა ჯაიანი. მათ მიბაძეს წინამორბედ ნესპიე გაბაიძეს, რომელმაც ხიხაძირიდან ქალთაგან პირველმა მიიღო უმაღლესი განათლება, დაამთავრა ბათუმის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, მიიღო ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაცია და შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ეს იყო იმ დროისათვის ისტორიული ნაბიჯი ქალთა შორის მუშაობის ხაზით.

იმ დროისათვის მოწინავე ხიხაძირის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს უმაღლეს სასწავლებებლში სწავლა არ გაჭირვებიათ. გამოცდილი, კვალიფიციური ლექტორების მაღალაკადემიური ლექციების მოსმენა კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა სწავლის პროცესს.

1961 წელს ლამარამ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა, მუშაობა დაიწყო თხილვანის საშუალო სკოლაში, სადაც ათ წელზე მეტი ხნის მანძილზე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას – ასწავლიდა ქართულ ენას, ლიტერატურას, ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობას. პირველივე წლებიდანვე მან მოსწავლეთა შორის სიყვარული და ავტორიტეტი დაიმსახურა. მისმა არაერთმა მოსწავლემ დაამთავრა საშუალო სკოლა და დაეუფლა უმაღლეს განათლებას, რამდენიმე მათგანმა მისი სიყვარულით ცხოვრების მთავარ გზად პედგოგობა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობა აირჩია.

სკოლაში მუშაობის პარალელურად ლამარა ჯაიანი სოფლად ქალთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდა.

1964 წელს თხილვანის საშუალო სკოლაში მუშაობისას მან სერგო დუმბაძესთან ერთად შექმნა ოჯახი. მათ გაზარდეს სამი ვაჟიშვილი. დავითი – ისტორიკოსი, ცხოვრობს და მუშაობს თბილისში, ზებური – კავშირგაბმულობის ინჟინერი, ცხოვრობს მშობლების გვერდით და ვაჟა – იურისტი, ცხოვრობს მშობლებთან ერთად. ქალბატონ ლამარას და ბატონ სერგოს ჰყავთ 7 შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი.

ლამარა ჯაიანი იყო პირველი უმაღლესდამთავრებული ქალი სოფელ ბაკოში. იგი დააწინაურეს ბაკოს ახალგახსნილი არასრული საშუალო სკოლის დირექტორად. 1972 წლის პირველი სექტემბრიდან მან ჩაიბარა სკოლის ხელმძღვანელობა იმ დროს, როცა სკოლას სასწავლო ნაწილის გამგეც არ ჰყავდა. საჭირო იყო სკოლის მატერიალური ბაზის შექმნა, სასწავლო ინვენტარის შემოტანა, სახელმძღვანელოებით მომარაგება, სკოლის ეზო-კარმიდამოს მოწესრიგება, თვალსაჩინო მასალებით უზრუნველყოფა და, რაც მთავარია, მასწავლებელთა მოზიდვა, სკოლის კადრებით დაკომპლექტება. ლამარა ჯაიანმა განათლების განყოფილების მხარდაჭერითა და რაიონის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით, მცირერიცხოვანი, მაგრამ ენერგიული ახალგაზრდული კოლექტივის კარგი მუშაობითა და მშობლების თანადგომით თანდათან გადაწყვიტა სკოლის წინაშე მდგარი პრობლემები. სკოლამ სახე იცვალა, მიიღო რვაწლიანი სკოლის იერსახე. გაწეული მუშაობა შეამოწმა და მოიწონა აჭარის განათლების სამინისტრომ, განსაკუთრებით აღინიშნა მხატვრული წრის წარმატება რაიონულ დათვალიერებებზე. მაღალი შეფასება მიეცა თავად დირექტორისა და პედაგოგების – ჟუჟუნა გაბაიძის, შოთა დუმბაძის, გივი მამულაძის, იუსუფ დეკანაძის, ფატი მამულაძის, ლამარა აბულაძის მუშაობას.

დირექტორის წარდგენით სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ დაინიშნა ამავე სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი შოთა დუმბაძე.

1975 წელს ქალბატონმა ლამარამ დირექტორობა მას გადაულოცა და ოჯახით საცხოვრებლად გადამოვიდა ქ. ბათუმში. ამის შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუა-რესების გამო მას არსად უმუშავია, ზრუნავდა ოჯახზე, შვილებზე და ყოველმხრივ ეხმარებოდა ასპირანტ მეუღლეს.

სადოქტორო დისერტაციის სპეციალიზებულ სამეცნეირო საბჭოში წარდგენითა და მეუღლის მიერ უმაღლესი სამეცნიერო ხარისხის დაცვის მოლოდინით გახარებულ ქალბატონს ნაადრევად და მოულოდნელად დაუღამდა – 2002 წლის 28 ივნისს იგი უეცრად გარდაიცვალა. დასაფლავებულია ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენში.

თხილვანის საშუალო სკოლის დაარსებიდან 80 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით მომზადებულ მიკროსასკოლო მუზეუმს ამშვენებს სკოლის პირველი დირექტორის – ლამარა ჯაიანის პორტრეტი.

მურმან კირთაძე (1938-1998)

თხილვანის საშუალო სკოლაში მოვლინებულ პედაგოგთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო მურმან კირთაძე.

ბატონი მურმანი დაიბადა 1938 წელს, ხობის რაიონის სოფელ გორდაში. აქვე მიიღო საშულო განათლება. მისაღები გამოცდები ჩააბარა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტი-



ტუტში და ჩაირიცხა ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1966 წელს დაამთავრა ინსტიტუტი და მიიღო ქართული ენის, ლიტერატურის და რუსული ენის, ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკა-ცია. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მან ახალგაზრდების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს მოახმარა. 1965-1968 წლებში მუშაობდა ხულოს რაიონის თხილვანის საშუალო სკოლაში სპეციალობის მიხედვით. ახალგაზრდა და ენერგიულმა პედაგოგმა თავიდანვე კარგი მასწავლებლისა და მოსწავლეთა გულანთებული აღმზრდელის სახელი მოიხვეჭა. მეგობრობდა როგორც კოლეგებთან, ისე სოფლის მშრომელებთან, აქტიურად ედგა მხარში სკოლის დირექტორს. მისი გამოჩენა სკოლაში და სოფელში ყველას უხაროდა. ჰქონდა თეატრალური მეტყველება. ნებისმიერ რთულ საკითხს მოსწავლეებისთვის მისაწვდომსა და გასაგებს ხდიდა. დამაჯერებელი, მოზომილი საუბრით ყველას ხიბლავდა. როცა სოფლიდან წასვლა გადაწყვიტა, კოლეგები და ნაცნობ-მეგობრები აცილებდნენ თხოვნით, რომ მალმალე სტუმრებოდა სკოლას და სოფელს.

1968 წელს იგი დაინიშნა ბათუმის 44-ე პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილედ, 1996 წელს კი აირჩიეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, იყო ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მურმან კირთაძე, მოწოდებით პედაგოგი, პროფტექნიკური განათლების სისტემის ერთ-ერთი საუკეთესო მუშაკი იყო. ხასიათდებოდა საქმის სიყვარულით, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, კომუნკაბელობით, თანადგომით, უბრალოებით, ზნეკეთილობით. იგი თავისი საქმითა და პირადი ცხოვრებით ახალგაზრდებს უჩვენებდა ჭეშმარიტი პატრიოტისა და ნამდვილი ადამიანის შესანიშნავ მაგალითს. ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის მიენიჭა აჭარის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. სამწუხაროდ, ნიჭისა და ძალების გაფურჩქვნისას, 60 წლის ასაკში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 1998 წელს გარდაიცვალა და დატოვა კ ოჯახი, მეუღლე – ქალბატონი თეა და ერთადერთი ქალიშვილი – მეგი.

ომარ დიასამიძე



ომარ დიასამიძე დაიბადა 1937 წელს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კიბეში, პატიოსნებით გამორჩეულ ოჯახში.

1956 წელს დაამთავრა მახუნცეთის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდში იგი ორჯერ მონაწილეობდა ყაზახეთში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში. 1961 წელს დაამთავრა ინსტიტუტი და განაწილებით მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის თხილვანის საშუალო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად და დირექტორის მოადგილედ საწარმოო სწავლების დარგში.

1961-1962 წლებში იგი ამ წიგნის ერთ-ერთ ავტორთან – სერგო დუმბაძესთან ერთად იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში. იმხანად სამხედრო-სავალდებულო სამსახური იყო სამწლიანი, უმაღლესგანათლებულებს კი უფლება ჰქონდათ, ოფიცრის კურსების გავლის შემდეგ, მიეღოთ ოფიცრის ჩინი და ერთი წლით ნაკლები ემსახურათ. ამ წესის მიხედვით ბატონი ომარი ერთი წლით ადრე განთავისუფლდა სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან და უმცროსი ლეიტენანტის ჩინით დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, 1963-1966 წლებში, იგი მუშაობდა ქედის რაიონის აგარის 8-წლიან სკოლაში, პარალელურად ასწავლიდა ქიმია-ბიოლოგიას მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში.

1966 წლიდან ომარ დიასამიძემ მუშაობა დაიწყო „აწჰესის“ საშუალო სკოლაში, პარალელურად მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1973-1974 წლებში მუშაობდა პარტიის რაიკომის აღრიცხვის სექტორში.

1985 წელს დაინიშნა მახუნცეთის სკოლა-ინტერნატისა და პირველი მაისის საშუალო სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად.

1990 წელს პირველი მაისის სკოლიდან კვლავ „აწჰესის“ სკოლას დაუბრუნდა, სადაც დღემდე მუშაობს.

ყველგან, სადაც კი იმუშავა, ბატონი ომარი გამოირჩეოდა საგნის ღრმა ცოდნით. მოსწავლეები დიდი სიყვარულით იგონებენ მას. თავად ბატონი ომარიც განსაკუთრებული სიყვარულითა და კმაყოფილებით იგო-

ნებს სხვადასხვა სკოლაში გატარებულ წლებს და ყოფილ მოსწავლეებს. იგი ყველგან სარგებლობდა დიდი სიყვარულითა და დამსახურებული ავტორიტეტით.

ომარ დიასამიძე არის უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი. მიღებული აქვს მადლობები, სიგელები და ჯილდოები. მაგრამ მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო, როგორც თვითონ ამბობს, არის სასახელოდ აღზრდილი მოსწავლე და მათგან მიღებული მადლობა თუ ღიმილიანი შეხვედრა.

ბატონი ომარი ოთხმოც წელს მიტანებულია, მაგრამ დღესაც ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს. არის გულღია, მეგობრული და ალალი ადამიანი.

ომარ დიასამიძის ბიოგრაფია შესულია სერგო სამნიძის წიგნში „ნაბიჯი საუკუნემდე“ (ბათუმი, 2014, გვ. 254-255).

ნანული დუაძე (1942-2001)



ნანული დუაძე დაიბადა 1942 წელს ხულოს რაიონის სოფელ მთისუბანში. ნანულის სასკოლო ასაკამდე ოსმან დუაძის ოჯახი საცოვრებლად გადმოვიდა ბათუმის (ამჟამად ხელვაჩაურის) რაიონის ისტორიულ სოფელ გონიოში.

1957 წელს ნანულიმ დაამთავრა გონიოს საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებში გათხოვდა და დოლოგნელ ახალგაზრდასთან, ს. ჯინჭარაძესთან ერთად შექმნა ოჯახი. საოჯახო საქმეების პარალელურად სწავლა განაგრძო და ინსტიტუტი დაამთავრა 1962 წელს. შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო ხულოს რაიონის თხილვანის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1966 წელს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, საკუთარი განცხადებით გათავისუფლდა სამსახურიდან და მთელი დრო მიუძღვნა ოჯახს. სამწუხაროდ, ჯანმრთელობის მდგომარეობა უფრო გაუარესდა და 2000 წელს ქალბატონი ნანული აღესრულა. დატოვა ცალუღელად მეულე და სამი შვილი.

იაშა ჯაიანი

იაშა ჯაიანი დაიბადა 1940 წელს ხულოს რაიონის სოფელ სკვანაში.

1958 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა, ხოლო 1967 წელს – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რუსული და გერმანული ენების მასწავლებლის სპეციალობით.

1958-1961 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1961-1992 წლებში იყო თხილვანის საშუალო სკოლის რუსული და გერმანული ენების მასწავლებელი.

1992 წლიდან დღემდე იგი მუშაობს სკვანის საშუალო სკოლაში. 1992-1995 წლებში იყო ამავე სკოლის დირექტორი.

იაშა ჯაიანი თავაზიანი, ტაქტიანი პედაგოგია, კარგი ავტორიტეტით სარგებლობს პედკოლექტივსა და მოსახლეობაში. მისი მეუღლე სონია გაბაიძე დღესაც მოღვაწეობს სკვანის საჯარო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

იოსებ ხალვაში (1941-2015)



იოსებ ხალვაში დაიბადა 1941 წლის 22 ივნისს, ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში, მრავალშვილიან ოჯახში. არასრული საშუალო განათლება მიიღო კალოთისა და ახალშენის სკოლებში, ხოლო საშუალო განათლება – ხიხაძირის საშუალო სკოლაში, რომელიც 1958 წელს დაასრულა.

დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ჯერ დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკათა ფაკულტეტი (1962), ხოლო შემდგომ – ისტორიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების (1971).

1962-1964 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში ჯერ რიგით ჯარისკა-

ცად და სერჟანტად, 1968-1970 წლებში კი – ოფიცრის თანამდებობაზე, ქვედანაყოფის მეთაურის მოადგილედ პოლიტიკურ ნაწილში. 1995-2004 წლებში იყო დამოუკიდებელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის 25-ე ბრიგადის კადრის ქვედანაყოფის მეთაური.

პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 1962 წელს. 1964-1969 წლებში მუშაობდა თხილვანის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად, 1970-1995 წლებში კი – ხიხაძირის საშუალო სკოლის სამხედრო სწავლების ხელმძღვანელად. პარალელურად აქვე ასწავლიდა ისტორიას.

იოსებ ხალვაშს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი წერილი და სტატია სამხედრო-ისტორიულ და სამხედრო-პატრიოტულ თემებზე. 1984 წელს გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ გამოსცა მისი ნაშრომის „აჭარის პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობა მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის“ (1921–1941) I-II თავი. მისი წერილები იბეჭდებოდა გაზეთებში: „კოლექტიური შრომა“, „აჭარა“, „ადჟარია“, „აღორძინება“ და სხვა. მანვე გამოსცა წიგნი „სკოლა ხიხანის ძირში“.

2001 წელს იოსებ ხალვაში გავიდა პენსიაზე, ეწეოდა ჟურნალისტურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მისი კვლევითი მუშაობის ძირითადი თემაა სხალთა-ხიხანის ხეობის ისტორიული წარსული.

გარდაიცვალა იგი 2015 წელს, დაკრძალულია მშობლიურ ხიხაძირში. დარჩა მეუღლე, 3 შვილი და შვილიშვილები.

გივი გაბაიძე

გივი გაბაიძე დაიბადა 1941 წლის 10 მაისს, ხულოს რაიონის სოფელ სკვანაში. დაამთავრა სკვანის დაწყებითი (1948) და ხიხაძირის საშუალო (1958) სკოლები.

1960 წელს დაიწყო შრომითი საქმიანობა ბათუმის №5 სამშენებლო ტრესტში მუშად. იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1965 წელს და სპეციალობით დაიწყო მუშაობა თხილვანის საშუალო სკოლაში. 1965 წლის ნოემბერში გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. 1966 წელს, არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, კვლავ განაგრძო მუშაობა თხილვანის საშუალო სკოლაში.

1973 წელს გივი გაბაიძე მუშაობას იწყებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში პენსიებისა და დახმარების განყოფილების უფროს ინსპექტორად, შემდეგ კი – წამყვან სპეციალისტად. აქ მან გამოავლინა სახელმწიფო მოხელის საუკეთესო თვისებები: კომპეტენტურობა, საქმისადმი ერთგულება, საშემსრულებლო დისციპლინა. გულისხმიერი და მეგობრული პიროვნება დახმარებას უწევდა პენსიონერებს, უზრუნველყოფდა მათ კურორტებზე დასასვენებელი უფასო საგზურებით. სამინისტროს მუშაკებს შორის სარგებლობდა პატივისცემითა და დამსახურებული ავტორიტეტით.

2001 წლიდან გივი გაბაიძე პენსიაზეა. ჰყავს მეუღლე, 3 შვილი, 5 შვილიშვილი და 2 შვილთაშვილი.

ლევან კურცხალიძე (1930-2015)

აჭარაში, მათ შორის თხილვანის საშუალო სკოლაში, ადგილობრივი კადრების მომზადებამდე მასწავლებლებად ძირითადად მუშაობდნენ საქართველოს სხვადასხვა რაონიდან მოვლინებული პედაგოგები. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ ლევან მუსტაფის ძე კურცხალიძე, ქედის რაიონიდან.

ლევან კურცხალიძე დაიბადა 1930 წლის 20 ივნისს ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთში. 1950 წელს დაამთავრა მახუნცეთის საშუალო სკოლა. 1950-1953 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. აქვე დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი და ჯარიდან ოფიცრის ჩინით დაბრუნდა.

შრომითი საქმიანობა დაიწყო მახუნცეთის სასოფლო საბჭოს სამხედრო მაგიდის უფროსად და სამხედრო საქმის მასწავლებლად მახუნცეთის საშუალო სკოლაში.

1957 წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის რუსული და უცხო ენების (გერმანული) სპეციალობაზე. სტუდენტობის წლებში იყო კურსის ჯგუფხელი, სწავლობდა წარმატებით, მისდევდა სპორტს. სპორტში მან არაერხელ დაიცვა ინსტიტუტის ღირსება.

ინსტიტუტში იგი კარგად დაეუფლა ორივე უცხო ენას. 1962 წელს, უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, სამუშაოდ მიავლინეს ხულოს

რაიონში. დაინიშნა მაღალმთიანი სოფლის – თხილვანის საშუალო სკოლაში რუსული და გერმანული ენების მასწავლებლად. სოფელმა და პედაგო-გიურმა კოლექტივმა იგი გულთბილად მიიღო. წარმატებული მოღვაწეობით და სოფლად სააგიტაციო-პროპაგანდისტური საქმიანობით კარგი ავტორიტეტი დაიმსახურა პედაგოგიურ კოლექტივში, მოსწავლე ახალგაზრდობასა და სოფლის მოსახლეობაში. 4 წლის მუშაობის შემდეგ ლევან კურცხალიძე დიდი პატივით გააცილეს თხილვანიდან, მის შესახებ ყოველთვის კარგს ამბობენ ყოფილი მოსწავლეები თუ მათი მშობლები.

1966-1967 წლებში ლევან კურცხალიძე მუშაობდა ქედის რაიონის წონიარისის საშუალო სკოლაში. 1968-1980 წლებში დაბრუნდა მშობლიურ სოფელში და მუშაობა დაიწყო მახუნცეთის საშუალო სკოლაში (ყოფილ სკოლა-ინტერნატში) რუსული და გერმანული ენების მასწავლებლად. 1981 წლიდან დაწყებითი სამხედრო მომზადების ხელმძღვანელობაც შეუთავსეს.

ყველგან, სადაც კი მუშაობდა, ლევან კურცხალიძე სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით, იყო წელგამართული პედაგოგი, მინიჭებული ჰქონდა პირველი კატეგორიის მასწავლებლის წოდება. პროფესიონალიზმით, კოლეგიურობით, ადამიანებთან კეთილშობილური ურთიერთობის დიდი უნარით, თავმდაბლობით იყო გამორჩეული პედაგოგი-აღმზრდელი. მიღებული აქვს არაერთი სიგელი და მადლობა სკოლის დირექტორისგან თუ რაიონის განათლების განყოფილებისგან.

გარდაიცვალა იგი 2015 წელს, დასაფლავებულია მშობლიურ სოფელში. მას ამქვეყნად დარჩა მეუღლე – გუგული ჯაბნიძე-კურცხალიძისა, მედიცინის მუშაკი, შვილები და შვილიშვილები.

ჯემალ ცეცხლაძე

ჯემალ ოსმანის ძე ცეცხლაძე პედაგოგთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომლებმაც დაამთავრეს ბათუმის პედინსტიტუტი და მუშაობდნენ აჭარის მთიან სოფლებში. იგი დაიბადა 1944 წელს ხულოს რაიონის სოფელ სკვანაში.

1961 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა.

1962 წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწფო პედაგოგიურ ინსტიტუტის რუსული ენის, ლიტერატურისა და უცხო ენების სპეციალობაზე.

1963-66 წლებში მსახურობდა არმიის რიგებში, 1966-1967 წლებში იყო თხილვანის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი.



1971 წელს დაასრულა მშობლიური ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის ღორჯომის საშუალო სკოლაში რუსული ენის მასაწავლებლად.

1972 წლის სექტემბრიდან სამუშაოდ გადავიდა სკვანის რვაწლიანი სკოლის მასწავლებლად და დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. 1979 წლიდან 1991 წლამდე იყო სკვანის ჯერ რვაწლიანი, ხოლო შემდეგ – საშუალო სკოლის დირექტორი.

1991 წლიდან ჯემალ ცეცხლაძე ოჯახით საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში და ჩაება კომერციულ საქმიანობაში.

ჰყავს 7 შვილი და 13 შვილიშვილი.

ეგნატე დუმბაძე, ელისაბედ მაჭავარიანი (1939-1991)

ეგნატე დუმბაძე დაიბადა 1937 წლის 15 ივლისს სოფელ ბაკოში, სოფლის თავკაცის მიხეილ დუმბაძის ოჯახში. დედა – ნაზიმე ჯაიანი გამოირჩეოდა სათნოებით, სტუმართმოყვარეობით, მაღალი კულტურით და შვილების აღზრდა-განათლების მიმართ დიდი ყურადღებით. სამწუხაროდ, ქალბატონი ნაზიმე ადრე, 1949 წელს გარდაიცვალა, მაგრამ ოჯახის უფროსის ზრუნვით, ხუთი ძმა და ერთი და, რომელთაც შემდეგ მეორე მეუღლისგან ოთხი და-ძმა შეემატათ, კარგ მოქალაქეებად გაიზარდნენ.

ეგნატე 1945 წელს შევიდა ბაკოს დაწყებით სკოლაში, რომელიც 1949 წელს დაამთავრა და სასწავლებლად გადავიდა თხილვანის საშუალო სკოლაში, სადაც დირექტორად მუშაობდა დედის ძმა, ცნობილი პედაგოგი სერგო ჯაიანი, მაგრამ ამით მას რაიმე უპირატესობა არ ჰქონია. პირიქით, მისგან უფრო მეტს მოითხოვდნენ. იგი თანასოფლელებთან ერთად სწავლობდა ბეჯითად და წარმატებებსაც აღწევდა.

1953 წელს ეგნატემ სწავლა განაგრძო ხიხაძირის საშუალო სკოლაში, რომელიც 1956 წელს დაამთავრა და მუშაობა დაიწყო ბაკოს ახალგახსნილ ბიბლიოთეკაში.

ეგნატე დუმბაძე 1958 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, საიდანაც 1961 წელს დაბრუნდა და იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე. აქვე გაიცნო მან მომავალი მეუღლე – თანაკურსელი, დუშეთის რაიონის მკვიდრი ელისაბედ მაჭავარიანი. შეუღლების შემდეგ ორივემ მუშაობა დაიწყო თხილვანის საშუალო სკოლაში. ეგნატემ და ელისაბედმა 2 წელი ნაყოფიერად იმუშავეს ამ სკოლაში და თავი შეაყვარეს მოსწავლეებსა და კოლეგებს, კარგი ავტორიტეტი მოიხვეჭეს მოსახლეობასა და პედკოლექტივში. ორი წლის შემდეგ ისინი საცხოვრებლად გადმოვიდნენ ქ. ბათუმში.

ეგნატემ მუშაობა დაიწყო ბათუმის სავაჭრო ნავსადგურში სამეურნეო ხაზით. იყო სასაწყობო მეურნეობის უფროსი, სადაც 38 წელი დაჰყო. მის პატიოსან შრომას აფასებდნენ და პატივს სცემდნენ პორტის უფროსები: ა. რატიანი, ა. ბოლქვაძე, ა. სმირბა. ამიტომაც იყო, რომ 2006 წელს დიდი სიყვარულითა და ზარ-ზეიმით გააცილეს დამსახურებულ პენსიაზე. ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისთვის ე. დუმ-ბაძეს მიღებული აქვს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსების – ანატოლი კაჭარავასა და ჯემალ ჭიღვარიას სიგელები და მადლობები.

ეგნატეს მეუღლე ელისაბედ მაჭავარიანი მუშაობდა ბათუმის №33 საბავშვო ბაღში აღმზრდელად, სადაც სიცოცხლის ბოლომდე – 1991 წლამდე იღვაწა. სამწუხაროდ, ნაადრევად წავიდა იგი ამქვეყნიდან. დაკრძალულია სოფელ ახალშენში. დარჩა ორი ქალიშვილი, მზია და მარინა.

შვილები, შვილიშვილი გიორგი და სიძე გოჩა ჩაჩუა ყურადღებას არ აკლებენ ბატონ ეგნატეს, დამსახურებულ და ღვაწლმოსილ ადამიანს, სოფლისა და გვარის სასახელო მამულშვილს.

შალვა გაბაიძე

შალვა ახმედის ძე გაბაიძე დაიბადა 1938 წლის 12 ივნისს, სოფელ ხიხაძირში. 1958 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა.

1958-1962 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1962-1967 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის ყინჩაურის საშუალო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად. 1970-1972 წლებში კი მუშაობდა ამავე საგნების მასწავლებლად თხილვანის საშუალო სკოლაში.

1972 წლიდან შალვა გაბაიძე ოჯახით საცხოვრებლად გადმოდის ქ. ბათუმში და მუშაობას იწყებს საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში. იყო უბნის უფროსი, საყოფაცხოვრებო მომსახურების მახინჯაურის სახლის დირექტორი, 1980-1986 წლებში კი – ბინათგაქირავების ბიუროს უფროსი.

1982-1987 წლებში შალვა გაბაიძემ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

1987 წლიდან მუშაობდა აჭარკოპკავშირის გამგეობაში ეკონომისტად, 1988 წლიდან – საბითუმო სავაჭრო ბაზაში საქონელმცოდნედ, 1996-2006 წლებში – ბათუმის სავაჭრო საზღვაო ნავსადგურში ექსპედიტორად, შემდეგ კი – უფროს ექსპედიტორად, საიდანაც 2006 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და სამი შვილიშვილი.

ბესარიონ გაბაიძე (1940-2012)

ბესარიონ გაბაიძე დაიბადა 1940 წელს ხულოს რაიონის სოფელ სკვანაში.

1959 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა, 1963 წელს კი – თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. 1963-1964 წლებში იხდიდა სავალდებულო სამხედრო სამსა-ხურს.

შრომითი საქმიანობა დაიწყო თხილვანის საშუალო სკოლაში, საიდანაც გადავიდა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად. 1991-1998 წლებში იყო ხიხაძირის თემის საკრებულოს წევრი, ამავე საკრებულოს მდივანი, შემდეგ – გამგებელი. 1998 წელს კვლავ დაუბრუნდა სკვანის საშუალო სკოლას და მუშაობა დაიწყო ფიზიკური კულტურის მასწავლებლად.

ბესარიონ გაბაიძე ჯერ კიდევ მოსწავლეობის დროს აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაში. იყო აჭარის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის სათხილამურო რბოლაში, ხოლო ინსტიტუტში სწავლის პერიოდში – საქართველოს ჩემპიონი სტუდენტთა შორის. „თოვლიან ბილიკებზე“ შემდგომშიც პირველობდა, იყო არაერთი შეჯიბრების პრიზიორი, დაჯილდოებული იყო შესაბამისი დიპლომებით და მედლებით.

ბესარიონ გაბაიძე გამოირჩეოდა კეთილი, ადამიანური თვისებებით. იყო მეგობრული, სტუმართმოყვარე, თავისი ხალხისა და კუთხის პატრიოტი, სიტყვისა და საქმის კაცი.

გარდაიცვალა იგი 2012 წელს.

შოთა გაბაიძე

შოთა ხემიდის ძე გაბაიძე დაიბადა 1940 წელს, ხულოს რაიონის სოფელ სკვანაში.

1958 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა. 1958-1959 წლებში იყო ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა. 1959-1961 წლებში მსახურობდა სამბჭოთა არმიის რიგებში.

1966 წელს წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო შუახევის რაიონის სოფელ ინწკირვეთის საშუალო სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლად. 1967-1969 წლებში იყო თხილვანის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

1969-1988 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის კადრის ოფიცრად, ქედისა და ქობულეთის სამხედრო კომისრების მოადგილედ, საიდანაც ვიცე-პოლკოვნიკის ჩინით გავიდა პენსიაში. 1988-1991 წლებში იყო ქობულეთის №2 საშუალო სკოლის სამხედრო ხელმძღვანელი, 1991-1994 წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლიდა თურქულ ენას. 1994-1998 წლებში იყო ქ. ტრაპიზონის სასულიერო აკადემიის მსმენელი, 1998 წლიდან არის აჭარის საქველმოქმედო ფონდ „მადლის“ დირექტორი.

არის რამდენიმე სასულიერო წიგნის ავტორი და მთარგმნელი.

შოთა გაბაიძე (1941-2014)



შოთა გაბაიძე დაიბადა 1941 წელს ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში.

1959 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა, ხოლო 1970 წელს – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

1960-1963 წლებში მსახურობდა სამხედრო არმიის რიგებში. შრომითი საქმიანობა დაიწო 1963 წელს ბათუმის ავტოკოლონაში მძღოლად, სადაც მუშაობდა 1972 წლამდე. 1972 წლიდან შოთა გაბაიძე ხულოს რაიონის თხილვანის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელია, იყო ამავე სკოლაში დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. აქ მუშაობით იგი ჩამოყალიბდა პროფესიონალ პედაგოგად და კარგ სკოლათმცოდნედ, მოიპოვა დამსახურებული ავტორიტეტი და აღიარება. სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა ფართოდ აღინიშნა მისი დამსახურება მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე. სკოლაში ღირსეუ-ლად აღნიშნა მისი პედაგოგიური მოღვაწეობის 30 წლისთავი.

2006 წელს შოთა გაბაიძე გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. გარდაიცვალა იგი 2014 წელს.

ნოდარ მიქელაძე



ნოდარ მიქელაძე დაიბადა 1948 წლის 13 ივლისს ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში.

1966 წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1972 წელს.

1972-1974 წლებში მუშაობდა ხულოს რაიონის წაბლანის რვაწლიან სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად, 1975-1988 წლებში – თხილვანის საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად, ხოლო 1988-1990 წლებში – ფუშრუკაულის საშუალო სკოლაში ამავე საგნის მასწავლებლად.

1991 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა ქარელის რაიონში და მუშაობა დაიწყო დირბის საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად. 1992-2001 წლებში მუშაობდა ამავე რაიონის ყინწვისის არასრულ საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად და დირექტორის მოადგილედ.

2001 წელს მიენიჭა ქარელის რაიონის საუკეთესო მასწავლებლის წოდება.

2013 წლიდან გავიდა პენსიაზე.

ჰყავს მეუღლე და ხუთი შვილი – სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი, აგრეთვე, რვა შვილიშვილი.

თავისი პედაგოგიური მოღვაწეობით ნოდარ მიქელაძემ მოიპოვა ავტორიტეტი და აღიარება. ამიტომ ყველგან, სადაც კი იმუშავა, მოიხსენიებენ პატივისცემით და სიყვარულით.

ალექსანდრე ხალვაში

ალექსანდრე ხალვაში დაიბადა 1955 წელს ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში.

1972 წელს წარჩინებით დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა.

1972-1976 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1976-1979 წლებში მუშაობდა ბაკოს რვაწლიან სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.



1979-1989 წლებში თხილვანის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელია. ამ სკოლაში ნაყოფიერი მუშაობისთვის დაჯილდოვდა აჭარის განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით.

1989 წელს ოჯახით საცხოვრებლად გადავიდა ქარელის რაიონის სოფელ სამწევრისში. იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო კეხიჯვრის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად, სადაც იმუშავა 1992 წლამდე.

1992-2002 წლებში მუშაობდა ქარელის რაიონის საგადასახადო სამსახურის უფროს ინსპექტორად კეხიჯვრის თემის საკრებულოში, ხოლო 2009 წლიდან დღემდე მუშაობს ამავე რაიონის საბანკო სისტემაში.

ჰყავს მეუღლე, ოთხი შვილი და რვა შვილიშვილი.

ალექსანდრე გაბაიძე (1926-1989)



ალექსანდრე გაბაიძე მიეკუთვნება იმ პედაგოგთა რიგს, ვინც თავი გამოიჩინა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა სწავლა-აღზრდაში და ჩამოყალიბდა მეთოდისტ მასწავლებლად, ნორჩების გულის მესაიდუმლედ და მათი მიდრეკილებების, შესაძლებლობების სწორი მიმართულებით წარმართვის უბადლო ოსტატად.

დაიბადა 1926 წელს, სოფელ ხიხაძირში, პატიოსან და მშრომელ ოჯახში. 1948 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა. ძალიან სურდა უმაღლესი განათლების მიღება, მაგრამ ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გამო სურვილი ვერ აისრულა.

ეს ის პერიოდია, როცა სკოლები განიცდნენ პედაგოგიური კადრების ნაკლებობას. სოფლად არათუ უმაღლესდამთავრებული, არამედ საშუალო განათლების მქონე კურსდამთავრებულიც სანთლით საძებარი იყო. ამიტომაც ინიციატივიანმა, ენერგიულმა ახალგაზრდამ დაიწყო მასწავლებლად მუშაობა კალოთის დაწყებით

სკოლაში, რომელსაც მაშინ ხულოს პედსასწავლებლის კურსდამთავრებული, უკვე დახელოვნებული პედაგოგი ირეოდიონ ხალვაში განაგებდა.

მონდომებულმა ახალგაზრდამ მალე აუღო ალღო დაკისრებულ მოვალეობას და თანდათან ჩადგა მოწინავე პედაგოგთა რიგებში. ამიტომაც იწვევდნენ მასწავლებლად იქ, სადაც ყველაზე მეტად სჭირდებოდათ. იმუშავა ბაკოს დაწყებით სკოლაში (1949-1954 წწ.), ქვედა თხილვანაში (1954-1969 წწ.), ოლადაურში (1969-1982 წწ.), ექვსი წელი (1982-1989 წწ.) იღვაწა თხილვანის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად.

მუშაობის პერიოდში გულდაჯერებით ზრუნავდა თავისი პროფესიული დონის ამაღლებაზე, სისტემატიურად ესწრებოდა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს, ეცნობოდა მოწინავე გამოცდილებას და იყენებდა პედაგოგიურ საქმიანობაში. ამიტომაც სარგებლობდა ავტორიტეტით და დაფასებით მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის.

ალექსანდრე გაბაიძე 1989 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. გარდაიცვალა იგი იმავე წელს, დაკრძალულია სოფელ ხიხაძირში.

რევაზ წულუკიძე

რევაზ წულუკიძე დაიბადა 1940 წლის 25 აგვისტოს შუახევის რაინის სოფელ ტბეთში.

1945 წლიდან ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმის რაიონის სოფელ ახალსოფელში.

1958 წელს დაამთავრა შუახევის საშუალო სკოლა და 1960 წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე.

1965 წლის აგვისტოდან განაწილებით მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის სოფელ თხილვანის საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1965 წლის დეკემბერში გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

1966 წლიდან 1976 წლამდე მუშაობდა ბათუმის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1976-1986 წლებში მუშაობდა სახალვაშოს კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნად.

1986 წლის აგვისტოდან 2006 წლის თებერვლამდე მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის კულტურის განყოფილების გა-მგედ.

2006 წლის ივლისიდან პენსიაშია.

§4. თხილვანის სკოლის ჯურსდამთავრებული პედაგოგები:

1. მახმუდ ბოლქვაძე
2. ხასან მამულაძე
3. ოთარ მიქელაძე
4. ასლან მიქელაძე, ფატი მამულაძე
5. ლამარა აბულაძე
6. ალექსანდრე დუაძე
7. ნოდარ მამულაძე
8. ნიკოლოზ დუმბაძე
9. სოლომონ თურაძე, მაყვალა ხალვაში
10. მიხეილ გაბაიძე, ნაზი ჯაიანი
11. ნიკოლოზ ბოლქვაძე, ჯემალ ბოლქვაძე, მაყვალა მამულაძე
12. შოთა დუმბაძე, ნანული დუაძე
13. აკაკი ქამაშიძე
14. ილია აბულაძე, გუგული სურმანიძე
15. შოთა ქამაშიძე
16. ლიანა მიქელაძე
17. არსენ ქამაშიძე
18. ზურაბ ქამაშიძე
19. ჯამბულ დავითაძე, რევაზ დავითაძე
20. არჩილ დუმბაძე, მაყვალა დუმბაძე
21. ხარიტონ დუმბაძე, ნათია უმეთაძე
22. ანზორ მიქელაძე, ჟუჟუნა მიქელაძე
23. სერგო მიქელაძე
24. ალექსანდრე და ასლან დუმბაძეები
25. ასლან ბოლქვაძე
26. გურამ დუმბაძე
27. ირმა დუმბაძე
28. გულვარდი ბოლქვაძე
29. დარიკო დუმბაძე
30. სულიკო ბოლქვაძე
31. ალექსანდრე მიქელაძე, ნათელა აბაშიძე
32. ამირან ქამაშიძე
33. ჯემალ მიქელაძე, აინი იშხნელიძე

მახმუდ ბოლქვაძე (1925-2005)

თხილვანის მოსახლეობა ყოველთვის კეთილად მოიხსენიებს იმ პირველ მასწავლებლებს, რომლებმაც უდიდესი ღვაწლი დასდეს ადგილობრივი მოსახლეობის განათლების საქმეს. მათ შორის, უპირველესად, თეოდორე დოლიძე და ტიტე ჭყონია არიან. სწორედ ამ ადამიანების დაუღალავი შრომის შედეგი იყო სოფლად ადგილობრივი მასწავლებლების გამოჩენა. პირველი ადგილობრივი კადრი, რომელიც 1944 წელს თხილვანის შვიდწლიანი სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად დაინიშნა, იყო მახმუდ ბოლქვაძე.



მახმუდ ბოლქვაძე დაიბადა 1925 წელს. 1941 წელს დაამთავრა თხილვანის შვიდწლიანი სკოლა. სამამულო ომის დაწყების გამო სოფლის ახალგაზრდა მასწავლებელთა უმრავლესობა ფრონტზე გაიწვიეს. სკოლებს შეექმნათ სიძნელეები, იკლო მოსწავლეთა რაოდენობამ. 1942 წელს ხიხაძირის საშუალო სკოლა (ერთადერთი საშუალო სკოლა სხალთა–ხიხანის ხეობაში) მხოლოდ ხუთმა მოსწავლემ დაამთავრა, 1943 წელს კი ექვსმა. თითქმის ყველა მათგანი გაანაწილეს ხიხაძირის ხეობაში არსებულ სკოლებში მასწავლებლებად (იოსებ ხალვაში, „სკოლა ხიხანის ძირას," 2006 წ., გვ. 110). მიუხედავად აღნიშნულისა, მასწავლებელთა რაოდენობა არასაკმარისი იყო თხილვანისა და ბაკოს სკოლებში.

თხილვანის შვიდწლიანი სკოლის დირექტორის, ლევან ბერიძის არქივიდან: „1941 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში სკოლის დირექტორები დაგვიბარეს რაიონულ თათბირზე. რაიკომის პირველი მდივანი შოთა ჭანუყვაძე გვესაუბრა ომთან დაკავშირებით მოსახლეობისა და სოფლის აქტივის პასუხისმგებლობისა და პოლიტიკური სიფხიზლის შესახებ, სკოლებში სასწავლო პროცესის, კადრებით დაკომპლექტებისა და მოსწავლეთა გამოცხადების საქმეში სკოლის დირექტორების პირადი პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ. თათბირის შემდეგ დავით მამულაძემ, რომელიც მაშინ რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო, მეგობრულად ხელი გადამხვია და მითხრა: ლევან, ვიცი, წელს შენი სკოლა რამდენიმე მოსწავლემ წარჩინებით დაამთავრა. შეეცადე დაარწმუნო მათი მშობლები და მოსწავლეები, რომ სწავლა გააგრძელონ ხიხაძირის საშუალო სკოლის VIII კლასში, რამდენიმე წლის შემდეგ მათი სახით თხილვანა-ბაკოს სკოლებს მასწავლებლები ეყოლებათ."

ლევან ბერიძემ დაითანხმა მშობლები, რომელთა შვილებმა – მახმუდ ბოლქვაძემ და ნური მამულაძემ, სწავლა დაიწყეს ხიხაძირის საშუალო სკოლაში. 1944 წელს აღნიშნული სკოლის X კლასი ექვსი მოსწავლიდან ოთხმა დაამთავრა: მახმუდ ბოლქვაძემ, ნური მამულაძემ, ზურაბ მამულაძემ (კალოთა) და ვიქტორ ცეცხლაძემ (სკვანა). იმავე წელს, მახმუდ ბოლქვაძე ჩაირიცხა ქ. ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის გეოგრაფიის სპეციალობაზე. სამწუხაროდ, ოჯახური პირობების გამო მან ინსტიტუტი ვერ დაამთავრა.

ნანი გუგუნავა წიგნში – „მემედ აბაშიძე განმანათლებელი" – წერს: „1944 წელს თხილვანის დაწყებითი კლასების მასწავლებლად დაინიშნა

მახმუდ ბოლქვაძე. იგი პირველი ადგილობრივი კადრი იყო. მაშინ ჭირდა გოგონების სკოლაში ჩაბმა. მისი მოსვლის შემდეგ ქალთა სწავლით დაინტერესების მაჩვენებელი ამაღლდა. 1952 წელს მახმუდ ბოლქვაძის მოსწავლეებმა, ფატი და შადიე მამულაძეებმა, სურიე ცეცხლაძემ, ემინე მიქელაძემ დაამთავრეს თხილვანის შვიდწლიანი სკოლა და სწავლა ხულოს პედაგოგიურ სასწავლებელში გააგრძელეს. ოთხი წლის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ სოფელში და სკოლებში დაიწყეს მასწავლებლად მუშაობა.

მახმუდ ბოლქვაძემ თხილვანის საშუალო სკოლაში 1985 წლამდე იმუშავა. ის იყო თავისი საქმის პროფესიონალი, ახალგაზრდობის დამრიგებელი და ორგანიზატორი. მისი მოსწავლეები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სწავლისადმი დიდი სიყვარულით. ბავშვებისთვის საყვარელი, კეთილშობილი პედაგოგი საგულდაგულოდ ემზადებოდა ყოველი გაკვეთილისთვის, ღრმად აანალიზებდა პროგრამულ საგაკვეთილო მასალას, მისი ყველა გაკვეთილი იყო აღმზრდელობითი ხასიათის, სწავლებაში ნერგავდა პედაგოგიური გამოცდილების ახალ-ახალ მეთოდებს. მონაწილეობას ღებულობდა რაიონულ და რესპუბლიკურ „პედაგოგიურ კითხვებში“. მიღებული ჰქონდა შესაბამისი დიპლომები და სიგელები.

2011 წელს გამოიცა ხულოს რაიონის განათლების განყოფილების ყოფილი მეთოდისტის, ცნობილი ჟურნალისტის, იოსებ ჯორბენაძის წიგნი „აჭარის მთიანეთის ამაგდარნი“. მასში ასახულია გასულ საუკუნეში და ამჟამადაც აჭარის მთიანეთში, კერძოდ, ხულოს რაიონში მოღვაწე, განათლების, კულტურის, ხელოვნების, მხატვრული სიტყვის, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა დარგის წარმომადგენლების დამსახურება. ავტორი სათაურით „ახალგაზრდობის გზის გამკვალავი“, მახმუდ ბოლქვაძის შესახებ წერს: „ის იყო ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ახალგაზრდობის აღზრდას დაუკავშირა, ცხოვრობდა და სუნთქავდა მხოლოდ სკოლით. დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ემსახურა სახალხო განათლების განვითარებას, ბევრი ახალგაზრდა აღზარდა და დააკვალიანა. მის აღზრდილთა შორის არიან ექიმები, მასწავლებლები, აგრონომები, ეკონომისტები და სხვები. დიდია მახმუდ ბოლქვაძის, როგორც ამ სოფლის პირველი ადგილობრივი კადრის, დამსახურება მშობლიურ კუთხეში განათლების განვითარების საქმეში. სოფელში მოსული სტუმრის პირველი მასპინძელიც ის იყო. სკოლაში მივლინებულ მასწავლებელთა დიდი ნაწილი მის ოჯახში იდებდა ბინას.“

თინა კუკულაძე ყოველთვის დიდი სიყვარულით და პატივისცემით მოიგონებდა ხოლმე მახმუდ ბოლქვაძეს და მის სტუმართმოყვარე მეუღლეს, ქალბატონ ნიგარს. თინა კუკულაძემ მეუღლესთან, დავით ღლონტთან ერთად, რამდენიმე წელი იცხოვრა მახმუდის ოჯახში. მაშინდელი მათი სიყვარული და პატივისცემა დღეს შვილებზე და შვილისშვილებზეა გადასული.

სერგო დუმბაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: „თხილვანის სკოლაში დირექტორად მუშაობის დროს ბინაში მოვეწყე

მახმუდის ოჯახში. მე და ჩემი მეუღლე ლამარა ჯაიანი ამ ოჯახში თავს შინაურ წევრებად ვთვლიდით. მახმუდი იყო მოსწავლეთა არა მარტო მასწავლებელი, არამედ საუკეთესო აღმზრდელიც. ვისმენდი მის გაკვეთილებს და სიამოვნებას ვგრძნობდი. ბავშვების ღიმილიანი და ცოცხალი მზერა მარწმუნებდა, რომ ისინი კმაყოფილი იყვნენ. მახმუდი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა პედაგოგიურ კოლექტივში და ასევე სოფლის მოსახლეობაში. იგი არა მარტო სკოლისთვის მზრუნველი, არამედ სოფლის კეთილი საქმეების მოთავეც იყო. მისი უშუალო ხელმძღვანელობით, 1976 წელს, ზედა თხილვანაში ექვსი კილომეტრიდან გამოიყვანეს სასმელი წყალი. სოფლის მოსახლეობა დღესაც მადლიერების გრძნობით იგონებს ამ კეთილი საქმის მოთავეს. იმ წელს ხულოს რაიონულ გაზეთში დაიბეჭდა შოთა ბოლქვაძის პირველი სტატია „მახმუდის წყარო“, რითაც დაიწყო მისი თანამშრომლობა ამ გაზეთთან და იგი გრძელდებოდა მის გარდაცვალებამდე.

1985 წელს სოფელ თხილვანიდან ორმოცდაათზე მეტი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ასპინძის რაიონის სოფელ მტკვარში (მირაშხანში), მათ შორის იყო მახმუდის ოჯახიც. მისი თაოსნობით ამ სოფელში მალე დაწყებითი სკოლა გაიხსნა, რომელიც შემდეგ საშუალო სკოლად გადაკეთდა. სკოლის შენობა ჩასახლებული მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით აიგო. ამ სოფლის დღევანდელი მოსახლეობა დიდი პატივით და მადლიერებით იგონებს პირველ მასწავლებლებს – მახმუდ ბოლქვაძეს და ნური მამულაძეს.

ნაყოფიერი და წარმატებული მუშაობისათვის მ. ბოლქვაძეს მიღებული ჰქონდა არაერთი ჯილდო, მედალი და სიგელი, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის სიყვარული და მოგონებებია, რომელიც მან თავის ყოფილ მოსწავლეებში და ხალხში დატოვა. ქვეყანას აღუზარდა 6 სასახელო შვილი: ლევანი, ჯემალი და ნუგზარი საზოგადოებაში საკმაოდ ცნობილი პიროვნებები არიან, მათ ასახელეს მშობლები, სკოლაც და სოფელიც.



ლევანი



ჯემალი



ნუგზარი

თხილვანის საჯარო სკოლაში დაწესდა ღვაწლმოსილ და პატივმისაგებ მასწავლებელთა დღე. ყოველი წლის სექტემბრის ბოლო შაბათ დღეს ტარდება სასკოლო ღონისძიება, სადაც აღინიშნება ასეთი მასწავლებლების დამსახურება.

თხილვანის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2012 წლის 29 სექტემბრის დადგენილებით ამავე სკოლის ბიბლიოთეკას მიენიჭა პირველი ადგილობრივი მასწავლებლის – მახმუდ ბოლქვაძის სახელი.

მახმუდ ბოლქვაძე გარდაიცვალა 2005 წელს, 80 წლის ასაკში. დაკრძალულია სალიბაურში.

ხასან მამულაძე

ხასან მამულაძე დაიბადა 1929 წელს ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში.

დაამთავრა თხილვანის 8 წლიანი სკოლა (1944), ხიხაძირის საშუალო სკოლა (1948), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტი (1952). ის ერთ-ერთი პირველი უმაღლესდამთავრებულია სხალთა-ხიხანის ხეობაში. იგი თავისი სწავლით, საქმიანობით, ადამიანური თვისებებითა და ღირსებით მისაბაძი მაგალითი გახდა სოფლის, სკოლის ახალგაზრდობისთვის, ალბათ, ამითაც აიხსნება, რომ შემდგომში ახალგაზრდობა მასიურად დაეწაფა სწავლას, უმაღლესი განათლების მიღებას.

ბატონმა ხასანმა სკოლაში მუშაობის დაწყებიდან სულ მალე გაიცნო ახალგაზრდა პედაგოგი ნაზი ხარაზი, რომელთანაც შექმნა შეხმატკბილებული ოჯახი და ერთად გააგრძელეს მუშაობა და ცხოვრება თხილვანაში.

ბატონი ხასანი 1952-1959 წლებში მუშაობდა თხილვანის საშუალო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად. 1960 წლიდან იგი ოჯახით საცხოვრებლად გადამოვიდა ბათუმში და მუშაობა დაიწყო ხილეული წყლებისა და ლუდის ქარხანაში საამქროს უფროსად. 1966 წლიდან ამავე ქარხნის მომარაგება-გასაღების უფროსია, სადაც იმუშავა 1990 წლამდე. მუშაობის პარალელურად დაამთავრა საქართველოს კვების მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (1968 წელს) და პენსიაში გასვლამდე მუშაობდა ბათუმში კვების მრეწველობის ხარისხისა და დეგუსტაციის სახ-

ლის „იალქანის“ დირექტორად. 1992 წელს ხასან მამულაძე გავიდა პენსიაში.

მეუღლე, ნაზი ხარაზი გარდაიცვალა 1999 წელს. პედაგოგების ოჯახში აღიზარდა 3 შვილი: ლიანა – გერმანული ენის მასწავლებელი, ჯულიეტა – ინჟინერი, არჩილი (1958-1990) – ინჟინერი.

ოთარ მიქელაძე (1930-1986)



ბაკოში საშუალო განათლებამიღებული მეორე ახალგაზრდა, ასლან მიქელაძის შემდეგ, იყო ოთარ მიქელაძე. იგი დაიბადა 1930 წელს ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში.

დაამთავრა ბაკოს დაწყებითი, თხილვანის 8-წლიანი და ხიხაძირის საშულო სკოლა.

1951 წლის 20 აგვისტოდან დაინიშნა თხილვანის 8-წლიანი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად, სადაც მუშაობდა 1952 წლის 22 დეკემბრამდე, შემდეგ 3 წელი იმსახურა საბჭოთა არმიის რიგებში.

1951 წლის პირველ სექტემბერს იგი დაინიშნა ბაკოს დაწყებითი სკოლის რუსული ენის მასწავლებლად, 1954 წელს კი ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. მეორე კურსიდან გადავიდა დაუსწრებელ განყოფილებაზე და 1956 წლის 20 აგვისტოს მუშაობა დაიწყო ფურტიოს 7-წლიანი სკოლის რუსული ენის მასწავლებლად.

1957 წელს გადაიყვანეს თხილვანის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებლად, ხოლო 1958 წელს სათავეში ჩაუყენეს ბაკოს დაწყებით სკოლას. 1959 წლის 1 ნოემბერს იგი ბაკოს სოფლის თავკაცად დააწინაურეს, სადაც მხოლოდ 1960 წლის 17 იანვრამდე იმუშავა.

1960 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში (ახალშენში) და მუშაობა განაგრძო სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და ტრანსპორტის სისტემაში.

1985 წლის დეკემბერში იგი მოხვდა ავტოავარიაში, მიიღო მძიმე ტრავმა თავის არეში და 1986 წლის 14 იანვარს გარდაიცვალა.

განისვენებს ახალშენში.

ოთარი მიქელაძემ 56 წლის ასაკში დატოვა ოჯახი, მეუღლე – ფატი ჯაიანი-მიქელაძისა და 8 შვილი – 4 ვაჟი და 4 ქალიშვილი. დღეს ყველა დაოჯახებულია, აგრძელებენ მშობლების, ოჯახისა და გვარის ტრადიციებს.

ასლან მიქელაძე (1929-2012)



ხიხანის ფერდობზე შეფენილი მაღალმთიანი სოფელი ბაკო ზამთრობით თოვლის თეთრ მასაში იძირება, ზაფხულობით კი - ცის სილურჯესა და ხეხილთა სიმწვანეში.

ცხოვრობენ ბაკოელები, ამრავლებენ დოვლათს, მოჰყავთ ბოსტნეულის, სიმინდის, კარტოფილის, ხილის უხვი მოსავალი, ზრდიან პირუტყვს, ზრუნავენ სოფლის კეთილმოწყობისთვის... ძნელბედობის ჟამიც ჰქონიათ, უგზოობაც ახსოვთ და უსინათლობაც.

უზომოდ უყვართ ბაკოელებს ერთმანეთი, თანადგომით ძლევენ სიძნელეებს, უკეთესი პირობებისათვის იღვწიან, ერთმანეთზე აუგი არ დასცდებათ, სოფლის ამაგდართ კი ღირსეულად აქებენ, რომელთაგან დღეს გამორჩეულად იგონებენ განათლების დარგის ღვაწლმოსილ მუშაკს ასლან მიქელაძეს.

ასლან მიქელაძე ამ ლამაზ სოფელში დაიბადა 1929 წელს. 1941 წელს დაამთავრა ბაკოს დაწყებითი სკოლა. მალე ომიც დაიწყო და ამ სკოლის მასწავლებელი – ჩოხატაურელი ილია კალანდაძეც ფრონტზე გაიწვიეს, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. შემდეგ ასლანი თხილვანის სკოლაში სწავლობდა. მისი დირექტორი იყო შესანიშნავი პედაგოგი ლევან ბერიძე. ცალკეულ საგნებს ასწავლიდნენ ქეთო ბარამიძე, სულიკო ხოფერია, ომერ ომეროღლი, დურსუნ ბასილაძე, ხასან ქამადაძე. ასლანი კმაყოფილებით და სიამოვნებით იგონებდა თავის მასწავლებლებს და აღნიშნავდა მათ დამსახურებას მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისა და სოფლის მოსახლეობის წინაშე.

1945-1949 წლებში ასლან მიქელაძე ხიხაძირის საშუალო სკოლაში სწავლობდა, სადაც მას ასწავლიდნენ გამოცდილი მასწავლებლები სერგო ჯაიანი (სკოლის დირექტორი), რევაზ გორგაძე, შემდეგში ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი, აგრაფინა ჩავლეიშვილი, ქეთო სვანიძე, ნინა პავლოვა, გიორგი კოსტავა, გიორგი კვაჭაძე, მიხეილ ზაქარაძე, დურსუნ გაბაიძე, ხასან სირაბიძე და სხვები.

1949 წელს ასლან მიქელაძემ წარმატებით ჩააბარა გამოცდები და მიიღო სიმწიფის ატესტატი. მასთან ერთად საშუალო სკოლა დაამთავრეს თოფუზ ბერიძემ, მეჯიდ გაბაიძემ, ახმედ გაბაიძემ, მუსტაფ მახარაძემ, მუხამედ სურმანიძემ, ხასია სურმანიძემ და ერეკლე ჯიბლაძემ.

ასლანს პედაგოგის საპატიო პროფესია პირველი მასწავლებლის ილია კალანდაძის შესანიშნავმა გაკვეთილებმა აარჩევინა. „მე ჩემს მასწავლებლებს მივბაძე, – ხშირად იტყოდა ასლან მიქელაძე, – მათი ნაღვაწი შუქურასავით მინათებდა ჩემი პედაგოგიური საქმიანობის გზას. მაშინ მთავარი მოთხოვნა, ცოდნასთან ერთად, პასუხისმგებლობა იყო, სხვანაირად საქმე წინ ვერ წავიდოდა. ჩემშიც მთავარი მომთხოვნელობა და შრომისმოყვარეობაა.“

ასლან მიქელაძემ 1954 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ქიმია-ბიოლოგიის სპეციალობით და პირველი პედაგოგიური ნათლობა მშობლიური ხიხაძირის საშუალო სკოლაში მიიღო, შემდეგ თხილვანის საშუალო სკოლაში განაგრძო მუშაობა, სადაც1969 წლამდე იღვაწა.

1957-1958 სასწავლო წელი თხილვანის საშუალო სკოლის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი და გამორჩეული იყო. სკოლაში პირველად უნდა ჩატარებულიყო სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდები. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ლევან გაბაიძის თავკაცობით ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ მეათე კლასის ყველა მოსწავლეს წარმატებით დაეძლია სასწავლო პროგრამა, ჩაებარებინა გამოცდები და მიეღო საშუალო განათლების ატესტატი. „მასწავლებლები ნაზი ხარაზი, ხასან მამულაძე, დავით ღლონტი, ვაჟა დოლიძე, ნევრო როყვა, თინა კუკულაძე, ნადიმ გათენაძე, გრიგოლ დუაძე, იოსებ ქამაშიძე, ოთარ მიქელაძე, გოგუცა შეყილაძე და მათთან ერთად მეც, – იგონებდა ასლან მიქელაძე, – დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან ვმუშაობდით დამატებით, ზოგიერთი მოსწავლე მასწავლებლებს სახლშიც აკითხავდა, ყველა დაუზარელად ვმუშაობდით, რამაც შედეგი გამოიღო, თერთმეტივე მოსწავლემ კარგად ჩააბარა გამოცდები და მიიღო საშუალო განათლების ატესტატი“. ამ მოსწავლეთაგან ლამარა აბულაძემ, ალექსანდრე დუაძემ, ჟუჟუნა მამულაძემ და ვალერიან მამულაძემ სწავლა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძეს, იოსებ მიქელაძე, აკაკი დუმბაძე თბილისში გახდნენ სტუდენტები, დანარჩენებმა კი პროფესიული განათლება მიიღეს. ახალი სასწავლო წლის დამდეგს სკოლის დირექციამ თერთმეტივე კურსდამთავრებული სკოლაში მიიწვია და მათ ფასიანი საჩუქრები გადასცა. ეს იყო ამაღელვებელი შეხვედრა პედაგოგიური კოლექტივისა და ყველა მოსწავლისათვის. თხილვანის სკოლა, ხიხაძირის სკოლასთან ერთად ერთ-ერთი მოწინავე იყო რაიონის მასშტაბით. მაშინ ამ სკოლებს „დიმიტრის და ლევანის სკოლებს“ ეძახდნენ.

ასლან მიქელაძემ რაიონში მოწინავე პედაგოგისა და აღმზრდელის სახელი მოიპოვა. თანასოფლელებმა ის ორჯერ აირჩიეს ბაკოს კოლმეურნეობის თავკაცად. მან სამეურნეო სფეროშიც ისახელა თავი. ბაკოს კოლეურნეობა მისი თავკაცობის დროს გადაჭარბებით ასრულებდა გეგმავალდებულებებს, იზრდებოდა სოფლის მოსახლეობის ფულადი შემოსავალი, სოფლად შენდებოდა ახალი ოდა-სახლები, თანასოფლელები ემადლიერებოდნენ სოფლის ხელმძღვანელს.

1969 წელს ასლან მიქელაძე ხიხაძირის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარად დააწინაურეს, სადაც უცვლელად 22 წელი იმუშავა. ამ თანამდებობაზე ყოფნისას მან თავი გამოიჩინა როგორც სამართლიანმა, პრინციპულმა და ჰუმანურმა ადამიანმა. მისი მუშაობის პერიოდში ხალხში იყო დიდი ენთუზიაზმი, ისინი ხალისით მონაწილეობდნენ სოფლის მშენებლობაში. ასე აიგო ხიხაძირის, კალოთის, მთისუბნის, ბაკოს საშუალო და რვაწლიანი სკოლების კაპიტალური მაღაზიების შენობები, ხიხაძირის კულტურის სახლი წარმატებით მონაწილეობდა მხატვრულ დათვალიერებებსა და ფესტივალებში. ხიხაძირის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების მოსახლეობა, სკოლების პედაგოგიური კოლექტივები და მოსწავლე ახალგაზრდობა გვერდში ედგა მესაზღვრეებს. აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფო საზღვრის დაცვაში. ხიხაძირის სასოფლო საბჭოს აქტივს არაერთი გულთბილი შეხვედრა ჰქონია მესაზღვრეებთან, არაერთხელ აუტანიათ მათთვის საჩუქრები, ეწყობოდა სპო-რტული და მხატვრული შეხვედრები, რის გამოც მესაზღვრეები ემადლიერებოდნენ ასლან მიქელაძეს და მის აქტივს. მათ მესაზღვრეებისაგან არაერთი მადლობა მიუღიათ, დაჯილდოებულან მედლებით და საპატიო სიგელებით, მესაზღვრეებისა თუ ხიხაძირის საბჭოს მშრომელების ურთიერთობის შესახებ არაერთი სტატია დაწერილა რესპუბლიკურ და მესაზღვრეთა პრესაში.

სხალთა-ხიხანის ხეობაში საფუძველი დაედო სახალხო დღესასწაულს „ტბელობას“. დღესასწაულის დღეებში ხიხაძირში არაერთი სტუმარი ჩამოსულა. ასლან მიქელაძე, როგორც თავკაცი, ყველა მათგანს გულთბილად ხვდებოდა, ოჯახშიც მასპინძლობდა. „ხიხაძირის ხეობა ისტორიულად მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით. მათი სიყვარული და შესწავლის სურვილი მოსწავლეობის პერიოდში ჩამენერგა, – ამბობდა ასლანი. – მასწავლებლებთან ერთად, ხშირად ავდიოდით ხიხანის ციხეზე, ვამაყობდი „დანგრეული ნაშთებით“. წარსულში აქ ცხოვრობდნენ და ქვეყნის ისტორიას ქმნიდნენ აბუსერისძეები და ხიმშიაშვლები. ათ წელზე მეტ ხანს აჭარას განაგებდა შერიფ ხიმშიაშვილის დედა დუდი-ხანუმ ბეჟანიძე. მამაჩემის მამიდა მესუდე ხანუმი შერიფ ხიმშიაშვილის მეუღლე იყო. იგი დიდი ქველმოქმედი და მეცენატი ქალბატონიც გახლდათ. მისი და მისი შვილის თემურ-ბეგის თაოსნობით 1916 წელს თხილვანაში პირველი ქართული სკოლა გაიხსნა. ვამაყობ ჩემი ხეობის ისტორიული წარსუ-

ლით და მიხარია, რომ ამ ხეობაში ჩამოსულ სტუმრებს ხშირად მეგზურობას ვუწევდი“.

ასლან მიქელაძემ, სხვებთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღო 1996 წელს თხილვანის სკოლის ოთხმოცი წლის საიუბილეო ღონისძიების მომზადებასა და ჩატარებაში. იგი ამ თარიღთან დაკავშირებით დაჯილდოვდა აჭარის განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით.

ასლანი სულით და გულით გახარებული იყო, რომ სოფელ ბაკოს ახალგაზრდობის ინიციატივით კიდევ ერთ სახალხო დღესასწაულს „სელიმობას“ ჩაეყარა საფუძელი. „ახალგაზრდობა, რომელიც წარსულს და მის წინაპრებს არ ივიწყებს, უკეთეს აწყმოსა და მომავალს ააშენებს“ – მოძღვრავდა ღვაწლმოსილი პედაგოგი ახალგაზრდობას, – მიხარია, რომ ბაკოს სკოლას ეროვნული გმირის სელიმ ხიმშიაშვილის სახელი ეწოდა“.

ასლან მიქელაძე თავისი შრომითი მოღვაწეობის გრძელ გზაზე მრავალ რესპუბლიკურ ღონისძიებას თუ ფორუმს დასწრებია, ურთიერთობა ჰქონია საინტერესო ადამიანებთან. იგი იყო ხულოს რაისაბჭოს სამი მოწვევის დეპუტატი. მისი გამოსვლები სესიებზე, პლენუმებზე, აქტივის კრებებზე თუ სხვა რაიონულ შეკრებებზე გამოირჩეოდა პირდაპირობით, პრინციპულობით. ხშირად აყენებდა ხელმძღვანელების წინაშე სოფლის საჭირბოროტო საკითხებს. რაიონულ აქტივს, ხელმძღვანელობას სჯეროდათ მისი, უყვარდათ და აფასებდნენ, მხარს უჭერდნენ. ასლან მიქელაძის საოჯახო არქივს, საგვარეულო მემკვიდრეობასთან ერთად, ამშვენებს მუშაობის პერიოდში მიღებული მრავალი ჯილდო, არაერთი მედალი, სიგელი და დიპლომი, სამახსოვრო სუვენირები. მათში ასახულია მისი მფლობელის სახელოვნად და პატიოსნად განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა.

2009 წლის 15 თებერვალს ქალაქ ბათუმში, განათლების მუშაკთა მუზეუმში შეიკრიბა აჭარის ინტელგენციის წარმომადგენლობა, სხალთა-ხიხანის ხეობის მოსახლეობა. მათ ჯეროვანი პატივი მიაგეს და საქვეყნოდ აღნიშნეს ღვაწლმოსილი ადამიანის – ასლან მიქელაძის და მასთან ერთად, ბაკო-თხილვანის სკოლებში მოღვაწე მასწავლებლების – ლეონინა არჯევანიძის, თინა კუკულაძის, გივი თოდრიას დამსახურება და ღვაწლი მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში.

თხილვანელ ფატი მამულაძესთან ერთად, ასლან მიქელაძეს ჰქონდა სანიმუშო ოჯახი. ფატი მამულაძემ, ერთ-ერთმა პირველმა, სხვა თანასოფლელ გოგონებთან ერთად, დაამთავრა ხულოს ქალთა პედაგოგიური სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო ქვედა თხილვანის სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად, შემდეგ პენსიაში გასვლამდე მუშაობდა ბაკოს სკოლაში. მინიჭებული ჰქონდა აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ლეონინა არჯევანიძე, თინა კუკულაძე, ასლან მიქელაძე

ამ შესანიშნავ ოჯახში აღიზარდა 5 შვილი: თემური, ნათელა, ნუგზარი, ემზარი და ნანა. ხუთივემ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება მიიღო, შექმნეს ოჯახები, დაფუძნდნენ ბათუმში და დღეს ყველა მათგანს თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის აღმშენებლობით საქმიანობაში.

ყოფილმა მოსწავლეებმა, კოლეგებმა, თანასოფლელებმა 1997 წელს ბათუმში მოუწყვეს შეხვედრა და დიდი პატივით აღნიშნეს მისი დამსახურება ახალგაზრდობის, სოფლის, ქვეყნის წინაშე.

ასლან მიქელაძე 2012 წელს გარდაიცვალა, ხოლო მისი მეუღლე ფატი მამულაძე 2014 წელს. ორივეს ღვაწლი და ამაგი აისახა მათ შესახებ გამოქვეყნებულ ნეკროლოგებში (გაზ. "აჭარა", 2012, 2014...) და ნ. ბასილაძის წიგნში "ერისა და ქვეყნის მსახურნი", (ბათუმი, 2015, გვ. 374-375 და 392-393).

სხალთა-ხიხანის მოსახლეობას, მოსწავლე ახალგაზრდობას მუდამ ემახსოვრებათ ასლან მიქელაძე, მისი კაცურკაცობა და ოჯახის სტუმართმოყვარეობა, მისი მეუღლის მიერ გაწყობილი სუფრა. ასლანისნაირ ადამიანებზე ამბობენ, რომ ის ქვეყნიდან ვალმოხდილი წავიდაო. წუთისოფელს რომ კაცად შერჩე – ესეც დიდი ვაჟკაცობა და გმირობაა დიდი.

ლამარა აბულაძე

ლამარა აბულაძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც თხილვანის საშუალო სკოლა დაამთავრა და მასწავლებლად იმუშავა მშობლიურ სკოლაში. იგი თხილვანის სკოლის პირველი გამოშვების სკოლადამთავრებულია.

ლამარა აბულაძემ 1958 წელს დაიწყო მასწავლებლობა თხილვანის საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში. ბუნებრივია, მას არ გააჩნდა გამოცდილება, მაგრამ უფროსი კოლეგები დაეხმარნენ და თანდათან საქმეს თავი გაართვა. მუშაობის პარალელურად დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველ-ლის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკათა ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება. პრაქტიკულ მუშაობას თეორიული ცოდნაც დაემატა და მოწინავე პედაგოგად ჩამოყალიბდა. მის მიერ აღზრდილი და დაკვალიანებული მრავალი თაობა გავიდა ცხოვრების ფართო გზაზე.

ახლა ლამარა აბულაძე პენსიონერია და ცხოვრობს დაბა ხელვაჩაურში. მეუღლე ადრე გარდაეცვალა, ჰყავს ერთი ქალიშვილი.

ალექსანდრე დუაძე

ალექსანდრე დუაძე დაიბადა 1940 წლის 3 იანვარს ხულოს რაიონის სოფელ მთისუბანში, გლეხის ოჯახში.

მამა ადრე გარდაეცვალა და დედამ იკისრა მისი აღზრდა და სწავლა-განათლებაზე ზრუნვა.

დაწყებითი განათლება მიიღო სოფელ მთისუბნის დაწყებით სკოლაში. შემდეგ სწავლა განაგრძო თხილვანის რვაწლიან სკოლაში, რომელი 1958 წელს დაამთავრა. ის არის ამ სკოლის პირველი გამოშვების კურსდამთავრებული. იმავე 1958 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მა-

თემატიკის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე და გახდა სტუდენტი.

1962 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. დემობილიზების შემდეგ, 1965 წელს სწავლა განაგრძო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელიც 1970 წელს დაასრულა. პარალელურად მუშაობდა თხილვანის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

1972 წლიდან მუშაობა დაიწყო მთისუბნის რვაწლიან სკოლაში. 1977 წლის მარტიდან დაინიშნა ამ სკოლის დირექტორად, სადაც იმუშავა ოცდაოთხი წელი. შემდეგ მუშა-ობდა რიგით მასწავლებლად. არის პირველი კატეგორიის მასწავლებელი. აქვს პედაგოგიური საქმიანობის ორმოცდაათი წლის სტაჟი, მინიჭებული აქვს შრომის ვეტერანის წოდება. დაჯილდოებულია აჭარის განათლების სამინისტროსა და საქართველოს განათლების სამინისტროს ქების სიგელებით.

ამჟამად არის პენსიონერი, ცხოვრობს ქალაქ ბათუმში.

ჰყავს მეუღლე და ხუთი შვილი.

ნოდარ მამულაძე



ნოდარ მამულაძე დაიბადა 1942 წელს ხულოს რაიონის სოფელ ქვედა თხილვანაში.

1949 წელს სწავლა დაიწყო ქვედა თხილვანის დაწყებით სკოლაში, რომლს დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თხილვანის რვაწლიან სკოლაში. ამ პერიოდში სკოლა გადაკეთდა საშუალოდ და 1960 წელს მან დაამთავრა საშუალო სკოლის სრული კურსი. იგი არის მესამე გამოშვების კურსდამთავრებული.

როგორც წარჩინებული მოსწავლე, ნოდარ მამულაძე ამ სკოლაში დაინიშნა ფიზიკა-ქიმიის კაბინეტის ლაბორანტად, სადაც იმუშავა 31 წელი, 1998 წლამდე მუშაობდა თხილვანის კოლმეურნეობაში რიგით წევრად, პურის საცხობის გამგედ, სოფლის ორგანიზატორად.

1998 წელს ნოდარ მამულაძე აირჩიეს ახლალგახსნილ თხილვანის თემის საკრებულოს წევრად, პირველ სხდომაზე კი აირჩიეს საკრებულოს

მდივნად. ამ მოვალეობას იგი ასრულებდა 2004 წლამდე, საიდანაც გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

სადაც კი მუშაობდა ნოდარ მამულაძე, ყველგან კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას, რის გამოც მას მოსახლეობა აფასებდა და პატივისცემით ეპყრობოდა.

ნოდარ მამულაძის ღირსეულ ოჯახში აღიზარდნენ წესიერი და პატიოსანი შვილები.

ნიკოლოზ დუმბაძე



ნიკოლოზ დუმბაძე დაიბადა 1937 წლის 20 ნოემბერს ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში, გლეხის ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა და ობლობაში შეუდგა სწავლა-განათლებას.

1945 წელს შევიდა ბაკოს დაწყებით სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თხილვანის რვაწლიან სკოლაში, რომელიც 1953 წელს დაამთავრა და გადავიდა ხიხაძირის საშუალო სკოლაში, რომელიც 1956 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა და იმავე წელს უგამოცდოდ ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსულ განყოფილებაზე.

ინსტიტუტი ნ. დუმბაძემ 1961 წელს დაამთავრა და მიენიჭა რუსული ენის, ლიტერატურისა და გერმანული ენის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

1961 წლის 20 აგვისტოდან მუშაობა დაიწყო სპეციალობის მიხედვით ხულოს რაიონის თხილვანის საშუალო სკოლის მასწავლებლად.

1962 წლის 11 მაისს აირჩიეს საქართველოს კომკავშირის ხულოს რაიკომის მეორე მდივნად. ამ დროს, რაიონის განათლების განყოფილების თხოვნით, შეთავსებით იმუშავა გერმანული ენის მასწავლებლად ალექსანდრე ქონიაძის სახელობის ხულოს საშუალო სკოლაში. 1965 წლის 1 იანვრიდან ნ. დუმბაძე გადაჰყავთ საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად. შემდეგ აწინაურებენ ჯერ რაიკომის მდივნის თანაშემწედ, ხოლო შემდგომ – პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ.

1974 წლის 1 იანვრიდან ნ. დუმბაძე დაინიშნა ხულოს რაიონული გაზეთის – „კოლექტიური შრომის“ რედაქტორის მოადგილედ, შემდეგ კი

იყო გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიას“ საკუთარი კორესპონდენტი ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებში.

1976 წლის 20 ნოემბრიდან სამუშაოდ გადამოდის ქალაქ ბათუმში და მუშაობას იწყებს ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგედ, მოგვიანებით ინიშნება საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიული კომიტეტის საერთო განყოფილების გამგედ. იყო შორეული ნაოსნობის გემის კაპიტნის პირველ თანაშემწე. 1978 წლის 1 სექტემბრიდან 1986 წლის 21 თებერვლამდე მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგედ.

1986 წლის 21 თებერვლიდან 1992 წლის 10 ივნისამდე იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე.

1992 წლის 11 ივნისიდან 2000 წლის 24 თებერვლამდე მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსად.

2000 წლის 24 თებერვლიდან ინიშნება ქალაქ ბათუმის საკრებულოსა და მერიის აპარატის უფროსად.

მისი დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთ „აჭარის“ რედაქტორის მოადგილე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი სერგო კაკაურიძე წერდა: „ამდენი ადგილი, სპორტულ ტერმინს თუ ვიხმართ, მოხეტიალე ფორვარდივით იმიტომ კი არ მოიარა, რომ ერთგან თავს ვერ ართმევდა საქმეს, უფრო იმიტომ, მეორეგან იყო საჭირო.“

სხვებთან ერთად დააფუძნა შპს „ოლიმპია“ და 2004-2009 წლებში მუშაობდა დირექტორად, იყო თარჯიმანი და პედაგოგი უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების აჭარის განყოფილებაში, სადაც ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. ის არის მრავალი საიუბილეო ღონისძიების, შეხვედრის, დღესასწაულის ჩატარების ინიციატორი და მოთავე.

საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად, ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას. მისი სტატიები, ნარკვევები სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში: „საქართველოს კომუნისტი“, „საქართველოს აგიტატორი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „აღორძინება“, „აჭარა“ და სხვა. მან პუბლიცისტურ საქმიანობაშიც გამოავლინა ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა. არის ხუთი წიგნის ავტორი, ორის – თანაავტორი, ორი წიგნის რედაქტორი, ოთხის – რეცენზენტი. ორჯერ აირჩიეს ხულოს რაიონული საბჭოს, ერთხელ – ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

დაჯილდოებულია სამი მედლით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აჭარის განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ექვსი შვილიშვილი.

სოლომონ თურაძე (1937-2016), მაყვალა ხალვაში



სოლომონ თურაძე დაიბადა 1937 წელს ხულოს რაიონის სოფელ მთისუბანში, პატიოსანი, მშრომელი მშობლების ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა, ობლად დარჩენილი სოლომონი და მისი სამი და დედამ გაზარდა, მზრუნველობას არც ბიძა და ახლობლები აკლებდნენ.

1949 წელს სოლომონმა წარჩინებით დაამთავრა დაწყებითი სკოლა და სწავლა განაგრძო თხილვანის რვაწლიან სკოლაში. აქაც თავი გამოიჩინა წარჩინებული სწავლით და 1953 წელს, სამ თანაკლასელთან ერთად, სწავლა განაგრძო ხიხაძირის საშუალო სკოლაში. შრომისმოყვარეობით, ნიჭიერებით, და სანიმუშო ყოფაქცევით მან პედაგოგ-აღმზრდელთა ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა. განსაკუთრებით გამოიკვეთა მისი მიდრეკილება მათემატიკისადმი, ამიტომაც 1956 წელს წარმატებით ჩაატარა მისაღები გამოცდები და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. სოლომონი ინსტიტუტში კარგად სწავლობდა, აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო წრეების მუშაობასა და ცხოვრებაში.

1961 წელს წარმატებით დაამთავრა ინსტიტუტი და განაწილებით მუშაობა დაიწყო ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად თხილვანის საშუალო სკოლაში. იმავე წლის ნოემბერში გაიწვიეს ჯარში. უკან დაბრუნებულმა კვლავ დაიწყო სპეციალობით მუშაობა მშობლიურ საშუალო სკოლაში. ცოტა ხანში დააწინაურეს დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. იგი გულდასმით ემზადებოდა ყოველი გაკვეთილისთვის, ზრუნავდა მოსწავლეთა აქტიურობის ამაღლებისა და კარგი აკადემიური წარმატების მიღწევისათვის.

სოლომონ თურაძემ სტუდენტობის პერიოდში ამოირჩია თავისი გულისსწორი, კარგ ოჯახში გაზრდილი ქალიშვილი, მაყვალა ხალვაში. დაქორწინების შემდეგ ერთად დაიწყეს მუშაობა თხილვანის საშუალო სკოლაში.

1972 წელს მისი მშობლიური მთისუბნის დაწყებითი სკოლა გადაკეთდა რვაწლიანად და ცოლ-ქმარი იქ გადავიდა სამუშაოდ – სოლომონი ფიზიკა-მათემატიკის, მაყვალა დაწყებითი კლასების მასწავლებლად. ამ სკოლაშიც ნაყოფიერად იმუშავეს და კეთილსინდისიერად მოემსახურნენ თანასოფლელთა ბავშვებს, დაიმსახურეს მათი სიყვარული და პატივისცე-

მა. ერთხანს სოლომონს აქ სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობაც მიანდეს.

სოლომონმა და მაყვალამ იმთავითვე ფუძემაგარი ოჯახი შექმნეს, ქვეყანას აღუზარდეს ხუთი სასახელო შვილი. უფროსი ვაჟი ინჟინერია და მუშობს ქ. ბათუმში, მშენებლობაზე, უმცროსი – როინი იყო ამავე სკოლის დირექტორი, შემდეგ დააწინაურეს და იმუშავა თხილვანის საკრებულოს გამგებლად, ამჟამად ისევ სკოლაში მასწავლებლობს. ქალიშვილებს შექმნილი აქვთ სანიმუშო ოჯახები, ჰყავთ ქმარ-შვილი და თავიანთი ქცევითა და შრომით საზოგადოებაში სარგებლობენ კარგი ავტორიტეტით.

სამწუხაროდ, სოლომონ თურაძე 2014 წელს გარდაიცვალა. მაყვალა თავის ერთ ქალიშვილთან ერთად განაგრძობს პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიხეილ გაბაიძე, ნაზი ჯაიანი



მიხეილ გაბაიძე დაიბადა 1958 წელს ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში. 1943 წელს მისი მშობლები საცხოვრებლად გადავიდნენ სოფელ თხილვანის მოსაზღვრე უბანში – მერეში. 1958 წელს მიხეილ გაბაიძემ დაამთავრა თხილვანის საშუალო სკოლა.

მ. გაბაიძე 1958-1961 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1961 წელს დაინიშნა თხილვანის საშუალო სკოლაში სახელოსნოს გამგედ და შრომის მასწავლებლად, სადაც 1967 წლამდე დაჰყო.

1963 წელს მიხეილ გაბაიძემ შექმნა ოჯახი. მისი მეუღლე გახდა ნაზი ჯაიანი, სოფელ სკვანიდან. ნაზი ჯაიანმა 1963 წელს დაუსწრებლად დაამ-

თავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების, პედაგოგიკისა და მეთოდიკიბის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო თხილვანის საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად.

1967 წელს მიხეილ გაბაიძე ოჯახით საცხოვრებლად გადმოვიდა ქალაქ ბათუმში, სადაც წლების განმავლობაში მუშაობდა ავტოკოლონაში მძღოლად, ნაზი ჯაიანი კი ისევ აგრძელებდა პედაგოგიურ საქმიანობას თხილვანის საშუალო სკოლაში.

ნაზი ჯაიანი გარდაიცვალა 1999 წელს. მიხეილ გაბაიძე პენსიონერია, ცხოვრობს ქალაქ ბათუმში. მათ აღზარდეს სამი შვილი და შვიდი შვილიშვილი.

შოთა ქამაშიძე (1939-2013)



შოთა ქამაშიძე დაიბადა 1939 წლის 7 იანვარს ხულოს რაიონის სოფელ ქვედა თხილვანაში. დაამთავრა ქვედა თხილვანის დაწყებითი, თხილვანის 8-წლიანი და ხიხაძირის საშუალო სკოლები.

1958-1963 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, მიიღო ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაცია

1963 წლის სექტემბრიდან მუშაობა დაიწყო ქვედა თხილვანის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, 1971-1975 წლებში იყო ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ხოლო 1975-1981 წლებში – დირექტორი. 1983 წელს იგი თხილვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, 1986 წლიდან კვლავ თავის პროფესიას დაუბრუნდა და 1990 წლამდე მუშაობდა თხილვანის საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1990-1996 წლებში ქვედა თხილვანის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია, საიდანაც გავიდა პენსიაზე. იგი დაჯილდოებული იყო აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით და მინიჭებული ჰქონდა აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება. შოთა ქამაშიძის, როგორც დამსა-

ხურებული პიროვნების, პორტრეტი განთავსებულია თხილვანის ეთნოგრაფიული მუზეუმის საგამოფენო დარბაზში.

შოთა ქამაშიძემ 1959 წელს შექმნა ოჯახი, ქალბატონ ეთერთან ერთად აღზარდა და ცხოვრების გზაზე დააყენა 6 შვილი.

შოთა ქამაშიძე გარდაიცვალა 2013 წელს.

ლიანა მიქელაძე



ლიანა (მაია) მიქელაძე დაიბადა 1965 წლის 2 მარტს ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში.

1980 წელს დაამთავრა ბაკოს რვაწლიანი სკოლა, 1982 წელს თხილვანის საშუალო სკოლის სრული კურსი, იმავე წელს დაინიშნა ბაკოს რვაწლიან სკოლაში პიონერხელმძღვანელად, იმუშავა 2 წელი. 1984-1988 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკათა სპეციალობაზე.

1990 წელს მუშაობა დაიწყო ყვარლის რაიონის სოფელ თივში დაწყებითი კლასების მასწავლებლად. 1995-2013 წლებში მუშაობდა ბაკოს საჯარო სკოლაში. 2013 წლის 7 ივნისს დაინიშნა თხილვანის თემის რწმუნებულად, სადაც იმუშავა 2014 წლის ბოლომდე, პარალელურად აგრძელებდა პედაგოგიურ საქმიანობას ბაკოს საჯარო სკოლაში, სადაც მუშაობს დღემდე.

ჰყავს მეუღლე – სერგო გუნდაძე და ერთი შვილი.

ნიკოლოზ ბოლქვაძის (1937-2008) ოჯახი

ნიკოლოზ ბოლქვაძე დაიბადა 1937 წლის 25 აპრილს ხულოს რაინის სოფელ თხილვანაში. 1945 წლის სექტემბერში შევიდა თხილვანის 8-წლიანი სკოლსში. მერვე კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ხიხაძირის საშუალო სკოლაში, რომელიც 1955 წელს დაამთავრა. შემდეგ მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ მუშაობდა თხილვანის კოლმეურნეობაში მოლარე-მოანგარიშედ.



1965 წლიდან 1992 წლის ჩათვლით იყო თხილვანის საშუალო სკოლაში საქმეთა მმართველი და ტექნიკური შრომის მასწავლებელი.

გარდაიცვალა 2008 წლის 27 მაისს. დატოვა ოჯახი, მეუღლე, 5 შვილი და ორი შვილიშვილი.

მამის საქმე განაგრძო შვილმა – **ჯემალ ბოლქვაძემ**. იგი დაიბადა 1968 წლის 8 აგვისტოს ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში.



1975 წელს სწავლა დაიწყო თხილვანის საშუალო სკოლაში, 1986 წელს დაამთავრა სრული კურსი და გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ 1989 წლის იანვრიდან მუშაობდა თხილვანის საშუალო სკოლაში ჯერ დაწყებითი კლასების, ხოლო შემდეგ დაწყებითი სამხედრო სწავლების მასწავლებლად.

ჯემალ ბოლქვაძემ მაყვალა მამულაძესთან ერთად შექმნა ოჯახი.

მაყვალა მამულაძემ 1985 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა. 1985 წლიდან 1987 წლამდე სწავლობდა ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რომლის დაამთავრების შემდეგ აიღო ბუღალტრის დიპლომი და 1987 წლიდან მუშაობა დაიწყო კალოთის კოლმეურნეობაში მთავარ ეკონომისტად.

2001 წლიდან 2005 წლამდე სწავლობდა ბათუმის დამოუკიდებელ ინსტიტუტში დაწყებითი განათლების ფაკულტეტზე. 1990 წლიდან 2012 წლამდე მუშაობდა თხილვანის საშუალო სკოლაში დაწებითი კლასების მასწავლებლად.

ჰყავთ ორი შვილი – ასლანი და მინდია. ოჯახი აგრძელებს წინაპართა ტრადიციებს.

შუშანა ბოლქვაძე



შუშანა ბოლქვაძე დაიბადა 1947 წელს ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში. 1964 წელს დაამთავრა თხილვანის საშუალო სკოლა და, როგორც წარჩინებული კურსდამთავრებული, იმავე წელს დანიშნეს თხილვანის საკოლმეურნეო ბიბლიოთეკის გამგედ. პარალელურად იყო ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე და სოფლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი. 1970 წელს შუშანა ბოლქვაძემ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკათა ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1974 წელს.

1971 წელს შუშანა ბოლქვაძემ თავისი ბედი დაუკავშირა ფაჩხელ იაშა ბოლქვაძეს და იმავე წლიდან დაიწყო მასწავლებლად მუშაობა ამ სოფლის სკოლაში.

მისთვის დამახასიათებელია შრომისმოყვარეობა, ბავშვების სიყვარული და საქმისადმი პასუხისმგებლოური დამო-კიდებულება. მან შვილებიც ამ რწმენით გაზარდა, მათაც ასწავლა სწავლის, შრომის ყადრი. რვა შვილი გამოზარდა, კეთილი თვისებები შესძინა მათ და ყველას თავისი ადგილი მიუჩინა. უფროსმა ქალიშვილმა – ციცინომ თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, მუშაობს და ცხოვრობს დღეს სოფელ დიდაჭარაში. მეორე შვილმა – ციალამ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა, ცხოვრობს და მუშაობს ქედაში, მესამემ – ლეილამ ბიზნესის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა და მუშაობს ბათუმის საპენსიო ინსპექციაში იურისტად. იურისტია შოთაც და ჩაბმულია ბიზნესში. თემურიც იურისტია, მუშაობს აჭარის საგზაო სამმართველოში. თავიანთი გზა ასევე გაიკვლიეს ლუიზამ, მზიამ და ნაბოლარა რომანმა.

შუშანა მასწავლებელს უკვე ათი შვილიშვილი ჰყავს, ამიტომაც იგი თავს ბედნიერად გრძნობს.

შუშანა ბოლქვაძის პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ საინტერესოდ არის მოთხრობილი იოსებ ჯორბენაძის წიგნში „აჭარის მთიანეთის ამაგდარნი“ (თბილისი, 2011, გვ. 218-220).

შუშანა ბოლქვაძე, მიუხედავად პენსიაში ყოფნისა, დღესაც აგრძელებს მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს.

შოთა დუმბაძე (1948-2007), ნანული დუაძე (1947-2008)

შოთა დუმბაძე დიაბადა 1948 წელს ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში, საკმაოდ ცნობილი პიროვნების ოჯახში. მისი მამა – ზაქრო დუმბაძე სოფლის, გვარის მოწინავე წარმომადგენელი იყო, დედა – სუმბულ თურაძე კი შრომისმოყვარე, მზრუნველი, კეთილმეზობლური, მრავალი შვილის გამზრდელი ქალბატონი ბრძანდებოდა.

შოთა დუმბაძემ 1955 წელს დაიწყო სწავლა ბაკოს დაწყებით სკოლაში. შემდეგ სწავლა განაგრძო თხილვანის საშუალო სკოლაში, რომელიც 1965 წელს დაამთავრა და იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგია-ქიმიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. სწავლის პარალელურად მუშაობა დაიწყო ჯერ წაბლანის რვაწლიან, შემდეგ ვერნების რვაწლიან სკოლებში ბიოლოგიის მასწავლებლად. 1966 წელს სამუშაოდ გადავიდა თხილვანის საშუალო სკოლაში. 1969 წელს ცოლად შეირთო ყოფილი თანაკლასელი, იმჟამად სტუდენტი ნანული დუაძე.

1972 წელს ბაკოს დაწყებითი სკოლა გადაკეთდა რვაწლიანად და ცოლ-ქმარი იქ გადავიდა სამუშაოდ – შოთა ბიოლოგიის, ნანული კი დაწყებითი კლასების მასწავლებლად. ცოტა ხანში შოთა დააწინაურეს ჯერ სასწავლო ნაწილის გამგედ, შემდეგ დირექტორად.

შოთა დუმბაძემ დააგროვა საკმაო გამოცდილება, თავი გამოიჩინა როგორც სკოლის ორგანიზატორმა, პროფესიონალმა ხელმძღვანელმა და მოიპოვა კარგი ავტორიტეტი როგორც სკოლაში, ასევე სოფელში და რაიონში.

90-იან წლებში ბატონმა შოთამ ბათუმში შეიძინა პატარა სახლი მიწის ნაკვეთით და აქ დამკვირდა, ბიზნესსაქმიანობას მიჰყო ხელი. ამას-

თან, სოფელიც შეინარჩუნა. ეწეოდა ქველმოქმედებას, ეხმარებოდა ყველას, ვინც ამას საჭიროებდა. თავისი სახსრებით მან სასმელი წყალი მიიყვანა სოფლის სკოლაში, რითაც მოსწავლეების, მასწავლებლების და სოფლის მოსახლეობის მადლიერება დაიმსახურა. ეხმარებო-და თანასოფლელებს შაქრით, პურის ფქვილით და კვების სხვა პროდუქტებით. მის ქველმოქმედებაზე დაიწერა სამადლობელი სტატიები გაზეთ „აჭარაში“. შოთას ქველმოქმედებით და დახმარებით იმართებოდა ქორწილები, ხელს უწყობდა ახალგაზრდებს ახალი ოჯახის შექმნაში. შოთამ აქტიური მონაწილობა მიიღო თხილვანის სკოლის 80 წლისთავის აღნიშვნაში, სახალხო ზეიმ „ტბელობაში“.

ზებური

ზურაბი (ზურიკო)

ოჯახიც სანიმუშო ჰყავდა. მუდამ გვერდით ედგა განათლებული და სათნო მეუღლე ნანული დუაძე. მათ სასახელოდ აღზარდეს ოთხი შვილი, მიაღებინეს განათლება, დააფუძნეს და ცხოვრების სწორ გზაზე დააყენეს. შოთა შრომობდა და ქმნიდა დოვლათს, მაგრამ მის თავზე უბედურების ბორბალი დატრიალდა, 2007 წელს იგი ტრაგიკულად აღესრულა. ერთი წლის შემდეგ ქმარზე უზომოდ მგლოვიარე ნანულიც გარდაიცვალა. ორივე დაკრძალულია ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენში. შვილები, შვილიშვილები, რძლები სათუთად უფრთხილდებიან მათ სახელს.

ხასან ქამაშიძე (1935-2004)

ხასან შევეის ძე ქამაშიძე ეკუთვნის თხილვანის საშუალო სკოლა-დამთავრებულთა შორის იმ თაობას, ვინც პირველებმა დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი და წლების განმავლობაში ემსახურეს თავიანთი პედაგოგიური პროფესიონალიზმით მშობლიური მხარის ახალ-

გაზრდობის აღზრდის საშვილიშვილო საქმეს, ხეობის განათლებისა და კულტურის განვითარებაში შეიტანეს თავისი წვლილი.

ხასან ქამაშიძე დაიბადა 1932 წლის 17 თებერვალს აბუსერისძეთა და დავით მამულაძის (მისი ბიძა დედის მხრიდან) ნაფუძარზე – სოფელ ქვედა თხილვანაში, ზრდილ და პატიოსან, შრომისმოყვარე ოჯახში.

პირველი დაწყებითი განათლება მიიღო მშობლიური სოფლის დაწყებით სკოლაში. სწავლა განაგრძო თხილვანის 8-წლიან სკოლაში და საშუალო განათლება მიიღო ხიხაძირის საშუალო სკოლაში 1954 წელს.

როგორც საშუალო განათლებული, ხულოს კულტურის განყოფილებამ იგი დანიშნა თხილვანის კლუბის გამგედ.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მისაღები გამოცდები ჩააბარა და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად უნივერსიტეტი) დაწყებითი განათლების ფაკულტეტზე (დაუსწრებელი განყოფილება). სტუდენტობის წლებში მან იმსახურა ჯარში, ხოლო ინსტიტუტი დაასრულა ჯარის შემდეგ, 1958 წელს.

პირველი პედაგოგიური ნათლობა მიიღო მშობლიური ქვედა თხილვანის დაწყებით სკოლაში, შემდეგ გადაიყვანეს თხილვანის საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად.

1981 წლიდან საცხოვრებლად ოჯახით გადავიდა ქობულეთის რაიონის ოჩხამურის მეურნეობაში, მუშაობა იქვე, ჩოლოქის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად დაიწყო.

1990 წლიდან პენსიაში გავიდა, ჩაება ბიზნესში. იყო ხელგამართული ბიზნესმენი, ხელგაშლილი ქველმოქმედი, იცოდა გაჭირვებულზე და ავადმყოფზე დახმარება. იყო სტუმართმოყვარე და სამეგობრო პიროვნება.

ოჯახი შექმნა ადრეულ ასაკში, 1945 წელს თავისი ბედი დაუკავშირა თანასოფლელ ქალიშვილს, შუშანა (შადიე) რიფეთის ასულ ბეჟანიძეს. გაზარდეს 7 შვილი, 24 შვილიშვილი და 2 შვილთაშვილი.

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, ხასანი გარდაიცვალა. დასაფლავებულია ოჩხამურში. მას მალე გაჰყვა ერთგული მეუღლე. დარჩენილი შვილები და შთამომავლობა ღირსეულად იცავენ ოჯახისა და მშობლების ღირსებას და აგრძელებენ მშობლების სახელოვან ტრადიციებს.

აკაკი ქამაშიძე (1935-2004)



თხილვანელ უმაღლესდამთავრებულთა შორის, კეთილშობილებით, თავმდაბლობითა და უბრალოებით გამორჩეული პიროვნება იყო აკაკი ქამაშიძე. იგი დაიბადა 1935 წელს, ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში ივანე მახარობლის ეკლესიის მიმდებარე უბანში. დაამთავრა ქვედა თხილვანის დაწყებითი, თხილვანის 8-წლიანი და 1954 წელს – ხიხაძირის საშუალო სკოლა, რის შემდეგ მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური და უკონკურსოდ ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე. გეოგრა-ფიისადმი განსაკუთრებული სიყვარული ჯერ ნაზი მასწავლებელმა ჩაუნერგა თხილვანის 8-წლიან სკოლაში, შემდეგ კი – ხიხაძირის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ, ომის ვეტერანმა სკენდერ ბაჯელიძემ. სკენდერ მასწავლებელი, როგორც ომგადახდილი და მსოფლიომოვლილი პიროვნება, იმდენად პოპულარული იყო მოსწავლეებისთვის, რომ მისი სიყვარულით ბევრმა გეოგრაფია აიჩრია სპეციალობად; აკაკი ქამაშიძეც ერთ-ერთი მათგანი იყო.

ა. ქამაშიძემ პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და 1964 წელს მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის ვერნების 8-წლიან სკოლაში გეოგრაფია--ბიოლოგიის მასწავლებლად. 1965 წლის სექტემბრიდან დააწინაურეს მშობლიური თხილვანის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ საწარმოო სწავლების დარგში და ბიოლოგიის მასწავლებლად, 1966 წელს კი გადაიყვანეს დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

1968 წლიდან ქვედა თხილვანის 8-წლიან სკოლაში ასწავლიდა ქიმია--ბიოლოგიას. 1985 წელს სათავეში ჩაუყენეს თხილვანის კოლმეურნეობას. შემდეგ ისე პედაგოგიურ სარბიელს დაუბრუნდა და 1992-1995 წლებში ასწავლიდა ბიოლოგიას ქვედა თხივალნის საშუალო სკოლაში. 1995 წელს იგი კოლეგებმა გააცილეს დამსახურებულ პენსიაში.

აკაკი ქამაშიძე გარდაიცვალა 2004 წელს, განისვენებს მშობლიურ სოფელში. აღესრულა იგი ამა ქვეყნიდან, მაგრამ დატოვა კარგი ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, რომლებიც აგრძელებენ მშობლებისა და გვარის ტრადიციებს.

ილია აბულაძე, გუგული სურმანიძე

ილია აბულაძე დაიბადა 1944 წლის 11 სექტემბერს ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში, მრავალშვილიან ოჯახში.

1962 წელს დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა, რომლის შემდეგ იმსახურა არმიის რიგებში. დაბრუნებულმა მისაღები გამოცდები ჩააბარა და ჩაირიცხა ბათუმის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობაზე. 1968 წელს დაამთავრა აღნიშნული სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო თხილვანის საშუალო სკოლაში მხატვრული წრის ხელმძღვანელად, მუსიკისა და ხატვის მასწავლებლად. მან სკოლაში ჩამოაყალიბა სიმღერისა და ცეკვის გუნდი და წარმატებით გამოდიოდა ადგილობრივ და რაიონულ დათვალიერებებზე. ასევე წარმატებებს მიაღწია ცალკეული საგნების სწავლებაში, პედკოლექტივსა და მოსახლეობაში მოიპოვა კარგი ავტორიტეტი. მან თავის სპეციალობას აზიარა რამდენიმე ნიჭიერი მოსწავლე.

1968 წელში ცოლად შეირთო ქ. ბათუმში მცხოვრები, ტრადიციული ოჯახის შვილი, ტექნიკუმდამთავრებული გუგული ბეჟანის ასული სურმანიძე. რომელმაც ოჯახის შექ-მნის შემდეგ მუშაობა დაიწყო თხილვანის საშუალო სკოლაში ბიბლიოთეკის გამგედ. ქალბატონი გუგული მოსწავლეებში ეწეოდა წიგნის პროპაგანდას, ახდენდა საბავშვო წიგნების გარჩევა-განხილვას. შეთავსებით მუშაობდა, აგრეთვე, **სანიტარული საგნის** და შრომის მასწავლებლად.

ცოლ-ქმარი ილია აბულაძე და გუგული სურმანიძე ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს ქალაქ ბათუმში.

არსენ ქამაშიძე



არსენ ქამაშიძე დაიბადა 1943 წელს ხულოს რაიონის სოფელ ქვედა თხილვანაში.

დაამთავრა ქვედა თხილვანის დაწყებითი სკოლა (1956) და თხილვანის საშუალო სკოლა (1962). სკოლაში სწავლის დროს გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, მაღალი აკადემიური მოსწრებით, განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენდა მათემატიკური ციკლის საგნებისადმი.

1962 წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. მეორე კურსიდან გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ სწავლა განაგრძო პედაგოგიურ ინსტიტუტში იმავე ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1970 წელს. ამავე წლიდან მან მუშაობა დაიწყო თხილვანის საშუალო და ქვედა თხილვანის რვაწლიან სკოლებში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. თხილვანის საშუალო სკოლაში მუშაობდა 1987 წლის დეკემბრამდე, 1987 წლის 11 დეკემბერს დაინიშნა ქვედა თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორად. ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა 1995 წლის 12 თებერვლამდე. ეს იყო მისი დაოსტატების პერიოდი როგორც საგნის სწავლების, ისე სკოლის ხელმძღვანელობის თვალსაზრისით. მან საკმაო ცოდნა და ენერგია მოახმარა მშრომელი, კვალიფიციური პედაგოგიური კოლექტივის ჩამოყალიბებასა და სასწავლო პროცესის მიზანდასახულად წარმართვას. სათანადოდ ზრუნავდა აღსაზრდელთა აქტივობის ამაღლებისა და მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევისთვის და სასურველ შედეგსაც აღწევდა.

არსენ ქამაშიძე 1995 წელს საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში და პედაგოგიური საქმიანობა გააგრძელა ბათუმის №44 პროფესიულ სასწავლებელში ფიზიკის მასწავლებლად. 1997 წლიდან პენსიონერია. ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, ჰყავს ცოლი და 5 შვილი.

არსენ ქამაშიძე თხილვანის საშუალო სკოლის სანაქებო კურსდამთავრებულია.

ზურაბ ქამაშიძე

თხილვანის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შორის გამორჩეულია ასევე ზურაბ ქამაშიძე, რომელმაც პირველმა დაამთავრა

აღნიშნული სკოლა ოქროს მედალზე, შემდეგ მიიღო უმაღლესი განათლება და მათემატიკის მასწავლებლად დაუბრუნდა სოფელს, ემსახურა ახალგაზრდობის აღზრდას. ერთხანს თავკაცობდა სოფელსაც.

ზურაბ ქამაშიძე დაიბადა 1941 წელს ხულოს რაიონის სოფელ ქვედა თხილვანაში, შრომისმოყვარე ოჯახში.

1948 წელს სწავლა დაიწყო მშობლიური სოფლის დაწყებითი სკოლაში. მეოთხე კლასში იყო, როცა მშობლებთან ერთად (1951 წლის 26 დეკემბერს) გაასახლეს შუა აზიაში. 1953 წლის ივნისში რეაბილიტაციით დაბრუნდა სამშობლოში და 1953 წლის სექტემბრიდან სწავლა განაგრძო IV კლასში. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ გადა-ვიდა თხილვანის 8-წლიან სკოლაში.

1955 წელს თხილვანის 8-წლიანი სკოლა გადაკეთდა საშუალოდ და 1960 წელს ზურაბმა ეს სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. იგი იყო პირველი და ერთდაერთი მედალოსან საუკუნოვანი სკოლის ისტორიაში.

1961-1964 წლებში ზურაბი იხდიდა სავალდებულო სამხე-დრო სამსახურს. 1964 წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრებამდე, 1960 წელს, მან მუშაობა დაიწყო მათემატიკის მასწავლებლად. აქტიური და განათლებული ახალგაზრდა სოფელმა თავკაცად აირჩია (1976-1977 წწ.). 1977 წელს მან შრომითი საქმიანობა განაგრძო თხილვანის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. 1978 წლიდან ქვედა თხილვანის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელია. 1992-1995 წლებში იყო სასწავლო ნაწილის გამგე, 1996-2005 წლებში კი – ამავე სკოლის დირექტორი. მიღებული აქვს მადლობები და სიგელები. მისი ხელმძღვნელობის დროს აშენდა ამ სკოლის ტიპური ხის შენობა. ამასთან, სკოლას მიენიჭა ამ სოფლის მკვიდრის, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის – დავით მამულაძის სახელი.

ზურაბ ქამაშიძის მზრუნველობით განმტკიცდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სკოლა დაკომპლექტდა ადგილობრივი ახალგაზრდა კადრებით.

დღეს ზურაბ ქამაშიძეს ეამაყება, რომ მან საკუთარი წვლილი შეიტანა სკოლის წინსვლა-წარმატებებში.

ვუსურვოთ ბატონ ზურაბს ჯანმრთელობა და წარმატებები, დიდხანს ეღვაწოს მომავალი თაობების საკეთილ-დღეოდ, თაობისა, რომელიც არავის დაუკარგავს ამაგს.

ძმები ჯამბულ და რევაზ დავითაძეები

ჯამბულ დავითაძე დაიბადა 1958 წელს, ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში.

1975 წელს დაამთავრა თხილვანის საშუალო სკოლა.

1978-1983 წლებში სწავლობდა ქალაქ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე.

1983-1988 წლებში მუშაობდა თხილვანის საშუალო სკოლაში სპეციალობით.

1988 წლიდან ჯამბულ დავითაძე სამუშაოდ გადავიდა აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროში. მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. 2007 წელს კი პოლკოვნიკის ჩინით გავიდა პენსიაში.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

რევაზ დავითაძე დაიბადა 1962 წელს ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში.

1979 წელს დაამთავრა თხილვანის საშუალო სკოლა.

1980-1985 წლებში სწავლობდა ქალაქ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 1985 წელს მთისუბნის არასრულ საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1989-1994 წლებში მუშაობდა მშობლიური სოფლის – თხილვანის საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1994 წლიდან რევაზ დავითაძე სამუშაოდ გადაიყვანეს აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, სადაც 2004 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. ამჟამად ეწევა ბიზნესსაქმიანობას.

ჰყავს მეუღლე ჟუჟუნა მიქელაძე და 2 შვილი, ნინო ინგლისური ენის სპეციალისტია, როინი – თურქული ენისა ოჯახში იზრდება ერთი შვილიშვილი.

ჯამბულის და რევაზის ძმები არიან: ნუგზარი – სპეციალობით მეზღვაური, მუშობს გემზე, ცოლშვილიანი, ჰყავს ორი შვილი და შვილიშვილები. სულიკო – სპეციალობით იურისტი, ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

არჩილ და მაყვალა დუმბაძეები

არჩილ დუმბაძე დაიბადა 1964 წლის 2 აგვისტოს ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში.

დაამთავრა ბაკოს დაწყებითი, ხოლო 1981 წელს – თხილვანის საშუალო სკოლა.

იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ზოგადტექნიკური დისციპლინების ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო დანისპარაულის საშუალო სკოლაში ფიზიკა-ხაზვის მასწავლებლად.

1983 წელს არჩილ დუმბაძემ შექმნა ოჯახი. **მისი მეუღ-ლე გახდა თანასოფლელი მაყვალა** – დაწყებითი კლასების მასწავლებელი, რომელიც მასთან ერთად მუშაობდა დანისპარაულის საშუალო სკოლაში.

1986 წელს არჩილ და მაყვალა დუმბაძეები სამუშაოდ გადავიდნენ თხილვანის საშუალო სკოლაში, არჩილი დაინიშნა დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლის გარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში და ფიზიკის მასწავლებლად, ხოლო მაყვალა – დაწყებითი კლასების მასწავლებლად. ორივე გამოირჩეოდა მაღალორგანიზებულობით, აქტიუ-

რობით და დაკისრებული მოვალეობისადმი დიდი პასუხისმგებლობით, რის შედეგადაც პედაგოგიურ კოლექტივში და მოსწავლე ახალგაზრდობაში მოიპოვეს დაფასება და ავტორიტეტი.

1992 წლიდან ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა ქალაქ ბათუმში, სადაც არჩილ დუმბაძემ დაიწყო ბიზნესსაქმიანობა და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. მისი მეუღლე – მაყვალა არის სტუმართმოყვარე და ღირსეული დიასახლისი.

არჩილ დუმბაძე ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას. ეხმარება გაჭირვებულებს და ახალგაზრდებს დასაქმებაში.

არჩილ და მაყვალა დუმბაძეებმა აღზარდეს და ცხოვრების გზაზე დააყენეს ორი ვაჟი – გელა და გიორგი, ორივე უმაღლესი განათლებითაა. ისინი მამასთან ერთად ეწევიან ბიზნესსაქმიანობას. ჰყავთ ორ-ორი შვილი.

ხარიტონ დუმბაძე, ნათია უმეთაძე

ხარიტონ დუმბაძე დაიბადა 1965 წელს სოფელ ბაკოში.

1982 წელს დაამთავრა თხილვანის საშუალო სკოლა.

1983-1985 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში .

1985 წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკათა ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელიც 1990 წელს დაამთავრა.

პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 1985 წელს ხულოს რაიონის სოფელ ზეგარდანის დაწყებითი სკოლაში.

1987-1994 წლებში მუშაობდა თხილვანის საშუალო სკოლაში სპეციალობის მიხედვით.

1994 წლიდან გადაყვანილ იქნა ბაკოს არასრულ საშუალო სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად. 2004-2005 სასწავლო წლიდან ამავე სკოლაში ასრულებდა სასწავლო ნაწილის, ხოლო 2005 წლის თებერვლიდან დღემდე – დირექტორის მოვალეობას.

მეუღლე – ნათია უმეთაძე დაიბადა 1965 წელს სოფელ სკვანაში.

1980 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტი და ხარიტონ დუმბაძესთან ერთად შექმნა ოჯახი. სპეციალობის მიხედვით იმუშავა თხილვანის საშუალო სკოლაში. ამჟამად მოღვაწეობს ბაკოს საჯარო სკოლაში.

ჰყავთ ორი ზრდილი და შრომისმოყვარე შვილი, ვახტანგი და დათო.

ანზორ მიქელაძე, ჟუჟუნა მამულაძე

ანზორ მიქელაძე დაიბადა 1955 წლის 27 თებერვალს ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში, მოსამსახურის ოჯახში. 1962 წელს შევიდა ბაკოს დაწყებითი სკოლის პირველ კლასში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თხილვანის საშუალო სკოლაში. 1969 წლიდან გადავიდა ხიხაძირის საშუალო სკოლაში, რომელიც 1972 წელს დაამთავრა. 1973-1975 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1975-79 წლებში სწავლობდა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტში გერმანულ-რომანული ენების ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ბაკოსა და მთისუბნის არასრულ საშუალო სკოლებში გერმანული ენის მასწავლებლად, ხოლო 1981-1986 წლებში – ბაკოს არასრულ საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. 1986-89 წლებში მუშაობდა წაბლანის საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, ხოლო 1987 წლიდან – დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. 1989-91 წლებში მუშაობდა ბაკოსა და ქვედა თხილვანის საშუალო სკოლებში გერმანული ენის მასწავლებლად. მინიჭებულ იქვს უფროსი მასწავლებლის წოდება, დაჯილდოებულია აჭარის განათლების სამინისტროს სიგელებით. 1995-2005 წლებში ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას.

2008-2010 წლებში მუშაობდა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში კულტურული ღონისძიებებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტში. 2011 წლიდან მუშაობს აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში.

ჰყავს მეუღლე – ჟუჟუნა მამულაძე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

ჟუჟუნა მამულაძე დაიბადა 1962 წელს, ხულოს რაიონის სოფელ კალოთაში, მოსამსახურის ოჯახში. კალოთის 8-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ 1996 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტზე. ინსტიტუტი დაამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის წაბლანის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. 1989-90 წლებში მუშაობდა თხილვანის საშუალო სკოლაში. 1984 წელს ბაკოელ კოლეგასთან, ანზორ მიქელაძესთან ერთად შექმნა ოჯახი და წლების მანძილზე ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას ჯერ წაბლანის საშუალო, ხოლო შემდეგ ბაკოს არასრულ და საშუალო სკოლებში. ბაკოში იყო დირექტორის მოადგილეც სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

1996 წლიდან ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში, სადაც ქალბატონი ჟუჟუნა დიასახლისობს, დაკავებულია საოჯახო საქმეებით, ზრუნავს შვილებსა და შვილიშვილებზე.

მიხეილ ქამადაძე და ვარდო გაბაიძე

მიხეილ ქამადაძე დაიბადა 1966 წლის 15 მარტს სოფელ ქვედა თხილვანაში. 1972 წელს სწავლა დაიწყო ამავე სოფლის რვაწლიან სკოლაში,

რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თხილვანის საშუალო სკოლაში და დაამთავრა 1982 წელს.

1992 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ფუშრუკაულის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1993 წლიდან იგი მშობლიური თხილვანის საშუალო სკოლის მასწავლებელია.

მიხეილ ქამადაძემ ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში გაიცნო თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ხიხაძირელი ვარდო გაბაიძე და მასთან ერთად შექმნა ღირსეული ოჯახი. ორივე მონდომებით, მთელი პასუხისმგებლობთ ასწავლიდნენ თხილვანის საშუალო სკოლის მოსწავლეებს.

თხილვანაში ორი წლის მუშაობის შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად გადამოვიდა ქალაქ ბათუმში და ცოლ-ქმარი ჩაერთო ბიზნესსაქმიანობაში. მათ დააფუძნეს შპს „ქეთი-2007“ და დღესაც წარმატებით საქმიანობენ. მიხეილი აღიარებული ბიზნესმენია და ბევრი სანაქებო საქმის გაკეთებაც მოასწრო. მან თავისი სახსრებით ქვედა თხილვანაში ორ კილომეტრზე გამოიყვანა სასმელი წყალი, ასევე წყალსადენი გაიყვანა სალიბაურის სასაფლაოზე, ყოველწლიურად ეხმარება მშობლიური სოფლის მაცხოვრებლებს და არც სხვებს ტოვებს უყურადღებოდ.

მიხეილი და ვარდო მრავალშვილიანი ოჯახების შვილები არიან და ამაყობენ, რომ მათაც ჰყავთ ოთხი შვილი: შორენა, ოთარი, ქეთევანი და გიორგი.

სერგო მიქელაძე

სერგო მიქელაძე დაიბადა 1969 წლის 25 თებერვალს, ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში. 1976 წელს დაიწყო სწავლა სოფ. ბაკოს საბაზისო სკოლაში. შემდეგ სწავლა განაგრძო თხილვანის საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1989 წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1993 წელს დაამთავრა.

1989-1995 წლებში მუშაობდა ისტორიის მასწავლებლად ბაკოს საბაზო სკოლაში. 2005 წელს დააწინაურეს თხილვანის თემის საკრებულოს გამგებლად. აქ მან ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა სოფლისა და თე-

მისათვის. იყო სახალხო დღესასწაულ „სელიმობის“ ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გადაწყდა სოფლის სკოლის მშენებლობა და არაერთი სხვა საკითხი.

2006-2010 წლებში იყო ხულოს რაიონის პირველი მოწვევის საკრებულოს დეპუტატი. ხელმძღვანელობდა საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომიტეტს. 2010 წლიდან 2012 წლამდე მუშაობდა აიპი ხულოს რაიონის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორად. 2013 წლიდან არის შპს „მედიკალ ვათერის“ გენერალური დირექტორი.

მეუღლე ნათია ველიაძე პედაგოგია, ჰყავთ ორი შვილი – თათია და გიორგი.

ალექსანდრე და ასლან დუმბაძეები

ალექსანდრე და ასლან დუმბაძეები ეკუთვნიან თხილვანის საშუალო სკოლის იმ კურსდამთავრებულთა რიგებს, რომლებმაც იმსახურეს ავღანეთის რესპუბლიკაში.

მათი განვლილი გზა ასეთია:

ბიძაშვილებმა 1979 წელს დაამთავრეს თხილვანის საშუალო სკოლა და ჩაებნენ საკოლმეურნეო შრომაში. 1980 წლის სექტემბერ-დეკემბერში ხულოს რაიონის სამხედრო კომისარიატმა ისინი მიავლინა ქ. ბათუმის დოსაააფის სკოლაში, დაამთავრეს და მიიღეს მანქანის მართვის უფლებები.

1981 წლის 7 აპრილს ორივე გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად. გაიარეს მოკლვადიანი სამხედრო კურსები და 22 ივნისიდან მიავლინეს ავღანეთის რესპუბ-

ლიკაში. სამსახური დაიწყეს რიგითად, შემდეგ დაინიშნენ უფროს მსროლელებად, ბოლოს – ათეულების მეთაურებად და მიანიჭეს სერჟანტის წოდებები.

ორივე მსახურობდა მძღოლად: ალექსანდრე სატვირთო ავტომანქანაზე, ასლანი კი სასწრაფო დახმარების სპეცმანქანაზე. მონაწილეობდნენ სამხედრო ოპერაციებში. ორივეს მშობელმა მათი შვილების ერთგული სამხედრო სამსახურისთვის მიიღო სამხედრო ნაწილის მეთაურის მადლობის ბარათი.

1981 წლის დეკემბერში ორივე დაიჭრა სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს. ასლანი მოათავსეს ჰოსპიტალში, შემდეგ სამკურნალოდ გადაიყვანეს სამარყანდში. მკურნალობის შემდეგ თურქმენეთის ერთ-ერთ სპეცსანატორიუმში დაასვენეს. ჯანმრთელობის შერყევის გამო შესთავაზეს ჯარიდან გათავისუფლება, მაგრამ ასლანმა უარი განაცხადა. ის განკურნების შემდეგ კვლავ დაბრუნდა თავის სამხედრო ნაწილში, ავღანეთის ქალაქ გაზნში, სადაც მას ელოდა ბიძაშვილი ალექსანდრე. იგი ჭრილობას ადგილზე მკურნალობდა. ასე რომ, ასლანმა არ უღალატა მეგობრებს, ბიძაშვილს, რომელთანაც ერთად გაატარა მთელი სამხედრო სამსახური. ამან დიდად განაცვიფრა სამხედრო ნაწილის ხელმძღვნელობა: „ყოჩაღ თქვენს ძმობას! ასე გევლოთ ბოლომდე!“ – დამოძღვრეს ისინი ერთ-ერთი სამწყობრო მდგო-მარეობის დროს. მწყობრის წინ გამოიყვანეს ორივე და მადლობა გადაუხადეს, ხოლო ნაწილის პირად შემადგენლობას მოუწოდეს – მიებაძათ ძმები დუმბაძეებისთვის (სამხედრო ნაწილში მათ იცნობდნენ, როგორც ძმებს). ბევრი სიძნელე გადალახეს, ჰქონდათ არაერთი საბედისწერო და მძიმე მომენტი, რაც კარგად ახსოვთ ასლანსა და ალექსანდრეს, მაგრამ ცოტას ლაპარაკობენ გადატანილსა და განცდილზე, სამაგიეროდ, ბევრს საუბრობენ ჯარისკაცულ ერთგულებაზე, მეგობრობაზე, იმ ცხოვრებისეულ წრთობაზე, რაც მათ მიიღეს სამხედრო სამსახურის გავლის დროს.

1985 წლის ივლისში ვალმოხდილი მეომრები სერჟანტის ჩინით დაუბრუნდნენ მშობლიურ მხარეს, საკუთარ ოჯახებს და დაიწყეს უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად მზადება. ორივე ჩაირიცხა და დაამთავრეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (ამჟამად უნივერსიტეტი). ალექსანდრემ – ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული სექტორი, ხოლო ასლანმა – ფიზკულტურის ფაკულტეტი. ასლანი მას შემდეგ მუშაობს ბაკოს არასრულ საშუალო (ამჟამად საჯარო) სკოლაში, ხოლო ალექსანდრე 1990 წლიდან – თხილვანის საშუალო სკოლაში. შემდეგ დააწინაურეს იგი თხილვანის თემის საკრებულოს თავმჯდომარედ. ამჟამად ოჯახთან ერთად ცხოვრობს ქალაქ ბათუმში.

ორივემ შექმნა შესანიშნავი ოჯახი.

ასლანის მეუღლეა დოდო მამულაძე-დუმბაძისა, ჰყავთ ორი შვილი და ორი შვილიშვილი, ალექსანდრეს მეუღლე კი – მაყვალა ჯორბენაძე, რომელსაც მიღებული აქვს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა და, მეუღლესთან ერთად, 1990-1991 წლებში მუშაობდა თხილვანის საშუალო სკოლაში. ჰყავთ 2 შვილი და შვილიშვილები.

ასლან ბოლქვაძე

ასლან ბოლქვაძე დაიბადა 1958 წლის 25 ივლისს ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში.

1976 წელს დაამთავრა თხილვანის საშუალო სკოლა, 1978 წელს – ქალაქ ბათუმის № 76 პროფესიული სასწავლებელი, ხოლო 1981 წელს ბათუმის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი საკლუბო ქორეოგრაფიის სპეციალობით. სწავლის პერიოდში იყო აჭარის ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლის წევრი.

1981-1989 წლებში მუშაობდა თხილვანისა და მთისუბნის სკოლებში მხატვრული წრის ხელმძღვანელად, ამავე დროს იყო ხიხაძირის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრი.

1989-1990 წლებში ცხოვრობდა ასპინძის რაიონის სოფელ მტკვარში (მირაშხანი) და მუშაობდა ნაქალაქევისა და თმოგვის რვაწლიან სკოლებში ქორეოგრაფად, ვარძიის ტურბაზის ინსტრუქტრად.

1990 წელს დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და მუშაობა დაიწყო თხილვანის საშუალო სკოლაში მხატვრული წრის ხელმძღვანელად და ხატვა-სიმღერის მასწავლებლად. მისი ხელმძღვანელობით თხილვანის საშუალო სკოლის მხატვრულ წრეს არაერთგზის მიუღია მონაწილეობა რაიონულ და საოლქო დათვალიერებაზე, დაუმსახურებია ქების სიგელები და დიპლომები.

ასლან ბოლქვაძე 2000 წლიდან საცხოვრებლად გადმოვიდა ქალაქ ბათუმში, სადაც ეწევა ბიზნესსაქმიანობას. მას კავშირი არ გაუწყვეტია მშობლიურ რაიონთან – არის რაიონული ანსამბლის „ბერმუხას“ და ხიხაძირის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრი. ამ კოლექტივების შემადგენლობაში მას არაერთხელ მიუღია მონა-

წილეობა ყოფილი საბჭითა კავშირის რესპუბლიკებში გამართულ ფესტივალებში, ასევე საზღვარგარეთ: თურქეთში, პოლონეთში, ბელგიაში. არის ფესტივალების ლაურეატი და პრემიების მფლობელი. „ბერმუხას“ მონაწილეობით იყო სატელევიზიო კონკურსშოუ „ნიჭიერის“ მეორე სეზონის ფინალისტი. ჰყავს მეუღლე – ეთერ ბოლქვაძე, 3 შვილი და შვილიშვილები.

გურამ დუმბაძე

გურამ დუმბაძე დაიბადა 1973 წლის 25 მარტს სოფელ ბაკოში, მოსამსახურის ოჯახში. 1988 წელს დაამთავრა ბაკოს არასრული საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლა განაგრძო სოფელ თხილვანის საშუალო სკოლაში და დაამთავრა 1990 წელს.

1992 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის სპეციალობის დაუსწრებელი განყოფილებაზე, რომელიც 1997 წელს დაამთავრა. 1992 წელს მუშაობა დაიწყო თხილვანისა და ბაკოს არასრულ და საშუალო სკოლებში, სადაც მიიღო პირველი პედაგოგიური ნათლობა. გამოცდილი პედაგოგების – შოთა ბოლქვაძის, შოთა გაბაიძის, ჟუჟუნა გაბაიძის, ასლან მიქელაძის დახმარებით და საკუთარი მონდომებით კარგად დაეუფლა პედაგოგის პროფესიას, ისტორიის სწავლების თანამედროვე ფორმებსა და მეთოდებს.

2007 წლიდან მუდმივ საცხოვრებლად გადავიდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. კვირიკეში. პირველ ხანებში დაკავებული იყო საოჯახო საქმეებით, 2013 წლიდან კი დაინიშნა ზედა კვირიკეს საჯარო სკოლის დირექტორად. იმთავითვე გამოიჩინა მან საქმისადმი ერთგულება და დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლოური გრძნობა. შეისწავლა არსებული მდგომარეობა და იზრუნა სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის. მან დიდი მუშაობა გასწია არსებული პრო-ბლემების აღმოფხვრისთვის. მისი ხელმძღვანელობით მოხერხდა სკოლის წყლით მომარაგების პრობლემა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მოუგვარებელი იყო. სკოლას ჩაუტარდა მიმდინარე რემონტი, მოწესრიგდა დერეფანი, დაიგო ფილები, ნაწილობრივ გარემონტდა საკლასო ოთახები, შეიძინეს სკოლისთვის საჭირო და აუცილებელი ინვენტარი,მოეწყო სააქტო დარბაზი, მოწესრიგდა სველი წერტილები,

ახალი გათბობის სისტემა, რომელიც წლების განმავლობაში გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა.

სერიოზული ყურადღება მიაქცია გურამ დუმბაძემ სკოლის პედაგოგების გადახალისებას. მოიძია და მოიწვია სამუშაოდ ახალგაზრდა მასწავლებლები: სერგო ცენტერაძე, ლამზირა მამულაძე, ნესტან დავითაძე და სხვაები.

მოაწესრიგა და ახალი წიგნადი ფონდით შეავსო სკოლის ბიბლიოთეკა. ამჟამად სკოლის წიგნადი ფონდი მოიცავს 8000 წიგნს, რაც სკოლის სიამაყეა.

გურამ დუმბაძე სკოლის პედკოლექტივში და სოფლის მოსახლეობაში სარგებლობს კარგი ავტორიტეტით და პატივისცემით, რასაც მიაღწია თავისი შრომისმოყვარეობითა და საქმისადმი ერთგულებით.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ირმა დუმბაძე

ირმა დუმბაძე დაიბადა 1976 წლის 3 თებერვალს სოფელ ბაკოში, მოსამსახურის ოჯახში. 1990 წელს დაასრულა ბაკოს არასრული საშუალო სკოლა, ხოლო 1992 წელს – თხილვანის საშუალო სკოლა. 1993 წელს ჩაირიცხა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარიჩნებით დაამთავრა 1998 წელს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სპეციალობით.

1993 წლის სექტემბერში მუშაობა დაიწყო თხილვანის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, სადაც დაჰყო ერთი წელი, შემდეგ მუშაობა განაგრძო ბაკოს საჯარო სკოლაში.

2012 წელს შექმნა ოჯახი, საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში და მუშაობა დაიწყო №7 საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

სკოლაში ხანგრძლივი მუშაობის შედეგად კარგად დაეუფლა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საინტერესო და თანამედროვე მეთოდებს. არის კომუნიკაბელური, კოლეგიური, მას პატივს სცემენ და აფასებენ როგორც ერუდირებულ პედაგოგს. განსკუთრებულ ყურადღებას აქცევს აღსაზრდელებთან ინდივიდუალურ მუშაობას, რითაც კოლეგებსა

და აღსაზრდელებში მოიხვეჭა კარგი სახელი. აქტიურად არის ჩაბმული თანამედროვე სწავლების ახალი მეთოდების შესწავლისა და შემდგომ მათი პრაქტიკაში გამოყენების საქმეში, ითვალისწინებს თანამედროვე სწავლების მო-თხოვნებს და ცდილობს შეისწავლოს და დაეუფლოს ახალ ხერხებს და მეთოდებს. არის სერტიფიცირებული პედაგოგი, ფასილიტატორი, უყვარს პოეზია, გაზეთებსა და ჟურნალ "ჭოროხში" გამოქვეყნებული აქვს ლექსები და მინიატურები. უშურველად უზიარებს თავის მდიდარ გამოცდილებას ახალბედა პედაგოგებს.

გულვარდ ბოლქვაძე

გულვარდ ბოლქვაძე დაიბადა 1976 წლის 23 მაისს ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში.

1982-1993 წლებში სწავლობდა თხილვანის საშუალო სკოლაში, 1993-1998 წლებში აჭარის (გონიოს) კოოპერაციულ ინსტიტუტში უცხო ენების ფაკულტეტზე, თურქული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. 1998 წელს გააგრძელა სწავლა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 1994 წელს თხილვანის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1999-2007 წლებში იყო დრექტორის მოადგილე კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

2007 წლიდან დღემდე მუშაობს კორტოხის საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

დარიკო დუმბაძე

დარიკო დუმბაძე დაიბადა 1977 წლის 10 მაისს. ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში, მრავალშვილიან ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო თავისი სოფლის სკოლაში, სწავლა განაგრძო თხილვანის საშუალო სკოლაში, რომელიც 1994 წელს დაამთავრა.

1998 წელს ჩაირიცხა და 2003 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფა-

კულტეტი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. ჯერ კიდევ 1995 წელს, სტუდენტო-ბის პერიოდში მუშაობა დაიწყო თხილვანის საშუალო სკოლაში, სადაც დაჰყო ათი სასწავლო წელი. სკოლაში თავი გამოიჩინა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, დაეუფლა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების მოწინავე მეთოდებს. ავლენდა ინიციატივას სკოლაში სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებაში, აქტიურად მონაწილეობდა თხილვანის სკოლის საიუბილეო ღონისძიებაში. პედაგოგიურ კოლექტივსა და მოსწავლეებს შორის მოიპოვა დამსახურებული ავტორიტეტი.

2007 წელს შექმნა ოჯახი – ცოლად გაჰყვა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხის მცხოვრებ თენგიზ დევაძეს და მუდმივ საცხოვრებლად გადმოვიდა ამ სოფელში. ჰყავთ ერთი შვილი – ალექსანდრე დევაძე.

სულიკო ბოლქვაძე (1948-2009)

სულიკო ბოლქვაძე დაიბადა 1948 წლის 1 ნოემბერს ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში. 1966 წელს დაამთავრა თხილვანის საშუალო სკოლა, 1970 წელს ჩაირიცხა თბილისის პიონერხელმძღვანელთა რესპუბლიკურ სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თხილვანის საშუალო სკოლაში უფროს პიონერხელმძღვანელად. აქ თავი გამოიჩინა მოსწავლე ახალგაზრდობასთან ორგანიზაციული მუშაობის დარგში, აწყობდა საინტერესო შეხვედრებს, დილა-საღამოებს, სხვადასხვა თამაშებს. 1978 წელს დაამთავრა თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება.

სულიკო ბოლქვაძემ პიონერმუშაკთა რესპუბლიკურ სასწავლებელში სწავლის დროს გაიცნო საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორ-

ტის ინსტიტუტის სტუდენტი გურამ უსტიაშვილი. ახალგაზრდებმა მალე შექმნეს ოჯახი და მუშაობა დაიწყეს შუახევის რაიონის ჯაბნიძეების საშუალო სკოლაში: სულიკომ უფროს პიონერხელმძღვანელად და დაწყებითი კლასების მასწავლებლად, ხოლო გურამმა – ფიზიკური კულტურის მასწავლებლად.

1986 წელს სულიკო ბოლქვაძეს ჯაბნიძეების საშუალო სკოლაში მუშაობის პერიოდში ატესტაციის შედეგად მიენიჭა უფროსი პიონერხელმძღვანელის წოდება. ამავე წელს მას საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ტიაჟენლიკოვის ბრძანებით მიენიჭა მეთოდისტი პიონერხელმძღვანელის წოდება. მუშაობის პერიოდში ხშირად გამოდიოდა რაიონულ და საოლქო „პედაგოგიურ კითხვებში“, სადაც გამოჰქონდა საინტერესო მოხსენებები და იმსახურებდა მსმენელთა ყურადღებას. მრავალჯერ იყო არჩეული კომკავშირისა და მასწავლებელთა კონფერენციების, ყრილობების დელეგატად. მუშაობის პერიოდში მიღებული ჰქონდა აჭარის და საქართველოს განათლების სამინისტროების ქების სიგელები და დიპლომები.

1989 წელს სულიკო ბოლქვაძე ოჯახით საცხოვრებლად გადმოვიდა ქალაქ ბათუმში და მუშაობა განაგრძო ბათუმის 21-ე საშუალო სკოლაში უფროს პიონერხელმძღვანელად. 1991-2004 წლებში მუშაობდა ბათუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში კანცელარიის გამგედ, მეუღლე – გურამ უსტიაშვილი კი ამავე ინსტიტუტში იყო ფიზიკური აღზრდის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგე. 2006 წლიდან გურამი აჭარის განათლების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურ საბჭოს კოორდინატორია.

მათ აღზარდეს სასახელო შვილები და შვილიშვილები.

სულიკო ბოლქვაძე გარდაიცვალა 2009 წლის 29 აგვისტოს. დაკრძალულია სალიბაურის სასაფლაოზე.

ალექსანდრე მიქელაძე, ნათელა აბაშიძე (1952-2011)

ბაკოელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნებაა თხილვანის საშუალო სკოლადამთავრებული, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ალექსანდრე მიქელაძე.

იგი დაიბადა 1954 წლის 2 იანვარს ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში. 1964 წელს დაამთავრა მშობლიური სოფლის დაწყებითი სკოლა და სწავლა განაგრძო ხულოს რაიონის თხილვანის საშუალო სკოლაში. 1965 წელს გადავიდა ბათუმის №1 სკოლა-ინტერნატში, რომელიც 1972 წელს დაამთავრა. შემდეგ იმსახურა შინაგანი ჯარის ნაწილში (1973-1975 წწ).

1975 წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტზე.

იყო აქტიური სტუდენტი, სწავლობდა კარგად. მეორე კურსიდან აირჩიეს ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროს მდივნად და საერთო საცხოვრებელში სტუდსაბჭოს თავმჯდომარედ.

1979 წელს დაამთავრა აღნიშნული ფაკულტეტი და სამუშაოდ გაანაწილეს მშობლიური ბაკოს 8-წლიანი სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად. 1982 წელს საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში და მუშაობა დაიწყო ბათუმის №13 სკოლაში ფიზიკური აღზრდის, ბათუმის №9 სკოლაში კი – სამხედრო სწავლების პედაგოგად. ერთი წლის შემდეგ მუშაობა განაგრძო აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, კერძოდ, სამხედრო ნაწილში, 1987 წელს ბათუმის № 8 საგამომძიებლო იზოლატორში პოლიტიკური განყოფილების უფროსად, ხოლო 1989 წელს – ბათუმის სამედიცინო გამოსაფხიზლებლის მორიგე ინსპექტორად. 1990 წელს გადაიყვანეს ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორად. იმავე წელს დააწინაურეს ბათუმის სისხლის სამართლის განყოფილების ინსპექტორად. 1991 წელს მონაწილეობდა ცხინვალისა და ფოთის ბრძოლებში. 1993 წელს დააწინაურეს ბათუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს № 7 ქვეგანყოფილების კრიმინალური პოლიციის უფროსად. ამავე წლის 2 სექტემბრიდან გადაიყვანეს შტაბის უფროსის მოადგილედ ბათუმის შს სამმართველოში, 2004 წლიდან – ბათუმის შს სამმართელოს №6 ქვეგანყოფილების კრიმინალური პოლიციის უფროსად. 2004 წლიდან არის ბათუმის შს სამმართველოს № 6 ქვეგანყოფილების უფროსი, ვიცე პოლკოვნიკის ჩინით, წარადგინეს პოლკოვნიკის წოდებაზე, მაგრამ წოდების მიღებამდე, 2005 წლის 17 აპრილს პენსიაში გაუშვეს.

ბატონი ალექსანდრე იყო პრინციპული, ოპერატიული და სამართლიანი პოლიციელი. დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაშიც.

ჰყავს კარგი ოჯახი. მეუღლე – ნათელა აბაშიძე, ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი, მუშაობდა სხვადასხვა სკოლაში. ჰყავთ 2 შვილი. 2004 წელს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, ქალბატონი ნათელა გარდაიცვალა, ალექსანდრე მიქელაძე კი ამჟამად პენსიონერია.

ამირან ქამაშიძე



ამირან ქამაშიძე დაიბადა 1945 წელს ხულოს რაიონის სოფელ ქვედა თხილვანაში.

1952 წელს სწავლა დაიწყო მშობლიური სოფლის რვაწლიან სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თხილვანის საშუალო სკოლაში.

1962 წლიდან, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, შრომითი საქმიანობა დაიწყო თხილვანის კოლმეურნეობაში რიგით წევრად, საიდანაც გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა დაიწყო ქალაქ ბათუმის საზღვაო ნავსადგურში რიგით მუშად.

1968 წელს ჩირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. მეორე კურსის სტუდენტმა მუშაობა დაიწყო მშობლიური სოფლის სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1973 წელს დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. 1981 წლის ნოემბრიდან დაინიშნა ქვედა თხილვანის რვაწლიანი სკოლის დირექტორად. 1983 წელს აღნიშნული სკოლა გადაკეთდა საშუალოდ და ამირან ქამაშიძე დაინიშნა საშუალო სკოლის დირექტორად, ამავე სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენიასა და ლიტერატურას.

1989 წელს ამირან ქამაშიძე ოჯახით საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში და მუშაობა დაიწყო საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭოში პასუხისმგებელ მდივნად, სადაც იმუშავა 1993 წლამდე. ამჟამად იგი პენსიონერია.

ჰყავს მეუღლე, ხუთი შვილი და შვილიშვილები.

ჯემალ მიქელაძე, აინი იშხნელიძე





ჯემალ მიქელაძე დაიბადა 1961 წლის 4 იანვარს, ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში. დაამთავრა ბაკოს დაწყებითი სკოლა (1971 წელს) და თხილვანის საშუალო სკოლა (1977 წელს).

1977-1981 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტზე.

1981 წელს მუშაობა დაიწყო მშობლიური სოფლის რვაწლიან სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. 1987-1990 წლებში იყო ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

1990 წელს იგი ოჯახით საცხოვრებლად გადავიდა ყვარლის რაიონის სოფელ თივში და ამავე სოფლის სკოლაში დაიწყო მუშაობა.

1995 წლიდან ჯემალ მიქელაძე კვლავ ბაკოს არასრულ საშუალო სკოლაში აგრძელებს მუშაობას, არის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში და მათემატიკის მასწავლებელი.

2003-2004 წლებში იყო თხილვანის თემის საკრებულოს გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, 2004 წლიდან კი ბაკოს საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელია.

ჯემალ მიქელაძის მეუღლე აინი იშხნელიძე დაიბადა სოფელ კალოთაში, მრავალშვილიან ოჯახში.

ხიხაძირის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი 1981-1985 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 1985 წელს ბაკოს რვაწლიან სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად, სადაც დღემდე მუშაობს.

ჰყავთ ერთი ქალიშვილი.

§5. ჯურსდამთავრებულები სხვა უბნებზე

1. მამია, თენგიზ მამულაძე
2. მიხეილ დუმბაძე
3. სერგო ბოლქვაძე, ჟუჟუნა მამულაძე
4. გიორგი მიქელაძე
5. იოსებ მიქელაძე
6. ალექსანდრე ბოლქვაძე
7. აკაკი დუმბაძე
8. ეგნატე რესიმის ძე დუმბაძე
9. ამირან გაბაიძე
10. ამირან დუაძე
11. არჩილ მიქელაძე
12. გულნარა დუმბაძე
13. ოთარ მამულაძე
14. ნათელა დუაძე
15. სერგო დუაძე
16. სერგო მუხამედის ძე ბოლქვაძე
17. ლევან მამულაძე
18. იოსებ გუნდაძე
19. შუშანა ბოლქვაძე
20. ნოდარ დუმბაძე
21. ბაგრატ ცეცხლაძე
22. ბეჟან (ბექირ) ბოლქვაძე
23. ჯამბულ ქამაშიძე
24. ნუგზარ მიქელაძე
25. საშა მიქელაძე
26. ანზორ ბოლქვაძე
27. ზურაბ მამულაძე
28. მამუკა მიქელაძე
29. მერაბ აბულაძე
30. თამაზ დუმბაძე
31. ზურაბ დუმბაძე, დარეჯან დუმბაძე
32. ილია ქამადაძე
33. შაქრო ბარათაშვილი

მამია (1936-1997) და თენგიზ მამულაძეები

მამია მამულაძე დაიბადა 1936 წელს ხულოს რაიონის სოფელ ქვედა თხილვანაში.

პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქვედა თხილვანის დაწყებით სკოლაში, ხოლო 1953 წელს დაამთავრა თხილვანის რვაწლიანი სკოლა. თანაკლასელ ალექსანდრე ბოლქვაძესთან ერთად 1952-1956 წლებში სწავლობდა ბათუმის სამედიცინო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ხიხაძირის საუბნო საავადმყოფოს ექთნად.

1957-1960 წლებში მსახურობდა სამხედრო არმიის რიგებში, იყო სანიტარული პუნქტის ექთანი.

დემობილიზაციის შემდეგ, 1960 წელს მუშაობა დაიწყო თხილვანის საფერშლო-საბებიო პუნქტის გამგედ, სადაც მუშაობდა 1996 წლამდე, პენსიაში გასვლამდე.

მამია მამულაძე იყო კვალიფიციური სპეციალისტი, სოფლის პირობებში იგი ზოგჯერ ექიმის მოვალეობასაც ასრულებდა, მოსახლეობა მას „მამია ექიმსაც“ ეძახდა. დაჯილდოებული იყო არაერთი საპატიო სიგელით და ფასიანი საჩუქრით, არჩეული იყო ხიხაძირის სასოფლო საბჭოს დეპუტატად.

გარდაიცვალა იგი 1997 წელს.

მამიას გამორჩეული შვილია თენგიზი, დაიბადა 1963 წლის 10 მაისს.

1977 წელს დაამთავრა ქვედა თხილვანის რვაწლიანი, ხოლო 1979 წელს – თხილვანის საშუალო სკოლა.

1979-1984 წლებში სწავლობდა საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თხილვანის კოლმეურნეობაში მეცხოველეობის ფერმის ვეტექიმად.

1989 წელს საცხოვრებლად გადავიდა ხობის რაიონის სოფელ შავღელეში.

1994 წლიდან დღემდე მუშაობს შავღელის საჯარო სკოლაში ქიმია--ბიოლოგიის მასწავლებლად.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მიხეილ დუმბაძე

მიხეილ დუმბაძე დაიბადა 1937 წელს ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში, მრავალშვილიან ოჯახში.

პირველდაწყებითი განათლება მიიღო ბაკოს დაწყებით სკოლაში, შემდეგ დაამთავრა თხილვანის სკოლის რვა კლასი და 1955-1959 წლებში სწავლობდა ქალაქ ბათუმის სამედიცი ნო სასწავლებელში. მიიღო ფერშლის სპეციალობა და 1959 წლიდან მუშაობა დაიწყო ხიხაძირის საუბნო საავადმყოფოში. იმავე წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. მსახურობდა აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებში, სამხედრო ჰოსპიტალში ექიმის თანაშემწედ, ზემდეგის წოდებით. აქ იგი ჩამოყალიბდა პროფესიულად, კარგად დაეუფლა მედიცინას, განსაკუთრებით

პირველი, გადაუდებელ დახმარებას, რითაც ჯარისკაცთა და ოფიცერთა მხრივ დაიმსახურა პატივისცემა და ავტორიტეტი. მიღებული აქვს სამხედრო ნაწილის მეთაურებისგან მრავალი მადლობა და ქების სიგელი.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, 1964 წელს იგი მუშაობას იწყებს ყინჩაურის საუბნო საავადყოფოში სპეციალობის მიხედვით. 1966 წლიდან იყო ხიხაძირის საუბნო საავადმყოფოს ექთანი, 1975 წლიდან კი – ბაკოს საფერშლო-საბებიო პუნქტის გამგე, საიდანაც გავიდა პენსიაზე. მედიცინის დარგში 45 წლიანი მუშაობის მანძილზე მიღებული აქვს „შრომის ვეტერანის“ მედალი, ასევე – არაერთი მადლობა და სიგელი.

მეუღლე – ჟუჟუნა გაბაიძე, დამსახურებული პედაგოგი, არის ბაკოს არასრული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ჰყავთ 4 შვილი და რვა შვილიშვილი. შვილებს ყველას მიაღებინეს სათანადო განათლება. უფროსი შვილი, ბადრი, შორეული ნაოსნობის მეზღვაურია, ომარი მსახურობს ჯარში, ნოდარი სპეციალობით პედაგოგია, მაგრამ ეწევა სამეურნეო საქმიანობას. ერთადერთმა ქალიშვილმა – ვარდომ ჯერ იმუშავა ექთნად, შემდეგ მიიღო უმაღლესი განათლება, ამჟამად გათხოვილია, ცხოვრობს და მუშაობს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეში.

ბატონი მიხეილი ერთ-ერთი დამსახურებული და ჭკუასაკითხავი კაცია, ყველას შემწე და ქველმოქმედი.

სერგო ბოლქვაძე, ჟუჟუნა მამულაძე



სერგო ბოლქვაძე დაიბადა 1941 წელს ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში.

1960 წელს დაამთავრა თხილვანის საშუალო სკოლა.

1961-1967 წლებში სწავლობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1967 წელს დაიწყო შრომითი საქმიანობა. დაინიშნა დიდაჭარის სასოფლო ამბულატორიის ექიმად, სადაც იმუშავა 1968 წლამდე. 1968-1987 წლებში, თითქმის 20 წელი, მუშ ობდა ხიხაძირის საუბნო საავადმყოფოს მთავარი ექიმად.

1987-1988 წლებში იყო ბათუმის №4 პოლიკლინიკის, ხოლო შემდეგ გემ „ადიგენის“ ექიმი.

1989 წლიდან იგი სამუშაოდ გადადის მაჭახლის ხეობაში და მუშაობს აჭარისაღმართის საუბნო საავადმყოფოს მთავარ ექიმად. 1997-1999 წლებში იგი ბათუმის №25 სამხედრო ბრიგადის სამედიცინო სამსახურის უფროსია.

სერგო ექიმი გამოირჩეოდა არა მარტო თავისი პროფესიონალიზმით, არამედ პირადი მოქალაქეობრივი თვისებებითაც. ავადმყოფს მკურნალობდა არა მარტო მედიკამენტებით, არამედ ტკბილი ენით. სერგო ექიმი ყველას გაჭირვების ტალკვესი და იმედი იყო.

სერგო ბოლქვაძის სამედიცინო პრაქტიკაში არაერთი საინტერესო შემთხვევა ყოფილა. ხიხაძირში მუშაობის წლებში ცუდად გახდა მოქალაქე. საჭირო შეიქმნა სასწრაფოდ სისხლის გადასხმა. ხულოს რაიონული საავადმყოფო-დან გამოიძახეს სასწრაფო დახმარება. ვიდრე დახმარება მოვიდოდა, მდგომარეობა უკიდურესობამდე გამწვავდა. სისხლის გადასხმა თუ დაგვიანდებოდა, ავადმყოფი ვერ გადარჩებოდა. თვალსა და ხელს შუა იღუპებოდა ადამიანი. სისხლის გადასხმის ტექნიკური საშუალებები ხიხაძირში მაშინ არ იყო. სასწრაფოს მანქანა იგვიანებს, შეწუხდა სიცოცხლის დარაჯი სერგო ექიმი. ყველა იმედი გადაიწურა. მხოლოდ სისხლის გადასხმა რჩება გადაუდებელ იმედად. ამიტომ ექიმმა გარისკა სისხლის გადასხმა პრიმიტიული მეთოდით, რისკის ფასად. ავადმყოფს სიცოცხლის ელფერი დაედო სახეზე. ექიმი, დიდი რისკის ქვეშ მყოფი, ოდნავ დამშვიდდა, მაგრამ შიშობდა, პაციენტს სისხლი არ მოწამვ-ლოდა. ექიმის საამაყოდ, გაბედულმა რისკმა გაამართლა და მომაკვდავი სიკვდილისგან იხსნა. ამის შემდეგ სასწრაფო დახმარებაც მოვიდა. როცა გასინჯეს სისხლის გადასხმის შედეგები, კმაყოფილები დარჩნენ. სერგო ექიმს მადლობა გადაუხადეს და შეუქეს მოხერხებულობა. მოსახლეობამ კი მას „ექიმი-პროფესორი“ შეარქვა. ასეთი სარისკო მომენტი ბევრჯერ გადაუტანია ბატონ სერგოს. ამიტომ იგი ყველას უყვარს, აფასებენ და სიყვარულით იხსენებენ მას. ეს კი ექიმისთვის ყველაზე დიდი ჯილდოა.

სერგო ბოლქვაძის მეუღლე – ჟუჟუნა მამულაძე, სპეციალობით ფილოლოგი, 36 წლის განმავლობაში (1960-1996 წწ.) თხილვანის საშუალო სკოლაში მუშაობდა ჯერ უფროს პიონერხელმძღვანელად, ხოლო შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურს მასწავლებლად. არის დამსახურებული და ავტორიტეტული პედაგოგი.

სერგოსა და ჟუჟუნას ოჯახში აღიზარდა 4 ვაჟი: გოჩა, მურადი, ზებური და ომარი. მათგან სამმა მიიღო უმაღლესი განათლება, ომარი კი წლების განმავლობაში იყო თხილვანის თავკაცი.

სერგო ექიმი და ჟუჟუნა მასწავლებელი, როგორც ბაბუა და ბებია, პენსიონერები არიან. დღეს მათი ცხოვრება გრძელდება შვილებსა და შვილიშვილებში.

გიორგი მიქელაძე (1939-1985)

გიორგი მიქელაძე დაიბადა 1939 წელს ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში.

1946 წელს შევიდა ბაკოს დაწყებით სკოლაში, 1954 წელს კი დაამთავრა თხილვანის რვაწლანი სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის სამედიცინო ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1958 წელს ფერშლის სპეციალობით.

1958-1960 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1960-1961 წლებში მუშაობდა სოფელ კალოთის საფერშლო-საბებიო პუნქტის გამგედ; 1961-1962 წლებში ქოჩახის საფერშლო-საბებიო პუნქტის გამგეა, ხოლო 1962 წლიდან 1975 წლამდე მუშაობდა ბაკოს საფერშლო-საბებიო პუნქტის გამგედ.

1975 წელს გიორგი მიქელაძე გადაიყვანეს ხიხაძირის საუბნო საავადმყოფოში სანიტარულ ფერშლად, სადაც მუშაობდა 1980 წლამდე.

1980 წელს გიორგი მიქელაძე საცხოვრებლად გადმოვიდა ქალაქ ბათუმში და მუშაობა დაიწყო ბათუმის ტაქსოპარკის ექთან-დეგუსტატორად.

ბატონი გიორგი თავისი საქმის კარგი სპეციალისტი იყო. შეეძლო დამოუკიდებლად გაეწია პირველი სამედიცინო დახმარება ავადმყოფისთვის, მუდამ თან ჰქონდა მედიკამენტები და შესახვევი მასალა. მას ამის გამო „გოგი ექიმს" ეძახდნენ.

გიორგიმ და ქალბატონმა მინა ჯაიანმა ოთხი ღირსეული შვილი აღუზარდეს ქვეყანას, ორი ვაჟი და ორი ქალი. უფროსმა შვილმა – მალხაზმა დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი. პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო 1984 წელს ბაკოს რვაწლიან სკოლაში. იყო დირექტორის მოადგილე, 1992-2005 წლებში კი ამავე სკოლის დირექტორი. იგი დღესაც აქვე განაგრძობს ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას.

ასევე წარმატებული პედაგოგია ბიოლოგი თამაზ მიქელაძე. იგი ერთხანს მუშაობდა ბაკოს და მთისუბნის სკოლებში მასწავლებლად. მოკლე

დროით ასრულებდა მთისუბნის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობას. 2008 წლიდან დღემდე მუშაობს ბაკოსა და თხილვანის საჯარო სკოლებში ბიოლოგიის მასწავლებლად. ორივეს აქვს ოჯახი და ჰყავთ კარგი შვილები.

1985 წლის 21 დეკემბერს გიორგი მიქელაძე უბედური შემთხვევის შედეგად ტრაგიკულად დაიღუპა, მაგრამ დატოვა კარგი მამისა და ბაბუის სახელი.

იოსებ მიქელაძე (1941-1991)



ბაკოელ ახალგაზრდებს შორის თავისი პირადი თვისებებით, კეთილშობილებით, ზრდილობითა თუ ამხანაგებთან ურთიერთობით ერთ-ერთი გამორჩეული იყო იოსებ მიქელაძე.

იგი დაიბადა 1941 წლის 10 იანვარს სოფელ ბაკოში, ხიმშიაშვილების სახელოვან გვართან დანათესავებულ ოჯახში. სამწუხაროდ, 3 წლის იყო იოსები, როცა დედა გარდაეცვალა. ის გაიზარდა ბიცოლასა და ბიძაშვილების ხელში. ბავშვობა გაატარა სოფელში. აქვე დაამთავრა ბაკოს დაწყებითი (1952) და თხილვანის 8-წლიანი სკოლა (1958). შემდეგ სწავლა განაგრძო მწვანე კონცხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში და დაიწყო შრომითი საქმიანობა – 1961 წლის 19 მაისს დაინიშნა ხელვაჩაურის რაიონის ანგისის ციტრუსების მეურნეობის ბრიგადირად, სადაც მან გამოავლინა ადამიანებთან ურთიერთობის კარგი უნარი, რითაც შრომით კოლექტივში დაიმსახურა ავტორიტეტი. 1961 წლის 28 დეკემბრიდან მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. ჯარიდან დემობილიზებული, 1964 წელს ჩაირიცხა შრომის წითელი დროშის ორდენიანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1969 წელს სწავლული აგრონომის დიპლომით. მუშაობდა ჯერ ბრიგადირად, შემდეგ აგრონომად ანგისისა და ახალშენის კოლმეურნეობებში. 1975 წლის 20 ოქტომბერს იგი გადაიყვანეს ჩაისუბნის ციტურსების შემფუთავი პავილიონის ახალშენის დამზადების პუნქტის გამგედ.

1970 წელს თანაკურსელ დარიკო დევაძესთან ერთად შექმნა ოჯახი. გაზარდეს 3 შვილი: ხათუნა – ინჟინერ-ეკონომისტია, მანოლა – მედიცინის მუშაკი და ლელა – ფინანსტისტ-ეკონომისტი. ჰყავთ 5 შვილიშვილი.

იოსები თავისი საქმიანობით, თავაზიანობით, სიდინჯით, პირადი მოქალაქეობრივი თვისებებით, ტაქტიანობით, კომუნიკაბელობით ყველგან, სადაც კი იმუშავა, კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა.

1991 წელს, 50 წლის ასაკში, უეცარი სიკვდილით აღესრულა, ნაადრევად დაასრულა თავისი შინაარსიანი და სამაგალითო სიცოცხლე.

განისვენებს ახალშენის სასაფლაოზე.

ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ დატოვა ღირსეული შვილები და საქმიანი კაცის სახელი.

ალექსანდრე ბოლქვაძე (1938-2011)



ალექსანდრე ბოლქვაძე დაიბადა 1938 წლის 25 ოქტომბერს ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში.

1953 წელს დაამთავრა თხილვანის რვაწლიანი სკოლა.

1953-1956 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის სამედიცინო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1956 წელს ხიხაძირის საუბნო საავადმყოფოში. 1957 წლიდან გადაიყვანეს თხილვანის საფერშლო-საბებიო პუნქტის გამგედ, სადაც მუშაობდა 1960 წლამდე.

1960-1966 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში პედიატრიის ფაკულტეტეტზე. მეოთხე კურსიდან, სწავლის პარალელურად, ინსტტუტის დამთავრებამდე მუშაობდა თბილისის სასწრაფო დახმარების ცენტრალურ სადგურში ექთნის სპეციალობით, მორიგე გამსვლელ ბრიგადაში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო ხიხაძირის საუბნო საავადმყოფოში მთავარი ექიმის თანამდებობაზე. 1969 წლის 15 ივნისიდან გადაიყვანეს ღორჯომის საუბნო საავადმყოფოში მთავარ ექიმად, სადაც იმუშავა 1971 წლის ოქტომბრამდე.

1971-1973 წლებში მუშაობდა ხულოს რაიონულ საავადმყოფოში ბავშვთა განყოფილების გამგედ, 1973-1975 წლებში კი – მთავარი ექიმის მოადგილედ სამკურნალო დარგში.

ალექსანდრე ბოლქვაძე 1977 წლის 1 აპრილიდან საკუთარი სურვილით გაემგზავრა ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე (ბამი) და დაინიშნა ბამის ცენტრალურ საავადმყოფოში (ამურის ოკრუგი, ქ. ტანდა) ბავშვთა

განყოფილების გამგედ, ამავე დროს იყო ბამის დედათა და ბავშვთა დაცვის ინსპექტორი.

1980 წლის ნოემბრიდან იგი აჭარაში ბრუნდება და ინი-შნებაა ჩაქვის საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების გამგედ, სადაც მუშაობდა 1999 წლამდე.

1999 წლიდან ალექსანდრე ბოლქვაძე მშობლიურ სოფელში ახალგახსნილ ამბულატორიას ჩაუდგა სათავეში და გარდაცვალებამდე იდგა თხილვანის, ბაკოს და მთისუბნის მოსახლეობის ჯანმრთელობის სამსახურში.

ალექსანდრე ბოლქვაძე იყო კვალიფიციური სპეციალისტი. იგი დიდი სიყვარულით სარგებლობდა პაციენტებს შორის, ჰქონდა მაღალი ავტორიტეტი რაიონის სამედიცინო კოლექტივსა და მშრომელ მოსახლეობაში. დაჯილდოებული იყო სამინისტროს სიგელებითა და დიპლომებით.

ალ. ბოლქვაძემ ნინა ქამაშიძესთან ერთად შექმნა შესანიშნავი ოჯახი, სადაც აღიზარდა 2 ვაჟი და 4 ქალი. ბაბუის ტრადიციების გამგრძელებელია შვილიშვილი რუსლან ბოლქვაძე, რომელიც თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდაამთავრებულია.

ალექსანდრე ბოლქვაძე გარდაიცვალა 2011 წელს.

გულნარა დუმბაძე

გულნარა დუმბაძე დაიბადა 1944 წლის 25 თებერვალს ხულოს რაიონის ხიხაძირის სასოფლო საბჭოს სოფელ ბაკოში. ორი წლისაც არ იყო, რომ მამა გარდაეცვალა, მისი აღზრდა დედას დაეკისრა, ხოლო სწავლა-განათლება ძმების საზურანვი გახდა. მან 1955 წელს დაამთავრა ბაკოს დაწყებითი სკოლა და სწავლა განაგრძო თხილვანის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1961 წელს დაამთავრა. იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის სამედიცინო სასწავლებელში, რომლის დირექტორი იყო აღიარებული ექიმი და სამედიცინო საქმის ორგანიზატორი ავნი დიასამიძე, ხოლო სასწავლო ნაწილის გამგე – მემედ ჩიჯავაძე. სწავლა მოუხდა ისეთი ექიმ-პედაგოგებთან, როგორებიც იყვნენ ვახტანგ დიასამიძე, სუსანა შერვაშიძე, რევაზ მსახურაძე, ნოდარ პერტია, ურუშაძე, ტუღუში და სხვები. სწავლის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, იყო სასწავლებლის თვითმოქმედი

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრი. მაშინ ეს კოლექტივი ცნობილი იყო არა მარტო ბათუმში, არამედ მთელ საქართველოში. ანსამბლს ხელმძღვანელობდა ცნობილი ლოტბარი, აჭარის დამსახურებული არტისტი ჭიჭიკი დარჩია.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1964 წლიდან გ. დუმბაძემ დაიწყო ექთნად მუშაობა ხულოს საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში, დასტაქარ ასლან ქონიაძესთან. აქ მას მოუხდა მუშაობა ისეთ გამოცდილ ექიმებთან, როგორიც იყვნენ ალი ბოლქვაძე, აკაკი ლომაძე, მამია ხალვაში, ვლადიმერ დიასამიძე, სანდრო ტუღუში, ვლადიმერ ბერიძე, ექთანი ნადია ჯაყელი, ნანული, ნელი ჯოხიძეები.

სამშობიარო სახლის გახსნის დღეებიდან, ბათუმის სამშობიარო საავადყოფოში მეან-გინეკოლოგის სამთვიანი კურსების გავლის შემდეგ, როგორც მცოდნე და გამოცდილი ექთანი, გადაიყვანეს ჯერ გინეკოლოგიურ, ხოლო შემდეგ აქვე სამეანო განყოფილებაში ბებია-ექთნად. განსაკუთრებით მძიმე და საპასუხისმგებლო დარჩა ამ უბანზე მუშაობა. რამდენი უძილო ღამე გაუტარებია, რათა დახმარებოდა მშობიარე დედებს, მათთან ერთად ეზეიმა ახალშობილის ამქვეყნად მოვლინებით. აქაც გაუმართლა, ისეთ გამოცდილ მეან-გინეკოლოგებთან მუშაობა მოუწია, როგორიც იყვნენ ნადეჟდა ხაჩიძე, მარგო ნაფეტვარიძე, ქეთინო ბახტაძე, ავრორა კარიბოვა. შემდეგ იმუშავა დედათა და ბავშვთა რეგიონულ ცენტრში, რომელიც განთავსებული იყო ახლადაგებულ შენობაში და აღჭურვილია თანამედროვე ავეჯით, ხელსაწყო-აპარატურით, მკურნალობა დგას მაღალ დონეზე. ამ ცენტრის მაშინდელი დირექტორი იყო საქართველოში კარგად ცნობილი მეან-გინეკოლოგი, ამავე რაიონის მკვიდრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თემურ გაბაიძე.

გულნარა დუმბაძეს მუშაობის 40 წლის სტაჟი დაუგროვდა. ეამაყება, რომ ამ ხნის განმავლობაში ბევრ დედას დახმარებია, გადაურჩენია ჩვილთა სიცოცხლე. მისი გაანგარიშებით 1000-ზე მეტი ახალშობილი აუყვანია, იშვიათი იყო, რომელიმე ბავშვი დაღუპუოდა. ხშირი იყო ტყუპების დაბადება, რაც თავისებურ მიდგომასა და ყურადღებას ითხოვდა. ახლა იგი უკვე დამსახურებულ პენსიაზეა.

სანიმუშო ღვაწლისა და პროფესიონალიზმისთვის ბევრჯერ დაუმსახურებია ხელმძღვანელობის მადლობა.

გულნარა დუმბაძეს სანიმუშო ოჯახიც აქვს. მისი მეუღლე – თემურ ზოიძე მუშაობდა რაიონის ექიმ-ბაქტერიოლოგად. ჰყავთ 3 შვილი, 5 შვილიშვილი და 2 შვილთაშვილი.

ეგნატე დუმბაძე

ეგნატე დუმბაძე მიეკუთვნება ხულოს რაიონის სინამდვილიდან სამხედრო მოსამსახურეთა იმ რიცხვს, ვინც შეძლო განევლო რთული გზა და მიეღწია დასახული მიზნებისთვის.

ეგნატე დუმბაძე დაიბადა 1944 წელს სოფელ ბაკოში, გაიზარდა მრავალშვილიან ოჯახში. 1952 წელს შევიდა მშობლიური სოფლის დაწყებით სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თხილვანის საშუალო სკოლაში. მეხუთე კლასის დამთავრების შემდეგ სასწავლებლად გადავიდა ხულოს ახალგახსნილ სკოლა-ინტერნატში, სადაც თავი გამოიჩნა სწავლითა და საზოგადოებრივი აქტიურობით. სწავლის დამთავრების შემდეგ, 1963 წელს, ხულოს რაიკომისარიატის მიერ (სამხედრო კომისარი მამია მოდებაძე), თანასოფლელ არჩილ ჯაბნიძესთან ერთად სასწავლებლად გაიგზავნა ქ. სარატოვის სამხედრო სასწავლებელში, რომელიც 1966 წელს ოფიცრის ჩინით დაამთავრა. იმსახურა კუბაში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, იყო პოლკის სამეურნეო სამსახურის უფროსი.

1974 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა და 1977 წელს დაამთავრა ლენინგრადის სამეთაურო აკადემია და სამუშაოდ გაანაწილეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში პოლკის ზურგის უფროსად. 1979 წელს გაიგზავნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

1992 წლიდან ეგნატე დუმბაძე მსახურობს ქ. თბილისში, კ. ლესელიძის სახელობის სასწავლებელში, დირექტორის მოადგილედ. იმავე წელს იგი მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამხედრო კათედრაზე ზურგის ციკლის უფროსად. მონაწილეობდა აფხაზეთის ომში ჯერ სანივთე სამსახურის უფროსად, შემდეგ – ზურგის უფროსად. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამუშაოდ გადადის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრაზე ზურგის ციკლის უფროსად.

1993 წლის მარტიდან პოლკოვნიკი ეგნატე დუმბაძე დააწინაურეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსად. ბოლო ხანებში იმუშავა თბილისის ეკონომიკის ინსტიტუტის სამხედრო კათედრაზე. დაჯილდოებულია სამხედრო ჯილდოებით.

ამჟამად პოლკოვნიკი ეგნატე დუმბაძე პენსიაზეა და ცხოვრობს თბილისში. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

მას მჭიდრო კავშირი აქვს სოფელთან, მშობლიურ სკოლასთან.

ამირან გაბაიძე (1936-2005)

ამირან გაბაიძე დაიბადა 1936 წლის 18 თებერვალს, ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში.

1939 წელს მშობლები საცხოვრებლად გადავიდნენ სოფელ ქვედა თხილვანაში. ამირანმა დაამთავრა ქვედა თხილვანის დაწყებითი სკოლა (1947), თხილვანის 8-წლიანი სკოლა (1951), ხიხაძირის საშუალო სკოლა (1954) და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა--მათემატიკის ფაკულტეტი (1959). ის განეკუთვნება სხალთა-ხიხანის ხეობის ინტელიგენტთა ფართო წრეს, რომელიც გამოირჩევა თავისი კოლორიტით, ადამიანებისადმი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ამირან გაბაიძემ მუშაობა დაიწყო აჭარის ა/რ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის დირექტორის მოადგილედ.

1961 წელს სამუშაოდ გადავიდა ბათუმის №2 სკოლა-ინტერნატის (სალიბაური) ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად.

1967-1970 წლებში მუშაობდა ქვედა თხილვანის 8-წლიანი სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. 1970-1993 წლებში იყო აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში სხვადასხვა თანამდებობაზე, სადაც მრავალჯერ გამოიჩინა თავი დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში, განსაკუთრებით, კრიმინალთან ბრძოლაში. მის თავდადებასა და ვაჟკაცობაზეა მოთხრობილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, გენერალ-მაიორ მიხეილ ბეჟანიძის წიგნში.

ამირან გაბაიძე 1993 წელს მილიციის მაიორის წოდებით გავიდა პენსიაზე. გარდაიცვალა იგი 2005 წელს. მის ხსოვნას პატივს მიაგებენ მეუღლე – ლუსია, შვილი, შვილიშვილები, ახლო ნათესავები და მეგობრები.

ამირან დუაძე, ნადია ბოლქვაძე

ამირან დუაძე დაიბადა 1940 წელს ხულოს რაიონის სოფელ მთისუბანში, მრავალშვილიან ოჯახში.

დაამთავრა მთისუბნის დაწყებითი, ხოლო 1960 წელს თხილვანის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა სამტრედიის რაიონის კულაშის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში, რომლის სრული კურსის დამთავრების

შემდეგ მუშაობა დაიწყო შუახევის რაიონის წყალსაყარის სასოფლო საბჭოს ვეტუბნის გამგედ.



1963-1965 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1965-68 წლებში სწავლობდა ქალაქ თბილისის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო--კვლევით ინსტიტუტში.

1968 წელს დაინიშნა ხულოს რაიონის ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლ სადგურში ეპიზოტოლოგ-ექიმად, 1970 წლიდან გადაყვანილ იქნა ხიხაძირის სასოფლო საბჭოს სასაზღვრო ვეტუბნის გამგედ.

1979 წელს ამირან დუაძის ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა ქალაქ ბათუმში და იგი დაინიშნა აჭარის ა/რ სარაიონოთაშორისო ზოოვეტმომარაგების მმართველად, 1986 წელს კი ვეტსანიტარული რაზმის დირექტორად. 1991 წლიდან იგი აჭარის საზღვაო სანაოსნოს პროფდეზინფექციური განყოფილების დირექტორია, 2004-2012 წლებში კი – აჭარის პროფდეზინფექციური განყოფილების დირექტორი, საიდანაც გავიდა პენსიაზე. მიღებული აქვს არაერთი სიგელი და მადლობა.

ამირან დუაძემ ოჯახი შექმნა თხილვანის მკვიდრ ნადია ბოლქვაძესთან, რომელმაც დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედინსტიტუტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკათა ფაკულტეტი და მუშაობდა მშობლიური თხილვანის საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში.

კარგი, გამოცდილი პედაგოგების გვერდით, ძლიერი სასწავლო ნაწილის გამგის გაკვეთილებზე სისტემატიურად დასწრებით, იგი საუკეთესო მასწავლებლად ჩამოყალიბდა და მოწინავე მასწავლებლის სახელი დაიმკვიდრა.

გათხოვების შემდეგ, 1972 წლიდან იგი მთისუბნის არასრული საშუალოდ სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად მუშაობდა, 1979 წლიდან კი ოჯახით საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში და იქ აგრძელებს ცხოვრებას. ამჟამად ცოლ-ქმარი პენსიონრებია.

არჩილ მიქელაძე (1945-2009)

არჩილ მიქელაძე დაიბადა 1945 წლის 12 დეკემბერს ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში, მოსამსახურის ოჯახში. 1952 წელს სწავლა დაიწყო ბაკოს დაწყებითი სკოლაში. 1957 წელს სწავლა განაგრძო თხილვანის სა-



შუალო სკოლაში. 1962 წელს დაამთავრა ხულოს სკოლა-ინტერნატი და 1963 წელს ჩაირიცხა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აგრონომიის ფაკულტეტზე. 1964-1966 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. არმიიდან დემობილიზებულმა, აღიდგინა სტუდენტის უფლებები და დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტი აგრონომის სპეციალობით. 1969 წლიდან ცხოვრობდა ოზურგეთის რაიონის ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა ლაითურის მეურნეობაში ბრიგადირად, აგრონომად და გამგებლად. დაამთავრა ასპირანტურა. იყო ადგილობრივი საბჭოების რამდენიმე მოწვევის დეპუტატი. გარდაიცვალა 2009 წელს.

ჰყავდა მეუღლე ნადია მიქელაძე – პედაგოგი, ისტორიკოსი, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

აკაკი დუმბაძე (1940-2010)



აკაკი (კაკო) დუმბაძე დაიბადა 1940 წელს ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში. გაიზარდა შრომისმოყვარე ზერიფე სურმანიძისა და ჯეფერ დუმბაძის ოჯახში. და--ძმებს შორის შუათანა იყო. 5 წლისაც არ იყო, მამა რომ გარდაეცვალა და ბავშვობა ობლობაში გაატარა.

1948 წელს შევიდა ბაკოს დაწყებით სკოლაში. მისი დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თხილვანის საშუალო სკოლაში, რომლის სრული კურსი დაასრულა 1960 წელს. იმავე წელს დაინიშნა ბაკოს სასოფლო კლუბის გამგედ. ახალგაზრდა მუშაკმა მალე აუღო ალღო კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობას და შინაარსიანად წარმართა საქმიანობა, რომლის გამოც კლუბს შეფად დაუდგა აჭარის ხალხური შემოქმედების სახლი (დირექტორი ა. კუნჭულია) და კლუბს უსასყიდლოდ გადასცა 150 ცალი გრეხილი სკამი, სასცენო მორთულობა, სხვადასხვა ავტორის ნახატი და სხვა, რითაც წახალისდა სოფლის ახალგაზრდობა და ატარებდნენ საინტერესო მხატვრულ

ღონისძიებებს, რომელთაც სიამოვნებით ესწრებოდა სოფლის მოსახლეობა და მოსწავლე ახალგაზრდობა.

აკაკი დუმბაძე მუშაობასთან ერთად გვერდიდან არ იშორებდა წიგნს, ოცნებობდა ვეტექიმობაზე.

1964 წელს ჩაირიცხა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ვეტერინარიის ფაკულტეტზე. წარჩინებული სტუდენტი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელშიც ჩარიცხეს. სწავლა და ცხოვრება მოუწია ადიგენის რაიონის დაბა უდეს მკვიდრ ნოდარ თათოშვილთან ერთად, რამაც ისინი განუყრელ მეგობრებად აქცია.

კაკო დუმბაძემ 1969 წელს წარმატებით დაამთავრა ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო თავისი რაიონის ხიხაძირის ვეტპუნქტში ვეტექიმად. ერთი წელიც არ ჰქონდა ნამუშევარი, რომ იგი ბაკოს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აიჩიეს. კოლმეურნეობას კაკო ღირსეულად წაუძღვა. მან არათუ შეინარჩუნა, არამედ კიდევ უფრო განავითარა ცალკეული სასოფლო-სამეურნეო დარგები და კარგ შედეგებსაც მიაღწია. სწორედ მისი ხელმძღვანელობით სკოლის შენობას მიუშენდა ოთხი ოთახი და გადაკეთდა რვაწლიან სკოლად, მოწესრიგდა სასოფლო გზები, ბევრმა მოსახლემ აიშენა ახალი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

კაკომ 1972 წელს იქორწინა დაბა ხულოში მცხოვრებ, შესანიშნავი ოჯახის შვილზე, დოდო ქონიაძეზე და ფუძემაგარი ოჯახიც შექმნა. ცოლ-ქმრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გაზარდეს სამი სახელოვანი შვილი – გურამი, ირმა და მალხაზი. სამივეს მიაღებინეს უმაღლესი განათლება და დააოჯახეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარედ 3 წლის მუშაობის შემდეგ კაკო თავის პროფესიას დაუბრუნდა და დაინიშნა ახალგახსნილი საკონტროლო ვეტერინარული პუნქტის მთავარ ექიმად. ამ დროისთვის იგი კარგად იყო დაუფლებული ვეტერინარიას, ცხოველთა მოვლისა და მკურნალობის პრაქტიკას და სწორი ვეტერინარული საქმიანობით ხელს უწყობდა საზოგადოებრივი და კერძო მეცხოველეობის განვითარებას. იგი დაუზარებლად დადიოდა სოფელ-სოფელ გამოძახებებზე და მკურნალობდა პირუტყვს, რითაც დაიმკვიდრა მცოდნე, გამოცდილი ვეტექიმის სახელი და მოიპოვა კარგი ავტორიტეტი ხელმძღვანელობასა და მოსახლეობაში.

აკაკი დუმბაძე 40 წელზე მეტხანს ემსახურებოდა მეცხოველეობის დარგის განვითარებას, რითაც ხელი შეუწყო მეცხოველეობის პროდუქტების ზრდას და მეურნეობების, ოჯახების ეკონომიკის განვითარებას.

იგი უშურველად გადასცემდა თავის გამოცდილებას ახალგაზრდა სპეციალისტებს. მან თავის ვაჟიშვილებს შეასწავლა ვეტერინარიის საფუძვლები, გადასცა პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ისინი ამჟამად აგრძელებენ მამის პროფესიას.

ხარობდა კაკო თავის ოჯახთან, და-ძმებთან ერთად. ბოლო ხანებში პენსიაზე იყო გასული და საოჯახო საქმეებს ეძალებოდა. ფარული მიკ-

როინფარქტი გადაიტანა, იმკურნალა კიდეც, მაგრამ გულმა მაინც უმტყუნა და გარდაიცვალა 70 წლის ასაკში – 2010 წლის 26 მარტს. დაკრძალულია მშობლიურ სოფელში დუმბაძეთა საგვარეულო სასაფლაოზე.

აკაკი დუმბაძე თავისი საქმიანი და პიროვნული თვისებებით ყოველთვის იქნება სპეციალისტთა ყურადღებისა და პატივისცემის ცენტრში.

ოთარ მამულაძე



სახელოვანი გვარის წარმომადგენლთა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ოთარ მამულაძე.

იგი დაიბადა აბუსერისძეთა ნაფუძარზე, სოფელ ქვედა თხილვანაში, 1943 წლის 23 თებერვალს.

1950 წლის 1 სექტემბერს შევიდა ქვედა თხილვანის დაწყებითი სკოლაში, სწავლა განაგრძო თხილვანის 8-წლიან სკოლაში, ხოლო 1961 წელს დაამთავრა თხილვანის საშუალო სკოლა.

1961 წელს კიდევ ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა მის ცხოვრებაში. პირველი, ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა ქ. ბათუმში, მახინჯაურში და, მეორე, გახდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი. სტუდენტობის წლებში მოუწია ჯარში სამსახურიც (1964-1967 წწ). ჯარიდან დაბრუნების შემდეგ 1970 წელს დაამთავრა ზემოაღნიშნული ინსტიტუტი და დაიწყო შრომითი საქმიანობა ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანაში. იყო მუშა, ექსპედიტორი, დირექტორის მოადგილე, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საიდანაც 2009 წელს გავიდა პენსიაში.

ჰყავს მეუღლე – ნატალია, შვილები ალექსანდრე, ომარი და 5 შვილიშვილი.

ბატონი ოთარი აგრძელებს ოჯახის, წინაპრებისა და მამულაძეთა სახელოვანი გვარის ტრადიციებს.

ნათელა დუაძე

ნათელა დუაძე დაიბადა 1947 წელს, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ისტორიულ სოფელ გონიოში. სწავლობდა ამავე სოფლის სკოლაში.

მისმა უფროსმა დამ – ნანულიმ, რომელიც იმხანად ხულოს რაიონის თხილვანის საშუალო სკოლის მასწავლებლად მუშაობდა, გაითვალისწინა უმცროსი დის ინტერესი, მამისეული მხარისადმი სიყვარული და მეათე კლასიდან ნათელა სწავლის გასაგრძელებლად გადაიყვანა თხილვანის საშუალო სკოლაში. ამიტომ საშუალო სკოლა მან დაამთავრა თხილვანაში და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1970 წელს და მიიღო ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლის დიპლომი. ამ პერიოდში ნათელა დუაძე გათხოვდა და ოჯახი შექმნა გონიოელ ახალგაზრდასთან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტდამთავრებულ და იმავე უნივერსიტეტის ასპირანტ ნოდარ ბარამიძესთან, რომელიც დღეს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი, საქართველოს პედაგოგიკური (განათლების) მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია.

ნათელა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებაში. იყო ბათუმის უნივერსიტეტში კათედრის ლაბორანტი, ხელმძღვანელობდა პედაგოგიურ პრაქტიკას სკოლებში, კითხულობდა ლექციებს საოჯახო ცხოვრების ეთიკასა და ფსიქოლოგიაში.

ამჟამად მუშაობს გონიოს საჯარო სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლად.

ჰყავს შესანიშნავი 2 ვაჟი და 5 შვილიშვილი.

სერგო დუაძე (1938-2016)

სერგო დუაძე დაიბადა 1938 წელს ხულოს რაიონის სოფელ მთისუბანში, მრავალშვილიან ოჯახში. თხილვანის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შედეგ სწავლა განაგრძო ხიხაძირის საშუალო სკოლაში, სადაც ისწავლა ერთი სასწავლო წელი. 1960 წელს დაამთავრა ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, მიიღო უმცროსი აგრონომის სპეციალობა, იმსახურა საბჭოთა არმიის რიგებში.

1963 წელს ცხოვრება და მუშაობა დაიწყო ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოში. 1966 წელს ჩაირიცხა და 1971 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიის ფაკულტეტი, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ხელვაჩაურის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობაში მცენარეთა დაცვის აგრონომად, შემდეგ იყო გონიოს კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი.

1976-1980 წლებში იყო ხელვაჩაურის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი აგრონომი. 1980 წელს დააწინაურეს „სოფლქიმიის“ ხელვაჩაურის სარიაონოთაშორისო გაერთიანების თავმჯდომარედ. 1989 წელს აირჩიეს გონიოს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ორჯერ იყო ამ დიდი სოფლის თავკაცი, სადაც იმუშავა 12 წელი.

სადაც კი იღვაწა სერგო დუაძემ, ყველგან გამოავლინა შრომისმოყვარეობა, დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობა, რითაც თანასოფელელთა შორის მოიპოვა ავტორიტეტი და უნარიანი ხელმძღვანელის სახელი დაიმკვიდრა.

სერგო დუაძემ პედაგოგ თამარ დავითაძესთან ერთად 1967 წელს შექმნა ოჯახი. ჰყავთ ერთი შვილი და ორი შვილიშვილი – სერგო და სანდრო. მას და მისი ოჯახის წევრებს კავშირი არ გაუწყვეტიათ მშობლიურ მხარესთან, ბავშვობის, მოსწავლეობის ტოლ-ამხანაგებთან.

გარდაიცვალა იგი 78 წლის ასაკში, ავადმყოფობის შედეგად. დასაფლავებულია გონიოში. მისი კაიკაცობა გონიოელებს დიდხანს ემახსოვრებათ.

სერგო ბოლქვაძე

სერგო ბოლქვაძე დაიბადა 1948 წლის 27 აპრილს ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში.

სერგოს მამა წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თხილვანის კოლმეურნეობას, მოსახლეობაში სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით, დიდ ყურადღებას აქცევდა სკოლას, ზრუნავდა სოფლის კეთილმოწყობისთვის. საკუთარი სახსრებით მან ააგო, მოაწყო წყლის წისქვილი და სოფლის მოსახლეობს სიყვარული დაიმსახურა. დღეს ყველა მომხმარებელი მადლიერებით იხსენებს მას.

1966 წელს სერგო ბოლქვაძემ დაამთავრა თხილვანის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, აგრო-



ნომიულ ფაკულტეტზე. სასწავლებლიდან გაიწვიეს სამხედრო არმიის რიგებში, რის გამოც დასახელებული სასწავლებელი 1973 წელს დაამთავრა, მიიღო აგრონომის სპეციალობა და იმავე წელს დაიწყო მუშაობა თხილვანის კოლმეურნეობაში აგრონომად. საქმიანობაში გამოიჩინა მონდომება, მოიპოვა თანასოფლელთა პატივისცემა და სიყვარული. იგი, როგორც მოწინავე სპეციალისტი, მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მიავლინეს.

1977 წელს სერგო ბოლქვაძე აირჩიეს გამსხვილებული კოლმეურნეობის (ოთხი სოფლის – თხილვანის, ქვედა თხილვანის, ბაკოს და მთისუბნის) თავკაცად. 5 წელზე მეტხანს მუშაობდა ამ თანამდებობაზე იგი. მისი თავმჯდომა-რეობის დროს თხილვანის კოლმეურნეობა იყო მოწინავე, გადაჭარბებით სრულდებოდა საკოლმეურნეო გეგმა-ვალდებულებები. მისი თავკაცობის პეროდში დაიწვა სკოლის შენობა, მაგრამ შეუფერხებლად აიგო 12-ოთახიანი ახალი შენობა, ხოლო შემდეგ სახელმწიფო ხარჯებით აშენდა ორსართულიანი კაპიტალური შენობა. თანასოფლელთა მოთხოვნით მან სოფლის სასაფლაოს შემოავლო გალავანი. მის ოჯახში სტუმრად მიიღეს წარსულში ამ სოფლის მკვიდრის – ხასან ბოლქვაძის შვილი, იმჟამად თურქეთის რესპუბლიკის სენატორი ფეჰმი გუნეში (ბოლქვაძე) და თანმხლები ოფიციალური თანამდებობის პირები.

1983 წელს სერგო ბოლქვაძე საცხოვრებლად გადმოვიდა ქალაქ ბათუმში. მუშაობდა სასტუმრო "მედეას" ადგილკომის თავმჯდომარედ, შემდეგ ბათუმის ლუდის ქარხანაში – ლუდისა და ლაღიძის წყლების საამქროს ადმინისტრატორად. ამჟამად არის კაფე-ბარ „საამოს" დირექტორი.

მიუხედავად ქალაქ ბათუმში ცხოვრებისა, სერგო ბოლქვაძე აქტიურ მონაწილოებას იღებს თავისი სოფლის საკეთილდღეოდ. ეწევა ქველმოქმედებას. იგი ხელმძღვანელობდა სახალხო ზეიმ „ტბელობის" და თხილვანის საშუალო სკოლის 80 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებების მომზადება-ჩატარებას. მის კაფე-ბარში იკრიბებიან ქალაქის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, ეწყობა შეხვედრები, საიუბილეო საღამოები და სხვა ღონისძიებები.

ჰყავს მეუღლე – ემინე მამულაძე, ერთი ქალიშვილი და ორი შვილიშვილი.

სერგო ბოლქვაძე ავტორიტეტული, აღიარებული მოღვაწეა, მას ენდობიან და პატივისცემით ეპყრობიან.

ლევან მამულაძე



ლევან მამულაძე დაიბადა 1953 წლის 6 ნოემბერს ხულოს რაიონის სოფელ ქვედა თხილვანაში.

1969 წელს დაამთავრა ქვედა თხილვანის რვაწლიანი სკოლა ხოლო 1970 წელს თხილვანის საშუალო სკოლა.

1971-1973 წლებში მსახუროდა სამხედრო არმიის რიგებში.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1973 წელს ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანაში ზეინკლად. 1978-1985 წლებში მუშაობდა აჭარის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემაში მექანიკოსად.

1985 წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელიც 1981 წელს დაამთავრა.

1985-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს პროკურატურის სისტემაში: ქედის რაიონის პროკურატურის გამომძიებლად, ხელვაჩაურის რაიონის პროკურორის თანაშემწედ, აჭარის პროკურატურის უფროს გამომძიებლად. ამ უბნებზე მუშაობის დროს გამოავლინა მცოდნე, პრინციპული იურისტის თვისებები. ამიტომაც მას ანდობდნენ მძიმე დანაშაულების გამოძიებას, რასაც მთელი პასუხისმგებლობით, საქმის პროფესიული ცოდნით ასრულებდა.

2004 წლის სექტემბრიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას.

ჰყავს მეუღლე – ზაირა გორაძე, შვილები: გურანდა იურისტია, ბათუმის იუსტიციის სახლის სამოქალაქო რეესტრის სპეციალისტი, მირანდა – დიასახლისი, დავითი – საქართველო-ამერიკის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

იოსებ გუნდაძე

იოსებ გუნდაძე დაიბადა 1948 წლის 15 აპრილს ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში.

1966 წელს დაამთავრა თხილვანის საშუალო სკოლა.

1967-1969 წლებში მსახურობდა სამხედრო არმიის რიგებში.

შრომითი საქმიანობა დაიწყო სოფელ თხილვანის კოლმეურნეობაში რიგით წევრად, იყო ამავე კოლმეურნეობაში ჯერ მემინდვრეობის, შემდეგ,



მეცხოველეობის ფერმის ბრიგადირი, 1973 წლიდან მოანგარიშე, შემდეგ კი მთავარი ბუღალტერი.

1976-1978 წლებში სწავლობდა ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში საბუღალტრო აღრიცხვის დაუსწრებელ ფაკულტეტზე.

1980 წლიდან იოსებ გუნდაძე საცხოვრებლად გადმოვიდა ქალაქ ბათუმში და მუშაობა დაიწყო "აჭარსოფქიმიის" ხელვაჩაურის გაერთიანებაში მთავარ ბუღალტრად, 1986-2000 წლებში მუშაობდა "ავტოკოლონა-2655"-ის მთავარ ბუღალტრად. 2000 წლიდან ეწევა ბიზნესსაქმიანობას და არის სხვადასხვა ფირმის ბუღალტერი. ეწევა საქველმოქმედო საქმიანობასაც. იგი ითვლება სოფლის, გვარის თავკაცად, ჩამოყალიბებულ ინტელიგენტად, თავისი ხალხის, მეგობრების პატივისმცემელ პიროვნებად.

ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და 5 შვილიშვილი.

ნოდარ დუმბაძე

ნოდარ დუმბაძე დაიბადა 1953 წელს ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში, მრავალშვილიან ოჯახში.

ნოდარის მამამ – მიხეილ დუმბაძემ თვითგანათლების გზით მიაღწია წარმატებებს, კარგად ერკვეოდა საზოგადოებასა და სახელმწიფო სტრუქტურებში. სოფელში გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით, იყო ხელისუფლების ორგანოებთან დაახლოებული პიროვნება. დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა სოფლის მოსახლეობასა და ხელმძღვანელობაში. ამიტომ აირჩიეს სოფლის თავკაცად და 16 წელიწადს სწევდა სოფლის ცხოვრების ჭაპანს, კარგი სახელითაც სარგებლობდა. მან ბევრი სიახლე დანერგა სოფელში. მის ღირსეულ კვალზე იარეს შვილებმა – ეგნატემ, არჩილმა და ლევანმა, მიიღეს უმაღლესი განათლება და მუშაობდნენ პატიოსნად, ემსახურებოდნენ სამშობლოს. ბავშვობიდან ამავე გზით დაიწყო ცხოვრება ნოდარმაც.

პირველდაწყებითი განათლება მიიღო ბაკოს დაწყებით სკოლაში. 1960 წელს სწავლა განაგრძო თხილვანის საშუალო სკოლის V კლასში. საშუალო სკოლა დაამთავრა 1970 წელს.

1967-1973 წლებში მსახურობდა ჯარში.

1974 წლიდან სოფელმა აირჩია ბაკოს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, დიდი მონდომებითა და მთელი შემართებით მუშაობდა ხალხთან. კოლმეურნეობის თავკაცობის დროს ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა მწვანე კონცხის სასოფლო-საქმეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფი-ლებაზე და პურ-პროდუქტების შენახვა-გადამუშავების სპეციალობის დიპლომით დაამთავრა ინსტიტუტი. ამის შემდეგ იგი კვლავ აგრძელებდა სოფლის თავკაცობას. მუშაობდა კოლმეურნეობის სხვადასხვა სტრუქტურაში. იყო სოფლის გამგებელი, თხილვანის თემის საკრებულოს სამხედრო მაგიდის გამგე. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ამჟამად იგი პენსონერია და ეწევა საოჯახო მეურნეობას.

ნოდარმა ოჯახი შექმნა 1975 წელს. თავისი ბედი დაუკავშირა თხილვანის მცხოვრებ, დიდი სამამულო ომის მონაწილის, დიდების ორდენოსან ხასან ქამადაძის ქალიშვილს, ჟენია ხასანის ასულ ქამადაძეს. მათ გაზარდეს სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი. ჰყავთ შვილიშვილები.

ისინი შვილებსა და შვილიშვილებზე ზრუნვითა და ფერებით აგრძელებენ ცხოვრებას.

ბაგრატ ცეცხლაძე

ბაგრატ ცეცხლაძე დაიბადა 1948 წლის 23 მაისს ხულოს რაიონის სოფელ ქვედა თხილვანაში. დაამთავრა ქვედა თხილვანის დაწყებითი და თხილვანის საშულო სკოლა (1965).

1966-1967 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მოსამზედებელ განყოფილებაზე, საიდანაც გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, იმსახურა გერმანიიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

1972 წელს დაამთავრა ქალაქ ბათუმის საბუღალტრო სკოლა და შრომითი საქმიანობა დაიწყო თხილვანის კოლმეურნეობაში ეკონომისტად, სადაც მუშაობდა 1981 წლამდე. იყო კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

1981 წლიდან ბაგრატ ცეცხლაძე ოჯახით საცხოვრებლად გადმოვიდა ქალაქ ბათუმში, სადაც შრომითი საქმინობა გააგრძელა ხელვაჩურის რაიონში არასაუწყებო დაცვის უფროსად.

1987-1993 წლებში იყო აჭარის ტურიზმის ინსპექტორი, 1991-1993 წლებში კი მუშაობდა საბაჟო სამსახურში.

1993 წლიდან დღემდე ეწევა ბიზნესსაქმიანობას, არის ქველმოქმედი, თანამგრძნობი პიროვნება.

ჰყავს მეუღლე, შვილები და შვილიშვილები.

ბეჟან (ბექირ) ბოლქვაძე



თხილვანის საშუალო სკოლადამთავრებულთა შორის თავისი ნიჭით გამორჩეულია ბეჟან (ბექირ) ბოლქვაძე. იგი დაიბადა 1953 წლის 18 სექტემბერს ხულოს რაიონის სოფ. თხილვანაში. მამა – მემედ ბოლქვაძე, სოფელში და ხეობაში ჭკუასაკითხავი და პროგრესულად მოაზროვნე სასულიერო პიროვნება გახლდათ. დედა – სოფიო იყო დისახლისი, მრავალშვილიანი ოჯახის დედა.

ბეჟან ბოლქვაძემ 1970 წელს დაამთავრა თხილვანის საშუალო სკოლა, რის შემდეგ იმსახურა ჯარში. სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ 1975 წელს სწავლა განაგრძო ქუთაისის კვების მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. 1977 წლიდან, სწავლის პარალელურად, მუშაობა დაიწყო აჭარის ტურიზმის სისტემაში, 1979-1983 წლებში მუშაობდა ქობულეთის რაიონის მუხაესტატეს ციტრუსების მეურნეობაში. იყო სოფლის თავკაცი. 1997 წელს გადაიყვანეს ქ. ბათუმში ცენტრალურ მეჩეთში იმამად. პარალელურად დაამთავრა ბათუმის პედინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. 2004 წელს დააწინაურეს ქართველ მუსულმანთა სამუფთოს სამმართველოს უფროსად. 2009 წელს დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მრჩევლად. 2015 წლიდან გადაყვანილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში და მუშაობს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსად.

ჰყავს მეუღლე, სამი ქალიშვილი და ორი ვაჟი, უმაღლესი განათლებით.

ბეჟან ბოლქვაძე განათლებული, კომუნიკაბელური, ყურადღებიანი პიროვნებაა, საზოგადოებაში სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით.

ილია ქამადაძე

თხილვანის ასწლოვანი სკოლის კურსდამთავრებულთა შორის იურისტებიც არიან. ერთ-ერთი მათგანია ილია ქამადაძე. იგი დაიბადა 1955 წლის 20 მარტს ხულოს რაიონის სოფელ ქვედა თხილვანაში.

1962 წელს სწავლა დაიწყო თხილვანის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1972 წელს და მუშაობა დაიწყო თხილვანის კოლმეურნეობაში რიგით წევრად.

1974 წლის 1 დეკემბრიდან იგი მსახურობდა სამხედრო არმიის რიგებში, საიდანაც 1976 წელს დაბრუნდა.

1980 წლის დეკემბერში ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე. 1986 წლის ივლისში დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

1986 წლის 6 დეკემბერს დაინიშნა ხულოს რაიონული საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად.

1988 წლის სექტემბრიდან 1991 წლის მაისამდე იყო ხულოს რაიონის იურიდიული განყოფილების გამგე – ადვოკატი; 1991 წლის მაისიდან 1993 წლის სექტემბრამდე – ხულოს რაიონის პროკურატურაში გამომძიებელი. 1993 წლის სექტემბრიდან 1999 წლის მაისამდე იყო ხულოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 1999 წლის მაისიდან 2005 წლის დეკემბრამდე მუშაობდა აჭარის უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის თავმჯდომარედ და იყო პრეზიდიუმის წევრი. 2006 წლის პირველი იანვრიდან, აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ლიკვიდაციის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 18 თებერვლის ბრძანებულებით დაინიშნა ქობულეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ, საიდანაც 2007 წლის თებერვლის თვეში, პირადი განცხადების საფუძველზე, გათავისუფლდა, ხოლო 2007 წლის აპრილიდან დღემდე არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი და დამოუკიდებელი ადვოკატი. ბატონი ილია ახალგაზრდული ენერგიით დღესაც აგრძელებს მუშაობას, ემსახურება თავის ხალხსა და სამშობლოს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ზურაბ მიქელაძე



ზურაბი იმ ბაკოელ ახალგაზრდებს შორისაა, რომლებმაც ცხოვრებას ალღო აუღეს და ბიზნესს მისდევენ.

ზურაბ მიქელაძე დაიბადა 1952 წელის 11 დეკემბერს ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში, შრომისმოყვარე და ტრადიციულ ოჯახში,

სწავლა დაიწყო ამავე სოფლის დაწყებით სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თხილვანის საშუალო სკოლის მეხუთე კლასში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1969 წელს შევიდა ბათუმის 44-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში, რომლის წარჩინებით და-მთავრების შემდეგ კურსდამთავრებულებს ეძლეოდათ ლიმიტი თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიურ სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. ასეთი დიპლომით ჩაირიცხა იგი სასწავლებელში და დაამთავრა იგი 1976 წელს. შრომითი საქმიანობა დაიწყო მშენებლობის ხაზით სხვადასხვა დაწესებულებაში.

1990 წლიდან ჩაება ბიზნესსაქმიანობაში. ამჟამად ჩვენი მეგობარი რესპუბლიკის უკრაინელ პარტნირებთან ერთად მათ ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში ააშენეს სამშენებლო ნაკეთობათა ქარხანა „ლეგი“. იგი ემსახურება არა მარტო აჭარის რეგიონს და სრულიად საქართველოს, არამედ სომხეთის რესპუბლიკასაც. პერსპექტივა დიდია.

ზურაბ მიქელაძე ოჯახის წევრებთან ერთად

ზურაბი შესაძლებლობის ფარგლებში ეწევა ქველმოქმედებას. მისმა ოჯახმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ბაკოს სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის სა-

ჯარო სკოლის 80 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებისა და სასკოლო მუზეუმისათვის ექსპონატების დამზადების დაფინანსებაში, ასევე მოახლოებული თხილვანის სკოლის ასწლოვან იუბილისადმი მიძღვნილი წიგნის გამოცემაში.

1982 წელს ზურაბმა შექმნა ოჯახი. მისი მეუღლეა ისტორიულად ცნობილი სოფლის – დიდაჭარის მცხოვრები მზევინარ შავაძე, მათ გაზარდეს ორი შვილი, ლერი და გიორგი. ამჟამად ზრდიან შვილიშვილებს.

ჯამბულ ქამაშიძე

ჯამბულ ქამაშიძე დაიბადა 1961 წლის 26 სექტემბერს ხულოს რაიონის სოფელ ქვედა თხილვანაში.

1976 წელს დამთავრა ქვედა თხილვანის რვაწლიანი სკოლა. 1976-1977 წლებში სწავლობდა თხილვანის საშუალო სკოლის მეცხრე კლასში, იმავე წელს სწავლა განაგრძო ქალაქ ბათუმის სამედიცინო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, იყო სანიტარული ნაწილის ექთანი.



1983 წლიდან ცხოვრობს ასპინძის რაიონის სოფელ მტკვარში (მირაშხანი). 16 წლის განმავლობაში მუშაობდა ამ რაიონში ჯანდაცვის სისტემაში. 2000 წლიდან ეწევა ფერმერულ საქმიანობას, არის ფირმა „აგრიგოს“ ხელმძღვანელი. დასახელებული ფირმას საზღვარგარეთიდან შემოაქვს კარტოფილი თესლი და მოსახლეობაში ანაწილებს.

ჯამბულ ქამაშიძის ფირმა ერთ-ერთი მოწინავე და ავტორიტეტულია ასპინძის რაიონში. იგი საქველმოქმედო მუშაობასაც ეწევა – მშობლიური სოფლის თხილვანის მოსახლეობას ამარაგებს კარტოფილის თესლით.

ჰყავს მეუღლე და შვილები.

ნუგზარ მიქელაძე

ნუგზარ მიქელაძე დაიბადა 1963 წლის 16 მარტს ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში. 1977 წელს დაამთავრა ბაკოს 8-წლიანი, ხოლო 1979 წელს – თხილვანის საშუალო სკოლა. ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის



პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო ფაკულტეტზე. 1984 წელს წარჩინებით დაამთავრა აღნიშნული ფაკულტეტი საავტომობილო გზების ინჟინრის სპეციალობით. ამავე წელს გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახურის ერთთვიანი კურსი და მიენიჭა ლეიტენანტისჩინი. 1985 წლის მარტში დაინიშნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საგზაო სამმართველოში ინჟინრის თანამდებობაზე. 1986 წლის იანვარში გადაიყვანეს „საქსახგზაპროექტის“ ექსპედიციაში იმავე თანამდებობაზე, 1988 წელს კი დაინიშნა „საქსახგზაპროექტის“ კვლევა-ძიების განყოფილების ინჟინრის თანამდებობაზე. 1989 წლიდან მოღვაწეობა დაიწყო საავტომობილო გზებისა და ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებაში „აჭარავტოგზა“ კაპიტალური მშენებლობის განყოფილებაში წამყვან ინჟინრად. 1992 წელს დაინიშნა ამავე გაერთიანების კომერციული სამსახურის ინჟინრად, ხოლო 1993 წელს – საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსად. 1995 წლის მაისში დაინიშნა ს/გ „აჭარავტოგზის“ უფროსის მოადგილედ მშენებლობის დარგში. 1999 წლის აგვისტოდან 2004 წლამდე მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დირექტორის მოადგილედ. 2004 წელს დაინიშნა შპს „საგზაო საწარმოს“ დირექტორის თანამდებობაზე, ხოლო 2005 წლიდან აღნიშნული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ. 2005 წლის ივლისში გადაიყვანეს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. 2007 წელს მუშაობა განაგრძო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ადმინისტრაციული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტად, ხოლო შემდგომ – მთავრობის თავმჯდომარის მრჩევლად. 2012 წლის ნოემბრიდან არის 20 უცხოელ ინვესტორთა ასოციაციაში მრჩეველის თანამდებობაზე.

სამსახურებრივი მოღვაწეობის პერიოდში მიღებული აქვს შემდეგი ჯილდოები:

2001 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს საავტომობილო, სახიდე გადასასვლელებისა და სტიქიის შედაგად დანგრეული გზების მშენებლობასა და რეაბილიტაციაში შეტანილი პირადი წვლილისთვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი პრაქტიკული საქმიანობისთვის, აჭარის ავტონომიური რესპუბ-

ლიკის საავტომობილო გზების დირექტორის მოადგილეს ნუგზარ მიქელაძეს გამოეცხადა მადლობა;

2002 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს საავტომობილო გზების მოვლა-შენახვაში, მშენებლობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაში შეტანილი პირადი დიდ წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი პრაქტიკული საქმიანობისთვის დაჯილდოვდა ღირსების მედლით;

2012 წლის 17 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის №17/09/02 განკარგულებით დაჯილდოვდა ღირსების ორდენით;

ნუგზარ მიქელაძე ცნობილია ქველმოქმედებით. აქტიურად მონაწილეობს თავისი სოფლის კეთილმოწყობაში, უანგაროდ ეხმარება გაჭირვებულებს და ავადმყოფებს. ამიტომაც სარგებლობს კარგი ავტორიტეტით, დიდი სიყვარულით და აღიარებით.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი.

საშა მიქელაძე



თხილვანის საშუალო სკოლადამთავრებულთა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ბაკოელი საშა მიქელაძე. იგი დაიბადა 1961 წლის 18 აპრილს ხულოს რაონის სოფ. ბაკოში. საშუალო სკოლა დაამთავრა სოფელ თხილვანაში. სწავლა განაგრძო 1981 წლიდან თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის სპეციალობაზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1986 წლის სექტემბრიდან შრომითი საქმიანობა დაიწყო ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბრის საშუალო სკოლაში პედაგოგად. შემდეგ მუშაობა განაგრძო სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ პროფკავშირების საოლქო საბჭოში ინსტრუქტორად.

ამჟამად არის ბიზნესმენი, კეთილშობილი, ქველმოქმედი პიროვნება. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. იგი შრომას და ჯაფას არ იშურებს იმისთვის, რომ შვილები კარგ მოქალაქეებად გაზარდოს, რათა მათაც გულდაჯერებულად იშრომონ თავიანთი ოჯახებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ანზორ ბოლქვაძე

ანზორ ბოლქვაძე დაიბადა 1970 წლის 2 იანვარს ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში.

თხილვანის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1990-1995 წლებში დაუსწრებლად სწავლობდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1990 წელს თხილვანის საშუალო სკოლაში სამხედრო სწავლების და ფიზიკური კულტურის მასწავლებლად.

1996-1997 წლებში მსახურობდა ხიჭაურის სასაზღვრო რაზმში ზემდეგად.

1997-1999 წლებში იყო თხილვანის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

1999 წლის ივლისიდან ანზორ ბოლქვაძე მსახურობს აჭარის ა/რ რეგიონული სასაზღვრო სამმართველოს ერთ-ერთ საგუშაგოზე, ხოლო 2000 წლიდან სასაზღვრო კომენდატურის დაზვერვის ჯგუფის ოფიცერია.

2002 წელს გაიარა საქართველოს სახელმწიფო ძალების ლილოს სასწავლო ცენტრში თურქული ენის და სალიდერო მომზადების კურსები და იმავე წელს დაინიშნა სასაზღვრო რაზმის ბათუმის სასაზღვრო კომენდატურის ხიჭაურის ოპერატიულ-სამძებრო განყოფილების უფროს ოფიცრად.

2004 წელს გაიარა უნგრეთის საერთაშორისო აკადემიისა და ინგლისური ენის შესწავლის კურსები და დაინიშნა №1 რეგიონული სამმართველოს დაზვერვის განყოფილების უფროს ოფიცრად.

2005 წელს დათხოვნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის რიგებიდან.

ამჟამად ცხოვრობს ქალაქ ბათუმში და ეწევა ბიზნესსაქმიანობას, არის ერთ-ერთი ფირმის შესყიდვების მენეჯერი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ზურაბ მამულაძე (1969-2014)

ზურაბ (ზურიკო) მამულაძე დაიბადა 1969 წლის 10 ივნისს, ხულოს რაიონის სოფელ ქვედა თხილვანაში, მოსამსახურის ოჯახში.

1975 წელს სწავლა დაიწყო თხილვანის საშუალო სკოლაში. ოჯახის საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში და ზურაბ მამულაძემ სწავლა განაგრძო ბათუმის 28-ე საშუალო სკოლაში. 1988 წელს წარჩინებით დაამ-



თავრა ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი. 1987-1989 წლებში მსახურობდა სამხედრო არმიის რიგებში, როგორც მედიცინის მუშაკი. ჯერ იყო პოლტავაში, შემდეგ ავღანეთში, ქაბულთან ახლოს ფრონტის წინა ხაზზე. ავღანეთიდან დაბრუნების შემდეგ გაგზავნეს ნორვეგიის საზღვარზე. სამხედრო არმიის რიგებში საბრძოლო წარმატებებისთვის დაჯილდოებული იყო ორდენითა და მედლებით. 1991 წელს ჩაირიცხა თბილისის სამედიცინო აკადემიაში სანიტარიული ჰიგიენის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1996 წელს.

შრომითი საქმიანობა დაიწყო ბათუმის საზღვაო პორტის სანიტარული ინსპექციის უფროსად, 2005-2007 წლებში მუშაობდა აჭარის ჯანდაცვის სამინისტროში, ბოლოს – სარფის გამშვებ პუნქტში მებაჟედ, იყო ბათუმის საპატიო მოქალაქე.

1993 წელს ზურაბმა ბაკოელ ნატო დუმბაძესთან ერთად შექმნა ოჯახი. მათ აღზარდეს ორი შვილი: ქეთინო და გიორგი. ორივე ამჟამად წარმატებული სტუდენტები არიან.

ზურაბ მამულაძე იყო კარგი მეგობარი, სუფრის უზადო თამადა, მომლხენი, სხვათა დამხმარე, ჩინებული ოჯახის პატრონი და მოყვასის პატივისმცემელი.

მძიმე სამხედრო სამსახურმა გავლენა მოახდინა მის ჯანმრთელობაზე და იგი გარდაიცვალა 2014 წლის 27 ნოემბერს, 45 წლის ასაკში, დაკრძალულია სოფელ ახალშენში.

მამუკა მიქელაძე

მამუკა მიქელაძე დაიბადა 1979 წლის 14 ივლისს ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში, შრომისმოყვარე და გამრჯე ოჯახში.

1986 წლის 1 სექტემბერს შევიდა ბაკოს არასრულ საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თხილვანის საშუალო სკოლაში. საშუალო სკოლა დაასრულა 1996 წელს და იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. მისი დეკანი იყო პროფესორი მურმან გორგოშაძე, ლექციებს უკითხავდნენ: ვაჟა ხახუტაიშვილი, დავით ხომასურიძე, თემურ ქათამაძე, დავით ბეჟანიძე, თენგიზ მოისწრაფეშვილი და სხვები.

მამუკა მიქელაძემ უნივერსიტეტი 2001 წელს დაამთავრა და მიიღო სამართლამცოდნის კვალიფიკაცია.

2002 წლიდან შრომითი საქმიანობა დაიწყო აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმის სამმართველოში უბნის ინსპექტორად. ერთი თვის შემდეგ მიანიჭეს ოფიცრის ჩინი. ამჟამად იგი მაიორის ჩინით მსახურობს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტარმენტში ინპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე.

ჰყავს მეუღლე – მაკა მიღელაური და ორი შვილი.

მერაბ აბულაძე

მერაბ აბულაძე დაიბადა 1976 წლის 26 ოქტომბერს, აბუსერისძეთა ნაფუძარზე, სოფელ თხილვანაში, კეთილსინდისიერ და შრომისმოყვარე ოჯახში.

ჰყავს მამა – დავითი და პენსიონერი დედა.

1962 წელს მერაბ აბულაძემ სწავლა დაიწყო თხილვანის საშუალო სკოლაში. 1993 წელს დაამთავრა 11 კლასი და 1995-1997 წლებში იმსახურა საბჭოთა არმიაში.

1998 წელს მოეწყო თბილისის პოლიტიკური აკადემიის ბათუმის ფილიალის სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე, რომელიც დაამთავრა 2002 წელს. რადგან სამსახური ვერ ნახა, საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული, ეხმარებოდა მამას. 2007 წელს კი დაიწყო მუშაობა შპს ხულოს ავტოსერვისში. საკუთარი მინიბუსით სატრანსპორტო მომსახურეობას უწევდა მოსახლეობას მარშრუტით: "ბაკო-თხილვანა-ბათუმი", "ბათუმი-თხილვანა-ბაკო", ხულოს ცენტრში გავლით. აღნიშნულ საქმიანობას იგი ეწეოდა 2014 წლამდე. შემდეგ იგი დაინიშნა პოლიტიკური პარტიის "ქართული ოცნების" სხალთა-ხიხანის ხეობის კოორდინატორად. მოსახლეობის მოთხოვნით საკუთარი თავი წამოაყენა ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად და ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობით გაიმარჯვა, გახდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თხილვანის თემის მაჟორიტარი

დეპუტატი. დღეს იგი შესაძლებლობის მიხედვით ემსახურება თავის ამომრჩევლებს. ეხმარება მოსახლეობას საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში, საკითხებს აყენებს საკრებულოში და იბრძვის დაყენებული ამოცანების გადაჭრისათვის.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

თამაზ დუმბაძე (1941-1988)



თამაზ დუმბაძე სხალთა-ხიხაძირიდან პირველი ახალგაზრდა იყო, რომელმაც ზღვის სიყვარულით მეზღვაურის პროფესია აირჩია.

დაიბადა იგი 1941 წელს ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში.

1948 წელს შევიდა მშობლიური სოფლის დაწყებითი სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1953 წელს და სწავლა განაგრძო თხილვანის 8-წლიან სკოლაში. 1960 წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა ბათუმის საზღვაო სასწავლებელში გემთწამყვანის სპეციალობაზე.

სასწავლებელი 1965 წლის 25 თებერვალს დაამთავრა და იმავე წლის 1 მარტს სამუშაოდ გაანაწილეს დუნაის საზღვაო სანაოსნოში, ქ. იზმაილოვოში. 1965 წლის 5 აპრილს დაინიშნა გემის მატროსად, 1966 წლის 25 მარტიდან დაწინაურდა გემის კაპიტნის მესამე თანაშემწედ, 1967 წლის 6 თებერვლიდან გემის კაპიტნის მეორე თანაშემწეა. 1967 წლის 29 ივლისიდან გადაიყვანეს კაპიტნის უფროს თანაშემწედ. 1967 წლის 21 ნოემბრიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და მუშაობა დაიწყო საქართველოს ახალგახსნილ საზღვაო სანაოსნოში.

1967 წლის 20 დეკემბრიდან მუშაობდა საქართველოს სანაოსნოს გემებზე, მათ შორის: „კურჩენო“, „დრაგობიჩი“, „ალექსეევკა“, „ფორე მოსულიშვილი“. ყველგან, სადაც კი მუშაობდა, გამოირჩეოდა დისციპლინით, თავისი საქმის კარგი ცოდნითა და მოვალეობის შესრულებისადმი ერთგულებით. მისი პროფესიონალიზმი და პიროვნული თვისებები ნათლად ჩანს მასზე გაცემული დახასიათების ამონარიდში. საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ ერთ ამონარიდს გემი “ფორე მოსულიშვილის“ ადმინისტრაციის მიერ გაცემული დახასიათებიდან:

«Думбадзе Тамази Мусаевич, старший помощник капитана т/х «Форе Мосулишвили», проявил себя с положительной стороны, требовательный к себе и подчинений командира.

Как судоводитель грамотен, проявляет интерес к морскому делу.

Дисциплинован, исполнителен, пользуется заслуженным авторитетом среди членов экипажа.

Принимает активное участие в общественной жизни экипажа, является председателем общетсва «Знание» судна.

Политический грамотен, моралью устойчив.

Нарушении правил поведения Советского моряка и Таможенных правил не имеет».

ამ დახასიათების შემდეგ რა გასაკვირია, რომ თამაზ დუმბაძეს მიღებული აქვს მადლობები და ფასიანი საჩქურები ყველა გემზე მუშაობისთვის.

თამაზ დუმბაძემ 1974 წლის 11 ოქტომბერს შექმნა ოჯახი. თავისი ბედი დაუკავშირა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კაპნისთაველ ჟუჟუნა ქემალის ასულ ბერიძეს და შექმნეს სანიმუშო ოჯახი. მათ გაზარდეს და სწორ გზაზე დააყენეს ორი შვილი – მირანდა და რაინდი. ბედნიერი ოჯახი ხარობდა წარმატებებით და შვილებით, მაგრამ სიხარული მალე მწუხარებით შეიცვალა. ოჯახის მამა, სახელოვანი მეზღვაური, ფიზიკურიად გოლიათი, ხასიათით დინჯი, წესიერი, თავმდაბალი, ზნემაღალი, საზოგადოებაში თავისი ადამიანური თვისებებითა და ავტორიტეტით გამორჩეულ პიროვნებას შეეყარა მოურჩენელი სენი, ქვა წამლად აქციეს, მაგრამ ვერაფერი უშველეს. გარდაიცვალა იგი 1988 წელს. დასაფლავებულია ურეხში.

ცალუღელად დარჩენილი მეუღლე, ქალბატონი ჟუჟუნა, მეუღლისადმი ერთგულებით, ტკბილი მოგონებებით, შვილებსა და შვილიშვილებზე ზრუნვით აგრძელებს ცხოვრებას. დრო ხომ ყველაფრის მკურნალია.

და-ძმები, ზურაბ, არჩილ და დარეჯან დუმბაძეები

ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში ერთ-ერთი შრომისმოყვარე, სტუმართმოყვარე და მეზობლების დახმარებისთვის ხელგამწოდე, მრავალშვილიანი, ტრადიციული ოჯახია მუსა დუმბაძის ოჯახი. ამ ოჯახიდან უფროსმა ვაჟიშვილმა მიხე-ილმა დაამთავრა საფერშლო ტექნიკუმი და მთელი თავისი ცხოვრება მოსახლეობის სამედიცინო სამსახურში გაატარა. ამჟამად პენსიონერია.

მეორე ვაჟმა თამაზმა დაამთავრა ჯერ ბათუმის საზღვაო სასწავლებელი, შემდეგ ოდესის საზღვაო ინსტიტუტი და გახდა მეზღვაური. რიგითი მატროსიდან მიაღწია გემის კაპიტნის პირველ თანაშემწემდე. როგორც ჩანს, ზღვაში დიდხანს ყოფნამ იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე და მისი

ნიჭისა და უნარის გაფურჩქვნის პერიოდში უკურნებელი სენით დაავადდა და ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან.

ზურაბი (ზურიკო)

დარეჯანი (დარო)

არჩილი

თამაზის მომდევნო ძმა იყო შალვა. მიიღო საშუალო განათლება და დაიწყო შრომითი საქმიანობა. სწავლის სურვილის მიუხედავად, ოჯახური პირობების გამო, სწავლა ვერ შეძლო. სამაგიეროდ, მეუღლე სულიკოსთან ერთად გაზარდა სამი შვილი და იზრუნა მათი უმაღლესი განათლებისათვის.

შალვას უფროსი შვილი – ზურაბ დუმბაძე დაიბადა 1977 წელს. დაამთავრა ბაკოს დაწყებითი და თხილვანის საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-თურქული ენის ფაკულტეტზე. მიიღო უმაღლესი განათლება და მუშაობა დაიწყო საგზაო კომპანიაში.

სამშობლოს წინაშე მოიხადა სამხედრო ვალი ქართულ ეროვნულ არმიაში და შექმნა ოჯახი. ჰყავს მეუღლე – ლელა სურმანიძე და ორი შვილი – ლადო და ლალი, რომლებიც სკოლის მოსწავლეები არიან. ოჯახი ცხოვრობს ბათუმში.

შალვას მეორე შვილი, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო, არის დარეჯანი. თხილვანის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან ჩააბარა მისაღები გამოცდები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ვაჭრობის სისტემაში. ცხოვრობს ბათუმში.

მესამე შვილმა – არჩილმა, საშუალო განათლების მიღების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო და მედიკო გაბაიძესთან ერთად შექმნა ოჯახი.

სამივე შვილი აგრძელებს ბაბუისა და მამის ტრადიციებს, არ ივიწყებენ წინაპრებს.

კობა ქამაშიძე

ცნობილი ექიმი კობა ქამაშიძე წარმომავლობით არის სოფ. თხილვანიდან. დაიბადა 1978 წელს. 1995 წ. დაამთავრა ბათუმის 7 საშუალო სკოლა. 2001 წელს მორლოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. მუშაობდა ექიმად რუსეთის სხვადასხვა კლინიკაში. 2009 წელს დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო მუშაობა ბათუმის სამშობიარო სახლის ექიმად. შემდეგ რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს მთავარ გინეკოლოგად. ამჟამად არის გინეკოლოგიური სამსახურის უფროსი აჭარის ონკოცენტრში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მზევინარ ჯაიანი

მზევინარ ფოლადის ასული ჯაიანი ეკუთვნის იმ ხიხაძირელ ქალთა რიცხვს, რომლებიც პირველები ეზიარნენ განათლების მიღებასა და პედაგოგიურ პროფესიას და მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება კეთილსინდისიერად მოახმარეს მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქვეყნო საქმეს, რითაც მოქალაქეობრივი ვალი მოიხადეს სამშობლოს წინაშე.

მზევინარ ჯაიანი დაიბადა მრავალშვილიან, შრომისმოყვარე და სტუმართმოყვარე ფოლად ჯაიანისა და დანდალოელ ჰური მგელაძის ოჯახში.

მზევინარი მრავალშვილიან და ტრადიციულ ოჯახში პირველი მერცხალი, ოჯახის პირველი სიხარული იყო. მას მოჰყვა კიდევ 3 ქალიშვილი და 2 ვაჟიშვილი.

მზევინარი შვიდი წლისა შევიდა ხიხაძირის საშუალო სკოლის პირველ კლასში, აღნიშნული სკოლის სრული კურსი დაასრულა და პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა. 1950-1951 წელს თხილვანის არასრულ საშუალო სკოლაში ბიძის (მამის ძმის) სერგო ჯაიანის წყალობით გამოცდილი პედაგოგი გახდა, თითქმის ხუთი ათეული წლის განმავლობაში იმუშავა დაწყებითი კლასების მასწავლებლად ხიხაძირის საშუალო სკოლაში. ამ სკოლაში მუშაობისას გამოჩნდა გულისსწორიც. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, თანასოფლელ ტრადიციულ ოჯახში გაზრდილი ახალგაზრდის მეჯიდ გაბაიძის სახით, რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო ამავე სკოლაში. ახალგაზრდა პედაგოგებმა გულის გრძნობები გაუმჟღავნეს ერთმანეთს, შეთანხმდნენ, მშობ-

ლებიც ჩააყენეს საქმის კურსში. 1954 წლის 28 სექტემბერს ჩატარდა ქორწილიც. მალე 13 ოქტომბერს მეჯიდი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგაც აგრძელებს მუშაობას სკოლაში. ახალ ოჯახს საკუთარი სახლ-კარი სჭირდებოდა. პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად, ეს პრობლემაც გადაწყვიტეს. კეთილშობილმა ოჯახმა აღზარდა 4 შვილი, ორი ქალიშვილი მიმოსა – (სწავლის ფრიადოსანი, VIII კლასში სწავლის დროს მძიმე ავადმყოფობამ მისი სიცოცხლე იმსხვერპლა), ნათელა – ექიმ-სტომატოლოგი, მუშაობს სპეციალობით. ორი ვაჟიშვილი: რაული (პედაგოგი) და ზაური (ავტოინჟინერი) ორივე უმაღლესი განათლებით, ერთხანს სპეციალობით მუშაობის შემდეგ ხელი მოჰკიდეს ბიზნეს-საქმიანობას, თავიანთი ქველმოქმედებით კუპონობის წლებში, გაუსაძლის პირობებში, არაერთი ოჯახი იხსნეს გაჭირვებისგან.

რაკი შვილები ჩაებნენ ბიზნესში, შვილების თხოვნით მშობლები გავიდნენ დამსახურებულ პენსიაზე და, შვილებთან ერთად, საცხოვრებლად გადავიდნენ ქ. ბათუმში.

სანიმუშო ოჯახია, ერთის მხრივ, მშობლებს შვილები მიაჩნდათ ბედნიერებად და ზრუნავდნენ მათ აღზრდა-დასაქმებასა და დაოჯახებაზე. მეორეს მხრივ, კარგად აღზრდილი შვილები, ყურადღებას არ აკლებდნენ მშობლებს, ყოველთვის ყურადღებით ეკიდებოდნენ მათ თხოვნას. ყველა შვილმა მიიღო განათლება, შექმნა ოჯახი, ჰყავთ შვილები, შვილიშვილები. მზევინარისა და მეჯიდის ოჯახი მშობელ-შვილური ურთიერთობის სანიმუშო მაგალითია.

ხარობდნენ ფუძე და ახალშექმნილი ოჯახები, მაგრამ ცხოვრებას თავისი კანონები აქვს. სამოცდაათ წელს მიტანებული მამა, მეჯიდი ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 1999 წლის 28 მაისს გარდაიცვალა, ცალუღელად დარჩენილი, შავ ძაძებში შემოსილი მეუღლე, ქალბატონი მზევინარი ერთხანს აგრძელებდა თავის გამწარებულ ცხოვრებას, შვილებსა და შვილიშვილებზე მოფერებით მოურჩენელ მძიმე ტკივილს ინელებდა დედა და ბებია ქლბატონი მზევინარი, თუმცა ყველაფერს აქვს დასასრული... შეწყდა მისი მაჯისცემაც. ისიც დასაფლავებულია მეუღლის გვერდით ქ. ბათუმთან ახლოს, სოფელ ახალშენში.

შვილები თავიანთი სანიმუშო ოჯახებით კარგად იცავენ მშობლებისა და წინაპართა ტრადიციებს. არ ივიწყებენ მშობლებს, სისტემატიურად ეწვევიან მათ საფლავებს და ყვავილებით ამკობენ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს წასულები, სიხარული, ჯანმრთელობა და ბედნიერება არ მოაკლოს შთამომავლობას.

შვილებმა მშობლების ამაგი გადაიხადეს (თუ შეიძლება ამის გადახდა) იმით, რომ მამას შეუსრულეს დატოვებული ანდერძი – გადაუხადეს დაბადებიდან 70 წლისთავის იუბილე და უზრუნველყვეს მამის შესახებ წიგნის გამოქვეყნება, რითაც მშობდებს ძეგლი დაუდგეს....

შაქრო ბარათაშვილი (1916-1983)

შაქრო ბარათაშვილი (ბერიძე) დაიბადა ხულოს რაიონის სოფელ რაქვთაში, საკმაოდ ცნობილი შემშეთ ბერიძის ოჯახში. შემდგომში შემშეთ ბერიძის ოჯახი გაბედნიერდა კიდევ სამი შვილის ამქვეყანდ მოვლინებით: შერიფი, ხუსეინი, ჰედიე. მაგრამ სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. 9 წლის შაქროს ჯერ მამა, ხოლო შემდეგ დედაც გარდაეცვალა. ოთხივე დაძმა შეძლებულმა ბაბუამ დაუთ ცეცხლაძემ, დაობლებული შვილიშვილები თავისთან, სოფელ ქვედა თხილვანაში გადაიყვანა. მალე სოფელ თხილვანაში გაიხსნა დაწყებითი შრომის სკოლა და შაქროც ამ სკოლის მოსწავლე გახდა და ეზიარა ტიტე მასწავლებლის მადლს. მოწადინებულ, ნიჭიერ შაქროს ტიტე მასწავლებელი ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებდა. შაქროც მალე გაიწაფა სწავლაში და სანიმუშო მოსწავლე შეიქმნა. სკოლის ოთხი კლასის წარმატებით დამთავრების შემდეგ შაქრო ბათუმის ვაჭრობის ტექნიკუმში ჩაირიცხა, სადაც ოთხი წელი ისწავლა, თანაც მონდომებით, რითაც თავისი მასწავლებლების ქება და ყურადღება დაიმსახურა.

ტექნიკუმდამთავრებული შაქრო ახლანდელი შუახევის რაიონის შორეული სოფლის შუბნის სასოფლო მაღაზიის გამგედ გაამწესეს. აქ მიიღო მან პირველი შრომითი ნათლობა, შეიძინა მოსახლეობასთან ურთიერთობის გამოცდილება. აქედან იგი ფურტიოს მაღაზიის გამგედ გადაიყვანეს. აქაც ხალისიანად განგრძო მუშაობა, საკმაო ავტორიტეტიც მოიპოვა და მალე ზამლეთის სასოფლო კოოპერატივის თავმჯდომარედ აირჩიეს. ეს კოოპერატივი სხალთა-ხიხანის ხეობის ვაჭრობის ობიექტებს ამარაგებდა სურსათით, სამრეწველო და სამეურნეო საქონლით შემდგომში მან ნაყოფიერად იმუშავა სოფელ ხიხაძირში.

საქმიანობაში ორგანიზატორი, ინიციატივიანი, გამოცდილი სპეციალისტი თანასოფლელებმა ჯერ რაქვთის, ხოლო შემდეგ გაერთიანებული სოფელ ფუშრუკაულის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს და მანაც უნარიანად, სანიმუშოდ გაუძღვა საქმეს. ერთხანს იყო აჭარკოოპკავშირის თანამშრომელი მუშაობდა ხულოს რაიონის მომმარაგებლად.

სადაც კი იმუშავა შაქრო ბარათაშვილმა, გამოავლინა კომპეტენტურობა, საქმის ცოდნა და სიყვარული ადამიანებისადმი, დაიმსახურა ჯილდოები და ავტორიტეტი.

შაქრო ბარათაშვილი სანიმუშოა საამაყო ოჯახითაც. მან, თანამეზობელ უმიან სურმანიძესთან ერთად, შექმნა ბედნიერი ოჯახი და აღზარდეს სახელოვანი შვილები, ორი ქალი და ოთხი ვაჟი.

ოჯახის გვარის სანაქებო შვილი იყო უფროსი ქალიშვილი თამარი, რომელმაც სოფლის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, დაამთავრა ხულოს პედაგოგიური სასწავლებელი, ორი წელი იმუშავა მასწავლებლად მშობლიურ სკოლაში, ხოლო შემდეგ წარმატებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი და იმუშავა მასწავლებლად სოფელ დანისპარაულსა და რიყეთის საშუალო სკოლების მასწავლებლად. 1969 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა, მაგრამ დატოვა ღირსეული მოქალაქისა და დამსახურებული მასწავლებლის სახელი. მისი დიდი დაფასებაა, რომ მშობლიურ რაქვთის საშუალო სკოლას მიენიჭა თამარ ბარათაშვილის სახელი.

თავიანთი საქმიანობით, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობით და ოჯახური ღირებულებებით გაითქვეს სახელი შაქრო ბარათაშვილის შვილებმა გურამ, შოთა, დავით, ავთანდილ და დარიკო ბარათაშვილებმა. ამასთან, ავთანდილ ბარათაშვილი სახელგანთქმული ქველმოქმედი ბიზნესმენია. ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ. ვორონეჟში. ის მჭიდრო კავშირშია აჭარასთან. ეწევა მნიშვნელოვან ქველმოქმედებას. რამდენიმე სტუდენტი მისი სახელობის სტიპანდიანტია. ბათუმის უნივერსიტეტის მატერიალური ბაზის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის არჩეულია ამ უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად და ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქედ.

დამსახურებული, სახელმოხვეჭილი შაქრო ბარათაშვილი მეუღლესთან ერთად დაკრძალულია ქ. ბათუმში, განთიადის სასაფლაოზე.

თხილვანის სკოლაში მომუშავე პედაგოგთაგან დამსახურებული მასწავლებლები იყვნენ:

საქართველოს:

თედორე დოლიძე
ტიტე ჭყონია
აკაკი მემარნიშვილი
სერგო ჯაიანი

აჭარის:

ლევან ბერიძე
ბაგრატ დუმბაძე
მიხეილ მიქელაძე
თინა კუკულაძე
დავით ღლონტი
გივი თოდრია
აკაკი მემარნიშვილი
არჩილ იშხნელიძე
ფატი მამულაძე
ალექსანდრე გაბაიძე

§6. კურსდამთავრებულები სასწავლო წლების მიხედვით

1957-1958 ს/წ

1. აბულაძე ლამარა ფელულის ას
2. ბოლქვაძე ილია ილიასის ძე
3. ბოლქვაძე ვახტანგ ახმედის ძე
4. ბოლქვაძე ნათელა იასა ას
5. გაბაიძე მიხეილ ზექერიას ძე
6. დუაძე ალექსანდრე სადიყის ძე
7. მამულაძე ვალერი ფილიპეს ძე
8. მამულაძე გულნარა ხუსეინის ას
9. მამულაძე ეთერ შაისმელის ას
10. მამულაძე ჟუჟუნა ზაქარიას ას
11. მიქელაძე ილია ისრაფილის ძე

1958-1959 ს/წ

1. ბოლქვაძე ნადია ისას ას
2. ბოლქვაძე ვალერი ისბალის ძე
3. ბოლქვაძე თინა ხამზას ას
4. ბერიძე ზურაბ ხასიას ძე
5. დუაძე ამირან მუხამედის ძე
6. დუმბაძე სიმონყ ისმაილის ძე
7. სურმანიძე ბეჟან ს.
8. ქამაშიძე მამია შევყის ძე
9. ქამადაძე ივანე ალის ძე
10. თურაძე დარიკო ისას ას
11. ჯაბნიძე ვახტანგ ხუსეინის ძე

1959-1960 ს/წ

1. აბულაძე ნინა მ.
2. ბოლქვაძე სერგო მემედის ძე
3. ბოლქვაძე გივი ბინალის ძე
4. ბოლქვაძე რუსუდან აბასის ას
5. გაბაიძე ვლადიმერ გულას ძე
6. დავითაძე მიხეილ მუსტოს ძე
7. დავითაძე შოთა მუსტოს ძე
8. დავითაძე ზინა ენვერის ას
9. დუმბაძე ილია მემედის ზე
10. დუმბაძე თამაზ მუასა ძე
11. დუმბაძე აკაკი ჯეფერის ძე
12. მამულაძე ნოდარ ფაიყის ძე
13. მამულაძე იოსებ ხუსეინის ძე
14. ქამაშიძე ზურაბ ყაიას ძე

1960-1961 ს/წ

1. აბულაძე ვახტანგ რეფიყის ძე
2. ბოლქვაძე თეიმურაზ ისკენდერის ძე
3. დუაზე ეთერ მუხამედის ას
4. დუმბაძე გულნარა ჯეფერის ას
5. დუმბაძე შაქრო ფაიყის ძე
6. გაბაიძე ნოდარ მუერემის ძე
7. მამულაძე ოთარ ხუსეინის ძე
8. ქამაშიძე მერი აბდულის ას
9. ქამაშიძე ჟენია მიხრალის ას
10. ქამაშიძე ბეჟან ენვერის ზე
11. ხალვაშო ვიქტორ გულას ძე
12. ჯაბნიძე სულიკო ხაფიზის ძე

1961-1962 ს/წ

1. აბულაძე ილია ფელულის ძე
2. აბულაძე მიხეილ ფელულის ძე
3. ბოლქვაძე მამია ისაბალის ძე
4. ბოლქვაძე ნათელა დურსუნის ას
5. ბოლქვაძე ნათელა ასლანის ას
6. გაბაიძე თამაზ მუხერემის ძე
7. გაბაიძე ვახტანგ ზექერიას ძე
8. გუნდაძე შოთა ზექერიას ძე
9. დავითაძე ნაზიკო ენვერის ას
10. დუაძე ნოდარ ახმედის ძე
11. თურაძე გრიგოლ შახმენის ძე
12. ლომსანიძე შუშანა ნეზიმის ას
13. ქამადაძე გოგუცა ხუსეინის ას
14. ქამაშიძე ამირან ხუსეინის ძე
15. ქამაშიძე არსენ მიხეილის ძე
16. ქამაშიძე თამარა ხასიმის ას

1962-1963 ს/ꝑ

გამოშვება არ ყოფილა

1963-1964 ს/ꝑ

1. ბოლქვაძე სიმონ ისკენდერის ძე
2. ბოლქვაძე არჩილ მემედის ძე
3. ბოლქვაძე შუშანა ჯასიმის ას
4. ბოლქვაძე შოთა ბინალის ძე
5. გაბაიძე ნოდარ მუხერემის ძე
6. გაბაიძე იოსებ გულას ძე
7. გაბაიძე ასმათ ზექერიას ას
8. დავითაძე სულიკო მუსტოს ძე
9. ქამადაძე შალვა მიხრალის ძე
10. ქამადაძე შოთა ალის ძე
11. ცეცხლაძე ნაზი ზაბითის ას
12. ცეცხლაძე მაყვალა ყარადის ას
13. ნაკაშიძე ეთერ რასიყის ას

დაამთავრეს ექსტერნად

1. აბაშიძე როსტომ რიზალის ძე
2. აბულაძე ყურშუმ იავერის ძე
3. გაბაიძე შაქრო ყასუმის ძე
4. გაბაიძე მამია ესკერის ძე
5. გაბაიძე იოსებ ფოლადის ძე
6. გორგაძე ბაგრატ თერჯენალის ძე
7. სურმანიძე ენვერ ხუსეინის ძე
8. ნაკაშიძე თორუნ რასიყის ძე
9. მამულაძე ალი მურთაზის ძე
10. სურმანიძე ტაშტან მემედის ძე
11. შაინიძე დავით ახმედის ძე
12. უმეთაძე შოთა ფირყეთის ძე
13. ცეცხლაძე ალექსანდრე ალის ძე

1964-1965 ს/ꝑ

1. ბოლქვაძე სერგო ილიასის ძე
2. ბოლქვაძე გუგული ბინალის ას
3. ბოლქვაძე ინდიკო მემედის ზე
4. გაბაიძე იოსებ ხემიდის ძე
5. დუმბაძე შოთა ზექერიას ზე
6. დუმბაძე ზინა იახიას ას
7. დუმბაძე ქეთო მუასა ას
8. დუაძე ნანული ახმედის ას
9. დუაძე ნათელა ოსმანის ას
10. თურაძე მიხეილ შახმენის ძე
11. მიქელაძე ნადია ტაშტანის ას
12. ქამაშიძე არჩილ მუსას ძე
13. ჯაბნიძე გუგული ყაიოს ას
14. ცეცხლაძე ბაგრატ ზაბითის ძე

დაამთავრეს ექსტერნად

1. სურმანიძ არჩილ მემედის ზე
2. შაინიძე შალვა შაბანის ძე
3. ბერიძე ლევან დურსუნის ძე
4. გაბაიძე ნიკოლოზ ყადირის ძე
5. ჯაიანი ალი ისაბალის ძე
6. დუაძე ახმედ მიხამედის ზე
7. მიქელაძე გიორგი ხუსეინის ძე
8. მიქელაძე ხუსეინ ტაშტანის ძე
9. მამულაძე ზაქარია მიხეილის ძე

1965-1966 ს/ꝑ

1. აბულაძე მაყვალა ფელულის ას.
2. ბოლქვაძე რევაზ ბინალის ძე
3. ბოლქვაძე ბიჭიკო ხუსეინის ძე
4. ბოლქვაძე იოსებ იბრაიმის ძე
5. ბოლქვაძე ვლადიმერ ისკენდერის ძე
6. ბოლქვაძე გივი მახმუდის ძე
7. ბოლქვაძე სულიკო ჯასიმის ძე
8. ბოლქვაძე თინა რასიმის ას
17. დუმბაძე მახმუდ ახმედის ძე
18. დუმბაძე შექერნაზ მემედის ას
19. დუმბაძე შემსინურ შუქრის ას
20. თურაძე ეთერ ისას ას
21. მამულაძე ზაქარია ხასიას ძე
22. ქამადაძე ავთანდილ ისკენდერის ძე
23. ქამადაძე ირودიონ ხუსეინის ძე

9. ბოლქვაძე მირიან სეფერის ძე
10. გუნდაძე იოსებ როსტომის ძე
11. დუაძე ნაზი მუსტაფის ას
12. დუაძე ულფეთ მუხამედი ას
13. დუაძე ნარგული ახმედის ას
14. დუმბაძე ელიკო ნუსრედინის ას
15. დუმბაძე შოთა შაბანის ძე
16. დუმბაძე ვლადიმერ ჯეზოს ძე
24. ქამადაძე ჯემალ ჯელალის ძე
25. ცეცხლაძე ბეჟან ყარაღის ძე
26. ცეცხლაძე მიხეილ ზაბითის ძე
27. ჯაბნიძე რესულ სერდალ ძე
28. ბოლქვაძე სიმონ ილიასის ძე
29. დუმბაძე შალვა მუსას ძე
30. მიქელაძე ნოდარი დურსუნის ძე
31. ბოლქვაძე ეტერ ახმედის ას

დაამთავრეს ექსტერნად:

1. ბერიძე ახმედ ხუსეინის ძე
2. ცეცხლაძე ვლადიმერ ზაბითის ძე

1966-1967 ს/Წ

1. ბოლქვაძე შოთა ესკერის ძე
2. ბოლქვაძე თამარ მემედის ას
3. ბოლქვაძე თამარ ხუსეინის ას
4. გაბაიძე შოთა ზექერიას ძე
5. გუნდაძე თინა ნურის ას
6. დუმბაძე ელენე ბინალის ას
7. თურაძე სულიკო ნიაზის ძე
8. თურაძე ასლან მუასა ძე
9. თურაძე თამარ შახმენის ას
10. თურაძე თამარ ისას ას
11. ლომსანიძე ასლან ნეზიმის ძე
12. მამულაძე მიხეილ მემოს ძე
13. მამულაძე თამარ ნიაზის ას
14. ქამაშიძე ნოდარ ნაზიმის ძე
15. ქამადაძე ალექსანდრე ესკერის ძე
16. ქამადაძე ბეჟან რიზალის ძე
17. მიქელაძე დავით ხასიას ძე
18. ცეცხლაძე ბეჟან ზაბითის ძე
19. ჯაბნიძე იაშა ყაიოს ძე

1967-1968 ს/Წ

1. აბულაძე არჩილ ქემალის ძე
2. აბულაძე დავით ნევზეთის ძე
3. ბოლქვაძე ნოდარ რასიმის ძე
4. დუმბაძე თინა ბინალის ას
5. დუმბაძე ანზორ ისმალის ძე
6. დუმბაძე ბეჟან რეზაყის ძე
7. დავითაძე ალიოშა ენვერის ძე
8. თურაძე ვლადიმერ ნიაზის ძე
9. თურაძე ნოდარ მუსას ძე
10. მიქელაძე გივი იუსუფის ძე
11. მამულაიშვილი ლიდა ხასიას ას
12. მამულაძე ნოდარ მემოს ძე
13. მამულაძე ეჟან ხუსეინის ძე
14. ლომსანიძე ომარ ნეზიმის ძე
15. შაინიძე ბეჟან მეჯიდის ძე
16. ქამაშიძე მერი ხუსეინის ას
17. ქამადაძე ნინა ხამზას ას
18. ჯაიანი ბეჟან შეფიყის ძე
19. ჯაბნიძე ალექსანდრე ყაიოს ძე

1968-1969 ს/Წ

1. ბოლქვაძე გულნარა აბასისი ას
2. ბოლქვაძე ბეჟან ქაზიმის ძე
3. ბერიძე სიმონ ახმედის ძე
4. გაბაიძე მარლენ გულას ძე
8. მიქელაძე ზურაბ დურსუნის ძე
9. ქამაშიძე თენგიზ მიხრალის ძე
10. თურაძე მერი ჯემალის ას
11. მიქელაძე ნოშრევან ისკენდერის ძე

5. დუმბაძე ბეჟან ნუსრედინის ძე
6. დუაძე ნადია მემედის ას
7. დუაძე თინა ახმედის ას
12. ბოლქვაძე სიმონ ისას ძე
13. გუნდაძე ალექსანდრე დურსუნის ძე

1969-1970 ს/ფ

1. აბულაძე ფილიპე ფეხლულის ძე
2. ბოლქვაძე მარიამ ისკენდერის ას
3. გაბაიძე მამია გულას ძე
4. დუაზე გიორგი იუსუფის ძე
5. დუაძე ნათელა ახმედის ას
6. დუმბაძე ნოდარი მიხეილის ძე
7. დუმბაძე თამარ ზექერიას ას
8. მიქელაძე ვახტანგ დურსუნის ძე
9. მამულაძე ლევან ზაქარიას ძე
10. ქამაშიძე ნათელა შევყის ას
11. ქამაშიძე დავით მიხრალის ძე
12. ცეცხლაძე გულიკო ზაბითის ას
13. ხალვაში გულვარდი სულოს ას
14. ჯაბნიძე ნათელა ხუსეინის ას
15. მიქელაძე ნათელა ნიაზის ას
16. ბოლქვაძე ბეჟან მემედის ძე
17. დუმბაძე სონია რეზაყის ას
18. შაინიძე ნოდარი ფაიყის ძე

1970-1971 ს/ფ

1. ბოლქვაძე დავიტ მუხამედის ძე
2. ბოლქვაძე ილია აბასის ძე
3. ბერიძე სერგო ახმედის ზე
4. თურაძე თინა მერდინის ას
5. მიქელაძე სულიკო მუსას ას
6. ქამადაძე ბეჟან ფირეეთის ძე
7. ქამადაძე ზაქრო შეხროს ძე
8. ცეცხლაძე შოთა ყარადის ძე
9. ბოლქვაძე იოსებ ისას ძე
10. ბოლქვაძე ბეჟან მუხამედის ზე
11. გუნდაძე ალექსანდრე დურსუნის ძე
12. დუმბაძე ბეგლარ მემედის ძე
13. ლომსანიძე შალვა ახმედის ძე

1971-1972 ს/ფ

1. აბულაძე ლევან ქემალის ძე
2. ბოლქვაძე ბეჟან ბილას ძე
3. ბოლქვაძე ბეჟან ხუსეინის ძე
4. ბოლქვაძე ნოდარ მემედის ძე
5. დუაძე ალექსანდრე ისუფის ძე
6. დუმბაძე ნაზი ნიკოლოზის ას
7. დუმბაძე ფატი მეთთოს ას
8. თურაძე მიხეილ მერდინის ძე
9. მიქელაძე თემური ახმედის ძე
10. ქამადაძე ილია ისკენდერსი ძე
11. ცეცხლაძე ბაგრატ რემზის ძე

1972-1973 ს/ფ

1. ბერიძე ბეჟან მუსტაფის ძე
2. ბოლქვაძე დავით ისაბალოს ძე
3. ბოლქვაძე შაქრო ბინალის ძე
4. ბოლქვაძე შამილ მემედის ძე
5. დუაძე დავით ახმედის ძე
6. დუაძე ბეჟან მიხეილის ძე
7. დუმბაძე სონია ქაზიმის ას
8. დუმბაძე ნათელა მუხამედის ას
9. დუაძე შოთა მემედის ძე
10. დუმბაძე ვალიკო ახმედის ძე
11. დუმბაძე ლევან ისმაილის ძე
12. მიქელაძე არჩილ მემედის ძე
13. მიქელაძე სერგო დურსუნის ძე
14. ქამადაძე მარია ხასიას ას
15. ქამადაძე თამაზ იდრისის ძე
16. ნაკაშიძე გურამ მუხთეზიმის ძე
17. ბოლქვაძე ტარიელ სეფერის ძე
18. დუმბაძე იოსებ მუხამედის ძე
19. დუმბაძე ისაკი რესიმის ძე
20. ქამაშიძე ვლადიმერ ჩერქეზის ძე
21. ქამაშიძე თამაზ იაკის ძე
22. ქამადაძე ნადიმ ჯელალის ძე

1973-1974 წ/ფ

1. აბულაძე ილიკო ფელულის ძე
2. ბოლქვაძე ილია ჯასიმის ძე
3. ბოლქვაძე მანანა მახმუდის ას
4. დავითაძე მერაბ ენვერის ძე
5. დუმბაძე დავით ხასანის ძე
6. დუმბაძე ნუგზარ ქაზიმის ძე
7. დუმბაძე ნათელა რესმინის ას
8. დუმბაძე სერგო მურსელის ძე
9. თურაძე ბეჟან ხამზას ძე
10. მიქელაძე არჩილ მუსას ძე
11. მიქელაძე ასლან სუმმანის ძე
12. ქამაშიძე ეთერ ხუსეინის ას
13. ქამაშიძე ლევან ნოდარის ძე
14. ქამაშიძე მერი იოსების ას
15. ქამაშიძე სულიკო ხასანის ძე
16. ქამაშიძე ასლან შერიფის ძე
17. ქამადაძე გუგული ხასანის ას
18. ქამაშიძე ნათელა ისაკის ას
19. ცეცხლაძე დავით ყარაღის ძე
20. ბოლქვაძე სულიკო თენგიზის ძე
21. მიქელაძე ზაური ნიაზის ძე

1974-1975 წ/ფ

1. აბულაძე ნუგზარ ქემალის ძე
2. ბოლქვაძე ნინა ქაზიმის ას
3. ბოლქვაძე ასლან ბინალის ძე
4. გუნდაძე ალექსანდრე ტაშტანის ძე
5. გუნდაძე ბეჟან ხაზიმის ძე
6. გოგოლაძე მალხაზ მემედის ძე
7. დავითაძე ჯამბულ ალექსანდრეს ძე
8. დუმბაძე ნათელა მიხეილის ას
9. დუმბაძე ზურაბ ქაზიმის ძე
10. დუმბაძე მერი შოთას ას
11. დუმბაძე ეთერ ნუსრედინის ას
12. დუმბაძე ნაზი მეთთოს ას
13. მიქელაძე ნათელა ასლანის ას
14. მიქელაძე ნათელა მუსას ას
15. მიქელაძე იოსებ დურსუნის ძე
16. ქამაშიძე ჟენია ვლადიმერის ას
17. ქამაშიძე არჩილ ბაგრატის ძე
18. ქამაშიძე ნოდარ დუზოს ძე
19. ქამაშიძე ჯემალ ხასანის ძე
20. ქამადაძე ასლან სინანის ძე
21. ქამადაძე ზაქრო ისკენდერის ძე
22. ქამადაძე ბექირ შოთას ძე
23. თურაძე ეთერ ხამზას ას

1975-1976 წ/ფ

1. აბულაძე ნათელა მახმუდის ას
2. ბოლქვაძე მარიამ ზიხნის ას
3. ბოლქვაძე შუშანა დავითის ას
4. დუმბაძე ნაზი სერგოს ას
5. დუმბაძე დარიკო ისაბალის ას
6. დუმბაძე იური ისმაილის ძე
7. დუმბაძე ნათელა ვახტანგის ას
8. დუმბაძე მერი ვლადიმერის ას
9. დუაძე ნაზიკო შოთას ას
10. ლომსანიძე ზაური ოთარის ძე
11. მიქელაძე გულიკო ნიაზის ას
12. ქამადაძე ნინა ხასიას ას
13. ცეცხლაძე ნაზი რემზის ას
14. ქამადაძე ნინა ზულალის ას
20. ბერიძე ბეჟან ილიას ძე
21. ბერიძე ალექსანდრე ახმედის ძე
22. ბოლქვაძე მინერი მემედის ას
23. ბოლქვაძე ნარგული ბილას ას
24. ბოლქვაძე თემურ ახმედის ძე
25. ბოლქვაძე შუშანა მუხამედის ას
26. ბოლქვაძე ნადიმ ზიხნის ძე
27. ქამადაძე მაგული არსენის ას
28. გუნდაძე სერგო მუსტაფის ძე
29. დავითაძე ზაური ენვერის ძე
30. მამულაძე მირიან მემოს ძე
31. მამულაძე თემურ ზაქროს ძე
32. ჯაბნიძე ილია თუფანის ძე
33. მამულაძე დავით ილიას ძე

15. ცეცხლაძე ნათელა ომერის ას
16. ცეცხლაძე ჯამბულ ომერის ძე
17. ჯაბნიძე ფატი შაქროს ას
18. ჯაბნიძე მერი ქაზიმის ას
19. ჯაიანი ეთერ შეფიყის ას
34. ბერიძე ვაჟა მუსტაფის ძე
35. გუნდაძე ნუგზარ რასიმის ძე
36. ბერიძე შოთა გულას ძე
37. ჯაბნიძე მუსტაფ ქაზიმის ძე
38. ქამადაძე მურმან ისრაფილის ძე

1976-1977 ს/Წ

1. აბულაძე ნაზიბროლა ნევზეთის ას
2. ბერიძე ასლან მუსტაფის ძე
3. ბერიძე ნაილე ენვერის ას
4. ბოლქვაძე ბეჟან მახმუდის ძე
5. ბოლქვაძე ჯამბულ ახმედის ძე
6. ბოლქვაძე იოსებ აბასის ძე
7. ბოლქვაძე მერი სეფერის ას
8. გაბაიძე ლამარა გულას ას
9. გუნდაძე ნევრიე ოსმანის ას
10. გუნდაძე ნათელა მეხედის ას
11. დუაძე თემური ახმედის ძე
12. დუაძე ნათელა მემედის ას
13. დუმბაძე ალექსანდრე ისაკის ძე
14. დუმბაძე არჩილ ნიკოლოზის ძე
15. დუმბაძე ნათელა ნუსრედინის ას
16. დუმბაძე ნურიალი შოთას ძე
17. თურაძე ფატი ილიასის ას
18. თურაძე ნაზი ნიაზის ას
19. თურაძე თამარ ხამზას ას
20. თურაძე ბიჭიკო მუსას ძე
21. მიქელაძე ჯემალ ალექსანდერს ძე
22. მიქელაძე ნოდარ ილიასის ძე
23. მიქელაძე ჟუჟუნა ისუფის ას
24. მამულაძე სონია ილიასის ას
25. მამულაძე მურად ნურის ძე
26. ქამადაძე სულიკო ნეზიმის ძე
27. ქამადაძე ანზორ შეხროს ძე
28. ქამადაძე ჯემალ ხასანის ძე
29. ქამადაძე მერი ისას ას
30. ქამადაძე ფატი მუსტაფის ას
31. ქამადაძე გულნარა მიქაილის ას
32. ქამაშიძე მავილე შერიფის ას
33. ქამაშიძე მინერი ვლადიმერის ას
34. ქამაშიძე თამილა ჩერქეზის ას
35. ქამაშიძე ჯემალ რიზალის ძე
36. ქამაშიძე ბეჟან ხასანის ძე
37. ქამაშიძე ჟუჟუნა ნეზიმის ას
38. ქამაშიძე ფატი ზურაბის ას
39. ჯაბნიძე ნათელა ყაიოს ას
40. ცეცხლაძე ნუგზარ ზაბითის ძე

1977-1978 ს/Წ

1. ბოლქვაძე გენადი გურამის ძე
2. ბოლქვაძე ნუგზარ ჯასიმის ძე
3. ბოლქვაძე თამარ ალექსანდრეს ას
4. ბოლქვაძე გუგული ლევანის ას
5. ბოლქვაძე თენგიზ ქაზიმის ძე
6. ბოლქვაძე ზურაბ ხასანის ძე
7. ბოლქვაძე მიხეილ დავითის ძე
8. ბოლქვაძე ნოდარი ბილას ძე
9. ბერიძე ჟორა გულას ძე
10. გუნდაძე ფატი ოსმანის ას
11. გუნდაძე დავით სეგოს ძე
12. გუნდაძე სერგო რასიმის ძე
13. გუნდაძე მიხეილ მირიანის ძე
22. ბოლქვაძე ზურაბ ნიკოლოზის ძე
23. დუმბაძე ეთერ ვახტანგის ას
24. დუმბაძე რევაზ ზექერიას ძე
25. დუმბაძე სერგო გიორგის ძე
26. დუმბაძე ტარიელ ისმაილის ძე
27. დუმბაძე ვალერიან ყარამანის ძე
28. მიქელაძე იოსებ ილიასისნ ძე
29. მიქელაძე ჟუჟუნა მუსას ას
30. მიქელაძე ომარ ხუსეინის ძე
31. მიქელაძე საშა მემედის ძე
32. ნაკაშიძე გუგული მურთეზის ას
33. ქამადაძე გუგული არსენის ას
34. ქამადაძე ეილა რიზალის ას

14. გუნდაძე მამია მუსტაფის ძე
15. დუაძე ზაური შოთას ძე
16. თურაძე შოთა ვალერიანის ძე
17. თურაძე ვარდო მიხეილის ას
18. მამულაძე თამაზ ნიაზის ძე
19. ქამადაძე ჯამბულ თემიზალის ძე
20. ჯაიანი შუშანა შეფიყის ას
21. ჯაბნიძე ამირან ფაიყის ძე
35. ქამადაძე დავით იდრისის ას
36. ქამადაძე ზურაბ ნურის ძე
37. ქამადაძე ნათელა ქემალის ას
38. ქამადაძე ჯამბულ შალვას ძე
39. ქამაშიძე ბაგრატ რიზალის ძე
40. ქამაშიძე მამია ბინალის ძე
41. ქამაშიძე ფატი იოსების ას
42. ცეცხლაძე მარინა რემზის ას

1978-1979 ს/ფ

1. აბულაძე ბულბული ქემალის ას
2. აბულაძე ჟუჟუნა მამიას ას
3. ბოლქვაძე მერი აბასის ას
4. ბოლქვაძე მაყვალა მუხამედის ას
5. ბოლქვაძე დარიკო დავითის ას
6. ბოლქვაძე ლენა ზიხნის ას
7. ბოლქვაძე ჯემალ ნოდარის ძე
8. ბოლქვაძე ნოდარ მუხამედის ძე
9. გუნდაძე შუშანა მუხამედის ას
10. დავითაძე რევაზ ალექსანდრეს ძე
11. დუმბაძე თემური იოსების ძე
12. დუმბაძე მანანა არჩილის ას
13. დუმბაძე ნადიმ ხასანის ძე
14. დუმბაძე ალექსანდრე ნუსრედინის ძე
15. დუმბაძე ასლან ბინალის ძე
16. დუმბაძე იოსებ შოთას ძე
17. თურაძე იოსებ მიხეილის ძე
18. თურაძე ეილა ნოდარის ას
19. თურაძე მზიური ხამზას ას
20. ლომსანიძე ჯემალ ოთარის ძე
21. მიქელაძე იზოლდა ისუფის ას
22. მიქელაძე ნანული ალექსანდერს ას
23. მიქელაძე ნათელა ოსმანის ას
24. მიქელაძე ეთერ სერგოს ას
25. მიქელაძე ნუგზარ ასლანის ძე
26. ჯაბნიძე ლევან შაქროს ძე
27. მიქელაძე ნაზი ილიასის ას
28. ბერიძე ნუგზარ ვალერიანის ძე
29. მამულაძე თენგიზ მამიას ძე
30. მამულაძე თინა ილიასის ას
31. მამულაძე თამარ მემოს ას
32. მამულაძე ზურაბ მემოს ძე
33. ქამადაძე დარიკო გიორგის ას
34. ქამადაძე ომარ სინანის ძე
35. ქამადაძე ზინა ოთარის ას
36. ქამადაძე ზინა ოსმანის ას
37. ქამადაძე ნარგიზ ესკერის ას
38. ქამადაძე გივი დავითის ძე
39. ქამაშიძე ამირან შერიფის ძე
40. ქამაშიძე ანზორ ისაკის ძე
41. ქამაშიძე გუგული აქვსენტის ას
42. ქამაშიძე გულნარა მიხრალის ას
43. ქამაშიძე იოსებ ხუსეინის ძე
44. ქამაშიძე ემზარ თოფუზის ძე
45. ქამაშიძე მაყვალა ნაზიმის ას
46. ქამაშიძე ეთერ ბაგრატის ას
47. ქამაშიძე ნათელა ნაზიმის ას
48. ქამაშიძე ფატი ხასანის ას
49. ცეცხლაძე ნაზი ყარაღის ას
50. ცეცხლაძე მანანა რემზის ას
51. ჯაიანი მიხეილ მემედის ძე
52. ხოზრევანიძე სემია ბაგრატის ას
53. ქამაშიძე მურად ზულას ძე
54. ქამადაძე ჯემალ მუსტაფის ძე
55. ქამადაძე ბაგრატ ხასიას ძე
56. ბერიძე ნუგზარ ვალერიანის ძე
57. ნაკაშიძე იოსებ ოსმანის ძე
58. ქამადაძე ბაგრატ შოთას ძე

1979-1980 წ/Თ

1. აბულაძე ნანი ფელულის ას
2. ბოლქვაძე ნარგიზ ალექსანდრეს ას
3. ბოლქვაძე თამილა ხასანის ას
4. ბოლქვაძე ბეჟან თეიმურაზის ძე
5. ბოლქვაძე ლევან მუხამედის ძე
6. ბოლქვაძე მურმან ლევანის ძე
7. ბოლქვაძე მურმან თენგიზის ძე
8. გაბაიძე ოლეგ დავითის ძე
9. გუნდაძე ეთერ ნურის ას
10. გუნდაძე ნაზიკო სერგოს ას
11. გუნდაძე ნანული ავთანდილის ას
12. გუნდაძე ნანული მუსტაფის ას
13. დუმბაძე ნადია ნიკოლოზის ას
14. დუმბაძე თამარ გიორგის ას
15. დუმბაძე ემინე ვლადიმერის ას
16. მიქელაძე ასლან ოსმანის ძე
17. მიქელაძე გულნარა ილიასის ას
18. მიქელაძე ნადია სუმმანის ას
19. მიქელაძე ნათელა სერგოს ას
20. მიქელაძე ეთერ მუსას ას
21. თურაძე ნოდარ ილიას ძე
22. ჯაიანი მურმან მუსტაფის ძე
23. ჯაბნიძე მახმუდ შოთას ძე
24. ბოლქვაძე გუგული გურამის ას
25. ბერიძე ნოდარ ახმედის ძე
26. დუაძე ფატი გრიგოლის ას
27. დუაძე გული შოთას ას
28. თურაძე ივანე მუსას ძე
29. თურაძე მაყვალა ნოდარის ას
30. თურაძე ნათელა ბეჟანის ას
31. თურაძე ნანული ბეჟანის ას
32. აბულაძე ნანული მამიას ას
33. მამულაძე შოთა მემოს ძე
34. მამულაძე ჯამბულ ნურის ძე
35. ქამადაძე გურამ სინანის ძე
36. ქამადაძე ანიელ მიქაილის ძე
37. ქამადაძე თინა ხამზას ას
38. ქამადაძე მანანა ლევანის ას
39. ქამადაძე მალხაზ ახმედის ძე
40. ქამადაძე ფირუზ არსენის ძე
41. ქამაშიძე ანზორ ზურაბის ძე
42. ქამაშიძე ბადრი შოთას ძე
43. ქამაშიძე გულნარა ვლადიმერის ას
44. ქამაშიძე დავით ბინალის ძე
45. ქამაშიძე ლენა ნოდარის ას
46. ქამაშიძე მურად იოსების ძე
47. ცეცხლაძე ნარგიზ დავითის ას
48. ქამაშიძე ბესიკ ხასიას ძე

1980-1981 წ/Თ

1. აბულაძე მარგო მამიას ას
2. ბოლქვაძე მადლენა ნიკოლოზის ას
3. ბოლქვაძე ქსენია ლევანის ას
4. ბოლქვაძე მარგალიტა არტემის ას
5. გუნდაძე ლევან ხუსეინის ძე
6. გუნდაძე გულიკო ოსმანის ას
7. გუნდაძე ლამარა ხაზიმის ას
8. გუნდაძე ზინა ნიკოლოზის ას
9. გუნდაძე რევაზ ავთანდილის ძე
10 გუნდაძე შოთა დურსუნის ძე
11. დუმბაძე ანიკო ნუსრედინის ას
12. დუმბაძე გივი ისაკის ძე
13. დუმბაძე ნაზიკო შოთას ას
14. დუმბაძე მზიური ისმაილის ას
15. დუმბაძე გულიკო ვალიკოს ას
20. აბულაძე რევაზ ქემალის ძე
21. გუნდაძე სონია მუხამედის ას
22. დავითაძე ნუგზარ ალექსანდრეს ძე
23. თურაძე ლევან მუხამედის ძე
24. თურაძე მარია ხამზას ას
25. მამულაძე ნუგზარ ილიას ძე
26. მამულაძე როზა ნურის ას
27. ქამადაძე ასმათ ოთარის ას
28. ქამადაძე ნინო ესკერის ას
29. ქამადაძე ციალა ქემალის ას
30. ქამადაძე მერაბ ისაკის ძე
31. ქამადაძე ზურაბ ბინალის ძე
32. ქამადაძე ვახტანგ გიორგის ძე
33. ქამადაძე ბადრი ივანის ძე

16. დუმბაძე არჩილ სერგოს ძე
17. დუმბაძე ნუგზარ მუხამედის ძე
18. მიქელაძე არჩილ ილიას ძე
19. ჯაბნიძე რევაზ შოთას ძე
34. ქამადაძე ჟუჟუნა თემიზალის ას
35. ქამაშიძე ნუგზარ თოფუზის ძე
36. ჯაბნიძე ვაჟა ფაიყის ძე
37. ჯაბნიძე გურამ პავლეს ძე
38. ცეცხლაძე ზურაბ პეტრეს ძე

1981-1982 ს/ფ

1. ბოლქვაძე გუგული ვახტანგის ას
2. ბოლქვაძე მადლენა სეფერის ას
3. ბოლქვაძე ნოდარ ჯასიმის ძე
4. ბოლქვაძე ციალა დავითის ას
5. გუნდაძე ნანული ხუსეინის ას
6. დუმბაძე ელიკო ხასანის ას
7. დუმბაძე მაყვალა ბინალის ას
8. დუმბაძე ნარგიზ არჩილის ას
9. დუმბაძე სიმონ ვალიკოს ძე
10. დუმბაძე ხარიტონ ვახტანგის ძე
11. მამულაძე ზურაბ ნიაზის ძე
12. მიქელაძე გალინა იოსების ას
13. მიქელაძე ლიანა შოთას ას
14. მიქელაძე მალხაზ გირგის ძე
15. მიქელაძე მანანა სულეიმანის ას
16. მიქელაძე ემზარ ასლანის ძე
17. მიქელაძე ჟუჟუნა ხუსეინის ას
18. მიქელაძე გულიკო ილიას ას
19. ჯაიანი ციალა მუსტაფის ას
20. აბაშიძე ვარდო ვეზირის ას
21. გაბაიძე ნევინ დავითის ას
22. ნაკაშიძე ჯუმბერ თორუნის ძე
23. მამულაძე დანიელ ილიასის ძე
24. ქამადაძე გურამ იბრაიმის ძე
25. ქამადაძე ზაური ოსმანის ძე
26. ქამადაძე მერაბი ზულას ძე
27. ქამადაძე შაქრო რომანის ძე
28. ქამაშიძე ბეგლარ ლევანის ძე
29. ქამაშიძე ვაჟა შოთას ძე
30. ქამაშიძე თამარ ნეზიმის ას
31. ქამაშიძე თემურ შერიფის ძე
32. ქამაშიძე ნანული აქვსენტის ას
33. ქამაშიძე ციალა ბაგრატის ას
34. სურმანიძე დავით ჯემალის ძე
35. ცეცხლაძე მერაბ პეტრეს ძე
36. ცეცხლაძე მერი ყარაღის ას
37. ცეცხლაძე მერაბ ნოშრევანის ძე
38. ქამადაძე დავით მუსტაფის ძე

1982-1983 ს/ფ

1. ბოლქვაძე ჯემალ ვახტანგის ძე
2. ბოლქვაძე სოფიო ზიხნის ას
3. ბოლქვაძე დავით ალექსანდრეს ძე
4. ბოლქვაძე მერი გურამის ას
5. გუნდაძე ვაჟა ტაშტანის ძე
6. გუნდაძე გულიკო მუსტაფის ას
7. გუნდაძე მურმან ოსმანის ძე
8. გუნდაძე იოსებ მუხამედის ძე
9. დუმბაძე დანიელ სერდალის ძე
10. დუმბაძე ზურაბ დავითის ძე
11. დუმბაძე ნოდარ ნიკოლოზის ძე
12. დუმბაძე მარინა მიქაილის ას
13. დუმბაძე მანანა ბინალის ას
14. დუმბაძე ნარგული თეიმურაზის ას
23. აბულაძე თალიკო ზურაბის ას
24. ბოლქვაძე მურმან მიხეილის ძე
25. გუნდაძე მურმან ნიკოლოზის ძე
26. დუაძე ბადრი მემედის ძე
27. დუაძე გუგული შოთას ას
28. თურაძე ლევან გრიგოლის ძე
29. თურაძე ნოდარ ხამზას ძე
30. თურაძე რამინ სოლომონის ძე
31. ქამადაძე რევაზ არსენის ძე
32. ქამადაძეგულნარა ნურის ას
33. ქამადაძე მარინა ლევანის ას
34. ქამადაძე სოსო ხასიას ძე
35 ქამადაძე რევაზ ახმედის ძე
36. ქამადაძე მზიური იოსების ას

15. დუმბაძე ვარდო ყარამანის ას
16. მიქელაძე მამია შოთას ძე
17. მიქელაძე ამირან ნიაზის ძე
18. მიქელაძე ზურაბ ოსმანის ძე
19. მიქელაძე მაგული ოსმანის ას
20. მიქელაძე ციალა სუმმანის ას
21. მიქელაძე არჩილ ილიას ძე
22. აბულაძე ეთერ ნევზეთის ას
37. ქამადაძე ბეგლარ ივანეს ძე
38. ქამაშიძე თემური ბეჟანის ძე
39. ქამაშიძე გიორგი მიხრალის ძე
40. ქამაშიძე ოთარ რიზალის ზე
41. ქამაშიძე ასლან რიზას ძე
42. ცეცხლაძე დანიელ შაქროს ძე
43. ცეცხლაძე მურმან დავითის ძე
44. ქამადაძე მიხეილ ოთარის ძე

1983-1984 ს/ᲬᲐ

1. აბულაძე მერაბ ბესარიონის ძე
2. აბულაძე გულვარდი ქემალის ას
3. ბოლქვაძე ვალერიან მუხამედის ძე
4. ბოლქვაძე გულვარდი სერგოს ას
5. ბოლქვაძე ემზარ იოსების ძე
6. გუნდაძე ტარიელ მირიანის ძე
7. დუმბაძე მზია ისმაილის ას
8. დუმბაძე ასლან თეიმურაზის ძე
9. დუმბაძე მამია მურსელის ძე
10. დუმბაძე ჯემალ არჩილის ძე
11. თურაძე დოდო მიხეილის ას
12. თურაძე ლევან ილიას ძე
13. ლომსანიძე მურმან ნიაზის ძე
14. მამულაძე გურამ ნიაზის ძე
15. მიქელაძე ნოდარ სერგოს ძე
16. ქამაშიძე ლუარა ვალერიანის ას
17. ჯაბნიძე რევაზ მელიტონის ძე
18. ჯაბნიძე ზურაბ იაშას ძე
19. ბოლქვაძე შოთა სეფერის ძე
20. ბოლქვაძე მურად სერგოს ძე
21. გუნდაძე გუგული მეხედის ას
22. გუნდაძე გურამ დურსუნის ძე
23. მამულაძე ასმათ მამიას ას
24. მამულაძე ტარიელ ასლანის ძე
25. მამულაძე ნარგული ყურშუმის ას
26. ქამადაძე არჩილ ქემალის ძე
27. ქამადაძე გუგული ახმედის ას
28. ქამადაძე თეიმურაზ გიორგის ძე
29. ქამადაძე შოთა გიორგის ძე
30. ქამადაძე ჯამბულ ლევანის ძე
31. ქამადაძე ლიანა მიქაილის ას
32. ქამაშიძე თემური შოთას ძე
33. ქამაშიძე მაყვალა ზულას ას
34. ქამაშიძე ნარგიზ აქვსენტის ას
35. ქამაშიძე ნიგარ იოსების ას
36. ქამაშიძე ნოდარ იოსების ძე
37. ქამაშიძე რევაზ ენვერის ძე
38. ქამაშიძე ცისანა ზურაბის ას
39. ჯაიანი ნოდარ მემედის ძე
40. ქამაშიძე ფატი აკაკის ას
41. ქამაშიძე ჯემალ ნოდარის ძე

1984-1985 ს/ᲬᲐ

1. აბულაძე მაგული მამიას ას
2. ბოლქვაძე ბადრი ალექსანდრეს ძე
3. ბოლქვაძე ჯემალ ნიკოლოზის ძე
4. ბოლქვაძე ნიკოლოზ მუხამედის ძე
5. ბოლქვაძე დარიკო იოსების ას
6. ბოლქვაძე დალი გურამის ას
7. ბოლქვაძე ნუგზარ ბეჟანის ძე
8. გუნდაძე ბეჟან დურსუნის ძე
9. გუნდაძე ნანული ხაზიმის ას
11. გაბაიძე მარინა ნოდარის ას
12. დუმბაძე თალიკო ნუსრედინის ას
13. დუმბაძე დანიელ ბინალის ძე
14. დუმბაძე სიმონ ისაკის ძე
15. დუმბაძე მალხაზ ალექსანდრეს ძე
16. თურაძე ნელი სოლომონის ას
17. თურაძე ნადიმ ნოდარის ძე
18. თურაძე ოთარ ვლადიმერის ძე
19. მიქელაძე ნაზიბროლა ვალერის

10. გუნდაძე ნანული მუხამედის ას

ას

20. მიქელაძე ნუგზარ ილიას ძე

1985-1986 ს/ფ

1. აბულაძე რაულ ილიას ძე
2. ბოლქვაძე ომარ ბიჭიკოს ძე
3. ბოლქვაძე ასლან ზიხნის ძე
4. ბოლქვაძე გურამ ქაზიმის ძე
5. ბოლქვაძე ჯემალ თენგიზის ძე
6. ბოლქვაძე ზებურ ბეჟანის ძე
7. ბოლქვაძე ნაზი თემურაზის ას
8. გუნდაძე დავით ნიკოლოზის ძე
9. გუნდაძე გულვარდი მუსტაფის ას
10. გუნდაძე ნანი ავთანდილის ას
11. გუნდაძე ზებურ მამიას ძე
12. გუნდაძე ჯამბულ ხუსეინის ძე
13. გუნდაძე სულიკო ოსმანის ძე
14. დუაძე ლევან ისუფის ძე
15. დუმბაძე ნანა არჩილის ას
16. დუმბაძე თამარ ნუსრედინის ას
17. დუმბაძე ასლან ვალიკოს ძე
18. დუმბაძე ნათელა გიორგის ას
19. დუმბაძე ნაზი ვლადიმერის ას
20. თურაძე ნუგზარ მიხეილის ძე
21. მიქელაძე ზაიური ვალერიანის ძე
22. მიქელაძე თამაზ ოსმანის ძე
23. მიქელაძე მერაბ შოთას ძე
24. მიქელაძე სერგო სუმანის ძე
25. ჯაბნიძე ბადრი ალექსანდრეს ძე
26. ჯაბნიძე ზინურ მელიტონის ძე

1986-1987 ს/ფ

1. აბულაძე ნაზი ნევზეთის ას
2. აბულაძე მიხეილ თოფუზის ძე
3. აბულაძე ნოდარ ქემალის ძე
4. აბულაძე გურამ ზურაბის ძე
5. ბოლქვაძე ზაიური იოსების ძე
6. ბოლქვაძე ნუგზარ მიხეილის ძე
7. ბოლქვაძე მზიური ლევანის ას
8. ბოლქვაძე მალხაზ ვალერიანის ძე
9. ბოლქვაძე ანზორ სერგოს ძე
10. ბოლქვაძე ჯამბულ სიმონის ძე
11. ბოლქვაძე მურმან არტემის ძე
12. გუნდაძე სონია მუხამედის ას
13. გუნდაძე გულიკო ავთანდილის ას
14. გუნდაძე ზინურ შოთას ძე
15. გუნდაძე მაგული ალექსანდერს ას
16. დუაძე ჯემალ ალექსანდრეს ძე
17. დუაძე ჯამბულ შოთას ძე
18. დუმბაძე თემურ შაქროს ძე
19. დუმბაძე გრიგოლ მეთთოს ძე
20. დუმბაძე თემურ დავითის ძე
21. დუმბაძე ნათელა სერდალის ას
22. დუმბაძე დარიკო ვლადიმერის ას
23. დუმბაძე ჟუჟუნა გიორგის ას
24. თურაძე არჩილ მუხამედის ძე
25. მიქელაძე ოთარ ილიას ძე
26. მიქელაძე დარიკო სერგოს ას

1986-1987 ს/ფ

1. ბერიძე ვახტანგ რეჯების ძე
2. ბერიძე ჟუჟუნა ქემალის ას
3. გაბაიძე ნოდარ ყასუმის ძე
4. დუმბაძე სერგო აბდულის ძე
5. დუმბაძე თეიმურაზ ისკენდერის ძე
6. მიქელაძე იოსებ რიზას ძე
7. ცეცხლაძე მახმუდ საქროს ძე
8. ჯაბნიძე იაშა ყაიოს ძე
9. ჯაბნიძე შაქრო ყაიოს ძე
10. ჯაბნიძე მელიტონ ხუსეინის ძე
11. ხალვაში ეთერ გულას ას
12. ჯაბნიძე ამირან ალექსანდრეს ძე

1987-1988 ს/ფ

1. აბულაძე თამილა ილიას ას
2. აბულაძე მაგული ბესარიონის ას
3. ბოლქვაძე ვარდო ხასიას ას
4. ბოლქვაძე ბაგრატ ალექსანდრეს ძე
5. ბოლქვაძე ბადრი გურამის ძე
6. ბოლქვაძე ბაგრატ დავითის ძე
7. ბოლქვაძე ომარ სერგოს ძე
8. ბოლქვაძე ნაირა ალექსანდრეს ას
9. ბოლქვაძე ნარგიზ ბეჟანის ას
10. ბოლქვაძე დანიელ ვალერის ძე
11. ბოლქვაძე გულიკო თეიმურაზის ას
12. ბოლქვაძე შოთა ისუფის ძე
13. ბერიძე მინერი გულას ას
14. გუნდაძე იოსებ სერგოს ძე
15. გუნდაძე ნანული ნიკოლოზის ას
16. გუნდაძე ზებური რასიმის ძე
17. გუნდაძე სულიკო მუსტაფის ძე
18. გუნდაძე ჯემალ ხუსეინის ძე
19. დუმბაძე ეთერ შოთას ას
20. დუმბაძე ნათელა ყარამანის ას
21. დუმბაძე ნანული ისაკის ას
22. თურაძე არჩილ მიხეილის ძე
23. თურაძე ზურაბ ვლადინერის ძე
24. თურაძე ნადია ვალერიანის ას
25. მიქელაძე ლამარა გიორგის ას
26. მიქელაძე ჟუჟუნა ილიას ას
27. მიქელაძე ნაზი შოთას ას
28. მიქელაძე ბადრი ისაკის ძე
29. ქამაშიძე სეგრო მამიას ძე
30. ჯაბნიძე ნანა სულიკოს ას

1988-1989 ს/ფ

1. აბულაძე თინა მამიას ას
2. აბულაძე ზაურ მურმაის ძე
3. აბულაძე გულიკო ზურაბის ას
4. ბოლქვაძე ნათელა ბიჭიკოს ას
5. ბოლქვაძე ნანი ინდიკოს ას
6. ბოლქვაძე ნათელა თენგიზის ას
7. ბოლქვაძე ლილი სიმონის ას
8. ბოლქვაძე გულიკო მიხეილის ას
9. ბოლქვაძე მანანა არტემის ას
10. ბოლქვაძე ილარიონ იოსების ძე
11. გუნდაძე იამზე მამიას ას
12. გუნდაძე გულვარდი ნაზიმის ას
13. გუნდაძე ნაზი შოთას ას
14. გუნდაძე გულვარდი ოთარის ას
15. დუმბაძე ნათელა ბინალის ას
16. დუმბაძე მარინა არჩილის ას
17. დუმბაძე ომარ მიხეილის ძე
18. დუმბაძე ზაური დავითის ძე
19. დუმბაძე ნუგზარ ნიკოლოზის ძე
20. თურაძე ეთერ ნოდარის ას
21. თურაძე დარიკო ილიას ას
22. ლომსანიძე ლევან ასლანის ძე
23. მამულაძე მაყვალა ნიაზის ას
24. მიქელაძე ნადიმ ოსმანის ძე
25. მიქელაძე თამაზ გიორგის ძე
26. ცეცხლაძე ანზორ ახმედის ძე
27. ჯაიანი ნანული მუსტაფის ას
28. ჯაბნიძე ანზორ ქაზიმის ძე
29. ჯაბნიძე ნონა სულიკოს ას

1989-1990 ს/ფ

1. აბულაძე დარიკო ბესარიონის ას
2. ბოლქვაძე ასლან ავთანდილის ძე
3. ბოლქვაძე გულიკო დავითის ას
4. ბოლქვაძე გულნარა სერგოს ას
5. ბოლქვაძე ვლადიმერ თეიმურაზის ას
6. ბოლქვაძე ნადია მუხამედის ას
7. ბოლქვაძე არჩილ მუხამედის ძე
14. დუაძე ჯუმბერ ალექსანდრეს ძე
15. დუმბაძე თალიკო ბეჟანის ას
16. დუმბაძე თემურ ისაკის ძე
17. დუმბაძე ლიანა ნუსრედინის ას
18. დუმბაძე მალხაზ ასლანის ძე
19. დუმბაძე რევაზ ვლადიმერის ძე
20. დუმბაძე გურამ აკაკის ძე

8. ბერიძე ტარიელ ახმედის ძე
9. გუნდაძე გუგული ოთარის ას
10. გუნდაძე მზიური ალექსანდრეს ას
11. გუნდაძე გულნარა რასიმის ას
12. გუნდაძე ზურაბ ხუსეინის ძე
13. დუაძე მადონა შოთას ას
21. ჯაბნიძე ზურაბ იაშას ძე
22. თურაძე ამირან ვალერიანის ძე
23. მიქელაძე თალიკო მუხამედის ას
24. მიქელაძე თამარ ისუფის ას
25. მიქელაძე ლიანა ვალერიანის ას
26. მიქელაძე ნელი შოთას ას

1990-1991 ს/ᲬᲐ

1. აბულაძე დანიელ დავითის ძე
2. აბულაძე ჯუმბერ მურმანის ძე
3. აბულაძე თამარ თოფუზის ას
4. ბოლქვაძე თალიკო თეიმურაზის ას
5. ბოლქვაძე მადლენა ალექსანდრეს ას
6. ბოლქვაძე ცირა სიმონიეს ას
7. ბოლქვაძე დალი ბიჭიკოს ას
8. ბოლქვაძე მანანა სერგოს ას
9. ბოლქვაძე ნათელა თეიმურაზის ას
10. ბოლქვაძე არჩილ ნოშრევანის ძე
11. გუნდაძე მაგული ოთარის ას
12. გუნდაძე ზურაბ შოთას ძე
13. დუმბაძე თემური ბინალის ძე
14. თურაძე ანზორ ვლადიმერის ძე
15. თურაძე როინ სოლომონის ძე
16. თურაძე დოდო ნოდარის ას
17. მიქელაძე ამირან ილიას ძე
18. მიქელაძე ლეილა გენადის ას
19. ლომსანიძე ტარიელ ასლანის ძე
20. ჯაიანი გურამ ბეჟანის ძე
21. ჯაბნიძე ზურაბ მელიტონის ძე
22. ჯაბნიძე ვლადიმერ ქაზიმის ძე
23. ჯაბნიძე დალი ალექსანდრეს ას
24. გუნდაძე ილია მუხამედის ძე

1991-1992 ს/ᲬᲐ

1. აბულაძე ნუგზარ ბესარიონის ძე
2. ბოლქვაძე ასლა თეიმურაზის ძე
3. ბოლქვაძე გულნარა მიხეილის ას
4. ბოლქვაძე ედვარდ მირიანის ძე
5. ბოლქვაძე თენგიზ ბეჟანის ძე
6. ბოლქვაძე ნორა ზიხნის ას
7. ბოლქვაძე ოთარ არტემის ძე
8. ბოლქვაძე ჟუჟუნა ინდიკოს ას
9. ბოლქვაძე რუსუდან შოთას ას
10. ბოლქვაძე ჯუმბერ სიმონის ძე
11. გუნდაძე ოთარ ალექსანდრეს ძე
12. დუაძე ნანა ალექსანდრეს ას
13. დუმბაძე გულიკო გიორგის ას
14. დუმბაძე ირმა აკაკის ას
15. მიქელაძე ნანა ასლანის ას
16. ჯაბნიძე გურამ იაშას ძე

1992-1993 ს/ᲬᲐ

1. აბულაძე მერაბ დავითის ძე
2. ბოლქვაძე გულვარდი ბიჭიკოს ას
3. ბოლქვაძე დანიელ იოსების ძე
4. ბოლქვაძე ვარდო ვალერიანის ას
5. ბოლქვაძე ზურაბ დავითის ძე
6. ბოლქვაძე ზურაბ გრიგოლის ძე
7. ბოლქვაძე მზია ნიკოლოზის ას
8. გორგაძე მამუკა ზურაბის ძე
9. გუნდაძე თამაზ ოთარის ძე
10. გუნდაძე ნანა ხუსეინის ას
11. დუმბაძე ვარდო მიხეილის ას
12. დუმბაძე ლევან თეიმურაზის ძე
13. დუმბაძე მადონა ნოდარის ას
14. დუმბაძე ნოდარი მიხეილის ძე
15. დუმბაძე ოთარი შოთას ძე
16. ლოპმსანიძე ლია ომარის ას

1993-1994 ს/ᲬᲐ

1. ბოლქვაძე ინგა შოთას ას
2. ბოლქვაძე ხათუნა მირიანის ას

1994-1995 ს/ᲬᲐ

1. აბულაძე რევაზ მურმანის ძე
2. აბულაძე ჯუმბერ დავითის ძე

3. დუმბაძე ზურაბ შალვას ძე
4. დუმბაძე დარიკო გიორგის ას
5. დუმბაძე მადლენა ნოდარის ას
6. გუნდაძე ზურაბ ალექსანდრეს ძე
7. გუნდაძე ზაქრო მუსტაფის ძე

3. ბოლქვაძე თემურ იოსების ძე
4. ბოლქვაძე გურამ ბიჭიკოს ძე
5. ბოლქვაძე ერემილე მირიანის ძე
6. ბერიძე მურმან სიმონის ძე
7. დუმბაძე მანანა ნოდარის ას
8. ლომსანიძე გია ომარის ძე
9. ლომსანიძე ჯამბულ ასლანის ძე
10. მამულაძე ხათუნა ასლანის ას

1995-1996 ს/ფ

1. აბულაძე რამაზ ილიას ძე
2. ბოლქვაძე ბეგლარ სიმონის ძე
3. ბოლქვაძე გელა ბეჟანის ძე
4. ბოლქვაძე ირმა შოთას ას
5. ბოლქვაძე მალხაზ სერგოს ძე
6. ბოლქვაძე მერი დავითის ას
7. გუნდაძე გოჩა სოლომონის ძე
8. დუმბაძე მალხაზ ბეგლარის ძე
9. დუმბაძე მალხაზ აკაკის ძე
10. მიქელაძე გოჩა ვახტანგის ძე
11. მიქელაძე მამუკა არჩილის ძე
12. თურაძე ზურაბ მიხეილის ძე
13. თურაძე გულთამზე ვლადიმერის ას
14. ლომსანიძე დავით შალვას ძე
15. ბოლქვაძე თამაზ ვლადიმერის ძე

1996-1997 ს/ფ

1. აბულაძე მიხეილ გულას ძე
2. აბულაძე გულვარდი დავითის ას
3. ბოლქვაძე ირა შოთას ას
4. ბოლქვაძე მანანა მირიანის ას
5. ბოლქვაძე ციცინო მიხეილის ას
6. ბოლქვაძე ვახტანგ ვალერიანის ძე
7. ბოლქვაძე ზურაბ დავითის ძე
8. ბოლქვაძე ოთარ ნოშრევანის ძე
9. ბოლქვაძე დოდო ბეჟანის ას
10. გორგაძე კახაბერ ზურაბის ძე
11. დუმბაძე ლიანა დავითის ას
12. დუმბაძე გურამ ნუგზარის ძე
13. დუმბაძე ევგენი შოთას ძე
14. მიქელაძე ავთანდილ ილიას ძე

1997-1998 ს/ფ

1. აბულაძე მზია დავითის ას
2. ბოლქვაძე გია შოთას ძე
3. ბოლქვაძე ზვიად ბეჟანის ძე
4. ბოლქვაძე ნანა მირიანის ას
5. ბოლქვაძე გიული ბეჟანის ას
6. ბოლქვაძე სელმე ბეჟანის ას
7. ბოლქვაძე მერი ნოდარის ას
8. გუნდაძე თამაზ ალექსანდრეს ძე
9. ლომსანიძე მერაბ ომარის ძე
10. ჯაბნიძე ომარ სულიკოს ძე

1998-1999 ს/ფ

1. აბულაძე რაულ მურმანის ძე
2. ბოლქვაძე დალი სიმონის ას
3. ბოლქვაძე ითარ დავითის ძე
4. ბოლქვაძე ზვიად დავითის ძე
5. ბოლქვაძე დავით ავთანდილის ძე
6. ბოლქვაძე ოლეგ შოთას ზე
7. ბოლქვაძე იაშა ნოდარის ზე
8. გუნდაძე რამაზ ოთარის ძე
9. დავითაძე სულიკო ალექსანდრეს ძე
10. დუმბაძე თამაზ ნოდარის ძე
11. დუმბაძე არჩილ შალვას ძე
12. დუმბაძე რუსლან ბეჟანის ძე
13. მიქელაძე დათო ვახტანგის ძე
14. ჯაბნიძე ზებურ სულიკოს ძე

1999-2000 ს/ფ

1. ბოლქვაძე ემზარ მიხეილის ძე
2. ბოლქვაძე იამზე შოთას ას
3. ბოლქვაძე ლია ბეჟანის ას
4. ბოლქვაძე მანანა ნოშრევანის ას
5. გუნდაძე მანანა სოლომონის ას
6. დავითაძე მადლენა ბეჟანის ას
7. დუმბაძე ზებურ შოთას ზე
8. თურაძე ალექსანდრე ვლადიმერის ძე
9. ჯაიანი ჯიმშერ მურმანის ძე

2000-2001 ს/ფ

1. აბულაძე ბაგრატ ბესარიონის ძე
2. აბულაძე მელანო მურმანის ას
3. ბოლქვაძე ვარლამ თემურის ძე
4. ბოლქვაძე ნაირა შოთას ას
5. ბოლქვაძე რამაზ ბეჟანის ძე
6. ბოლქვაძე რაშიდ ბეჟანის ძე
7. დუმბაძე დარეჯან შალვას ას
8. დუმბაძე ედნარ ნუგზარის ძე
9. დუმბაძე მაყვალა ბეგლარის ას
10. დუმბაძე ხათუნა ლევანის ას
11. თურაძე ემზარ ლევანის ძე
12. თურაძე ირმა ლევანის ას
13. დუმბაძე რუსლან დავითის ძე
14. ლომსანიძე დალი შალვას ას
15. ჯაბნიძე თემურ სულიკოს ძე

2001-2002 ს/ფ

1. აბულაძე როინ დავითის ძე
2. ბოლქვაძე დათო მურმანის ძე
3. ბოლქვაძე ზეზვა თენგიზის ძე
4. ბოლქვაძე ნანა სერგოს ას
5. ბოლქვაძე ომარ დავითის ძე
6. ბოლქვაძე ხვიჩა იოსების ძე
7. გუნდაძე თენგიზ მამიას ძე
8. გუნდაძე ნუგზარ ალექსანდრეს ძე
9. გუნდაძე რამაზ მურმანის ძე
10. გუნდაძე ჯუმბერ ახმედის ძე
11. დუმბაძე დალი ალექსანდრეს ას
12. დუმბაძე მაია ნოდარის ას
13. დავითაძე რუსლან ბეჟანის ძე
14. თურაძე ზვიად ბიჭიკოს ძე
15. მამულაძე დანიელ ასლანის ძე
16. მიქელაძე ზვიად სიმონის ძე
17. ჯაიანი ედიშერ მურმანის ძე

2002-2003 ს/ფ

1. ბოლქვაძე გოჩა იოსების ძე
2. ბოლქვაძე ედუარდ ბეჟანის ძე
3. ბოლქვაძე მაია მურმანის ას
4. ბოლქვაძე მედიცო შოთას ას
5. ბოლქვაძე მზია ბეჟანის ას
6. ბოლქვაძე ნუგზარ სერგოს ზე
7. გუნდაძე ავთანდილ ლევანის ძე
8. გუნდაძე ავთანდილ მამიას ძე
9. გუნდაძე ნათია თამაზის ას
10. გუნდაძე ფატი მამიას ას
11. გუნდაძე ხათუნა შოთას ას
12. დუმბაძე ზვიად ლევანის ძე
13. დუმბაძე მანუჩარ თენგიზის ძე
14. დუმბაძე ნანა ვლადიმერის ას
15. დუმბაძე ნინო ვლადიმერის ას
16. თურაძე იამზე ვლადიმერის ას
17. თურაძე რომან სულიკოს ძე
18. მიქელაძე თეონა სერგოს ას
19. გუნდაძე გურამ სოლომონის ძე

2003-2004 ს/ფ

1. ბოლქვაძე დათო ბეჟანის ძე
2. ბოლქვაძე დავით ბეჟანის ძე
3. ბოლქვაძე თამაზ ბეჟანის ძე

2004-2005 ს/ფ

1. ბოლქვაძე ავთანდილ ბეჟანის ძე
2. ბოლქვაძე ბადრი სიმონის ძე
3. ბოლქვაძე შორენა შოთას ას

4. ბოლქვაძე ედიშერ მირანის ძე
5. ბოლქვაძე ლევან თენგიზის ძე
6. გაბაიძე ზვიად
7. თურაძე ამირან ვალერიანის ძე
8. თურაძე ია ლევანის ას
9. თურაძე ლამზირა ვლადიმერის ას
10. მიქელაზე რომან
11. ჯაბნიძე დათო

4. გუნდაძე დარეჯან ლევანის ას
5. გუნდაძე თალიკო ალექსანდრეს ას
6. გუნდაძე ნათელა მამიას ას
7. დუმბაძე ირინა ლევანის ას
8. დუმბაძე ლია სიმონიეს ას
9. დუმბაძე რომან ალექსანდრეს ძე
10 მიქელაძე ზეინაბ ოსმანის ას
11. მიქელაძე მანანა არჩილის ას
12. მიქელაძე ნონა ვახტანგის ას
13. ჯაბნიძე გიორგი მუსტაფის ძე
14. ჯაიანი მედიკო მურმანის ას

2005-2006 ს/ფ

1. ბოლქვაძე ანზორ ბეჟანის ძე
2. ბოლქვაძე გიული ნოდარის ას
3. ბოლქვაძე გელადი შოთას ძე
4. ბოლქვაძე დათო თემურის ძე
5. ბოლქვაძე დალი ნოდარის ას
6. ბოლქვაძე ფირუზ ნოდარის ძე
7. ბერიძე სულხან
8. გუნდაძე გია ალექსანდრეს ძე
9. გუნდაძე როინ რევაზის ძე
10. გუნდაძე ციალა ახმედის ას
11. დუმბაძე მურად ნუგზარის ძე
12. თურაძე გელა ჯამბულის ძე
13. თურაძე იაგო
14. მიქელაძე ზინურ ზაურის ძე
15. ჯაბნიძე გოდერძი

2006-2007 ს/ფ

1. ბოლქვაძე ლაშა შოთას ძე
2. ბოლქვაძე მინორა მირიანის ას
3. ბოლქვაძე ნანული ნოშრევანის ას
4. გუნდაძე აიგული მურმანის ას
5. გუნდაძე დათო სულიკოს ძე
6. ვ თამაზ
7. გუნდაძე თენგიზ სერგოს ძე
8. დუმბაძე გელა შოთას ძე
9. დუმბაძე დარინა ასლანის ას
10. დუმბაძე ვახტანგ ხარიტონის ძე
11. დუმბაძე კახა
12. დუმბაძე ნანა
13. მიქელაძე ირმა
14. მიქელაძე მელანო მალხაზის ას
15. მიქელაძე როლანდ
16. ჯაიანი ედნარ მურმანის ძე

2007-2008 ს/ფ

გამოშვება არ ყოფილა

2008-2009 ს/ფ

1. ბოლქვაძე ასლან
2. ბოლქვაძე ზვიად
3. ბოლქვაძე ლადო
4. ბოლქვაძე ნათია
5. ბოლქვაძე ნიგარ თენგიზის ას
6. გუნდაძე ასლან შოთას ძე
7. გუნდაძე ლამზირა რევაზის ას
8. გუნდაძე რამაზ თამაზის ძე
12. დუმბაძე ნათია
13. დუმბაძე ხათუნა
14. თურაძე თემურ
15. მიქელაძე გიორგი
16. მიქელაძე როინ
17. მიქელაძე რუსლან
18. ბოლქვაძე ზია
19. ბოლქვაძე რამინ

9. დუმბაძე დათო ხასანის ძე
10. დუმბაძე დამირ ასლანის ძე
11. დუმბაძე თეონა
20. ბოლქვაძე ნონა
21. გუნდაძე ჯემალ

2009-2010 ს/ფ

1. ბოლქვაძე ედნარ ბაგრატის ძე
2. ბოლქვაძე ზაირა შოთას ას
3. ბოლქვაძე თეა ბეჟანის ას
4. ბოლქვაძე ზვიად
5. გუნდაძე ნინო რევაზის ას
6. გუნდაძე დათო ლევანის ძე
7. ლომსანიძე მარად მუმრანის ძე
8. მიქელაძე ირაკლი ასლანის ძე
9. ცეცხლაძე მამუკა

2010-2011 ს/ფ

1. ბოლქვაძე ნარიკო ნოდარის ას
2. ბოლქვაძე თამილა ასლანის ას
3. ბოლქვაძე ნათიას ჯემალის ას
4. ბოლქვაძე რაულ ბეჟანის ძე
5. ბოლქვაძე რომან შოთას ძე
6. ბოლქვაძე ცირა ზიას ას
7. გუნდაძე ოსმან მუმრანის ძე
8. დუმბაძე დათო ნუგზარის ძე

2011-2012 ს/ფ

1. ბოლქვაძე მინდია ჯემალის ძე
2. გუნდაძე გელა სულიკოს ძე
3. გუნდაძე ანიელ ლევანის ძე
4. გუნდაძე მამუკა თემურის ძე
5. გუნდაძე ჯამბულ ტარიელის ძე
6. გუნდაძე როლანდ თამაზის ძე
7. დუმბაძე დანიელ ნუგზარის ძე
8. თურაძე რუსლან
9. თურაძე რუსლან
10. თურაძე რაულ
11. მიქელაძე რაინდ
12. მიქელაძე როსტომ
13. ქამაშიძე ლია ჯამბულის ას

2012-2013 ს/ფ

1. ბოლქვაძე ედნარ ოთარის ძე
2. ბოლქვაძე თამრიკო ჯემალის ას
3. ბოლქვაძე ლერი მალხაზის ძე
4. ბოლქვაძე რამაზ სერგოს ძე
5. ბოლქვაძე სოფიკო ნოდარის ას
6. ბოლქვაძე ხათუნა ჯემალის ას
7. ბოლქვაძე ჯემალ ზიას ძე
8. გუნდაძე გია სულიკოს ძე
9. გუნდაძე მუხამედ სულიკოს ძე
10. თურაძე დათო
11. მამულაძე ხვიჩა გურამის ძე

2013-2014 ს/ფ

1. ბოლქვაძე თეონა ბადრის ას
2. ბოლქვაძე მაიკო ასლანის ას
3. ბოლქვაძე ფატიმა ომარის ას
4. გუნდაძე დამირ მურმანის ძე
5. გუნდაძე ზებური იოსების ძე
6. გუნდაძე ზეინაბ იოსების ას
7. დუმბაძე გოჩა სიმონის ძე
8. დუმბაძე გოჩა სიმონის ძე
9. დუმბაძე დათო ასლანის ძე
10. დუმბაძე თეა ამირანის ას
11. დუმბაძე ნიკა ელგუჯას ძე
12. თურაძე რუსლან რევაზის ძე
13. მიქელაძე თემურ ოთარის ძე
14. მიქელაძე თორნიკე ნუგზარის ძე
15. ჯაბნიძე ბექა ვაჟას ძე
16. ჯაბნიძე ინეზა მუსტაფის ას

2014-2015 ს/ფ

1. ბოლქვაძე ლია ზექერიას ას

2015-2016 ს/ფ

1. თურაძე სალომე ბესოს ას

2. ბოლქვაძე მურად მირიანის ძე
3. ბოლქვაძე მაია მერაბის ას
4. ბოლქვაძე მარად ნუგზარის ძე
5. ბოლქვაძე ნონა ილიას ას
6. ბოლქვაძე რომან ნოდარის ძე
7. ბოლქვაძე ემზარ ოთარის ძე
8. დუმბაძე ლევან ჯემალის ძე
9. დუმბაძე დათო სულიკოს ძე
10. მიქელაძე ზინური ოთარის ძე
11. მიქელაძე სოფიკო თენგიზის ას
12. ჯაბნიძე დათო ზურაბის ძე
13. დუმბაძე ციცინო გრიგოლის ას
14. დუმბაძე სოფიკო ასლანის ძე

2. თურაძე გია არჩილის ძე
3. ცეცხლაძე ბაჩანა თენგიზის ძე
4. ჯაბნიძე რუსუდან ვაჟას ას
5. ჯაიანი მზია მურმანის ას
6. გუნდაძე ირინა ტარიელის ას
7. გუნდაძე გოჩა ზაქროს ძე
8. ბოლქვაძე სოფიკო ნუგზარის ას
9. ბოლქვაძე რამინ ჯემალის ძე
10. ბოლქვაძე ნესტან ვალერიანის ას
11. ბოლქვაძე მარიკა არჩილის ას
12. ბოლქვაძე ზებური ომარის ძე

მეხუთე განყოფილება

იუბილეები, შეხვედრები, ღონისძიებები

§1. თხილვანის სკოლის 80 წლისთავი

1996 წლის 12 ოქტომბერს ჩატარდა თხილვანის 80 წლისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება. გაზეთ „აჭარაში“ დაიბეჭდა ჟურნალისტ ოთარ ცინარიძის სტატია სათაურით „განათლების მძლავრი კერა“. მკითხველს ვთავაზობთ ამ სტატიას:

„80 წლის წინ მთიანი აჭარის უძველეს და ლამაზ სოფელში – თხილვანაში დაირეკა ქართული სკოლის ზარი. სკოლას მიაშურეს თხილვანის, ქვედა თხილვანის, ბაკოს, მთისუბნის და ხიხაძირის სასოფლო საბჭოსა და ხეობის სხვა სოფლების სწავლასმოწყურებულმა ახალგაზრდებმა.

„– პირველად სკოლა ჯერ სოფლის მედრესეში გავმართეთ. შემდეგ თემურ ხიმშიაშვილმა (ცნობილი შერიფ ხიმშიაშვილის შვილმა) საკუთარი სახლი დაგვითმო. თიფლისიდან მოსულმა მასწავლებელმა თედორე დოლიძემ 25 მოსწავლე მიგვიწვია სასწავლებლად, შემდეგ 31 გავხდით. ჩემთან ერთად იყვნენ ისა, ნური ბოლქვაძეები, ისკენდერ, ისრაფილ, დურსუნ დუმბაძეები, მუსტო, ხასია მიქელაძეები, ისა ქამადაძე, შაისმაილ მამულაძე, ბათალი იშხნელიძე, ფოლად და ზექერია ჯაიანები, თერჯინალ გორგაძე, თუფან და გულა გაბაიძეები“, – იგონებს სკოლის პირველი მოსწავლე, 95 წლის რასიყ ნაკაშიძე. იმ ოცდაათერთმეტი მოსწავლიდან მხოლოდ ეს ერთიღა შემორჩენია წუთისოფელს. იგი შვიდი შვილის, 45 შვილიშვილის და 32 შვილთაშვილის მომსწრეა. მან ისიც დასძინა, რომ სწორედ თხილვანის სკოლაში (1923-1926 წწ.) ეზიარა ქართულ ანბანს ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე დავით მამულაძე.

ორ მოვლენას ზეიმობდა სოფელი: თხილვანაში ქართული სკოლის დაფუძნებასა და ამ ბალავარზე 196 მოსწავლეზე განკუთვნილი 22 საკლასო ოთახის მქონე, ორსართულიანი კაპიტალური სკოლის საექსპლოატაციოდ გადაცემას. მართლაც რომ საშური საქმეა. თუ ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში სკოლების შენობები თავზე ექცევათ, მატერიალური ბაზა მინიმუმამდეც ვერ აკმაყოფილებს სასწავლო პროცესების მოთხოვნებს, აჭარაში შენარჩუნებული სიმშვიდისა და აღმშენებლობის წყალობით, ამ შორეულ სოფელში, ისიც სტიქიისაგან იავარქმნილი გზებისა და ხიდების ფონზე, თხილვანაში სკოლა აშენდა.

განა მარტო სკოლა? დროის მოკლე მონაკვეთში ფუშრუკაულში აღსდგა 30 მეტრი სიგძის ხიდი, სოფელ ვერნებში დამთავრდა 22 მეტრიანი მისასვლელი ხიდის აგება. „აჭარავტოგზის“ მუშაკები ახლა ხიხაძირის

თხილვანის სკოლა, სადაც ჩატარდა დაარსებიდან 80 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

და თხილვანის ხიდებს აღადგენენ (აღდგენილი ხიდები დღესაც მწყობრშია – ავტ.). დაზამთრებამდე მათი დამთავრებაც აქვთ ნავარაუდევი.

№52 მოძრავ–მექანიზებული კოლონის მშენებლებს ხიდების წაღება, გზების ჩამორეცხვა დიდად უშლიდათ ხელს, მაგრამ კოლონის უფროსის ელიზბარ ვარშანიძის, მთავარი ინჟინრის მერაბ ბერიძის, სამუშაოთა მწარმოებლის ნოშრევან ქედელიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველაფერი შეძლეს სკოლის შენობის დროზე დამთავრებისთვის.

„წლევანდელი შემოდგომა ბუტია პატარძალივითაა. ღრუბელი ცაზე გაჭაჭანდება თუ არა, უმალვე წვიმას დაუშენს დედამიწას. 12 ოქტომბერს დილიდანვე მზიანი დარი იდგა. იშვიათობაა თხილვანაში ასულს ხიხანი ასე გულგახსნილი დაგხვდეს, სულ ღრუბლებშია შეფარულ-შემალული. ზეიმის დაწყებას ნუღარ ვაყოვნებთ, მე მთიელი არა ვარ, მაგრამ მთის ავანჩავანი კარგად ვიცი,“ – თქვა გაზეთ „აღორძინების“ რედაქტორმა ნუგზარ ჯაფარიძემ.

საზეიმო სხდომას ხსნის რაიონის გამგებელი შოთა აბაშიზე

თხილვანაში ქართული სკოლის დაარსების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგს ხსნის ხულოს რაიონის გამგებელი შოთა აბაშიძე.

– ნიშანდობლივია, – თქვა მან, – რომ თხილავანაში განათლების კერის აღორძინების თარიღს ახალი სასკოლო შენობის ეზოში ვზეიმობთ. დიდი მად-

ლობა აჭარის, ქვეყნის ხელმძღვანელობას ესოდენ დიდი დახმარებისთვის. სწორედ მათი ძალისხმევით აშენდა მთის ამ შორეულ სოფელში უნიკალური შენობა, რომელიც საჭირო საფუძველია მოზარდთა სწავლა-განათლებისთვის. მან მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს სერგო, ნიკოლოზ დუმბაძეებს, შოთა ბოლაქვაძეს, ილია ქამადაძეს, ალექსანდრე მამულაძეს, სერგო ბოლქვაძეს, სოფლის აქტივს.

მოზეიმეთა წინაშე საინტერესო **მოხსენებით – „თხილვანის სკოლა 80 წლისაა“** – წარსდგა ამ სკოლის კურსდამთავრებული, ამჟამად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, **დოცენტი სერგო დუმბაძე** (ამჟამად ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი).



სერგო დუმბაძის აკეთებს მოხსენებას.
სოფ. ბაკო. 2009 წლის 3 ივნისი

თხილვანელებსა და სტუმრებს სკოლის 80 წლისთვის იუბილე მიულოცა აჭარის ავტონომიური რესპულიკის განათლების მინისტრმა ნანი გუგუნავამ, მან წაიკითხა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის მილოცვა თხილვანაში ქართული სკოლის დაფუძნების 80 წლისთავთან დაკავშირებით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს საპატიო სიგელები გადასცა თხილვანის საშუალო სკოლაში მოღვაწე პედაგოგებს, რომლებიც დღეს დამსახურებულ პენსიაზე არიან, ან სხვა სფეროში მოღვაწეობენ. ეს ჯილდო ერგოთ სერგო ჯაიანს, თინა კუკულაძეს, ასლან მიქელაძეს, ასლან ბოლქვაძეს, შოთა გაბაიძეს, ალექსანდრე დუაძეს, მახმუდ ბოლქვაძეს, ნიკოლოზ დუმბაძეს, აკაკი ქამაშიძეს. ეს დღე დაუვიწყარი იქნება ხულოს საშუალო სკოლის პედაგოგის ალექსანდრე ქათამაძისათვის. მას ამ დღეს საზეიმო ვითრებაში გადაეცა ღირსების მედალი.

შეკრებილთ ესალმებიან თხილვანის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი სერგო ჯაიანი, საქართველოს პარლამენტის წევრი, პოეტი ფრიდონ ხალვაში, სკოლის პირველი მოსწავლე რასიყ ნაკაშიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე ჯემალ ჯაყელი, თხილვანის სკოლის ყოფილი დირექტორი, აჭარის დამსახურე-

ბული მასწავლებელი თინა კუკულაძე, პოეტი ამირან ხაბაზი, საქართველოს პარლამენტის წევრი, დოცენტი იური ბიბილეიშვილი, პროფესორი შუშანა ფუტკარაძე, მან სკოლას გადასცა ოთხი ცალი წიგნი „ჩვენებურების ქართული“, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე აზიზ ახვლედიანი, პროფესორი დავით კომახიძე, გაზეთ „აღორძინების“ რედაქტორი ნუგზარ ჯაფარიძე, ბათუმის სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის მოადგილე ალექსანდრე მამულაძე, პროფესორი ამირან კახიძე, მან საჩუქრები გადასცა სკოლას, პოეტი მამია ვარშანიძე, თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორი შოთა ბოლქვაძე; 1923 წელს თხილვანაში მომუშავე სკოლის ხელმძღვანელის ტიტე ჭყონიას ქალიშვილი ნინო ჭყონია, რომელმაც სამახსოვრო სუვენირი უბოძა მამისეულ სკოლას.

თხილვანის პირველი სკოლის ყოფილი მოსწავლე რასიყ ნაკაშიძე მოსწალეებს ესაუბრება სკოლის ისტორიაზე და თედორე მასწავლებელზე

საიუბილეო სხდომაზე მოწვეულ სტუმართა ერთი ჯგუფი

მრავალი წიგნი, სუვენირი, სხვა სამახსოვრო საჩუქარი სკოლის მუზეუმის კუთვნილება გახდება, რომელებიც სტუმრებმა უბოძეს თხილვანელებს. გამომცემლობა „აჭარის“ დირექტორმა დავით თედორაძემ ასი წიგნი გამოუგზავნა სკოლის ბიბლიოთეკას, აჭარის სოციალური დაცვის, შრომისა და დასვენების მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ მამულაძემ ასევე მისი თანაავტორობით დასტამბული ასი ცალი წიგნი უსახსოვრა სკოლას. საჩუქრის გარეშე თხილვანელები არც თხილვანის საშუალო სკოლის ყო-

ფილმა მასწავლებელმა, აჭარის უზენაესი საბჭოს წევრმა, მურმან კირთაძემ დატოვა.

სკოლის 80 წლისთავის იუბილე მიულოცეს საქართველოს სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა ვახტანგ წულიკიძემ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბათუმის 25–ე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურმა პოლკოვნიკმა რომან დუმბაძემ და სხვებმა. ხულოს რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ შოთა აბაშიძემ სკოლას გადასცა სამახსოვრო საჩუქარი – კედლის დიდი საათი. ასევე ღონისძიების ორგანიზატორებმა დავით მამულაძის სახელობის საზოგადობა „მოამაგისა“ და ხულოს რაიონის გამგეობის სახელით სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს რასიე ნაკაშიძეს, მახმუდ ბოლქვაძეს, სერგო ჯაიანს, თინა კუკულაძეს, ასლან მიქელაძეს, მაყვალა კეშელავას, მაყვალა ჭყონიას, ალექსანდრე ქათამაძეს, ინგა ბოლქვაძეს რომელიც ამ დღეებში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა და ოჯახიც შექმნა.

ზეიმი მხატვრული ნომრებით გაახალისეს ხიხაძირის კულტურის სახლის, თხილვანის საშუალო სკოლის მომღერლებმა და მოცეკვავეებმა.

ახალი სასკოლო შენობის ლენტს ჭრის განათლების მინისტრი ნანი გუგუნავა. 1996 წლის ოქტომბერი

დგება კიდევ ერთი საზეიმო წუთი, აჭარის ავტონომირი რესპუბლიკის განათლების მინისტრი ნანი გუგუნავა, ხულოს რაიონის გამგეობის თავმჯდომარე შოთა აბაშიძესთან ერთად, ჭრიან ლენტს. ისინი მოზეიმეებს ახალაგებული შენობის ფოიეში ეპატიჟებიან. აქაც სიურპრიზი – სოფლის მკვიდრების, სერგო და ნიკოლოზ დუმბაძეების ინიციატივით სკოლის ისტორიის ამსახველი მეტად საინტერესო სტენდების მოწმენი გახდნენ ზეიმის მონაწილენი, მათზე მოთავსებულია ღვაწლმოსილი

პედაგოგების, ღირსეული აღზრდილების სურათები. ეს სტენდები საპატიო ადგილს დაიჭერს სასკოლო მუზეუმში, რომლის შექმნის იდეა ზეიმის დღეს დაიბადა.

სტენდებიდან შემოგვყურებენ ის ადამიანები, რომლებსაც ამ სოფლის სკოლაში უღვაწიათ, უსწავლიათ. გაცოცხლებულა ბევრი ისტორიული ფოტო.

გამართლდა ნუგზარ ჯაფარიძის სიტყვა, ხიხანის ციხე ნისლში ჩაიძირა, ქარი და წვიმა მოაყოლა. წვიმამ, უცბად ამოვარდნილმა ქარმა ვერ დაუკარგა ელფერი დიდ ზეიმს, დაილოცა სტუმარიც და მასპინძელიც, შესანდობარი მიაგეს წასულებს, წინსვლა, წარმატებები უსურვეს სოფლის ადამიანებს, იმ აღსაზრდელებს, რომლებიც ხვალ ახალ სასკოლო შენობაში შეაღებენ კარებს და ქვეყნის ინტერესების დაცვისთვის დაფრიანდებიან.“

დ ა ჯ ი ლ დ ო ე ბ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1996 წლის 27 ნოემბრის ბრძანებულებით, „მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, დაარსების 80 წელთან დაკავშირებით“, თხილვანის საშუალო სკოლა დაჯილდოვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით.

* * *

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრის 1996 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებულებით, „ხულოს რაიონის თხილვანის საშუალო სკოლა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის, დაარსების 80 წლისთავთან დაკავშირებით“ დაჯილდოვდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით“.

* * *

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1996 წლის 3 დეკემბრის ბრძანებულებით, „სახალხო განათლების სისტემაში ნაყოფიერი მუშაობისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის,“ ხულოს რაიონის თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორი **შოთა ესკერის ძე ბოლქვაძე დაჯილდოვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით.**

* * *

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 1997 წლის 18 მარტის ბრძანებულებით „მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქ-

მეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის,“ ხულოს რაიონის თხილვანის საშუალო **სკოლის დირექტორი შოთა ბოლქვაძე დაჯილდოვდა „ღირსების მედლით“.**

თხილვანის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო თხილვანაში პირველი ქართული სკოლის გახსნის 80 წლისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიების მომზადებასა და ჩატარებაში:

1. შოთა გაბაიძე – სასწავლო ნაწილის გამგე;
2. თენგიზ ბოლქვაძე – სკოლის ორგანიზატორი;
3. ანზორ ბოლქვაძე – დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებელი;
4. ლია ლომსანიძე – მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი;
5. გულიკო ბოლქვაძე – დაწყებითი კლასების მასწავლებელი;
6. ინგა ბოლქვაძე – დაწყებითი კლასების მასწავლებელი;
7. ოთარ გუნდაძე – დაწყებითი კლასების მასწავლებელი;
8. მაყვალა მამულაძე – დაწყებითი კლასების მასწავლებელი
9. გულნარა უმეთაძე – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;
10. დარიკო დუმბაძე – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;
11. ნუგზარ ბოლქვაძე – მათემატიკის მასწავლებელი;
12. ელგუჯა დუმბაძე – ფიზიკა–მათემატიკის მასწავლებელი;
13. მანანა გაბაიძე – ქიმია–ბიოლოგიის მასწავლებელი;
14. ნოდარ გაბაიძე – რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;
15. ჯემალ ბოლქვაძე – გეოგრაფიის მასწავლებელი;
16. გურამ ბოლქვაძე – შრომითი სწავლების მასწავლებელი;
17. არჩილ ბოლქვაძე – სკოლის ბიბლიოთეკარი;
18. ასლან ბოლქვაძე – მხატვრული წრის ხელმძღვანელი.

ღონისძიების მომზადებაში სკოლის დირექციას დახმარებას უწევდნენ ხიხაძირის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ბესარიონ გაბაიძე, თხილვანის სოფლის მოსახლეობა, აგრეთვე, თხილვანის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები.

ღონისძიების ჩასატარებლად ფინანსური ხარჯები გაიღო ხულოს რაიონის გამგებამ – 2000 ლარი.

2000 ლარი გაიღეს თხილვანის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმაც.

მილოცვები

თხილვანის მოსახლეობას და სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, თხილვანაში პირველი ქართული სკოლის 80 წლის იუბილე მიულოცა ხულოს რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ შოთა აბაშიძემ. მილოცვაში ნათქვამია:

„ხულოს რაიონის მოსახლეობის, გამგეობისა და პირადად ჩემი სახელით, მხურვალედ მოგესალმებით აბუსერისძე ტბელის სახელობის თხილვანის საშუალო სკოლის 80 წლისთავის ზეიმის მონაწილეებს. ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ თხილვანის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, რომელიც ჯანსაღ ძირზე, მდიდარ ტრადიციებზე აღიზარდა, კვლავაც ღირსეულ წვლილს შეიტანს მომავალი თაობის სწავლა–აღზრდაში, ჩვენი ქვეყნის ძლიერებაში.

საამაყოა, რომ თხილვანელი მშრომელები, ოდითგანვე ერთიანი ხიხანის ხეობა, მისი ინტელიგენცია, ახალგაზრდობა ერთსულოვნად არის დარაზმული ქვეყნის აღმშენებლობით საქმიანობაში, სასწავლო-აღმზრდელობით და კულტურულ ცხოვრებაში, რისი ნათელი დადასტურებაა თხილვანაში პირველი ქართული სკოლის გახსნისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობას, კეთილდღეობას, ყოველივე კარგს ცხოვრებაში“.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბათუმის 25–ე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურის, პოლკოვნიკ რომან დუმბაძის მილოცვა.
ქალაქი ბათუმი, 1996 წლის 12 ოქტომბერი.

„ხულოს რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს, ბატონ შოთა აბაშიძეს.
თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორს ბატონ შოთა ბოლქვაძეს.
სოფელ თხილვანის მშრომელებს, სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბათუმის 25–ე მოტომსროლელი ბრიგადის პირადი შემადგენლობის სახელით, მხურვალედ მოგესალმებით და გულითადად გილოცავთ სოფელ თხილვანაში, სხალთა-ხიხანის ისტორიულ ხეობაში, პირველი სკოლის გახსნის მე-80 წლისთავს და სკოლის ახალი კაპიტალური შენობის საექსპლუატაციოდ გადაცემას.

თხილვანის საშუალო სკოლამ კარგად გაართვა თავი ქვეყნის დაცვისთვის ახალგაზრდობის მომზადებისა და აღზრდის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს. სკოლის კურსდამთავრებულებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს მსოფლიო ფაშიზმზე დიად გამარჯვებაში, ბევრმა მათგანმა ომის შემდგომ პერიოდში პირნათლად მოიხადა მხედრული ვალი ქვეყნისა

და ხალხის წინაშე და ბევრიც ამჟამად იხდის ამ საპატიო მოვალეობას. აღსანიშნავია, რომ სკოლის კურსდამთავრებულები ამჟამადაც კეთილსინდისიერად მსახურობენ ახალი საქართველოს – თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს –ახლად ჩამოყალიბებულ შენაერთებსა და ნაწილებში, მათ შორის ბათუმის 25–ე მოტომსროლელ ბრიგადაში, ბათუმისა და ხიჭაურის სასაზღვრო რაზმებში, ოფიცრისა და ზემდეგის, სერჟანტისა და ჯარისკაცის სხვადასხვა თანამდებობებზე. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ სკოლის პედკოლექტივი მომავალშიც უანგაროდ იზრუნებს ახალგაზრდობის დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და სამხედრო–პატრიოტული აღზრდის გაუმჯობესებისა და გაძლიერებისთვის. ერთხელ კიდევ მოგილოცავთ ამ ღირსახსოვარ იუბილეს და გისურვებთ წარმატებებს შრომაში, სწავლაში, სწავლებაში, სამშობლოს მშრომელი და დამცველი მოქალაქეების აღზრდაში“.

თხილვანის მოსახლეობას და პედაგოგიურ კოლექტივს იუბილე მიულოცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა, თხილვანის საშუალო სკოლის ყოფილმა მასწავლებელმა მურმან კირთაძემ, რომელმაც, ავადმყოფობის გამო, ვერ მიიღო მონაწილეობა საზეიმო ღონისძიებაში. მანვე სკოლას გამოუგზავნა სამახსოვრო სუვენირი. მილოცვაში წერია: „თხილვანის საშუალო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, ყველა თხილვანელს გილოცავთ ამ დიდ დღესასწაულს. თხილვანის სკოლა ყოველთვის იდგა მოწინავეთა რიგებში და ღირსეულად აგრძელებდა წინა თაობის მასწავლებელთა ტრადიციებს. დღეს ამ სკოლის აღზრდილები აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობით საქმიანობაში. მეამაყება, რომ 1965–1967 წლებში ვიყავი თხილვანის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის წევრი. დიდად ვწუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო ვერ მოვდივარ თხილვანაში. სილამაზისა და სინათლის სიმბოლოდ გიგზავნით ამ მცირე საჩუქარს. პატივისცემით, მ. კირთაძე, 1996 წლის 12 ოქტომბერი“.

§2. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თხილვანაში

2006 წლის 4 ოქტომბერს სხალთა-ხიხანის ხეობის თხილვანის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „განათლებისა და კლტურის განვითრების ისტორიიდან სხალთა--ხიხანის ხეობაში.“ კონფერენცია მიეძღვნა ორ საიუბილეო თარიღს – თხილვანაში პირველი ქართული სკოლის გახსნის 90 და სხალთა-ხიხანის ხეობის თხილვანის ეთნოგრაფიული მუზეუმის გახსნის 5 წლისთავს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობა, თხილვანის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვები.

სხალთა–ხიხანის ხეობის შესახებ მოხსენებები წარმოადგინეს პროფესორებმა: **სერგო დუმბაძემ, თეიმურაზ კომახიძემ, რამაზ სურმანიძემ, შუშანა ფუტკარაძემ, იზა ჩანტლაძემ, რამაზ ხალვაშმა, ნუგზარ ცეცხლაძემ,** თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორმა **თენგიზ ბოლქვაძემ** და თხილვანის ეთნოგრაფილი მუზეუმის დირექტორმა **შოთა ბოლქვაძემ**.

პროფესორმა სერგო დუმბაძემ ისაუბრა თხილვანის სკოლის 90 წლის იუბილის შესახებ და ხაზი გაუსვა სკოლის უდიდეს მნიშვნელობას, რაც გამოიხატება ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული შეგნების და ცნობიერების აღორძინებაში. ამ სკოლამ გაზარდა ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოვაწე დავით მამულაძე. მუზეუმის დირექტორმა შოთა ბოლქვაძემ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა პროფესორ თ. კომახიძეს და ქალბატონ ნ. აბაშიძეს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს თხილვანის მუზეუმის დაარსებაში. მანვე ხაზი გაუსვა მოსახლეობის დიდ მადლიერებას ბატონ თეიმურაზ კომახიძასადმი, რადგან მისი ქველოქმედებით სხალთის ხეობას შეემატა შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი სხალთაში, აღდგენილ იქნა ქოჩახში შერიფ ხიმშიაშვილის და მისი დედის დუდიხანუმის საფლავები.

პროფესორ ნუგზარ ცეცხლაძის მოსაზრებით შავშეთ-იმერხევის გეოგრაფიული ნომენკლატურა ძირითადად ქართულია. მან დაასახელა საამისო მაგალითები და წარმოადგინა ანალიზი, რომელმაც საერთო მოწონება დაიმსახურა.

ქალბატონმა შ. ფუტკარაძემ გაიხსენა თავისი ახალგაზრდობის პერიოდი, როცა მუშაობდა ვერნების სკოლის მასწავლებლად, დირექტორად და სწორედ მაშინ მიაკვლია წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ნაშთებს. მისი მოსაზრებთ, ხეობის ყოველი მტკაველი მიწა ისტორიულია და მნიშვნელოვანი.

პროფესორმა რ. ხალვაშმა ხაზი გაუსვა კონფერენციის დიდ მნიშვნელობას იმ მხრივაც, რომ ასეთი კონფერენციები, ჩვეულებრივ, ქალაქებში იმართება, ხოლო ამჯერად ცნობილი პროფესორები თხილვანას ესტუმრენ დიდი ღონისძიების გასამართავად.

კონფერენციას მიესალმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, **პროფესორი მიხეილ მახარაძე**.

მან აღნიშნა, რომ შუა საუკუნეების საქართველო განსაკუთრებით გამორჩეულია ჩვენი ერის ისტორიაში. ქვეყნის ეკონომიკურმა და სახელმწიფოებრივმა ძლიერებამ ხელი შეუწყო მის პოლიტიკური ავტორიტეტის

ამაღლებას. ფეოდალური სახელმწიფოს მრავალმხრივმა განვითარებამ ყველა პირობა შექმნა ქართული კულტურის აყვავებისათვის.

იმდროინდელ საქართველოში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია მეცნიერების ისეთმა დარგებმა, როგორიცაა: ისტორია, ფილოსოფია, მათემატიკა, ასტრონომია. შეიქმნა პოეზიის, ხუროთმოძღვრების, ფერწერის, ჭედური ხელოვნების განუმეორებელი ნიმუშები. იმ ეპოქის საქართველომ მისცა კაცობრიობას იოანე პეტრიწი, არსენ იყათოელი, ბექა და ბეშქენ ოპიზარები, იოანე შავთელი, გრიგოლ ჩახრუხაძე და გენიალური შოთა რუსთაველი.

ამ ბრწყინვალე პლეადის ნამოღვაწარს ღირსეულად აგრძელებს მეცამეტე საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის აბუსერისძე ტბელის ჰიმნოგრაფიულ-მათემატიკური და ჰაგიოგრაფიულ-ისტორიული შემოქმედება.

აბუსერისძე ტბელი ქვეყნის დაწინაურებული გვარისა და ოჯახის შვილი იყო, რომლის აკვანი სხალთა-ხიხანის ხეობის ლამაზ მთებში დაირწა, აქ მოხდა მისი სულიერი და ფიზიკური ფორმირება, სამწერლო და სამეცნიერო მოღვაწეობა. აქედან უთვალთვალებდა იგი ვარსკვლავებით მოჩახჩახე ცას, მათემატიკური გზით, აქედან ხედავდა გამოცნობილ თუ გამოუცნობ ვარსკვლავებს და წვდებოდა სამყაროს საიდუმლოებას.

თხილვანის ეთნოგრაფიული მუზეუმის საგამოფენო დარბაზი, სადაც ჩატარდა სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია 2006 წლის 4 ოქტომბერი

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. საუკუნეები სხალთა-ხიხანის წყალივით მოაგელვებდნენ ყოვლის შემმუსვრელ ტალღებს, ბევრჯერ გადაიქროლეს ჩვენს ამაყ მთებზე ავბედითმა გრიგალებმა და ბევრი რამ აღგავეს პირისაგან მიწისა. ვინ იცის, რამდენი რამ დაიკარგა, რამდენი მატერიალური და სულიერი სიმდიდრე დაიფერფლა ომების ხანძარში, რამდენი მეცნიერული აღმოჩენა მოიცვა ბურუსმა, მაგრამ აბუსერის ძე ტბელის დიდი ვარსკვლავი ვერ შთანთქა და იგი დღესაც კიაფობს მშობლიური ცის ტატნობზე. ტბელის სახელი თაობებმა გულის სიღრმეში შემოინახეს და დღევანდელობამდე მოიტანეს.“

სიმბოლურია აბუსერისძეთა ნაფუძარზე, სახელდობრ, თხილვანაში სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენციის ჩატარება თემაზე „განათლების

და კულტურის ისტორიიდან სხალთა-ხიხანის ხეობაში“. თანამედროვე განათლება და მეცნიერება იმ შორეული წარსულიდან მოდის, იგი საზრდოობს ფეოდალური რენესანსის მიღწევებით. სწორედ ამიტომ არის დღევანდელი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ისტორიული მნიშვნელობა, დღევანდელი თაობა, სხალთა-ხიხანის ხეობის ინტელიგენცია და პედაგოგიური საზოგადოება ღირსეულად აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომელიც თავის დროზე აქ დამკვიდრებულა და მსოფლიო დონეზე ამაღლებულა.

კონფერენციის მუშაობის შეჯამებისას აღინიშნა, რომ თხილვანის პედაგოგიური კოლექტივი იქნება ღირსეული გამგრძელებელი იმ პედაგოგიური ტრადიციებისა, რომელიც ამ სკოლაში იქნა დამკვიდრებული, ხოლო თხილვანის მუზეუმი გახდება სამეცნიერო და კულტურული ცენტრი, სადაც მომავალშიც ჩატარდება ანალოგიური ღონისძიებები.

§3. შოთა ბოლქვაძის სიტყვა აბუსერისძე ტბელის 800 წლისთავის საიუბილეო სალამოზე ბათუმში

ქართველი ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი ერის ისტორიული წარსულით, რომელიც შექმნეს მისმა სახელოვანმა შვილებმა, ერისკაცებმა. ერთ-ერთი ასეთი ისტორიული პიროვნება იყო შოთა რუსთაველის უმცროსი თანამედროვე დიდი მეცნიერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე აბუსერისძე ტბელი, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს უმშვენიერეს კუთხეში–აჭარაში, კერძოდ კი, სხალთა-ხიხანის ხეობის სოფელ შუარტყალში, დღევანდელ თხილვანაში. აბუსერისძე ტბელმა განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ეს კუთხე ასტრონომიის, მწერლობის, საერთოდ კულტურისა და ქართული მეცნიერების კერად აქცია.

აბუსერისძე ტბელი იმ გვარის შვილი გახლდათ, რომელიც მეფისადმი საუკუნოვანი ერთგულებითა და თანადგომით გამოირჩეოდა. ეს ოჯახი ქართულ ფეოდალურ იერარქიაში საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა და ერისთავთერისთავების სახელსაც ფლობდა.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 2003 წლის 13 ივნისის განკარგულების „ქართველი მწერლისა და მეცნიერის აბუსერისძე ტბელის 800 წლისთვის აღნიშვნის შესახებ“ შესაბამისად, გათვალისწინებული იყო ღონისძიებების ჩატარება ბათუმსა და თბილისში (სამწუხაროდ, მას შემდეგ საქართველოში ისე განვითარდა მოვლენები, რომ აბუსერისძე ტბელის იუბილე, ევროპის მასშტაბების რომ უნდა ყოფილიყო, შეყოვნდა. არ ჩატარებულა თბილისშიც - ჯ. ჯაყელი).

ქ. ბათუმში აბუსერისძე ტბელის 800 წლისთვისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო ჩატარდა 1998 წლის 9 დეკემბერს, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

საიუბილეო საღამო გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ – **ა. გობრონიძემ.**

მომხსენებელი: **ჯემალ ჯაყელი,** საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე.

გამომსვლელები: **დავით ხახუტაიშვილი** – საქართველოს მეცნერებათა აკადემიის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპოდენტი.

იოსებ ვანაძე – ხულოს რაიონის გამგეობის თავმჯდომარე.

ამირან ხაბაზი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, პოეტი.

ზურაბ შაშიკაძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი.

დავით თედორაძე – სს „გამომცემლობა აჭარის“ დირექტორი, პოეტი.

ი. მანდარია – ქუთაისის საგამომცემლო ცენტრის დირექტორი.

შოთა ბოლქვაძე – ხულოს რაიონის თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორი.

მიხეილ ქავთარია – საქართველოს მეცნიერებათ აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი.

ზურაბ გორგილაძე – მემედ აბაშიძის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პოეტი.

მ. რომანაძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი.

საიუბილეო საღამოზე გამოვიდა შოთა ბოლქვაძე. აი, მისი სიტყვა:

„ქალბატონებო და ბატონებო!

სიამაყის გრძნობით მინდა მოგახსენოთ, რომ ხულოს რაიონში, კერძოდ, კი ხიხანის ხეობაში, 10 ოქტომბერს მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარდა დიდი მწერლისა და ვარსკვლავთმრიცხველის აბუსერისძე ტბელის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი, რომლის მასპინძლები ჩვენ, თხილვანელები, ტბელის შთამომავალნი გახლდით. 20 წელია ყოველწლიურად ტარდებოდა „ტბელობა“, მაგრამ წლე-

ვანდელ საიუბილეო ზეიმს მაინც განსაკუთრებული ხიბლი და ელფერი ჰქონდა. ალბათ, ამაში დამერწმუნება კიდეც ბევრი აქ დამსწრე, კერძოდ, ისინი, ვინც იმ დღეს ჩვენი სტუმრები ბრძანდებოდნენ. მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ სწორედ ჩვენ, ჩვენს თაობას ხვდა წილად ტბელის დაბადებიდან 800 წლისთვის იუბილეს აღნიშვნა.

თუ ამ სამი–ოთხი ათეული წლის წინათ თითებზე ჩამოსათვლელი იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ტბელის სახელი ჰქონდათ გაგონილი, ან სადმე წანაკითხი, დღეს ჩვენთან (და არამარტო ჩვენთან) დიდსა და პატარას პირზე აკერია ამ სულმნათი გენიოსის სახელი, რომელიც სრულიად საქართველოს კუთვნილება გახლავთ.

განვლილ პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა დიდი მწერლისა და მეცნიერის სახელის უკვდავსაყოფად. ქ. ბათუმში და დაბა ხულოში ტბელის სახელი მიენიჭა ქუჩებს, 1983 წელს თხილვანის საშუალო სკოლას მიაკუთვნეს აბუსერისძე ტბელის სახელი. მომავალ წელს ტბელის ქანდაკება შემოაბიჯებს ჩვენს დედაქალაქში, რითაც უფრო მახლობელი და ნაცნობი გახდება იგი ჩვენი თანამედროვე და მომავალი თაობებისთვის.

მიხარია, რომ დიდი ტბელის შთამომავალი ვარ, იმ მიწის შვილი, რომელსაც ტბელის ნაკვალევი ატყვია და, რომელშიც განისვენებს მისი ნეშთი. მეამაყება, რომ ჩემი დიდი წინაპარი ჯერ კიდევ მე–19 საუკუნეში ეზიარა ევროპულ პოპულარობას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ და აბუსერისძე ტბელის ასტრონომიური ხასიათის სპეციალური ნაშრომი გვაძლევს საშუალებას, ვიფიქროთ, რომ ქართულმა აღორძინებამ მთელი 200 წლით დაასწრო ევროპულ რენესანსს, რომელსაც სათავე დაედო საქართველოს სამხრეთ–დასავლეთ ნაწილში.

დიდი ილია ბრძანებდა: „როდესაც საქართველო დაყოფილი იყო წვრილ-წვრილ სამთავროებად, ქართველთა ერთობის დროშა აჭარას ეპყრა ხელში.“ ღმერთმა დაგვიფაროს დანაწევრება-დაყოფისაგან.

800 წელი ისტორიისათვის საკმაოდ დიდი მონაკვეთია. სრულიად საქართველო ზეიმობს აბუსერისძე ტბელის დაბადებიდან 800 წლისთავს. ეს ზეიმი კი ტბელის საუფლოში, მის სამემკვიდრეო მამულში – ხიხანში დაიწყო, დღეს აქ, აჭარის დედაქალაქში გრძელდება და შემდგომში მთლიან საქართველოს მოიცავს. 1998 წელი ხომ ტბელის დაბადებიდან 800 წლისთავის საიუბილეო წელია.

მინდა მაღალი ტრიბუნიდან დიდი მადლობა მოვახსენო ამ შესანიშნავი ღონისძიების ინიციატორებს, ყველას, ვინც თვისი წონადი სიტყვა თქვა ამ დიდი ისტორიული თარიღის აღნიშვნისა და დიდი ტბელის მემკვიდრეობის პოპულარიზაციისთვის.

გმადლობთ ყურადღებისთვის“.

სახალხო დღესასწაული „ტბელობა“ სხალთა-ხიხანის ხეობაში წარმოიშვა და სრულიად საქართველოს სახალხო დღესასწაულად და ლიტერატურული შემოქმედების ზეიმად გადაიქცა.

§4. სახალხო დღესასწაულები ხეობაში

„შუამთობა“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი შუამთობაზე ბეშუმში

„შუამთობა“ მთიანი აჭარის მოსახლეობის ტრადიციების, წეს–ჩვეულებების, წარსულისა და დღევანდელობის ამსახველი უძველესი ქართული დღესასწაულია. იგი, ჩვეულებრივ, მთის სამუშაოთა სეზონის შუა პერიოდს ემთხვევა.

გაზაფხულზე მეცხოველეები პირუტყვს მასობრივად მიერეკებიან მთაში და იქ რჩებიან აცივებამდე.

როდესაც მთიანი სოფლების მშრომელები სასოფლო-სამეურნეო საქმეებს მორჩებიან და რამდენადმე აქტიური დასვენების საშუალებას მისცემენ საკუთარ თავს, ორი–სამი დღით მიდიან მთაში თავისიანების მოსანახულებლად. მას ხალხმა „შუამთობა“ უწოდა.

ა.რ. მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე შუამთობაზე ბეშუმში

„შუამთობა“ არის თავისებური, შინაარსობრივად დატვირთული ერთგვარი შრომითი პატაკი, წლიდან წლამდე, დღესასწაულიდან დღესასწაულამდე გაწეული შრომა-საქმიანობის ერთგვარი ანგარიში.

„შუამთობაზე“ მოზეიმეები იწვევენ მეგობრებს, ახლობლებს, ნათესავებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს, მეზობელი რაიონის ხელმძღვანელებს. ზეიმს არც რეჟისორი ჰყავს, არც სცენარის ავტორი და

ქორწილია, ქორწილია შუამთობაზე

არც მუსიკალური გამ-ფორმებელი. მთავარი როლის შემსრულებელი მთიელი კაცია, რომელსაც სურს, ახლობლებთან ერთად, დატკბეს უძველესი ხალხური მელოდიებით, თავისი ვაჟკაცობის სახელი მიანდოს ერთგულ ცხენს, იჭიდაოს და მოიგოს მთავარი პრიზი –ჭედილა, მოიპოვოს საუკეთესო მოცეკვავის, მომღერლის, მოშაირის სახელი. „შუამთობა“ მთიანი აჭარის ყველა იაილაში იმართება. შუამთობის კოცონთან ქალ-ვაჟის გაცნობა შემოდგომაზე ქორწილით მთავრდება. ‚შუამთობის“ ერთ-ერთი ადათი სტუმრის რიგიანად დახვედრაა, სუფრასთან ქვეყნის, ერის, ტრადიციებს, წინაპრების და გმირების სადიდებელი სადღეგრძელოების თქმაა.

„შუამთობის“ დღესასწაულზე განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს „მემთევრი“ – ქალი, რომელიც მისდევს მეცხოველეობას, ამზადებს მეცხოველეობის პროდუქტებს. მთაში ასულები, პირველ რიგში, განსაკუთრებით ეფერებიან „მემთევრს“, რომელიც ხშირ შემთხვევაში ოჯახის დედაა ან ასაკგადაცილებული ქალია. ამიტომ, „მემთევრობა“ საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობაცაა.

დროთა განმავლობაში იხვეწებოდა „შუამთობის“, როგორც დღესასწაულის წესი და შინაარსი. სამწუხაროდ, „შუამთობის“ დღესასწაულს ბევრი უცხო, არასაჭირო ელემენტი შეერია, რომელიც ადრინდელ განუმეორებელ ელფერს უკარგავს ამ ზეიმს.

ზეიმი შუამთობაზე

მართალია, როგორც აღვნიშნეთ „შუამთობის“ დღესასწაული ზაფხულში ტარდება, მისი ხალხურობიდან გამომდინარე, მასში მოსახლეობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ სკოლების მოსწავლეები. ამის გამო

სკოლებში სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეებს აცნობენ ამ დღესასწაულის წარმოშობის, განვითარების და დღევანდელობის შესახებ, ამასთანავე, ასწავლიან იმ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, რომლებიც სხალთა-ხიხანის ხეობაში არის გავრცელებული.

„შუამთობა“ როგორც სანახაობრივი, ისე აღმზდელობითი მნიშვნელობის უძველესი ქართული დღესასწაულია.

„ტბელობა“

სახალხო დღესასწაული პირველი „ტბელობის“ საზეიმო გახსნა, რომელსაც ხსნის პარტიის ხულოს რაიკომის პირველი მდიბანი თამაზ ტუნაძე. 1979 წლის 13 ოქტომბერი

ეს სახალხო დღესასწაული ტარდება 1979 წლიდან სხალთა-ხიხანის ხეობაში. იგი უკავშირდება აქაური მკვიდრის, XIII საუკუნის მწერლის, მეცნიერისა და მოაზროვნის, საერო და სასულიერო მოღვაწის, ენციკლოპედიურად განსწავლული აბუსერისძე ტბელის სახელს, რომელმაც, ქართული ისტრიოგრაფების (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე) დახასიათებით, დიდი წვლილი შეიტანა შუა საუკუნეების ქართული კულტურის, მეცნიერებისა და სასულიერო მწერლობის განვითარებაში, იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრების შესწავლაში.

„ტბელობის“ დაწყების საკითხი ოფიციალურად დაისვა სხალთა-ხიხანის ხეობაში ინტელიგენციის მიერ და ხელისუფლების მხარდაჭერით მალე დადებითად გადაწყდა.

„ტბელობის“ პირველ სახალხო დღესასწაული 1979 წლის 13 სექტემბერს ჩატარდა და მას აქეთ იგი ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა ფორმით. მან მიიღო საყოველთაო სახალხო დღესასწაულის ხასიათი. „ტბელობამ“ მოიცვა არა მარტო მშობლიური სხალთა-ხიხანის ხეობა, არამედ მთელი აჭარა და მისი მეზობელი კუთხეები.

„ტბელობის“ ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2006 წელი, როდესაც „ტბელობის“ ჩატარება დაუკავშირდა აბუსერისძე ტბელის ხსენების დღეს. დღესასწაულმაც შემოდგომიდან (ტარდებოდა ოქტომბრის პირველ კვირას) ზაფხულში გადმოინაცვლა და 2006 წელს „ტბელობა“

ჩატარდა აბუსერისძე ტბელის ხსენების დღეს. ამ დღეს ხიხანის ციხეს ეწვივნენ ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები (მათთან ერთად, წინამდებარე წიგნის ერთ-ერთი ავტორი), სტუდენტები, ბათუმ-სხალთის ეპარქიის წარმომადგნელები. ეპარქიის დასმა ხიხანის ციხის წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევებზე დაასვენა წმ. აბუსერისძე ტბელის ხატი, ხოლო ციხესიმაგრის ქიმზე აღიმართა ოთხკუთხა ჯვარი. ჩატარდა წირვა ბათუმ-სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის დიმიტრის ლოცვა-კურთხევით.

სახალხო დღესასწაული „ბელობა“ ხიხაძირში წინა პლანზე: ვიქტორია სირაძე, ნანი გუგუნავა, იური უნგიაძე, იოსებ ხიმშიაშვილი, გული კაკალაძე, ოთარ ხატიაშვილი. 1981 წ.

„სელიმობა“

2006 წელს ხულოს ულამაზეს სოფელ ბაკოში პირველად აღინიშნა „სელიმობა“.

„მე თავს მჭრით, მაგრამ გეტყვით, გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ არ შერჩება, ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებ“, – ეს ისტორიული სიტყვა სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილმა 1815 წლის 3 ივნისს, სოფელ ბაკოში, კერძოდ, სერიყანაში, წარმოთქვა თავის მოკვეთის წინ. დღეს ამის შესახებ თითოეულმა ქართველმა იცის. იყო ავბედითი საუკუნეები, იყო ავბედითი რეჟიმი, რომელიც ცდილობდა ბევრი სახელის და ისტორიული ფაქტის „არგახსენებას“, „დავიწყებას“, მაგრამ ერის მეხსიერებაში ჩაბეჭდილ ხსოვნას ვერანაირი ძალა ვერ ამოშანთავს. არც უფალს სურდა გმირი მამუ-

ლიშვილის სახელის დავიწყება და თაობიდან თაობას გადაეცემოდა წინაპართა გმირული საქმენი სამამაცონი, რომლებიც უღირს სიცოცხლეს, სახელოვან სიკვდილს ამჯობინებენ და სიცოცხლეს დაუნდობლად სწირავდნენ მამულს.

სერიყანაში დაღვრილი სისხლი
მაწუხებს ახლა,
იმერხევი და ტაო-კლარჯეთი
მაწუხებს ახლა,
მუჰაჯირების ბედი მაწუხებს,
და თითქოს ვიღაც მიჭერს
მარწუხებს.

(დ. თედორაძე)

იმეორებდნენ, მაგრამ საჯაროდ, ხმამაღლა მის გამოთქმას ვერ ახერხებდნენ და, როცა ქართველ კაცს მოეხსნა მარწუხები, ყველასა და ყველაფერს დაერქვა თავისი სახელი, ქვეყანამ იზეიმა დიდი ერისკაცისადმი მიძღვნილი დღესასწაული „სელიმობა“.

სახალხო დღესასწაული „სელიმობა“ და საჯარო სკოლის 80 წლის იუბილე. სოფ. ბაკო. 2009 წლის 3 ივნისი მარცხნიდან: მიხეილ მახარაძე, ლევან ვარშალომიძე, სერგო დუმბაძე, რამაზ სურმანიძე, გურამ საგინაძე

თავისი დროის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის სახელის უკვდავსაყოფად, სოფელ ბაკოს მოსახლეობის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის ინიციატივით, 2005 წლის 17 დეკემბერს დაწესდა სახალხო დღესასწაული „სელიმობა“. პირველი „სელიმობა“ ჩატარდა 2006 წლის 3 ივნისს სოფელ ბაკოში, სერიყანაში, სადაც სელიმ ხიმშიაშვილს 1815 წლის 3 ივნისს მისი დაბადების დღეს თავი მოჰკვეთეს. მეორე „სელიმობას“ ხიმშიაშვილების საგვარეულო სოფელმა ნიგაზეულმა უმასპინძლა.

2009 წლის 3 ივნისს მეოთხე სელიმობას ისევ სხალთა-ხიხანის ხეობის სოფელმა ბაკომ უმასპინძლა. ბაკოელებმა ღირსეული მამულიშვილის ხსენების დღეს – სახალხო ზეიმს სოფელში სკოლის გახსნის 80 წლის

იუბილე და სკოლისთვის სელიმ ხიმშიაშვილის სახელის მინიჭება დაამთხვიეს.



სახალხო დღესასწაული „სელიმობა“ და საჯარო სკოლის 80 წლის იუბილე. სოფ. ბაკო. 2009 წლის 3 ივნისი

ღირსეული მამულიშვილის ამაგისა და ღვაწლის დასაფასებლად, სოფელ ბაკოში მოვიდნენ ქართული სიტყვისა და ხელოვნების ოსტატები. ქვეყნის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ხულოს, შუახევის, ქედის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი სტრუქტურებისა და საკრებულოების ხელმძღვანელები, სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურები, აჭარის სამუსლიმანო საზოგადოების წარმომადგენლები, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები...

„სელიმობის“ მონაწილენი თავდაპირველად სერიყანაში შეიკრიბნენ. იმ ადგილას, სადაც 1815 წლის 3 ივნისს არტანუჯელმა სომეხმა ჯალათმა თავი მოჰკვეთა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერს სელიმ ბეგ ხიმშიაშვილს.

სახალხო დღესასწაული „სელიმობა“ სოფელ ბაკოში. 2009 წლის 3 ივნისი

„სელიმობის“ დღესასწაულზე სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე სპირიდონმა პირველად გააჟღერა, რომ საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდი, სინოდის თავმჯდომარე სრულიად საქართველოს კათალიკოს–პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული ბედით დაინტერესდნენ... რომ საპატრიარქომ მიიღო წინადადება, საქართველოს პრეზიდენტის თანადგომით, სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილის წმინდა ნაწილის (თავის) სტამბოლიდან გად-

მოსვენების, დანარჩენ ნაწილებთან (ტანი ნიგაზეულშია დაკრძალული) შეერთებისა და ქართველ გმირთა სავანეში – მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვის შესახებ. „სელიმობის“ მონაწილენი ამ განცხადებას დიდი სიხარულით შეხვდნენ. სამწუხაროდ, ეს პატრიოტული წამოწყება დღემდე შეუსრულებელი დარჩა. იმედი კი გვაქვს

სახალხო დღესასწაული „სელიმობა“ და საჯარო სკოლის 80 წლის იუბილე სოფელ ბაკოში. 2009 წლის 3 ივნისი

მოზეიმეებმა სერიყანიდან სკოლის ეზოში გადაინაცვლეს. ქვეყნის, კუთხის ღირსეულმა ადამიანებმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა სკოლის ახალ აბრას, რომელსაც ეწერა **„ბაკოს სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის საჯარო სკოლა“,** საბურველი ჩამოხსნეს. ყველანი სკოლაში შევიდნენ. ღონისძიების ორგანიზატორებს ფოტომასალებით გაეცოცხლებინათ სკოლის 80 წლიანი ისტორია. ბაკოს მკვიდრმა, პუბლიცისტმა **ნიკოლოზ დუმბაძემ** ზეიმის მონაწილენი თითოეულ სტენდთან ჩამოატარა, რომელიც სკოლის ფოიეში იყო განთავსებული.

სკოლის ეზოში მოწყობილი სცენიდან ზეიმის მონაწილეებს „სელიმობა“ და სკოლის გახსნის 80 წლის იუბილე მიულოცეს პროფესორმა **სერგო დუმბაძემ,** მწერალმა და მეცნიერმა **რამაზ სურმანიძემ,** თხილვანის სკოლის ყოფილმა მასწავლებელმა, 50-იან წლებში გურიიდან მოსულმა **თინა კუკულაძემ,** გაზეთ „მთიანეთის“ რედაქტორმა **ვასო ხიმშიაშვილმა,** ხულოს მუნიცი-

80 წლისთავის ზეიმზე ბაკოს საჯარო სკოლას მიენიჭა სელიმ ხიმსიასვილის სახელი. ბაკო, 2009 წლის 3 ივნისი

პალიტეტის გამგებელმა **გურამ საგინაძემ,** აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ **ლევან ვარშალომიძემ,** აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **მიხეილ მახარაძემ,** სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსმა **მეუფე სპირიდონმა,** აჭარის **მუფთმა ქემალ ცეცხლაძემ,** პოეტმა **ფრიდონ ხალვაშმა,** ბაკოს საჯარო სკოლის დირექტორმა **ხარიტონ დუმბაძემ,** პუბლიცისტმა **იოსებ ხიმშიაშვილმა** და ამერიკელმა სტუმარმა, ქობულეთის პროფესიული სწავლების ცენტრის მასწავლებელმა **ჯეიმს დუგლასმა.** მოზეიმეებს მიმართა, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა **ანზორ ბოლქვაძემ.**

ფრიდონ ხალვაშმა სკოლას საჩუქრად საკუთარი ბიბლიოთეკიდან ორი წიგნი გადასცა, **იოსებ ხიმშიაშვილმა** – „ქართლის ცხოვრების“ ორტომეული, **ვასო ხიმშიაშვილმა** კი – მხატვარ **გურამ ფუტკარაძის** ფერწერული ტილო – „სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილი“.

„სელიმობის“ დღესასწაულზე შიგადაშიგ ხმიანდებოდა ქართული ფოლკლორი. თხილვანის, ბაკოს, მთისუბნის, ხიხაძირის მოსწავლეთა ძალებით შესრულდა ცეკვები „ხორუმი“, „განდაგანა“, „მთიულური“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ხულოს კულტურის ცენტრის ვოკალურმა ჯგუფმა.

„დედის დღე“

დედის დღე პირველად აღინიშნა ხულოში 1983 წლის 5 მაისს

„მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა“, – ამ ჭეშმარიტების არსი და მნიშვნელობა ყველაზე მეტად მთიან აჭარაშია ფესვმოკიდებული. ხულოს რაიონი საქართველოში ცნობილი იყო მრავალშვილიანი დედებით. **XX საუკუნის 80–იან წლებში აქ 106 გმირი დედა ცხოვრობდა,** რომლებმაც სამშობლოს 10–14 შვილი აღუზარდეს და **1300 მრავალშვილიანი დედა,** რომლებმაც 7-8-9 შვილი აღზარდეს. სწორედ ამ მრავალშვილიანი დედების წყალობით და მათი დამსახურებითაა, რომ **აჭარის მთიანეთიდან საქართველოს 42 რაიონში მათი ნაგრამი ჩასახლდა და ცხოვრობს.**

მთიელი კაცისთვის დედა არა მარტო სიცოცხლის დასაბამი, ოჯახური სიწმინდის, ოჯახური მყუდროების დამამკვიდრებელი, – დედაენისა და სამშობლოს დამცველიცაა.

პირველი დღესასწაული „დედის დღე“ ხულოში 1983 წლის 5 მაისს აღინიშნა. ამ დღეს 106 ოქროსვარსკვლავიან დედას პატივი მიაგო არა მარტო რაიონის მოსახლეობამ, არამედ მთლიანად აჭარამ.

საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 1991 წელს „დედის დღე“ ოფიციალურ დღესასწაულად გამოაცხადა და დაწესდა 3 მარტს. ყოველწლიურად, საზეიმო ვითარებაში აღინიშნება ეს დღე ხულოს რაიონში, მათ შორის, სხალთა-ხიხაძირის ხეობაში.

§5. საიუბილეო საღამოები და შეხვედრები სკოლაში

ა) შოთა ჯებრაილის ძე გაბაიძის საიუბილეო საღამო



1996 წლის 2 მაისს თხილვანის საშუალო სკოლაში ჩატარდა საიუბილეო საღამო, რომელიც მიეძღვნა სკოლის დირექტორის მოადგილის – შოთა გაბაიძის პედაგოგიური მოღვაწეობის 25-ე წლისთავს.

ღონისძიებაზე მიწვეული იყვნენ ოთარ ანთაძე – ხულოს რაიონის გამგებლის მოადგილე, მამია ბოლქვაძე – განათლების განყოფილების გამგე, ბესარიონ გაბაიძე – ხიხაძირის თემის საკრებულოს თავმჯდომარე, მამია იშხნელიძე – ხიხაძირის სკოლის პედაგოგი, ასევე ქვედა თხილვანის საშუალო სკოლის ბაკოსა და მთისუბნის არასრული საშუალო სკოლების დირექტორები.

იუბილარის შესახებ მოხსენება გააკეთა სკოლის დირექტორმა შოთა ბოლქვაძემ. ბოლოს გააცნო 1996 წ. 2 მაისის ბრძანება №40 – თხილვანის საშუალო სკოლისადმი, იუბილარ შოთა გაბაიძეზე მადლობის გამოცხადების შესახებ. იუბილარს მიესალმა ყველა სტუმარი, სკოლების დირექტორები. საღამოს დასასრულს, საკუთარი ლექსი წაიკითხა X კლასის მოსწავლემ ირმა ბოლქვაძემ, და ლექსის ტექსტი საჩუქრად გადასცა იუბილარს.

გიყვარს სწავლა, გიყვარს შრომა,
იცი ბავშვის სიყვარული,
ლექსებივით უსაზღვრო გაქვს

ოცნება და სიხარული.
ცაში ვარსკვლავი ანათებს, –
ასე ამბობენ შენზეო,
ვერ გაგტეხს წლების სიმრავლე
თუ გული გულობს მკერდზეო.
შიგანელო, ჩვენო შოთავ,
ოსტატი ხარ შენი საქმის,
თხილვანაში ბევრი გიცნობს,
აღმზრდელი ხარ ბევრი ბავშვის.

იუბილარისადმი სიტყვები ითქვა გაშლილ სუფრასთანაც.

ბ) შოთა ბოლქვაძე – 60 წლისაა

2011 წლის 5 მაისს თხილვანის საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში ჩატარდა საიუბილეო საღამო, რომელიც მიეძღვნა ამავე სკოლის ყოფილი დირექტორის, ისტორიის მასწავლებლის – შოთა ბოლქვაძის დაბადების 60 და პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლისთავს.

საღამო გახსნა სკოლის დირექტორმა ედვარდ ბოლქვაძემ. სიტყვით გამოვიდნენ მასწავლებლები – ოთარ ბოლქვაძე, ლია გორგაძე, ბადრი გაბაიძე. იუბილარს მიესალმნენ X-XII კლასების მოსწავლეები.

სამადლობელი სიტყვით გამოვიდა იუბილარი შოთა ბოლქვაძე. მან მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს, პედაგოგებს, მოსწავლეებს და გამოთქვა რწმენა, რომ შემდეგშიც არ დაიშურებს ძალ-ღონეს მოსწავლე ახალგაზრდების სწავლა-აღზრდის საქმეში.

დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ თხილვანის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

გ) შეხვედრა ბენია მასწავლებელთან

1952–1953 წლებში თხილვანის რვაწლიან სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა ზესტაფონელი ბენია ჩუბინიძე. 2005 წლის 20 აგვისტოს თხილვანის სკოლის ყოფილმა მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა ამ სახელოვან პედაგოგს მოუწყეს შეხვედრა. შეხვედრა მოეწყო ქ. ბათუმში. ამ შეხ-

ვედრის შესახებ გაზეთ „ხულოში“ 2005 წლის 20 ოქტომბერს დაიბეჭდა საინტერესო სტატია სათაურით „შეხვედრა ნახევარი საუკუნის შემდეგ“. სტატიის ავტორია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის III კურსის სტუდენტი, თხილვანის სკოლის ყოფილი დირექტორის – თინა კუკულაძის შვილიშვილი გიორგი წეროძე. სტატია მთლიანად ეძღვნება თხილვანის რვაწლიან სკოლას და პედაგოგიური კოლექტივის საქმიანობას 1952–1953 წლებში, იმ პერიოდში სკოლების მუშაობის პრობლემებსა და მიღწევებს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მკითხველს წარვუდგინოთ აღნიშნული სტატია მცირედი შემოკლებით:

დედის დღე პირველად აღინიშნა ხულოში 1983 წლის 5 მაისს

„აჭარის სხვადასხვა კუთხეს შორის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინოა სხალთა-ხიხანის ხეობა – ხიხაძირი, თხილვანა. აღნიშნულ სოფლებში ჩემი ბაბუა და ბებია, გასული საუკუნის 50-იან წლებში ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას, ისინი, ამავე დროს სხვებთან ერთად, აქტიურობდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაშიც. მათ მაღალი პედაგოგიური პროფესიონალიზმით ახალგაზრდობის აღზრდისადმი შეუნელებელი ინტერესითა და ყურადღებით, მოსახლეობისადმი თბილი დამოკიდებულებით ისეთი დიდი სიყვარული და სითბო დაიმსახურეს, რომ მუშაობის შემდეგაც არ ემეტებოდათ მათი იქიდან გამოშვება, მაგრამ როცა ვერ დაიყოლიეს, მთელი მოსახლეობა მივიდა მათ გასაცილებლად. კიდევ მეტი, ყოველთვის, როცა ბათუმში ჩამოსვლა უხდებათ ამ სოფლის წარმომადგენლებს, დიდი ყურადღებით მოიკითხავენ ჩვენს ოჯახს. ჩემი ბაბუა – დავით ღლონტი ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი იყო ჯერ ხიხაძირის, შემდეგ თხილვანის საშუალო სკოლებში. აქ დირექტორი ჩემი ბებია თინა კუკულაძე გახლდათ. ბაბუაჩემის გასვენებაზე 1988 წელს, დიდი ზამთრის და ცუდი გზების მიუხედავად, თხილვანიდან, ბაკოდან, ხიხაძირიდან უამრავი ხალხი ჩამოვიდა.

როცა გავიზარდე, ბებია ბევრს მიყვებოდა ამ კუთხისა და მისი ალალმართალი, გამრჯე და კეთილსინდისიერი მოსახლეობის შესახებ. მისი აღზრდილი მოწაფეების ყურადღებაზე. შემდეგ ისიც გავიგე, რომ დედაჩემი მადონა ღლონტი თხილვანაში დაბადებულა და ბავშვობაც იქ

გაუტარებია ადგილობრივი პირველი მასწავლებლის, მახმუდ ბოლქვაძის ოჯახში. ყოველივე ამან ეს მხარე პირადად ჩემთვისაც მშობლიური გახადა.

დავიმეგობრე ამ კუთხის საუკეთესო წარმომადგენლები: ეგნატე, ნიკოლოზ, სერგო დუმბაძეები, ალექსანდრე, სერგო (ექიმები), სერგო, თეიმურაზ, შოთა, თენგიზ ბოლქვაძეები, სერგო გუნდაძე, ამირან გაბაიძე, ალექსანდრე მამულაძე, აკაკი, შოთა, თეიმურაზ,არჩილ ქამაშიძეები და ბევრი სხვა, რომლებიც არ ივიწყებენ აღმზრდელი მასწავლებლების ღვაწლსა და ამაგს, ბევრი მათგანი ხსოვნის დღეებში ბაბუის საფლავს ყვავილებით ამკობს, ბებიას, როგორც დედას, და დედაჩემს, როგორც დას სიყვარულით ეფერებიან.

1996 წლის ოქტომბერში სკოლის დირექტორის შოთა ბოლქვაძის და უკვე ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტებული პედაგოგიური კოლექტივის ინიციატივით აღინიშნა თხილვანის საშუალო სკოლის დაარსების 80 წლისთავი. საიუბილეო ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს შორის ბებიაჩემი, ქალბატონი თინა კუკულაძე და დედაჩემი მადონა ღლონტიც იყვნენ.

მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა, სკოლის მასწავლებლის ამაგის დაფასება, უფროსი თაობის, განსაკუთრებით აღმზრდელი პედაგოგების ღვაწლის დანახვა-არდაივიწყება ეს არის უწყვეტი ძაფი და ძლიერი ხიდი წარსულსა და აწყმოს შორის, რომლის გარეშე წარმოუდგენელია მყარი მომავლის შექმნა, ღირსეული ცვლის აღზრდა-მომზადება.

ამის მაგალითი იყო ამასწინდელი შეხვედრა ხულოს რაიონის თხილვანის რვაწლიანი (ამჟამად საშუალო) სკოლის მასწავლებელთან, ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინოულის მცხოვრებ, 80 წელს მიტანებულ ბენია ჩუბინიძესთან, რომელიც თხილვანაში მისი მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის შემდეგ ქ. ბათუმში გაიმართა“ (გიორგი წეროძე).

დ) შეხვედრა პოეტთან

2013 წლის 25 ოქტომბერს თხილვანის საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში მოეწყო შეხვედრა პოეტ გულიკო გაბაიძესთან. შეხვედრის ორგანიზატორი იყო ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კლუბი (ხელმძღვანელები ლია გორგაძე და ნინო ქამაშიძე). გულიკო გაბაიძე დაიბადა სხალთა-ხიხანის ხეობაში, სოფელ ხიხაძირში. დაამთავრა ქალაქ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სპეციალობით ფილოლოგია.

გამოცემული აქვს ორი წიგნი: „მგზავრი უქოლგოდ“ და საერთო კრებული „მზე მოვა ვიდრე“.

პერიოდულად იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში: „ჭოროხი“, „აჭარა“, „აჭარა PS“, „ბათუმელები“, „ხულო“.

1980-1986 წლებში არჩეული იყო ორი მოწვევის ხულოს რაიონული საბჭოს დეპუტატად. იმავდროულად იყო ხიხაძირის სამკერვალო სახელოსნოს გამგე-მკერავი.

1991 წლიდან მუშაობდა აჭარის უმაღლესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის პასუხისმგებელ მდივნად.

1995 წლიდან აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს მოქალაქეთა მიღებისა და წერილებზე მუშაობის განყოფილების წამყვანი სეციალისტია.

2004 წელს მუშაობდა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის სპეციალისტად.

თხილვანაში პოეტს თან ახლდა კრიტიკოსი მზევინარ ძირკვაძე.

პოეტს მიესალმნენ და მისი ლექსები წაიკითხეს თხილვანის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: მარიამ გუნდაძემ, ანა გაბაიძემ, მაიკო ბოლქვაძემ, მალვინა მიქელაძემ, მზია ჯაიანმა, მარიკა ბოლქვაძემ, თეონა გუნდაძემ, ლინდა ბოლქვაძემ, ჟუჟუნნა ბოლქვაძემ, მეგი ბოლქვაძემ.

საკუთრი ლექსები წაიკითხეს: ნიკა დუმბაძემ, ლია ბოლქვაძემ და მარად ბოლქვაძემ.

პოეტის შემოქმედებაზე ისაუბრა მზევინარ ძირკვაძემ. პოეტს მიესალმნენ აგრეთვე შოთა ბოლქვაძე – თხილვანის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი, ლია გორგაძე და ნინო ქამაშიძე – თხილვანის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლელები.

დასასრულს სიტყვით გამოვიდა და თავის შემოქმედებით საქმიანობაზე და მომავალ გეგმებზე ისაუბრა პოეტმა გულიკო გაბაიძემ.

– ზღვისპირი ჩემი ტკივილებივით დაუთვლელი კენჭებითაა სავსე, – ამბობს პოეტი და ზუსტად ეს დაუთვლელი ტკივილები აწერინებს ლექსებს, უფორიაქებს სულს და ახეტიალებს ზღვის პირზე კენჭების დასათვლელად, მთაში, ქარში...

მისი შემოქმედებითი ფიქრებია: მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ხიხანის ზამთრის ქათქათა და ზაფხულის ამწვანებული მთები...

...ანკარა წყაროები, ფერდობებზე შეფენილი ხე-ბუჩქნარი, მობიბინე მინდვრის ყვავილები...

...ღელე, რომელიც ხიხანის ციხე-ტაძრის ძირში იღებს სათავეს, თანდათან იერთებს ნაკადულებს და ერთ დიდ მდინარედ და ერთ დიდ სიმღერად ჩამოედინება ხეობაში, აღელვებულ ზღვას ხმაურით უერთდება, სადაც ერთდროულად იყრის თავს წარსული, აწმყო და მომავალი.

ე) წიგნის პრეზენტაცია

2007 წლის 7 ოქტომბერს თხილვანას საჯარო სკოლაში ჩატარდა წიგნის პრეზენტაცია, რომლის ავტორია წინაპრებით თხილვანელი, ამჟამად ქ. ბათუმის მცხოვრები მწერალი ნიაზ ბოლქვაძე.

აღსანიშნავია ბატონი ნიაზის ნაყოფიერი სამწერლო, სამეცნიერო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა. იგი რამდენიმე ფილოსოფიური ნაშრომის ავტორია, არჩეულია ბოლქვაძეთა საგვარეულოს საზოგადოების პრეზიდენტად. ამასთან, ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იგი უკვე ამ მხრივ ფართოდ ცნობილი მოღვაწეა. ამიტომაც მიიწვიეს ბატონი ნიაზი სოფელ თხილვანაში.



ღონისძიებას ესწრებოდნენ სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები და ქვედა თხილვანის, ბაკოსა და მთისუბნის საჯარო სკოლების დირექტორები.

წიგნი „წერილები ჩემს ვაჟს“ – მიმოიხილა და მისი მთავარი არსი და მნიშვნელობა საღამოს მონაწილეებს გააცნო თხილვანის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა, თხილვანის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორმა შოთა ბოლქვაძემ.

წარმოდგენილი წიგნის შესახებ თავიანთი აზრები გამოთქვეს თხილვანის საჯარო სკოლის დირექტორმა თენგიზ ბოლქვაძემ, მთისუბნის საჯარო სკოლის დირექტორმა როინ თურაძემ, მასწავლებელმა თეიმურაზ ქამადაძემ, შოთა დუმბაძემ, IX კლასის მოსწავლემ ხათუნა დუმბაძემ.

წიგნის ავტორმა ბატონმა ნიაზმა დასმულ შეკითხვაზე გასცა სათანადო პასუხები და მადლობა გადაუხადა ღონისძიების ინიციატორებსა და მონაწილეებს.

სკოლას მხარში ედგნენ

იუბილარი სკოლა ემსახურებოდა ამჟამინდელი თხილვანის საკრებულოს ოთხი სოფლის: თხილვანის, ქვედა თხილვანის, ბაკოს და მთისუბნის მოსახლეობას, მათ შვილებს. სკოლა, პედაგოგიური კოლექტივი, მის წინაშე მდგომ ამოცანებს ვერ გადაწყვეტდა ამ სოფლების მოსახლეობის – მოსწავლეთა მშობლების მხარდაჭერის, ზრუნვის გარეშე. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა სიამოვნებით უთმობდა საცხოვრებელ ბინებს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოვლინებულ მასწავლებლებს. ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ერთად, უქმნიდნენ მათ ცხოვრებისა და მუშაობის ნორმალურ პირობებს. ამ მხრივ დაფასების ღირსი არიან: მემედ, აბას, ხუსეს, ჰამზა, ყაიო, მახმუდ ბოლქვაძეები, მეჯიდ, ნური, დურსუნ გუნდაძეები (თხილვანა), დაუთ, დანიელ ცეხლაძეები, ფოლად, რასიმ ქამაშიძეები, ფილიპე, ზაქარია, ნური მამულაძეები (ქვედა თხილვანა), მუსტო, ფაიყ, მუსა, ტაშტან მიქელაძეები, დურსუნ, მემედ, ფაიყ, იახია, შუქრი, ისმაილ, ქაზიმ დუმბაძეები (ბაკო), მუხამედ დუაძე, ფაიყ, ყაიო ჯაბნიძეები, ჯელალ, დურსუნ, ისა, ხუსეინ თურაძეები (მთისუბანი) და ბევრი სხვა.

აქაურმა მოსახლეობამ დროულად აუღო ალღო სწავლას, ფართოდ ჩააბა თავიანთი შვილები სკოლაში სწავლა-განათლების მისაღებად. მიუხედავად ეკონომიკური სიდუხჭირისა, ისინი დღენიადაგ ზრუნავდნენ თავიანთი შვილების ჩაცმა-დახურვის, სახელმძღვანელობისა და სხვა სასწავლო ნივთების უზრუნველყოფისთვის, მოსწავლეთა სკოლაში გამოცხადების და განათლების მიღებისთვის. ამ მხრივ თვალსაჩინო იყო სოფლის თავკაცების შრომა და ზრუნვა სკოლებისადმი. პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით მოვიხსენებთ: ფილიპე მამულაძეს, ნური ქამაშიძეს, ვალოდია ბოლქვაძეს, ლევან ბოლქვაძეს, ფელულ აბულაძეს, მუსტო, ენვერ, ალექსანდრე დავითაძეებს (თხილვანა), მუსტო მიქელაძეს, შუქრი, ზექერია, დურსუნ, მემედ, ნუსრედინ, ისმაილ, ისკენდერ, ქაზიმ, თეიმურაზ, ვალიკო, შოთა, ნუგზარ, სიმონ დუმბაძეებს (ბაკო), მუხამედ, იოსებ დუაძეებს, ჯელალ, დურსუნ, შახმენ, ნიაზ, ჯემალ, მუხამედ, ხუსეინ, ისა, ნოდარ თურაძეებს, ზაბით, დურსუნ ცეცხლაძეებს, იაშა, ვაჟა ჯაბნიძეებს და სხვებს (მთისუბანი).

აღნიშვნის ღირსნი არიან ხე-ტყის სახერხი ქარხნის ხელმძღვანელები და მუშები: შაისმაილ მამულაძე, ჯელალ, ჰაფიზ ქამადაძეები, ზიხნი ბოლქვაძე, მუსა ბოლქვაძე და სხვები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისაკ ბოლქვაძის როლი და დამსახურება სოფელ თხილვანაში და მის თემში. თუნდაც პირველი სკოლების მხარდაჭერისა და მათზე აქტიური დახმარების მხრივ. ის პროგრესულად მოაზროვნე კაცი იყო, სიახლის გრძნობა ჰქონდა, სოფელში მოვლი-

ნებული მასწავლებლების ხელის გამწოდებელი და მასპინძელი იყო. ბევრი მათგანი მის სახლში ცხოვრობდა. ყველანაირ პირობას უქმნიდა მათ ნორმალური ცხოვრებისა და კეთილსინდისიერად სამსახურისთვის. განათლება, სკოლა მისთვის იყო ყველაზე დიდი და ნათელი გზა. ამიტომაც ასწავლიდა ერთადერთ ვაჟს, უნდოდა ნასწავლი გამოსულიყო, მაგრამ ბედმა არ გაუმართლა, დაიწყო დიდი სამამულო ომი და, შვი-ლიც, სხვა თანატოლ თანასოფლელებთან ერთად, გაიწვიეს ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. სამწუხაროდ, იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მშობლები მეტად განიცდიდნენ ერთადერთი ვაჟიშვილის დაღუპვას. რაკი ვაჟიშვილთან დაკავ-შირებული დიდი მიზანი განუხორციელებელი დარჩა, მან ქალიშვილებს გაუკაფა გზა სწავლისაკენ. ამით სხვა მეზობლებსაც ხელი გაეხსნათ და ქალიშვილები გაგზავნეს სკოლაში. საშუალო სკოლა ყველამ დაამთავრა და ოჯახები შექმნეს. მხოლოდ ერთმა მათგანმა, ნადიამ მოისურვა უმაღლესი განათლების მიღება. ბედად, მაშინ ფართო გასაქანი მიეცა დაუსწრებელ სწავლებას, რაკი ისაკ ბიძიას გოგონა ინსტიტუტში სწავლას აპირებს, ჩვენც გვინდა ვისწავლოთო, ითხოვდნენ მეზობლების გოგონები, ნადიას კლასელები. ამიტომ რამდენიმე გოგონა ერთდროულად ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტში, დაწყებითი განათლების ფაკულტეტი დაამთავრეს და მუშაობა დაიწყეს სპეციალობის მიხედვით თხილვანის საშუალო სკოლაში. ნადიამ ოჯახი შექმნა მეზობელ მთისუბნელ ვეტექიმ ამირან დუაძესთან. ნადია ერთხანს მუშაობდა თხილვანაში, შემდეგ მთისუბანში, ბოლოს ხიხაძირში. ამჟამად მათი ოჯახი ბათუმში ცხოვრობს.



ისაკ ბოლქვაძე



ესკერ ბოლქვაძე

ისმაილ ფუტკარაძე და დავით მამულაძე



ლევან დავითაძე

ალექსანდრე ქონიაძე

ლევან დავითაძე

ალექსანდრე ქონიაძე

მიხეილ ხოზრევანიძე



მიხეილ ბერიძე

ისაკ ბოლქვაძე არა მარტო მზრუნველი მამა, არამედ ერთგული მუშაკიც იყო. თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორმა დანიელ ცეცხლაძის გარდაცვალების შემდეგ მნედ აიყვანა იგი, რომელიც ათწლეულების მანძილზე, გარდაცვალებამდე მუშაობდა. დილიდან საღამომდე სკოლაში ტრიალებდა, ხელთ მომარჯვებული სადურგლო ხელსაწყოებით. ყველაფერს აკეთებდა, ალამაზებდა, ბავშვებს ეხმარებოდა, წესრიგს იცავდა. ამ სამსახურისთვის ზედგამოჭრილი პიროვნება გახლდათ, სკოლის ბურჯსა და დირექტორის მარჯვენა ხელს ეძახდნენ. სამეურნეო დარგი მოწესრიგებული ჰქონდა, მის სახელს დღესაც იგონებენ სოფელშიც და სკოლაშიც.

ფასდაუდებელია სკოლის დარაჯ-დამლაგებლების: მამა-შვილი თევრათ და ესკერ ბოლქვაძეების, ნური გუნდაძის, იბრაიმ ბოლქვაძის, ფელულ, ქემალ აბულაძეების და სხვების თანადგომასაქმიანობა თავიანთი მოვალეობის შესრულებისა და სკოლისადმი, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისადმი, საერთო სასაწვლო პროცესის ნორმალურად წარმართვისადმი გაწეული შრომა.

ამ წიგნში საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ის ღვაწლი და დამსახურება, რაც მიუძღვით აჭარის და ხულოს რაიონის ხელმძღვანელებს, განათლების მმართველობის ორგანოებს. ვფიქრობთ, გამოვხატავთ მრავალთა სურვილს და მადლიერებით მოვიხსენიებთ დამსახურებულ პიროვნებებს, რომელთაც დიდი ამაგი მიუძღვით სკოლისადმი, მასწავლებელთა კადრების მომზადების, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში. ესენია: დავით მამულაძე, ალექსანდრე თხილაიშვილი, ლევან დავითაძე, ვახტანგ პაპუნიძე, იური უნგიაძე, არჩილ ტაკიძე; რაიონის ხელმძღვანელები: ვლადიმერ ტრაპაიძე, დავით ლეკვეიშვილი, ალექსანდრე ქონიაძე, არჩილ ბერიძე, გიორგი დავითაძე, სიმონ ბერიძე, ალექსანდრე ჯაყელი, არჩილ ბოლქვაძე, მიხეილ ხოზრევანიძე, თამაზ ტუნაძე, ბესარიონ შაინიძე, მიხეილ ბერიძე; განათლების მინისტრები: ნიკოლოზ ნიჟარაძე, ვახტანგ ახვლედიანი, დავით თებიძე, ვახტანგ წულუკიძე, ნანი გუგუნავა; განათლების განყოფილებათა გამგეები: დავით მახარაძე, გრიგოლ გოლეთიანი, დიმიტრი ხოზრევანიძე, ლევან ბერიძე, ვლადიმერ გაბელაია, ლევან რიჟვაძე, ენვერ ბოლქვაძე, ნოდარ აბულაძე, ოთარ ბოლქვაძე და სხვ.

ცალკე აღსანიშნავია ის დახმარება და თანადგომა, რაც თავის დროზე გაუწევია ბატონ შოთა აბაშიძეს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი მუშაობდა რაიკომის ზონის ინსტრუქტორად, მჭიდრო კავშირი ჰქონდა სკოლებთან, მათ ხელმძღვანელობასთან; ეხმარებობდა მათ სასკოლო მშენებ-

ლობაში, სკოლაში ბავშვთა გამოცხადებაში, მასწავლებელთა საყოფაცხ-ოვრებო პირობების გაუმჯობესებაში; ოპერატიულად გადასცემდა სკოლე-ბის მუშაობის შესახებ ინფორმაციებს ზემდგომ ორგანოებს. სწორედ მი-სი უშუალო დახმარებითა და ხელმძღვანელობით აშენდა ამ სკოლის ამ-ჟამინდელი კაპიტალური შენობა და ჩატარდა სკოლის 80 წლის იუბილე.

დასკვნის მაგიერ

თუ შევაჯამებთ იუბილარი სკოლის ერთი საუკუნის მანძილზე გაწეულ მუშაობას და აღვნიშნავთ შედეგებს მისი განვითარების ეტაპების მიხედვით, მივიღებთ საინტერესო სურათს. თხილვანაში პირველი ქართული სკოლა შეიქმნა 100 წლის წინ, 1916 წელს. მართალია, ის რამდენიმე თვეში დაიხურა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა. 31-მა ახალგაზრდამ სხალთა-ხიხანის ხეობიდან ისწავლა ქართული წერა-კითხვა, მათემატიკა და ისინი 20-30-იან წლებში ინტელიგენციის როლს ასრულებდნენ ხეობაში.

1923 წელს თხილვანაში გაიხსნა პირველი საბჭოთა სკოლა (1923-1940). ამ სკოლამ, 20-30-იანი წლების მიჯნაზე, მის მიკროუბნებში გახსნილი ქვედა თხილვანის, ბაკოსა და მთისუბნის შრომის სკოლებმა, „წერა--კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებთან“ ერთად, სერიოზული როლი შეასრულა მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრისათვის ბრძოლის გზაზე. ეს იყო მნიშვნელოვანი ეტაპი კულტურული რევოლუციის მიმართულებით.

1940 წლისათვის ძირითადად აღმოიფხვრა თხილვანის თემში წერა--კითხვის უცოდინარობა, მოსახლეობის 80-85%-მა შეისწავლა მშობლიური წერა-კითხვა, ახალგაზრდობამ სკოლას მიაშურა, გატარდა კანონი დაწყებითი საყოველთაო განათლების შესახებ, მომზადდა ნიადაგი რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელებაზე გადასვლისათვის.

არასრულმა საშუალო სკოლამ (1940-1955) უზრუნველყო რვაწლიანი განათლების საყოველთაო-სავალდებულო კანონის განხორციელება. ახალგაზრდობაში გაიზარდა სწავლა-განათლებისადმი ინტერესი. ვაჟებთან ერთად, გააქტიურდნენ გოგონებიც. პირველ კლასში შესული გოგონები ამთავრებდნენ მერვე კლასს, მათგან რამდენიმემ სწავლა განაგრძო ხულოს პედაგოგიურ ტექნიკუმში და სათანადო დიპლომით დაუბრუნდნენ მშობლიურ სოფლებს დაწყებითი კლასების მასწავლებლებად. სწავლის სურვილის მიუხედავად, საშუალო სკოლის არარსებობის გამო, მერვე კლასის დამთავ-რების შემდეგ მოსწავლეთა დიდი ნაწილი შორ მანძილზე არსებულ საშუალო სკოლაში სწავლას ვერ აგრძელებდა.

ამ ეტაპის მთავარი შედეგი იყო ის, რომ ძირითადად განხორციელდა კანონი რვაწლიანი განათლების შესახებ. მომზადდა ნიადაგი საყოველთა-ო-სავალდებულო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ყველაზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი ეტაპი ასწლოვანი სკოლის ისტორიაში იყო საშუალო სკოლის წლები (1955-2005). ამ წლებში თხილვანის საშუალო სკოლაში 49 გამოშვება ჩატარდა, სკოლა დაამთავრა 1083 მოსწავლემ, მათგან ვაჟი – 675, გოგონა – 408.

იუბილარი სკოლის ბოლო, თანამედროვე ეტაპია საჯარო სკოლის წლები (2005-2016). ამ ეტაპზე 12 გამოშვება მოხდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჯარო სკოლა დაამთავრა 160 მოსწავლემ, მათ შორის ვაჟია – 100, გოგონა – 60.

ეტაპების მიხედვით მოცემული შედეგები სრულ სურათს ვერ იძლევა. საჭირო შეჯამდეს საშუალო და საჯარო სკოლის ეტაპები და უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნება მკითხველს იუბილარი სკოლის საქმიანობის შედეგების შესახებ.

აი, ის შედეგებიც იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

№	სკოლის ეტაპები	წლები	დაამთავრა სკოლა	ვაჟი	გოგონა
1	საშუალო სკოლა	1955-2005	1083	675	408
2	საჯარო სკოლა	2005-2016	160	100	60
	სულ		**1243**	**775**	**468**

ცხრილიდან ჩანს, რომ საშუალო სკოლა (1955-2005 წწ.) დაამთავრა 1083 მოსწავლემ, აქედან ვაჟი – 675, გოგონა – 408; საჯარო სკოლა (2005-2016 წწ.) – 160 მოსწავლემ, ვაჟი – 100, გოგონა – 60; სულ (საშუალო და საჯარო) სკოლა დაამთავრა – 1243 მოსწავლემ, აქედან ვაჟი – 775, გოგონა – 468.

1243 კურსდამთავრებულთაგან **უმაღლესი განათლება** მიიღო 200-ზე მეტმა ახალგაზრდამ. მათგან პედაგოგია – 100-მდე, არიან ინჟინრები, ეკონომისტები, იურისტები, აგრონომები, ექიმები, ვეტექიმები, ბუღალტრები, ვაჭრობის მუშაკები, პოლიციელები, უფროსი ოფიცრები, სამხედრო პირები, ბიზნესმენები, მეზღვაურები, ფილოსოფოსები, მეცნიერებათა დოქტორები, მეცნიერებათა კანდიდატები, აკადემიური დოქტორები. საშუალო--სპეციალური განათლებითაა 650-მდე სხვადასხვა სპეციალობის ახალგაზრდა.

* * *

როცა ჯამდება სკოლის მუშაობის შედეგები, ამ შემთხვევაში საინტერესოა მოსწავლეთა კონტინგენტის დინამიკა.

1984 წლის ჩათვლით, კონტინგენტი იზრდებოდა წლების მიხედვით, 1985 წლიდან კი მკვეთრად შემცირდა. ამის მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ:

1. ქვედა თხილვანაში საშუალო (ამჟამად საჯარო), ბაკოსა და მთისუბანში – არასრული საშუალო სკოლების გახსნა, ამ სოფლებიდან თხილვანის საშუალო სკოლის V-IX კლასის მოსწავლეები გადავიდნენ ახალგახსნილ სკოლებში, ეს ბუნებრივი მოვლენაა;

2. მოსახლეობის გადასვლა საქართველოს სხვადასხვა რაიონში (მიგრაცია);

3. სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესება, მასობრივი უმუშევრობა, ადგილზე მოწეული მოსავლის რეალიზაციის უგარანტიობამ განაპირობა ის, რომ შრომისუნარიანი მუშახელის გარკვეული ნაწილი საშოვარზე წავიდა სხვადასხვა სახელმწიფოში. ეს არის იძულებითი შრომითი მიგრაცია თურქეთში, რუსეთში, საბერძნეთში და სხვა ქვეყნებში, რაც გავლენას ახდენს სოფლად მოსახლეობის დამაგრებაზე და დემოგრაფიულ პრობლემებზე. ეს ცალკე თემაა, რომელსაც სჭირდება სპეციალური შესწავლა და ხელისუფლებისგან გადაუდებლად ყურადღების მიქცევა, რომ არ მოხდეს მოსახლეობის უცხოეთში წასვლა. სოფლების დაცლა კი ქვეყანას დაასუსტებს, საბედისწერო პრობლემას შეუქმნის.

იმედია ხელისუფლება ამ გლობალური პრობლემით დროულად დაინტერესდება.

თხილვანის საჯრო სკოლა, როგორც იუბილარი დაწესებულება, 2016 წლის დასაწყისიდან ახალი გამოწვევების წინაშე დადგა.

სკოლის დირექციამ, წიგნის ავტორების ხელშეწყობითა და სკოლადამთავრებულთა მონაწილეობით, შეადგინა საიუბილეო ღონისძიებათა გეგმა. გეგმის სარეალიზაციოდ შეიქმნა კურსდამთავრებულთა საინიციატივო ჯგუფი. ჩატარდა მისი სხდომა თხილვანის საშუალო სკოლადამთავრებულის სერგო ბოლქვაძის კაფე-ბარში "საამო" (ქ. ბათუმი), სადაც გაიცნეს საიუბილეო გეგმა, განაწილდა დავალებები საინიციატივო ჯგუ-

აბუსერისძე ტბელის სახელობის თხილვანის საჯაროს კოლის კურსდამთავრებულთა საინიციატივო ჯგუფი. 2016 წლის აპრილი

ფის წევრებზე (ჯგუფის ხელმძღვანელები სერგო ბოლქვაძე, ნიკოლოზ დუმბაძე).

დაიწერა იუბილარი სკოლის ისტორიის ამსახველი ნაშრომი სათაურით „ასწლიანი სკოლა აბუსერისძეთა ნაფუძარზე“, რომლის ავტორები არიან ამ სკოლის კურსდამთავრებულები ს. დუმბაძე, ნ. დუმბაძე და შ. ბოლქვაძე.

სასკოლო ფოტოარქივიდან

* * *

წინამდებარე წიგნის ავტორები, აბუსერისძეთა ნაფუძარზე არსებული საუკუნოვანი სკოლის პედაგოგიური კოლექტივის, სამეურნეო საბჭოს, მოსწავლე ახალგაზრდობის, სკოლის კურსდამთავრებულთა და თხილვანის თემის მოსახლეობის სახელით, გამოვხატავთ მადლიერებას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (მინისტრი გიორგი თავამაიშვილი, მინისტრის პირველი მოადგილე სულიკო თებიძე) მიმართ, რომელმაც დაგეგმა და განახორციელა იუბილარი სკოლის კაპიტალური რეაბილიტაცია და უზრუნველყო ახალი სასკოლო ინვენტარით; მადლიერებით აღ-ვნიშნავთ აგრეთვე ქუთაისელი მეგობრების, ტენდერში გამარჯვებული ფირმა შპს „წყაროს“ ხელმძღვანელებისა და მისი წევრების კეთილსინდისიერად და მაღალხარისხოვნად შესრულებულ სამუშაოს. აღნიშნული ფირმის დამფუძნებელები და ხელმძღვანელები არიან ბატონები: გია ბენდელიანი და დათო ლოსაბერიძე, ფირმის წევრები: დათო გვენეტაძე, გიორგი ლაგვილავა, კოტე საბელიშვილი, ილია და ვლადიმერ კრავიშვილები, ელგუჯა და დათო ჯღამაძეები, ოლეგ ბროდაძე, თემურ მიქელაძე, ვახტანგ, დავით და ამირან მალაყმაძეები. ფირმასთან ერთად დასაქმებული იყო თხილვანის მკვიდრი შვიდი კაცი, მათ შორის, მიხეილ და თემურ ბოლქვაძეები, რომლებიც მადლობის ღირსნი არიან. მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს ყურადღებისათვის.

სკოლა მზადაა ახალი სასწავლო წლისათვის და ემზადება 100 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნისათვის.

ავტორები წინასწარ გილოცავთ ასწლოვანი სკოლის იუბილეს და წინამდებარე წიგნით ხელდამშვენებულნი ვეგებებით დიდ სახალხო ზეიმს.

ჯერი თქვენზეა, სკოლის მესვეურებო, პედაგოგებო და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებო.

სასპოლო ფოტოარქივიდან
„არავინ და არაფერია დავიწყებული“

გენერალ შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის საფლავი ხიმშიაშვილთა გვარის საზაფხულო რეზიდენცია ქოჩახში



სოფელი ჯალე - მთისუბანი

ტიტე ჭყონია (შუაში) - ხულოს (ცენტრის) რაისკოლის პედაგოგი მოსწავლეებთან ერთად.
ხულო, 1931 წელი

1957
1958

1958
1961

1959 - 1960 წ.
ბერეთის რაიონის ოთხკლასიანი სკოლის III კლასი = ცენტრალური


1961
1962

1964 1965

1965 ОБЩЕСТВЕННЫЕ ЗАНЯТИЯ СТУДЕНТОВ ВТОРОГО КУРСА
1966 ГОДЕ ВЫПУСКА VIII


1969
თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი
XII გამოშვება
1970 წელი


Ф.ДЗЕРЖИНСКИЙ. ОБЩЕСТВО ЛЕНИНСКОЙ ГВАРДИИ XXII СЪЕЗДУ КПСС 1978-79 г.


ს.ს.ს.ერ. ფილოსოფიის ინსტიტუტი
XXX საერთაშორისო 1986-1987 ს.წ.


ხუდოს ჩაიტრის სოფ. ფხიერეანის
სკოლის სკოლის
კლ. ხელმძღვანელი
ვ. სურმანიძე
დირექტორი
ვ. ბოლქვაძე
ორგანიზატორი
თ. ბოლქვაძე
ე. ბოლქვაძე
ჯ. ბოლქვაძე
ა. ბოლქვაძე
ი. ბოლქვაძე
ზ. გუნდაძე
ლ. ყუმბაძე
მ. ყუმბაძე
ნ. ბოლქვაძე
ზ. ყუმბაძე
ზ. ბოლქვაძე
ზ. გუნდაძე
1993
XI-კლ.
1994
ვოსნაკლეოსა ოქრის ხანაა,
ვოსაგონებლად ცქბილი ნანაა!

სოფელ ვერნეების V საუკუნის ეკლესიის ნანგრევებთან. სურათზე მარცხნიდან პირველ რიგში: დავით მამულაძე, ამირან კახიშე, ასლან მიქელაძე, მეჯიდ გაბაიძე, თედო მიქელაძე, შოთა მამულაძე; მეორე რიგში: დავით ხომახიძე, რევაზ ქონიაძე, ჯემალ ბერიძე, ზურაბ ბერიძე, რევაზ სურმანიძე, ხასან სურმანიძე და სხვები. 1979 წლის სექტემბერი

სელიმობაზე ბაკოში. წინა პლანზე მარცხნიდან: ნაზი მიქელაძე, რამაზ სურმანიძე, იოსებ ხიმშიაშვილი, ფრიდონ ხალვაში, თეიმურაზ კომახიძე, ონისე სურმანიძე, სერგო დუმბაძე, ბიჭიკო დიასამიძე,

მომღერალთა ჯგუფი

თხილვანას საშუალო სკოლის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის მონაწილეები

თხილვანას საშუალო სკოლის 80 წლისთავის იუბილის მონაწილეთა ჯგუფი ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად

თურქეთის მოქალაქე ხიმშიაშვილების შთამომავალი ზეინაბ ხიმშიაშვილი თხილვანის სკოლის მოსწავლე ანა გაბაიძესთან ერთად თხილვანის ეთნოგრაფიულ მუზეუმში.
2015 წლის 20 ივნისი

თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორები სხვადასხვა წლებში.
თეიმურაზ ბოლქვაძე, სერგო დუმბაძე, სერგო ჯაიანი, თინა კუკულაძე,
ვახტანგ აბულაძე, ალექსანდრე მამულაძე, შოთა ბოლქვაძე

თხილვანის საშუალო სკოლის მასწავლებელთა ერთი ჯგუფი

თხილვანის საშუალო სკოლის პირველი კურსდამთავრებულები კლასის ხელმძღვანელ დავით ღლონტთან ერთად. 1958 წ.

თხილვანის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეები კლასის ხელმძღვანელ სერგო დუმბაძესთან ერთად. 1964 წლის მარტი

წარმართული ხანის თხილვანის ქვასთან. მარცხნიდან:
თეიმურაზ ბოლქვაძე, იური სიხარულიძე, დავით მამულაძე,
დავით კომახიძე, ასლან მიქელაძე
წინა რიგში სხედან სოფლის წარმომადგენლები. 1975 წლის ოქტომბერი

ტიტე ჭყონიას შვილი ზურაბი (ზია)
მეუღლესთან ერთად

დიდაჭარა. ქრისტიანული დღესასწაული ანდრია პირველწოდებული და
პირველი ქრისტიანული ტაძარი დიდაჭარაში.
2000 წლის მაისი

გენერალ შერიფ ხიმშიაშვილის საფლავის კეთილმოწყობა.
მაჰჯვნიდან: იოსებ ხიმშიაშვილი, რამაზ სურმანიძე, ნიკოლოზ დუმბაძე



იაკობ ჭარბაძე
პედაგოგი

რ. ოთიაშვილი
გედაგოგი

თხილვანის სკოლის პედაგოგები სტუმრებთან ერთად. მარცხნიდან: თინა კუკულაძე, მაყვალა კეშელავა, ვაჟა დოლიძე, ზურაბ რიჟვაძე, სამინისტროს მეთოდისტი, მახმუდ ბოლქვაძე, ონისე სურმანიძე, ვარდო ბოლქვაძე

პოლკოვნიკი არჩილ ჯაბნიძე

დავით შაინიძე (1937-1989)
წაბლანის სტიქიის მსხვერპლი

სოფელი დიდაჭარა, სადაც ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა ქრისტიანობა და ახ. წ. I საუკუნეში პირველ ნახევარში აშენდა მართლმადიდებლური ეკლესია

თხილვანის სკოლის კურსდამთავრებულთა ერთი ჯგუფი

ილია ბოლქვაძე



გივი ბოლქვაძე



შოთა ბოლქვაძე

ჯემალი ბოლქვაძე



იოსებ გუნდაძე



ომარი აბულაძე

ვალერიან და ილია დუმბაძეები

სიმონ დუმბაძე

ვახტანგ ბოლქვაძე



დავით ცეცხლაძე



ელიკო დუმბაძე



ინდიკო ბოლქვაძე

Sergo Dumbadze
Nikoloz Dumbadze
†Sota Bolkvadze

"One Hundred Year School on the basis of the Abuserisdze"

Summary

The book is dedicated to 100th anniversary from the establishment of Tkhilvani Public School of Khulo Municipality named after Tbel Abuserisdze

Серго Думбадзе
Николоз Думбадзе
Шота Болквадзе

«Столетняя школа в бывших владениях Абусеридзе»

Резюме

Книга посвящается 100-летию Тхилванской публичной школы имени Абусеридзе Тбели Муниципалитета Хуло

Sergo Dumbadze
Nıkoloz Dumbadze
Şota Bolkvadze

„Abuseridze Tbeli'n temelinde yüzyillik okul"

Gırış

Bu kıtap Hulo muhtarlığın, Abuserıdze Tbelı'nın adını taşıyan Thılvana köyunun aıt orta okul yüz yaşında.

გამოყენებული ლიტერატურა და მასალები

ა) ლიტერატურა

1. აბუსერისძე ტბელი, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1941.

2. აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი, საძიებლები დაურთეს ნ. გოგუაძემ, მ. ქავთარიამ და რ. ჩაგუნავამ, ბათუმი, 1998.

3. აბაშიძე მ. რჩეული ნაწერები, ბათუმი, 1975.

4. აბულაძე თ. ორი სკოლის ჩირაღდანი (ხარაულას სკოლის ისტორია), ბათუმი, 2014.

5. აზმაიფარაშვილი მ. „აბრეშუმის გზა“, უძველესი ცივლიზაცია და ტურიზმის განვითარების შესაძლებლობანი საქართველოში, წიგნში „ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა“, ბათუმი, 2014, გვ. 339-345.

6. ახალაძე ნ. არ დაეკარგვის ამაგი, წიგნი I, II, ბათუმი, 2012, 2014.

7. აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტომასალები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ, თბ., 2011.

8. ართმელაძე რ. სამშობლოს სახელოვანი შვილები, ბათუმი, 1972 (რუსულ ენაზე).

9. ახვლედიანი ხ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1978.

10. ახვლედიანი ხ. სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1958.

11. ახვლედიანი ხ. სამხრეთ საქართველოს განთავისულებისთვის მებრძოლნი, ბათუმი, 1972.

12. ბაბილოძე გრ. ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1972.

13. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2001.

14. ბასილაძე ნ. ქართული პედაგოგიკის ისტორია, ბათუმი, 2013.

15. ბასილაძე ნ. ერისა და ქვეყნის მსახურნი, ბათუმი, 2015.

16. ბაქრაძე დ. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987.

17. გიგინეიშვილი ო. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბ., 1982.

18. გორგაძე რ. ტბელის ანდერძი, ბათუმი, 1999.

19. გოგებაშვილი ი. თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II, III, თბ., 1990.

20. გუგუნავა ნ. მემედ აბაშიძე – განმანათლებელი, ბათუმი, 1997.

21. დავითაძე ე. სოფლის აღმშენებელი, წიგნი მეორე, თბ., 1992.

22. დიასამიძე მ. საუკუნოვანი სკოლა (ქედის საშუალო სკოლის ისტორია), ბათუმი, 2004.

23. დიასამიძე თ. კვიახიძეები, ბათუმი, 2009.

24. დუმბაძე ნ. სახალხო მოღვაწე, თბ., 2007.

25. დუმბაძე ნ., დუმბაძე ს. ხიხანელი ხევისბერი, თბ., 2008.

26. დუმბაძე ნ. ჩემი წილი სიცოცხლე, მეორე გამოცემა, თბ., 2014.

27. დუმბაძე ს. წარუშლელი ფურცელი (შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ომის წლებში), ბათუმი, 1996.

28. დუმბაძე ს. მამულაძე ვლ. ხიხანის საარწივოდან, ბათუმი, 1998

29. დუმბაძე ს. მამულაძე ვლ. საბედისწერო მგზავრობა, თბ., 2007.
30. დუმბაძე ს. კავშირგაბმულობა და ფოსტა აჭარაში, თბ., 2004.
31. დუმბაძე ს. სახელოვანი ხიხანელი, თბ., 2008.
32. დუმბაძე ს. ფალავანდიშვილი შ. ისინი იბრძოდნენ ავღანეთში, ბათუმი, 2001.
33. კომახიძე თ. აჭარის კულტურის ისტორიის საკითხები, ბათუმი, 1999.
34. კომახიძე თ. ჰაიდარ აბაშიძე, ბათუმი, 1994.
35. კომახიძე თ. დუდი ხანუმ ბეჟანიძე და ძე მისი შერიფ ხიმშიაშვილი, ბათუმი, 2002.
36. კომახიძე თ. ილია ჭავჭავაძე – აჭარის დიდი მოამაგე, ბათუმი, 2007.
37. კრებული „იყო და მარად იქნება“, შემდგენელი მ. ვარშანიძე, ბათუმი, 1972.
38. კრებული „მარეთის ხეობა“, ბათუმი, 2011.
39. კრებული „მასზე წერდა აჭარა“, I, II, III, IV, ბათუმი, 2009, 2010.
40. ლომსაძე მ. სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.
41. მაკარაძე ვ. ჩემო სკოლავ, მაღალ მთაზე ტაძარივით დადგმულო, ბათუმი, 2003.
42. მამულაძე დ. რწმენით განვლილი გზა (მემუარები), ბათუმი, 1997.
43. მახარაძე მ. ფაჩხის სკოლა – 100. ბათუმი, 2016.
44. მუხსელიშვილი ლ. აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, თბ., 1941.
45. ნიორაძე გ. პირველი ქართული სკოლა ბათუმში, თბ., 1952.
46. სახოკია თ. მოგზაურობანი ..., ბათუმი 1982.
47. საფარიძე დ. ერთი სკოლის ისტორია (ურეხის საშუალო სკოლა), ბათუმი, 2009.
48. სამნიძე ს. ნაბიჯი საუკუნემდე (პირველი მაისის საშუალო სკოლის ისტორია), ბათუმი, 2014.
49. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტ. III-IV, 1921-1990, ბათუმი, 2008-2012.
50. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1948.
51. სურმანიძე რ. თებურ ბეგ ხიმშიაშვილი, ბათუმი, 2006.
52. სურმანიძე რ. გენერალ-ლეიტენანტი თერგდალეულთა თაობიდან (გიორგი ყაზბეგი), ბათუმი, 2006.
53. სურმანიძე რ. ნაცნობი და უცნობი თედო სახოკია, ბათუმი, 2014.
54. სიხარულიძე ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ტ. I, ბათუმი, 1958.
55. სიხარულიძე ი. ტბელ აბუსერისძე – XIII საუკუნის მწერალი, თბ., 1963.
56. ფუტკარაძე მ. აჭარის ეკონომიკური და გეოგრაფიული დახასიათება, ბათუმი, 2001.
57. ქაჯაია ვ. გამოჩენილი ქართველი პედაგოგები, თბ, 1973.
58. ყაზბეგი გ. სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995.
59. ცივაძე ე. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარება აჭარის ასს რესპუბლიკაში, 1921-1972, ბათუმი, 1970.
60. წოწონავა თ. აბუსერისძე ტბელი, ცხოვრება და მოღვაწეობა, ბათუმი, 2000.

61. წულაძე ა. ძმური სიტყვა, თბ., 1916.
62. წულუკიძე ვ. პირველი ქართული სკოლა აჭარაში, ბათუმი, 1982.
63. წულუკიძე ვ. განათლების ისტორიისათვის აჭარაში, ბათუმი, 2012.
64. ხალვაში ი. სკოლა ხიხანის ძირში, ბათუმი, 2006.
64. ხოზრევანიძე დ. სკოლა მთაში, ბათუმი, 1959.
65. ხიმშიაშვილი ი. ხიმშიაშვილები (გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ბიბლიოგრაფია და საძიებელი დაურთო იოსებ ხიმშიაშვილმა), ბათუმი, 2003.
66. ჭავჭავაძე ი. რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, IV, V თბ., 1987, 1955.
67. ჭანტურია ვ. განათლება აჭარაში (რუსულ ენაძე), ბათუმი, 1960.
68. ჯორბენაძე ი. აჭარის მთიანეთის ამაგდარნი, თბ., 2011.

ბ) არქივი

აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აჭარის ცსა)

69.1. ფონდი 3, აღწერა 2, საქმე 22, ფ. 45-47.
70.2. ფონდი 3, რ-5, ა. 1, საქ. 123, ფ. 14, 18.
71.3. ფონდი 3, რ-5, ა. 1, საქ. 316
72.4. ფონდი 3, რ-75, ა. 1, საქ. (3)20, ფ. 40-43.
73.5. ფონდი 3, რ-75, ა. 1, საქ. 59, ფ. 3.
74.6. ფონდი 3, რ-263, ა. 1, საქ. 214, ფ. 40, 43.
75.7. ფონდი 3, რ-263, ა. 1, საქ. 228, ფ. 17, 80.
76.8. ფონდი 3, რ-263, ა. 1, საქ. 505, ფ. 296.
77.9. ფონდი 3, (27) (რ-1013), ა. 1, საქ. 19, ფ. 7.
78.10. ფონდი 3, (15) (რ-1027), ა. 1, საქ. 1, ფ. 6, 7, 8.
79.11. ფონდი 3, რ-1121, ა. 1, საქ. 74, ფ. 31.
80.12. ფონდი 3, რ-1121, ა. 1, საქ. 90, ფ. 20, 24.
81.13. ფონდი 3, რ-1121, ა. 1, საქ. 43.

ხულოს რაიონული სახელმწიფო არქივი (ხულოს რსა)

ფონდი 1, ა. 2, საქ. 13, ფ. 45-47.

გ) პრესა

ჟურნალები

82.1. ჭოროხი, 23 ავტორის ნაშრომი, (ეძღვნება სელიმ ხიმშიაშვილის დაბადების 250 და სამშობლოსათვის თავის გაწირვიდან 90 წლისთავს) № 10, 2005.
83.2. ჭოროხი, № 4, 1987.

გაზეთები

84.1. საბჭოთა აჭარისტანი, 16 ოქტომბერი, 1934.
85.2. საბჭოთა აჭარა, 4 იანვარი, 1960.
86.3. აჭარა, 5-6 თებერვალი, 2013
87.4. აჭარა, 8-9 ოქტომბერი, 2015
88.5. კომუნისტი, 18 მარტი, 1936
89.6. კოლექტიური შრომა (ხულო) 23 ოქტომბერი, 1980
ხულო, 1991-2016 წლები

შინაარსი

ავტორებისგან **3**

შესავალი **6**

პირველი განყოფილება – სხალთა-ხიხანის ხეობა **11**

§1. ცოტა რამ ხეობის შესახებ 11

§2. მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები 18

§3. ხიხანის ციხე-კომპლექსი ახალი აღმოჩენების მოწმე 31

§4. ხეობა მოგზაურთა და მკვლევართა ყურადღების ცენტრში 38

§5. სტიქიური მოვლენები 39

§6. სხალთელ-ხიხანელები 41

§7. კავშირგაბმულობა და ფოსტა სხალთა-ხიხანის ხეობაში 45

მეორე განყოფილება – საქართველოს გამოჩენილი მოღვაწეები სხალთა-ხიხანის ხეობიდან **48**

§1. აბუსერისძე ტბელი (1190-1240 წწ) 48

§2. დავით მამულაძე (1910-1981 წწ) 52

§3. მეცნიერ-სწავლულები სხალთა-ხიხანის ხეობიდან 60

მესამე განყოფილება – თხილვანის სკოლის ისტორია **105**

§1. პირველი ქართული სკოლები აჭარაში (1881-1915 წწ) 105

§2. თხილვანის პირველი ქართული სკოლა (1916-1917 წწ) 112

§3. ხელისუფლების ღონისძიებები სკოლების გახსნისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისთვის აჭარაში 116

§4. თხილვანის დაწყებითი შრომის სკოლა (1923-1940 წწ) 120

§5. თხილვანის არასრული საშუალო სკოლა (1940-1955 წწ) 134

§6. თხილვანის საშუალო სკოლა (1955-2005 წწ) 145

§7. თხილვანის საჯარო სკოლა (2005-2016 წწ) 157

მეოთხე განყოფილება – სკოლის პედაგოგიური კადრები და კურსდამთავრებულები (1916-2016 წწ.) 161

§1. თხილვანის სკოლის მასწავლებლების სია მუშაობის წლების მიხედვით (1916-2016 წწ) 161

§2. სკოლის ადმინისტრაცია 166

ა) სკოლის გამგე/მასწავლებლები 166

ბ) სკოლის დირექტორები 169

გ) სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეები 210

დ) სკოლის ორგანიზატორები 210

§3. სკოლაში მოვლინებული პედაგოგები 211

§4. თხილვანის სკოლის კურსდამთავრებული პედაგოგები 246

§5. კურსდამთავრებული მასწავლებლები სხვა უბნებზე 291

§6. კურსდამთავრებულები სასწავლო წლების მიხედვით 328

მეხუთე განყოფილება – იუბილეები, შეხვედრები, ღონისძიებები 346
§1. თხილვანის სკოლის 80 წლისთავი 346
§2. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თხილვანაში 354
§3. შოთა ბოლქვაძის სიტყვა აბუსერისძე ტბელის 800 წლისთავის საიუბილეო საღამოზე ბათუმში 357
§4. სახალხო დღესასწაულები ხეობაში 360
§5. საიუბილეო საღამოები და შეხვედრები სკოლაში 368

სკოლას მხარში ედგნენ **374**

დასკვნის მაგიერ **380**

სასკოლო ფოტოარქივი **384**

რეზიუმე (ინგლისურ, რუსულ და ინგლისურ ენაზე) **405**

გამოყენებული ლიტერატურა და მასალები **406**

შინაარსი **409**

შენიშვნებისათვის

შენიშვნებისათვის

შენიშვნებისათვის

წიგნში გამოყენებულია ზურაბ ხაბაძის (აბუსერისძე ტბელი I) **და**
გურამ ფუტკარაძის (აბუსერისძე ტბელი II და თედორე დოლიძის) **ნახატები**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ნაზიბროლა სურგულაძე, ანა გაბაიძე

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**
გამომცემლობის რედაქტორი – **ლალი კონცელიძე**
ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**

ფიზიკური თაბახი 26
ტირაჟი 400

წიგნი დაიბეჭდა „ივერიონის“ სტამბაში